ნარკვევები
ქართულ-ბალტიური
ურთიერთობის ისტორიიდან

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Niko Javakhishvili

Essays from the History of Georgian-Baltic Relations

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო ჯავახიშვილი

ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

წინამდებარე გამოკვლევაში წარმოდგენილია ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ათასწლოვან პერიოდს: X საუკუნიდან დღემდე.

ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დალაგებულ ნარკვევებში შესწავლილია ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი არაერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი.

წიგნი განკუთვნილია ქართულ-ევროპული ურთიერთობის ისტორიით დაინტერესებულთათვის.

სამეცნიერო რედაქტორი

აკადემიკოსი **იანის სტრადინში**
ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის
სენატის თავმჯდომარე

რეცენზენტები:

დოქტორი **ვენტა კოცერე**
ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი

დოქტორი **ანდრეის კრუსკოპსი**
ლატვია-საქართველოს თანამშრომლობის ფონდის
მმართველობის საბჭოს თავმჯდომარე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011

ISBN 978-9941-13-195-0

ვუძღვნი
საქართველოს, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული
მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ
მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას

To the blessed memory of the patriots who perished in the struggle
for the state independence and territorial integrity of Georgia,
Latvia, Lithuania and Estonia

შესავალი

ქართულ-ევროპული ურთიერთობების ისტორიის შესწავლა ჩვენი ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამ აქტუალური პრობლემის კვლევას საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მისი ცალკეული ასპექტების შესახებ შექმნილია მრავალი მნიშვნელოვანი სტატია და მონოგრაფია, რომელთა მხოლოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მოსაძიებელი და გამოსაკვლევი კვლავაც ბევრია, ვინაიდან დასმული პრობლემა პრაქტიკულად ამოუწურავ თემას წარმოადგენს.

საქართველო და ბალტიის ქვეყნები ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად დაშორებულ რეგიონებს წარმოადგენს.

ანთროპოლოგიური და ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით, ქართველები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან როგორც ესტონელებისაგან, ასევე ერთმანეთის მონათესავე ლატვიელებისა და ლიტველებისაგან, თუმცა, ხსენებულ ხალხებს სულიერი თვალსაზრისით ბევრი რამ აკავშირებს. ისინი ერთმანეთს ჰგვანან თავისუფლების სიყვარულით, თავიანთი სამშობლოსათვის თავდადებითა და თავდადებულთა მიმართ პატივისცემით.

ქართულ-ბალტიურ ურთიერთობებს ათ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია, თუმცა ერთ მთლიანობაში ის დღემდე არ ქცეულა საგანგებო, მონოგრაფიული კვლევის ობიექტად. ეს ურთიერთობა ცვალებადი ინტენსივობით ხასიათდებოდა, კერძოდ, ატარებდა ზოგჯერ სახელმწიფოთაშორის, ხოლო ზოგჯერ კი – არასახელმწიფოთაშორის ხასიათს.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტიც, რომ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, ქართველთა გარკვეული ნაწილი ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა როგორც არა საქართველოს, არამედ სხვა სახელმწიფოს (ძირითადად – რუსეთის იმპერიის, სსრ კავშირის ან გერმანიის რაიხის) სამხედრო თუ სამოქალაქო მოსამსახურე. ზოგჯერ ბალტიელთა ნაწილიც ანალოგიური მისიით იმყოფებოდა საქართველოში. მიუხედავად ამისა, მათი მოღვაწეობის ასახვა აუცილებელია თანადროული ეპოქის ჭეშმარიტი სურათის წარმოსადგენად.

ქართულ-ბალტიური ურთიერთობების ისტორიის საკითხების შესწავლით ამ რამდენიმე წლის წინათ დავინტერესდი. ამ თემაზე გამოვაქვეყნე არაერთი სტატია როგორც ქართულ [ჯავახიშვილი 2009-2011], ასევე ინგლისურ [Javakhishvili 2010] და რუსულ [Джавахишвили 2010-2011] ენებზე. უფრო ადრე კი რიგაში გამოცემულ ორტომიან ნაშრომს „სამი ვარსკვლავი სხივებში" მივუძღვენი რეცენზია [ჯავახიშვილი 1999: 366-369], რომელიც წინამდებარე წიგნს ერთვის (იხ.: დანართი № 9).

ზემოთ აღნიშნულ თემაზე კვლევა-ძიების გაგრძელებას მომავალშიც ვგეგმავ. ამიტომ, ჩემი ნაშრომის მიმართ გამოთქმულ ყველა საქმიან შენიშვნას და წინადადებას მადლიერებით მივიღებ.

წინამდებარე ნაშრომში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დალაგებულ ნარკვევებში შესწავლილია ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების ათასწლოვანი ისტორიის ამსახველი არაერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი.

აქვე მინდა მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო ის პიროვნებანი, რომლებმაც წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩემ მიმართ თანადგომა გამოიჩინეს. მათ შორის, ამ ნაშრომის სამეცნიერო რედაქტორთან და რეცენზენტებთან ერთად, არიან: საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში, პროფესორი **კონსტანტინე კორკელია;** ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ანდრის ვილცანსი;** უკრაინის ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში, პროფესორი **რაულ ჩილაჩავა;** საქართველოს ყოფილი კონსული ლატვიის რესპუბლიკაში **ქეთევან ესიაშვილი;** ლატვიის რესპუბლიკის კონსული საქართველოში **ილუტა ჩეჩინა;** ლატვიის რესპუბლიკის საპატიო კონსული საქართველოში, პროფესორი **რეგინა იაკობიძე;** აკადემიკოსი **ვიქტორ კალნბერზი;** აკადემიკოსი **ვოიცეხ მატერსკი;** ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **გვიდო სტრაუბე;** ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი **გუნტის ზემიტისი;** სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე **აინარს ლერჩინსი;** ლატვიის ოკუპაციის მუზეუმის დირექტორი **გუნდეგა მიჩელი;** ლატვიის ეროვნული ისტორიის მუზეუმის დირექტორი **არნის რადინში;** დირექტორის მოადგილე **ანიტა მეინარტე** და მთავარი კურატორი **ანდა ოზოლინა;** ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმის დირექტორი **აია ფლეია;** დირექტორის მოადგილე **იურის ციგანოვსი;** ლატვიაში გამომავალი გაზეთის „Latvijas Avize" ჟურნალისტი **ვიესტურს სპრუდე;** პროფესორები (ჩამოთვლილია ანბანურად): **ტატიანა ბერგა, ერიკს იაკობსონსი, ავთანდილ სონღულაშვილი, დიმიტრი შველიძე, დარიუშ შპოპერი** და **დოდო ჭუმბურიძე,** დოქტორი **ვილიუს ივანაუსკასი;** ლატვიის რესპუბლიკაში აკრედიტებული საქართველოს საელჩოს თანამშრომლები: **პაატა გაბიძაშვილი, გიორგი ფანიაშვილი, თეიმურაზ ჯანჯალია, თენგიზ სტურუა, სინტია მეიერე, მარინე ნასარიძე;** ლატვიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები (ჩამოთვლილია ანბანურად): **ბესარიონ ბერაძე, ერიკ გრიგოლია, ნუგზარ კახიანი, მარლენ მიქიანი, ნუგზარ მძინარიშვილი, ნუგზარ პაქსაძე,** ელენე **ჟორჟოლიანი, კმარა** და **მანანა სვანიძეები, ნონა ტაურინა (კოჭლამაზაშვილი), შაქრო ტოლიაშვილი, ზურაბ ქეცბაია, ირმა** და **ანა ქიტიაშვილები, თენგიზ შაბურიშვილი, გოჩა ხუსკივაძე** და სხვები.

თავი I

ქართულ-ბალტიური ურთიერთობა X საუკუნიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე

1. ქართულ-ბალტიური ურთიერთობის სათავეებთან (X–XI საუკუნეები)

VIII საუკუნემდე მსოფლიოს სავაჭრო გზები ურთიერთმოქიშპე, მძლავრ სახელმწიფოთა შორის იყოფოდა. არაბთა დაპყრობითი ლაშქრობების შედეგად წარმოქმნილმა იმპერიამ (ხალიფატმა) გააერთიანა აღნიშნული გზები, რომლებმაც მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია. იმ პერიოდში საერთაშორისო საქონელბრუნვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის შეუჩერებლად ვითარდებოდა. ეს პროცესი საქართველოშიც შესამჩნევი გახდა. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში აღმოჩენილი მონეტების განძების გეოგრაფია.

აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებს შორის დამყარებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად, არაბების მიერ დაპყრობილ ცალკეულ ქვეყნებში მოჭრილი ფულადი ერთეული – დირჰემი გავრცელდა დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ტერიტორიაზე [კაპანაძე 1969: 59], მათ შორის ბალტიისპირეთშიც [Ducmane 2009: 41]. სადაც ხსენებული ტიპის მონეტების განძების აღმოჩენა საკმაოდ ხშირ მოვლენად იქცა.

აღსანიშნავია, რომ ამ განძებში გვხვდება საქართველოში მოჭრილი მონეტებიც. ასეთი აღმოჩენები დაფიქსირებულია კავკასიიდან გეოგრაფიული თვალსაზრისით დაშორებულ ევროპის ისეთ რეგიონებში, როგორიცაა, მაგალითად, ბალტიის ზღვის სანაპირო ქვეყნები, ასევე, მინსკის (ბელორუსი), ტულისა და კურსკის (რუსეთის ფედერაცია) მიდამოები [კაპანაძე 1969: 59].

ლატვიის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მიერ 1936-1937 წლებში, რიგასთან მდებარე სალასპილს-ლაუკსკოლას დასახლებაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტები არაბული წარწერებით. როგორც გაირკვა, ეს მონეტებია – ქუფური დირჰემები. მათგან ერთი მოჭრილია თბილისში და თარიღდება ჰიჯრით 363 წლით, ანუ 973/974 წლებით. მას გააჩნია ყუნწი, ანუ გადაკეთებულია გულსაკიდად, ქალის სამშვენისად [Bepra 1988: 16-85].

ლატვიის ეროვნული ისტორიის მუზეუმში დაცული ხსენებული მონეტის არსებობის შესახებ ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ჩვენ მიერ გამოქვეყნებული სტატიით შეიტყო [ჯავახიშვილი 2009, № 6: 33-35].

ცნობილია, რომ X საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში დირჰემი იჭრებოდა ჯაფარიანთა დინასტიის წარმომადგენლის – ამირა ჯაფარ იბნ მანსურის სახელით.

აქვე უნდა ითქვას, რომ ხსენებული პიროვნების სახელი მოიხსენიება არაბთა ხალიფას სახელის გვერდით, რაც მიგვანიშნებს თბილისის იმდროინდელი ამირების ფაქტობრივ დამოუკიდებლობაზე. ამ მონეტების შუბლზე (ავერსზე) არაბულ ენაზე დაფიქსირებულია მათი მოჭრის ადგილი: „იჭედა ესე დირჰემი თბილისში".

X-XI საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური პროგრესი ქვეყნის სამონეტო საქმეშიც აისახა.

ხსენებულ პერიოდში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის – ტაოკლარჯეთის (ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში) მფლობელმა, ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის წარმომადგენელმა, ქართველთა მეფემ (994 წლიდან) დავით III კურაპალატმა (მეფობდა X საუკუნის მეორე ნახევარში, გარდაიცვალა 1001 წელს) მოჭრა თბილისის ჯაფარიან ამირათა არაბული ტიპის მონეტისაგან სრულიად განსხვავებული ვერცხლის დრამა. მასზე აღბეჭდილია ჭეშმარიტი ჯვრის („ძელი ცხორებისაჲ") გამოსახულებითა და ქართული წარწერით: „ქრისტე, შეიწყალე დავით კურაპალატი".

მართალია, აღნიშნული მონეტის მხოლოდ 4 ეგზემპლარია ცნობილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ჩართული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო მიმოქცევაში. ასეთი ვარაუდის საფუძვლად მკვლევარნი მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ოთხივე მათგანი ნაპოვნია საქართველოდან ძალზე შორს, ჩრდილოეთ გერმანიაში, რუსეთში, ბალტიისპირეთსა და შვედეთში [დუნდუა 2003: 23-26].

1910 წელს რუსი მკვლევარი ევგენი პახომოვი წერდა: „До сих пор найдено только три экземпляра этой редкой монеты, причем все – далеко за границами Грузии: один оказался в кладе, найденном в 1859 г. в Мекленбург-Шверине, близ м. Шваан. Он попал в Шверинский Музей. Второй – выкопан в 1878 г. в Олонецкой губ., близ м. Лодейное Поле и поступил в коллекцию Ю. Б. Иверсена, а оттуда – в Эрмитаж. Третий, по сообщению А. К. Маркова, находился в кладе, найденном в 1900-х годах в Лифляндской губ., близ м. Волтя, но затем исчез и через некоторое время оказался в руках одного гамбургского торговца, продавшего его, кажется, в Берлинский Музей" [Пахомов 1970: 53].

1859 წელს ქალაქ შვაანთან აღმოჩენილი დავით III კურაპალატის დრამის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამ მალევე შეიტყო. ეს იყო ამ ტიპის მონეტის აღმოჩენის პირველი ფაქტი [ლორთქიფანიძე 2007: 13-14].

ოლონეცკის გუბერნიაში დავით III კურაპალატის დრამა აღმოჩნდა XI საუკუნის ვერცხლის მონეტების დიდ განძში, რომლის საერთო რაოდენობაც 2600 ცალს (საერთო წონა – 3,4 კილოგრამი) აღემატებოდა. ეს იყო ამ ტიპის მონეტის აღმოჩენის მეორე ფაქტი. ამას სათანადო ყურადღება მიაქცია რუსეთის იმპერიის იმდროინდელმა სამეცნიერო საზოგადოებამ, ხოლო ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილების მთავარმა მცველმა იულიუს ივერსენმა მას თავის მოხსენებაში საგანგებო ადგილი დაუთმო [Труды 1887: 251].

ასე რომ, საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი ორივე ზემოხსენებული მონეტა: 1. თბილისის ამირა ჯაფარ იბნ მანსურის დირჰემი (973-974 წ.) და 2. ტაო-კლარჯეთის მფლობელ დავით III კურაპალატის დრამა (მოჭრილია X საუკუნის მეორე ნახევრიდან – XI საუკუნის დასაწყისამდე) ნაპოვნია ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე. პირველი მათგანი აღმოჩენილია 1936-1937 წლებში, რიგის ერთ-ერთ რაიონში მდებარე სალასპილს-ლაუკსკოლას დასახლებაში, ხოლო მეორე – XX საუკუნის დასაწყისში, ლიფლანდიის გუბერნიაში, ვოლიას დასახლების მახლობლად.

საგულისხმოა, რომ საქართველოში მოჭრილი ორივე ხსენებული მონეტა აღმოჩენილია ლიფლანდიის ტერიტორიაზე, რომლის ძირითადი ნაწილიც ამჟამად ლატვიის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის.

ის ფაქტი, რომ X-XI საუკუნეებში საქართველოში მოჭრილი ზემოხსენებული ვერცხლის მონეტები აღმოჩენილია როგორც ბალტიისპირეთის, ასევე ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნების: გერმანიის, შვედეთისა და რუსეთის ტერიტორიაზე, გვაფიქრებინებს, რომ ამ მონეტების ერთი ნაწილი, შესაძლებელია, იქ მოხვდა არაბთა მეშვეობით, ხოლო მეორე ნაწილი – სრულიად სხვა გზით.

ისმის კითხვა: გარდა არაბებისა, კიდევ ვის შეეძლო აღნიშნული ქართული მონეტების ჩატანა ჩრდილოეთის ქვეყნებში?

XI საუკუნით დათარიღებული ქართული საისტორიო თხზულების „მატიანე ქართლისაჲ" ცნობით, საქართველოში ჩამოვიდნენ „ვარანგნი სამი ათასი კაცი" [მატიანე ქართლისა 1955: 301].

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ „ვარანგები" იყვნენ სკანდინავიური წარმომავლობის მეომრები, კერძოდ, ვიკინგები (ნორმანები), რომლებიც XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში ჩამოვიდნენ [ვაჩნაძე 2001: 92-123].

არსებობს ვარაუდი, რომ „მატიანე ქართლისაში" აღწერილი მოვლენა გარკვეულ კავშირში უნდა იყოს ისლანდიურ საგაში მოთხრობილ ინგვარ მოგზაურის ისტორიასთან („საგა ინგვარის შესახებ"). ამავე მოსაზრების მიხედვით, საქართველოში ჩამოსული ვიკინგები იყვნენ ის სკანდინავიელი მეომრები, რომლებიც 1043 წელს, რუსთა ჯარის კონსტანტინოპოლზე გალაშქრებისას, ბიზანტიელებს ტყვედ ჩაუვარდნენ. 1046 წელს ბიზანტიელებმა ტყვე ვიკინგები გაათავისუფლეს, რის შემდეგაც, მათი ნაწილი, ქართველი მეფის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა [გოილაძე 1984: 170].

ქართველ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ 1046 წლის ზაფხულში, ერთიანი საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის მოწვევით, ვიკინგები საქართველოში ჩამოვიდნენ. ისინი, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, ჩაირიცხნენ მეფის ჯარის შემადგენლობაში და მონაწილეობა მიიღეს განდგომილი ფეოდალის – ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ სასირეთთან მომხდარ ბრძოლაში [სამუშია 2008: 15-16].

საგულისხმოა, რომ 1045 წელს კონსტანტინოპოლიდან შავი ზღვის გავლით სამშობლოში მიეშურებოდა ნორვეგიის მომავალი კონუნგი, იმხანად კი ბედის მაძიებელი ტახტის მემკვიდრე ჰაროლდ ჰარდრადე, რომლის შესახებაც ცნობები შემონახულია ისლანდიურ საგებში [Fledelius 1996: 213]. ამ ცნობაზე დაყრდნობით, გაჩნდა ვარაუდი, რომ სასირეთის ბრძოლაში სხვა ვიკინგებთან ერთად მონაწილეობდა ჰაროლდიც თავისი რაზმითურთ [ვაჩნაძე 2001: 106-115].

ზემოთ აღნიშნული ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ლიპარიტ ბაღვაშმა გაიმარჯვა, ვიკინგი მეომრები ტყვედ ჩავარდნენ.

სომხურ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობებზე დაყრდნობით, ისტორიკოსი სამველ მარქარიანი მიიჩნევს, რომ, ლიპარიტ ბაღვაშმა, სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ, მიიმხრო დატყვევებული ვიკინგები, რომლებსაც საკუთარი მიზნებისათვის ერთხანს წარმატებით იყენებდა.

იგი წერს, რომ „ვიკინგები//ვარიაგები საკმაოდ ერთგულად ემსახურნენ ლიპარიტ ბაღვაშს უკანასკნელი ჯარისკაცის ჩათვლით, როგორც ეს აღწერილი აქვთ სხვა სომეხ ისტორიკოსებს და არც უფიქრიათ საკუთარი თავის გადარჩენაზე. ამიტომაც იყო, რომ 30 ხომალდიდან მხოლოდ ერთი გადარჩა, რომელიც 30-40 მე-

ომარს იტევდა. აღნიშნული 700 ვიკინგიდან მხოლოდ ეს რაოდენობა დაბრუნდა სამშობლოში, როგორც ამას აღნიშნავს „საგა ინგვარის შესახებ". გადარჩენილი ხომალდის სათავეში იდგა... ინგვარის ერთ-ერთი ჰავდინგი, რომელიც გადაიხვენა ისლანდიაში და იქ უამბობდა სკალდებს თავის ვერსიას ინგვარის „შორეული, აღმოსავლური" ლაშქრობის შესახებ. სკალდების მეორე თაობის შეთხზული ამბავი XII საუკუნის ბოლოს – XIII საუკუნის დასაწყისში საფუძვლად დაედო „საგა ინგვარის შესახებ" ლათინურ ტექსტს, საიდანაც ბერმა – ოდდ სნორანსონმა ჩაწერა საგის თავისი ვერსია" [Маркарян 2001: 146].

ასე რომ, ვიკინგ მეომართა გარკვეულმა ნაწილმა საქართველო დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებში და მათ შორის ბალტიისპირეთში აღმოჩენილი ქართული მონეტების ნაწილი იქ მოხვდა 1046 წელს საქართველოში მყოფი ვიკინგი მეომრების მეშვეობით, რომლებმაც ქართველი დამქირავებლისაგან გასამრჯელოდ მიიღეს ადგილობრივი ვერცხლის მონეტები. როგორც ჩანს, ამ მეომართა ნაწილი, საქართველოდან წასვლის შემდეგ, ჩრდილოეთის მიმართულებით გაეშურა. ამ ვარაუდს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ევროპის ჩრდილოეთში ნაპოვნი ქართული მონეტები მოჭრილია სასირეთის ბრძოლამდე [Джавахишвили 2011].

ახლა, რაც შეეხება იმას, თუ როგორი გავლენა ჰქონდათ სკანდინავიელებს მათ მეზობლად მდებარე ჩრდილოეთის ქვეყნებზე (მათ შორის ბალტიისპირეთზეც) და რა მიმართულებანი გააჩნდა მათ ექსპანსიას.

მკვლევარი ჯონს გვინი აღნიშნავს: „Установившееся довольно рано, но прочно, главенство конунгской династии Центральной Швеции, хотя и не отражено в достаточной мере в письменных источниках, судя по всему, было решающим фактором в истории Скандинавии в довикингский период и эпоху викингов. Уже в VIII веке в Уппланде и прилегающих к нему северных, а особенно, южных территориях существовало единое, сильное и богатое королевство, которое в силу своего местоположения могло стать центром колониальной и торговой экспансии за море. В данном случае самыми естественными направлениями этой экспансии представлялись восток и юго-восток: для начала Готланд и Прибалтика - от Гданьского залива до северной оконечности Финского залива; а после знакомства с этими изобильными землями - дальше, к русским рекам, Черному и Каспийскому морям и в Византию.

Точную дату появления шведов в восточной Прибалтике определить трудно, но несомненно, она относится к довикингской эпохе... Жители Курляндии (современная Латвия) в прежние времена были шведскими подданными, но потом сбросили ярмо, ибо считали его постыдным. Они разбили данов в 850 году, однако Олав, конунг Бирки, повел на них шведов, сжег и сровнял с землей их крепость Зеебург и подчинил себе второй курляндский город - Апулию. В результате... Курляндия снова стала выплачивать шведам дань...

Все документальные и археологические свидетельства указывают на то, что скандинавское влияние в латышских, литовских и славянских землях восточной Прибалтики имело место" [Гвин 2010: 242-245].

ამრიგად, X-XI საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტების აღმოჩენა ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე ნათელი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ აღნიშნულ რეგიონთან გარკვეული კავშირი საქართველოს ჯერ კიდევ ათი საუკუნის ნინათ ჰქონდა [Javakhishvili 2010].

2. ქართულ-ბალტიური სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XV საუკუნის მიწურული)

1453 წელს თურქ-ოსმალებმა აიღეს კონსტანტინოპოლი, გაანადგურეს ბიზანტიის იმპერია და შავი ზღვის სრუტეები ხელთ იგდეს. ამით ისინი უშუალოდ დაუმეზობლდნენ სამხრეთ ევროპას და საქართველოს.

ოსმალთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა არაერთხელ სცადეს რომის პაპებმა. 1458-1460 წლებში, რომის პაპის, პიუს II-ის (ენეა სილვიო პიკოლომინი) მოწოდებას ანტიოსმალური კოალიციის შექმნის თაობაზე ქართველი მეფე-მთავარნიც გამოეხმაურნენ და სათანადოდაც მოემზადნენ. ამის მიუხედავად, ვინაიდან იმ პერიოდში ევროპის ქვეყნებმა შინაგან წინააღმდეგობებს თავი ვერ გაართვეს, ეს მნიშვნელოვანი პროექტი ჩაიშალა.

1494-1495 წლებში, ესპანეთის გაძლიერების ცნობამ საქართველოში თურქთა წინააღმდეგ ერთობლივად გალაშქრების ძველი გეგმა კვლავ გამოაცოცხლა. ამაში გარკვეული დამსახურება მღვდელ-მონაზონ კირ-ნილოსს მიუძღვის, რომელიც ქართლის გვირგვინოსნის – კონსტანტინე II-ის (მეფობდა 1479-1505 წლებში) სამეფო კარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. კონსტანტინემ ეგვიპტიდან ახლად დაბრუნებული კირ-ნილოსი მალევე გაგზავნა ესპანეთსა და რომში.

საგულისხმოა, რომ, 1495 წელს, ქართლის მეფე კონსტანტინემ მხოლოდ ესპანეთის დედოფალ იზაბელა I-თან (მეფობდა 1474-1504 წლებში) კი არ სცადა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრა, არამედ თავის ელჩს რომის პაპთან მოლაპარაკებაც დაავალა. ამასთანავე, ელჩს პაპისთვის უნდა ეცნობებინა ქართლის სამეფოს მესვეურთა გადაწყვეტილება რომის ეკლესიისათვის მათი დაქვემდებარების თაობაზე.

ქართველი და ესპანელი ელჩები, რომელთაც დედოფალ იზაბელასთან წერილი ერთად მიჰქონდათ, ესპანეთში ლიტვასა და პოლონეთზე გავლით ჩავიდნენ, ეს კი მარტოოდენ ევროპაში გასასვლელი გზის ძიებით არ იყო განპირობებული.

XV საუკუნის ბოლოს, საქართველოში ცნობილი იყო ლიტვისა და პოლონეთის ხელისუფალთა მტრული დამოკიდებულება თურქთა მიმართ და, ამიტომაც, იქაურ მესვეურებთან მოლაპარაკების გამართვა ქართველ ელჩს საიდუმლოდ ჰქონდა დაკისრებული [ჯავახიშვილი 1998, II: 4-6].

რაც შეეხება იმას, რომ ლიტვისა და პოლონეთის მესვეურთა მისამართით ქართველი მეფის მიერ გაგზავნილი წერილი არ არის აღმოჩენილი, პროფესორ იასე ციწცაძის აზრით, ეს სრულიადაც არ გამორიცხავს სიტყვიერი დავალების ფაქტს და სავარაუდოა, რომ წერილებთან ერთად ქართველ ელჩს სიტყვიერი დავალებების გადაცემაც ევალებოდა.

ქართველ ელჩს რომ პოლონეთის მეფისათვის ანტიოსმალური კოალიციის შედგენის გეგმა გაუცნია და ამ საკითხის ირგვლივ პოლონეთის სამეფო კარზე საგანგებო თათბირიც გამართულა, ამის დამამტკიცებელია ქართლის მეფის მიერ ესპანეთის დედოფლისადმი გაგზავნილი წერილის თარგმანის „ლიტვის მეტრიკაში" შეტანა.

ცნობილია, რომ „ლიტვის მეტრიკა" მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების ამსახველი დოკუმენტების ტექსტებს ინახავდა.

ამ წიგნში შეჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი მიმოწერის ტექსტები, რომლებიც სახელმწიფო საბჭოზე განიხილებოდა.

ირკვევა, რომ კონსტანტინეს მიერ იზაბელასადმი გაგზავნილი წერილი, როგორც ქრისტიანული ქვეყნებისათვის საერთო საქმის დოკუმენტი, ქართველმა და ესპანელმა ელჩებმა ტექსტუალურად გააცნეს ლიტვისა და პოლონეთის ხელისუფლებას. ამ უკანასკნელებმა კი წერილის ტექსტი „ლიტვის მეტრიკაში" შეიტანეს [ცინცაძე 1965: 18-39].

ხსენებული ნერილის თაობაზე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ეს საბუთი 1495 წელს არის დაწერილი და გაგზავნილი [ჯავახიშვილი 1982: 452-453].

აღნიშნულ პერიოდში პოლონეთის მეფე იყო იაგელონთა სამეფო დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი – იან I ოლბრახტი (მეფობდა 1492-1501 წლებში), ხოლო ლიტვის დიდი მთავარი იყო ალექსანდრე (მთავრობდა 1492-1506 წლებში). აქვე დავსძენთ, რომ 1501 წლიდან პოლონეთსა და ლიტვას ერთი და იგივე მონარქები მართავდნენ [Сычев 2006: 160].

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობას ბალტიის ქვეყნებთან საფუძველი ჩაეყარა 1495 წლიდან, როდესაც ქართლის მეფის – კონსტანტინე II-ის ელჩი ლიტვასა და პოლონეთში ჩავიდა და ამ ქვეყნების ხელისუფლებას თავისი მონარქის დანაბარები გადასცა [Javakhishvili 2010: 149-150].

3. ქართულ-ბალტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის პირველი მესამედი)

1569 წელს, ლუბლინში დადებული უნიით, ოფიციალურად დასრულდა ლიტვისა და პოლონეთის ერთ სახელმწიფოდ – რეჩ პოსპოლიტად გაერთიანების პროცესი. ლიტვა-პოლონეთის უნიის ჩამოყალიბების შემდეგ, აღნიშნულმა სამეფომ მოიცვა როგორც საკუთრივ პოლონეთი და ლიტვა, ასევე თანამედროვე ლატვიის ტერიტორიის ჩრდილოეთი (ზადვინის საპერკოგო) და აღმოსავლეთი (ვენდენის სავოევოდო) ნაწილები, ხოლო სამხრეთი ნაწილი (კერძოდ, კურლანდიისა და ზემგალის საპერკოგო მდინარე დაუგავის სამხრეთით, კურლანდიის საეპისკოპოსოს გარდა) – მასზე დამოკიდებულ, ვასალურ სახელმწიფოდ იქცა [Курлович 2002: 87].

ლიტვა-პოლონეთის სამეფოს სამხრეთმა საზღვარმა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირომდე მიაღწია. ამ ვრცელ და მძლავრ სახელმწიფოსთან დაკავშირება სწორედ ამ გზით მოახერხეს ქართველებმა, რომლებიც, ოსმალთა მიერ შავი ზღვის სრუტეების გადაკეტვის შემდეგ, ევროპაში წასასვლელ უმოკლეს გზად იყენებდნენ ლიტვა-პოლონეთის ტერიტორიას. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ურთიერთობა განპირობებული იყო ოსმალური საფრთხის დაძლევის ერთობლივი სურვილითა და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებით [ჯავახიშვილი 1998, II: 6].

XVII საუკუნის პირველ მესამედში ლიტვა-პოლონეთის სამეფოსთან გარკვეული ურთიერთობები გააჩნდათ ქართულ სამეფო-სამთავროებს.

1627 წელს იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა-ვალე რომის პაპ ურბან VIII-სადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ ლიტვა-პოლონეთის მონარქს დიდი მეგობრობა აკავშირებდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე

იმხანად არსებული სამეგრელოსა და გურიის სამთავროების მმართველებთან – დადიანთან და გურიელთან. მათ შორის ყოფილა ინტენსიური მიმოწერა და სავაჭრო ხომალდების მიმოსვლა [ჭყონია 1899: 56-57].

ხსენებულ პერიოდში, საქართველოში ფართოდ გავრცელდა ლიტვა-პოლონეთის სამეფოს ფულის ნიშნები [ჯავახიშვილი 2009, № 6: 38-41].

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ევროპული ქვეყნების მონეტების განძების შემადგენლობიდან ირკვევა, რომ ჩვენში მიმოქცევაში იყო ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი ვერცხლის მცირე ნომინალები – „ორტები" და „პოლტორაკები", რომლებიც ოქროს დუკატებთან, ტალერულ მონეტებთან და ბრანდერბურგ-პრუსიის „ორტებთან" და „პოლტორაკებთან" ერთად ბრუნავდა [ქებულაძე 1971: 111].

1608 წლიდან ლიტვა-პოლონეთის სამეფოში, ქ. გდანსკის (იგივე დანციგი) ზარაფხანაში დაიწყეს მოჭრა ორტისა, რომელიც 10 გროშს შეადგენდა. მათზე მოთხოვნილება იმდენად სწრაფად გაიზარდა, რომ სეიმის (პარლამენტი) დადგენილებით, 1616 წლიდან მათი მოჭრა დაიწყეს ცალკეული ქალაქების: ვარშავის, კრაკოვისა და ბიდგოშის ზარაფხანებშიც. აღნიშნული დადგენილების თანახმად, 1 გრივნა ლიგირებული ვერცხლისაგან უნდა მოჭრილიყო 28 ცალი ორტა, თითო – 7, 6-გრამიანი მონეტა. მალე, ორტები ლიტვა-პოლონეთის სამეფოს საზღვრებს გასცდა და იმდენად პოპულარული გახდა ევროპაში, რომ მათი ტიპის მონეტების მოჭრა ბრანდენბურგისა და პრუსიის ზარაფხანებმაც დაიწყეს [Gumowski 1950: 112-116].

საქართველოში ორტებთან ერთად მიმოიქცეოდა უფრო მცირე ნომინალის მონეტაც – პოლტორაკი. ეს ნომინალი, მსგავსად ორტისა, იჭრებოდა როგორც ლიტვა-პოლონეთის სამეფოში, ასევე ბრანდენბურგისა და პრუსიის ზარაფხანებშიც, სადაც მას „დრაიპოლკერს" უწოდებდნენ.

მონეტების ცალკეული ეგზემპლარებისა თუ განძების სახით, საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილია ორტების – 11, ხოლო პოლტორაკების – 1 განძი. აქედან საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მხოლოდ 4 განძი შევიდა.

აღნიშნული 12 განძიდან ყველაში აღმოჩნდა ლიტვა-პოლონეთის სამეფოს ვერცხლის მონეტები, რომელთა ძირითადი ნაწილი მოჭრილია სიგიზმუნდ III-ის მეფობის (1587-1632 წწ.) ხანაში. ისინი იპოვეს საქართველოს შემდეგ დასახლებულ პუნქტებში (მონაცემები მოტანილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით):

1) 1895 წელს, ახალციხის მაზრის სოფელ წყორძაში იპოვეს 4 ევროპული მონეტა, რომელთაგან 1 – ლიტვა-პოლონეთში მოჭრილი აღმოჩნდა;

2) XX საუკუნის დასაწყისში, ოზურგეთის მაზრის სოფელ ზედაუბნის მიდამოებში, მიწის დამუშავებისას იპოვეს ლიტვა-პოლონეთის მონეტების განძი;

3) 1942 წელს, თბილისში, ტრამვაის პარკის ტერიტორიაზე, ლიანდაგის შეკეთებისას იპოვეს 22 მონეტისაგან შემდგარი განძი. მათ შორის აღმოჩნდა სიგიზმუნდ III-ის სახელით, 1621-1626 წლებში, ბიდგოშის ზარაფხანაში მოჭრილი 19 პოლტორაკი;

4) 1944 წელს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯაგირას მახლობლად, ჩამორეცხილი გზის პირას იპოვეს ლიტვა-პოლონეთის მონეტა;

5) დაახლოებით 1945-1950 წლებში დასავლეთ საქართველოში იპოვეს ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც მპოვნელებმა დაინაწილეს. ამ განძიდან 2 მონეტა განსაზღვრისათვის მიიტანეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც დადგინდა, რომ ერთი მათგანი მოჭრილი იყო სიგიზმუნდ III-ის სახელით;

6) 1950 წელს, მარტვილის (იმხანად – გეგეჭკორის) რაიონის სოფელ ნოჯიხევში იპოვეს სიგიზმუნდ III-ის სახელით 1624 წელს მოჭრილი ორტა, რომელიც დაცულია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში;

7) 1954 წელს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე, მიწის დამუშავებისას, იპოვეს თიხის ჭურჭელი 33 მონეტით. მათ შორის აღმოჩნდა სიგიზმუნდ III-ის სახელით 1621-1626 წლებში გამოშვებული 30 ორტა, რომლებიც მოჭრილია ბიდგოშისა (21 მონეტა) და გდანსკის (9 მონეტა) ზარაფხანებში;

8) 1955 წელს, თბილისთან მდებარე სოფელ შინდისში, მიწის ნაკვეთის დამუშავებისას იპოვეს ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი 25-ზე მეტი ორტა, რომელთაგან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მხოლოდ 3 შევიდა. ისინი მოჭრილია სიგიზმუნდ III-ის სახელით: გდანსკში, 1623 და 1625 წლებში (2 მონეტა) და ბიდგოშში – 1624 წელს (1 მონეტა);

9) 1956 წელს, ახალციხის რაიონის სოფელ თისელში იპოვეს სიგიზმუნდ III-ის სახელით მოჭრილი ორტა;

10) 1958 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭალკათში, მიწის ნაკვეთის დამუშავებისას იპოვეს 84 მონეტისაგან შემდგარი განძი. მათ შორის აღმოჩნდა სიგიზმუნდ III-ის სახელით, 1622-1623 წლებში, ბიდგოშის ზარაფხანაში მოჭრილი 2 ორტა;

11) დაახლოებით 1960-1963 წლებში, ადიგენის რაიონში მდებარე აბასთუმნის ტყეში, სახლის საძირკვლის გათხრის დროს, იპოვეს სიგიზმუნდ III-ის სახელით, 1622-1626 წლებში, ბიდგოშისა და გდანსკის ზარაფხანებში მოჭრილი მონეტების განძი, რომელიც ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა შეიძინა [ქებულაძე 1971: 112-122];

12) 2007 წელს, ქარელის რაიონის სოფელ აბანოს მახლობლად, ნასოფლარ კოდავეთში მდებარე წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიის ნანგრევების გაწმენდისას იპოვეს XVII საუკუნის პირველ მეოთხედში მოჭრილი ევროპული მონეტების განძი. მათ შორის აღმოჩნდა სიგიზმუნდ III-ის სახელით, 1617-1624 წლებში, ბიდგოშისა და გდანსკის ზარაფხანებში მოჭრილი 18 ორტა [ქუთელია 2008: 55-57].

ნუმიზმატი რევაზ ქებულაძე წერდა: „საქართველოში აღმოჩენილი ორტებისა და პოლტორაკების ძირითად ნაწილს შეადგენს პოლონური მონეტები, ხოლო უმნიშვნელო ნაწილს – ბრანდენბურგ-პრუსიული მონეტები: ამ უკანასკნელთაგან საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე ოთხი ორტა და სამი დრაიპოლკერია აღმოჩენილი. საფიქრებელია, რომ ეს მონეტები საქართველოში უშუალოდ ბრანდენბურგიდან და პრუსიიდან კი არ შემოდიოდა, არამედ პოლონეთიდან. ამიტომ, ამ მონეტათა მიმოქცევის საკითხების განხილვისას, ძირითადი აქცენტი გადატანილი გვაქვს პოლონურ მონეტებზე. საქართველოში ორტებისა და პოლტორაკების გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი პოლონეთთან პოლიტიკურ კავშირში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური მიზნების ერთიანობაში მაინც უნდა ვეძებოთ; მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე შავი ზღვისა და მდინარე დნეპრის გზით პოლონეთთან აბრეშუმით ვაჭრობა და XVII საუკუნის საქართველოში მოქმედი ფულის სისტემა. ერთი სიტყვით, მიზეზები როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ხასიათისაა“ [ქებულაძე 1971: 123].

საქართველოს ტერიტორიაზე ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი ვერცხლის ფულის განძის ჯერჯერობით უკანასკნელი, კერძოდ, 2007 წლის აღმოჩენის შესახებ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს მონეტები დაფლული ან ეკლესიისათვის

შეწირული უნდა იყოს XVII საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისამდე, სანამ ამ ტიპის მონეტები საქართველოში მიმოიქცეოდა.

ცნობილია, რომ აღნიშნული პერიოდის შემდეგ, საქართველოს სამონეტო ბაზარს მთლიანად იკავებს სპარსული ყაიდის ვერცხლის ფული, რომელიც თბილისის ზარაფხანაში როსტომის მეფობის ხანაში (1632-1658 წწ.) იჭრებოდა.

ნუმიზმატი თინათინ ქუთელია წერს: „საყურადღებოა კოდავეთის განძის შემადგენლობაც – 18 პოლონური და 3 ბრანდენბურგ-პრუსიული მონეტა. ანალოგიური შემადგენლობისაა საქართველოში აღმოჩენილი კიდევ ორი განძი: ზესტაფონისა (30 პოლონური, 3 ბრანდენბურგ-პრუსიული მონეტა) და თბილისის (19 პოლონური და 3 ბრანდენბურგ-პრუსიული მონეტა) სამონეტო განძები... პოლონურ მონეტებთან ერთად განძებში მოხვედრილი ბრანდენბურგ-პრუსიული მონეტებიც ეკუთვნის მარკგრაფს და კურფიურსტს გეორგ-ვილჰელმს და ისინიც იმავე წლებშია მოჭრილი. ცნობილია, რომ გეორგ-ვილჰელმის მონეტები თვით პოლონეთშიც იყო მიმოქცევაში სიგიზმუნდ III-ის მეფობის დროს... ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ აღნიშნული მონეტები საქართველოში უნდა მოხვედრილიყო დროის ვინრო მონაკვეთში უშუალოდ პოლონეთიდან და, როგორც ჩანს, პოლონური ფული აქ შემოსულია შავი ზღვა-დნეპრის სავაჭრო გზით, რომლითაც სპარსული და შირვანული აბრეშუმი ევროპაში გადიოდა: თავრიზი-შემახა-თბილისი-ქუთაისი-ანაკლია-კაფუ(თეოდოსია-ოპოლი)-დნეპრი-კიევი-ვარშავის გავლით და რომელიც XVII საუკუნის 20-იან წლებში უფრო უხიფათო იყო, ვიდრე გზა ირანიდან ევროპაში თურქეთის გავლით... ამ გზამ საქართველოსათვის, კერძოდ კი ქართლის სამეფოსათვის, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა შაჰ აბასის მიერ 1614-1616 წლებში კახეთის აოხრების შემდეგ, როცა საქართველოს გადაეკეტა შირვან-დერბენდ-ასტრახანის სავაჭრო გზა. დნეპრის სავაჭრო გზის ფუნქციონირება შეწყდა უკრაინისათვის რუსეთ-პოლონეთის 1648-1654 წლების ომის შედეგად“ [ქუთელია 2008: 58-59].

რ. ქებულაძე მიუთითებდა: „სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ სიგიზმუნდ III-ის ორტები XVII საუკუნის საქართველოში ფრიად გავრცელებული იყო. ვინაიდან ამ დროს საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ყველაზე გავრცელებულ მონეტას წარმოადგენდა მაინც ირანული, რომლის სისტემა აბაზს ემყარებოდა, საქართველოში ორტის პოპულარობის ერთ-ერთ მიზეზად ფულის ამ ნიშნების წონითი თანაფარდობა უნდა მივიჩნიოთ... ამ გარემოებას დიდად უწყობდა ხელს საქართველოს და პოლონეთ-ლიტვის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში პოლონური მონეტების შემოტანა, როგორც ტალერული მონეტებისა, მკვეთრად შეწყდა და ამავე დროს ბაზარზე გამოჩნდა თბილისის ზარაფხანაში ირანულ ყაიდაზე მოჭრილი ფული. მაგრამ საქართველოში პოლონური მონეტების გაქრობა ყველაზე მეტად მაინც იმ პოლიტიკურ მოვლენებს უნდა დავუკავშიროთ, რომლებიც სწორედ ამ დროს ხდებოდა უკრაინაში; მათ მოშალეს და შემდეგ საერთოდ გაწყვიტეს პოლონეთსა და საქართველოს შორის დასახული ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა“ [ქებულაძე 2001: 185].

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლიტვა-პოლონეთის გავლით საქართველოში შემოდიოდა არა მხოლოდ მათი ფულის ნიშნები, არამედ სხვა ევროპული ქვეყნებისაც. სპეციალისტთა ვარაუდით, შესაძლებელია, რომ აღნიშნული გზით შემოვიდა XX საუკუნის მიწურულს დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი, 1629-1640 წლებში მოჭრილი შვედური სპილენძის მონეტებიც [ქებულაძე 2001: 186-187].

ამრიგად, XVII საუკუნის პირველ მესამედში ლიტვა-პოლონეთის სამეფოს ვერცხლის ფული საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. აღნიშნული სახელმწიფოს გავლით საქართველოში შემოდიოდა არა მხოლოდ მათი ფულის ნიშნები, არამედ სხვა ევროპული ქვეყნებისაც. საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ევროპული ქვეყნების მონეტების განძების შემადგენლობიდან ირკვევა, რომ ჩვენში მიმოქცევაში ყოფილა ლიტვა-პოლონეთის სამეფოში მოჭრილი ვერცხლის მცირე ნომინალები – „ორტები“ და „პოლტორაკები“. ეს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ, იმხანად, ქართულ სამეფო-სამთავროებს გარკვეული პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ ლიტვა-პოლონეთის სამეფოსთან [Джавахишвили 2010: 172-174].

4. უფლისწულ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის მოგზაურობა ლიფლანდიასა და კურლანდიაში (XVII საუკუნის მიწურული)

რუსეთის მეფემ (1682 წლიდან) და მომავალმა იმპერატორმა (1721 წლიდან) პეტრე I-მა (1672-1725) საარტილერიო საქმისა და და გემთმშენებლობის დასაუფლებლად 1697-1698 წლებში ევროპის ქვეყნებში იმოგზაურა. ეს მოგზაურობა ცნობილია, როგორც „დიდი ელჩობა“. ამ ელჩობის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული წიგნებში: „პეტრე დიდის მეფობის ისტორია“ [Устрялов 1851: 563-566], „პეტრე I. მასალები ბიოგრაფიისათვის“ [Богославский 1941: 36-37], „პეტრე დიდი“ [Павленко 1990: 59-92] და სხვა ნაშრომებში.

1697 წლის მარტის დასაწყისში „დიდი ელჩობა“ მოსკოვიდან გაემგზავრა. აღნიშნული მოგზაურობისას პეტრე I-ის ამალა 250 სხვადასხვა რანგის მოხელისაგან შედგებოდა. მათ შორის იყო 20 აზნაური და 35 ვოლონტერი – პრივილეგირებულ წოდებათა წარმომადგენელი (თავადები, გრაფები), რომლებიც დაყოფილნი იყვნენ ათეულებად [გონიკიშვილი 1986: 18].

რუსეთის მეფე მოგზაურობდა ფსევდონიმით – „პეტრე მიხაილოვი“ [Горгидзе 1976: 41; Павленко 1990: 60].

პეტრე I-ს თან ახლდნენ თავისი უახლოესი თანამოაზრენი, რომელთა შორისაც საპატიო ადგილი ეკავა ქართველ უფლისწულ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის (1674-1711). იგი იყო ქართული კულტურის მოღვაწე, მწერალი, მოსკოვის ქართული ახალშენის მეთაური [სიხარულიძე 1997: 99-100]. იმავდროულად, ის იყო ვაჟი და მემკვიდრე მეფე არჩილ II-ისა (1647-1713), რომელიც საქართველოს ცალკეულ სამეფოებში 1661-1696 წლებში მეფობდა. კერძოდ, არჩილ II იმერეთში მეფობდა: 1661-1663; 1678-1679; 1690-1691; 1695-1696 წლებში, ხოლო კახეთში – 1663-1675 წლებში.

„დიდი ელჩობისას“ რუსეთის მეფე ირიცხებოდა ვოლონტერების II ათეულში, ხოლო ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი – ვოლონტერთა III ათეულში [ტატიშვილი 1959: 202].

6. პავლენკო მიუთითებდა: „Отряд волонтеров первоначально насчитывал 30 человек, разделенных на три десятка с десятниками во главе. Позже в отряд вошли еще пять человек, среди них имеретинский царевич Александр Арчилович...

Волонтеры Александр и Гавриил Меншиковы, Александр Кикин, Федосей Скляев, царевич Александр Арчилович и некоторые другие позже стапут знаменитыми сподвижниками Петра" [Павленко 1990: 60-69].

ჯუანშერ ვათეიშვილის ნაშრომში ვკითხულობთ: „2 марта 1697 года из Москвы выехал передовой отряд, а через неделю - основной состав посольства: более 250 человек, включая свиту и обслугу (врачей, поваров, слуг, шутов). Посольству был придан отряд так называемых волонтеров в 35 человек, составленный из представителей различных слоев общества, связанных с придворными кругами. Его возглавлял командор князь А. М. Черкаский, подчиненными которого считались как сам царь, участвовавший в посольстве инкогнито в качестве одного из трех „десятников" - волонтеров под именем «бомбардира Петра Михайлова», так и двое из волонтеров, находившихся непосредственно при монархе. Ими являлись Александр Арчилович Багратиони и Александр Данилович Меншиков - в окружении Петра I, пожалуй, наиболее приближенные к нему люди.

Участие в российском „Великом посольстве" в Западную Европу Александра Арчиловича Багратиони и сопровождавших его в качестве свитских трех грузин (его слуг, их личности не установлены) являлось событием отнюдь не ординарным, скорее даже беспрецедентным с точки зрения не только истории русско-грузинских отношений, но и истории Грузии и грузино-западноевропейских связей...

Александр Арчилович являлся самостоятельным официальным участником российского посольства в Западную Европу, на которого... были возложены вполне определенные полномочия и обязанности в качестве высокопоставленного и деятельного члена этого посольства" [Ватеишвили 2003: 151-152].

ამდენად, როგორც ირკვევა, უფლისწულ ალექსანდრეს თან ახლდა 3 ქართველი პირადი მსახური.

22 მარტს „დიდი ელჩობა" ფსკოვში ჩავიდა. 25 მარტს ელჩობის მონაწილეებმა გადალახეს რუსეთ-შვედეთის საზღვარი. საზღვართან მათ დახვდათ და მოგზაურობის პერიოდში თან ახლდათ რიგის გენერალ-გუბერნატორ ერიკ დალბერგის წარმომადგენლები. აქვე დავსძენთ, რომ, იმხანად, ლიფლანდია, რიგის ჩათვლით, შვედეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

31 მარტს „დიდი ელჩობა" რიგაში ჩავიდა.

ნ. პავლენკო მოგვითხრობს: „При въезде в город посольству были предоставлены раскошные кареты; среди встречавших находились 36 представителей рижской корпорации `черноголовых" в парадных костюмах. Въезд послов в Ригу сопровождался пальбой из пушек и трубными звуками оркестра, в городе кортеж сопровождали до отведенных послам квартир отряды пехоты и бюргеры. Петр, похоже, был доволен встречей, что явствует из его письма А. А. Виниусу от 1 апреля 1697 г." [Павленко 1990: 64].

მდინარე დვინის ადიდების გამო, ელჩობა რიგაში ერთ კვირას შეყოვნდა.

შვედები გრძნობდნენ პეტრე I-ის დაინტერესებას ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონით, რის გამოც მათმა გენერალ-გუბერნატორმა „დიდი ელჩობის" ეიზიტი რიგაში არ მოიწონა. ყოველივე ამის გამო, აღნიშნულ ქალაქში მყოფ ელჩობის წევრებს საკმაოდ შეუფერებელი საცხოვრებელი გამოუყვეს და არ მისცეს შესაძლებლობა, რომ დაეთვალიერებინათ სიმაგრეები, თანაც ისინი მეთვალყურეობის ქვეშ მოაქციეს. მათ ქალაქში გადაადგილება შეზღუდული ჰქონდათ. როდესაც რუსეთის მეფემ მაინც დაიქირავა ნავი და ერთ-ერთ სიმაგრესთან მიახლოება სცადა, ის იარაღის მუქარით აიძულეს, რომ იქაურობას გასცლოდა. ამის თაობაზე პეტრე I-მა განაცხადა:

– „შვედები ნებას არ მაძლევენ დავათვალიერო რიგის სიმაგრეები, მაგრამ შევეცდები დავათვალიერო ისინი მათი ნებართვის გარეშე“ [გონიკიშვილი 1986: 19].

8 აპრილს „დიდმა ელჩობამ“ რიგა დატოვა. 14 აპრილს ელჩობის მონაწილენი ჩავიდნენ მიტავაში (თანამედროვე ელგავა), სადაც მათ შეეგებათ კურლანდიის ჰერცოგი ფრიდრიხ კაზიმირი. საპატიო სტუმრები ჰერცოგმა მიიპატიჟა თავის სასახლეში და დიდებულად უმასპინძლა. გზაში და შემდეგ, კურლანდიის სხვა ქალაქებში სტუმრობისას, ელჩობას დიდი პატივით – სამხედრო მუსიკითა და ქვემეხების ბათქით ხვდებოდნენ.

რიგის გუბერნატორისაგან განსხვავებით, კურლანდიის ჰერცოგმა პეტრე I-ს ნება დართო, რომ ენახა ყველაფერი, რაც კი მას აინტერესებდა. იგი ელჩობას თავად დაჰყვებოდა და თავის სამფლობელოს ათვალიერებინებდა. ელჩობამ კურლანდიაში ერთ კვირას დაჰყო.

ჯ. ვათეიშვილი მოგვითხრობს: „Посещением Риги Петр остался недоволен, ибо встретили его там холодно и недружелюбно. Несколько сгладил это неприятное впечатление у царя радушный прием, оказанный ему в Митаве – столице герцогства Курляндского, куда он прибыл 14 апреля. Достигнув морского берега, Петр 2 мая в сопровождении своих друзей отплывает на „Святом Георгий“ в Кёнигсберг и впервые видит Балтиийскос морс“ [Ватеишвили 2003: 164].

ნ. პაულენკო მიუთითებდა: „Гостеприимство в Митаве „Статейный список“ запечатлел так: „...во время бытности великих и полномочных послов в Митаве подчиваны великие и полномочные послы по вся дни от княжих приставов“.

Впрочем, Митава не могла похвастаться ни крепостью, ни мануфактурами, ни артиллерийским парком, ни учебными заведениями. Царь довольствовался визитом в местную аптеку, где ему показали заспиртованную саламандру. Тем не менее одну вещь он в Митаве приобрел, о чем известил „князя-кесаря“: „Здесь також ничего вашей персоне удобного не нашел, только посылаю к вашей милости некаторую вещь на отмщенье врагов маестату вашего“. „Вещью“, отправленной Ромодановскому, был топор, о чем можно судить из ответа „князя-кесаря“ царю: топор проверен в деле, им отрубили головы двум преступникам“ [Павленко 1990: 66].

22 აპრილს, პეტრე I, ვოლონტერებთან და 70 ჯარისკაცთან ერთად, ლიბავაში (ლიეპაია) გაეშურა. თანმხლებთა დანარჩენი ნაწილი მან დროებით მიტავაში დატოვა. ლიბავაში ჩასული პეტრე I მცირერიცხოვანი ამალით დაბინავდა სავაჭრო გემზე „წმ. გიორგი“, რომლითაც კენიგსბერგისაკენ გაემართა. ელჩობის სხვა მონაწილენი აღნიშნული ქალაქისაკენ ხმელეთით გაეშურნენ [გონიკიშვილი 1986: 19].

ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ ევროპის ქვეყნებში 1699 წლის მიწურულამდე დაჰყო. ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ქართველი უფლისწული საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა [მეგრელიძე 1979: 9]. ის სხვადასხვა დროს ცხოვრობდა პრუსიაში (კენიგსბერგი), ჰოლანდიასა (ჰააგა, უტრეხტი, ამსტერდამი) და დიდ ბრიტანეთში (ლონდონი, დეპტფორდი, ვულიჩი), სადაც სამხედრო ხელოვნებაში ცოდნას იმაღლებდა. იგი საარტილერიო საქმეს განსაკუთრებული მონდომებით ეუფლებოდა.

1700 წლის 19 მაისს ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი დაინიშნა რუსეთის არტილერიის პირველ სარდლად – გენერალ-ფელდცეიხმაისტერად [Хмыров 1866: 31-48].

იმავე წლის 19 ნოემბერს, ნარვასთან მომხდარ ბრძოლაში, რუსთა ჯარი სასტიკად დამარცხდა. მეორე დღეს, რუსეთის არმიის სხვა გენერლებთან (ი. დოლ-

გორუკი, ა. გოლოვინი, ი. ბუტურლინი, ა. ვეიდი, ი. ტრუბეცკოი და სხვ.) ერთად, შვედებმა ტყვედ გენერალ-ფელდცეიხმაისტერიც ჩაიგდეს.

პეტრე I შეეცადა, რომ თავისი უახლოესი მეგობარი დაუყოვნებლივ გამოეხსნა ტყვეობიდან. ქართველი უფლისწულის განთავისუფლების სანაცვლოდ შვედებმა მოითხოვეს ჯერ 10 კასრი ოქრო, ხოლო შემდეგ – რუსთა ტყვეობაში ჩავარდნილი 60 შვედის განთავისუფლება [Устрялов 1858: 445].

რუსეთის მეფემ სთხოვა ალექსანდრე ბაგრატიონს, რომ შვედების წინადადებასთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოეთქვა. ამის პასუხად, 1710 წლის 6 სექტემბერს პეტრე I-ისადმი გაგზავნილ წერილში ქართველი უფლისწული წერდა: „არამცთუ მითქვამს, აზრადაც კი არ მომსვლია, რომ სახელმწიფოს რაიმე ზარალი მიადგეს არათუ ჩემს გამო, არამედ იმათ გამოც, რომლებიც ჩემზე თუნდაც ათასჯერ უკეთესნი არიან. ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ მოვითმინოთ და სიცოცხლე შევწიროთ მეფესა და სახელმწიფოს ინტერესებს“ [Устрялов 1858: 64].

ათწლიანმა ტყვეობამ ალექსანდრე ბაგრატიონის ჯანმრთელობას წარუშლელი დაღი დაასვა. 1711 წლის 3 თებერვალს, როდესაც იგი ტყვეობიდან განთავისუფლებული რუსეთში ბრუნდებოდა, გზად პიტეოს ნახევარკუნძულზე გარდაიცვალა. 37 წლის ასაკში მან სული დალია ქართველი ბერის – პანკრატის (ერისკაცობაში – ბაგრატ სოლოლაშვილი) ხელებში [Ватеишвили 2003: 516-517].

ქართველი უფლისწულის ნეშტი მოსკოვში გადაასვენეს და დონის მონასტერში დაკრძალეს [გონიკიშვილი 1986: 37-38].

ამრიგად, ქართველი მეფის, არჩილ II-ის ვაჟი და ტახტის მემკვიდრე უფლისწული ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი (1697-1711) 1697 წლის 31 მარტიდან – 22 აპრილამდე იმყოფებოდა ლიფლანდიისა და კურლანდიის ტერიტორიაზე. საგულისხმოა, რომ ის იყო ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ჩვენთვის ცნობილი პირველი წარმომადგენელი, რომელიც ბალტიისპირეთს ეწვია [ჯავახიშვილი 2010, № 7: 238-242].

5. უფლისწულების – ათანასე ლევანის ძე და გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონების საბრძოლო გზა კურლანდიაში (1747-1748 წწ.)

1724 წლისათვის, საქართველოში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური ვითარების გამო, ქართლის მეფე ვახტანგ VI (1675-1737) თავისი მრავალრიცხოვანი (1200-კაციანი) ამალით რუსეთში გადაიხვენა.

საიმპერიო ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად უზრუნველყო ქართული სამეფო ამალის წევრები, რომელთა უმრავლესობა რუსეთში დარჩა და იქ მოღვაწეობდა. ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს 1727 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც დაცულია სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის სახელმწიფო საისტორიო არქივში [РГИА, ф. 796, оп. 8, ед. хр. № 112: 1-11].

საქართველოდან რუსეთში გადასახლებულ ქართველთა შორის იყვნენ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ქართლის შტოს წარმომადგენლები, უფლისწულები ადარნასე (ათანასე) ლევანის ძე (1707-1784) და გიორგი ვახტანგის ძე (1712-1786).

მოსკოვის ობერ-კომენდანტი, გენერალ-პორუჩიკი (1764 წლიდან) ათანასე ლევანის ძე ბაგრატიონი იყო უმცროსი ძმა ვახტანგ VI-ისა, ხოლო გენერალ-ანშეფი გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონი – ხსენებული მონარქის უმცროსი ვაჟი.

XVIII საუკუნის ოციანი წლებიდან, ზემოხსენებული უფლისწულები, ისევე როგორც ქართლის სამეფო ამალის წევრთა უმეტესობა, რუსეთის სამხედრო კამპანიებში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ [Джавахишвили 2003, I: 49-50].

გიორგი ბაგრატიონი მონაწილეობდა რუსეთ-შვედეთის ომში (1741-1743), საიდანაც მისი დაბრუნების შესახებ იმდროინდელი პრესა იუწყებოდა: „В Санкт-Петербурге. 4 октября. Грузинский царевич Георгий возвратился по счастливом окончании кампаніи в Финляндіи. Он был на флоте" [„Санкт-Петербургские ведомости" 1742].

ნ. შპილევსკი მიუთითებდა, რომ გიორგი ბაგრატიონი, რომელიც იმხანად რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-მაიორი იყო, ხელმძღვანელობდა გალერებიდან გადმომსხდარ გრენადერებს და მუშკეტერებს [Шпилевский 1859: 203].

1747-1748 წლებში უფლისწულები – ათანასე და გიორგი ბაგრატიონები რაინის ლაშქრობაში მონაწილეობდნენ. გიორგი ბაგრატიონს დაეკისრა ორგანიზება საგალერო ფლოტისა, რომელსაც კრონშტადტიდან მიტავაში დესანტი უნდა გადაესხა [Горгидзе 1976: 85-86].

ამრიგად, 1747-1748 წლებში კურლანდიის ტერიტორიაზე იბრძოდნენ უფლისწულები – ადარნასე (ათანასე) ლევანის ძე (1707-1784) და გიორგი ვახტანგის ძე (1712-1786) ბაგრატიონები [ჯავახიშვილი 2010, № 7: 242-243].

6. უფლისწულ პაატა ვახტანგის ძე ბაგრატიონის მოგზაურობა ბალტიისპირეთში (1749 წ.)

ვახტანგ VI-ის უმცროსმა ვაჟმა – პაატამ (1720-1765) რუსეთში საარტილერიო და საფორტიფიკაციო საქმე შეისწავლა.

მამის გარდაცვალების (1737) შემდეგ, უფლისწული დიდ ფინანსურ გასაჭირში ჩავარდა.

1745 წლის მაისში პაატამ რუსეთის იმპერატრიცა ანა იოანეს ასულს სთხოვა, რომ შესაფერის სამსახურში აეყვანათ, ანდა საქართველოში გამგზავრების ნებართვა მიეცათ. ამის პარალელურად, მან ითხოვა თანხა ვალების გასასტუმრებლად.

იმპერიის ხელისუფალნი შიშობდნენ, რომ საქართველოში დაბრუნებული უფლისწული სპარსეთის სამსახურში არ ჩამდგარიყო და თავისი სამხედრო განათლება იქ არ გამოეყენებინა. ამის გამო, მათ პაატას შესთავაზეს ქვეით პოლკში ჩარიცხვა პოდპოლკოვნიკის წოდებით და ფულადი დახმარება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ვალის მხოლოდ მცირე ნაწილის გასტუმრება.

ამ შეთავაზებით უკმაყოფილო უფლისწულმა გადაწყვიტა, რომ რუსეთი საიდუმლოდ დაეტოვებინა. 1749 წლის 22 იანვარს იგი ქართველი აზნაურის, ვასილ ეგოროვის პასპორტით ეწვია ჯერ რიგას, ხოლო შემდეგ მიტავას (ელგავა), საიდანაც მემელში ჩავიდა [Пирцхалайшвили 1970: 71-77].

იმავე წლის 5 მაისს რუსეთის იმპერიის სენატში ქართველი უფლისწულის საქმე განიხილეს. იმ დღეს შედგენილი დოკუმენტის სახელწოდებაა: „Протокол собрания правительствующего Сената об отказе в отпуске на родину грузинского царевича

Пааты, о принятии на службу подполковником, а также о тайном отъезде его с подложным паспортом в Мемель". მასში ნათქვამი იყო: „Царевич Паата подлежным паспортом, под именем грузинского дворянина Егорова, с одним человеком приехал в Ригу из Петербурга и объявя об себе, отпросился до Митавы, откуда тайно в Мемель приехал" [Сенатский архив 1895: 519-520].

აღნიშნული პროტოკოლის სრული ტექსტი წინამდებარე ნაშრომს თან ერთვის (იხ.: დანართი № 1).

10 მაისს რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პრუსიის მთავრობისაგან მოეთხოვა გაქცეული უფლისწულის გადმოცემა [Сенатский архив 1895: 531].

მემელიდან კენიგსბერგში ჩასულმა პაატამ პრუსიის მონარქ ფრიდრიხ II-ს სთხოვა ქვეშევრდომობაში მიღება და სამხედრო სამსახურში ჩარიცხვა, რასაც შედეგი არ მოჰყვა.

როგორც ჩანს, რუსეთიდან გაქცეული ქართველი უფლისწულისათვის თავშესაფრის მიცემას პრუსიის ხელისუფლება მოერიდა [ჯავახიშვილი 2010, 12: 192].

ამის გამო, უფლისწული პაატა, ევროპის სხვა ქვეყნებისა და კონსტანტინოპოლის გავლით, მოგვიანებით (1752 წ.) საქართველოში დაბრუნდა [ხანთაძე 1984: 629].

მისი მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: სანკტ-პეტერბურგი – რიგა – მიტავა – მემელი – კენიგსბერგი – ვარშავა – კამენეცი – ბუქარესტი – კონსტანტინოპოლი – ერზურუმი – თბილისი [Пирцхалайшвили 1970: 79].

ამრიგად, 1749 წლის დასაწყისში ბალტიისპირეთში იმოგზაურა უფლისწულმა პაატა ვახტანგის ძე ბაგრატიონმა (1720-1765) [ჯავახიშვილი 2010, № 7: 243-244].

7. ბალტიისპირეთის რეგიონები და ქალაქები XVIII საუკუნის ქართულ წყაროებში

ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე არსებული რეგიონები და ქალაქები ხშირად იხსენიება XVIII საუკუნის ქართულ წყაროებში.

საქართველოში ასტრონომიულ-მათემატიკური ცოდნის აღორძინების მიზნით, ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ სპარსულიდან ქართულად თარგმნა სამარყანდის სულთნის, ცნობილი მეცნიერის – ულუღ-ბეგის (1394-1449) თხზულება „ულუღ-ბეგის ზიჯი". როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, ეს მოხდა 1714-1719 წლებში, როდესაც ქართლის მეფე სპარსეთში იმყოფებოდა.

იმავდროულად, მეფემ შეადგინა სათანადო ტერმინთა სიტყვანი და ცხრილები. არსებობს ამ თარგმანის რამდენიმე ნუსხა [სიხარულიძე 1991: 253-254].

ხსენებული თხზულების თარგმანს ვახტანგ VI-მ დაურთო სია მსოფლიოს ქალაქებისა, შესაბამისი გეოგრაფიული კოორდინატებით. ამის განსაზღვრის წესებთან ერთად, მეფემ ჩვენს ლიტერატურაში პირველმა შემოიტანა მსოფლიოს ქალაქებისა და დასახელებული პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატების ნუსხა, რომელსაც იყენებდა ულუღ-ბეგი და მის მიერ შექმნილი მეცნიერული სკოლა.

მოგვიანებით, „ზიჯის" თბილისურ ნუსხას ვახტანგ VI-მ დაურთო ახალი სია, რომელიც მან ევროპული თხზულებებიდან თარგმნა [ჩაგუნავა 1986: 310-317]. ამ

ნუსხაში იხსენიება ბალტიისპირეთის ქალაქები: „ვილნა“; „ნარვა – ლივონიასი“; „რეველი – ლივონიასი“; „რიღა – ლიტვანიასი“ და სხვ. [ხეც S-161: 266-274].

ვახტანგ VI მიუთითებდა, რომ ხსენებული ცნობები მან თარგმნა „ბერძენთა და ფრანგთაგან შეტყობა სიგრძისა და განისა გამორჩეული ქალაქებსა და ჭალაკებსა (იგულისხმება კუნძულები. ნ. ჯ.), ვითარცა მოგვეცა ჩვენ და ვპოვეთ პირველთა ფილასოფოსთაგან, რომელთა ქვეყანა აღწერეს“ [ხეც S-161: 260].

ქართლის მეფის, მისი ოჯახისა და მრავალრიცხოვანი ამალის რუსეთში გადასახლების (1724) შემდეგ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მოსკოვში დამკვიდრდა. ამ ქალაქში მოღვაწე ქართველები ზრუნავდნენ ზემოხსენებული ნაწარმოების ქართული თარგმანის გამდიდრებაზე, მისი მოხმარების გამარტივებაზე. ტექსტის გასავრცობად მათ უსარგებლიათ ევროპული და რუსული წყაროებით. ამ მხრივ აღსანიშნავია ქალაქების სიები, რომელშიც დასახელებულ ქალაქებს განსაზღვრება მიწერილი აქვთ რუსულად, – ქართული ტრანსკრიფციით, თუმცა მათ სათანადო გეოგრაფიული კოორდინატები არ ერთვის. მათ შორის გვხვდება ბალტიისპირეთის რეგიონში მდებარე ქალაქებიც, კერძოდ, „ვილნა – ილისტრისკაია“ და „რიღა – ილიპოლსკაია“ [სიხარულიძე 1991: 255-256].

ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და, მათ შორის, ძირითადად, ლიტვის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მწერლისა და მთარგმნელის, ვახტანგ VI-ის ამალის წევრის, თავად გაბრიელ გელოვანის მიერ 1737 წელს რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილ სახელმძღვანელოში. ამ თარგმანის ხელნაწერის მთარგმნელისეული სათაურია: „ღეოღრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმგურგლისათვის აღწერა, პირველ ლათინთა ენისაგან რუსულად თარგმნილი, ხოლო ან მეორედ რუსულთა ენისაგან ქართულთა ენასა ზედა თარგმნილი გაბრიელ გელოვანის მიერ სამეუფოსა ქალაქს მოსკოვს“.

ეს იყო მსოფლიოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს პირველი თარგმანი ქართულ ენაზე, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველთა შორის გეოგრაფიული ცოდნის გავრცელებას. იმდროინდელ საქართველოში ამგვარ სახელმძღვანელოზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა.ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ 1793 წელს ეს თარგმანი გადაწერეს თელავის სემინარიის რექტორის – დავითის რედაქციით [მარუაშვილი 1954: 25].

ნაშრომი დაყოფილია 31 თავად, რომელთაგან მეათეს ეწოდება – „სამეფოთა-თვის ლიტოვისათა“. მასში მოკლედ არის დახასიათებული ლიტვის სახელმწიფოს მდებარეობა; აღნიშნულია, თუ რომელი ქვეყნები ესაზღვრებოდა მას. იქვეა მოკლე ინფორმაციები ლიტვის ისტორიული წარსულის, მოსახლეობის რელიგიური აღმსარებლობის, არისტოკრატიის, ასევე, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

თხზულებაში ვკითხულობთ: „საომრად შემოკრებითა ერთობით შეუძლიათ შეკრება ცხენოსნისა ორმოცისა, გინა ორმოცდაათის ათასის კაცის ჯარისა. გამორჩეულისა მასთან ქვეითოსანისა – რვა, გინა ათის ათასის კაცისა...

ძველსა წელსა შინა ერთა ამათ აქვნდათ ომი დიდი: პრუსთა, ნემეცთა, ურუმთა, თათართა, ვენგერთა, ვლახთა შორის, უმეტესცა დიდთა ბატონთა მოსკოვისათა. და ესე ომები მათ შორის აღმოიწყება... ღელვათან აზნაურთა მათგან, რომელნიცა არიან ესრეთ აღვირაღუსხმელ დადგინებაშიდ. ზოგჯერ თავს ბატონებზეც არ შეივდებენ (იგულისხმება „ერიდებიან“. ნ. ჯ.) მახვილისა აღებასა... და ახლა მახლობელ სამეოცისა წლისა დაუცხრომელსა ომსა შინა გარემოსა თვისთა

მეზობელთა შორის არიან და ამისგანცა დიადის სიმძიმისაგან მებატონეთა თვისთაგან ერთობით ხალხნი მათნი მიიწვევენ სიღარიბეში და დავრდომილებასა შინა. თავისის ხაზინით დიდის ჯარის შენახვას ვერ შემძლე არიან. ამისათვის შემოსავალი სკარბა მეფეთა მიერ და ლიტვისაცა ორივ ერთობით წელიწადში ძლივ სამას მილიონს მიანევს რუბლისას...

ლიტოველნი სარწმუნოებით არიან ეკლესიისა დასავლეთისანი და მართლმადიდებელნი და აღმოსავლეთისანიცა" [ხეც S-1131: 67-69].

ბალტიისპირეთის შესახებ ასევე მნიშვნელოვანი ცნობები დაცულია ვახტანგ VI-ის ვაჟის, გამოჩენილი გეოგრაფის, ისტორიკოსისა და კარტოგრაფის, ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1756) თხზულებაში.

1752 წელს ვახუშტიმ რუსულიდან თარგმნა „მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია" 27-რუკიან მსოფლიო ატლასთან ერთად, რომელზედაც გამოსახულია იმ დროს ცნობილი ყველა ქვეყანა. ეს თხზულება უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც გეოგრაფიული, ასევე საისტორიო თვალსაზრისით. ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ გეოგრაფიას თელავის სემინარიაში [ბარამიძე 1979: 339].

ამ თხზულების ხელნაწერი, რომელსაც თან ერთვის ვახუშტი ბატონიშვილის ხელით შედგენილი რუკები, დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში [A-717].

ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერში სხვადასხვა ადგილას იხსენიება: „ბალთიური ზღვა (მარე ბალთიკუმე)", რეგიონები „კურლანდია" და „ლიფლანდია", ქალაქები „მითავა", „რიგა", „ვილნა" [ხეც A-717: 7-8] და სხვა.

თხზულებას დართულ რუკებს შორის განსაკუთრებით საგულისხმოა ევროპის მთლიანი რუკა [ხეც A-717: 8] და ბალტიისპირეთის რუკა [ხეც A-717: 89].

ხსენებულ რუკებზე კურლანდია გამოყოფილია პოლონეთისაგან (ტექსტში – „პოლშა"), რომელიც თავის მხრივ მოიცავს ლიტვას ვილნიუსის („ტექსტში – „ვილნა") ჩათვლით. კურლანდია და პოლონეთი (ლიტვის ჩათვლით) შეფერილია განსხვავებული ფერის საღებავებით.

თხზულებაში გამოყოფილია თავი XI – „სამეფოებთათვის პლურთა და პრუსიელთა, ეგრეთვე დიდისა სამთაეროსა ლიტვისათჳს და საღერცოლოსა კურლანდიურისათჳს" [ხეც A-717: 90].

ვილნას (ანუ ვილნიუსის) შესახებ ვახუშტი მიუთითებდა, რომ იგი იყო: „დიდი სახლებითა საკმარათ აშენებული და დიდებული ქალაქი დაფუძნებული მეფის სთეფანისაგან 1579 წელსა" [ხეც A-717: 92].

ზემოხსენებულ თავში გამოყოფილია ქვეთავი – „კურლანდიურის საღერცოლოსათვის", რომელშიც ვახუშტი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმდროინდელი კურლანდიის საზღვრებისა და მისი დასახლებული პუნქტების შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ კურლანდიას ესაზღვრება ბალტიის ზღვა, ლიფლანდია, ლიტვა და სხვ. იქვე დასახელებულია ქალაქები: „მითავა" (იგულისხმება თანამედროვე ელგავა), „ლიბავა" (იგულისხმება თანამედროვე „ლიეპაია"), „გლიდიგა" (იგულისხმება „კულდიგა") და სხვა.

ვახუშტის შენიშვნით, თუმცა კურლანდიასა და ლიფლანდიაში ერთმანეთის მონათესავე ხალხები ცხოვრობენ, მაგრამ მათ ერთიანი მმართველი არ ჰყავთ. იგი წერს: „ესე ქვეყანა უფალმა უწინ ამისა ეგრეთს დიდებასაშა, რომ მას არა გარნა ცალკერძი თჳსი მეფე ჰყვა და მის სავემრთ სახელსა ქვეშეცა კურლანდიისასა და ლიფლანდიისაცა დაიპყრობდა" [ხეც A-717: 93].

საყურადღებოა, რომ ქართველი მეცნიერი არ ფარავს თავის გულისტკივილს ლატვიის ცალკეული მხარეების – კურლანდიისა და ლიფლანდიის პოლიტიკური

დაქსაქსულობის გამო. ვფიქრობთ, ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმხანად საქართველოს ტერიტორიაზეც რამდენიმე დამოუკიდებელი სამეფო და სამთავრო არსებობდა [Javakhishvili 2010: 152-153].

ვახუშტისავე შენიშვნით, მიტავა არის „უუთავანესი ადგილი და ჩვეულების ტახტი მფლობელის ღერცოლისა. ესე ქალაქი გინა თუ საშუალების სიდიდისა, გარნა უმჯობესათ აშენებულ არს და აქუს გამაგრებული ციხე არშისა, აწ იწყეს ახლად შენება“ [ხეც A-717: 94].

ვახტანგ VI-ის შვილიშვილმა, ანუ ვახუშტი ბაგრატიონის ძმისწულმა – უფლისწულმა ლეონ (ლევან) ბაქარის ძე ბაგრატიონმა (1728-1763) სრულიად ახალგაზრდა ასაკში მიზნად დაისახა მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა ქართულ ენაზე. ამ მიზნით, 1754 წელს, ჯერ კიდევ თავისი სახელოვანი ბიძის – ვახუშტი ბატონიშვილის სიცოცხლეში იგი შეუდგა ქართულად თარგმნას ევროპული საისტორიო თხზულებებისა, რომლებიც შექმნილი იყო ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ქართველი უფლისწულის მიერ შედგენილ ნაშრომში „მსოფლიო ისტორია“, სხვა ქვეყნებთან ერთად, მიმოხილულია ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფოებიც.

გვარდიის მაიორი ლ. ბაგრატიონი 35 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას თავისი ვრცელი ნაშრომი დაუსრულებელი დარჩა [სიხარულიძე 1991: 213-214].

ბაგრატიონთა დინასტიის გამოჩენილ წარმომადგენელთა მიერ ზემოხსენებულ თხზულებათა შექმნა ნათელს ხდის, რომ სამშობლოდან იძულებით გადახვენილი ქართული ინტელექტუალური ელიტა ცდილობდა მსოფლიო ისტორიისა და პოლიტიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოების შექმნას მშობლიურ ენაზე.

ამრიგად, XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის ქართველი ერის მოწინავე ნაწილს საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე იმხანად არსებული რეგიონებისა და მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების, ასევე, მათი მართვა-გამგეობის სისტემის შესახებ [ჯავახიშვილი 2009, № 6: 41-43].

8. ქართველ ჰუსართა პოლკის საბრძოლო გზა ბალტიისპირეთში (XVIII საუკუნის 50-იანი წლები)

გამოჩენილი ქართველი პოეტი, თავადი დავით გიორგის ძე გურამიშვილი (1705-1792), რომელიც 1729 წლიდან რუსეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, დაახლოებული იყო ქართლის მეფე ვახტანგ VI-სთან და მის გარემოცვასთან.

ვახტანგ VI-ის გარდაცვალების (1737) შემდეგ, საქართველოში დაბრუნების იმედგადაწურული ქართველი ემიგრანტები და მათ შორის დ. გურამიშვილიც იძულებულნი გახდნენ, რომ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა მიეღოთ.

1738 წლის 8 ივნისს, რუსეთის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა სენატის მიერ წარდგენილი პროექტი „ქართული ჰუსართა ასეულის“ შექმნის შესახებ.

1741 წლიდან აღნიშნული ასეული გარდაიქმნა „ქართულ ჰუსართა პოლკად“, რომლის შემადგენლობაშიც 500-მდე ქართველი ირიცხებოდა.

„ქართული ჰუსართა პოლკი“, რომელსაც პოლკოვნიკი (შემდგომ – გენერალ-ლეიტენანტი), თავადი ელისე (ედიშერ) პაატას ძე ამილახვარი მეთაურობდა, მონაწილეობდა რუსეთ-პრუსიის ომში (1756-1762).

იმ პერიოდში დავით გურამიშვილი პოდპორუჩიკი იყო.

1757 წლის 18 ივნისს „ქართულ ჰუსართა პოლკმა“, რუსეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების სხვა სამხედრო შენაერთებთან ერთად გადალახა მდინარეები ვილი და ნემანი. ისინი დაბანაკდნენ ჯერ ქალაქ კოვნოში (კაუნასი), ხოლო შემდეგ – შადოვში. ამის შემდეგ მათ აიღეს: ბენზაგოლი, კროკენა, რუდზიუნა და ოლიტა. 25 ივნისს მათ დაიკავეს მემელი, ხოლო მომდევნო დღეს – გუმბინი. 27 ივნისს მათ პიჩკენის ტყესთან სძლიეს პრუსიელებს.

აღნიშნულ ბრძოლებში მონაწილეობდა დ. გურამიშვილიც [ყუბანეიშვილი 1955: 41-89], რომელსაც მოგვიანებით (1760 წლის 1 ივნისს) პორუჩიკის სამხედრო წოდება მიენიჭა [Думин 1998: 144].

ამრიგად, რუსეთ-პრუსიის შვიდწლიან ომში (1756-1762) რუსეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი „ქართული ჰუსართა პოლკი“ 1757 წლის ივნისში ბალტიისპირეთის, კერძოდ, ლიტვის ტერიტორიაზე იბრძოდა. მათ შორის იყო გამოჩენილი ქართველი პოეტი, თავადი დავით გურამიშვილი (1705-1792) [ჯავახიშვილი 2010, № 7: 244-245].

9. საქართველო იოჰან ანტონ გიულდენშტედტის თვალით (1771-1772 წწ.)

იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781) მიეკუთვნება იმ უცხოელ მოგზაურთა მრავალრიცხოვან ჯგუფს, რომელმაც სხვადასხვა დროს იმოგზაურა და აღწერა კავკასია და, მათ შორის, საქართველოც.

ცნობილი მეცნიერი და მოგზაური, რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი დაიბადა და აღიზარდა რიგაში, ადგილობრივი გერმანელის ოჯახში. დაამთავრა რიგის ლიცეუმი და ბერლინის სამედიცინო-ქირურგიული კოლეჯი. 1767 წელს ოდერის ფრანკფურტის უნივერსიტეტში მიენიჭა დოქტორის ხარისხი.

1768 წელს, რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიამ გიულდენშტედტი სანკტ-პეტერბურგში მიიწვია. მას შესთავაზეს, რომ მონაწილეობა მიეღო მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაგეგმილ ექსპედიციაში, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის ევროპული ნაწილის, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქების, ციმბირისა და ასევე კავკასიის შესწავლას.

გიულდენშტედტის საექსპედიციო ჯგუფს მიზნად დაუსახეს, რომ მათ სხვადასხვა თვალსაზრისით შეესწავლათ კავკასიის რეგიონის ის ნაწილები, რომლებშიც რუსეთის სახელმწიფო საფუძვლიან დაზვერვით სამუშაოებს ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებიდან აწარმოებდა.

1770-1774 წლებში აღნიშნული საექსპედიციო ჯგუფი, რომელიც შვიდი ნევრისაგან შედგებოდა, ჩრდილო კავკასიასა და საქართველოში იმყოფებოდა. მათ საქართველოში წელიწადზე მეტხანს, კერძოდ, 1771 წლის სექტემბრიდან – 1772 წლის ნოემბრამდე დაჰყვეს. ამ ჯგუფის წევრებს ქართველები ძალიან კარგად ეპყრობოდნენ და მაქსიმალურად ეხმარებოდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში ყოფნისას მათ მფარველობდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798), ხოლო დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას – იმერეთის მეფე სოლომონ I (1735-1784). ასე რომ, საექსპედიციო ჯგუფს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი, რათა

განეხორციელებინა თავისი გეგმები – დაკვირვებით, საფუძვლიანად შეესწავლა საქართველო.

გიულდენშტედტის სამოგზაურო ჩანაწერები მისი გარდაცვალების შემდეგ, 1787-1791 წლებში, სანკტ-პეტერბურგში ორ ტომად გამოიცა სახელწოდებით: „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში". მოგვიანებით, იგი ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა [გელაშვილი 1962-1964].

სპეციალისტთა შეფასებით, აღნიშნული წიგნი წარმოადგენს კაპიტალურ ნაშრომს, რომლის მსგავსი მანამდე არც რუსულ და დასავლეთ-ევროპულ კავკასიოლოგიურ ლიტერატურაში არ ყოფილა [Полиевктов 1935: 125].

ნაშრომში მრავალი საყურადღებო ცნობაა დაცული საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის შესახებ, მათ შორის ყველაზე დიდი ადგილი ამ მხარეთა გეოგრაფიულ და მინერალოგიურ აღწერას უჭირავს. კუთხეებისა და პუნქტების დასახელებისას ავტორმა ისინი ისტორიულადაც მიმოიხილა, აღწერა არქიტექტურული ძეგლები, წარმოადგინა ფოლკლორული მასალა, დაწვრილებით შეეხო ადგილობრივ ფლორას და ფაუნას. მის მიერ ზედმიწევნით ზუსტად შედგენილ საქართველოს რუკას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება (ვახუშტი ბატონიშვილის რუკასთან ერთად). ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-დამუშავებას. ასევე საგულისხმოა, რომ ავტორმა პირველმა ჩაატარა თბილისის გოგირდოვანი წყლების ქიმიური ანალიზი.

გიულდენშტედტმა მოგვაწოდა საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები საქართველოს მეფე-მთავართა და მოხელეთა, სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური მდგომარეობის, სახელმწიფო წყობილების, სოციალური ურთიერთობის, სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი სარენების, ვაჭრობა-ხელოსნობის, ბაზრებისა და ფასების, მიმოქცევაში არსებული ფულადი ნიშნების, ზომა-წონის ერთეულების, სწავლა-განათლების და კანონმდებლობის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია ნაშრომში თავმოყრილი ეთნოგრაფიული ცნობები, ლექსიკური მასალა და კავკასიაში გავრცელებულ ენათა შედარებითი სიტყვის კონები. ავტორმა ეს ენები ექვს ჯგუფად დაყო და პირველმა წამოაყენა ცალკეული ჯგუფის წევრთა შორის ნათესაური კავშირის საკითხი [გელაშვილი 1978: 172].

თავის ნაშრომში გიულდენშტედტი დიდი პატივისცემით იხსენიებს იმდროინდელ ქართველ მეფეებს, რომლებიც უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ.

მეცნიერი წერს, რომ ერეკლე II-მ „გამოთქვა დიდი კმაყოფილება ჩემი მოსვლის გამო და დამპირდა ყოველგვარ დახმარებას, რაც კი დასჭირდებოდა ჩემს ექსპედიციას. ეს დაპირება მე ამომწურავად გამოვიყენე... მისი მეფური უმაღლესობა მე ყოველდღიურად მიწევდა აქ მფარველობას, ზრუნავდა და ხელს უწყობდა ყველა ჩემი გეგმის განხორციელებას. სამეფო კარი და დიდებულები იჩენდნენ მეტად სანაქებო მზადყოფნას – დამხმარებოდნენ მე" [გელაშვილი 1962: 5-7].

მეცნიერის შეფასებით, ერეკლე II-მ, „სხვადასხვა უბედური შემთხვევისა და გაჭირვების მიუხედავად, თავისი მმართველობის დროს, მან არათუ სამფლობელო და არც ერთი პროვინცია არ დაკარგა, არამედ ხელიდან გაუშვებლად, თუმცა ხანდახან საკმაო გაჭირვებით, შეინარჩუნა ტახტი" [გელაშვილი 1962: 201].

სოლომონ I-ის შესახებ მეცნიერი აღნიშნავს: „მე მქონდა პატივი, მიმეღო ის თავისი ვაჟითა და ნიკორწმინდის ეპისკოპოსით, მათთან მყოფი თავადებით, ჩემს კარავში. ის მე გერმანული გულწრფელობითა და ნამდვილი სიხარულით გადა-

მეხვია. საუბარში, რომელიც თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, ის უდიდეს მზადყოფნას ამჟღავნებდა, ხელი შეეწყო თავის ქვეყანაში ჩემი სამოგზაურო გეგმების განხორციელებისათვის" [გელაშვილი 1962: 115].

საგულისხმოა, რომ თავისი სამშობლო – ლიფლანდია გიულდენშტედტს საქართველოში ყოფნისასაც არ ავიწყდებოდა და აღნიშნულ ქვეყნებს შორის არსებულ მსგავსებას უმალ ამჩნევდა, რაც მისი სამოგზაურო ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს.

კერძოდ, აღნიშნული ტექსტის ერთ ადგილას, მეცნიერი შენიშნავს, რომ იმერეთის სამეფოს ერთ-ერთ მხარეში, ოკრიბაში, „რამდენიმე წლის თესვის შემდეგ, მიწას ასვენებენ, რათა ეს ადგილი კვლავ ბუჩქნარით დაიფაროს... მიწის ასეთი დამუშავება მოგვაგონებს ლიფლანდიურ ყამირს... მსგავს მეურნეობას ეწევიან ლიფლანდიაში. იქ გლეხი აგრეთვე, აქაურის მსგავსად, ცალკე ოჯახებად განცალკევებული ცხოვრობს" [გელაშვილი 1962: 297-299].

ამრიგად, რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიის საექსპედიციო ჯგუფის შემადგენლობაში, 1771-1772 წლებში საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა მეცნიერმა და მოგზაურმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა, რომელიც წარმოშობით რიგიდან იყო. მისი სამოგზაურო ჩანაწერები, რომელიც მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა სახელწოდებით: „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში", წარმოადგენს კაპიტალურ ნაშრომს, რომლის მსგავსი მანამდე არც რუსულ და არც დასავლეთევროპულ კავკასიოლოგიურ ლიტერატურაში არ ყოფილა. გიულდენშტედტი სიმპათიას ამჟღავნებდა როგორც იმდროინდელი ქართველი მონარქების, კერძოდ, ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ისადმი, ასევე, საერთოდ, ქართველი ხალხის მიმართ.

თავი II

ქართულ-გალტიური ურთიერთობა XVIII საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე

1. ბალტიისპირეთი უკანასკნელი ქართველი მეფის – გრიგოლ I-ის თვალით (1813 წ.)

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიამ თანდათან დაიპყრო საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სამეფო-სამთავროები, ხოლო ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მრავალი წარმომადგენელი სანკტ-პეტერბურგში გადაასახლა.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამას მოჰყვა სახალხო ამბოხება კახეთში (1802), ხოლო შემდეგ აჯანყება მთიულეთში (1804), რომელიც რუსეთის ადმინისტრაციამ სისხლში ჩაახშო.

იმპერატორის მმართველობის ქვეშ იძულებით მოქცეული ქართველი ერის ჯანსაღ ნაწილს კვლავ ბაგრატიონების გამეფება სურდა. ამ გვარის სახით ქართველობას ეროვნული სახელმწიფოებრიობის ცოცხალი სიმბოლო ეგულებოდა.

რუსეთის საიმპერიო ადმინისტრაცია საქართველოში ისე იქცეოდა, როგორც დამპყრობელი დაპყრობილ ქვეყანაში. ამის გამო, ქართველი ერის უკმაყოფილება თანდათან მატულობდა და სახალხო აჯანყებისათვის ნიადაგი მზადდებოდა.

1812 წლის 31 იანვრიდან აღმოსავლეთ საქართველოში ახალმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა. მასში დანყებისთანავე ჩაება ქართლ-კახეთის სამეფო სახლის საქართველოში შემორჩენილი ერთადერთი წევრი – 23 წლის უფლისწული გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (1789-1830). იგი იყო შვილთაშვილი მეფე ერეკლე II-ისა (მეფობდა 1744-1798 წლებში), შვილიშვილი მეფე გიორგი XII-ისა (მეფობდა 1798-1800 წლებში) და ვაჟი უფლისწულ იოანესი (1768-1830).

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ასპარეზზე ქართველი უფლისწულის გამოჩენა აჯანყებულთათვის უდიდეს სტიმულად იქცა. მათ გრიგოლი თავიანთ წინამძღოლად მიიღეს და ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადეს. იგი აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში 1812 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან – მარტის დასაწყისამდე მეფობდა. ეკლესია-მონასტრებში მის, როგორც ქართლ-კახეთის მეფის, სახელზე წირვა-ლოცვას აღავლენდნენ [ჯავახიშვილი 2008: 23-53].

მეფე გრიგოლ I-ის ენერგიული მოღვაწეობის წყალობით, აჯანყებულებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

ცნობილმა ქართველმა პოეტმა, საზოგადო და სამხედრო მოღვაწემ, გენერალმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ (1786-1846), რომელიც აჯანყებულთა წინააღმდეგ იბრძოდა, 1837 წლის 10 მაისს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს წარუდგინა „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან – 1831 წლა-

მდე", რომელშიც 1812 წლის სახალხო აჯანყების აღწერისას მიუთითებდა: „კახეთში იფეთქა საშინელმა ამბოხებამ, რომელმაც უცბად იმსხვერპლა რამდენიმე ასეული ჯარისკაცი, ეგზეკუციად აქა-იქ გაფანტული. ძნელად დასაჯერებელია ხალხის მაშინდელი გაბოროტება; იგი სულ ახლობელსაც არ დაინდობდა, თუკი მას რუსების მომხრეობას შეამჩნევდა. მეამბოხენი შევარდნენ სიღნაღის ციხეში და ყელები დასჭრეს ყველა იქ მყოფ მოხელეს. თელავის ციხესაც ეს ბედი მოელოდა. მაიორმა უშაკოვმა თელავსა და მაიორმა, თავადმა ორბელიანოვმა სიღნაღის მაზრაში შეინარჩუნეს ორი პუნქტი და ზარალით იგერიებდნენ მეამბოხეთა იერიშებს. ორივე მაზრის ყველა დანარჩენი ნაწილი კი გაშმაგებული მდაბიო ხალხის სრულს განკარგულებაში იყო" [ჭავჭავაძე 1962: 344-345].

ეს ამბოხება თანდათან საქართველოს საზღვრებს სცილდებოდა და საერთო-კავკასიური აჯანყების ხასიათს იღებდა.

დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) წერდა: „Чаша терпения переполнилась, и в 1812 году вспыхнуло в Кахетии восстание. Жители подошли к крепости Ананур, чтобы таким образом войти в сношения с горцами-грузинами и осетинами, жившими по пути Военно-Грузинской дороги. Восстание распространялось с поразительной быстротой. С оружием в руках они напали на русские войска... Восстание, вспыхнувшее сразу, начинало организовываться: были посланы от грузин агенты для переговоров с пограничными народами, началось брожение в Дагестане, стал волноваться и Ширванский хан Мустафа, борчалинские, шамшадильские и казахские татары... Пламя восстания из одной провинции Грузии, Кахетии, перебросилось на другую - Карталинию. Главнокомандующий Грузии, видя все это, рапортовал государю, что такая организация восстания „не оставляет ни малейшего сомнения, что здесь скрывался умышленный заговор, через который все владения В. И. В. от самого Кавказа должны бы быть потрясными" [Джавахов 1906].

ყოველივე ზემოთქმულმა რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება აიძულა, რომ გადამჭრელი ზომებისათვის მიემართა.

საქართველოს მთავარსარდალი, გენერალი ფილიპ ოსიპის ძე პაულუჩი რუსეთის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის, ნიკოლოზ რუმიანცევისადმი (1754-1826) გაგზავნილ საიდუმლო პატაკში შენიშნავდა: „Царевич Григорий, сын царсвича Иоанна, в Москве пребывающего, провозглашенный кахетинскими мятежниками царем Грузии и издавший от имени своего возмутительные прокламации, также коего имя в церквах бунтовщиками поминаемо было как царя Грузии и который, собрав мятежную толпу, дрался против войск В. И. В., но был мною разбит, бежал было в Дагестан, к анцухским лезгинам" [Акты 1873: 63].

საიმპერიო ხელისუფლებამ ვერაგულად დაატყვევა გ. ბაგრატიონი და რუსეთში გადაასახლა. იგი ჯერ ქ. ოლონეცკში ჰყავდათ, ხოლო შემდეგ ქ. პეტროზავოდსკში გადაიყვანეს. ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ ის გაათავისუფლეს.

1813 წელს გრიგოლ ბაგრატიონი მონაწილეობდა რუსეთის არმიის საზღვარგარეთულ ლაშქრობაში, რომლის შთაბეჭდილებანიც მან გადმოსცა თავის სამოგზაურო ხასიათის თხზულებაში „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე" [ხეც H-2178].

მიხეილ გორგიძის ნაშრომში ვკითხულობთ: „Григорий Иоаннович после двенадцатимесячного заключения в крепости был помилован. Дальнейшая его жизнь связана со службой в русской армии в Петербурге и отчасти в Астрахани. Он принимал участие в

известном походе 1813 года. Как и многие из членов грузинского царского дома, высланных в Петербург, он тоже отдавал дань литературной деятельности. Так, им описан поход, в котором он сам участвовал («Путешествие из Петербурга в Вильно»). Сохранились в рукописи его стихотворения «Маргиналии», а также переводы с русского языка. Умер Г.И. Багратиони в чине подполковника в Петербурге в 1830 году, похоронен в Александро-Невской лавре)" [Горгидзе 1976: 107-108].

გრიგოლ ბაგრატიონის სამოგზაურო თხზულებაში საინტერესოდ არის აღწერილი ბალტიისპირეთის ქალაქები, მდინარეები და ტბები.

საგულისხმოა, რომ გრიგოლი ხშირად ქართულ, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი დაიარებოდა. უცხო ტანისამოსით მოსილი ახოვანი, მოხდენილი ვაჟკაცი ევროპის ქვეყნებში მნახველთა დიდ ყურადღებას იქცევდა.

გ. ბაგრატიონი ასე აღწერს მდინარე ნარვას: „მდინარე ესე იქნების ორი და მტკვრისოდენი... მივედით საიდამცა მდინარე ნარვა გამოდის, რომელიც არს საშინელი ტბა. სიგრძე აქვს 330 და სიგანე 165 და არის სულ ტბა ესე რიყიანი და გემრიელი სასმელი წყალი, რომელიცა უკეთესი გემო წყლისა აღარ ითქმის... ტბასა ამას ჰქვიან ოზირა პსკოვა" [ხეც H-2178: 1-2].

ავტორი მიუთითებს, რომ ლიტვა-პოლონეთის ყოფილი სამეფოს ისტორიულ ტერიტორიაზე გადასულებს ადგილობრივი მოსახლეობა სტუმართმოყვარულად შეეგება. იგი წერს: „ოდეს შემოვედით პოლშისა მამულსა... საცა მივედით სულ დაგვიხვდნენ აზნაურნი ყოველს სტანციასა ზედა და მიგვიღებდიან ტკბილისა გულითა და გვიმასპინძლიან" [ხეც H-2178: 2].

გრიგოლ ბაგრატიონმა ოთხი დღე გაატარა ქალაქ ვილნოში, რომლის ღირსშესანიშნაობები, შემოგარენი, თეატრი, მოსახლეობა და მათი ზნე-ჩვეულებანი მან თავის თხზულებაში აღწერა. მასში ვკითხულობთ: „არის ვილნისა ქალაქი დაბლობში და სამ კუთხიდგან აქვს სულ გორები ტყიანი და ერთიდგან მდინარე ვილლა და მინდორი და ქალაქი ქვითკირითა ნაშენი და დია მოსაწონი...

ვილნისა ქალაქსა შინა არის ხალხი დია მშვენიერი, რომელ ვსთქვა, უკეთესი არსად მინახავს. ნამეტნავად ურიათა ქალნი... არიან ვითარცა ქართველნი, მოარულნი კაბითა, სარტყლითა და ჩიბლეტებითა, ესე იგი ჩახჩურებითა და ჩოხა-ბარნითა მოარულნი, ვითარცა ბუნებითი ქართველნი" [ხეც H-2178: 4-5].

გ. ბაგრატიონის შეფასებით, „ვილნოსა შინა მცხოვრებნი ურიანი არიან მოარულნი კაცნი მათნი ცუდისა ტანისამოსითა და დიდითა წვერითა და თმითა და ზევიდამ ასხიათ, ვითარცა სომხისა ტერტერათა შავი ანაფორანი და ზოგთა დაკეცილი მხარზედან უძევსთ" [ხეც H-2178: 5].

მისი აზრით, ებრაელ მამაკაცებზე უკეთესად ეცვათ ებრაელ ქალებს, რომლებიც გამონყობილნი იყვნენ „ჩადრითა და ქოშებით და აქვთ თავნი შეკრულნი დიდისა კოპითა და ყელთა ზედა აქუსთ ყოველთა სარაღუჯი მარგალიტისა" [ხეც H-2178: 5].

ავტორმა ყურადღება გაამახვილა ვილნოს მცხოვრებთა წეს-ჩვეულებებზეც. მაგალითად, მან ასე აღწერა დაკრძალვის იქაური ტრადიცია: „ოდეს... მოუკვდებათ, მიიტანებენ მკვდარსა მას და ჩაასვენებენ ზემოხსენებულსა ხვრელსა შინა და გაამსებენ მიწითა და კედლის პირსა და წააფარებენ ჩვეულებისამებრ ქვასა. ოდეს მის გობონასა გვერდსა გაივლი, ვერა სცნობ თუ ეს გობონი სასაფლაო არს. ასე გეგონება, რომ ერთი დიდი სასახლე არის" [ხეც H-2178: 5].

გ. ბაგრატიონს ცოლად ჰყავდა პოლონელ არისტოკრატთა შთამომავალი ბარბარა ბუკრინსკა (1810-1875) – ასული თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის თეოდორ ბუკრინსკისა [Dzawachiszwili 2010: 134-139].

ამრიგად, უკანასკნელმა ქართველმა მეფე გრიგოლ I-მა (1789-1830), დატუსაღებისა და რუსეთში გადასახლების შემდეგ, 1813 წელს იმოგზაურა ბალტიისპირეთში, ხოლო სამოგზაურო შთაბეჭდილებები თავის თხზულებაში გადმოსცა [ჯავახიშვილი 2010, № 7: 246-249].

2. საქართველო და ბალტიის ქვეყნები რუსეთის იმპერატორთა ტიტულატურაში და მათი ჰერალდიკური სიმბოლიკა იმპერიის სახელმწიფო გერბში

XVIII საუკუნეში რუსეთმა შეიერთა ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნები, ხოლო XIX საუკუნეში – საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სამეფო-სამთავროები, რომლებიც უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

უცხო ქვეყნების მოქცევა რუსეთის იმპერიის საზღვრებში სათანადოდ აისახა იმპერატორთა ტიტულატურასა და რუსულ ჰერალდიკურ სიმბოლიკაში.

XIX საუკუნის დასაწყისიდან – 1917 წლის მარტამდე, რუსეთის იმპერატორთა ოფიციალური ტიტულატურა სრული სახით ასე გამოიყურებოდა:

„Божией поспешествующей милостию, Мы, имярек, Император и Самодержец Всероссийский, Московский, Киевский, Владимирский, Новгородский; Царь Казанский, Царь Астраханский, Царь Польский, Царь Сибирский, Царь Херсонеса Таврического, Царь Грузинский, Государь Псковский и Великий Князь Смоленский, Литовский, Волынский, Подольский и Финляндский; Князь Эстляндский, Лифляндский, Курляндский и Семигалский, Самогитский, Карельский, Тверской, Югорский, Пермский, Вятский, Болгарский и иных; Государь и Великий Князь Новгорода низовские земли, Черниговский, Рязанский, Полотский, Ростовский, Ярославский, Белозерский, Удорский, Обдорский, Кондийский, Витебский, Мстиславский и всея северные страны Повелитель; и Государь Иверские, Карталинские и Кабардинские земли и области Армянские; Черкасских и Горских Князей и иных Наследный Государь и Обладатель; Государь Туркестанский; Наследник Норвежский, Герцог Шлезвиг-Голштинский, Сторнмарнский, Дитмарсенский и Ольденбургский и прочая, и прочая, и прочая" [Мурашев 2002: 7]

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილ ტიტულთა შორის აღნიშნულია, რომ იმპერატორი, რუსეთის შიდა პროვინციებთან ერთად, იყო მფლობელი და თვითმპყრობელი მთელი რიგი არარუსული ქვეყნებისა და მხარეებისა, მათ შორის საქართველოსი და ბალტიისპირეთისა.

საყურადღებოა, რომ ზემოხსენებულ ჩამონათვალში ტიტული „მეფე საქართველოსი" უფრო წინ იხსენიება, ვიდრე ტიტულები, რომლებიც ადასტურებდა ბალტიისპირეთის ქვეყნების ფლობას. კერძოდ, საქართველო იხსენიება რიგით მეშვიდე ადგილზე, ლიტვა – მეათეზე, ესტლანდია (ანუ ესტონეთი) – მეთოთხმეტეზე, ლიფლანდია (მომავალში ჩრდილოეთი ლატვია) – მეთხუთმეტეზე, კურლანდია (მომავალში სამხრეთ-დასავლეთი ლატვია) – მეთექვსმეტეზე, ხოლო სემიგალია/ზემგალია (მომავალში სამხრეთ-აღმოსავლეთი ლატვია) – მეჩვიდმეტეზე.

იმპერიის მესვეურებმა თავიანთ სახელმწიფო გერბში ერთად დააფიქსირეს საქართველოს და ბალტიის ქვეყნების ჰერალდიკური სიმბოლიკა.

რუსეთის იმპერიის დიდ სახელმწიფო გერბში, იმპერიაში შემავალ სხვა ქვეყნების გერბებთან ერთად, გვხვდება „საქართველოს სამეფოს გერბი", რომელიც წარმოდგენილი იყო რიგით VI ადგილზე [Дворянские роды 1993: 39].

აქვე დავსძენთ, რომ რუსეთის საიმპერიო დიდ სახელმწიფო გერბში შეტანილ „საქართველოს სამეფოს გერბს" საფუძვლად დაედო ერეკლე II-ის (1720-1798) მეფობის (1744 წლიდან მეფობდა კახეთში, ხოლო 1762-1798 წლებში – ქართლ-კახეთში) პერიოდის ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი. მასში ქართულ მხარეთა ჰერალდიკურ სიმბოლიკასთან (ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო) ერთად, შეტანილი იყო ასევე სიმბოლიკა იმ კავკასიური სამფლობელოებისა, რომლებიც ქართლ-კახეთის სამეფოს ვასალურ ქვეყნებად ითვლებოდნენ. მათ შორის იყო: ერევანი, განჯა, ყაზახი, შაქი, შირვანი, შამშადილო.

საგულისხმოა, რომ რუსეთის იმპერიის მესვეურებმა „საქართველოს სამეფოს გერბში" მოაქციეს არა მხოლოდ სამხრეთკავკასიური სამფლობელოების ჰერალდიკური სიმბოლიკა (მაგალითად – სომხეთის გერბი), როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა ქართულ სამეფო გერბზე, არამედ, დამატებით – ჩრდილოკავკასიური ქვეყნების სიმბოლიკაც, კერძოდ – „ყაბარდოს მიწების გერბი" და „ჩერკასკებისა და მთიელი თავადების გერბი".

ქართული სამეფო გვირგვინით დამშვენებული ეს მრავალსახოვანი გერბი უნიკალური ჰერალდიკური ნიმუშია. ის სიმბოლურად განასახიერებს ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო გვირგვინის ქვეშ გაერთიანებულ კავკასიას. ამით რუსეთის იმპერიის მესვეურებმა თავიანთ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოზე – სახელმწიფო გერბზე ოფიციალურად დააფიქსირეს, რომ კავკასიის რეგიონში შემავალ ქვეყნებს შორის საქართველო ტრადიციულად ჰეგემონ სახელმწიფოს წარმოადგენდა [ჯავახიშვილი 2007: 131-141].

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო გერბზე ასევე წარმოდგენილი იყო ბალტიის ქვეყნების ჰერალდიკური სიმბოლიკა, კერძოდ, „ლიტვის დიდი სამთავროს", ასევე „ესტლანდიის, ლიფლანდიის, კურლანდიისა და სემიგალის" გერბები [Дворянские роды 1993: 40].

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ ნათელს ხდის იმ უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფუნქციას, რასაც რუსეთის იმპერიაში ასრულებდა საქართველო და ბალტიისპირეთი.

ამრიგად, რუსეთის იმპერატორთა ოფიციალურ ტიტულატურაში ჩამოთვლილ ტიტულთა შორის აღნიშნული იყო, რომ იგი იმავდროულად იყო საქართველოს მეფე, ლიტვის დიდი მთავარი და ბალტიის დანარჩენი ქვეყნების: ესტლანდიის, ლიფლანდიის, კურლანდიისა და სემიგალის მთავარი. იმავდროულად, რუსეთის იმპერიის მესვეურებმა თავიანთ სახელმწიფო გერბში ერთად დააფიქსირეს საქართველოს და ბალტიის ქვეყნების ჰერალდიკური სიმბოლიკა [ჯავახიშვილი 2009, № 5: 11-12].



დავით III კურაპალატის საბელით მოჭრილი ვერცხლის დრამა (X საუკუნის მეორე ნახევარი – XI საუკუნის დასაწყისი), რომელიც აღმოაჩინეს ლიფლანდიის გუბერნიის დასახლებულ პუნქტ ვოლიას მახლობლად XX საუკუნის დასაწყისში



ამირა ჯაფარ იბნ მანსურის სახელით თბილისში მოჭრილი ვერცხლის დირჰემი (973-974 წწ.), რომელიც აღმოაჩინეს ქალაქ რიგასთან მდებარე სალასპილს-ლაუკსკოლას დასახლებაში, სამარხში, XX საუკუნის 30-იან წლებში



პეტრე I და ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი
(მხატვარი – გივი აღაპიშვილი)



ალექსანდრე არჩილი



ვახტანგ VI



ეახუშტი ბაგრატიონი



დავით გურამიშვილი




ერეკლე II




სოლომონ I



ინფანტერიის გენერალი
პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი



ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი



რუსეთის იმპერიის დიდი სახელმწიფო გერბი.
ისრით მითითებულია „საქართველოს სამეფოს გერბი“



მამა-შვილი –



და გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონები



თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონი



ინფანტერიის გენერალი პავლე
დიმიტრის ძე ციციანოვი
(ციციშვილი)



ლიფლანდიის, ესტლანდი[illegible]ს და
კურლანდიის გენერალ-გუბ[illegible]ნატორი
პეტრე რომანის ძე ბაგრ[illegible]იონი



ინფანტერიის გენერალი გრიგოლ
დიმიტრის ძე ორბელიანი



ქ. ვილნოს კომენდანტი, გენერალ-მაიორი
ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მიქელაძე



სხედან (მარჯვნიდან): ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ აჟალიშვილი,
ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. დგანან: ნიჟარაძე და გ. ყაზახაშვილი



გიორგი შარვაშიძე



კოტე მარჯანიშვილი




ნოე ჟორდანია



იანის



ოული სტრაუმე



რობერტ კუპცისი



რ. კუპცისი ცოლ-შვილთან



ქართველი ემიგრანტები გერმანიაში.

მარჯვნიდან: გიორგი მაღალაშვილი, ბალარჯიშვილი, ალექსანდრე ნიკურაძე, რაჟდენ რუსიშვილი, უცნობი (მიუნხენი, 1. 1. 1930 წ.)



შალვა მაღლა
(ქართველი ლეგი ი)



გაიოზ შალვას ძე მაღლაკელიძე
(რიგა, XX საუკუნის 20-იანი წლები)




შ. მაღლაკელიძე და სოსო ლომთათიძე



შ. მაღლაკელიძე აღმოსავლეთის
ფრონტზე (1943 წ.)



გიეი გაბლიანი



ქართველ ლეგიონერთა სამკლაური



ქართველი ლეგიონერები (1943 წ.)



პარტიზანი გ[illegible]ველაძე



პროფესორი არჩილ მაჩაბელი



არჩილ მაჩაბელი (ცენტრში) და იანის გლეიზდსი (მარჯვნივ)



არჩილ მაჩაბელი ოპერაციისას



არჩილ მაჩაბელი თავის თანამშრომლებთან

3. უფლისწულ იოანე ბაგრატიონის თხზულებაში აღწერილი ბალტიისპირეთი (XIX საუკუნის პირველი მესამედი)

ქართლ-კახეთის მეფის – გიორგი XII-ის (მეფობდა 1798-1800 წლებში) ვაჟის, სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერ-ენციკლოპედისტის, უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის (1768-1830) ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა“ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, კერძოდ, 1813-1828 წლებში ინერებოდა.

აღნიშნულ თხზულებაში ბალტიისპირეთის იმდროინდელი რეგიონებისა და ქალაქების შესახებ გარკვეული ცნობები გვხვდება.

ნაშრომის ერთ-ერთ ნაწილში „ღეოღრაფიისა ანუ აღწერისათვის ქუეყანისა“ ეკითხულობთ, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ ცალკეულ რეგიონთა შორის იყო გუბერნიები: „ესტლანდიისა ღუბერნია – ქალაქითურთ რეველით“; „რიჟსკიისა, ღუბერნიის ქალაქით რიღით“ და „კურლანდიის, რომლისაცა პირველი ქალაქი არს მიტავა“; „ლიტოვისა, პირეელი ქალაქი არს ვილნა“ [იოანე ბატონიშვილი 1991: 92-93].

ი. ბაგრატიონი შენიშნავს, რომ სხვადასხვა დროს რუსეთმა თანდათანობით დაიპყრო და თავის საზღვრებში თანდათანობით მოაქცია მეზობელი სახელმწიფოები და მათ შორის ბალტიისპირეთში მდებარე ქვეყნები: ლიფლანდია, კურლანდია, ესტლანდია და ლიტვა.

თხზულებაში აღნიშნულია, რომ დიდი მთავრის, ივანე ვასილის ძის (გარდაიცვალა 1505 წელს) მმართველობის პერიოდში მის მოხარკე ქვეყნებს შორის იყო ლიფლანდიაც. მისი შვილიშვილის, დიდი მთავრის, ივანე ვასილის ძის (გარდაიცვალა 1584 წელს) მმართველობისას რუსთა ჯარმა „აღიღო ლიფლანდია, დაიპყრა და დააქცივა და დაიმორჩილა მფლობელი მისი ღროსმეისტერი ვიღღელფი, სტემბერღისა ციხეებითა ფელიშითურთ თვისად დაიკვიდრა“ [იოანე ბატონიშვილი 1991: 103].

ი. ბაგრატიონი მიუთითებს, რომ პეტრე I-ის მეფობის პერიოდში, რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში საბოლოოდ შევიდა შვედეთის სამეფოს ყოფილი ნაწილები და მათ შორის ლიფლანდია და „ესთლანდია“ (იგულისხმება ესტონეთი), ხოლო მისი მომდევნო იმპერატორების მმართველობის დროს – კურლანდია და ლიტვა [იოანე ბატონიშვილი 1991: 109-112].

ამრიგად, უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის (1768-1830) თხზულებაში „კალმასობა“ გარკვეული ინფორმაციაა დაცული იმდროინდელი ბალტიისპირეთის შესახებ [ჯავახიშვილი 2009, № 5: 11].

4. ბალტიისპირეთი უფლისწულ თეიმურაზ ბაგრატიონის თვალით (1836 წ.)

ბალტიისპირეთის რეგიონებისა და ქალაქების შესახებ შედარებით ვრცლად არის მოთხრობილი იოანე ბაგრატიონის ძმის – უფლისწულ თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონის (1782-1846) თხზულებაში.

1836 წლის მაისის მიწურულს და ივნისის დასაწყისში, ბალტიისპირეთში იმოგზაურა იოანეს უმცროსმა ძმამ – თეიმურაზ ბაგრატიონმა. ის იყო ცნობილი მწერალი და მეცნიერი, რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი და ნამდვილი წევრი პარიზის სააზიო და კოპენჰაგენის ანტიკვართა სამეფო საზოგადოებებისა.

ხსენებული წლის 26 მაისს, სანკტ-პეტერბურგში მყოფი თ. ბაგრატიონი ევროპის ქვეყნების მიმართულებით მოგზაურობას შეუდგა. მან ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე შემდეგი მარშრუტით გაიარა: ნარვა–დერპტი–რიგა–მიტავა–ვილნო.

აქვე დავსძენთ, რომ ესტონეთის ქალაქ ტარტუს ოფიციალური დასახელება 1893 წლამდე იყო დერპტი, ხოლო 1893-1919 წლებში – იურიევი, ლატვიაში (კერძოდ, კურლანდიაში) მდებარე ქალაქ მიტავას კი 1917 წლიდან ელგავა ეწოდა.

თავის თხზულებაში „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ უფლისწული თეიმურაზი წერს: „მას დღეს, რომელ მაისის 27 იყო, ნარვას მოვედით საღამოს და ის ღამე მუნ გავათიევთ. მეორეს დღეს, დილას კალასკა დავიქირავეთ, ჩავსხედით და... წარვედით, სადაც ნარვის მდინარე, რომელსაც ნორუა ეწოდება, გადმოსჩქერს კლდეზედა. ჟერ ზემოთ ორად იყოფება ეს წყალი და უმეტესი წილი, რომელსაც კლდეზედ გარდმოსდის გრგვლით არის ნახევარ სიმგრგვლის სახედა და იმაზედ გარდამოსჩქერს. და საშინელი ხმა და ხეთქება აქვს მას მდინარესა. ხიდზედ შედგები და ისე პირდაპირ უყურებ. კარგი სანახავი არის. ხიდს რომ გახვალ, მარცხენას მხარეს ცოტას რომ წარვლი, მეორე იგი ტოტიც კლდეზედ გადმოსჩქერს და იმას გრძლათ ირიბათა აქვს გადმოსაჩქერი. და დიდის ხმიანობით, მსწრაფლის კვეთებითა გადმოსჩერენ ესე ორნივე ტოტნი.

რაღა განვაგრძო, წავედით ნარვადამაცა. ერთი სტანცია კიდევა შოსეთი განვლეთ 22 ვერსი ვაივარამდის და მერე პესოკიანი გზა შეგვხვდა. ექვს-ექვს ცხენს ვიბამდით კარეტაშია“ [თეიმურაზ ბატონიშვილი 1944: 18].

თეიმურაზ ბაგრატიონი მოიხიბლა ლიფლანდიისა და კურლანდიის ქალაქების – რიგისა და მიტავის მშვენიერებით. იგი წერს: „განვლეთ ლიფლანდიის ქალაქები და სოფლები, დერპტის ქალაქი, ლიფლანდიის დედა ღუბერნიის ქალაქი, ქალაქი რიგა, რომელიცა ჩინებული ქალაქი არის. იქიდამ კურლანდიის პირველი ქალაქი მიტავა, რომელიცა კურლანდიის ღუბერნიის ქალაქია, კაის ალაგს და კარგი ქუჩები აქვს.

აქედამ ვიარეთ. განვლეთ კურლანდიის სამზღვარიცა და შევედით პოლშის სამზღვარშია, ვილენცკის ღუბერნიაში. და რაც სოფლები, გინა უეზდის ქალაქები ვილენცკისა შეგვხვდა, მცხოვრებთა მათთა განსაკვირვებელი არს სიგლახაკე... იგინი არიან ორგვარნი: ერთნი პოლშელნი სარწმუნოებით და მეორე – ურიანი... რა დაღამდა სამი ივნისისა თვისა რიცხვი, დღე ოთხშაფათი, დავასრულეთ სამზღვარი რუსეთისა სამპყრობელონი ტავროგენს. და მუნით განვედით სამზღვარსა შინა პრუსიისასა“ [თეიმურაზ ბატონიშვილი 1944: 18-20].

ამრიგად, 1836 წლის მაის-ივნისში ბალტიისპირეთში იმოგზაურა უფლისწულმა თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონმა (1782-1846), რომლის სამოგზაურო თხზულებაში ამ რეგიონის შესახებ გარკვეული ცნობები გვხვდება [ჯავახიშვილი 2010, № 7: 250].

5. გრიგოლ ორბელიანი ბალტიისპირეთში (1834-1837 წწ.)

1834-1837 წლებში ბალტიისპირეთში დისლოცირებულ რუსულ ჯარში ოფიცრად მსახურობდა მომავალში გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, თავადი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე ორბელიანი (1804-1883). იგი სხვადასხვა დროს მსახურობდა ლიფლანდიის გუბერნიის ქალაქებში: რიგაში, ვენდენში (ამჟამად – ცესისი), ვალკაში, კურლანდიის გუბერნიის ქალაქ ბაუსკში, ვილნოს გუბერნიის ქალაქებში: ვილნოში (ვილნიუსი), კოვნოში (კაუნასი), ბირჟიში და სხვა.

პოეტმა ბალტიისპირეთში შექმნა არაერთი მშვენიერი ლექსი, რომლებსაც დაწერის ადგილი ქვემოთ აქვს მინერილი. კერძოდ, რიგაში შეიქმნა ლექსები: „ჩემს დას ეფემიას", „მუხამბაზი", „ნ...", „სო... ორ..." [ორბელიანი 1959: 44-52], რომლებიც დათარიღებულია 1835 წლით.

გ. ორბელიანმა ვილნოში დაწერა ლექსი „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ", რომელიც მან მიუძღვნა სალომე ივანეს ასულ ორბელიანს, ქართველი თავადის, გამოჩენილი პოეტი-რომანტიკოსის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის მეუღლეს, მათი ასულის – სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის (1833-1862) დაბადების აღსანიშნავად.

აქვე დავსძენთ, რომ მოგვიანებით სოფიო ჭავჭავაძე ცოლად გაჰყვა შვედური წარმომაელობის ბარონს ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის (1821-1899), რომელიც იყო რუსეთის იმპერიის სენატორი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, კავკასიის სამეფისნაცვლოს მთავარი სამმართველოს უფროსი (1863-1875), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1875 წლიდან), იმავე საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე (1887-1891), ხოლო 1881-1882 წლებში – განათლების მინისტრი [Шитов 2002: 515-518].

გ. ორბელიანის მიერ ბალტიისპირეთის ქალაქებიდან საქართველოში გამოგზავნილი წერილები ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავენ აღნიშნული რეგიონის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ხსენებულ წერილებში ქ. რიგა ზოგჯერ იხსენიება როგორც „რიღა". აქ არაფერია უჩვეულო, თუ გავიხსენებთ, რომ იმდროინდელ ქართულ ენაში მიღებული იყო სიტყვები „ღუბერნია" (ნაცვლად „გუბერნიისა"), „ღენერალი" (ნაცვლად „გენერლისა"), ღუბერნატორი" (ნაცვლად „გუბერნატორისა") და სხვა.

1834 წლის 2 აპრილს, ბალტიისპირეთში მიმავალი გ. ორბელიანი თავის ძმას – ზაქარია ორბელიანს (1806-1847) სწერდა: „მომწერე პირდაპირ ლიფლანდიაში, ქალაქს ვენდენს, ნევსკის მორსკის პოლკში" [ორბელიანი 1936: 11].

იმავე წლის 22 მაისს კი ქ. ვალკადან გამოგზავნილ წერილში გ. ორბელიანი თავის ძმას სწერდა: „პოლკის კამანდირმა მიმიღო კარგად და მაძლევს როტას. საზოგადოება აფიცრებისა დიახ კარგია ამ პოლკში და უმეტესი ნაწილი ნემენცები არიან, სულ აქაური მცხოვრებნი.

ვნახე ვენდენის ჩინებული ციხეცა (замок), რომელიც ან ეკუთვნის ღრაფ სივერსსა. ვენდენი ძალიან პატარა ქალაქია და შორიდამ საამურია სანახავად. დაძველებულნი და ჩამონგრეულნი ციხის კოშკები მრისხანედ დაჰყურებენ ლამაზთა ფაქიზთა ახალთა ქალაქის შენობათა, როგორც გაანჩხლებული ბებერი აბელ მინბაში

(იგულისხმება ათასისთავი. ნ. ჯ.) თავის შვილიშვილებს. ყოველს საღამოს ავდიოდი ერთს ჯერ აქამდის მთელად დაშთომილს კოშკზე, რომლიდამაც ჰსჩანდა შორს გარეშე მშვენიერი მდებარეობა, მარამა ერთის კვირის მეტი არ დამცალდა აქა და წამოველ ამ ქალაქში.

ბევრჯერ მოგწერე გზიდამ და უკანასკნელი წერილი რიგიდამ გამოგიგზავნე და არ ვიცი მოგდის თუ არა...

ვენდენში კვარტირა მქონდა ბარონ შტორხის სახლში. ჩემს გვერდით იდგა იმათი ნათესავი ერთი ლამაზი ქალი.

– ახ! ზაქარიავ, იმისი ფორტეპიანოს დაკვრა და სიმღერა გამაგიჟებდა აქამდის, თუ ცოტა ბებერი არ ვყოფილიყავ. მოკლედ, გავიცან, ერთი დაკეტილი კარები იყო ჩუენშიც, მაგრამ...

როდესაც მომწერო წიგნი, ჩემს სახელზე გამოგზავნე რიღაში, ლიფლიანდიის ღუბერნიაში.

აქაურს გლეხკაცებს ჩვენებური ქალამნები აცვიათ. მიკვირს ესრეთი მიმზგავსება ესრეთს დაშორებულთ ადგილთ ურთიერთისაგან.

საყდრებზე ჯუარის მაგიერ მამალი ზის. ვერავინ ვერ ამიხსნა აქამდის იგავი ესე; მაგრამა მგონია, რომ პეტრე მოციქულმა რომ ქრისტე უარსჰყო სამჯერ მამლის ყივილამდის, ეს ის იყოს...

დღეს გავიცან სტარიკა ბარონ ვრანგელ. ნეტავ გენახა, თუ რა ნემენცია – წიგნებში და ქაღალდებში იყო ჩაფლული, რომ შეველ იმის კაბინეტში. თვითონ პატივცემული კაცია და ერთი ლამაზი ქალიცა ჰყავს" [ორბელიანი 1936: 15-16].

ზემოხსენებული ბარონი, გენერალი კარლ ეგორის ძე ვრანგელი (1794-1874), 1828 წლიდან ხელმძღვანელობდა პოლონეთის სულთა პოლკს, ხოლო 1835 წლიდან – ლაიბ-გვარდიის დრაგუნთა პოლკს [ორბელიანი 1936: 226-227].

იმავე წლის 20 ივლისს ვილნოდან საქართველოში გამოგზავნილ წერილში გ. ორბელიანი თავის ძმას სწერდა: „გუშინ მოვედით ვილნოს და ვდგევართ ლაგირათ, სადაცა ვიქმნებით სეკდემბრამდის... ვილნოს არის თეატრი და ძალიან აქებენ აქაურს ორღანოს საყდარში, მაგრამ ჯერ არც ერთში არა ვყოფილვარ" [ორბელიანი 1936: 17-18].

იმავე წელს გ. ორბელიანი თავის ახლო მეგობარს, თავად ანტონ იაგორის ძე ორბელიანს სწერდა: „აღდგომა დღეს მოველ ქალაქს რიგას, სადაცა ვნახე დივიზიონის და ბრიღადნის ნაჩალნიკები, რომელთაც ღვთის შემწეობით მიმიღეს ძალიან კარგად და აქამომდისაც მწყალობენ და ამას იქით ღმერთმა იცის. იქიდან მოველ ქალაქს ვენდენს, სადაცა იდგა ჩუენი პოლკი. არ გავიდა ერთი კვირა, რომ როტაც მომბაბარეს. გაზაფხულზე მოვედით ისევ რიგას ლაგირათ, სადაც გაგვშინჯა კორპუსის კამანდირმა, ღენერალ-ადუტანტმა ნეიდღარტმა (იგულისხმება ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდგარტი (1784-1844), რომელიც 1842-1844 წლებში კავკასიის კორპუსის სარდალი იყო. ნ. ჯ.). იქიდან მოვედით აქ ვილნოსა, სადაც არის შეკრებილი მრთელი კორპუსი ლაგირად. ამ დღეებში მოველით პასკევიჩს (იგულისხმება გრაფი ივანე თეოდორეს ძე პასკევიჩი (1782-1856), რომელიც 1829-1831 წლებში კავკასიის ჯარების მთავარსარდლად მსახურობდა. ნ. ჯ.) პეტერბურღითგან და გაგვშინჯავს აქა და გვექნება მანევრებიცა. ეს არის ჩემი ცხოვრების ისტორია თუ არშიყობას, აქა იქ კინკლაობასაც მიუმატებ. ცუდია უეშყოდ ცხოვრება, ესრეთი კაცი ემსგავსება ფუტუროს ხესა. ვალკის ქალაქში – სოფიო კრუზე და აქ – პეტრონელლა" [ორბელიანი 1936: 19-20].

გ. ორბელიანი თავის წერილებში საკმაოდ ხშირად აღნიშნავს ბალტიისპირელ ასულთა სილამაზეს.

იმავე წლის მიწურულს გ. ორბელიანი მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისას (1808-1870) სწერდა: „ამას წინათ მოგწერეთ ვილნოდამ და აღგინერეთ მოკლეთ ქალაქი ესე, სადაცა უკვე დაიშალა ლაგირი და მეცა ჩემის როტით მოველ მესტეჩკოს კვეტკის, სადაცა ერთი კსიონზი ანუ პოლშის მღუდელი, ერთი კარჩა ანუ დუქანი, ერთი მჭედელი და მე ვართ ამ სოფლის მცხოვრებნი. აღგინერთ ჩემს მოკლე მგზავრობასაც. იყო ხუთშაბათი, საშინელი წვიმა კისერში ჩამდიოდა და ტალახში მეფლობოდა ფეხები (უნდა იცოდე, რომ მე, დიდი კნიაზი, ქვეითად დავეხეტები), როდესაც გამოვედით ვილნოდამ. თვითვე იფიქრეთ, თუ რა გააფთრებული მოველ შუადღისას ერთს სოფელში; მარამა პირველ სახლში შესვლაშივე დამიმშვიდდა გული, ვიხილე რა ჩვიდმეტის წლის სახლის პატრონის ქალი, ლამაზი, როგორც ვაშლი" [ორბელიანი 1936: 21].

1835 წლის 23 მარტს, ქ. ბირჟიდან გაგზავნილ წერილში გ. ორბელიანი სალომე ორბელიან-ჭავჭავაძისას სწერდა: „მოველ ლიფლანდიაში, რომელიცა ძალიან ჰგავს მდებარეობითა საქართველოს; ვიხილე ჩინებული ციხე ფალავნებისა დანგრეული – ვენდენში, ვნახე რიღა – ჩინებული ქალაქი, სადაც ჩემმა დივიზიონმა და ბრიღადნის ნაჩალნიკმა მიმიღეს ფრიად კარგად და გამაცნეს ზოგიერთს სახლებში. აქ არის რამდენიმე კლუბები, რომელთა უპირველესნი არიან სახელად მუსი და ეფონი და არის თეატრიცა...

აქაური მცხოვრებნი არიან ნემენცნი; მაშასადამე განათლება, სიფაქიზე და ანგარიში შეადგენს მათსა თვისებასა; და ამისათვის რაღა თქმა უნდა, რომ აქაურნი ქალები თუმცა სილამაზით ვერ შეედრებიან ჩუენს ქალებს, მაგრამ ზრდილობით, სწავლით, განათლებით ოხ, რა შორსა ჰსდგანან მათგან; თქუენს ქალებს გარდა, რომელნიცა არ არიან მათ რიცხვში.

მშვენიერია სანახავად რიღა ზაფხულის საღამოზე, როდესაც მზისა სხივნი გარდაჰსცემენ მდინარესა ოქროსფრად და მასზედა მიმოჰსცურავენ ხომალდნი და ათასგუარნი ნავნი ქალებით, კაცებით, სიმღერით აქა-იქ.

აწ გახლავარ ვილენსკის ღუბერნიაში, ესე იგი პოლიაკებში, რომელნიცა არიან ჩვენებურად მოლხინენი და პურადნი. მათი ქალები არიან ძალიან თამამნი ყოფა-ქცევაში, არშიყობის მოყუარენი და კოკეტკები. აქაც გავიცან რამდენიმე პომეშჩიკები, რომელთანაც ხშირად ვარ მიწვეული და დროცა მხიარულად მიდის მათთან" [ორბელიანი 1936: 24-25].

იმავე წლის 11 აპრილს ქ. ბირჟიდან გაგზავნილ წერილში გ. ორბელიანი ნინო ანდრონიკაშვილ-ერისთავისას სწერდა: „მე გახლავარ ვილენსკის ღუბერნიაში, ესე იგი, პოლიაკების ქვეყანაში. გავიცან მრავალნი აქაურნი კეთილშობილნი, რომელნიცა არიან სტუმართმოყუარენი და ჰსცხოვრებენ დიახ კარგად. აქაურნი ქალნი... არიან ძალიან გაზდილნი და მსწავლულნი და ამასთანა დიახ თამამნი ყოფა-ქცევაში და არშიყობის მოყუარენი, თვინიერ ცუდისა განზრახვებისა. დავიარები ხშირად მათთან და დროცა მიდის მხიარულად ფორტეპანოს დაკვრაში, ტანცაობაში, სიმღერაში, სეირნობაში და მრავალგუარ შექცევაში. ამას ნინათ ვიყავ რიღის ქალაქში, სადაცა არის თეატრი" [ორბელიანი 1936: 26].

იმავე დღით დათარიღებულ წერილში გ. ორბელიანი თავის ძმას აცნობებდა: „19-ს ამ თვეს წავა ჩუენი პოლკი რიღისა და მიტავის საშუალ გზისა გასაკეთებლად; მაგრამ მაინც შენ დააწერე ადრესზე: чрез город Бауск в местечко Биржи Виленской губернии" [ორბელიანი 1936: 28].

იმავე წლის 25 ივლისს რიგის ჰოსპიტალში მყოფი გ. ორბელიანი სალომე ორბელიან-ჭავჭავაძისას სწერდა: „რიღის ქალაქით ჩვიდმეტ ვერსზე არის სოფელი, ესე იგი ერთადერთი სახლი სახელად სკრონდებუდე, სადაც არის კვარტირა ჩემი... მშვიდობით გახლავარ, დილით უჩენიე, საღამოს უჩენიე და როცა მოცლილი ვარ ხანდახან მივაჭენებ რიღისკენ ჩემს ნაცნობებთან ნემენცებთან...

ამას წინათ ჩვენმა პოლკოვნიკმა ბალი გააკეთა ბაღში, სახელად – ვეიზინღობს, სადაცა იყვნენ მიწვეულნი პატივცემულნი ჩინებულნი რიღის მცხოვრებთაგანი, რომელთა შორის იყო აქაური პირველი კრასავიცა რიღის კამენდანტის ღენერალ დრიზენის ქალი, რომლის მშვენიერება არის განთქმული" [ორბელიანი 1936: 32-33].

1836 წლის 16 სექტემბერს ქ. კოვნოდან გაგზავნილ წერილში გ. ორბელიანი თავის ძმას – ილია ორბელიანს სწერდა: „ამ ზამთარში ვიდგებით მესტეჩკოს ბირჟის სიახლოვეს, ვილენსკის ღუბერნიაში, პონევეჟის უეზდში, მაგრამ წიგნი კი მაინც მოიწერე რიღაში...

ფელდმარშალმა (იგულისხმება ზემოხსენებული გრაფი პასკევიჩი. ნ. ჯ.) გაგვშინჯა 14-ს და 15-ს ამ თვისას და ძალიან მადლობა გვითხრა, მაგრამ პირველს დღეს საზარელი დარი იყო. წვიმა კისერში ჩაგვდიოდა, მაგრამ ცერემონიალნის მარში კი საუცხოოთ იყო. კნიაზ ლობანოვ-როსტოვსკი (იგულისხმება ლიფლანდიისა და კურლანდიის გუბერნიების გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ადიუტანტი ივანე დიმიტრის ძე ლობანოვ-როსტოვსკი. ნ. ჯ.), ღენერალ ადუტანტი იყო გამოგზავნილი ხელმწიფისაგან, და ძალიანაც აქებდა...

როცა მოიწერო, აი ადრესა: ჯერ ჩემი სახელი, მერე „Невского Морского Полка Г. Поручику и Кавалеру в г. Ритy" [ორბელიანი 1936: 41-42].

საყურადღებოა გ. ორბელიანის „დღიური 1836 წლისა", სადაც გადმოცემულია ბალტიისპირეთში ყოფნის ამსახველი ამბები [ორბელიანი 1959: 265-283].

დღიურიდან აშკარად ჩანს, რომ მის ავტორს მოსწონდა ბალტიისპირეთი, რომელიც მას თავის სამშობლოს ახსენებდა. კერძოდ, კოვნოს (კაუნასი) გუბერნიის სამაზრო ქალაქ პონევეჟის მახლობლად ნანახმა სოფლებმა მას საქართველო მოაგონა.

1836 წლის 9 ივლისით დათარიღებულ ჩანაწერში გ. ორბელიანი წერს: „გამოვედით პონევეჟით. რაოდენსა ვერსტსაც გამოვლიდით, ეგოდენ უმეტეს ლამაზდებოდა მდებარეობა ადგილისა და დასასრულ, თორმეტს, ანუ ცამეტს ვერსტზე გამოჩნდა მშვენიერი სახილველი: მრავალნი სოფელნი, გაბნეულნი ვაკესა ადგილსა ზედა, შემკობილსა ლამაზის ჭალებით და აქა-იქ ლამაზის მიზებით, ფრიად აამებდა თვალთა: ერთის შეხედვით ემზგავსებოდა საქართველოსა!" [ორბელიანი 1959: 267].

ასევე საყურადღებოა გ. ორბელიანის მიერ 1835 წელს ჩაწერილი „ანბავი რიგის ღოშპიტალში ნათქვამი" (იხ.: დანართი № 2), რომელშიც გადმოცემული ისტორია მის ავტორს ხსენებული ქალაქის ჰოსპიტალში ყოფნისას მოუსმენია [ორბელიანი 1959: 293-295].

ამრიგად, 1834-1837 წლებში ბალტიისპირეთში დისლოცირებულ რუსულ ჯარში მსახურობდა მომავალში გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, თავადი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე ორბელიანი (1804-1883). იქ ყოფნისას მან შექმნა არაერთი მშვენიერი ლექსი და დაწერა დღიური, რომელიც, მის მიერ საქართველოში გამოგზავნილ წერილებთან ერთად, ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს ბალტიისპირეთის იმდროინდელი ყოფაცხოვრების შესახებ [ჯავახიშვილი 2009, № 5: 12-13].

6. გიორგი ქსნის ერისთავი ბალტიისპირეთში (1834-1838 წწ.)

გამოჩენილი დრამატურგი, პოეტი და თეატრის მოღვაწე, თავადი გიორგი დავითის ძე ქსნის ერისთავი (1813-1864) ერთხანს ბალტიისპირეთში მოღვაწეობდა.

1832 წლის დეკემბერში გამჟღავნებულ ანტიიმპერიულ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის რუსეთის საიმპერიო არმიის პრაპორშჩიკ გ. ერისთავს სამშობლოდან გასახლება მიუსაჯეს. 1833 წლის სექტემბრის დასაწყისში მან შეიტყო, რომ ბალტიისპირეთში აგზავნიდნენ [გაფრინდაშვილი 1988: 104].

1834 წლის 9 იანვარს გ. ერისთავი გაგზავნეს ქ. ვილნოში, სადაც ფეხოსანთა III დივიზიის ნოვო-ინგერმანლანდიის პოლკში ჩარიცხეს [Акты 1881: 413].

პოეტმა ბალტიისპირეთსა და პოლონეთში ოთხ წელიწადს დაპყო [ბერძნიშვილი 1980: 226]. ის სხვადასხვა დროს მსახურობდა ვილნოში, კოვნოში, რიგაში, ვარშავაში, ბელოსტოკსა და სხვა ქალაქებში [გამეზარდაშვილი 1949: 26].

გ. ერისთავმა საფუძვლიანად შეისწავლა პოლონური ენა, რამაც მას შესაძლებლობა მისცა, რომ დედანში ზიარებოდა პოლონურ ლიტერატურას, ხოლო ადამ მიცკევიჩის „ყირიმის სონეტები“ და „დიდი იმპროვიზაცია“ ქართულ ენაზე ეთარგმნა. სამხედრო სამსახურის პარალელურად, ის ლექციებს ისმენდა ვილნოს უნივერსიტეტში. იქ მას შეუყვარდა მშვენიერი ლიტველი ქალწული, რომელსაც შემდგომ თავის ნაწარმოებებში იხსენიებდა [ვოზნიაკი 2004: 99].

პოეტს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა როზალია ბიშპინგთან და პელაგია არციმოვიჩთან. იგი მიუთითებდა, რომ პელაგია შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე და მღეროდა.

გადასახლებაში მყოფი გ. ერისთავი შეხვდა იმხანად ბალტიისპირეთში მყოფ გრიგოლ ორბელიანს, რომელთანაც მიმოწერა ჰქონდა.

ბალტიისპირეთი და პოლონეთი გ. ერისთავისათვის იქცა იმ სარკმელად, რომლიდანაც იგი გაეცნო ევროპულ კულტურას, ლიტერატურას და ყოფა-ცხოვრებას [გაფრინდაშვილი 1988: 104-106].

1838 წელს გ. ერისთავს ნება დართეს, რომ დროებით ჩამოსულიყო საქართველოში, სადაც საბოლოოდ 1842 წელს დაბრუნდა [ალანია 1979: 192].

ამრიგად, 1834-1838 წლებში ბალტიისპირეთში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი დრამატურგი, პოეტი და თეატრის მოღვაწე, თავადი გიორგი დავითის ძე ქსნის ერისთავი (1813-1864), რომელიც გაეცნო ევროპულ კულტურას, ლიტერატურას და ყოფა-ცხოვრებას [ჯავახიშვილი 2010, № 7: 249].

7. ქართველი გენერლები ბალტიისპირეთში (XVIII საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე)

რუსეთის არმიის იმ ქართველი (ან ქართული წარმომავლობის) გენერლებისა და მაღალი რანგის ოფიცრების ერთი ნაწილის შესახებ, რომლებიც ბალტიისპირეთში სხვადასხვა დროს იბრძოდნენ ან მსახურობდნენ, ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ამ ქვეთავში შესწავლილი გვაქვს საქმიანობა რუსეთის საიმპერიო არმიის იმ ქართველი (ან ქართული წარმომავლობის) გენერლებისა და მაღალი რანგის ოფი-

ცრებისა (მათ გენერლის წოდება მოგვიანებით მიიღეს), რომლებიც ბალტიისპირეთში XVIII საუკუნის მიწურულიდან – XX საუკუნის ოციან წლებამდე მსახურობდნენ, ანდა ამ რეგიონთან სხვა კუთხით იყვნენ დაკავშირებულნი.

1794 წელს რუსეთის საიმპერიო არმიამ ალექსანდრე სუვოროვის ხელმძღვანელობით პოლონეთში ილაშქრა. მისი არმიის შემადგენლობაში იბრძოდა გენერალმაიორი (1804 წლიდან – ინფანტერიის გენერალი) პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (1754-1806), რომლის პაპა – თავადი პაატა ზაქარიას ძე ციციშვილი ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის ამალას გაჰყვა რუსეთში და იქ დამკვიდრდა.

გენერალმა პ. ციციანოვმა თავი ისახელა აღნიშნული სამხედრო კამპანიისას მომხდარ არაერთ ბრძოლაში, განსაკუთრებით კი ვილნოს აღებისას, რისთვისაც იგი უხვად დააჯილდოვეს. კერძოდ, მას უბოძეს: წმ. გიორგის III ხარისხის ორდენი, ოქროს ხმალი ალმასებითა და წარწერით „მამაცობისათვის“ და მინსკის გუბერნიაში მდებარე მამული – 1500 ყმით [მეგრელიძე 1979: 15-16].

1794 წლის 15 სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ პ. ციციანოვი ჯილდოვდება წმ. გიორგის ორდენით: „Во уважение на усердную службу и отличное мужество, оказаное при овладении укреплениями и самим городом Вильной, где начальствуя войсками, разбил неприятеля и участвовал в одержанной тут победе“ [Гогитидзе 2007: 258].

ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი შალვა ამირეჯიბი (1886-1943) წერდა: „პოლონეთთან ომების დროს ციციშვილი უკვე გენერალი იყო და ვილნოს რეტრანშემენტების აღებისათვის წმ. გიორგის ორდენით იქნა დაჯილდოებული. ეკატერინე დიდი „თავის გენერალს“ ეძახდა. ახალგაზრდა მხედარს ისეთი სახელი ჰქონდა, რომ ვარშავასთან დგომის დროს შესანიშნავი სუვოროვი ჯარებისადმი საგანგებო ბრძანებას სცემდა: „იბრძოლეთ ისე, როგორც მამაცი თავადი ციციშვილიო“. ეს ბრწყინვალე კარიერა პავლეს ტახტზე ასვლამ შეაჩერა...

სამხედრო კარიერას ციციშვილი მხოლოდ პავლე I-ის სიკვდილის შემდეგ დაუბრუნდა, როდესაც ტახტზედ ალექსანდრე I ავიდა...

ციციშვილს რუსები თავისად თელიდნენ... მან შესანიშნავი რუსული ეპოქა განვლო. ციციშვილი ჯერ ეკატერინე დიდის გენერალი იყო, შემდეგ – ალექსანდრე I-ის. ბებია და შვილიშვილი ერთმანეთს ვერაფერს დააყვედრებდნენ: პირველი – ქმრის მკვლელი იყო, მეორე – მამისა. მაგრამ ქმრის წახრჩობა და მამის მოკვლა ნევის ნაპირებზე ისეთ საქმედ იყო მიჩნეული, რის გამო არც ცოლებს ეყინებოდათ სისხლი, არც შვილებს. ციციშვილი ამ ზნეობრივ გარემოში გამოიზარდა და, ამ მხრივ, მართლაც რუსი იყო. მაგრამ ის იყო რუსი, როგორი რუსებიც იყვნენ ბაგრატიონი და ბარკლაი დე ტოლი, ჩარტორიისკი და ბენიგსენი და საზოგადოდ მთელი ის ნაირი ხალხი უცხო მოდგმისა, რომელიც სახლში ბედწახდენილი, რუსეთში მიდიოდა, რომ კარიერა თავისი მახვილის ბოლოდან ამოეგო. ამ გადამთიელი ხალხისათვის რუსული ზნეობრივი გარემო პირდაპირ აღების ღამე იყო და ნაპოლეონიც ისე არ ახსენებდა მათ, თუ არა „რენეგატობით“ [ამირეჯიბი 1930].

რუსეთის საიმპერიო არმიის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მხედართმთავარი, ინფანტერიის გენერალი, მრავალი საპატიო ჯილდოს კავალერი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1766-1812) – ქართლის მეფე იესეს (მეფობდა 1714-1716 და 1724-1727 წლებში) პირდაპირი შთამომავალი იყო [Дворянские роды 1996: 50-52]. მას ცოლად ჰყავდა გრაფინია ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია (1783-1857) [გონიკიშვილი 1986: 55], რომლის წინაპრებიც წარმოშობით კურლანდიიდან იყვნენ.

პ. ბაგრატიონმა თავი ისახელა რუსეთის მრავალ სამხედრო კამპანიაში მონაწილეობისას. მათ შორის იყო იტალიასა და შვეიცარიაში 1799 წელს განხორციელებული სამხედრო ექსპედიციებიც [Федорченко 2000, I: 91].

1800 წლის აპრილში, ზემოხსენებულ კამპანიაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა პ. ბაგრატიონს ჯილდოდ უბოძა მდიდარი სოფელი, რომელიც ლიტვის გუბერნიაში მდებარეობდა [Грибанов 1979: 61].

სახელოვანი სარდალი სულითა და ხორცით მხედარი იყო. მისი მოღვაწეობის მთავარ ასპარეზს ბრძოლის ველი წარმოადგენდა. ამიტომაც, მას სრულებით არ იზიდავდა იმპერატორის მიერ ჯილდოდ ნაბოძები ყმა-მამული, რომელთაც ხშირად არც კი მოინახულებდა, ისე ჰყიდდა. მას მდიდრული, ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდა, რის გამოც იძულებული იყო, რომ სისტემატურად აეღო ვალი. შემდეგ, ამ ვალს, რომელიც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა, იგი თავისი მამულების გაყიდვით იხდიდა [გონიკიშვილი 1986: 51-57].

1802 წელს პ. ბაგრატიონმა ლიტვის მამულიდან 6 ახალგაზრდა ყმა ამოარჩია და თან წაიყვანა, ხოლო თვით სოფელი – რუსეთის სახელმწიფო ხაზინას მიჰყიდა [Грибанов 1979: 72].

საგულისხმოა, რომ, ათი წლის შემდეგ, ბოროდინოს ბრძოლაში დაჭრილმა და სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულმა გენერალმა, გარდაცვალების წინ თავის ლიტველ ყმებს თავისუფლება უბოძა [ჯავახიშვილი 2010, № 7: 245-256].

1863-1864 წლებში ვილნოს სამხედრო გუბერნატორი იყო წარმოშობით ქართველი თავადი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ვლადიმერის ძე იაშვილი (1815-1864). [Гогитидзе 2007: 303]. მისი მამა – გენერალ-მაიორი ვლადიმერ მიხეილის ძე იაშვილი (1764-1815) 1801 წლის 11 მარტს უშუალოდ მონაწილეობდა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის მკვლელობაში [Дмшн 1998: 281-283].

1868-1870 წლებში ბალტიისპირეთში მსახურობდა ცნობილი მეცნიერი, გენერალ-ლეიტენანტი პეტრე რომანის (რევაზის) ძე ბაგრატიონი (1818-1876). იგი იყო პირდაპირი შთამომავალი ქართლის მეფე იესესი, რომელიც 1714-1716 და 1724-1727 წლებში მეფობდა და, იმავდროულად, ძმისწული ზემოხსენებული პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონისა [Дворянские роды 1996: 50-51].

პ. ბაგრატიონი დაახლოებული იყო რუსეთის საიმპერატორო კართან. კერძოდ იგი სხვადასხვა დროს იყო: იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სიძის, ჰერცოგ მაქსიმილიან ლეიხტენბერგის ადიუტანტი (1845-1852), იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი (1852 წლიდან), საიმპერატორო სასახლის კომენდანტი და დაცვის უფროსი (1854 წლიდან), იმპერატორის პირადი ამალის უფროსი (1857 წლიდან).

1862-1868 წლებში პ. ბაგრატიონი მსახურობდა ტვერის გუბერნატორად, ხოლო 1868-1870 წლებში – ვილნოს, გროდნოს, კოვნოსა და მინსკის გენერალ-გუბერნატორ პოტაპოვის თანაშემწედ სამოქალაქო ნაწილში და ვიტებსკისა და მოგილევის გუბერნიების უფროსად.

1870 წლის 22 სექტემბერს პ. ბაგრატიონი დაინიშნა ლიფლანდიის, ესტლანდიისა და კურლანდიის (ანუ ოსტზეის მხარის) გენერალ-გუბერნატორად და გადავიდა რიგაში, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა.

სახელმწიფო და სამხედრო სამსახურის პარალელურად, პ. ბაგრატიონი ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან ფიზიკასა და ქიმიაში უდიდესი მნიშვნელობის გამოკვლევები შექმნა, რითაც მოიპოვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების აღიარება და, იმავდროულად, მსოფლიოს ცალკეულ სახელმწიფოთა მრავალი საპატიო ჯილდო [პარკაძე 1970].

პ. ბაგრატიონი დაჯილდოებული იყო რუსეთის იმპერიის შემდეგი ჯილდოებით:წმ. ანას I ხარისხის (გვირგვინით), წმ. სტანისლავის I, II და III ხარისხის, წმ. ვლადიმირის I, II და III ხარისხის ორდენებით, ასევე შემდეგი ევროპული ჯილდოებით: შვედეთის წმ. ოლაფის ორდენის კავალრის ჯვრით (1849); პორტუგალიის ქრისტეს ორდენის კომანდორის ჯვრით (1850); ნეაპოლიტანიის წმ. ფრანცისკის ორდენით (1852); ბავარიის წმ. მიხეილის ორდენის კომანდორის ჯვრით (1852); ჰესენის წმ. ფილიპე სულგრძელის ორდენით (1852) და ბადენის ცერინგენის ლომის (1852) ორდენით [Гогитидзе 2007: 60].

ბალტიისპირეთში გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე მოღვაწეობა პ. ბაგრატიონს ამ მხარისათვის ფრიად რთულ პერიოდში მოუწია. იმხანად რუსეთის ცარიზმი ენერგიულად იბრძოდა ბალტიისპირეთში არსებული გერმანული გავლენის აღმოსაფხვრელად. საიმპერიო ხელისუფლება ატარებდა რეფორმებს, რომლებიც მიმართული იყო ამ რეგიონში რუსული გავლენის დასამკვიდრებლად. 1867 წლიდან ბალტიისპირეთში არსებულ ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში საქმე უნდა ენარმოებინათ რუსულ ენაზე, ნაცვლად მანამდე არსებული გერმანულისა.

პ. ბაგრატიონი, როგორც რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, ბუნებრივია, ახორციელებდა იმ პოლიტიკას, რომელსაც საიმპერიო ხელისუფლება კარნახობდა, მაგრამ, იმავდროულად, ის საკმაოდ ფრთხილად და გონივრულად მოქმედებდა [ჯავახიშვილი 2009, № 5: 13-15]

აკადემიკოსი იანის სტრადინში შენიშნავდა: „П. Р. Багратион, как генерал-губернатор, осуществлял намеченные правительством нововднения, несмотря на противодействие местных немецких кругов. Будучи приверженецем русификации Прибалтики, но в то же время достаточно осторожным и гибким политиком, он прежде всего стремился умерить накал страстей, достигший своего апогея к моменту вступления его на должность. С этой целью он пошёл на известные уступки остзейским кругам, чтобы затем еще более настойчиво проводить намеченную программу" [Страдинь 1970: 246].

რიგის პოლიტექნიკუმის წესდების მიხედვით, მის მზრუნველად (კურატორად) ითვლებოდა ბალტიისპირეთის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე მყოფი პირი. აქვე დავსძენთ, 1862 წელს დაარსებული ეს სასწავლებელი იყო რუსეთის იმპერიის უძველესი პოლიტექნიკური უმაღლესი სკოლა, რომელმაც მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მომზადებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. ამ სასწავლებელმა ასევე მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საინჟინრო-ტექნიკურ, ქიმიურ და მათემატიკურ მეცნიერებათა სფეროს ცალკეულ მიმართულებათა განვითარებას [Страдинь 1964: 197-211].

პ. ბაგრატიონმა უდიდესი ამაგი დასდო რიგის პოლიტექნიკუმს, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდა. მისი თანადგომის წყალობით, ამ სასწავლებლის მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა [პარკაძე 1970: 16].

1870 წლიდან პოლიტექნიკუმი გადავიდა ახლად აგებულ შენობაში, რომელსაც 1875-1877 წლებში II კორპუსიც დაემატა. ამ კორპუსში განთავსდა მოსამზადებელი სკოლა, სოფლის მეურნეობის განყოფილება და „საცდელი სადგური".

ამ სასწავლებელს, რომელიც მანამდე, როგორც კერძო დაწესებულება, ბალტიისპირეთის ქალაქების, არისტოკრატიისა და ვაჭარ-მრეწველთა დოტაციაზე არსებობდა, პ. ბაგრატიონის ინიციატივით, 1875 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაეინიშნა ყოველწლიური ფულადი დახმარება – 10.000 რუბლის ოდენობით, რითაც მისი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი იფარებოდა.

ადრე აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებულთ სამსახურში იღებდნენ კერძო მეწარმეები, ხოლო სახელმწიფო სამსახურში (მაგალითად, ხიდების, რკინიგზისა და სხვა სახის მშენებლობაზე) ისინი დიპლომირებულ ინჟინრებად არ ითვლებოდნენ.

პ. ბაგრატიონის პირადი განკარგულებით, რიგის პოლიტექნიკუმის საინჟინრო, მანქანათმშენებლობისა და საარქიტექტორო განყოფილებათა კურსდამთავრებულთა სტატუსი 1875 წლიდან გაუთანაბრდა სანკტ-პეტერბურგის სარკინიგზო ინსტიტუტის სამოქალაქო ინჟინერთა სტატუსს. ამიერიდან, მათ გზა ხსნილი ჰქონდათ და შეეძლოთ დაეკავებინათ შესაბამისი თანამდებობები სახელმწიფო სამსახურში ბალტიისპირეთის გუბერნიის მთელ ტერიტორიაზე.

გენერალ-გუბერნატორმა დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა პოლიტექნიკუმის აღჭურვაში სათანადო მოწყობილობებით, კოლექციებითა და წიგნებით. იგი ყოველწლიურად ჩუქნიდა სასწავლებელს მათემატიკური, ტექნიკური და ხელოვნებათმცოდნეობითი შინაარსის წიგნებს, იშვიათ მინერალებს, სამეცნიერო მოწყობილობას.

პ. ბაგრატიონი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა საინჟინრო და მანქანათმშენებლობის სპეციალობებისადმი, რომლებსაც ბალტიისპირეთის ეკონომიკური წინსვლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს დამსახურებანი ადგილობრივმა კაპიტალისტებმა სათანადოდ დააფასეს.

განათლების განვითარებაზე მზრუნველი გუბერნატორის სახელის უკვდავსაყოფად, რიგელმა ბანკირმა გეიმანმა 1873 წელს გაიღო 4.000 რუბლი, რითაც რიგის პოლიტექნიკუმის წარჩინებული სტუდენტებისათვის – „მზრუნველის სტიპენდია" დაწესდა. მრავალი ათწლეულის განმავლობაში ეს სტიპენდია ძირითადად მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტებზე გაიცემოდა.

პ. ბაგრატიონი მეგობრობდა რიგის პოლიტექნიკუმის პირველ დირექტორთან, ფიზიკის პროფესორ ერნესტ ნაუკთან (1819-1875), რომელიც აღნიშნულ სასწავლებელს მართლაც სანიმუშო ხელმძღვანელობას უწევდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ნაუკი მოულოდნელად გარდაიცვალა ბაგრატიონთან ჭადრაკის თამაშისას.

გენერალ-გუბერნატორის მონდომებით, ე. ნაუკის ოჯახს მაღალი სახელმწიფო პენსია დაენიშნა.

აკად. ი. სტრადინშის შეფასებით: „Действия П. Р. Багратиона на посту попечителя Рижского политехникума следует рассматривать как первые шаги к превращению училища в государственный Рижский политехнический институт со всеми официальными правами преподавателей и выпускников. Эта деятельность П. Р. Багратиона заслуживает определенной положительной оценки, хотя как генерал-губернатор он был проводником политики самодержавия в Прибалтике. Характерно, что заслуги П. Р. Багратиона как попечителя Рижского политехникума признаются даже прибалтийско-немецкой историографией, которая в общем-то оценивает его довольно сдержанно" [Страдинь 1970: 247-249].

ბალტიისპირეთში მოღვაწეობის პერიოდში პ. ბაგრატიონმა იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ ამ მხარის შინაგან საქმეებში თვით რუსეთის იმპერატორიც კი აღარ ერეოდა [მეგრელიძე 1979: 169].

1876 წლის 17 იანვარს, სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით, სანკტ-პეტერბურგში მყოფი პ. ბაგრატიონი ასთმის შეტევით გარდაიცვალა. დაკრძალულია წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ვოსკრესენსკის ნოვოდევიჩის მონასტერში. მისი დაკრძალვის დღეს რიგის პოლიტექნიკუმში გლოვა გამოცხადდა.

იმავე წლის 25 იანვარს, ანუ პ. ბაგრატიონის გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ, მის მიერ დაკავებული თანამდებობა გაუქმდა.

ამით ბალტიისპირეთის მმართველობის ცენტრმა რიგიდან – სანკტ-პეტერბურგში გადაინაცვლა, რაც ამ მხარის რუსეთთან შერწყმის მორიგ ეტაპს წარმოადგენდა. სწორედ იმხანად გამომჟღავნდა რუს იმპერიალისტთა მანამდე შენიღბული ზრახვები. თუ ბალტიისპირეთის ადაპტაციას და ინტეგრაციას რუსეთის იმპერიის დანარჩენ ნაწილებთან პ. ბაგრატიონი თანდათანობით, საკმაოდ ფრთხილი ღონისძიებებით ცდილობდა [Дворянские роды 1996: 52], მისი გარდაცვალების შემდეგ, ამ პროცესმა უფრო შესამჩნევი ხასიათი შეიძინა.

რუსეთის იმპერიის იმდროინდელ პრესაში განსვენებული გენერალ-გუბერნატორის შესახებ მრავალი სტატია გამოქვეყნდა. მათ შორის იყო როგორც რუსულ, ასევე, გერმანულ, ლატვიურ და ესტონურ ენაზე გამომავალი გაზეთები.

რიგაში გამომავალი გაზეთი „Рижский вестник" წერდა: „Факт упразднения генерал-губернаторства давно уже можно было предвидеть. Известно, что князь Багратион нередко говорил – «я последний на этом посту». Упразднение Новоросийского генерал-губернаторства, упразднение наместничества Царства Польского, отделение Могилевской и Витебской губерний от Виленского генерал-губернаторства – все это были ясные моменты зрело обдуманной внутренней политики, стремящейся сглаживать дробность государственного строя, отменять псключения, подводя их под общие правила, ослаблять изолированность, распространять силу законов общих... Теперь начинается новый период для русской прибалтийской окраины: период общения и нормального слияния с интересами русскими" [„Рижский вестник" 1876].

სანკტ-პეტერბურგში გამომავალ გაზეთში „Иллюстрированная газета" აღნიშნული იყო: „თავად პ. ბაგრატიონის ექვსწლიანმა მმართველობამ ბალტიისპირეთის ისტორიაში მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი პერიოდი შექმნა. სამოციანი წლების მიწურულს ბალტიისპირეთის გუბერნიებში გაბატონებული კლასები არ იყვნენ რეფორმის მომხრენი არც სახელმწიფოებრივი და არც ადგილობრივი მოსახლეობის თვალსაზრისით. იმხანად გაჩაღებული უაღრესად გამაღიზიანებელი საგაზეთო პოლემიკა, რომელსაც მხარს უჭერდნენ გერმანოფილები, მიმართული იყო რუსეთის საწინააღმდეგოდ. ამიტომაც, თავად ბაგრატიონის მიერ დაკავებული თანამდებობა აღსავსე იყო მრავალი წინააღმდეგობით.

ბალტიისპირეთის მმართველს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვებოდა შემრიგებლის როლის შესრულება, გერმანული გავლენის შესუსტება, ნაციონალისტურ ვნებათა ჩაცხრობა და დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა. ყოველივე ამას უპირველესად გარკვეული დრო ესაჭიროებოდა.

თავად ბაგრატიონის ექვსწლიანი გონივრული და გაწონასწორებული მოღვაწეობა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. იმ პერიოდში ნაციონალისტური ვნებანი მიყუჩდა და დიდი ყურადღება დაეთმო როგორც მხარის ადგილობრივ ცხოვრებას, ასევე, საერთოდ, სახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრას. ამგვარად, თავად ბაგრატიონის გენერალ-გუბერნატორობის პერიოდში მომზადდა ნიადაგი როგორც სასამართლო, ასევე სამოქალაქო რეფორმების განსახორციელებლად: რეველისა და მიტავის გუბერნიებში რუსული ენის სწავლების ნებაყოფლობითი შემოღება, გერმანული გავლენის შესუსტება და სხვ., რაც ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ შესრულდა. ბოლოს ბაგრატიონის მოღვაწეობა იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ მისი მეოხებით, ბალტიისპირელმა ხალხებმა... პირი იბ-

რუნეს რუსეთთან სამეგობროდ. ყოველივე ეს მოხდა იმ მშვიდი, შემრიგებლური მოქმედების სისტემისა და პოლიტიკის წყალობით, რასაც განსვენებული ფრიად წარმატებით ახორციელებდა“ [„Иллюстрированная газета“ 1876].

ბალტიისპირეთში გამომავალ პრესაში პ. ბაგრატიონის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში ჩამოთვლილი იყო მისი დამსახურებანი.

ლატვიურ გაზეთში „Baltijas Zemkopis“ გამოთქმული იყო რწმენა, რომ, გენერალ-გუბერნატორის გარდაცვალების მიუხედავად, მის მიერ დაწყებული რეფორმები გაგრძელდებოდა [„Baltijas Zemkopis“ 1876].

ესტონურ გაზეთში „Perno Postimees“, რომელსაც ცნობილი ესტონელი საზოგადო მოღვაწე ი. ვ. იანსენი გამოსცემდა, გამოქვეყნდა პ. ბაგრატიონის ნეკროლოგი მისი ცხოვრების საკმაოდ ვრცელი აღწერილობითურთ. გაზეთში აღნიშნული იყო, რომ, მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, პ. ბაგრატიონი თავის სამსახურებრივ მოვალეობებს პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით ეკიდებოდა და პირნათლად ასრულებდა [„Perno Postimees“ 1876].

პ. ბაგრატიონის გარდაცვალება აუნაზღაურებელ დანაკლისად იქცა რიგის პოლიტექნიკუმისათვის, რომელმაც ფრიად გავლენიანი მფარველი დაკარგა. ახალ მზრუნველად დანიშნულ ლიფლანდიის გუბერნატორს არ გააჩნდა თავისი წინამორბედის მსგავსი გავლენა საიმპერიო ხელისუფლებაში, რამაც აღნიშნული სასწავლებლისათვის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეაფერხა. ამის გამო, სასწავლებლის გარდაქმნა სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტად მხოლოდ ოცი წლის შემდეგ – 1896 წელს მოხერხდა [Ванаг 1970: 17].

ბალტიისპირეთში მსახურობდა ინფანტერიის გენერალი (1905 წლიდან), აზნაური გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი (1840-1921), რომელიც 1887-1891 წლებში სათავეში ედგა ლიტვის 51-ე ქვეით პოლკს [სურმანიძე 2006: 15]. შემდეგ იგი მსახურობდა: ვარშავის ციხესიმაგრის შტაბის უფროსად (1891-1899), ვარშავის გამაგრებული რაიონის შტაბის უფროსად (1902-1905), ხაბაროვსკის გენერალ-გუბერნატორად და ვლადივოსტოკის სამხედრო კომენდანტად (1905-1906) [Гогитидзе 2007: 141].

ვიტებსკის გუბერნიის ქ. დვინსკში (1917 წლიდან – დაუგავპილსი) დისლოცირებულ ლიფლანდიის 97-ე ქვეით პოლკს მეთაურობდა გენერალ-ლეიტენანტი (1917 წლიდან), აზნაური დავით კონსტანტინეს ძე გუნცაძე (1861-1922). 1915-1917 წლებში იგი სათავეში ედგა 53-ე ქვეით დივიზიას. სხვა ორდენებთან ერთად, იგი დაჯილდოებული იყო ასევე წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენითა და საპატიო ხმლით [Гогитидзе 2007: 110].

I მსოფლიო ომის პერიოდში, დასავლეთის ფრონტზე ცხენოსან ბრიგადას მეთაურობდა გენერალ-მაიორი, თავადი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მიქელაძე (1863-1919), რომელიც ერთხანს ქ. ვილნოს კომენდანტი იყო [დოლიძე 2003: 75; Гогитидзе 2007: 193].

1917 წლის იანვრიდან ლიტვის II მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსად მსახურობდა პოლკოვნიკი ალექსანდრე ყარამანის ძე ზაქარიაძე (1884-1957), რომელიც შემდეგ ლიტვის ზენიგალსკის V რაზმს ხელმძღვანელობდა.

სექტემბერში, რიგის ოლქის როდენპოის (ამჟამად – როპეჟე) რაიონში მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის ის დაჯილდოვდა წმ. გიორგის IV ხარისხის დაფნით შემკული ორდენით.

ა. ზაქარიაძე იგონებდა: „ვიყავი ჩრდილოეთ ფრონტზე ქ. რიგის მიდამოებში, ლატვიელთა II დივიზიის შტაბის უფროსად. უკვე მივიღე ბრძანება, შევდგომოდი

ლატვიური კორპუსის შტაბის ორგანიზაციას, როდესაც 27 ოქტომბერს მივიღე წინადადება გადავსულიყავი ქართულ კორპუსში. მე, რასაკვირველია, მაშინვე დავთანხმდი" [შარაძე 2003, IV: 197].

იმავე წლის 23 ნოემბერს იგი სამშობლოში დაბრუნდა. მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ (გენერლის წოდებით) [Джавахишвили 2003, II: 107]

ამრიგად, XVIII საუკუნის მიწურულიდან – XX საუკუნის 20-იან წლებამდე, ბალტიისპირეთში მსახურობდნენ რუსეთის საიმპერიო არმიის ქართველი (ან ქართული წარმომავლობის) გენერლები ანდა მაღალი რანგის ოფიცრები (რომლებმაც გენერლის წოდება მოგვიანებით მიიღეს): 1794 წელს – პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი/ციციშვილი (1754-1806); 1863-1864 წლებში – ვლადიმერ ვლადიმერის ძე იაშვილი (1815-1864); 1868-1876 წლებში – პეტრე რომანის (რევაზის) ძე ბაგრატიონი (1818-1876); 1887-1891 წლებში – გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი (1840-1921); I მსოფლიო ომის წლებში – დავით კონსტანტინეს ძე გუნცაძე (1861-1922), ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მიქელაძე (1863-1919) და ალექსანდრე ყარამანის ძე ზაქარიაძე (1884-1957). ლიტვის გუბერნიაში საკუთარი მამული ჰქონდა პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონს (1765-1812) [ჯავახიშვილი 2011, № 9].

8. ქართულ-ბალტიური ურთიერთობა (XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე)

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველო აღმოჩნდა იმავე იმპერიის შემადგენლობაში, რომელმაც მანამდე ბალტიისპირეთი შეიერთა. სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს ინტენსიური ურთიერთობა საქართველოსა და ბალტიისპირეთს შორის.

საქართველოს, მისი კულტურისა და ლიტერატურის მიმართ ბალტიისპირეთში საკმაოდ დიდი ინტერესი არსებობდა.

ამის მაუწყებელია ის ფაქტი, რომ 1803 წელს რიგაში გერმანულ ენაზე გამომავალ ჟურნალში „Nordisches Archiv" დაიბეჭდა ორი სტატია საქართველოში იმხანად არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარების შესახებ. სტატიებში მოთხრობილი იყო საქართველოში არსებულ სკოლებზე, ქართულ კლასიკურ ლიტერატურასა და მუსიკაზე [„Nordisches Archiv" 1803].

საქართველოში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ესტონელი ფარმაცევტები: ფერდინანდ ოტენი, არტურ შტაკმანი, იოჰან მარტენსონი და სხვები.

იმავე საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა ესტონელი ბუნებისმეტყველი და ფიზიკოსი იოჰან ფრიდრიხ პაროტი.

თბილისიდან ი. პაროტი ჩავიდა სოფელ წინანდალში, სადაც ესტუმრა ქართული რომანტიზმის გამოჩენილ წარმომადგენელს ალექსანდრე ჭავჭავაძეს. მან პოეტის ლექსები თარგმნა [დაუშვილი 2007/7/IX].

1864 წლის მონაცემებით, თბილისში ცხოვრობდა 15 ლიტველი, 10 ლატვიელი და რამდენიმე ესტონელი [Ашчабадзе 1990: 29].

საქართველოში ნახევარი საუკუნის (1858-1909 წწ.) განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი არქიტექტორი ოტო იაკობ სიმონსონი (1832-1914),

რომელიც წარმოშობით რიგელი შვედი იყო. 1858 წელს მან დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემია, რომელმაც მას არქიტექტურის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. იმავე წელს, კავკასიის მეფისნაცვლის, გენერალ-ფელდმარშალ ალექსანდრე ბარიატინსკის მიწვევით, სიმონსონი გადმოვიდა თბილისში, მის კანცელარიაში შტატგარეშე არქიტექტორად.

საქართველოში სიმონსონი ეწეოდა ინტენსიურ მუშაობას როგორც დამპროექტებელი, ადგენდა ტიპურ პროექტებს საფოსტო და საინჟინრო უწყებებისათვის, ეკლესიების პროექტებს კავკასიაში მდებარე სხვადასხვა პუნქტისათვის (მათ შორის იყო თბილისის კუკიის ეკლესია, ყვარლის ციხესიმაგრე და სხვ.).

1859 წელს, ა. ბარიატინსკის ბრძანების შესაბამისად, ო. სიმონსონმა შეადგინა ესკიზური პროექტი ალექსანდრეს მოედანზე (პლაცზე) საზოგადოებრივი ბაღის მოსაწყობად. იმ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ალექსანდრეს ბაღს (ამჟამად – „9 აპრილის ბაღი"). მანვე შეადგინა პროექტები: ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ახალი გალავნისა, რიგი საზოგადოებრივი და სახელმწიფო დანიშნულების შენობებისა და ასევე საცხოვრებელი სახლებისა, რომლებიც ეკუთვნოდა ი. თამამშევს (1872, ამჟამად – გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე „კავკასიური სახლი"), ი. ზუბალაშვილს (1879) და სხვა.

მის სახელთან არის დაკავშირებული მეფისნაცვლის სასახლის (ამჟამად – მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე) ჯერ ნაწილობრივი (1858-1859), შემდეგ კი მთლიანი რეკონსტრუქცია. მანვე შეასრულა დეკორატიული სამუშაოები თბილისის თეატრის შენობაში (1860-1861).

77 წლის ასაკში ო. სიმონსონი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქ რიგაში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა [ენციკლოპედია „თბილისი" 2002: 830].

აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის (1914-2000) შეფასებით, იმ უცხოელ არქიტექტორებში, რომლებმაც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში „განსაკუთრებული კვალი დააჩნიეს თბილისს", თავისი ადგილი უკავია ოტო სიმონსონს, რომლის მრავალრიცხოვან ქმნილებათა შორის არის მოსწავლეთა „სასახლის შენობა დღევანდელი სახით" [ბერიძე 1987: 354]. მისივე ცნობით, იმავე არქიტექტორს, „ზარზმის ეკლესიის მიმსგავსებით, აბასთუმანშიაც ააშენებინეს ეკლესია" [ბერიძე 1987: 343].

აქვე დავსძენთ, რომ აბასთუმნის ხსენებული ეკლესია ო. სიმონსონმა ააგო XIX საუკუნის მიწურულს, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ფორმების გამოყენებით [ენციკლოპედია „თბილისი" 2002: 830].

1867 წელს თბილისში დასახლდა ცნობილი ესტონელი საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი და პუბლიცისტი, ექიმი პაულ ბლუმბერგი. მან საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები ესტონელ მკითხველს რამდენიმე საყურადღებო სტატიით გააცნო.

1870 წელს საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა ესტონელმა საზოგადო მოღვაწემ იოზეფ რობერტ რეცოლდმა (1847-1909), რომელმაც თავისი შთაბეჭდილებანი პრესაში გამოაქვეყნა [Исаков 1969: 101-103].

1897-1902 წლებში კავკასიის II არმიის კორპუსის სარდლის თანამდებობაზე მსახურობდა გენერალი ედუარდ ედუარდის ძე ზეზემანი (1833-1902), რომელიც დაიბადა და აღიზარდა კურლანდიის გუბერნიაში, პასტორის ოჯახში. სწავლობდა ქ. ლიბავის (ამჟამად – ლიეპაია) გიმნაზიაში. მის ნაწერებში აღმოჩნდა ყარსის ოლქში მოგზაურობისა და ანისის ნანგრევების აღწერა, რაც გადაეცა „Известия КОИРГО"-ს რედაქციას [ბერძნიშვილი 1983: 28].

ქართულ წარჩინებულ საგვარეულოთა არაერთი წარმომადგენელი დაუნათესავდა ბალტიისპირეთში მცხოვრებ არისტოკრატიულ გვარებს.

უკანასკნელი ქართველი მეფის, ზემოხსენებული გრიგოლ I-ის (1789-1830) ვაჟმა, ქართლ-კახეთის სამეფო სახლის მეთაურმა და ტახტის მემკვიდრემ, უგანათლებულესმა თავადმა იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკიმ (ბაგრატიონმა) (1826-1880) 1850 წლის 15 სექტემბერს ცოლად შეირთო გრაფინია ეკატერინე პავლეს ასული პალენი.

გერმანული წარმომავლობის ბალტიისპირელი ბარონების – პალენების საგვარეულომ რუსეთის იმპერიაში დიდ წარმატებას მიაღწია. ამ გვარის წარმომადგენელთა ერთ ნაწილს რუსეთის იმპერატორებმა გრაფის ტიტული მიანიჭეს და სახელმწიფოს ხელისუფლების სათავისაკენ ფართო გზა გაუხსნეს.

ი. გრუზინსკის (ბაგრატიონის) სიმამრი იყო კავალერიის გენერალი, გრაფი პავლე პეტრეს ძე ფონ დერ პალენი (1775-1834), – შვილი ასევე კავალერიის გენერლისა, წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალრისა, გრაფ პეტრე ალექსის ძე ფონ დერ პალენისა (1745-1826), რომელსაც იმპერატორმა პავლე I-მა 1799 წელს რუსეთის შთამომავლობითი გრაფის ტიტული მიანიჭა. იგი 1792 წლიდან ხელმძღვანელობდა რიგის სანამესტნიკოს და მოლაპარაკებებს აწარმოებდა კურლანდიის რუსეთთან შეერთების მიზნით. 1795 წელს ის დანიშნეს კურლანდიის გენერალ-გუბერნატორად და უბოძეს ამ მხარეში მდებარე მამული ეკაუ (ამჟამად – იეცავა).

ასევე გავლენიანი პიროვნებები იყვნენ ი. გრუზინსკის სიმამრის ძმები: რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, საიდუმლო მრჩეველი, გრაფი თევდორე პეტრეს ძე ფონ დერ პალენი (1780-1863) და კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოებისა და მათ შორის წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, გრაფი პეტრე პეტრეს ძე ფონ დერ პალენი (1778-1864). 1835-1841 წლებში იგი მსახურობდა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთში. დაკრძალულია რიგასთან მდებარე საკუთარ მამულში (Жау).

ამავე გვარის წარმომადგენლები იყვნენ: კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ბარონი მათე ივანეს ძე ფონ დერ პალენი (1779-1863) [Федорченко 2000, II: 201-205] და რუსეთის იუსტიციის მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, კარის ობერ-კამერჰერი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, გრაფი კონსტანტინე ივანეს ძე ფონ დერ პალენი (1830-1912) [Шилов 2002: 546-549].

გრაფი პალენების სიძე – უგანათლებულესი თავადი ი. გრუზინსკი – გამბედავი, მხიარული და გართობის მოყვარული ადამიანი იყო. მას ახლობელ-მეგობართა ფართო და გავლენიანი წრე გააჩნდა. მას, თავისი ერთ-ერთი თანამედროვის შეფასებით, „ბევრი კარგი ზნე სჭირდა... ნათესავებისათვის არაფერს იშურებდა და რითაც შეიძლებოდა, ხელს უმართავდა. გარდა ამისა, ვინც კი საქართველოდგან აქ მოვიდოდა, ცდილობდა ყოველისფრით პატივი ეცა. ბევრჯელ ვყოფილვარ მოწამეთ, ღარიბ და საწყალ ქართველ სტუდენტებისათვის ხელი გაუმართავს" [ჯავახიშვილი 2008: 66].

ი. გრუზინსკის ქვისლი იყო გენერალ-მაიორი, თავადი გრიგოლ (გიორგი) გრიგოლის ძე დადიან-მინგრელსკი (1798-1851), უმცროსი ვაჟი სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანისა (1770-1804). 1839 წელს მან ცოლად მოიყვანა ელისაბედ პავლეს ასული ფონ დერ პალენი [Думин 1998: 55].

ბალტიისპირელმა ბარონმა მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენმა იქორწინა სალომე ჭავჭავაძეზე (1848-1919), რომელიც იყო ასული გენერალ-მაიორის, თავად დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა (1814-1884) [ჩიქოვანი 2002: 41].

მაქსიმილიანისა და სალომეს ასული – ანა ფონ დერ ოსტენ-საკენი (1870-1931) ცოლად გაჰყვა გენერალ-მაიორს, თავად პეტრე ლევანის ძე მელიქიშვილს(1862-?) [Думин 1998: 176].

ოსტენ-საკენები იყვნენ კურლანდიელი არისტოკრატები, რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე ჯერ კიდევ XV საუკუნეში გამოვიდნენ [Федорченко 2000 II: 184-186].

თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორმა, თავადმა დავით ავალიშვილმა ცოლად შეირთო ოლღა ჰოლმბლადი. მისი მამა იყო ცნობილი ექიმი, შვედური წარმომავლობის ბალტიელი არისტოკრატი, კავკასიის მხარის სამედიცინო ნაწილის მმართველი ედუარდ ჰოლმბლადი, ხოლო ძმა – კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ოსკარ ედუარდის ძე ჰოლმბლადი (1843-1898).

სწორედ ამ ქართულ-ბალტიურ ოჯახში დაიბადა დიდი ქართველი მეცნიერი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და დიპლომატი ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი (1875-1944).

სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ზ. ავალიშვილი იქვე მოღვაწეობდა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ მას სენატორის ხარისხი მიანიჭა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩადგა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამსახურში. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. შეიმუშავა ეროვნული საგარეო პოლიტიკის კონცეფცია და დიდი ამაგი დასდო საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესის დაჩქარებას. აქტიურად მონაწილეობდა ევროპის ქვეყნებში გაგზავნილი სამთავრობო დელეგაციების მუშაობასა და საქართველოს პირველი კონსტიტუციის შექმნაში.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ემიგრაციაში, ჯერ საფრანგეთში, ხოლო 1940 წლიდან – გერმანიაში [ბადრიძე 1997: 60]. თანამშრომლობდა „ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტთან" რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფიზიკოსი და პოლიტოლოგი ალექსანდრე ნიკურაძე (1901-1981) [Джавахишвили 2005: 100].

1944 წლის 21 მაისს ზ. ავალიშვილი გერმანიის ქალაქ შვარცენფელდში გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით ბერლინში ქართულ ენაზე გამომავალი გაზეთი იუწყებოდა: „დავკარგეთ ერთი უნიჭიერესი და უგანათლებულესი ქართველთაგანი... მისი დედა ეკუთვნოდა ჰოლმბლადების შვედურ გვარს, რომელიც დიდი ხნიდან გადმოსახლებული იყო ბალტიკაში. პაპა დედის მხრივ – ედუარდ ჰოლმბლადი იყო ვორონცოვის დროს ფრიად ცნობილი მკურნალი, გამგე ამ ნაწილისა საქართველო-კავკასიაში. იგი ქართველ საზოგადოებასთან მჭიდროდ იყო დაახლოებული...

ზურაბი შეუდარებელი იყო იქ, სადაც საკითხს სჭირდებოდა მეცნიერული გარკვევა. ასეთ დროს მას ბადალი და მეტოქე არა ჰყავდა... იყო გულმართალი, სასტიკი მსაჯული თავის თავისა. ის არ ჩაიდენდა არაფერს, რაც ზნეობასა და პატიოსნებას დაშორებული იყო. თუ ვისმე დაუმეგობრდებოდა, მტკიცედ ინახავდა მას...

ამიტომაც, სამეგობროდ და სამეუღლეოდ არჩეული ნორვეგიული ოჯახის შვილის, მაია ფოგტის დაკარგვას ვერ გაუძლო... ქალბატონი მაია კეთილგუნებიანი ქალი იყო, ყოველმხრივ განათლებული, როგორც შეჰფერის ფრიტიოფ ნანსენისა და სტანისლავ პშიბიშევსკის მახლობელ პირს. მან შეუქმნა თავის ღირსეულ მეუღლეს მყუდრო ცხოვრება, სასიამო კერა" [„საქართველო" 1944, № 26].

1993 წლის მაისში ზ. ავალიშვილის ცხედარი გერმანიიდან საქართველოში გადმოასვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

იმპერატორ ნიკოლოზ II-სთან დაახლოებულმა გვარდიის პოლკოვნიკმა, თავადმა ალექსანდრე ვლადიმერის ძე ამილახვარმა (1880-1968) 1905 წელს სანკტ-პეტერბურგში იქორწინა ბარონესა ელენე-რეგინა-ემანუელა გროტჰუსზე (1872-1934), რომელიც დაბადებული იყო ველიკანში (კურლანდია). მისი მამა იყო გერმანული წარმომავლობის ბარონი კარლ-ქრისტოფორ-ოტო გროტჰუსი, ხოლო დედა – ბარონესა ემა ფონ შტემპელი.

1905 წელს პოლკოვნიკმა ვლადიმერ ვლადიმერის ძე ლუკომსკიმ (1881-1923) იქორწინა ნინო მიხეილის ასულ მელიქიშვილზე (1887-1966). ლუკომსკი იყო ძველი ლიტვური არისტოკრატიული საგვარეულოს შთამომავალი, დაბადებული ქ. ვილნოში [Думин 1998: 112-176].

1907 წლის 3 ივნისს გერმანული წარმომავლობის ბალტიელმა ბარონმა ალექსანდრე ფელიქსის ძე ფონ მეიენდორფმა (1869-1964) იქორწინა ვარვარა (ბაბო) მიხეილის ასულ შარვაშიძეზე (1859-1946). მისი მშობლები იყვნენ: აფხაზეთის მთავარი მიხეილ გიორგის ძე შარვაშიძე (1805-1866) და ალექსანდრა (ცუცუ) გიორგის ასული დადიანი (1822-1864). ვარვარა შარვაშიძის ძმა – უგანათლებულესი თავადი გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე (1846-1918) იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, რომელიც 1866 წელს მომხდარი აფხაზთა სახალხო აჯანყებისას მთავრობდა [Чиковани 2007: 42-44]. იმავდროულად ის იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პოეტი, დრამატურგი და პუბლიცისტი, რომელსაც სძულდა რუსული იმპერიალიზმი, ხოლო საკუთარი, აფხაზი ერის მომავალი ესახებოდა მოძმე ქართველ ხალხთან ერთად, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში.

მეიენდორფების მამული „კლაინე როპ" (ამჟამად – მაზსტრაუპე) მდებარეობდა ლიფლანდიის გუბერნიის ქალაქ ვენდენის (ამჟამად – ცესისი) მახლობლად.

ალ. მეიენდროფის მეუღლის უფროსი დის, თამარ შარვაშიძის (1840-1925) შვილიშვილი იყო ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, თავადი მიხეილ ნიკოლოზის (კოკის) ძე დადიანი (1899-1970), რომელიც მსახურობდა ჯერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, ხოლო შემდეგ პოლონეთის არმიაში (1921-1939), სადაც კავალერიის ოფიცრად ირიცხებოდა.

მ. დადიანი იგონებდა: „ცხრა წელი რომ შემისრულდა (აქ იგულისხმება 1908 წელი. ნ. ჯ.), ბებიაჩემის ძმამ გიორგი შარვაშიძემ თავის დასთან, ბაბოსთან წამიყვანა საზაფხულოდ. ბაბო – ჩემი ნათლია, ცოლად ჰყავდა ბალტიელ ბარონ ა. ფ. მეიენდორფს, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილეს... მეიენდორფების მამულში... იყო უზარმაზარი სასახლე (შატო), მშვენიერი პარკით გარშემოვლებული. იქვე ახლოს მიედინებოდა მდინარე და ბარონს ხშირად დავყავდი მდინარეში საბანაოდ...

„კლაინე როპში" გატარებული ზაფხული არასდროს დამავიწყდება. არ დამკლებია არავითარი სიამოვნება, რომელიც კი ჩემი ხნის ბავშვისათვის შესაძლებელი იყო. ყოველდღე ვცხენოსნობდი, იალქნიანი ნავით დავყავდი ბარონს მდინა-

რეზე. ბარონს გნოლებზე ნადირობა უყვარდა თავის მეზობელთან, ბარონ როზენთან. კვირაში ორჯერ-სამჯერ დადიოდა სანადიროდ და მეც წამიყვანდა ხოლმე. კარტოფილის ყანები სავსე იყო გნოლებით და ყოველი ნადირობის შემდეგ ათი-თორმეტი გნოლი მოგვქონდა.

ბარონ როზენის მამულს ერქვა „გროსსე როპ". ბარონები ნადირობის დროს სულ პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ. რასაკვირველია, მე არ მესმოდა და არც მახსოვს მათი ლაპარაკის შინაარსი. ბაბუა გიორგი და ბარონიც მეტწილად პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ. გიორგი რუსების დიდი მოძულე და მტერი იყო. როგორც შემდეგში გამიგონია, ბარონი ხშირად იზიარებდა გიორგის აზრებს რუსეთის შესახებ და დიდ უსამართლობად მიაჩნდა შარავაშიძეებისათვის მამულებისა და სახლ-კარის ჩამორთმევა მეფის მთავრობის მიერ.

1911 წელს ბარონის ინიციატივით მოხდა გიორგის მამულების ჩამორთმევის გასაჩივრება, მაგრამ საქმე გაჭიანურდა I მსოფლიო ომის დაწყებამდე და შემდეგ უკვე აღარ გაგრძელებულა. ბარონმა კარგად მოზრდილი ბროშურაც კი დაწერა ამ საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც ეწოდებოდა: „იმუშჩესტვენნიე პრავა ნასლედნიკოვ ვლადეტელია აბხაზიი მიხაილა შარვაშიძე".

ბარონს და ნათლია ბაბოს შვილები არ ჰყავდათ და მთელი მათი მშობლიური სიყვარული მე მერგო წილად. ბარონი ხშირად მარიგებდა ჭკუას. თუ რაიმე ბავშვურ უწესობას ან უშმაკობას ჩავიდენდი, ეს ნიშნავდა სულ ცოტა ერთსაათიან ლექციას და ჭკუის დარიგებას. ცხენოსნობაზე დავყავდი რუსულ ჯარში ნამსახურ ცხენოსან ვლადიმერს, რომელიც ერთადერთი რუსი იყო მოჯამაგირეთა შორის. დანარჩენები ლატვიელები იყვნენ... მათი რიცხვი დიდი იყო. ამხელა შატოს და პარკს მრავალი მომვლელი სჭირდებოდა. ჰყავდა ეკონომი ლატვიელი, რომლის ორ შვილთან – ჩემს ტოლებთან ვთამაშობდი ხოლმე...

აგვისტოს დამლევს პეტერბურგში წავედით, სადაც ბარონს დიდებული სახლი ჰქონდა „აზიორნაიას" ქუჩაზე, 12... როგორც შემდეგში გავიგე, ნათლია ბაბოს და ბარონსაც სურდათ, მე კადეტთა კორპუსში მივებარებინეთ და იქიდან პაჟთა კორპუსში გადავეყვანეთ, მაგრამ ბაბუა გიორგის არ მოუსურვებია ჩემი მიცემა კადეტთა კორპუსში: „გარუსდებაო" – უთქვამს და გადაუწყვეტიათ ჩემი დაბრუნება სამშობლოში. ასე რომ, ბაბუა გიორგის უნდა ვუმადლოდე, რომ გარუსებას გადავრჩი" [დადიანი 2008, № 16: 135-137].

1911 წლიდან თბილისში ცხოვრობდა და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ბალტიისპირელი გერმანელი რომან მიხეილის ძე მერეკული (1886-1940), რომელიც დაიბადა და აღიზარდა ქ. რეველში (ამჟამად – ტალინი). მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, კავკასიის სასწავლო ოკრუგის მზრუნველის მოწვევით, 1911 წელს იგი ჩამოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო ვაჟთა I გიმნაზიაში გერმანული ენის მასწავლებლად. აქ იგი 1918 წლის სექტემბრამდე მუშაობდა. 1918-1924 წლებში ცხოვრობდა ოდესაში. 1924 წელს დაბრუნდა თბილისში, სადაც პედაგოგიური საქმიანობა განაგრძო. კერძოდ, იგი ასწავლიდა გერმანულ ენას, გეოგრაფიას და საზოგადოებათმცოდნეობას გერმანულ სკოლასა და ტექნიკუმში, ქართულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმსა და სხვა სასწავლებლებში. 1925 წელს ის მიიწვიეს გერმანული ენის ლექტორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დოცენტის თანამდებობაზე დიდხანს მუშაობდა. იმავდროულად, თავმჯდომარეობდა ასპირანტთა საგამოცდო კომისიას (გერმანულ ენაში). მან გერმანულ ენაზე თარგმნა აკადემიკოს სმირნოვის ნაშრომი „ახალგორის განძი",

რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა 1934 წელს გამოსცა. მისი თანაავტორობით, ორ ტომად გამოიცა გერმანული ენის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის (1935 წ.). 1939 წელს, ის, როგორც გერმანელი – დააპატიმრეს და დახვრიტეს.

აქვე დავსძენთ, რომ, მისი ქალიშვილი, ოპერის მომღერალი მუზა რომანის ასული მერეკული (1906-1988) ცოლად გაჰყვა თავის კოლეგა დიმიტრი ივანეს ძე მძინარიშვილს (1908-1993), მომავალში საქართველოს კულტურის დამსახურებულ მუშაკს და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრს. მათი ვაჟი, გამოჩენილი ჩოგბურთელი ნუგზარ დიმიტრის ძე მძინარიშვილი – ამჟამად ლატვიაში მოღვაწეობს (მის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ).

XX საუკუნის ათიანი წლებიდან თბილისში ცხოვრობდა და სამედიცინო საქმიანობას ეწეოდა ბალტიისპირელი გერმანელი სიმონ მიხეილის ძე პრისტმანი (1875-1937), რომელიც დაიბადა და აღიზარდა ქ. ლიბავაში (ამჟამად – ლიეპაია). 30-იან წლებში იგი ექიმ-სტომატოლოგად მუშაობდა თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის ამბულატორიაში. 1937 წლის 22 დეკემბერს იგი დახვრიტეს.

მისთვის ნაყენებულ ბრალდებაში ეწერა: „იყო რა ანტისაბჭოურად განწყობილი, ჯაშუშობის მიზნით დაუკავშირდა ერთ-ერთი სახელმწიფოს დაზვერვას, პირადად ჰქონდა კავშირი უცხოეთის საკონსულოების თანამშრომლებთან, აგროვებდა და გადასცემდა ჯაშუშური ხასიათის ცნობებს, რომლებშიც აშუქებდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, განსაკუთრებით გერმანელების, პოლიტიკურ განწყობას. 1928 წლიდან იყო კონტრრევოლუციური ნაციონალისტური გერმანული ორგანიზაციის წევრი“ [ქურხული 2004: 222].

ამრიგად, ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ინტენსიური გახდა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო და ბალტიისპირეთი ერთი სახელმწიფოს – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ. საქართველოში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ბალტიისპირეთიდან ჩამოსული ცნობილი სამხედრო პირები, მწერლები, პუბლიცისტები, იურისტები, არქიტექტორები, პედაგოგები, ექიმები, ფარმაცევტები და სხვ. აღნიშნულ პერიოდში ქართულ წარჩინებულ საგვარეულოთა არაერთი წარმომადგენელი დაუნათესავდა ბალტიისპირეთში მცხოვრებ არისტოკრატიულ გვარებს [ჯავახიშვილი 2010, № 8: 124-134].

9. ქართულ-ლატვიური ურთიერთობა (XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე)

XIX საუკუნის მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იღვწოდა, თავის მოკავშირედ მიიჩნევდა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხებს: ლატვიელებს, პოლონელებს, ლიტველებს, ფინელებს, ესტონელებს, უკრაინელებს და სხვა.

აღნიშნული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც ცხოვრობდა ცნობილი ლატვიელი მწერალი ერნესტ ბირზნიეკს-უპიტისი (1871-1961), რომლის მოთხრობებშიც აშკარად იგრძნობა ავტორის სიყვარული საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.

ხსენებული მწერლის გარდა, საქართველოში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ, სამოგზაუროდ ანდა სამკურნალოდ ჩამოდიოდნენ ასევე ცნობილი ლატვიელი მწერლები, პოეტები, მთარგმნელები და პუბლიცისტები. მათ შორის იყვნენ: იანის ეზერინში, პავილს როზენტისი, იანის იაუნსუდრაბინში, ანდრეის დირიკისი, ლინარდ ლაიცენსი, კრისტაფს ალკსნის-ზუნდულისი.

საქართველოში მოწყობილი გასტროლებისას დიდი მოწონება დაიმსახურა გამოჩენილმა ლატვიელმა მომღერალმა მილდა ბრეჰმანე-შტენგელემ.

საქართველოში დისლოცირებულ რუსეთის საიმპერიო არმიაში 1894 წლიდან მსახურობდა ლატვიელი სამხედრო მოღვაწე იანის სტეიკსი [Kocere 2008: 60-68].

XIX საუკუნის მიწურულიდან მოგვეპოვება ცნობები თანამედროვე ლატვიის ტერიტორიაზე ქართველების ცხოვრების შესახებ. 1897 წელს იქ ცხოვრობდა 15 ქართველი, რომელთაგან 12 მკვიდრობდა ლიფლანდიის გუბერნიაში, ხოლო 3 – კურლანდიის გუბერნიაში. ისინი ძირითადად წარმოადგენდნენ თავადაზნაურული წრიდან გამოსულ ინტელიგენტებს, რომელთა შორისაც 7 მემამულე იყო. მათი უმეტესობა ბალტიისპირეთში დროებით ცხოვრობდა [Ščerbinskis 1998: 79-80].

იმავე საუკუნის ბოლო ოცწლეულში ლატვიურ პრესაში საკმაოდ ხშირად ქვეყნდებოდა მასალები საქართველოს შესახებ. ამ მხრივ გამოირჩეოდა გაზეთი „დიენას ლაპა“ („Dienas Lapa“).

საგულისხმოა, რომ ქართული პრესაც დიდ დაინტერესებას იჩენდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველებივით მცირერიცხოვანი, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ხალხების იმდროინდელი ყოფით და მათ ბედს ერთმანეთს ადარებდა. ქართველი ჟურნალისტები ყურადღებას ამახვილებდნენ ამ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებზე და მკითხველს მდიდარ ინფორმაციას აწვდიდნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა ჟურნალ-გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვა.

რუსეთის იმპერიაში მცხოვრები არარუსი მოსახლეობის ეროვნულ პრობლემატიკას ფართოდ აშუქებდა 1909-1910 წლებში თბილისში გამომავალი ჟურნალი „ერი“, რომელსაც რედაქტორობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი პეტრე სურგულაძე (1877-1932).

1910 წლის 28 მარტს, ხსენებულ ჟურნალში გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილში „პოლიტიკური ვითარება“ (რომელიც პ. სურგულაძის დაწერილი უნდა იყოს), აღნიშნული იყო, რომ რუსეთის ხელისუფლება გეგმაზომიერად ახორციელებდა იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები არარუსი მოსახლეობის თანდათანობითი ასიმილაციის პოლიტიკას. მართალია, საიმპერიო ხელისუფლებამ შეძლო რუსებთან შედარებით კულტურულად ჩამორჩენილი ხალხების გარუსება, მაგრამ, სამაგიეროდ, ვერაფერი დააკლო ისეთი მაღალი კულტურის მქონე ერებს, როგორებიც იყვნენ: ბალტიისპირელები (კერძოდ, ლატვიელები, ლიტველები, ესტონელები), პოლონელები, ფინელები და სხვა.

იქვე გამოთქმული იყო რწმენა, რომ რუსი იმპერიალისტები ვერაფრით გაარუსებდნენ იმ თავისუფლებისმოყვარე ერებს, რომლებიც თვითმყოფადობას თავიანთი სიცოცხლის ფასად, გმირულად ინარჩუნებდნენ [საითიძე 2009: 64].

სტატიაში აღნიშნული იყო, რომ რუსი, რომლის სხეულშიც უხვად ჩქეფდა მონღოლთა და სხვა მომთაბარე ხალხთა სისხლი, – „თავის სახლში მასიურად უვიცი და განუვითარებელი, სხვასაც უხშავს განვითარებისა და წინსვლის გზას...

რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხი სცდილობს იცოცხლოს. მაგრამ რადგან ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე არიან, ბრძოლის სურათიც სხვადა-

სხვანაირია: ერთნი თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში შემუშავებული სახის შენარჩუნებას სცდილობენ, მეორენი კი იმის ცდაში არიან – გამოერკვნენ და შექმნან თავისი მწერლობითი ლიტერატურა და ამნაირად, ფეხი შესდგან ისტორიულ ცხოვრებაში" [„ერი" 1910, № 8].

იმავე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში მისი ავტორი, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, კომპოზიტორი, ფოლკლორისტი და მომღერალი (ტენორი) ია (ილია) კარგარეთელი (1867-1939) გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ხალხური სიმღერის ფენომენს. იგი შენიშნავდა, რომ „ისე ღრმად, ისე მკაფიოდ და მასთან ერთად ნაზად, გრძნობიერად არა აკავშირებს რა ადამიანს თავის თვისტომსა, ხალხსა და სამშობლოსადმი, როგორც წყნარი, უვნებელი და არავისგან უმჩნევი ხალხური სიმღერა" [„ერი" 1910, № 22].

ი. კარგარეთელის აზრით, ზემოხსენებული ჭეშმარიტება სათანადოდ ჰქონდათ შეგნებული კურლანდიაში, ლიტვაში, ესტონეთსა და სხვა ქვეყნებში, სადაც კარგად გამოიყენეს ეს ბასრი იარაღი, რათა, გარუსების პოლიტიკის პირობებში, ეროვნული სახე ღირსეულად შეენარჩუნებინათ.

1904-1906 წლებში რიგის რუსულ თეატრში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილი (1872-1933). იგი 1904-1906 წლების სეზონში კ. ნეზლობინის დრამატული დასის რეჟისორად მიიწვიეს. რიგაში მან დადგა მაქსიმ გორკის პიესა „მოაგარაკენი" [ბუხნიკაშვილი 1983: 476].

რიგაში „სოლომენკას" ცირკის ადმინისტრატორის თანამდებობაზე მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა გიორგი შვანგირაძე, რომელიც წარმოშობით ქუთაისიდან იყო. 1905 წელს მან რიგაში გახსნა პირველი კინოთეატრი სახელწოდებით – „Royal Bio", სადაც ხმოვანი კინო პირველად აჩვენეს [Рыжакова 2010: 530-531].

იმის თაობაზე, თუ როგორ მოხვდა გ. შვანგირაძე რიგაში, მას თვითონ მოუყოლია თავისი ნაცნობი ქართველი ემიგრანტისათვის, რომელიც იგონებდა: „ბავშვობაში გაუტაციათ, ექვსი წლის რომ ყოფილა შვანგირაძე, ქუთაისის ცირკიდან. იტალიელების ცირკის დირექტორს უშვილებია, დაურქმევია ჯორჯიო. ცირკი დადიოდა გასტროლებზე და ჩამოსულან ისევ ქუთაისში ათი-თორმეტი წლის შემდეგ. ჯიგიტი გამხდარა, კარგი ჯიგიტი. ერთ-ერთი გამოსვლის დროს დედინაცვალმა იცნო ეს ბიჭი, გამოვარდა არენაზე, კინაღამ ცხენმა გადათელა, ექვსი წლის შემდეგ სულ ეძებს... ცირკი რომ ჩამოდის, მაშინვე მიდის სანახავად. იცნო ბიჭი და ყვირის: ჩემო გოგია! ჩემო გოგიაო!!!

პოლიციელებმა დაიჭირეს..., მაგრამ იყო გენერალი მიქელაძე, თავადი, შვანგირაძის მამა მასთან მზარეულად მუშაობდა... მივიდა მიქელაძე და იმანაც იცნო ეს ბიჭი. წაართვეს ეს ბიჭი იტალიელებს. ბიჭმა ქართული არ იცის; მაგრამ როგორც იქნა, გააგებინა, რომ ისევ ცირკში მინდაო და არმავირში დაწევია თავის ცირკს. ცირკში ჭენების დროს გადმოვარდა ცხენიდან და ერთი თვალი დაუშავდა, ასე რომ ცირკისათვის ჯიგიტად აღარ გამოდგება. აიყვანეს სამეურნეო ნაწილში... ბოლოს... მოხვდა რიგაში. ყველაფერი ეს თავად მომიყვა" [მაღლაკელიძე 1994: 141-142].

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართველ პოლიტიკოსებს თავიანთ ბალტიისპირელ კოლეგებთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ. ისინი ერთად იბრძოდნენ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1904 წლის 30 სექტემბერს, პარიზში, იაკობის ქუჩის 50-ში მდებარე სასტუმრო „ორლეანში" თავმოყრილ პოლონურ, ფინურ, ბალტიისპირულ, კავკასიურ

და რუსულ რევოლუციურ და ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლებს შორის იყვნენ ლატვიელი სოციალ-დემოკრატი ფ. ოზოლსი და ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები: გიორგი დეკანოზიშვილი და ალექსანდრე გაბუნია [შველიძე 2010: 79-80].

აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებული ფ. ოზოლსი მეგობრობდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერებთან: ირაკლი წერეთელთან, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძესთან და სხვებთან.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) V ყრილობაში, რომელიც 1907 წელს, ლონდონში გაიმართა, სხვებთან ერთად ქართველი და ბალტიისპირელი დელეგატებიც მონაწილეობდნენ.

ამ ყრილობის ერთ-ერთი დელეგატი, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი ნოე ჟორდანია (1868-1953) იგონებდა: „რუს დელეგატთა შორის დიდი უმრავლესობა იყვნენ ბოლშევიკები, მაგრამ როცა ქართველი მენშევიკები მიემატნენ – უთანასწორდებოდნენ რუს ბოლშევიკებს. ასე, რომ ორივე ფრაქცია თანასწორი რიცხვის იყვნენ. ბრძოლა იყო სხვა დელეგატების მოსამხრობად. ასეთები ბლომად მოიპოვებოდნენ: პოლონელები, ლატიშები, ბუნდოელები, ესტონელები. ესენი ზოგი აქეთ იყვნენ, ზოგი იქით. პირველნი ხელაღებ ემხრობოდნენ ლენინს. მხოლოდ აღშფოთებდა მათ ექსპროპრიაციის დაცვა ლენინელებისაგან. მათ ევროპულ ყურს ეხამუშებოდა ასეთი ამბავი. ბუნდოელები იყვნენ ჩვენსკენ, ხოლო ლატიშ-ესტონელები სად იყვნენ, თვითონ არ იცოდნენ. ესენი ახალგამოსულნი, გამოუცდელნი, ხალისის და გუნების ამყოლნი, ტყეში დიდხანს ნამყოფნი („ტყის ძმები") – არავითარ საკითხში გარკვეული ხაზი არ ქონდათ. არჩეულ იქნა მთავარი კომისია პოლიტიკური რეზოლუციის შესამუშავებლად და კონგრესზე წარმოსადგენად. კომისიაში მოხვდნენ ყველა ლიდერები ყველა ჯგუფის და ფრაქციის. მათ შორის ვიყავი მეც" [ჟორდანია 1990: 55-56].

ცნობილ ქართველ მეცნიერთა გარკვეულმა ნაწილმა უმაღლესი განათლება რიგაში მიიღო.

1911 წელს რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა ალექსანდრე იოსების ძე დიდებულიძემ (1882-1951) [ლილუაშვილი 2006: 51], რომელიც 1916 წლამდე ამ ქალაქში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მომავალში ის გახდა გამოჩენილი მეცნიერ-ენერგეტიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მონაწილეობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტების დაარსებაში ოდესასა (1917) და თბილისში (1928).

სხვადასხვა დროს ის ხელმძღვანელობდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტს და ფიზიკის კათედრას, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული ელექტროტექნიკის კათედრას, თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კათედრას, ამიერკავკასიის ელექტროკავშირგაბმულობის ინჟინერთა ინსტიტუტის ელექტროტექნიკის კათედრას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტს.

ა. დიდებულიძე ავტორია ისეთი მნიშვნელოვანი გამოგონებებისა, როგორიცაა: თერმოელემენტების დამზადების ახალი პრინციპი, სითბოს იზოთერმული აკუმულატორი და სხვ. მან პროფესორ კ. ამირაჯიბთან ერთად შექმნა სსრკ-ში პირველი ელექტროტრაქტორი (1930) და პირველი გრძელჭავლიანი საწვიმარი აპარატი, რომელიც გამიზნული იყო ნათესების მოსარწყავად (1932) [ქსე 1978: 508].

გამოჩენილი ლატვიელი ენათმეცნიერის, აკადემიკოს იანის ენძელინის (1873-1961) მოწაფეთა შორის იყო ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი გიორგი სარიდანის ძე ახვლედიანი (1887-1973). ამ უკანასკნელმა დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი (1914), სადაც იმხანად მოღვაწეობდა ი. ენძელინი.

1910 წელს თბილისში, მიხეილ ჭაბუკიანისა და რიგელი ელენე პილიახის ოჯახში დაიბადა მომავალში გამოჩენილი ქართველი ბალეტმაისტერი, ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელი ვახტანგ ჭაბუკიანი (1910-1992).

ბალტიისპირეთიდან საქართველოში სხვადასხვა დროს ჩამოვიდნენ კულტურის, ხელოვნების, მედიცინის მუშაკები, ფარმაცევტები, ინჟინრები და სხვ. მათი ნაწილი კავკასიაში რუსეთის საიმპერიო (ხოლო შემდეგ – სსრ კავშირის) ადმინისტრაციამ გამოგზავნა, ნაწილი კი თავისი ნებით ჩამოვიდა. მათ შორის ლატვიელები იყვნენ: ევგენი ზიემელისი (ზემელი), იული სტრაუმე, ედვარდს აბოლსი, იანის და რობერტს კუპცისები, იანის დუმინში და სხვები [Айдинов 2009: 45-46].

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო მთელს კავკასიაში სახელგანთქმული პროვიზორ-აფთიაქარის, ევგენი ზემელის მოღვაწეობა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში. მისი აფთიაქი, რომელსაც ოვალური ფორმა ჰქონდა, მდებარეობდა თბილისში, ყოფილ ვერის მოედანზე, ახლანდელი მიხეილ ჯავახიშვილისა და მერაბ კოსტავას ქუჩების შესაყარზე. თვით აფთიაქარიც იმავე სახლში ცხოვრობდა.

მართალია, გასული საუკუნის 30-იან წლებში, რუსთაველის მოედნის გაფართოებასთან დაკავშირებით, ეს აფთიაქი აიღეს, მაგრამ ამ მიკროუბანს დღემდე არაოფიციალურად „ზემელს" უწოდებენ [ენციკლოპედია „თბილისი" 2002: 483].

ქართველი იურისტი იოაკიმე ავქსენტის ძე ბურჯანაძე (1879-1958) – ნახევარი საუკუნის განმავლობაში რიგაში მოღვაწეობდა. ქუთაისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, მან დაამთავრა დერპტის (ტარტუს) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1907). 1908 წლის აგვისტოდან მუშაობდა რიგის საოლქო სასამართლოში მდივნის თანაშემწედ. 1910 წლიდან იყო იმავე სასამართლოს I კრიმინალური განყოფილების მდივანი. 1914-1917 წლებში მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ. 1909 წელს ის იყო კოლეგიის მრჩეველი, 1911 წელს – ტიტულარული მრჩეველი, ხოლო 1914 წელს – კოლეგიის ასესორი.

1917 წლის აგვისტოში, გერმანელების მიერ რიგის დაკავების გამო, ევაკუირებულ იქნა დერპტში. დაინიშნა ვალკის ოლქში შექმნილი დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. 1919 წლის თებერვლიდან იგი რიგაში მსახურობდა, ძირითადად – იურიდიულ კონსულტანტად [Jēkabsons 2002: 137].

ცნობილი ლატვიელი საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, მხატვარი და პედაგოგი იული (იული კარლის ოსკარ) სტრაუმე (1874-1970) საქართველოში 16 წლის (1907-1923) განმავლობაში მოღვაწეობდა. მოგვიანებით მას ლატვიის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

სტრაუმემ დაამთავრა სანკტ-პეტერბურგში არსებული ბარონ ალექსანდრე შტიგლიცის ცენტრალური სამხატვრო სასწავლებლის სრული კურსი, რის შედეგადაც მას, გამოყენებითი ხელოვნების მხატვრის წოდებასთან ერთად, მხატვრობის სწავლების უფლებაც მიენიჭა.

ამის შემდეგ, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სტრაუმე მიავლინეს პარიზში, სადაც ორ წლის განმავლობაში ცხოვრობდა და ტექსტილის ხელოვნებას ეუფლებოდა.

1907 წელს იგი მხატვრად მოავლინეს თბილისში მოქმედ კავკასიის შინამრეწველობის (კუსტარულ) კომიტეტში, რომელიც 1899 წლიდან არსებობდა. იმავე წელს მან თბილისში ცოლად შეირთო ბელგიელი ასული – მარია-ელოიზა-ავგუსტა რონგვო.

ლატვიელმა ხელოვანმა გარკვეული კვალი დააჩნია სამხრეთ კავკასიის კულტურულ ცხოვრებას. ის ხელმძღვანელობდა სამხატვრო განყოფილებას, სადაც ქართველ ხელოვანებთან ერთად მოღვაწეობდნენ უცხოელებიც, კერძოდ, ზემოხსენებული ჰ. ჰრინევსკი, ასევე: ო. შმერლინგი, ა. კალგინი, ნ. სეევეროვი, მ. ფრანკე, ინჟინერი ს. მოსკალევი და სხვები. ისინი მთელს კავკასიაში აწყობდნენ ექსპედიციებს, აგროვებდნენ ნახატებს, ლითონის მხატვრულ ნაკეთობებს, აკეთებდნენ საეკლესიო ნივთების, ძველებური იარაღის, ჭურჭლის ჩანახატებს, ხსნიდნენ სახელოსნოებს.

სტრაუმემ ჩაიხატა ძველად აგებული როგორც ქრისტიანული, ასევე მუსლიმური სალოცავები, ფრესკები, წიგნები, ორნამენტები.

აღნიშნული მდიდარი მასალა გადაეცემოდა კუსტარული კომიტეტის სახელოსნოებს, სადაც ხალხური შემოქმედების მიხედვით იქმნებოდა უნიკალური ნაწარმი: ხალიჩები, ნაქარგები, ქსოვილები, ჭურჭელი, საიუველირო ნაკეთობანი.

1908-1911 წლებში სტრაუმე საკუთარი პროგრამით ასწავლიდა ხატვას ქ. შუშის (ყარაბაღის ცენტრი) სამხატვრო სასწავლებელში.

1912 წელს სტრაუმე მონაწილეობდა აკადემიკოს ნიკო მარის ხელმძღვანელობით მოწყობილ ქ. ანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში.

კუსტარული კომიტეტი მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებში, რომლებიც სხვადასხვა დროს გაიმართა: სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვში (რუსეთი), ტურინში (იტალია) და პარიზში (საფრანგეთი). ამ გამოფენებისათვის სამხატვრო სახელოსნო ამზადებდა არა მხოლოდ ექსპონატებს, არამედ საგამოფენო კარადებს და ორიარუსიან ვიტრინებს, რომლებსაც სტრაუმეს ნახატები ამშვენებდა.

ლატვიელმა მხატვარმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისში გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის დაფუძნებაში. თანამედროვე მუზეუმში მისი 500-მდე მხატვრული ნამუშევარი შემორჩა. მან პოლონელ მხატვარ ჰენრიკ ჰრინევსკისთან ერთად მოხატა სათავადაზნაურო ბანკი (თანამედროვე ეროვნული ბიბლიოთეკა). მისივე პროექტით შეიქმნა პირველი კარადები სამუზეუმო ექსპონატებისათვის, ამოკვეთილი კარებები, ასევე წიგნების ვიტრინები, რომლებიც დღემდე ხსენებულ ბიბლიოთეკაში ინახება.

საქართველო და სრულიად კავკასია, კავკასიელ ხალხთა მიერ შექმნილი მდიდარი და მრავალფეროვანი ხელოვნება და კულტურა ი. სტრაუმემ გულწრფელად შეიყვარა. ამიტომ, ის თავდავიწყებით და შეუსვენებლად მუშაობდა.

1916 წელს სტრაუმეს თავის მეუღლესთან ერთად მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. ამის დამადასტურებელი დოკუმენტი დაცულია ლატვიის ცენტრალურ არქივში.

სტრაუმეს შესახებ აქ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან მისი ცხოვრება და მოღვაწეობა საფუძვლიანად შეისწავლა ცნობილმა ლატვიელმა მკვლევარმა ლაიმა კლავინამ [კლავინა 2005].

1908-1921 წლებში საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი ლატვიელი ფარმაცევტი, დოცენტი იანის (ივანე) დავისის ძე კუპცისი (1871-1936). საქართველოში მოღვაწეობდა მისი უმცროსი ძმაც – რობერტ კუპცისი (1881-1954), რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

I მსოფლიო ომის (1914-1918) პერიოდში საქართველოს თავი შეაფარა არაერთმა ევროპელმა ლტოლვილმა.

გერმანული შეიარაღებული ძალების მიერ ბალტიისპირეთის ოკუპაციის შემდეგ, იქიდან საქართველოში არაერთი ლტოლვილი ჩამოვიდა. მათმა ერთმა ნაწილმა სამშობლოში დაწყებული პროფესიული საქმიანობა აქაც წარმატებით განაგრძო. ისინი ხსნიდნენ საწარმოებს, მაღაზიებს, მუშაობდნენ თეატრებში, სახელოსნოებში და სხვა.

ბალტიისპირელთა საქართველოში დასახლების პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის რღვევის პერიოდში.

საიმპერიო არმიიდან გამოქცეული ლატვიელი სამხედრო პირები ძირითადად თბილისში დამკვიდრდნენ.

ქართველ და ბალტიელ ხალხებს, რომლებიც, თავის დროზე, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ აღმოჩნდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ცარიზმის დამხობის შემდეგ შესაძლებლობა მიეცათ, რომ ეროვნული სახელმწიფოების აღდგენა-ჩამოყალიბების ხანგრძლივი ოცნება აესრულებინათ. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლების სათავეში იმხანად მოსული დროებითი მთავრობა კვლავინდებურად „ერთიანი რუსეთის“ პოზიციაზე იდგა. ამ თვალსაზრისით, მათსა და ცარისტულ ხელისუფლებას შორის არავითარი იდეური განსხვავება არ შეინიშნებოდა.

რუსული იმპერიალიზმის ტრადიციული, ექსპანსიონისტური დამოკიდებულება რუსეთის მეზობლად მდებარე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონებისა და მათ შორის ბალტიისპირეთის მიმართ მკაფიოდ აისახა ეროვნულად მოაზროვნე ქართველ პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევში. მათი ნაწილი იმედოვნებდა, რომ რუსეთის იმპერიალიზმის შეჩერებას იმხანად მხოლოდ გერმანია შეძლებდა.

1917 წლის 13 აგვისტოს გაზეთში „სახალხო საქმე“ გამოქვეყნებულ წერილში „ველიკორუსები და არარუსები“ გამოჩენილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია (1891-1975) აცხადებდა: „რუსეთის პოლიტიკის სოციალისტურმა მესვეურებმაც ვერ შეიგნეს ის ხალასი ჭეშმარიტება, რომ დიდ სახელმწიფოებს მხოლოდ დარღვევისა და უფსკრულისაკენ მიაქანებს თავის ფარგლებში ისეთი მცირე ერების ძალად მომწყვდევა, რომელთაც, საკმაოდ ძლიერ კულტურულ ტრადიციებს გარდა, სრულიად თავისებური ნაციონალური თვითცნობიერება და მკვიდრი ნაციონალური იდეალი მოეძევებათ... ველიკორუსების ინიციატივით აგებულ რუსეთის სახელმწიფოს... ვეებერთელა ტერიტორიის ცენტრსა და განაპირებს თითქმის არაფერი არ აერთებს ტლანქი, უხეში ძალის მეტი...

გერმანელებს მთელი გეგმა აქვთ შემუშავებული პან-სლავისტურ პლანების ფრთების შესაკვეცად. მათივე უპირველესი მიზანია მოსკოვიტელთა სრული იზოლაცია ბალტიისა და შავი ზღვის ნაპირებიდან“ [გამსახურდია 1917].

სიმბოლურია, რომ საქართველომაც და ბალტიის ქვეყნებმაც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი თითქმის ერთდროულად აღიდგინეს და დემოკრატიულ რესპუბლიკებად ჩამოყალიბდნენ.

1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ახლად აღდგენილი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს დაცვა-შენარჩუნებაში დიდი წვლილი შეიტანა გერმანიის რაიხმა, რომლის შეიარაღებული ძალებიც კავკასიის ტერიტორიაზე I მსოფლიო ომის დასასრულამდე იმყოფებოდნენ.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ქართულ-გერმანული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ჯერ კიდევ ხსენებული ომის დასაწყისში ჩამოყალიბდა და საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რის შესახებაც საყურადღებო დოკუმენტებია დაცული საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში [სცსსა, ფ. 13, ა. 27, ს. 4342, 5413, 5423, 5432, 5438, 5439, 5542; ფ. 157, ა. 1, ს. 320].

1918 წლის მაისის მიწურულიდან, ზემოთ აღნიშნული ალიანსი გადაიზარდა საქართველო-გერმანიის სახელმწიფოთაშორის ალიანსად, რომელმაც ჩვენი ქვეყანა იხსნა ოსმალეთის მხრიდან ოკუპაციის რეალური საფრთხისა და სხვა არაერთი განსაცდელისაგან [ჯავახიშვილი 1998, I: 27].

I მსოფლიო ომის დასასრულმა შესაძლებელი გახადა ბალტიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ჩამოყალიბება.

1918 წლის 18 ნოემბერს ლატვია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ლატვიის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდა იანის ჩაკსტე (1859-1927), მეორე – გუსტავ ზემგალე (1871-1939), მესამე – ალბერტ კვიესისი (1881-1944), ხოლო მეოთხე – კარლის ულმანისი (1877-1942).

საქართველოში დამკვიდრებული ლატვიელები დაფუძნდნენ დიდუბეში არსებულ გერმანელთა დასახლებაში, ბაღის ქუჩაზე („Садовая улица"), რომელიც ამჟამად აღარ არსებობს.

ლატვიელებმა შექმნეს თავიანთი სათეისტომო, რომელიც იურიდიულად რეგისტრირებულ იქნა თბილისში, მიხეილის პროსპექტის (თანამედროვე დავით აღმაშენებლის გამზირი) № 180-ში.

1920 წლის მარტში, ზემოხსენებული შენობის მახლობლად, მიხეილის პროსპექტის 171-ში დაფუძნდა ლატვიის რესპუბლიკის საკონსულო [ჩიქოვანი 2008: 270-272].

ლატვიის პირველ კონსულად საქართველოში დაინიშნა ოსკარს ბუმანისი (1899-1937). იმავე წლის ივნისიდან ის შეცვალა ვიცე-კონსულმა იანის პურინშმა (1889-1968), რომელიც ამ თანამდებობაზე 1921 წლის მაისამდე მსახურობდა.

I მსოფლიო ომისა და სხვა მიზეზთა გამო, კავკასიაში თავმოყრილ ლატვიელებს სამშობლოში დაბრუნება სურდათ. 1919 წელს ლატვიაში გამგზავრების სურვილს 600-მდე ადამიანი გამოთქვამდა. მათ შორის იყვნენ როგორც ყოფილი სამხედრო პირები, ასევე უმუშევრად დარჩენილი მოსამსახურენი და სხვები. ისინი ძირითადად შავიზღვისპირა ქალაქებში იკრიბებოდნენ [კლავინა 2005: 39-40].

გამორჩენილი სამხედრო მოღვაწის, ლატვიის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალ თეოდორ სპადეს (1891-1970) ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეული პერიოდი საქართველოს უკავშირდება. I მსოფლიო ომის პერიოდში იგი მსახურობდა შავ ზღვაზე დისლოცირებულ რუსეთის საიმპერიო ფლოტში, სადაც უმცროსი ოფიცრის თანამდებობა ეკავა. იგი მსახურობდა ადმირალ ჭავჭავაძესთან, რომელიც შემდგომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი იყო.

თ. სპადე ქართველთა მიმართ პატივისცემით გამოირჩეოდა. მან ცოლად შეირთო ქართველი ასული ნადეჟდა შველიძე-პეტროვა (სხვა ცნობით – მეტრეველი). მათ ჯვარი დაიწერეს 1917 წლის მაისში, ბათუმის მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

1918 წელს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილი ოფიცერი თ. სპადე ჩაირიცხა ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალებში. იმხანად, საქართველოს ფლოტი დაბანაკებული იყო ბათუმის პორტში.

იმავე წელს, როდესაც თურქებმა ბათუმი დაიკავეს, იქ მყოფი გემები ქართველმა მეზღვაურებმა გადაიყვანეს სოხუმში, ხოლო დაზიანებული მცურავი საშუალებები ჩაძირეს. თურქთა ტყვეობაში ჩავარდნილ ქართველ მეზღვაურთა ერთ ნაწილთან ერთად აღმოჩნდა თ. სპადეც, რომელიც მისმა მეუღლემ იმავე წლის ოქტომბერში გამოისყიდა.

1919 წლიდან თ. სპადე მსახურობდა გენერალ ანტონ დენიკინის ხელმძღვანელობით მოქმედ მოხალისეთა არმიაში, ხოლო 1920 წლის დეკემბერში, მეუღლესთან ერთად, წავიდა ლატვიაში და მის სამსახურში ჩადგა [Bisters 2002: 18-23].

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ ლატვიის ოკუპაციის შემდეგ, თ. სპადე დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. მართალია, 1954 წელს ის გაათავისუფლეს, თუმცა სამშობლოში დაბრუნების უფლება მას არ მისცეს. ამის შემდეგ, იგი გარდაცვალებამდე ყაზახეთში ცხოვრობდა [Bisters 2002: 431].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილ სამხედრო მოღვაწეს, პოლკოვნიკ შალვა ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძეს (1894-1976), რომელიც 1918-1921 წლების განმავლობაში მსახურობდა ჯერ ახალციხის, შემდეგ – თბილისის, ბოლოს კი აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად, ცოლად ჰყავდა რიგელი გერმანელი, კათოლიკე ასული მარია, რომლის წინაპრებიც თავის დროზე ბავარიიდან გადასახლდნენ ბალტიისპირეთში.

1914 წელს მარია სამოგზაუროდ ჩამოვიდა საქართველოში და, I მსოფლიო ომის დაწყების გამო, იძულებული გახდა, აქვე დარჩენილიყო. მომავალმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთი 1918 წელს, ქ. ახალციხეში გამართული ქართული ჯარის სამხედრო აღლუმის დროს გაიცნო და იმავე ქალაქში არსებულ კათოლიკურ ეკლესიაში იქორწინა. მათი ვაჟი გაიოზ მაღლაკელიძეც (1920-1989) ასევე კათოლიკური აღმსარებლობისა იყო [მაღლაკელიძე 1994: 126-127]. მათ შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საგარეო საფრთხეს წარმოადგენდა როგორც საბჭოთა, ასევე თეთრი რუსეთი.

1919 წლის ივნისის დასაწყისში, თეთრგვარდიელთა აგრესიისაგან საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკების დაცვის მიზნით, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს საგანგებო ნოტა გაუგზავნეს პოლონეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ჩრდილო კავკასიის და ასევე საქართველოს და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა [Ментешашвили 1998: 46-47].

ნოტაში აღნიშნული იყო: „Все представители государств русских окраин единогласно протестуют вместе с представителями Грузии и Северо-Кавказской республики со всеми представителями кавказских государств против этого вторжения. Они хотят отметить таким образом, что они ясно осознают солидарность, которая объединяет между собой все народы русских окраин, так что каждый из них ощущает всякую угрозу, направленную против независимости кого-либо из них, как если бы она была направлена против его собственной независимости...

Поэтому нижеподписавшиеся представители доводят до сведения правительств союзных и дружественных держав о своем протесте. Они их просят заставить немедленно прекратить агрессивные действия ген. Деникина, направленные против Грузинской и Азербайджанской республик... Они их просят принять все необходимые меры, чтобы заставить ген. Деникина строго соблюдать все правила международной справедливости" [სცსსა, ფ. 1864, ა. 1, ს. 48].

1921 წლის თებერვალ-მარტში, საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს უმოკავშირეოდ დარჩენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, რასაც ანექსია მოჰყვა. ასეთივე საფრთხე ემუქრებოდა ლატვიას და ბალტიის სხვა რესპუბლიკებსაც, რომელთაც ბოლშევიკური აგრესიის მოგერიება და თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერით 1940 წლის ზაფხულამდე მოახერხეს.

ამრიგად, მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იღვწოდა, თავის მოკავშირედ მიიჩნევდა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხებს და მათ შორის ლატვიელებს.

XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ქართულ-ლატვიური ურთიერთობები შედარებით ინტენსიური გახდა, ხოლო, რუსეთის იმპერიის დანგრევისა და საქართველოს და ლატვიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნის შემდეგ, ამ ურთიერთობებმა სახელმწიფოთაშორისი ხასიათი შეიძინა.

ქართველთა ნაწილის მოღვაწეობის გარკვეული პერიოდი დაკავშირებულია რიგასთან, ხოლო არაერთი ლატვიელი საქართველოში იღვწოდა [ჯავახიშვილი 2009, № 5: 15-17].

10. ქართულ-ესტონური ურთიერთობა (XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე)

1878-1883 წლებში ჟურნალში „ვესტი პოსტისე" გამოქვეყნდა ესტონელი საზოგადო მოღვაწის იოზეფ რობერტ რეცოლდის სტატიების სერია სათაურით „წერილები კავკასიაზე". ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აღნიშნული წერილების ავტორმა საქართველოში 1870 წელს იმოგზაურა.

ამ სტატიებმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ესტონელ მკითხველზე, რომ არაერთმა მათგანმა საქართველოში გადმოსახლება გადაწყვიტა [Исаков 1969: 103-104].

აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1866-1878 წლებში, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიდან – აფხაზეთიდან გაასახლა ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო მათ ადგილას ჩამოასახლა რუსები და სხვა ეროვნების ადამიანები.

აფხაზეთში გადმოსახლებულთა შორის ესტონელებიც იყვნენ. ისინი ძირითადად დამკვიდრდნენ მდინარე კოდორის მარჯვენა სანაპიროზე, გულრიფშიდან 13 კილომეტრში [ჩიქოვანი 2008: 277-278].

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ, აფხაზეთში რამდენიმე ესტონური დასახლება შეიქმნა.

1884 წელს დაარსდა ესტონელთა სოფელი ლინდაუ. ესტონელები სახლობდნენ ორი წლის წინათ დაფუძნებულ გერმანულ დასახლება ნაიდორფშიც, სადაც ამ ორ ერს შორის არსებობდა უთანხმოებანი სოციალურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში. ამის აღმოსაფხვრელად, ესტონელებმა გადაწყვიტეს, რომ ნაიდორფს გამოყოფოდა ესტონელებით დასახლებული ნაწილი და ლინდაუს მიერთებოდა.

ადგილობრივი ხელისუფლებისადმი წარდგენილ მიმართვაში ესტონელ კოლონისტთა წარმომადგენლები – ლინდაუელი იაკობ პუტნინი და ნაიდორფელი ანდრეი ლესმანი აღნიშნავდნენ: „დასახლება ნაიდორფის ორ ტომს – გერმანელებსა და ესტონელებს შორის არსებული მტრობისა და არაკეთილი დამოკიდებულების გამო, უმორჩილესად გთხოვთ, ჩვენი ესტონელები საბოლოოდ გამოყოთ გერმანელებისაგან და მიაერთოთ მოსაზღვრე ესტონელების სოფელ ზემო ლინდაუსთან...

ჩვენ, ნაიდორფელი ესტონელები, გერმანელებთან შედარებით, მოსახლეობის ორ მეხუთედ ნაწილს წარმოვადგენთ. ამის შედეგად, სასოფლო სხდომებზე ხმის უმეტესობა ყოველთვის გერმანელთა მხარეზეა. პასუხისმგებელი პირები, მეთაურები და მოსამართლე ყოველთვის გერმანელები არიან.

ჩვენ, ნაიდორფელი ესტონელები, ვიხდით ყოველნაირ გადასახადს და ბეგარას გერმანელთა მსგავსად, მაგრამ არა გვაქვს სკოლა, სამლოცველოც კი, ჩვენი ბავშვები მეტწილად წერა-კითხვის უცოდინარნი რჩებიან. ვსარგებლობთ ურთიერთშეთანხმებით ზემო ლინდაუელებთან, ისინი ნებას გვრთავენ ვისარგებლოთ მათი სკოლით, როდესაც იქ თავისუფალი ადგილია, ასევე ლინდაუს სკოლაში არსებული სასულიერო მომსახურეობით. ამ დროს გერმანელები ყიდიან და გაყიდეს ჩვენი ნაკვეთები“.

ზემო ლინდაუს მცხოვრებლებმა მოილაპარაკეს და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ მათ თავიანთ საზოგადოებაში მიეღოთ ნაიდორფელი ესტონელები საკუთარი მიწის ნაკვეთებითურთ.

1906 წლის 20 თებერვალს, ნაიდორფში შედგა სათანადო დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს ზემოხსენებულმა ა. ლესმანმა და ი. პუტნინმა [ჭუმბურიძე 2010: 53-54].

ნაიდორფიდან ესტონური ნაწილის გამოყოფა გააპროტესტეს ადგილობრივმა გერმანელებმა, რომლებმაც კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს საჩივარი წარუდგინეს [სცსსა, ფ. 242, ა. 1, ს. 94].

1886 წელს, საოჯახო სიების მიხედვით, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქში 637 ესტონელი ცხოვრობდა. მათგან სოფელ ესტონკოელში (იგივე ესტონკაში) სახლობდა 283 ადამიანი, ხოლო სოფელ ლინდაუში – 273 [თოთაძე 2009: 214].

1905 წელს კრასნაია პოლიანაში მცხოვრები 4 ესტონური ოჯახი – ფსხუში გადასახლდა [ჭუმბურიძე 2010: 51].

აფხაზეთში ჩამოსახლებული სხვა ეროვნების კოლონისტებისგან განსხვავებით, ესტონელებსა და ქართველებს შორის საკმაოდ კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

ესტონეთში გამომავალ გაზეთებში ზოგჯერ ქვეყნდებოდა ცალკეული სტატიები ქართველი ხალხის, მათი კულტურისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ.

1892 წელს გაზეთში „Дерптский листок“ (№ 1-2) დაიბეჭდა კ. ჩ-ის „ქართული ლეგენდა“, რომელიც შემდეგ ესტონურ ენაზე თარგმნეს და იმავე წელს გამოაქვეყნეს ჟურნალ „ოლევიკში“ (№ 3-4) [Исаков 1969: 101].

საქართველოში სხვადასხვა დროს ჩამოვიდნენ ესტონური ლიტერატურის კლასიკოსები: 1882 წელს – ედუარდ ბორნხიოე, ხოლო 1904 წელს – ედუარდ ვილდე და ანტონ ტამსაარე. მათ თავიანთ სტატიებში საქართველოს შესახებ ბევრი საყურადღებო ცნობა შეიტანეს.

XX საუკუნის დასაწყისიდან ესტონურ პრესაში სისტემატიურად იბეჭდებოდა ინფორმაციები საქართველოს შესახებ.

1908 წელს ჟურნალ „ესტონურ ლიტერატურაში“ დაიბეჭდა მწერალ ფრიდრიხ მოზლერინის სტატია ამირანის თქმულებასა და ბერძნული პრომეთეს შესახებ. 1912 წელს „იურიევის ფურცელში“ გამოქვეყნდა მისივე წერილი „ქართველი დედოფალი თამარი“, სადაც ვრცელი ცნობებია თავმოყრილი საქართველოს XII საუკუნის კულტურასა და ხელოვნებაზე [დაუშვილი 2007/7/IX: 15-18].

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა ქ. იურიევის (1893-1918 წლებში – იურიევი, 1918 წლიდან – ტარტუ) უნივერსიტეტი, რომელიც ქართველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ამ უნივერსიტეტში, სადაც მაშინ შედარებით მეტი თავისუფლება იგრძნობოდა, სხვადასხვა დროს 400-მდე ქართველი სწავლობდა. არაერთი მათგანი შემდგომ გამოჩენილ მოღვაწედ ჩამოყალიბდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ მწერლები, პოეტები და კულტურის მოღვაწენი: გრიგოლ რობაქიძე, ანდრია ბალანჩივაძე, კოტე ფოცხვერაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ აბრამიშვილი, თედო ბეგიაშვილი, იროდიონ სურგულაძე, პლატონ კვირკველია, ალექსანდრე ალადაშვილი, სეით დევდარიანი, დავით ონიაშვილი, სიმონ ბადურაშვილი („კიკნა-ფშაველა“), რომელიც ლექსებს საქართველოზე ესტონეთში წერდა და სხვები. ისინი თავს „დორპტელებს“ უწოდებდნენ, რითაც ძალიან ამაყობდნენ.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ტარტუში დაარსდა ქართულ სტუდენტთა სათვისტომო „კოლხეთი“, რომელშიც გაერთიანებული იყო 100-მდე ქართველი სტუდენტი და „კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოება“, რომლის წევრთა უმეტესობაც ასევე ქართველები იყვნენ. ორივე ორგანიზაციის წესდება 1908 წელს დაამტკიცა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ და რექტორატმა და ოფიციალურად არსებობა მათ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე განაგრძეს.

ამ ორგანიზაციებმა დიდი პროპაგანდა გაუწიეს ქართულ კულტურას და საუკეთესოდ გააცნეს საქართველო ესტონურ საზოგადოებას. აწყობდნენ ლიტერატურულ საღამოებს, დისპუტებს, 14 იანვარს – ნინოობის ზეიმს, თეატრალურ წარმოდგენებს, კონცერტებს, ცნობილ ქართველ მოღვაწეთა იუბილეებს.

1898 წლიდან ყოველწლიურად მართავდნენ „ქართულ საღამოებს“, რომელშიც მონაწილეობდნენ არა მარტო სტუდენტები და გუნდი მელიტონ ბალანჩივაძის მონაწილეობით, არამედ სხვა უნივერსიტეტებიდან მიწვეულები – ოდესის, მოსკოვის, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები და საქართველოდან ჩასულებიც, მაგალითად, ვანო სარაჯიშვილი.

ამ ღონისძიებებს სტუდენტების გარდა ესწრებოდნენ ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები, სკოლის მოსწავლეები, პროფესორ-მასწავლებლები. სათვისტომოსთან დაარსდა ბიბლიოთეკა, რომელსაც ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს საჩუქრად უგზავნიდნენ რედაქციები და ცნობილი ქართველი მოღვაწეები – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, არჩილ ჯორჯაძე, რაფიელ ერისთავი, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი და სხვები.

1916 წლისათვის ბიბლიოთეკას უკვე 1000-ზე მეტი წიგნი და ჟურნალ-გაზეთების მთელი კომპლექტები ჰქონდა.

დორპტელ სტუდენტებს საზოგადოება საქართველოდან მატერიალურ დახმარებასაც უწევდა, თბილისსა და სხვა ქალაქებში ატარებდნენ საქველმოქმედო საღამოებს და შემოსავალს სტუდენტებს უგზავნიდნენ.

1913 წელს საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესასწავლად დაარსდა არჩილ ჯორჯაძის სახელობის სამეცნიერო წრე, რომელიც კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანა 1914 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გადმოსულმა 30-მა სტუდენტმა.

1902 წელს ამ პატარა ქალაქში 3.000 სტუდენტი იყო. ქართველი სტუდენტები კორესპონდენტებიც იყვნენ და ქართულ პრესას საინტერესო მასალებს უგზავნიდნენ. ამ ორგანიზაციების წყალობით, ქართული კულტურა, რუსეთის იმპერიის მთელ სივრცეში, ყველაზე ინტენსიურად სწორედ ტარტუში ჩქეფდა.

ქართველები არა მარტო ცოდნას ითვისებდნენ ცნობილი მეცნიერებისაგან, არამედ გადასცემდნენ სხვებს. მაგალითად, სამაგისტრო თემის დაცვის შემდეგ, 1905 წელს ტარტუს უნივერსიტეტში ექსტრაორდინალურ პროფესორად აირჩიეს გრიგოლ წერეთელი, შემდგომ სახელგანთქმული აღმოსავლეთმცოდნე და პაპიროლოგი, რომელიც ლექციების კურსს კითხულობდა. მან ტარტუშივე დაწერა თავისი შრომების დიდი ნაწილი და სადოქტორო დისერტაცია.

ესტონურმა გაზეთმა „ედეასმა" გამოაქვეყნა წერილი ყოფილ სტუდენტებზე – პროფესორ კონსტანტინე ერისთავზე და უხუცეს აღზრდილზე, პედაგოგ თერაპონტე მანჯავიძეზე [დაუშვილი 2007/7/IX: 18-19].

ზემოხსენებული უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე ფრიად საყურადღებო ნაშრომები შექმნეს მკვლევრებმა: სერგეი ისაკოვმა [Исаков 1969] და ვიქტორია გაგუამ [Гагуа 1990].

დიდი ქართველი მეცნიერისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის, იმხანად სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის, ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის (1876-1940) ინიციატივით, ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ 1912-1913 წლებში გამოიკვლია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოთა უმაღლესი სასწავლებლების ქართველ სტუდენტთა მდგომარეობა მათი დახმარების მიზნით.

დავით იოსელიანის ცნობით, იმხანად, იურიევის უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობდა 55 ქართველი სტუდენტი, ხოლო კერძო საუნივერსიტეტო კურსებზე 25 ქართველი [ჯორბენაძე 1984: 153].

I მსოფლიო ომისა და ფრონტის ხაზის მოახლოების გამო, გადაწყდა, რომ იმპერიის დასავლეთ ნაწილში მდებარე უმაღლესი სასწავლებლები დროებით გადაეტანათ შედარებით უსაფრთხო რეგიონებში და მათ შორის კავკასიაშიც.

1917 წლის შემოდგომისათვის, გერმანული არმიის აღმოსავლეთით წინსვლის გამო, გაჩნდა მოსაზრება, რომ იურიევის უნივერსიტეტი თბილისში გადმოეტანათ. თბილისის საქალაქო გამგეობამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გაუგზავნა დეპეშა ამ უმაღლესი სასწავლებლის გადმოტანის მზადყოფნის თაობაზე. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც თბილისში გადმოსული უნივერსიტეტის დაბინავებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა მოეგვარებინა.

იმავე წლის 5 სექტემბერს გამოგზავნილ წერილში იურიევის უნივერსიტეტის გამგეობა მადლობას უხდიდა თბილისის საქალაქო გამგეობას და აღნიშნავდა, რომ ამ წინადადებას მხედველობაში იქონიებდა [ჯორბენაძე 1984: 201].

1917 წლის 17 სექტემბერს, გაზეთში „სახალხო საქმე" გამოქვეყნებულ წერილში ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე სამსონ ფირცხალავა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისა და სხვადასხვა სფე-

როში დაოსტატების საქმეში იურიევის უნივერსიტეტმა უდიდესი წვლილი შეიტანა [„სახალხო საქმე“ 1917].

ესტონელი კოლონისტების გარდა, საქართველოში ცხოვრობდნენ სამუშაოდ ჩამოსული სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებიც, მაგალითად, 1921 წელს ობსერვატორიაში მუშაობდა ე. ბიუსი.

ამრიგად, ქართულ-ესტონური ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტში სასწავლებლად ასობით ქართველი ჩავიდა.

11. ქართულ-ლიტვური ურთიერთობა (XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე)

ლიტველები საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდნენ. მათი რაოდენობა თანდათან მატულობდა.

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლიტვური ლიტერატურის კლასიკოსი ანტანას ვიენოლის-ჟუკაუსკასი, რომელიც პროფესიით ფარმაცევტი იყო. იგი ამ სპეციალობას დაეუფლა მოსკოვში, ფერეინის აფთიაქში, საიდანაც 21 წლის ახალგაზრდა თბილისში გამოგზავნეს.

1903-1905 წლებში ანტანასი პროვიზორად მუშაობდა სოლოლაკის რაიონში მდებარე ერთ-ერთ აფთიაქში.

საქართველო, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი, მისი გმირული წარსული და თვითმყოფადი კულტურა ა. ვიენოლის-ჟუკაუსკასისათვის შემოქმედებითი შთაგონების უშრეტ წყაროდ იქცა. სწორედ აქ შექმნა მან თავისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები „ტფილისის კორესპონდენციები“, რომელიც სანკტ-პეტერბურგში გამომავალ ლიტვურ გაზეთში 1904 წელს გამოქვეყნდა. ამის შემდეგ შეიქმნა მწერლის შემოქმედების ნამდვილი მარგალიტი – „კავკასიური ლეგენდები“, სადაც მან აღწერა ქართველი ერის ყოფა-ცხოვრება და ტრადიციები.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მწერალი ქ. კოვნოში (ამჟამად – კაუნასი) დამკვიდრდა [Айдинов 2009: 52].

1907-1908 წლებში კოვნოს ეპარქიაში შემავალ პოჟაის მონასტერში არქიმანდრიტად მსახურობდა იმ პერიოდში სამშობლოდან გასახლებული ეპისკოპოსი კირიონი (1855-1918), ერისკაცობაში – გიორგი საძაგლიშვილი, რომელიც 1917-1918 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი გახლდათ. ეს მონასტერი ძველად კათოლიკური იყო, ხოლო, 1830-1831 წლების პოლონეთის სახალხო აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ მართლმადიდებლურად აქცია.

ეპისკოპოსმა კირიონმა აღნიშნულ მონასტერს მიუძღვნა საგანგებო წიგნაკი, რომელიც კოვნოში გამოქვეყნდა [Епископ Кирион 1907].

იმავდროულად, მან გულდასმით შეისწავლა ტაძარში დაცული უნიკალური საარქივო მასალა, რომელსაც განადგურების საფრთხე ემუქრებოდა. მანვე, გადარჩენის მიზნით, მონასტრიდან წაიღო XVI-XIX საუკუნეებით დათარიღებული ათასამდე ორიგინალური დოკუმენტი [Кикналзе 2010: 216-219], რომლებიც ამჟამად ინახება

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ კირიონის პირად ფონდში [სცსსა, ფ. 1458, ს. 99-105].

ცნობილი ქართველი პედაგოგი, მთარგმნელი, მხატვარი და საზოგადო მოღვაწე ლადო (ვლადიმერ) მალაქიას ძე ჯაფარიძე (1887-1981), რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, მეგობრობდა ლიტველ სტუდენტ იურგის ბალტრუშაიტისთან.

1908 წლის შემოდგომაზე, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიერ ორგანიზებულ სპექტაკლსა და ლიტერატურულ საღამოზე, სხვებთან ერთად, ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს დელეგაციაც მიიწვიეს.

ამ დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი ლ. ჯაფარიძე იგონებდა: „სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, მიგვიწვიეს კაბარეში, რომელსაც „ლეტუჩაია მიშ" ეწოდებოდა. ის, მგონი, იმავე სამხატვრო თეატრს ეკუთვნოდა. იგი მიჰყავდა იმავე თეატრის მეტად ნიჭიერ მსახიობს – ბალიევს.., შესანიშნავი გარეგნობისა და მახვილი ენის პატრონს. ყოველი მისი სიტყვა დიდ მხიარულებასა და ხარხარს იწვევდა.

ლიტველი პოეტი და ლიტერატორი ბალტრუშაიტისი პატარა ლექსით გამოვიდა და მხურვალე ტაშიც დაიმსახურა.

სუფრასთან რომ იჯდა, ბალიევმა ხმამაღლა მოგვმართა: „Дорогие гости, не стесняйтесь, балтрушайтесь на здоровье!"...

ბალტრუშაიტისი მორიდებული და მორცხვი ახალგაზრდა იყო და, როცა მისი გვარი სახუმაროდ გამოიყენეს, მან კიდევ უფრო დაირცხვინა" [ჯაფარიძე 2004: 50].

ზემოთ მოყვანილ მოგონებაში მოხსენიებული იურგის ბალტრუშაიტისი მეგობრობდა პოეტ ტიციან ტაბიძესთან [Skliutauskas 1972].

XX საუკუნის ათიან წლებში საქართველოში უკვე საკმაოდ ბევრი ლიტველი ცხოვრობდა.

1912 წელს თბილისში დაარსდა ურთიერთდახმარების ლიტვური საზოგადოება, რომელიც ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, მართავდა საღამოებს და სხვ. საზოგადოებასთან შეიქმნა ლიტველ მომღერალთა გუნდი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კომპოზიტორი იულიუს შტარკა. იგი ამ გუნდს 1918 წლამდე ხელმძღვანელობდა.

რუსეთის იმპერიის დანგრევამ (1917 წ.) მის ფარგლებში იძულებით მოქცეულ ხალხებს და მათ შორის ქართველ და ლატვიელ ხალხებს შესაძლებლობა მისცა, რომ თავისუფლება მოეპოვებინათ.

იმ დროისათვის კავკასიაში მცხოვრებ ლიტველთა ერთი ნაწილი აქ I მსოფლიო ომამდე სამუშაოდ ჩამოვიდა, მეორე ნაწილი – გადმოსახლებული ან ლტოლვილი იყო, ხოლო უმრავლესობას კავკასიის ფრონტზე მყოფი სამხედრო პირები შეადგენდნენ.

ლიტველ სამხედრო პირთა შორის იყო ლიტვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანი, ინჟინერი პეტრას ვილეიშისი.

1917 წლის აპრილში თბილისში მცხოვრებმა ლიტველებმა ეროვნული საბჭო ჩამოაყალიბეს. მას სათავეში ჩაუდგა ვაჟთა IV გიმნაზიის მათემატიკის პედაგოგი პრანას დაილიდე. შეიქმნა ლიტვური ენის შემსწავლელი წრე მათთვის, რომელთაც მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არ იცოდნენ ანდა უკვე დავიწყებული ჰქონდათ.

ლიტვური საზოგადოებები დაარსდა კავკასიის ცალკეულ ქალაქებში: კისლოვოდსკში, პიატიგორსკში, გროზნოში, ბაქოში, ბათუმში, ალექსანდროპოლსა და ყარსში.

25 აპრილს, ყარსის ციხესიმაგრის გარნიზონის ლიტველმა ჯარისკაცებმა ოფიცერ პეტრას გუდელისის მეთაურობით ჩამოაყალიბეს წრე, რომელიც სამშობლოს მოწყვეტილ ლიტველებს საღამოობით მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას ახსენებდა.

კავკასიის ფრონტის ხაზის რღვევის გამო, ლიტველმა სამხედრო პირებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ ლიტველთა კოლონია აქტიურად საქმიანობდა თბილისში, თავი სწორედ ამ ქალაქში მოიყარეს. ამის გამო, კავკასიაში იმხანად მცხოვრებ ბალტიელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი კოლონია ლიტველებმა ჩამოაყალიბეს.

იმავე წლის 27-30 დეკემბერს, თბილისში ჩატარდა კავკასიის ლიტველთა ყრილობა, რომლის მუშაობაშიც 21 დელეგატი მონაწილეობდა. ისინი წარმოადგენდნენ იმ ქალაქებს, სადაც ლიტვური დიასპორები არსებობდა. ჩამოსულთა შორის იყვნენ: ბათუმიდან, ტრაპიზონიდან, ყარსიდან, ალექსანდროპოლიდან და სხვა ქალაქებიდან.

ყრილობაზე აირჩიეს კავკასიის ლიტველთა საბჭოს პრეზიდიუმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პეტრას ვილეიშისი. მის მოადგილეებად აირჩიეს პრანას დაილიდე და პეტრას გუდელისი, მდივნებად – ბ. სიპავიჩუსი და ს. იაზდაუსკასი.

მათი მიზანი იყო ჩამოყალიბება სათანადო გაერთიანებისა, რომელიც დაიცავდა მათ და კავშირს დაამყარებდა ლიტვასთან, რათა კავკასიაში მყოფი ლიტველები სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. იმავე მიზნით, მათ ადგილობრივ ლიტველთა რეგისტრაცია დაიწყეს.

ყრილობამ მისასალმებელი ტელეგრამები გაუგზავნა ლიტვის საბჭოს (ვილნიუსი) და რუსეთის ლიტველთა საბჭოს (ვორონეჟი), რომლებშიც გამოთქვეს რწმენა, რომ ეს საბჭოები ჩაატარებდნენ დამფუძნებელ კრებას და ხელს შეუწყობდნენ ლიტვის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას.

თბილისის ლიტველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ პრანას დაილიდემ თავის მოხსენებებში დააყენა ლიტვის სრული დამოუკიდებლობის საკითხი, რისთვისაც უნდა გაერთიანებულიყო ყველა ლიტველი, განურჩევლად წოდებისა და პარტიული კუთვნილებისა.

ამას მოჰყვა დისკუსია.ყრილობის მონაწილეთა ნაწილი თვლიდა, რომ, ლიტვის იმდროინდელი მოკრძალებული სამრეწველო-სავაჭრო პოტენციალიდან გამომდინარე, სრულ დამოუკიდებლობაზე ფიქრი ჯერ ნაადრევი იყო და უმჯობესი იქნებოდა, ეფიქრათ ავტონომიაზე დემოკრატიული რუსეთის ფარგლებში.

კავკასიის ლიტველთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პეტრას ვილეიშისმა დამაჯერებელი არგუმენტებით დაასაბუთა აუცილებლობა ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

ამის შემდეგ, თითქმის ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ლიტვის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მომავალი უნდა უზრუნველეყო მხოლოდ სეიმის დამფუძნებელ კრებას და მსოფლიოს კონფერენციას.

საბჭოს საქმიანობა სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართებოდა:

1. კავკასიაში მყოფ ლიტველთა რეგისტრაცია;
2. მათი საქმეების წარმომადგენლობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში;
3. ლიტველთა სამშობლოში დაბრუნების ორგანიზება.

ზემოხსენებული ფუნქციების შესრულებით ლიტველთა საბჭო ფაქტობრივად წარმოადგენდა ლიტვის არაოფიციალურ საკონსულოს თბილისში.

ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის (1918 წლის 9 აპრილი) შემდეგ, გაჩნდა უცხოელ მოქალაქეთა იურიდიული სტატუსის განსაზღვრის საჭიროება. გადაწყდა, რომ გაეცათ მოწმობები, რომლებიც პასპორტს დროებით შეცვლიდა. ეს მოწმობები ეძლეოდათ პირებს, რომელთაც შეეძლოდ დოკუმენტურად დაესაბუთებინათ, რომ ისინი წარმოშობით ლიტვიდან იყვნენ.

ლიტველთა საბჭოს დაარსებისა და საქმიანობის შესახებ ოფიციალურად აცნობეს როგორც საქართველოს, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს. აქვე დავსძენთ, რომ იმხანად თბილისში უკვე არსებობდა პოლონეთისა და უკრაინის ოფიციალური წარმომადგენლობები.

ვინაიდან კავკასიიდან ლიტვაში მიმავალი გზა რუსეთზე გადიოდა, ხოლო, რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების გამო, ეს გზა ჩაიკეტა, აუცილებელი გახდა ალტერნატიული გზის ძიება. შავ ზღვასა და უკრაინაზე გამავალი გზა იყო გერმანელთა ხელთ, რომლებიც 1918 წლის მაისიდან კავკასიაშიც შემოვიდნენ. ასეთ ვითარებაში, კავკასიაში მყოფ ლიტველთა მდგომარეობა საჭიროებდა, რომ ლიტვას თბილისში ოფიციალური წარმომადგენლობა გაეხსნა.

იმავე წლის 2 ივნისს კავკასიის ლიტველთა საბჭომ თხოვნით მიმართა ლიტვის საბჭოს, რათა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში და მათ შორის საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობა გაეხსნათ. გადაწყდა, რომ თბილისიდან ლიტვაში გამგზავრებულიყო დელეგაცია, რომელსაც სათავეში თბილისის ლიტველთა საბჭოს თავმჯდომარე პრანას დაილიდე ჩაუდგა.

პ. დაილიდე შეხვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს. ამ უკანასკნელმა დაილიდეს გადასცა ოფიციალური წერილი ლიტვის მთავრობისადმი, რომელშიც მილოცვასთან ერთად სთხოვა, რომ მათ მხარი დაეჭირათ საქართველოსათვის პარიზის საზავო კონფერენციაზე, რომლის მუშაობაც მიმდინარეობდა 1919-1920 წლებში, ერთი წლის განმავლობაში.

23 ივლისს პ. დაილიდე შეხვდა ლიტვის სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარეს ანტანას სმეტონას. ხელისუფლების თავკაცს დაილიდემ გააცნო კავკასიელ ლიტველთა მდგომარეობა, რის შემდეგაც იგი დაინიშნა ლიტვის სრულუფლებიან წარმომადგენლად სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში და დაევალა იქაურ ლიტველთა უფლებების დაცვა.

30 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აკრედიტებულ იქნა ლიტვის სახელმწიფოს წარმომადგენლობა, რომელსაც სათავეში პ. დაილიდე ჩაუდგა.

1919 წლის 23 მარტს ლიტვის საკონსულო გაიხსნა კავკასიის მეორე სახელმწიფოში – აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, სადაც ლიტველები ასევე მრავლად იყვნენ.

სამხრეთ კავკასიაში აკრედიტებულ ლიტველთა საკონსულოებს საქმიანობა საკმაოდ რთულ პირობებში უხდებოდათ. იმხანად არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაში მათ უძნელდებოდათ მუდმივი კავშირი ლიტვასთან, ჰქონდათ ფინანსური გაჭირვებაც. ამის მიუხედავად, ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ლიტველები თანადგომას ყოველთვის გრძნობდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან აკრედიტებული ლიტვის წარმომადგენელი თავის ანგარიშში აღნიშნავდა:

„Имея всего лишь временные полномочия Совета, не сообщаясь с властями Литвы и постоянно испытывая недостаток средств, благодаря симпатиям Закавказья к Литве,

идущей по тому же пути самоопределения. представитель был признан всеми народами Кавказа" [Айдинов 2009: 50-51].

ოციან წლებში საქართველოდან სამშობლოში ათი ათასამდე ლიტველი დაბრუნდა [ჩიქოვანი 2008: 273-276].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა მსოფლიოს ოცმა სახელმწიფომ, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ, ავსტრიამ, პოლონეთმა, იაპონიამ, არგენტინამ, ოსმალეთმა და თვით საბჭოთა რუსეთმაც (7. V. 1920 წ.).

1921 წლის 6 თებერვალს, თბილისში აკრედიტებულმა უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას (1868-1953) ოფიციალურად მიულოცეს ქვეყნის დე-იურედ აღიარება. მათ შორის იყვნენ: ლიტვის კონსული დაილიდე და ესტონეთის კონსული პაული [„საქართველოს რესპუბლიკა" 1921].

ამრიგად, ლიტველები საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდნენ. მათი რაოდენობა თანდათან მატულობდა და XX საუკუნის ათიანი წლების მიწურულს რამდენიმე ათასს მიაღწია. 1917 წლის მიწურულიდან თბილისში არსებობდა ლიტველთა ეროვნული საბჭო, ხოლო მომდევნო წელს დაფუძნდა ლიტვის საკონსულო. ისინი ზრუნავდნენ, რომ კავკასიაში მყოფი ლიტველები სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ამაში მათ ხელს უწყობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც ლიტველთა მიმართ თანადგომას გამოხატავდა.

12. საქართველოს და ბალტიის ქვეყნების ერთა ლიგაში მიღების საკითხი (1920 წ.)

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ახლად აღორძინებული ქართული სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანად იქცა ქვეყნის არსებობის შენარჩუნებისათვის მყარი საერთაშორისო გარანტიების მოპოვება.

1919 წელს შეიქმნა მსოფლიოს ცალკეულ სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია – ერთა ლიგა. ერთა ლიგის ძირითად მმართველ ორგანოებს წარმოადგენდა ასამბლეა – ორგანიზაციის წევრების წარმომადგენელთა კრება და საბჭო, რომელთა ადგილსამყოფელი შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში მდებარეობდა.

ერთა ლიგის ჩამოყალიბების შემდეგ, ფრიად აქტუალური გახდა, რომ მასში გაერთიანებულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც საბჭოთა რუსეთის თავდასხმის პერმანენტული საფრთხე ემუქრებოდა. ასეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორგანიზაციაში ბალტიის ქვეყნების: ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკების შესვლას, რომელთა დამოუკიდებლობასაც მსგავსი საფრთხე ემუქრებოდა.

1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ჟენევაში, ერთა ლიგაში ერთად განიხილეს საქართველოს, ბალტიის ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოთა მიღების საკითხი, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

კოლუმბიის წარმომადგენელმა რესტრეპომ განაცხადა: „ეს სახელმწიფოები აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებას, რომელთაც ჩვენ წარვუდგენთ ხოლმე ახალ წევრებს; თვით კომისია სცნობს ამას! კომისია ემყარება რაღაც „მდგომარეობას", რომელიც ხელს უშლის ამ კანდიდატების მიღებას. მაგრამ, ლიგის ხელშეკრულებაში არ არის დაშვებული მიუღებლობა „მდგომარეობის" გამო. მიუღებლობა იქნება ერთა ლიგის სისუსტის დამტკიცება!" [ავალიშვილი 1929: 233].

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა, განათლების მინისტრმა ფიშერმა განაცხადა: „მე ვთხოვ ამ კრების დელეგატებს, რომელთაც სერიოზული კენჭისყრა მოელით, დაუფიქრდნენ, მზად არიან თუ არა, მართლაც ურჩიონ თავიანთ მთავრობებს, გაუგზავნონ მატერიალური დახმარება რუსეთის განაპირას მდებარე ამ გულად, პატარა სახელმწიფოს, თუ განსაცდელი მიუახლოვდა მას".

16 დეკემბერს გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ აღნიშნული ქვეყნების მიღების საკითხზე გამართულიყო კენჭისყრა. მასში მონაწილეობდა 24 სახელმწიფო. ერთა ლიგაში მისაღებად საჭირო იყო ხმების ორი მესამედი ანუ 16 ხმა.

საქართველოს მიღებას ერთა ლიგაში მხარი დაუჭირა ათმა სახელმწიფომ, ხოლო საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა თორმეტმა ქვეყანამ. მომხრეთა შორის იყვნენ შემდეგი ქვეყნები: ნორვეგია, შვეიცარია, იტალია, პორტუგალია, სპარსეთი, სამხრეთ აფრიკა, კოლუმბია, ჩილე, პარაგვაი და ბოლივია.

ბალტიის ქვეყნების ერთა ლიგაში მიღებას უფრო ნაკლები მომხრე – სულ ხუთი სახელმნიფო გამოუჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრის შედეგები უარყოფითი აღმოჩნდა, ერთა ლიგის მიერ იმავე დღეს მიღებული რეზოლუციით, საქართველოს და ბალტიის სახელმწიფოებს, ლიგის წევრ ქვეყნებთან ერთად, შესაძლებლობა მიეცათ დაუყოვნებლივ მიეღოთ მონაწილეობა აღნიშნული საერთაშორისო გაერთიანების ისეთ პრაქტიკულ ორგანიზაციებში, როგორიც იყო: ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხთა კონფერენცია, საერთაშორისო სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხთა კომიტეტი, შრომის საერთაშორისო ბიურო, მიმოსვლისა და ტრანზიტის კომისია [შარაძე 2003: 175-182].

კუბის დელეგატმა აგუერომ, რომელიც კენჭისყრის მომზადებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, კულუარებში დაუფარავად განუცხადა საქართველოს წარმომადგენლებს – ზურაბ ავალიშვილს და მიხეილ სუმბათაშვილს:

– „ამერიკის რესპუბლიკებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ თავიანთი ხმების რაოდენობით ლიგაში მიეღოთ საქართველო და ბალტიის მხარის სახელმწიფოები, რასაც მოითხოვდა სამართლიანობა! მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ასეთ საქმეებს სწყვეტს არა სამართლიანობა!

ამერიკის რესპუბლიკებისათვის უხერხულია წინააღმდეგობა გაუწიონ ევროპის დიდ სახელმწიფოებს იმ საკითხში, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნიერების სწორედ ამ ნაწილისათვის!

ინგლისმა და საფრანგეთმა, მარტო ინგლისმა მოგცეთ ხმა და ჩვენ, როგორც ერთი კაცი, – შევუერთდებით მას" [ავალიშვილი 1929: 235].

საგულისხმოა, რომ მომდევნო, 1921 წელს გამართული განმეორებითი კენჭისყრის შედეგად, როდესაც ბალტიის რესპუბლიკები მიიღეს ერთა ლიგის წევრებად, საქართველო უკვე ოკუპირებული იყო საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ [კირთაძე 1997: 162].

აღნიშნულ მოვლენას ქართული ემიგრანტული პრესა ოპერატიულად გამოეხმაურა. მომხდარის გამო სიხარულს ვერ ფარავდნენ ქართველი პოლიტიკური ემი-

გრანტები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ბალტიის ქვეყნების ხსნის შემდეგ, საქართველოს განთავისუფლების ჟამიც დადგებოდა.

1921 წლის 30 სექტემბერს გამოცემულ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ბეჭდვით ორგანოში „თავისუფალი საქართველო" გამოქვეყნდა სტატია „ერთა ლიგა და ბალტიის სახელმწიფოები", რომელშიც ვკითხულობთ: „ესტონია, ლიტვა და ლატვია მიიღეს ერთა ლიგაში უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც ენკენისთვეში მოხდა. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია საერთოდ რუსეთისათვის და კერძოდ – საქართველოსათვის. იგი ბევრი რამის მაჩვენებელია დღევანდელ ევროპის პოლიტიკურ წრეებში გაბატონებული სულიერი განწყობილების შესახებ. ცნობილია, რომ პოლონეთისა და ფინლანდიის გარდა, რომელთა ჩამოშორება ყველასათვის უდავო იყო, ევროპის სახელმწიფოები ეწინააღმდეგებოდნენ დანარჩენ სახელმწიფოებრივ ერთეულებს, რომელნიც კი რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენდნენ...

ბოლოს ევროპა იძულებული გახდა ფაქტისათვის ანგარიში გაეწია და ეს სახელმწიფოები ეცნო. ამ წლის დამდეგს ისინი საქართველოსთან ერთად აღიარებულ იქნენ იურიდიულად. ამით დაინყო ერთგვარი პრაქტიკული გადაჭრა რუსეთის მთლიანობის პრობლემის, ხოლო ერთა ლიგაში მიღებამ ეს ნაბიჯი დაადასტურა და მას მკვიდრი ხასიათი მისცა. ერთა ლიგის წევრები, როგორც ვიცით, ერთგვარ გარანტიას აძლევენ ურთიერთს ყოველივე თავდასხმისაგან. ამიტომ, ლიგაში მიღება ამ სახელმწიფოებისა ნიშნავს იმას, რომ მათზე თავდასხმა მთელ ლიგაზე თავდასხმად ჩაითვლება და დაფარვა მათი ლიგის ყველა წევრების ვალი იქნება. ეს კი პატარა სახელმწიფოებისათვის დიდი იმედია და მათი თვითარსებობის განმამტკიცებელია. ის, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მიმართ ბოლშევიკური ოკუპანტების მხრივ, ბალტიის სახელმწიფოების მიმართ ერთიორად გაძნელებულია. ასეთი თავდასხმა ამ ახალ რესპუბლიკებზე იქნებოდა აუცილებლად ევროპული ომის გამოწვევა...

ხალხთა ლიგის ნაბიჯს აქვს მეორე მხარეც. ამით რუსეთის მთლიანობის საკითხი სამუდამოდ დამარხულია!" [„თავისუფალი საქართველო" 1921].

ქართული ემიგრაციის სოციალ-დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი მიხეილ ხუნდაძე (1898-1983) შენიშნავდა: „საქართველოს სახელმწიფო და მისი სუვერენიტეტი აღდგენილი იყო და ეს საკმარისია, რომ მას მიეღო ცნობა დე-იურე, მაგრამ, გარდა ამისა, მას ჰქონდა იურიდიულად უტყუარი – ისტორიული უფლება დამოუკიდებლობისათვის და ეს ცნობა საქართველომ მიიღო. 1920 წლის იანვარში ის იყო ცნობილი ფაქტიურად და ერთი წლის შემდეგ იურიდიულად – საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და იაპონიის მიერ; უკვე 1920 წელს – გერმანიისა და არგენტინის მიერ; შემდეგში პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და ბელგიის მიერ. არ უცვნია საქართველო ჩრდილო ამერიკის შტატებს, ვინაიდან ვილსონი რუსეთის დანაწილების წინააღმდეგ იყო. მან საერთოდ უარი განაცხადა ლიმიტროფერების ცნობაზე, პოლონეთისა და ფინლიანდიის გამოკლებით.

რესპუბლიკელების გამარჯვებამ სავსებით შეცვალა ეს მდგომარეობა: შემდეგში ბალტიის სახელმწიფოები ცნობილნი იქნენ ამერიკის მიერ. აუცილებელი იყო აგრეთვე საქართველოს ცნობა, რომ მას დამოუკიდებლობა არ დაეკარგა. იმ დროს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ საგანს შეადგენდა იურიდიულ ცნობის (დე-იურე) მიღწევა და მასთან საქართველოს ერთა ლიგაში მიღება.

ერთა ლიგის პირველ სესიაზე 1920 წელს საქართველოს და აგრეთვე ბალტიის სახელმწიფოების მიღების საკითხი დასმული იყო...

საქართველოს მდგომარეობა და მნიშვნელობა უფრო დაფასებული იყო, ვიდრე ბალტიის სახელმწიფოების, რასაც ჩვენ კენჭისყრიდან დავინახავთ: საქართველოს – 13 წინააღმდეგი, 10 – მომხრე, 10 – თავი შეიკავა... მაშინ, როდესაც ბალტიის სახელმწიფოებმა წინააღმდეგ მიიღეს – 24 და სასარგებლოდ მხოლოდ – 5 ხმა" [ხუნდაძე 1929].

მიუხედავად იმისა, რომ, აღნიშნული კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე, ერთა ლიგაში მიღების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს გამოუჩნდა ბალტიის რესპუბლიკებზე ორჯერ (ანუ ხუთი ქვეყნით) მეტი მხარდამჭერი სახელმწიფო, მ. ხუნდაძე მართებულად შენიშნავდა: „როგორც შემდეგ გამოირკვა, საქართველოს მდგომარეობა უფრო სუსტი გამოდგა" [ხუნდაძე 1929].

ყოველივე ზემოთქმულს ისიც დაემატა, რომ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მცდელობა – საკუთარ ორბიტაში მოექცია პოლონეთი, ფინეთი და ბალტიის ქვეყნები, – 1917-1920 წლებში მარცხით დასრულდა. ამის გამო, აღნიშნული ქვეყნების დაპყრობის გეგმა საბჭოთა რუსეთის მესვეურებმა დროებით მომავლისათვის გადადეს და მთელი ძალა მიმართეს კავკასიისაკენ, სადაც 1921 წლის დასაწყისისათვის დარჩენილი იყო ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937), რომელიც საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმმა სუზდალის ციხეში გამოამწყვდია, საპყრობილეში ყოფნისას დაწერილ თხზულებაში „ფიქრები საქართველოში" აღნიშნავდა: „მოსკოვის მთავრობის პოლიტიკის ობიექტური შინაგან-ისტორიული აზრი იმაშია, რომ დამარცხებულმა და ევროპის ასპარეზიდან განდევნილმა რუსეთმა სოციალური დროშით მოსკოვის ჰეგემონია შექმნას და მით რევანში აიღოს ევროპიდან. მაგრამ... რუსეთი ამ ასპარეზზედაც დამარცხდა. უკანასკნელად რუსეთი თავის ძლიერ ინტერნაციონალურ კომუნიზმის აგიტაციას თან ურთავს საკუთარ სუსტ საომარ ტექნიკას და ამ შეზავებულ საშუალებით ეკვეთა ევროპას 1920 წელს, მაგრამ ვარშავის მიდამოებში საბოლოოდ ჩაიმსხვრა და ჩაიფერფლა ევროპაზე რევანშის იმედი.

მხედრულად და პოლიტიკურად ევროპაში დამარცხებული, ევროპიდან განდევნილი, ბალტიის ზღვას თითქმის სრულიად მოწყვეტილი, პეტერბურგის ევროპული პერიოდიდან მოსკოვის აზიურ ეპოქაში დაბრუნებული, ევროპისაგან გალახული და ევროპაზე გულგატეხილი რუსეთი პირს აღმოსავლეთისაკენ იბრუნებს და იწყებს აზიურ პოლიტიკას...

რუსეთი, რომელსაც დაეხშო პეტრე დიდის მიერ დასავლეთისაკენ გაჭრილი ფანჯარა.., ამოცანად ისახავს საქართველოს დაპყრობას, ვინაიდან ამით ის ამოიღებს იმ ევროპეიზმის ეკალს, რომელიც ასე სჭრის მის მოსკოვურ-ბიზანტიურ თვალს" [ლორთქიფანიძე 1995: 203-211].

ამრიგად, საქართველოს და ბალტიის ქვეყნების მცდელობას, განევრიანებულიყვნენ ერთა ლიგაში, დიდ სახელმწიფოთა უარყოფითი პოზიციის გამო, 1920 წლის მინურულს დადებითი შედეგი არ მოჰყვა. მომდევნო წელს, როდესაც ბალტიის რესპუბლიკები ერთა ლიგის წევრებად მიიღეს, საქართველო უკვე ოკუპირებული იყო საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ.

ქართულ-ბალტიური ურთიერთობა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან XXI საუკუნის 10-იან წლებამდე

1. ლატვიელები საქართველოში (1921-1945 წწ.)

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების მიუხედავად, ლატვიის რესპუბლიკის საკონსულო თბილისში თავის საქმიანობას კიდევ ერთი წლის განმავლობაში განაგრძობდა.

1921 წლის 18 მაისს, ლატვიის რესპუბლიკის ვიცე-კონსულმა საქართველოში იანის პურინშმა საკონსულოს დროებითი ხელმძღვანელობა შესთავაზა ზემოხსენებულ იული სტრაუმეს, ხოლო თვითონ სამშობლოში დაბრუნდა.

ვიცე-კონსულის მოვალეობის შემსრულებელი ი. სტრაუმე ამ თანამდებობაზე მომდევნო წლის თებერვლამდე მსახურობდა. მის მდივნად მუშაობდა პეტერის ბირგენსონი.

1921 წლის 24 მაისს საქართველოს სსრ-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება პოლონეთის, ფინეთისა და ბალტიის სამი რესპუბლიკის მოქალაქეთა სამშობლოში ევაკუაციის შესახებ.

თბილისში მოქმედი ლატვიის რესპუბლიკის საკონსულო იძულებული გახდა, რომ თავისი მოქალაქეების სამშობლოში დეპორტაციაზე ეზრუნა. ვიცე-კონსული მაქსიმალურად ცდილობდა, რომ სამშობლოში დაბრუნების მსურველ ლატვიელებს შეძლებისდაგვარად დახმარებოდა.

1922 წლის 10 თებერვალს ლატვიის რესპუბლიკის საკონსულო თბილისში ოფიციალურად გაუქმდა.

ი. სტრაუმემ სცადა დაერწმუნებინა ლატვიის რესპუბლიკის ხელისუფლება, რათა მათ თბილისში საკონსულო აღედგინათ, რასაც დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

1922 წლის 12 სექტემბერს ყოფილი ვიცე-კონსული ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე გაგზავნილ წერილში წერდა: „თუ ტრანსკავკასია ის ხიდია, რომელზედაც აღმოსავლეთთან ეკონომიკური, სავაჭრო და საწარმო ინტერესების გზა არის გადებული, თუ პატარა სახელმწიფოები, როგორიცაა ლატვია, ლიტვა და ესტონეთი, საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას ცდილობენ (ლიტვამ სრულუფლებიანი სავაჭრო წარმომადგენელი გამოაგზავნა, ესტონეთმა ბოლშევიკთა ხელისუფლებასთან თბილისში თავისი წარმომადგენლობა დააარსა – მთელ კავკასიასთან და სპარსეთთან კავშირისათვის და ახლო მომავალში ესტონური საქონლით გემს ელოდება), მაშინ ლატვიასაც, ჩემი რწმენით, კავკასიაში თავისი წარმომადგენლობის შენარჩუნების საკმაო დაინტერესება უნდა გააჩნდეს".

ზემოთ აღნიშნული მცდელობის უშედეგოდ დასრულების შემდეგ, ი. სტრაუმე კვლავ თბილისში დარჩა და თავის პროფესიულ საქმიანობას დაუბრუნდა.

1921 წლიდან, კუსტარული მრეწველობის სამხატვრო ნაწილში, სადაც სტრაუმე მოღვაწეობდა, მიწვეულ იქნა მეორე შტატიანი მხატვარი – დავით ნიკოლოზის ძე ციციშვილი. ასე დაუახლოვდნენ ერთმანეთს ნიჭიერი ქართველი და ლატვიელი ხელოვანები, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდნენ.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში მყოფ კუსტარულ ტექნიკუმში 1921-1922 წლებში დამზადებული ტექსტილის ნაკეთობანი ი. სტრაუმეს ჩანახატების მიხედვით იქსოვებოდა. მათ შორის იყო ხალიჩები სახელწოდებით „მირი“ (ასე უწოდებდნენ ტექნიკური და სტილისტური მოხატულობის ხერხების ერთობლიობას სპარსულ ტექნიკაში) და „ჯუნგლი“, რომელთა ტექნიკური ნახატებიც დ. ციციშვილმა შეასრულა.

პარიზში გამართულ საერთაშორისო დეკორატიული ხელოვნებისა და მოდერნული ინდუსტრიის გამოფენაზე (1925 წ.) საქართველოს სახელით წარდგენილმა ხსენებულმა ხალიჩებმა საყოველთაო აღიარება და ოქროს მედალი დაიმსახურეს. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ტექსტილის ნაკეთობას „მირი“. ამჟამად ეს ხალიჩები დაცულია საქართველოს სახალხო და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში [კლავინა 2005: 40-43].

1923 წლის მიწურულს, ი. სტრაუმე, თავის მეუღლესთან ერთად, ლატვიაში დაბრუნდა. ამის მიუხედავად, მას არ გაუწყვეტია კავშირი ქართველებთან და საქართველოსთან. ჩვენს ქვეყანაში გატარებულ წლებს ის ყოველთვის სიამოვნებით იხსენებდა.

სსრ კავშირის ხელმძღვანელობამ საბჭოური ინდუსტრიალიზაციის ხუთწლედებში საქართველოში მოავლინა ლატვიელი ინჟინრები, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიკაციაში. მათ შორის იყვნენ, მაგალითად, დულკისი და პეტერის მარტინის ძე ურკევიცი, რომელიც ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის პირველი მინისტრი იყო. ამ ლატვიური საგვარეულოების წარმომადგენლები საქართველოში დღესაც ცხოვრობენ [ჩიქოვანი 2008: 270-272].

რუსეთის სფსრ-ისა და შემდეგ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობამ თავისი რამდენიმე ლატვიელი თანამშრომელი საქართველოში მოავლინა.

პოლკოვნიკი იან ალექსანდრეს ძე დერბუტი (1893-1938), დაბადებული რიგაში, 1938 წლის აპრილამდე მსახურობდა საქართველოს სსრ-ის სასაზღვრო და შინაგანი ჯარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად [Jēkabsons 2009: 188].

1921-1928 წლებში ამიერკავკასიის სფსრ-ის საგანგებო კომისიაში (ЧК) სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მსახურობდა სახელმწიფო უშიშროების მაიორი ანს კარლის ძე ზალპეტერი (1899-1939). 1924-1925 წლებში იგი იყო ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსის თანაშემწე, ხოლო 1925-1928 წლებში – სსრკ-ის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ОГПУ) სრულუფლებიანი წარმომადგენლობის კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი ამიერკავკასიის სფსრ-სა და საგანგებო კომისიაში [Петров 1999: 201-202].

ამიერკავკასიის სფსრ-ის საგანგებო კომისიის კონტრდაზვერვის განყოფილებაში მუშაობდნენ გამომძიებლები შტეპკა კაულინი და კორვინი [დადიანი 2008: 74].

1921 წლიდან საქართველოს სსრ-ის საგანგებო კომისიაში (ЧК) მსახურობდა ერნა სპიდაინე (1896-1937), რომელიც დაბადებული იყო ქ. ფრიდრიხშტადტში (ამ-

ჟამად – იაუნელგავა/Jaunjelgava). შემდგომ ის მსახურობდა ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტიკურ განყოფილებაში, თბილისში. გათხოვილი იყო იაშვილზე.

ბუნებრივია, რომ სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ზემოხსენებული ლატვიელი თანამშრომლები საქართველოში ასრულებდნენ იმ დავალებას, რაც მათ მათივე ხელმძღვანელობამ დააკისრა. აქვე უნდა ითქვას, ხსენებული სტრუქტურის არაერთი თანამშრომელი თვითონვე გახდა 30-იანი წლების მიწურულს სსრკ-ში დაწყებული მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი. ასეთი ბედი ეწვიათ, მაგალითად, ზემოხსენებულ ა. დერბუტს, ა. ზალპეტერს და ე. სპიდაინეს, რომლებიც 1937-1939 წლებში დააპატიმრეს და დახვრიტეს.

სსრკ-ის საგარეო დაზვერვის პოდპოლკოვნიკი, რიგაში დაბადებული რუდოლფ იოჰანეს (ივანეს) ძე აბელი (1900-1955) 1942 წლის აგვისტოდან 1943 წლის იანვრამდე მსახურობდა კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის დამცველ ოპერატიულ ჯგუფში [Дегтярев 2009: 341].

XX საუკუნის ოციანი წლებიდან საქართველოში მოღვაწეობდა ცნობილი ლატვიელი ფარმაკობოტანიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი ედუარდ იაკობის ძე აბოლი (1868-1959).

1926-1952 წლებში ის სათავეში ედგა ფარმაკოგნოზიის კათედრას ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ ფარმაცევტულ და სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტებში. 1932 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-კვლევითი ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტის ფარმაკო-ბოტანიკის განყოფილებას.

იგი იკვლევდა ფარმაკოგნოზიის სწავლებისა და მეცნიერული ფარმაციის პრობლემებს. მისი ნაშრომები ეხება სამკურნალწამლო ნედლეულის ფიტოქიმიურ და მიკროსკოპულ ანალიზს, ფარმაკოგნოზიის სწავლებას. შეისწავლა და აღწერა ადგილობრივი სამკურნალო მცენარეები. ხელმძღვანელობდა ფარმაკობოტანიკურ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. იყო ფარმაცევტული პროფილის 5 ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1944 წელს ე. აბოლს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება [ერისთავი 1997: 30-31].

საქართველოს მინერალური და, საერთოდ, სასმელი წყლების შესწავლას დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ლატვიელმა ქიმიკოსმა რობერტ დავისის ძე კუპცისმა (1881-1954). იგი დაიბადა ლიფლანდიის გუბერნიის ქალაქ ვოლმარში (ამჟამად – ვალმიერა).

ფარმაციის მაგისტრი რ. კუპცისი ჯერ კიდევ 1908 წელს გამოგზავნეს კავკასიაში, სადაც დაინიშნა სამოქალაქო უწყების სამედიცინო სამმართველოს ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა ექსპერტად.

1913 წლის აპრილში ის წყალტუბოს წყლების შესასწავლად მიავლინეს. მან გამოიკვლია წყალტუბოს სამკურნალო ტალახი, მინერალური და სასმელი წყლები, დაადგინა რადიოაქტიური თვისება ამ წყლებისა, რომლებსაც მისი სამეცნიერო ანალიზის შემდეგ „როდონის წყლები“ ეწოდა. მან პირველმა ჩაატარა საირმის წყლის ლაბორატორიული ანალიზი [Якобидзе 2007: 34-37].

საქართველოს მინერალური წყლების შესწავლის ენთუზიასტმა და აღიარებულმა ექსპერტმა მოახდინა ადგილობრივი ათასამდე მინერალური და მტკნარი სასმელი წყლის ანალიზი, რომელთაგან 800-მდე პირველმა გამოიკვლია [ნიკოლეიშვილი 2007: 53].

რ. კუპცისის დასკვნით: „მთელი საქართველო კურორტია" [Якобидзе 2007: 37].

მკვლევარი აცხადებდა: „საქართველო – ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ნისქვილები მინერალურ წყლებზე დგას და ფქვავს, სადაც 3000-მდე მინერალური წყალია აღრიცხული" [ჩინჩალაძე 2007: 4].

ლატვიელი მეცნიერი გარდაცვალებამდე თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ის მსახურობდა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-მედიკური ექსპერტიზის ნივთიერ მტკიცებათა გამოკვლევის ლაბორატორიის განყოფილების გამგედ. მისი ხელმძღვანელობით მოქმედი ქიმიის საექსპერტო ლაბორატორია კრიმინალურ ექსპერტიზასაც ეწეოდა. მან შეიმუშავა ქიმიური ანალიზის რამდენიმე მეთოდი, რომელთა შორისაც სისხლის ანალიზიც იყო. მისი შრომები შეეხება საქართველოს მინერალური წყლების ფარმაკოქიმიურ გამოკვლევას, ასევე სასამართლო-ქიმიური, სასამართლო-ბიოლოგიური, კრიმინალური და ვეტერინარიული ექსპერტიზის საკითხებს [ულენტი 1971: 550-552].

ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობის პერიოდში რ. კუპცისმა იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1944 წელს მას დისერტაციის დაუცველად მიანიჭა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ღვაწლმოსილი ლატვიელი მკვლევარი გარდაიცვალა თბილისში და დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე [Якобидзе 2007: 37; Jakobidze 2008: 69-75].

ოციან-ოცდაათიან წლებში საქართველოში გამართული გასტროლებისას დიდი მოწონება დაიმსახურა გამოჩენილმა ლატვიელმა მომღერალმა მილდა ბრეჰმანე-შტენგელემ.

აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის (1914-2000) ცნობით, თბილისში საგასტროლოდ „ხშირად ჩამოდიოდა და დიდად პოპულარული იყო ლატვიელი მომღერალი ქალი ბრეჰმან-შტენგელი (მაშინ ლატვია საბჭოთა კავშირში არ შემოდიოდა), რომელიც დიდი დრამატული ძალით ასრულებდა ტოსკას როლს" [ბერიძე 1987: 95].

1941-1943 წლებში საქართველოს კინოსტუდიაში დეკორატორად მუშაობდა ცნობილი ლატვიელი მხატვარი რომან სუტა. იგი იყო მხატვრული კონსულტანტი პოპულარული ქართული ისტორიული კინოფილმისა „გიორგი სააკაძე".

1944 წელს რ. სუტა თბილისში გარდაიცვალა [Kocere 2008: 62-63].

ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა და პუბლიცისტმა კიტა ბუაჩიძემ (1914-2000), რომელმაც, ანტისაბჭოური აზროვნების გამო, თავისი ახალგაზრდობის არაერთი წელი პატიმრობაში გაატარა, თავის მოგონებებში შემოგვინახა საყურადღებო ცნობა რ. სუტას თბილისური ცხოვრების შესახებ. იგი იგონებდა, რომ, როდესაც თბილისელმა მარგარიტა ასტვაცატუროვამ, საბჭოური ყოფისათვის დამახასიათებელ, მომქანცველ რიგში ხანგრძლივად დგომისა და ჯაჯგურის შემდეგ, როგორც იქნა იყიდა სანუკვარი ფეხსაცმელი, ხოლო შემდეგ თავისი განცდები მეგობრებს გაუზიარა, რ. სუტას მისთვის ხუმრობით უთქვამს:

– „და მერე თქვენი პორტრეტი, ბოტების ასე გმირულად შოვნის განსადიდებლად, არ მოათავსეს ჟურნალის – „СССР на стройке" ყდაზე?"

კ. ბუაჩიძის ცნობით, აღნიშნული ხუმრობიდან ცოტა ხნის შემდეგ, მ. ასტვაცატუროვა და რ. სუტა საბჭოურმა შინსახკომმა დააპატიმრა [ბუაჩიძე 2003: 160].

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ლატვიის რესპუბლიკის საკონსულომ საქმიანობა მალევე შე-

წყვიტა. ამის მიუხედავად, ლატვიელთა გარკვეული ნაწილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. მათ შორის იყვნენ ცნობილი მეცნიერები ედუარდ აბოლი და რობერტ კუპცისი, მხატვარ-დეკორატორი რომან სუტა, მომღერალი მილდა ბრეჰმანე-შტენგელე და სხვები.

2. ქართველები ლატვიაში (1921-1941 წწ.)

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის, იძულებითი გასაბჭოებისა (1921 წ.) და რეპრესიების დაწყების შემდეგ, ქართველ მამულიშვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა, რომ დაეტოვებინა სამშობლო და ემიგრაციაში გახიზნულიყო.

საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიის, იტალიის და სხვა ევროპული ქვეყნების გარდა, ქართველ ემიგრანტთა ერთ-ერთი ჯგუფი ლატვიაშიც ჩავიდა და იქ მანამდე ჩასულ ქართველთა მცირე დიასპორას შეუერთდა.

1922 წლის აგვისტოში გარდაიცვალა რიგაში მცხოვრები საქართველოს საპატიო კონსული ლატვიის რესპუბლიკაში გიორგი მიხეილის ძე მაჭუტაძე (1874-1922), რომელიც იქაურ სასაფლაოზე („Покровское кладбище") დაკრძალეს. ამის შესახებ იმავე წლის 13 აგვისტოს იუწყებოდა რუსულენოვანი გაზეთი „Сегодня", რომელიც 1919-1940 წლებში რიგაში გამოდიოდა [„Сегодня" 1922].

გიორგი მაჭუტაძე იყო ერთადერთი შვილი აზნაურ მიხეილ ბეჟანის ძე მაჭუტაძისა და იელიტა გიორგის ასულ გაგუასი. მას ჰყავდა ვაჟები – დიმიტრი და ალექსანდრე გიორგის ძე მაჭუტაძეები [Думин 1998: 173].

1922 წლის 20 დეკემბრიდან რიგაში ნაფიც ვექილად მსახურობდა ზემოხსენებული იურისტი იოაკიმე ბურჯანაძე (1879-1958). 1940 წლიდან ის გახდა ქალაქის I იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი. გერმანული ოკუპაციის (1941-1944) პირობებში განაგრძობდა ნაფიც ვექილად სამსახურს. 1944 წელს მსახურობდა ქ. სკრივერის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატად. იმავე წელს დაბრუნდა რიგაში [Jēkabsons 2002: 137].

ლატვიაში მცხოვრებმა ვარვარა (ბაბო) მიხეილის ასულმა შარვაშიძემ (1859-1946), რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გათხოვილი იყო ბალტიელ ბარონ ალექსანდრე ფელიქსის ძე ფონ მეიენდორფზე (1869-1964), ამ რესპუბლიკის მოქალაქეობა მიიღო.

1946 წელს, ვ. შარვაშიძე-მეიენდორფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ლონდონში, ლატვიურ ენაზე გამომავალ გაზეთში „Londonas Avize" ნეკროლოგი გამოქვეყნდა. მასში აღნიშნული იყო, რომ განსვენებულ წარჩინებულ ქალბატონს ძალიან უყვარდა თავისი მეორე სამშობლო – ლატვია და ქართველებივით მცირერიცხოვანი ლატვიელი ხალხი, რომელსაც გულწრფელად თანაუგრძნობდა [Šterbinskis 1998: 21].

XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ლატვიაში, თავის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა ზემოხსენებული შალვა მაღლაკელიძე [ჯავახიშვილი 2009, № 5: 17-20].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, შ. მაღლაკელიძეც დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. მოგვიანებით, მას საზღვარგარეთ ემიგრირების ნება დართეს. ამის შემ-

დეგ, იგი თავის ცოლ-შვილთან და მოსკოვში მყოფ ცოლისდასთან ერთად წავიდა მეუღლის სამშობლოში – ლატვიაში.

თავის მემუარებში შ. მაღლაკელიძე ასე იგონებდა ლატვიაში წასვლის შესახებ: "მოსკოვში 6-7 თვე ვიყავი... პეშკოვა იყო ლენინის პირადი რწმუნებული, გორკის პირველი ცოლი და მას აკისრია, რომ გაისტუმროს გავლენიანი მენშევიკები აქედან...

პეშკოვამ წამიყვანა ლატვიის საელჩოში. ფელდმანი იყო ელჩი. მომცა ფელდმანმა ვიზა და მკითხა:

– რიგაში რატომ მიდიხარო?

მე ვუთხარი:

– ცოლი გერმანელი მყავს და რიგის გუბერნიაში მამული აქვს – შერბერგში... ავიღე ვიზები... წავედით დემოკრატიულ ლატვიაში" [მაღლაკელიძე 1994: 125-126].

რიგაში ჩასული შ. მაღლაკელიძე თავდაპირველად თავისი ცოლისძმის სახლში ოჯახთან ერთად დაბინავდა. ერთ დროს შეძლებული მისი ცოლისძმის საკუთრებაში დარჩენილი იყო მხოლოდ ლუდხანა და წისქვილი, რადგან მამულები მას აგრარული რეფორმის შედეგად ჩამოართვეს.

ლატვიაში ყოფნის გარკვეულ პერიოდში შ. მაღლაკელიძე ცხოვრობდა გიორგი შვანგირაძის სახლში, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

1929 წლის იანვარში, შ. მაღლაკელიძისა და გ. შვანგირაძის ინიციატივით, რიგაში შეიქმნა პირველი კავკასიური საზოგადოება – „ივერია". თავდაპირველად მასში გაერთიანდა 20 ადამიანი, რომელთაგან 13 ქართველი იყო. მალე მათ შეუერთდნენ ლატვიაში მცხოვრები სხვა კავკასიელი ხალხების წარმომადგენლებიც, რის გამოც იმავე წლის ივლისიდან ამ საზოგადოებას „კავკასია" ეწოდა.

აღნიშნულ საზოგადოებას, რომელსაც მეორენაირად „კავკასიელთა დახმარების საზოგადოებაც" ეწოდებოდა, სათავეში ჯერ ს. ელბეკი, ხოლო 1930 წლის მინურულიდან – შ. მაღლაკელიძე ჩაუდგა. იმ დროისათვის იგი იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, რომელმაც ეს ხარისხი პრაღის უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვის შედეგად მოიპოვა.

1931 წლის დასაწყისში კავკასიელთა საზოგადოება 70 წევრს ითვლიდა. საზოგადოება იკრიბებოდა ჯერ მერკელევსკის ქუჩის № 8-ში მდებარე გ. შვანგირაძის ბინაში, ხოლო შემდეგ – კუპეჩესკის ქუჩის № 14-ში [„Кавказ" 1931: 4-5].

საზოგადოების მიზანი იყო ლატვიაში მცხოვრებ კავკასიელთა გაერთიანება, მათი მატერიალური დახმარება, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, კერძოდ, შემოქმედებითი საღამოებისა და ლექციების ჩატარება. მისი წევრები სადღესასწაულო დღეებში იკრიბებოდნენ. პერიოდულად ეწყობოდა ჩაის საღამოები, თვეში ერთხელ – საჯარო ლექციები კავკასიის ისტორიისა და კულტურის შესახებ, ხოლო ყოველწლიურად – „კავკასიელთა მეჯლისი", რომლიდანაც შემოსული თანხა საქველმოქმედო მიზნით იხარჯებოდა.

კავკასიელთა საზოგადოების ხელმძღვანელი შ. მაღლაკელიძე და მისი მეუღლე მარია მაღლაკელიძე იყვნენ ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგის განყოფილების წევრები [Ščerbinskis 1998: 82-83].

შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „ჩემი მთავარი საქმე იყო ანტისაბჭოურ საზოგადოებებთან მუშაობა და მათ შორის „ენტეესთან".

მე ვცხოვრობდი პასკევიჩის ქუჩაზე... შვანგირაძის ბინაში, პყავდა ცოლად შვედი ქალი... პყავს შვილები. ერთი მათგანი დიპლომატს მისთხოვდა. ბიჭი პყავს,

სტუდენტია, სტიპენდიას მე ვაძლევ, კავკასიური საზოგადოების გამგეობის წევრია. ამ სახლში ვცხოვრობ მე და ამ სახლში ცხოვრობს იაპონიის ატაშე, რომელსაც მდივნად ჰყავს შვანგირაძის გოგო ნინო. ამიტომ, მე ახლოს ვიყავი ამ ატაშესთან. რუსული კარგად იცოდა... ხშირად ვლაპარაკობდით საქართველოზე" [მაღლაკელიძე 1994: 141-142].

აღსანიშნავია, რომ ლატვიაში აკრედიტებულ იაპონიის ატაშეს ერთ-ერთი შეხვედრისას შ. მაღლაკელიძისათვის გულწრფელად უთქვამს: „ახოტა ვამ ვისტავლიაც ნა სვეტ ბოჟიი კაკოეტო პრავიტელსტვო, კატორი ნე იმეეტ ნი ტერიტორიი, ნე ნაროდა, მისლიმო ლი პრავიტელსტვო ბეზ ტერიტორიი ი ნასელენია. უდივლიაიუს, პოჩემუ ვამ პონადობილოს ოპირატსა ნა მენშევიტსკოე ილი ბოლშევიტსკოე პრავიტელსტვო, კაკ ბუდტო ვი სეგოდნია რადილისო. ნეტ ნა სვეტე ნე ოდნოი დინასტიი, კატორაია იმელა ბი სტოლკო კარალეი, კულტურნეიშიხ, პროსვეშჩიონნიხ, კაკ გრუზინსკაია დინასტია ბაგრატიონოვ. ვამ ნადო ბილო პასტუპიც პოდობნო ვენგრამ. ანი ვასტანავილი კარონუ სვიატოგო სტეფანა, ნე იმეია კოროლია ს ოდინადცატოგო ვეკა, დევიატ ვეკოვ ნე იმეია კარონუ. ა ვი პატერიალი ნედავნო – ვოსემსოტპერვომ გოდუ. ვი დოლჟნი ნასტაივატ ნა ტო, ჩტო ბილო ვასტანოვლენო კარონა გრუზინსკიხ ბაგრატიონოვ" [მაღლაკელიძე 1994: 142].

1930 წლის 6 დეკემბერს, კავკასიელთა საზოგადოების მმართველობის თავმჯდომარე შ. მაღლაკელიძემ რიგაში წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკები (1918-1921)". მან მიმოიხილა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიელთა რესპუბლიკის ისტორია მოცემულ მონაკვეთში. შ. მაღლაკელიძემ გამოთქვა რწმენა, რომ ხსენებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ახლო მომავალში აღდგებოდა. მისივე შეხედულებით, კავკასიელ ხალხებს კონფედერაცია უნდა ჩამოეყალიბებინათ. ამ მოხსენებამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია [„Кавказ" 1931: 23].

1931 წლის იანვრის დასაწყისში, კავკასიელთა საზოგადოებამ რიგაში რუსულ ენაზე გამოსცა ჟურნალი „Кавказ" („Сборник связи кавказцев на чужбине").

ჟურნალში გამოქვეყნდა სარედაქციო წერილი, რომელშიც ამ გამოცემის მიზნები შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „Цель нашего издания - духовное объединение кавказцев, разбросанных по всему свету, томящихся вдали от родных гор и мечтающих снова увидеть величественные вершины Кавказа, вдохнуть его чистый воздух и ощутить в нем дым родных аулов" [„Кавказ" 1931: 2].

კრებულში გამოქვეყნდა საყურადღებო მასალები, რომელთა შორისაც ქართულ თემატიკაზე იყო: ლექსი „Грузия" - А. Д-ის ხელმოწერით, ფოტოსურათი „Ледник в Верхней Сванетии", „Каменный джигит (грузинское предание)", ლექსი „Кавказ зовет своих сыновей" - „Сакартвела"-ს ფსევდონიმით [„Кавказ" 1931: 12-32].

ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა სარედაქციო წერილი „Привет Латышскому народу" (იხ.: დანართი № 3), შ. მაღლაკელიძის სტატია – „Грузия (исторический обзор и перспективы)" (იხ.: დანართი № 4), რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდებოდა: „Будет независимая Грузия, будет независимый Кавказ!" [„Кавказ" 1931: 12].

კრებულში ძირითადად სომხური თემატიკა ჭარბობდა [შარაძე 2005: 408]. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კავკასიელთა საზოგადოების წევრთა უმეტესობას სომხები შეადგენდნენ.

1931 წლის 17 იანვარს, რიგაში, ვალდემარას ქუჩის № 5-ში მდებარე არმიის ოფიცერთა კლუბში, კავკასიურმა საზოგადოებამ გამართა კონცერტი და მეჯლი-

სი [„Кавказ" 1931: 19], რომელსაც ორგანიზება შ. მაღლაკელიძის მეუღლემ გაუწია. ამ ღონისძიებას ლატვიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრებიც დაესწრნენ.

ადგილობრივი რუსული თეატრის რეჟისორმა და მსახიობმა, წარმოშობით გორელმა იური იუროვსკიმ (ფსევდონიმი) დადგა ცნობილი დრამატურგის, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის (1857-1927) ისტორიული დრამა „ღალატი", რომელიც საქართველოს გმირულ წარსულს ეძღვნება.

საგულისხმოა, რომ მეჯლისზე მოწვეულმა სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს კავკასიური საზოგადოების ჟურნალში გამოქვეყნებული შ. მაღლაკელიძის სტატიის ზემოხსენებულ დასკვნით ნაწილზე. ამასთან დაკავშირებით შ. მაღლაკელიძე იგონებდა: ბალზე „ელჩები რომ იყვნენ, იქ საბჭოთა ელჩიც ერია და გავიგონე, იმეორებდნენ ამ ფრაზას.

მე მივედი და ვუთხარი:

– „ჩტო ტაკოე?"

მიპასუხეს: „მი ჩიტალი ვაშ ჟურნალო", იუმორით, ვითომ შენ კი გინდა „ნეზავისიმოსტ", მაგრამ არ იქნებაო და მართლაც აღარ იქნა" [მაღლაკელიძე 1994: 32].

საგულისხმოა, რომ კავკასიური საზოგადოების მიერ რიგაში გამართულ ზემოხსენებულ მეჯლისს გარკვეული ექსცესებიც მოჰყვა.

შ. მაღლაკელიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „მიდის წარმოდგენა და ამ დროს გარედან ატეხეს ბრახუნი – თურმე მთვრალი ლატვიელი ოფიცერია და არ შემოუშვეს. შემოუშვეს ესენი მხოლოდ დილას – ოფიცრები და სტუდენტები.

თურმე ამათში ურევია ის ოფიცერი, რომელსაც მე თავის დროზე იარაღი ავყარე. ეს იყო ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, როცა საქართველოში მამისონის უღელტეხილით გადმოვიდა დენიკინის უკანასკნელი პოლკი – „კაბარდინსკი პოლკ". შესანიშნავი პოლკი იყო და იარაღი ავყარე, საბჭოეთთან რაიმე კონფლიქტი რომ არ მოგვსვლოდა. ახლა ამათში ურევია ერთი იმ ოფიცერთაგანი და სხედან მაგიდასთან.

მე, როგორც საზოგადოების თავმჯდომარე, მივედი მათთან და მივესალმე. იმ ოფიცერმა, მთვრალია, აკრა მაგიდას ხელი და იყვირა:

– შენ მე შეურაცხყოფა მომაყენე!

– რა შეურაცხყოფა-თქო?

– გენერალი ერდელი თუ გახსოვთ, მე მისი ადიუტანტი ვიყავიო და თქვენ იარაღი აგვყარეთო და ბოლშევიკებს უჭერდითო მხარს! უცებ ამოიღო რევოლვერი და მესროლა ფეხებში, მაგრამ ამცდა.

მაშინვე ვიძრე ხანჯალი და ბრტყლად დავარტყი შუბლში. დავარტყი და წაიქცა. ეს რომ დაინახეს დანარჩენებმა, კურდღლებივით გაიქცნენ, ზოგი ფანჯრიდან გადახტა. შემრჩა ხელში ეს დავარდნილი კაცი. მერე გავუშვით და მესამე დღეს რევოლვერიც დავუბრუნე.

ახლა გავარდა ხმა და მაგას ამას ვუზამთო და იმასაო, უნდა გავასახლოთ, პოლიტიკური კაცია, ასეთ-ისეთია, რატომ ითვლება ჩვენს ჯარშიო („დვინსკი" კავალერიის პოლკში ვითვლებოდი და მთელი რიგი პოლიტიკური ამოცანები მქონდა დასახული, საბჭოების წინააღმდეგ მიმართული).

ახლა მე გამოვინვიე დუელში მათი ყველა სამხედრო ნაწილის წარმომადგენელი და დავუნიშნე ის „ცარსკი ლესში" – რიგის გადაღმა დიდი ტყეა. დავნიშნე სეკუნდანტები და თვითონ ბალოდისიც დავასახელე, მათი სამხედრო მინისტრი,

ჩემთან სწავლობდა. იარაღის არჩევანი თქვენზე მომინდვია-თქო. მაგრამ არცერთი ლატვიელი არ გამოცხადდა დუელზე. საქმე ისე ახსნეს, თითქოს ბალოდისმა გასცა განკარგულება, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს დუელი აიკრძალა და დემოკრატიულ ლატვიაში არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებთ მასო.

ეს ამბავი ადგილობრივმა გაზეთებმაც აღნიშნეს. გაზეთი იყო იქ „ზა კულისამი", გამოდიოდა რუსულ-გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურ-ლატვიურ ენებზე და არისტოკრატიულ ცხოვრებას ასახავდა, იქ იწერებოდა ამისთანა ამბები" [მაღლაკელიძე 1994: 32].

ზემოხსენებული იანის ბალოდისი (1881-1965) იყო ლატვიის რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. იგი მსახურობდა ლატვიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, ხოლო 1931 -1940 წლებში – სამხედრო მინისტრად [Энциклопедия „Рига" 1989: 178].

1933 წელს, საზოგადოება „კავკასიაში" მომხდარი უთანხმოების გამო, ეს ორგანიზაცია დატოვეს ქართველებმა, რომლებმაც იმავე წლის ნოემბერში საკუთარი, დამოუკიდებელი საზოგადოება ჩამოაყალიბეს. მას ოფისი ქვეყნის დედაქალაქში – რიგაში ჰქონდა [დაუშვილი 2007: 27].

ქართული საზოგადოების გამგეობა საკმაოდ აქტიურად საქმიანობდა. ის საზოგადოების წევრებს უფასო იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას უწევდა. საზოგადოებასთან დაარსდა საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი კურსებიც. ხუთშაბათობით იკითხებოდა მოხსენებები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის საკითხების შესახებ.

გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ზემოხსენებული რეჟისორი იური იუროვსკი, წევრებად: ალექსანდრე და ნინო შვანგირაძეები (ზემოხსენებული გიორგი შვანგირაძის შვილები), მარია მაღლაკელიძე (შ. მაღლაკელიძის მეუღლე), კონსტანტინე ცინცაძე, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად: ავთანდილ ჩიკაშუა, კ. ავსაძე, თ. ხმალაძე და სუმბატ ტერ-ხაჩატურიანი.

ამ საზოგადოების ყველაზე აქტიური წევრები იყვნენ მისი ხელმძღვანელი შ. მაღლაკელიძე და მისი მეუღლე მარია, კონსტანტინე ცინცაძე, ავთანდილ ჩიკაშუა და ალექსანდრე შვანგირაძე.

ქართველთა საზოგადოებას მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ლატვიის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის, ზემოხსენებულ ადმირალ თეოდორ სპადეს ქართველი მეუღლე ნადეჟდა სპადე.

1934 წელს ნ. სპადემ რიგაში მცხოვრებ ქართველთათვის წაიკითხა რეფერატი თემაზე: „მარიამი – უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი" [Ščerbinskis 1998: 19].

აქვე დავსძენთ, რომ ნ. სპადე 1937 წელს რიგაში გარდაიცვალა. იგი იმავე ქალაქში დაკრძალეს [Bisters 2002: 431].

1934 წლის მიწურულს, ჟურნალ „ორნატის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ერთერთი ქართველი ემიგრანტის („რიგელის" ფსევდონიმით) სტატია „ქართველთა საზოგადოება ლატვიაში", რომელშიც ვკითხულობთ: „მართალია, მთელი შემადგენლობა საზოგადოებისა ლატვიის მოქალაქეთაგან შესდგება და ბევრი მათგანი თვით ლატვიაშია დაბადებული, მაგრამ მათი ინტერესი და სიყვარული დაშორებულ საქართველოსადმი ფრიად დიდია" [„ორნატი" 1934: 31].

ქართველთა რაოდენობა ლატვიაში დროთა განმავლობაში იცვლებოდა. კერძოდ, 1920 წელს აღნიშნულ ქვეყანაში ცხოვრობდა 29 ქართველი, 1925 წელს – 34, 1930 წელს – 28, ხოლო 1938 წელს – 38.

რიგაში მცხოვრები შ. მაღლაკელიძე ერთხანს რუსული ენის პედაგოგად მუშაობდა. 30-იანი წლების შუა ხანებიდან იგი გადავიდა პარიზში, სადაც ქართულ ემიგრანტულ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდა. მისმა ვაჟმა გაიოზ (იგივე – Kajs Marijs) შალვას ძე მაღლაკელიძემ (1920-1989) დაამთავრა რიგის გერმანული სკოლა და სასწავლებლად გაემგზავრა პოლონეთში, სადაც სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში ჩაირიცხა. 1938 წლიდან მაღლაკელიძეების მთელი ოჯახი საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა. გ. მაღლაკელიძე ვერმახტში მოხალისედ ჩაირიცხა.

1938 წლის დეკემბერში ლატვიის ქართულმა საზოგადოებამ, რომელიც საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო, საქმიანობა შეწყვიტა [Ščerbinskis 1998: 19-21].

იმავე წელს, ლატვიის საზოგადოებრივ საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, დაიხურა ამ ქვეყანაში მოქმედი კავკასიური საზოგადოებაც, რომელიც, ქართულ საზოგადოებასთან შედარებით, უფრო მრავალრიცხოვანი იყო და 85 წევრისაგან შედგებოდა [Рыжакова 2010: 531].

XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს, ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა გარკვეული ნაწილი ევროპის სხვა ქვეყნებში გადასახლდა.

II მსოფლიო ომის წლებში (კერძოდ – 1943 წლისათვის) ლატვიაში 28 ქართველი ცხოვრობდა.

გერმანული შეიარაღებული ძალების მიერ ბალტიისპირეთის ოკუპაციას, სხვებთან ერთად, ერთი იქაური ქართველის სიცოცხლეც შეეწირა. კერძოდ, 1941 წელს, ომში დაჭრილ წითელარმიელთა მკურნალობისათვის სიკვდილით დასაჯეს ქ. კულდიგაში მცხოვრები ექიმი ალექსანდრე შვანგირაძე – ვაჟი ზემოხსენებული გიორგი შვანგირაძისა [Ščerbinskis 1998: 28].

ამრიგად, ლატვიის რესპუბლიკაში მცხოვრებმა ქართველებმა და სხვა კავკასიელებმა ჩამოაყალიბეს საზოგადოებები: „ივერია“, „კავკასია“ და სხვა, რომლებიც ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ.

3. ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ემიგრაციაში. ბალტიის ქვეყნები ქართველ ემიგრანტთა თვალსაზრისით (1921-1991 წწ.)

ემიგრაციაში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ სამხედრო პოლიტიკოსებს და მეცნიერებს გარკვეული ურთიერთობა აკავშირებდათ თავიანთ ბალტიისპირელ კოლეგებთან. ამის დამადასტურებელი ცნობები შემონახულია იმდროინდელ ქართულ ემიგრანტულ პრესასა და მემუარულ ლიტერატურაში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ინტერვენციისა და მისი შედეგების გამო, ოფიციალური პროტესტი განაცხადეს ევროპის სახელმწიფოების და მათ შორის ბალტიის რესპუბლიკების სოციალისტურმა და მუშათა პარტიებმა [დაუშვილი 2007: 49].

ბალტიის რესპუბლიკებში გამომავალ პრესაში ობიექტური შეფასება მისცეს საქართველოში მომხდარ მოვლენებს.

ემიგრანტ ქართველ ოფიცერთა უმეტესობა პოლონეთის ხელისუფლებამ მიიწვია და თავის არმიაში საგანგებო კონტრაქტის საფუძველზე ჩარიცხა [ჯავახიშვილი 1998: 10].

XX საუკუნის 20-30-იან წლებში პოლონეთში ცხოვრობდა 200-მდე ქართველი, რომელთა თითქმის ნახევარს სამხედრო პირები შეადგენდნენ. ისინი ამ ქვეყნის ცალკეულ ქალაქებში, თავიანთ ოჯახებთან ერთად, მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ [დაუშვილი 2007: 24].

პოლონური არმიის ქართველ ოფიცერთა ერთი მცირე ნაწილი მსახურობდა ქ. ვილნოში, რომელიც იმხანად პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე ალექსანდრე ყარამანის ძე ზაქარიაძე (1884-1957), ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, მსახურობდა პოლონეთის შეიარაღებულ ძალებში (1923-1939) ჯერ ბრიგადის გენერლის, ხოლო 1927 წლიდან – დივიზიის გენერლის წოდებით. 1923 წლის მაისიდან ნოემბრამდე იგი მიელინებული იყო ვილნოში, სადაც პრაქტიკა გაიარა [შარაძე 2003, IV: 171].

იმავე წელს პოლონეთის ხელისუფლებამ ვილნოს გენერალ-გუბერნატორად მიიწვია ქართული სამხედრო ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ზემოხსენებული შალვა მაღლაკელიძე, რომელიც რიგაში თავის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა. აქვე დავსძენთ, რომ შ. მაღლაკელიძემ იმხანად ვერ შეძლო ვილნოში ჩასვლა, რადგან ხანგრძლივი დროით მიდიოდა პრაღაში და პოლონეთის მთავრობას მადლობა შეუთვალა [მაღლაკელიძე 1994: 126].

ვილნოში მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ყოფილი ოფიცერი [მათიკაშვილი, კვალიაშვილი, 1990: 38], არტილერისტი დავით მაჭავარიანი (1892-1932), რომელიც V პოლონური ლეგიონის კაპიტანი იყო. იგი დაკრძალულია ვილნოს № 1 (ანტაკალნე) სასაფლაოზე [ჯაფარიძე 2004: 356].

დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ჩინეთში არსებული ქართული სათვისტომოები სისტემატურად აწყობდნენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლებშიც, სხვებთან ერთად, ბალტიისპირელ დიპლომატებსა და სათვისტომოების წარმომადგენლებსაც იწვევდნენ.

1926 წლის 6 მარტს საფრანგეთის ქართველთა სათვისტომომ პარიზში, „ვიქტორ ჰიუგოს დარბაზში" მოაწყო ქართული ხელოვნების კონცერტი, რომელზეც წარმოადგინეს ცეკვა და სიმღერა. კონცერტს, ამ ქვეყანაში აკრედიტებული ზოგიერთი ქვეყნის დიპლომატებთან ერთად, ბალტიისპირელებიც დაესწრნენ.

1927 წლის 23 ივლისს, პარიზის ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში არქიეპისკოპოსმა ვასილიკოსმა გადაიხადა საქართველოში დამკვიდრებულ ბოლშევიკურ რეჟიმთან მებრძოლი, ახლად გარდაცვლილი კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსის (ხელაია) სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი. სხვა ქვეყნების დიპლომატებთან ერთად, პანაშვიდს დაესწრნენ ბალტიის რესპუბლიკების ელჩებიც.

1932 წლის 12-15 მაისს ვარშავაში გაიმართა პოლონეთის სტუდენტთა აღმოსავლეთმცოდნეობითი ასოციაციების I კონგრესი, რომელშიც, სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ დელეგატთა შორის, ვილნოელი სტუდენტებიც იყვნენ. კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარდაჭერა გამოუცხადა სსრ კავშირის შემადგენლობაში ძალდატანებით შეყვანილი რესპუბლიკების და, მათ შორის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას [დაუშვილი 2007: 131-133].

1933 წლის 27 იანვარს ხარბინის (ჩინეთი) ქართველთა სათვისტომომ საზეიმოდ აღნიშნა „ნინოობის" დღესასწაული. მეორე დღეს გაიმართა ბალი, რომელსაც, ამ ქალაქში აკრედიტებული ცალკეული ქვეყნების დიპლომატებთან ერთად, ლატვიის კონსულიც დაესწრო.

1934 წლის დეკემბერში პოლონეთის ქართველთა სათვისტომომ ვარშავაში მოაწყო საშობაო მეჯლისი, რომელსაც, ამ ქვეყანაში აკრედიტებული ზოგიერთი ქვეყნის დიპლომატებთან ერთად, ესტონეთის საელჩოს წარმომადგენელიც დაესწრო [დაუშვილი 2007: 182-211].

საზღვარგარეთ გამომავალ ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა სტატიები, საიდანაც ჩანს, თუ რას ფიქრობდნენ ქართველი ემიგრანტები ბალტიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებზე. ამ სტატიების ავტორები იყვნენ ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლები: ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი, ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია (1868-1953); გამოჩენილი მეცნიერი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი (1875-1944); მწერალი შალვა ამირეჯიბი (1886-1943); მეცნიერ-რუსთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე (1893-1975); ჟურნალისტები: ელისე პატარიძე (1896-1975), ალექსანდრე ცომაია (1907-1956), მიხეილ ქავთარაძე (1906-2008) და სხვები. ისინი სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ: საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ არგენტინაში, სადაც აქტიურ პოლიტიკურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ.

მათ პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში საკმაოდ ხშირად იხსენიებიან თავისუფლებისმოყვარე ლატვიელი, ლიტველი და ესტონელი ხალხები, რომლებიც, ქართველების მსგავსად, თავდადებით იბრძოდნენ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის – სსრ კავშირის წინააღმდეგ. მათ ამ საერთო საქმეში ემიგრანტები ქართველი ხალხის მოკავშირეებად და თანამებრძოლებად თვლიდნენ.

პარიზში ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო“ შ. ამირეჯიბი 1926 წელს წერდა: „ყველაზე თვალსაჩინო და ყველაზე სამარცხვინო ამბავი, რის გამოც რუსული რევოლუცია მუდამ ბარბაროსული დარჩება, ის არის, რომ ყოვლის უწინარეს, მან მოსპო ის, რასაც რევოლუციის თეორეტიკოსები მის პირდაპირ ნაყოფად სთვლიდნენ. აქ უნდა ვიგულისხმოთ ახალ ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობა რუსეთის განაპირებზედ. ასე ფიქრობდნენ, ყოველ შემთხვევაში, რუსის ბოლშევიკები მაინც, რომლებიც ერთა თვითგამორკვევის უფლებას თავის პრინციპად აცხადებდნენ. თუ ასეა, მაშინ ოქტომბრის რევოლუცია ის ხარბი მხეცი გამოდგა, რომელმაც თავისი ნაშობი თვითონვე შეჭამა, მაგრამ საქმე სწორედ ასე არ არის.

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი ევროპის ომის პრინციპი იყო და ახალი სახელმწიფონი მან წარმოშვა. მან მოიტანა: თავისუფალი პოლონეთი, ჩეხეთი, გაერთიანებული სერბია, დამოუკიდებელი ფინლიანდია, ლატვია, ლიტვა და ესტონეთი... და პირიქით, სწორედ ოქტომბრის რევოლუცია იყო, რომ დაამხო დამოუკიდებელი უკრაინა, ყაზახთა რესპუბლიკები, ჩრდილო კავკასია, აზერბაიჯანი, სომხეთი, ხივისა და ბუხარას საემიროები. ასე იყო საქართველოს შესახებაც. დამოუკიდებელი საქართველო შობა ევროპის ომმა და მოჰკლა ოქტომბრის რევოლუციამ“ [ამირეჯიბი 1926].

1927 წელს გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ბალტიკა“ აღნიშნული იყო, რომ სსრ კავშირის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი ექსპანსიონისტური ზრახვები ბალტიის ქვეყნების მიმართ. კერძოდ, საუბარი შეეხებოდა სსრ კავშირსა და ლატვიას შორის იმხანად დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც, ხსენებული გაზეთის რედაქციის აზრით, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა როგორც ამ პატარა რესპუბლიკის, ასევე მისი მეზობელი ლიტვისა და ესტონეთის დამოუკიდებლად არსებობას.

აღნიშნულ სტატიაში ვკითხულობთ: „ხელშეკრულებას ეძახიან „სავაჭროს“, ხოლო სინამდვილეში ლატვიის მრეწველობა-ვაჭრობა შედის რუსეთის ვნეშტორგბანკის სფეროში და უკანასკნელის აგენტები თავისუფლად ინავარდებენ პატარა რესპუბლიკაში. ჩვენ გვესმის რიგის გასაჭირი რუსეთისაგან გამოცალკევების შემდეგ, მაგრამ ეს დროებითი იყო და მისი წამალი სხვაგან უნდა ეძებათ. თითქოს გამონახეს კიდეც, როცა ესტონიასთან დასდეს სავაჭრო კავშირის ხელშეკრულება, რომელიც ტექნიკურ დაბრკოლებათა გაფანტვას უცდიდა მხოლოდ ძალაში შესვლისათვის. დღეს კი დამოკიდებულება ისე წახდა ორთავე რესპუბლიკას შორის, რომ შიშობენ პოლიტიკურად მთლად არ დაშორდნენ ისინი ერთმანეთს. იმის მაგიერ, რომ ბალტიის სამი რესპუბლიკა: ლიტვა, ესტონია, ლატვია შეეკრან ერთმანეთს საბაჟო და საზოგადოთ კონფედერატიულ კავშირით და ასე გამაგრებულნი, შეუთანხმდნენ თავდაცვის კითხვებში ფინლანდიასა და პოლონეთს, ისინი, სამწუხაროდ, ერთმანეთს ეცილებიან, აბა ვინ ჩაიგდებს ხელში რუსეთის ტრანზიტს დასავლეთით. სწორედ ამ სპეციფიკურ, მათთვის უეჭველად საინტერესო კითხვაშიც, ისინი მოიგებდნენ გაცილებით მეტს ერთად და სათითაოდ, ჩიჩერინისათვის რომ არ მიეცათ საშუალება ისარგებლოს მათი ურთიერთქიშპობით...

შემჩნეულია, რომ ერები ხშირად არ უწევენ ანგარიშს სხვის მაგალითს, თორემ მარტო კავკასიის ახლო წარსული არ უნდა დავიწყნოდათ ბალტიის რესპუბლიკებს. სანამ რუსეთი სუსტია ბოლშევიზმის წყალობით, კიდევ ასახსნელია ასეთი სიბეცე პოლიტიკაში, მაგრამ, როცა რუსეთი ჩადგება ნორმალურ კალაპოტში, მათი მდგომარეობა საბედისწერო გახდება, თუ მანამდის არ გაერთიანდნენ ერთ კონფედერაციაში. ყოველ შემთხვევაში, დღეს უკვე ძლიერია მიდრეკილება აქეთკენ. ჯერ თვით ლატვიაშიც ბევრი ძალიან უკმაყოფილოა ბაუერის ყაიდის სოციალისტ ცელენსის მინდობით ფლიდი ჩიჩერინისადმი“ [„დამოუკიდებელი საქართველო“ 1927].

1928 წელს გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ ჟურნალად გადაკეთდა. მასში გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი მოკავშირენი“ ვ. ნოზაძე აღნიშნავდა, რომ ბოლშევიზმის მარწუხებიდან თავდასაღწევად მებრძოლი ქართველი ერის საიმედო მოკავშირეთა შორის იყვნენ: პოლონელები, ლიტველები, ლატვიელები, ფინელები და ესტონელები, რომლებმაც თავისუფლება რუსეთის იმპერიის დანგრევის შედეგად მოიპოვეს და თავიანთი სახელმწიფოების ჩამოყალიბება და შენარჩუნება მოახერხეს, და ასევე, სსრ კავშირის შემადგენლობაში ძალით მოქცეული ის ხალხები, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძვიან.

წერილში ვკითხულობთ: „მსოფლიო ომის წინ, რუსეთში არსებულ ეროვნულ მოძრაობაზე თუ ლაპარაკობდნენ, ჩვეულებრივ მხედველობაში ჰყავდათ: ფინები და პოლონელები. დღეს ფინეთი და პოლონეთი თავისუფალი არიან, კიდევ მეტი: ლატვია, ლიტვა, ესტონეთი! ამას გარდა, სხვა სურათია: ეროვნული მოძრაობა დანარჩენ ფრონტებზეც არის გაჩაღებული და ზოგან ცხარე ბრძოლაც კი სწარმოებს. უკრაინა, თურქესტანი, კავკასიის ერები, – ცალკე და ერთად ანარმოებენ ეროვნულ ბრძოლას. მხედველობაში არა მაქვს ემიგრანტული ეროვნული ორგანიზაციები და მისი ბრძოლა. ეროვნული ბრძოლა ხდება თვით უკრაინაში, თვით თურქესტანში და კავკასიაში“ [ნოზაძე 1928: 4].

ავტორი მიიჩნევდა, რომ ზემოხსენებული ხალხების მიერ წარმოებული ბრძოლა, კერძოდ, ერთი ნაწილის მიერ – დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ხოლო მეორე ნაწილის მიერ – უკვე მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლო-

ბის დასაცავად, – „საქართველოს განუყრელი მოკავშირეა, რადგან ყოველი ერის ბრძოლის მიზანია – თავისუფლება“ [ნოზაძე 1928: 4].

პარიზში ქართულ ენაზე გამომავალ ჟურნალში „ბრძოლა“ ევგენი გეგეჭკორმა 1928 წელს გამოაქვეყნა სტატია „ორი თვე ბალტიის ქვეყნებში. I. ფინლანდია“, სადაც ვკითხულობთ: „ფინლანდია და საქართველო! აი, ორი მოწინააღმდეგე გეოგრაფიული წერტილი იმ ვეებერთელა იმპერიისა, რომელიც ერთ დროს დიდი რუსეთის სახელწოდებას ატარებდა და დღეს კი ბოლშევიკურმა რეჟიმმა სსრკის ფსევდონიმით მონათლა. „ფინლანდიის ცივ კლდეებიდან – აღგზნებულ კოლხიდამდე“ იყო გადაჭიმული ეს რეაქციის გველეშაპი და ახლა, მართალია, იგი კვლავ რეაქციის წყაროდ დარჩა, მაგრამ ერთი ბოლო მოჭრილი აქვს (ფინლანდია), ფერდები – ჩალეწილი (ესტონია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ბესარაბია) და სახელმწიფოებრავად არარაობას წარმოადგენს“ [გეგეჭკორი 1928: 17-18].

იმავე სტატიაში ე. გეგეჭკორი იუწყებოდა, რომ ფინეთში ერთთვიანი ყოფნის შემდეგ, გემით ესტონეთში გაემგზავრა. იგი მიუთითებდა, რომ დამოუკიდებელი ესტონეთიდან მოსჩანდა საბჭოთა კავშირის ნაპირი – „კომუნისტური ექსპერიმენტების საცადი ველი, „მაშვრალთა სამოთხე“, ჩვენთვის, ცოდვილთათვის აკრძალული!“ [გეგეჭკორი 1928: 20-21].

პარიზში ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთში „ბრძოლის ხმა“ ნ. ჟორდანიამ 1934 წელს გამოაქვეყნა სტატია „ერთა ლიგა და საბჭოები“, სადაც იგი წერდა: „დაჟინებით ლაპარაკობენ საბჭოთა ერთა ლიგაში შესვლაზე... მოსკოველებს ამ ნიადაგზე გაჩაღებული აქვთ მუშაობა და მოსალოდნელია ახლო მომავალში ეს საკითხი უკვე ოფიციალურად დადგეს ჟენევის დღის წესრიგში. მართალია, საბჭოთა მოსკოვი თავიდანვე უარყოფდა ყოველივე ურთიერთობას ლიგასთან და მას აფურთხებდა, მაგრამ მას არაერთხელ დაულევია ასეთი დაწუნებული წყაროსაგან და უეჭველია, ახლაც ერთა ლიგას ნექტარად გამოაცხადებს...

ლიგა მოითხოვს თავის წევრისაგან ერთა შორის დაცვას მშვიდობიანობის, სამართლიანობის, პატიოსნების, დადებულ ხელშეკრულებათა და პირობათა ასრულებას. ის უარყოფს ომს და ძალმომრეობას.

აი, ამ ლიგაში აპირებს საბჭოთა ხელისუფლება შესვლას. როგორ უხდება ეს პირობები მას? სწორედ ისე, როგორც უნაგირი ძროხას. საბჭოთა მთელი საერთაშორისო პოლიტიკა იყო და არის ყველა ამ მუხლების აშკარა დარღვევა. მან აწარმოა ომი ყველა მის მეზობლად მდებარე თვითგამორკვეულ ერებთან; მან დაიპყრო ყველა, ვისაც კი მოერია – უკრაინა, კავკასია. დასტოვა დაუპყრობელი, ვისაც ვერ მოერია – პოლონეთი და ბალტიკა... მან გამოაცხადა ძალმომრეობა საერთაშორისო რეგულატორად. კიდევ მეტი, მან დაარღვია თავისი საკუთარი ხელშეკრულება, თავისუფლად დადებული მეორე სახელმწიფოსთან – საქართველოსთან და დაიპყრო ის... მან გამოაცხადა ომით თავისი დოქტრინის განხორციელება საერთაშორისო ნორმად. მოსკოვი თავიდან დგას სავსებით ძველ საერთაშორისო მოძღვრებაზე, ხმალი არის მისთვის უმაღლესი გადამწყვეტი ერთა ურთიერთობისა“ [ჟორდანია 1934].

1935 წელს, ბერლინში ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთში „კლდე“ აღნიშნული იყო: „მოსკოვი თვლის, რომ ბლოკადამოხსნილი საქართველო შავ ზღვაზე საბჭოთა რუსეთისათვის იგივეა, რაც ბალტიის ზღვაზე ლატვია და ესტონია, ე. ი. სარკმელია ევროპისაკენ“ [„კლდე“ 1935].

პარიზში ქართულ ენაზე გამომავალ ჟურნალში „კავკასია“ ზ. ავალიშვილმა 1937 წელს გამოაქვეყნა სტატია „პოლიტიკური არაბესკები“, რომელშიც მან მი-

მოიხილა კავკასიისა და ბალტიის ქვეყნების ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და უახლოესი წარსული.

მკვლევარი წერდა: „მთლიანობა“ იქ, სადაც განსხვავებანი ასე დიდია, ძნელი მისაღწევია. ამას ვერ ახერხებენ და დიდი სიძნელენი არიან გადასალახავნი იქაც კი, სადაც საქმე ეხება არა მარტო მონათესავე ერების, არამედ ხშირად ერთი ერის, მაგრამ სხვადასხვანაირად წარმართული ნაწილების გაერთიანებას (ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია!). ბალკანეთზედ და ბალტიკაზედ ხომ ლაპარაკი მეტია. განსაკუთრებულ სახელმწიფო „გაერთიანებას“ იქ ვერცა ვხედავთ.

ბალტიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის საკითხი გადაწყდა ისე, რომ საჭირო არ იყო ისეთი ზომისათვის მიემართათ, როგორიც არის ერთ სახელმწიფოში გაერთიანება. კავკასიის რესპუბლიკებმა კი თავისი დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნეს. პოლიტიკურმა, სამხედრო და სამეურნეო განცალკევებამ მათ ფრიად დიდი ვნება მოუტანა“ [ავალიშვილი 1937].

პარიზში ქართულ ენაზე გამომავალ ჟურნალში „სამშობლო“ ე. პატარიძემ 1937 წელს გამოაქვეყნა წერილი „პეტრე დიდის ანდერძი და ისტორიის განაჩენი“, რომელშიც იგი წერდა: „რუსეთის უბედურება ის არის, რომ მას გადაჭარბებული მადა აქვს და დიდი იმპერიალისტური მიზნები. მას არა აქვს ამ დიდი მადის შესაფერისი მაგარი კუჭი და ამ დიდი იმპერიალისტური მიზნებისათვის – მაგარი ხერხემალი. მისი ეროვნული სულიერი და ფიზიკური რაობა სრულიად არ უპასუხებს მის მიერ დასახულს ამ დიდს იმპერიალისტურს მიზნებს. ერმა, რომელსაც თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარება და განვითარების უნარიც კი არა აქვს, ერმა, რომელიც თავის საკუთარს თავს ვერ უვლის, მიზნად დაისახა არა მარტო სლავიანური ხალხების, არამედ აზია-ევროპის ერებისა და სახელმწიფოების დაპყრობა და მათზედ ბატონობა. ჯერ კიდევ ნახევრად ველური იყო რუსის ხალხი, რომ ასეთი ფანტასტიური მიზანი დაისახა და საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ბუნებრივ გზას ასცდა... ასეთი იყო რუსეთის ტახტის სურვილი და განზრახვა, მაგრამ ისტორიის განგებამ სულ სხვა ინება: ომში ჩაბმული რუსეთის იმპერიაში რევოლუციამ იფეთქა... დიდ ომში ოთხი წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი და დაღვრილი ზღვა სისხლი აუნაზღაურებელი დაეკარგა... იმპერიის ტერიტორიიდანაც საგრძნობი ნაწილი დაჰკარგა: პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და ფინლანდია საბოლოოდ გამოეყო რუსეთს და ევროპის საზღვარზედ ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღდგენით გზა შეუფერხდა რუსული სლავიანიზმის ევროპისაკენ ლტოლვას“ [პატარიძე 1937: 247-251].

იმავე ჟურნალში მომდევნო წელს გამოქვეყნებულ წერილში „პრომეთეელთა მოძრაობა“, ე. პატარიძე წერდა: „რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები ამოუწურავი ენერგიით იბრძვიან საკუთარი ეროვნული სახელმწიფოების აღდგენისა და დაფუძნებისათვის. ამ ერთა შორის მრავალია ისეთი, რომლის ეროვნული სახელმწიფოებრივი არსებობა წინ უსწრებდა რუსეთისას და რომლის ეროვნული კულტურა და ცივილიზაცია ბევრად უფრო მაღლა დგას რუსეთისაზე. ასეთი ერების ეროვნული ფორმაცია სრულიად დამთავრებულია, მათი ეროვნული სული სრულიად გამოკვეთილი და მომწიფებული, მათი ეროვნული მიზანი და მისწრაფება მკაფიოდ გარკვეულია და დასახული...

პრომეთეელთა მოძრაობა, რუსეთის მადაგაღვიძებული და გაუმაძღარი იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული, არის იმავე დროს რეალური და თავდაცვითი მოძრაობა, რუსეთის მონობიდან ახლად განთავისუფლებული იმ ეროვნული

სახელმწიფოებისა, რომელნიც რუსეთის საზღვრებზე არსებობენ უშუალოდ და რომელთა დაპყრობა და რუსეთის იმპერიის საზღვრებში ჩაჭედვა შეადგენდა პეტრე დიდის, ეკატერინე დიდის და მთელი რომანოვთა დინასტიის იმპერიალისტური პოლიტიკის მისწრაფებას და რომელიც კვლავ მეტი სიცხოველით ამოძრავებს დღევანდელ რუსეთის ხელმძღვანელთ. ისინი მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდიან რუსეთის ამ სამარადისო იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად. ამ ახალ სახელმწიფოებს დიდი სიფხიზლე და თავდაცვითი ძალთა მზადება მართებთ და ურთიერთი თავდაცვითი კავშირი, რომ იმ ისტორიულ მომენტს მზად დახვდნენ და რუსეთის პირდაღებულ იმპერიალიზმს კვლავ პირში არ ჩაუვარდნენ. ის, რაც კავკასიის ერებს თავს დაატყდათ ცალ-ცალკე რუსეთის მიერ, შეიძლება ამ ერებსაც მოევლინოთ ახლო მომავალში. ინლანდია, ბალტიის პატარა სახელმწიფოები: ესტონეთი, ლატვია და ლიტვა და თვით დიდი, განახლებული და გაერთიანებული პოლონეთიც კი მუდამ რუსული იმპერიალიზმის საფრთხის წინაშე დგანან. ეს აღდგენილი სახელმწიფოები თავიანთი გეოგრაფიული მდგომარეობითაც წინ ეღობებიან და რუსეთის იმპერიალიზმის წინსვლას გზებს უჭრიან ევროპის ქვეყნებისაკენ. რუსეთს არ შეუძლია მისადმი შერიგება და ამ ქვეყნებისაგან საბოლოოდ ხელის აღება.

ცხადია, ეს სახელმწიფონიც თავიანთი მდგომარეობით ჩაყენებულნი არიან რუსეთის იმპერიალიზმთან დაპირისპირებულ პრომეთეელთა ფრონტში. მათი თავდაცვითი მიზნები და საარსებო ინტერესები მოითხოვენ, დღეს არსებული რუსეთის იმპერიის შემადგენელ ეროვნულ ერთეულებად დაშლა-დანაწილებას და ნამდვილი რუსეთის მის ბუნებრივ-ეროვნულ საზღვრებში ჩაყენებას.

რუსეთის მოსაზღვრე აქ დასახელებულ ეროვნულ სახელმწიფოთა და რუსეთის მიერ კერ კიდევ დაპყრობილ ერთა მიზნის იგივეობა ბუნებრივად ჰქმნის მათ შორის თანხმობას და სოლიდარობას და ბუნებრივად აყენებს მათ ერთ მთლიან ანტირუსულ ფრონტში" [პატარიძე 1938: 236-239].

პარიზში ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთში „თეთრი გიორგი" 1938 წელს „თეთრი გიორგელის" ფსევდონიმით გამოქვეყნდა წერილი „საქართველოს საზღვრები გამოცხადებული ოფიციალურად დამოუკიდებლობის დროს", რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს თვით ის ტერიტორიაც კი, რომელს მოსკოველმა ბატონმა ყოველი მხრითგან წაკვეცა ეროვნულ-ორგანული ნაწილები, უფრო ვრცელია, ვიდრე ტერიტორიები შემდეგი ქვეყნებისა: შვეიცარია, ბელგია, დანია, ლეტონია, ლატვია, ესტონია, ალბანეთი და სხვ." [„თეთრი გიორგი" 1938].

პარიზში გამომავალ ჟურნალში „ახალი ივერია" 1939 წელს გამოქვეყნდა ალექსანდრე ცომაიას სტატია „ფრანკოს გამარჯვება", რომელშიც მისი ავტორი სიხარულს ვერ ფარავდა საქართველოს დამოუკიდებლობის დამასამარებელი სსრ კავშირისა და კომინტერნის მარცხის გამო, რაც იმხანად ესპანეთში მოხდა.

ა. ცომაია წერდა: „ფრანკომ გაიმარჯვა. დამარცხდა სტალინი და კომინტერნი! ამ მოვლენის სიდიდე და მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. კომინტერნი დასავლეთ ევროპიდან იდევნება. ამიერიდან ეს ქვეყნიერების ამაოხრებელი ბოროტი ძალა იძულებულია თავის ბუნაგს დაუბრუნდეს, მოსკოვში ჩაიკეტოს, ვიდრე იქვე არ ჩაჰკლავენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ესპანეთში დამარცხება კომინტერნის სამარადისოდ განადგურებას გვიახლოვებს.

საიდუმლო აღარავისთვისაა, რომ ევროპის ცივილიზაციისა, ყოველგვარი წესრიგისა და კანონიერების მტერი მოსკოვი, დიდი ხანია არცერთ საშუალებას

არ ერიდება მსოფლიოში ახალი ომის გასაჩაღებლად. მოსკოვი თავის თავსა სთვლის მოწოდებულად ქვეყნიერებაზედ იბატონოს, თუნდაც „პროლეტარიატის დიქტატურის“ დროშით. ამიტომ. ევროპაზე იერიშები საბჭოთა ხელისუფლების გამაგრების პირველ დღეებიდანვე დაიწყო. 1918 წელს მან შეუტია ლიტვა-ლატვიას. ამავე დროს, სცადა ფინლანდიაში გადატრიალების მოწყობა.

მოსკოვის რჩეული მეთოდია – სადაც ომი ვერ ხერხდება, მოსყიდული ხალხით შიგნიდან აფეთქება: 1919 წელს – არეულობა ბავარიაში და უნგრეთში; 1920 წელს – ომი პოლონეთთან; 1921 წელს – ლაშქრობა კავკასიაზე და ჩვენი ქვეყნის დაპყრობა; 1922 წელს – ისევ პოლონეთში, კრაკოვში არეულობის დანყება; 1923 წელს – გერმანიაში გადატრიალების ცდა, სადაც კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ მოსკოვის მიერ უკვე დანიშნული იყო უფრო გვიან ჯაშუშად გამოცხადებული კარლ რადეკი; 1924 წელს – შეთქმულება და გადატრიალების ცდა ესტონეთში. კომინტერნი ამავე დროს უტევს აღმოსავლეთითაც...

ფრანკოს გამარჯვება ჩვენთვის დიდათ საგულისხმო იმიტომაა, რომ ეს მოსკოვის დამარცხებაა, კომინტერნის ევროპიდან განდევნაა და საქართველოს ამაოხრებელ კომუნიზმთან მებრძოლი ბანაკის გამაგრებაა. რამდენადაც გაძლიერდებიან მოსკოვის კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები, იმდენად ვუახლოვდებით საქართველოს განთავისუფლების საათს“ [ცომაია 1939].

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკების ოკუპაციის (1940 წ.) შემდეგ, ამ ქვეყნების მამულიშვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მსგავსად ქართველი პატრიოტებისა, იძულებული გახდა, რომ ემიგრაციაში გახიზნულიყო.

ქართველ, ლატვიელ, ლიტველ და ესტონელ ემიგრანტებს ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ.

საზღვარგარეთ გამომავალ ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა სტატიები, საიდანაც ჩანს, თუ რას ფიქრობდნენ ქართველი ემიგრანტები სსრ კავშირის მიერ ბალტიის რესპუბლიკების ოკუპაციის შემდეგ ამ ქვეყნებსა და იქ გაჩაღებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე.

საგულისხმოა, რომ სსრ კავშირის მიერ ბალტიის რესპუბლიკების ოკუპაციამ და ფინეთთან ომმა ქართველ ემიგრანტებს გაახსენა საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკული ფურცელი – საბჭოთა ჯარების ვერაგული თავდასხმა.

1940 წელს ჟურნალში „ბრძოლის ხმა“ გამოქვეყნდა წერილები, რომლებშიც გაცხადებული იყო ქართული ემიგრაციის და, საერთოდ, ქართველ მამულიშვილთა პოზიცია ზემოხსენებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

მასში ვკითხულობთ: „საბჭოების მზაკვრულმა თავდასხმამ პატარა ფინლანდია მთელი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მოაქცია... აი, ამ ხალხს მოუნდომა მონობის უღელში შებმა დამარცხებული პოლონეთის ნაწილის დაპყრობით და განიარაღებული ბალტიის ქვეყნების გავასალებით წაქეზებულმა მოსკოვმა. 170-მილიონიანი დამონებული ბრბო მან მზაკვრულად მიუსია 3,5-მილიონიან კულტურულ ერს. პირწმინდად განმეორდა საქართველოს მაგალითი...

ფინლანდია დღეს ცივილიზაციის ავანგარდი და ციტადელია... მთელი კაცობრიობა განცვიფრებაში მოჰყავს ფინლანდიის ჯარის გმირულ მამაცობას და მისი სარდლობის შეუდარებელ სტრატეგიას. ჯერჯერობით პატარა დავითი ამარცხებს დიდ გოლიათს. ვუსურვოთ მას საბოლოო გამარჯვება...

ქართველი ერის თანაგრძნობა სავსებით მებრძოლი ფინეთის მხარეზეა. იგი აღფრთოვანებულია ფინეთის ჯარების გმირობით და იმედიანად შეჰყურებს პატარა, გმირი ერის მომავალს" [„ბრძოლის ხმა" 1940].

ქართველ და ბალტიისპირელ ემიგრანტებს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ არა მხოლოდ ევროპასა და აზიაში, არამედ ამერიკის კონტინენტზეც.

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ქართველ ემიგრანტთა გარკვეული ნაწილი დასავლეთ ევროპიდან ამერიკაში გადასახლდა. ისინი დამკვიდრდნენ ამ კონტინენტის როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ნაწილებში, მათ შორის ძირითადად – არგენტინაში. მაგალითად, 1958 წელს ამ ქვეყანაში 260 ქართული ოჯახი ცხოვრობდა [დაუშვილი 2009: 43].

მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში გაბნეული ქართული ემიგრანტები ყველგან დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს – 26 მაისს. ასე ხდებოდა არგენტინაშიც, სადაც ეს დღე უშუალოდ მოსდევდა ამ ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულს – 25 მაისს.

ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველთა ორგანიზაციას ეწოდებოდა „არგენტინაში მყოფ ქართველთა საზოგადოება „წმიდა გიორგი". მისი თავმჯდომარე იყო ვიქტორ ნოზაძე, ხოლო საპატიო თავმჯდომარე – აკაკი პაპავა.

1951 წლის 24 თებერვალს, ბუენოს-აირესში მდებარე ლიტველთა კლუბში შედგა არგენტინაში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ვიქტორ ნოზაძე.

იმავე წლის 26 მაისს, ბუენოს-აირესში თავმოყრილ ქართველთა მიერ გამართულ ზეიმს დაესწრნენ უცხოელი სტუმრები და მათ შორის ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის წარმომადგენლებიც [„მამული" 1951, № 1: 30-31].

ეს დიდი ეროვნული დღესასწაული ბალტიისპირელებმა თავიანთ ქართველ მეგობრებს გულითადად მიულოცეს. საჯაროდ წაიკითხეს ადგილობრივი ლიტვური გაზეთ „ბალსას" მილოცვა.

ზემოხსენებული დღესასწაულის შესახებ არგენტინაში გამომავალი ქართული ჟურნალი „მამული" იუწყებოდა: „განსაკუთრებით მხურვალე და ფრიად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ლატვიელთა საზოგადოების თავმჯდომარემ ფრისეს გაიშაისმა. მან მოუწოდა რკინის ფარდის იქით დარჩენილ ერთა წარმომადგენლებს ერთობისაკენ, ორგანიზაციულ, პოლიტიკურ შეკავშირებისაკენ. განსაკუთრებით ყოფილი რუსეთის იმპერიის უღელ ქვეშ მდრტვინავმა ერებმა, რომელთაც ერთხელ მაინც იგემეს თავისუფლება და იგრძვნეს თავიანთი 26 მაისის ძალა, უნდა ძმურად გაუწოდონ ურთიერთს ხელი და შეიგნონ, რომ ცალკეულის თავისუფლება მოპოვებული ვერ იქნება: ან მტერი მთლიანად უნდა განადგურდეს და თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში მოექცეს და ყველა ერებმა სუვერენობა დაიბრუნოს, ან, თუ ეს არ მოხდა – ყველანი მონობაში დაიღუპებიანო. ჩვენ არა მარტო წითელი რუსეთის უნდა გვეშინოდეს, არამედ არანაკლებ თეთრი რუსეთისა, რომელიც დღეს გაცხოველებული ირაზმება, დიდ მოკავშირეებთან ახალ ქსელებს აბამს, რათა ხვალ საბჭოების მემკვიდრეობა ხელთ იგდოს და ჩაგრულ ერებს უფრო მძიმე იმპერიალისტური უღელი დაადგასო. აი, ამისათვის ირაზმებიან რუსის მემარჯვენე ნრეებიო" [„მამული" 1951, № 2: 95].

საგულისხმოა, რომ არგენტინაში მცხოვრები ლიტველები თავიანთი კლუბის შენობას შაბათობით უფასოდ უთმობდნენ თავიანთ ქართველ მეგობრებს. ამ კლუბში იმართებოდა ქართული ეროვნული სიმღერისა და ცეკვის კონცერტები, რაც პირველად 1951 წლის 15 აპრილს მოხდა [„მამული" 1951, № 1: 32].

1952 წლის 22 ნოემბერს, ხსენებულ კლუბში, ქართველთა მიერ გამართულ მორიგ კონცერტში ბალტიისპირელებიც მონაწილეობდნენ. მას ესწრებოდნენ უცხოელი სტუმრები და მათ შორის ბალტიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლებიც [„მამული" 1953, № 6: 197-198].

არგენტინაში მცხოვრები ბალტიისპირელები თავიანთ ღონისძიებებზე ასევე სისტემატურად იწვევდნენ იქაურ ქართველებს. ერთ-ერთ ასეთ კონცერტს დაესწრო ქართველი ემიგრანტი, რომელიც ჟურნალ „მამულში" გამოქვეყნებულ სტატიაში „ლიტველთა კონცერტი" აღფრთოვანებული წერდა: „კონსეხო დე მუხერეს დარბაზში ვიჯექი და ლიტველთა გუნდს ვუსმენდი. გუნდი გამოწყობილი იყო ეროვნულ, ფერად და ნაქარგ სამოსელში. სცენაზე იდგა 19 დედაკაცი და 20 მამაკაცი, ახალგაზრდა კომპოზიტორის კუპრივიჩიუსის ხელმძღვანელობით. ვისმენდი ამ შესანიშნავი გუნდის ლიტვურ ჰანგებს...

მახსენდება ერთი ქართველი ასულის ნათქვამი – სანამ დიდი სახელმწიფონი არსებობენ, პატარა ერებს თავისუფალი ცხოვრების საშუალება არ მიეცემათო! მართალია! ოღონდ ეს პატარა ერები ქედს მაინც არ იხრიან დიდ ერთა წინაშე, იბრძვიან და იბრძოლებენ თავისი სიტყვით, გალობით, სიმღერით, ცეკვით, ყოველგვარი ეროვნული გამოხატულებით. ამ ბრძოლის ერთი მშვენიერი ნიმუში ვიხილეთ ამ დღეს ლიტვურ საღამოზე და იმედიანი, ნასიამოვნები, მხიარულ და კმაყოფილ ხალხთან ერთად, გამოვედით დიდი დარბაზიდან. მოვდიოდი და ვფიქრობდი – არა! პატარა ერებს მაინც ვერ მოერევიან!" [„მამული" 1951, № 4: 121-122].

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული სტატია ითარგმნა და დაიბეჭდა ბუენოს-აირესში გამომავალ ლიტვურ გაზეთში „ბალსა".

1953 წლიდან ნიუ-იორკში, ალექსანდრე ცომაიას რედაქტორობით, ინგლისურ ენაზე გამოიცემოდა ჟურნალი „The Voice of Free Georgia" („თავისუფალი საქართველოს ხმა"). ამ ჟურნალში გამოქვეყნდა სრული ტექსტი ა. ცომაიას სიტყვისა, რომელიც მან წარმოთქვა 1956 წელს „სსრ კავშირის შემსწავლელი ინსტიტუტის" მიერ „კარნეგი ჰოლში" გამართულ კონფერენციაზე.

აღნიშნულ კონფერენციაზე ა. ცომაია აცხადებდა: „რას უნდა ელოდონ აზიის ხალხები მოსკოვისაგან მას შემდეგ, რაც რუსეთი მათ ხელში ჩაიგდებს? – უდავოდ იგივე მოპყრობას, როგორიც მიიღო უკრაინის, ბალტიის ქვეყნების, ბელორუსიის, თურქესტანის, კავკასიის და ყველა იმ ქვეყნების ხალხებმა, რომლებიც ასე გულმოწყალედ „გაათავისუფლა" რუსეთმა" [ცომაია 2000: 346].

იმავე წელს, ნიუ-იორკში ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთში „ქართული აზრი" გამოქვეყნდა ა. ცომაიას წერილი „სტალინის მემკვიდრეობა", რომელშიც ვკითხულობთ: „სტალინმა... დააკმაყოფილა რუსული ნაციონალისტური და იმპერიალისტური ამბიციები და რუსეთს დაუმორჩილა ისეთი ქვეყნები და ტერიტორიები, რომელთა დაპყრობას რუსეთი უკვე ოთხასი წელია ცდილობდა. წყნარ ოკეანეზე და ბალტიისა და შავ ზღვებზე გამაგრება და აღმოსავლეთ ევროპის სლავიანური ქვეყნების რუსეთისათვის დამორჩილება, უკვე დიდი ხნის ოცნება იყო რუს იმპერიალისტთათვის. სტალინმა მათ ეს ოცნება შეუსრულა. ამ მოვლენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში სტალინის რეჟიმის სტაბილიზაციისათვის. იმპერიის ასეთი ზრდით მოხიბლული რუსული ინტელიგენცია ადვილად შეურიგდა რეჟიმს და საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილება გულში ჩაიკლა. ამით აიხსნება, რომ ეთნიკური რუსეთის ტერიტორიაზე სტალინის წინააღმდეგ არც ერთი აჯანყება არ მომხდარა. ამით აიხსნება ისიც, რომ სტალინის საშინაო პოლიტიკის

მოწინააღმდეგე და კომუნიზმის უარისმყოფელი რუსული ემიგრაცია სტალინის მიერ შექმნილი იმპერიის ტერიტორიის მთლიანობას გააფთრებით იცავს. ამ საკითხში ყველა რუსს ერთი პირი აქვს. წითელ და თეთრ რუსეთს აერთებს აგრეთვე სიამაყე რუსეთის მოწინავე ინდუსტრიის ქვეყნად და დიდ სამხედრო ძლიერებად გადაქცევისა. სტალინმა ეს იცოდა. მან იცოდა, რომ მისი საყრდნობი მხოლოდ რუსობა იყო. ამიტომ, ყველაფერი ჰქონა, რომ რუსეთში პოპულარული და საყვარელი გმირი გამხდარიყო...

კრემლში ამ ახალი ბატონების (იგულისხმება ნ. ხრუშჩოვი და მისი თანამზრახველები. ნ. ჯ.) დამკვიდრების შედეგად განსაკუთრებით ტრაგიკულ პირობებშია ქართველი ერი. სტალინ-ბერიას ეპოქაში ქართველობა იულიტებოდა იმიტომ, რომ მოსკოვში სტალინისადმი ორგულებად სთვლიდნენ. უნდა ითქვას, რომ ამ ბრალდებას ჰქონდა საფუძველი – საქართველომ სტალინის წინააღმდეგ სამი შეიარაღებული აჯანყება მოაწყო. მაგრამ დღეს ქართველობას სდევნიან იმიტომ, რომ სტალინ-ბერიასადმი ერთგულებას სწამებენ!

სინამდვილეში, გუშინაც და დღესაც მოსკოვის რეპრესიების ნამდვილი მიზეზი სულ სხვაა: ქართველი ხალხი იბრძვის მოსკოვის უხეში ბატონობიდან თავის დასაღწევად და ამ ბრძოლის სამართლიანობა მრავალ ქართველ კომუნისტსაც ბრძოლაში ითრევს. აი, ამ მებრძოლ, თავისუფლების ერთგულ სულს ებრძოდა სტალინი და ებრძვიან მისი მემკვიდრეებიც. ამაო შრომაა: ათასი წლობით ნაწრთობ მებრძოლ სულს მოსკოვი ვერას დააკლებს!" [ცომაია 2000: 336-339].

იმავე გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ნაპერწკლიდან ხანძარიც ჩნდება" ა. ცომაია წერდა: „ომის პერიოდში, 1943-1944 წლებში ჩვენ გვქონდა ვრცელი ცნობები კრემლში ორი ბანაკის წარმომადგენელთა შორის მწვავე კონფლიქტის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, არარუსი ერების სახელით მოლაპარაკეთ გამოდიოდა თავისი წარსულის მიხედვით ასეთი როლისათვის სრულიად შეუფერებელი ლავრენტი ბერია. ის თურმე მოითხოვდა საბჭოთა კონსტიტუციით ერებისათვის მინიჭებული უფლებების განაღდებას. მაშინ ეს ცნობა მე პირადად მივიჩნიე ბერიას მომხრეების მიერ შეთხზულად და არ დავიჯერე. მაგრამ უფრო გვიან მომხდარმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ ეს ბრძოლა კრემლში მართლაც არსებულა...

სიკვდილამდე სტალინი იცავდა რუსების პრიორიტეტს, მაგრამ მის სიკვდილს მოჰყვა ამ კონფლიქტის კვლავ გამწვავება და ბერიას ლიკვიდაციის ერთი უმთავრესი მიზეზი ეს უნდა იყოს. რუსული ელემენტი დღეს სავსებით გამარჯვებულია... რესპუბლიკებში მოსკოვს ჰყავს თავისი ერთგული, პარტიისა და ადმინისტრაციის მოხელეთა კადრი და მათი საშუალებით დამყარებულია სასტიკი კონტროლი. ასეთ პირობებში, პერიფერიებიდან ბრძოლას, პოლონეთი იქნება ეს, საქართველო თუ ბალტიის ქვეყნები, გამარჯვების შანსები მუდამ ნაკლები აქვს, ვიდრე თვით ცენტრში დაწყებულ ბრძოლას... მაგრამ არსებობს რუს ხალხში ასეთი განწყობილება? – ამას მომავალი გვაჩვენებს" [ცომაია 2000: 341-342].

1961 წლის 25 თებერვალს, ნიუ-იორკში, სასტუმრო „პიერში" აშშ-ის ქართულმა სათვისტომომ აღნიშნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის 40 წლისთავი. ამ ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ სსრკ-ის მიერ დაპყრობილი ქვეყნების წარმომადგენლები, მათ შორის ლატვიური, ლიტვური და ესტონური სათვისტომოების წევრები [„ქართული აზრი" 1961].

1964 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, აშშ-ის ქართულ სათვისტომოს, სხვებთან ერთად, ბალტიისპირელებმაც მიულოცეს.

აშშ-ში არსებული ლიტველთა საზოგადოების თავმჯდომარის, პროფესორ პ. ლეჟინსის მიერ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარისადმი გაგზავნილ მისალოც წერილში ვკითხულობთ: „ლიტერატურ-ამერიკული საზოგადოების სახელით, გულწრფელად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წლის 26 მაისს. 1918 წელს საქართველო იყო ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მას შემდეგ, რაც 1921 წელს ნითელმა ჯარმა დაამარცხა ქართული შეიარაღებული ძალები და იქ კომუნისტური რეჟიმი დაამყარა, ქართველი ერი, როგორც ლიტველები და მრავალი სხვა დაპყრობილი და რკინის ფარდაში გამომწყვდეული ხალხი, ებრძვის კომუნისტურ ტირანიას. ისინი ცხოვრობენ ერთი და იგივე იდეებით, რომ თავიანთ კუთვნილ ადგილს კვლავ დაიჭერენ თავისუფალ და დამოუკიდებელ ერთა ოჯახში“ [„ქართული აზრი“ 1964].

1966 წლის 22 მაისს, კავკასიელთა გაერთიანებულმა ორგანიზაციამ ნიუ-იორკში აღნიშნა კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადების 48 წლისთავი. ამ ზეიმს დაესწრნენ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სათვისტომოთა წარმომადგენლებიც [„ქართული აზრი“ 1966].

1971 წელს გაზეთში „ქართული აზრი“ აღნიშნული იყო: „ქართული ემიგრაცია მწუხარებით შორიდან შეჰყურებდა ნითელი რუსეთის მიერ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ანექსიას და მათ არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ფიზიკურ განადგურებას“ [„ქართული აზრი“ 1971].

1974 წლის 2 ივნისს, ნიუ-იორკში, სასტუმრო „რუზველტში“ ქართულმა სათვისტომომ აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 56 წლისთავი. ამ საზეიმო ღონისძიებას სხვებთან ერთად დაესწრო ლატვიის სათვისტომოს წარმომადგენელიც [„ქართული აზრი“ 1974].

საქართველოში მომხდარი ანტიბოლშევიკური სახალხო აჯანყების სისხლში ჩახშობისა (1924 წ.) და საოკუპაციო რეჟიმის მიერ მასობრივი რეპრესიების დაწყების შემდეგ, მრავალ სხვა მამულიშვილთან ერთად, მიხეილ ქავთარაძეც (1906-2008) იძულებული გახდა, რომ ემიგრაციაში წასულიყო. იგი ძირითადად ცხოვრობდა პარიზში, სადაც პოლიტიკურ და ჟურნალისტურ მოღვაწეობას ენეოდა. მისი რედაქტორობით პარიზში ქართულ ენაზე გამოდიოდა ჟურნალი „ივერია“.

აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში მ. ქავთარაძე შეეცადა აეხსნა რუსული იმპერიალიზმის ბუნება, რომელსაც სძულდა დასავლური ღირებულებები და, ასევე, ქართველი და ბალტიელი ხალხები, რომლებიც ტრადიციულად ილტვოდნენ ევროპული ცივილიზაციისაკენ. სტატიაში ვკითხულობთ: „რუსული საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში მონღოლურ-თურქულმა (თათრულმა) ელემენტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. აი, რა უფსკრული ჰყოფს რუსეთს დასავლურ კულტურისაგან. ის ფაქტი, რომ რუსმა ერმა დიდი კულტურა შეიძინა, უმდიდრესი ლიტერატურა აქვს და მეცნიერულ-ტექნოლოგიურადაც დაწინაურებულია, მას მაინც უნარს არ აძლევს ცხოვრების დასავლეთურ ყაიდაზე მოწყობისას. დასავლეთი რუსებისათვის სულიერად უცხოა. კიდევ მეტი, რუსეთს სძულს ევროპა და ყოველივე ევროპული, როგორც ზანგს – თეთრი, მდაბიოს – არისტოკრატი, მახინჯს – ლამაზი.

რუსებმა ყველაფერი გადმოიღეს ევროპიდან, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. ხოლო ევროპული გაგებები, როგორიცაა: შემწყნარებლობა, მონაწილეობა, თანამშრომლობა, ზომიერება, ურთიერთგაგება და შიშის ნაცვლად – შეგნებული მორჩილება, მათთვის გაუგებარი და მიუწვდომელი დარჩა“ [ქავთარაძე 1978].

დასავლეთ ევროპაში არსებული ქართველთა სათვისტომოები XX საუკუნის მიწურულსაც თანამშრომლობდნენ ბალტიისპირელთა სათვისტომოებთან.

1989 წლის 26 მაისს პარიზის ქართველთა სათვისტომომ ბულონში ზეიმით აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 61 წლისთავი. იქაურ ქართველებთან ერთად, ზეიმს დაესწრნენ უცხოელი საპატიო სტუმრებიც, რომლებიც საგანგებოდ მიიწვიეს. მათ შორის იყო საფრანგეთში მცხოვრებ ლიტველთა სათვისტომოს თავმჯდომარე – ლიტვის რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ვაჟი, რომელიც ქართველ ემიგრანტებთან მეგობრობდა.

სიტყვით გამოსულმა ლიტველმა სტუმარმა სრულიად გულწრფელად განაცხადა: „ევროპას არა აქვს ჩვენი დარდი. ამიტომ, უმჯობესია ქართველმა და ბალტიისპირეთის ხალხებმა ერთმანეთს ჩაეჭიდოთ ხელი“ [ხომერიკი 2006: 59-60].

ამრიგად, საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ემიგრაციაში გახიზნულ გამოჩენილ ქართველ სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მეცნიერებს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ ლატვიელ, ლიტველ და ესტონელ კოლეგებთან. ამის დამადასტურებელი ცნობები შემონახულია იმდროინდელ ქართულ ემიგრანტულ პრესასა და მემუარულ ლიტერატურაში, საიდანაც ჩანს, რას ფიქრობდნენ ქართველი ემიგრანტები ბალტიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებზე, რომლებსაც საბჭოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთ მოკავშირეებად თვლიდნენ. საზღვარგარეთ გამომავალ ქართულ პრესაში ხშირად იხსენიებიან თავისუფლებისმოყვარე ლატვიელი, ლიტველი და ესტონელი ხალხები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ჯერ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, ხოლო შემდეგ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის – სსრ კავშირისაგან თავდასაღწევად [ჯავახიშვილი 2010, № 8: 135-150].

4. ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.)

II მსოფლიო ომის დაწყებას ქართული ემიგრაცია არაერთგვაროვნად შეხვდა. მისმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელთა შორისაც ძირითადად სოციალ-დემოკრატები იყვნენ, გერმანიას უნდობლობა გამოუცხადა. ისინი თავიანთ მოკავშირედ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს მიიჩნევდნენ.

ქართველ ემიგრანტთა რადიკალურად განწყობილი ნაწილი, რომელიც მოქმედებდა პრინციპით: „ჩემი მტრის მტერი – ჩემი მეგობარია“, თვლიდა, რომ II მსოფლიო ომში გამარჯვებული გერმანია ისევე დაეხმარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, როგორც ეს I მსოფლიო ომის დროს მოხდა.

იმ ქართველთა საქმიანობის შესახებ, რომლებიც II მსოფლიო ომში გერმანელთა მხარდამხარ იბრძოდნენ, აზრთა სხვადასხვაობა დღემდე არსებობს. ზოგნი მათ საქციელს მართებულად, ხოლო ზოგნი – გაუმართლებლად თვლიან, თუმცა ფაქტი ერთია – იმ პერიოდში გერმანია იყო ის ერთადერთი ძალა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დამასამარებელი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა და ქართველთა (ძირითადად პოლიტიკურ ემიგრანტთა) გარკვეული ნაწილის მიერ გერმანიის მოკავშირედ დასახვა სწორედ ამით უნდა აიხსნას.

აღნიშნული მოვლენა ასეა ახსნილი ემიგრანტ მიხეილ ქავთარაძის (1906-2008) მოგონებებში, რომელშიც ვკითხულობთ: „გერმანია დაეჯახა იმ ძალას, რომლის წაქცევაც აუცილებელი წინასწარი პირობა იყო ჩვენი თავისუფლებისათვის. იყვნენ ემიგრანტები, რომელთაც ოცი წელიწადი თითქოს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს. ამ ოცი წლის განმავლობაში ვერცერთი ნამდვილი მოკავშირე ვერ იპოვეს და როდესაც იმ ქვეყანამ, რომელიც სინამდვილეში ერთადერთი შესაძლებელი მოკავშირე იყო ჩვენთვის..., რუსეთს შეუტია, ზემოხსენებული ქართველები შეძრწუნდნენ და ეს მოვლენა ჩვენთვის უარყოფით საქმედ ჩათვალეს. მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელ გერმანიას განაგებდა არასიმპათიური რეჟიმი და, ამავე დროს, ეს გერმანია, რუსეთის გარდა, ჩვენთვის სიმპათიურ დემოკრატიულ ქვეყნებსაც ეომებოდა“ [ქავთარაძე 2007: 111-112].

გერმანიის მხარეზე მებრძოლ ქართველთა საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ემიგრანტ გივი გაბლიანის (1914-2001) ორტომიანი ნაშრომი „ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი)“ [გაბლიანი 1998-2000].

გ. გაბლიანი წერს, რომ გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლი ქართველი ემიგრანტები „იმედოვნებდნენ, საჭიროების შემთხვევაში გერმანელებზე სასიკეთო ზეგავლენა მოეხდინათ. იმ ხანებში გავრცელებული აზრის მიხედვით, გერმანია კავკასიის მიმართ I მსოფლიო ომის დროინდელ პოლიტიკას გაატარებდა... დამოუკიდებლობის იმედი კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც გერმანელებმა II მსოფლიო ომის დროს დაიკავეს ჩრდილო კავკასია. აქ გერმანია განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდა, ვიდრე მის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, სადაც მკვიდრი მოსახლეობა ჰიტლერის ანტიჰუმანური კანონების გამო საშინელ ტანჯვას განიცდიდა“ [გაბლიანი 1998: 9].

დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცერმა მერაბ კვიტაშვილმა (1902-1991), რომელიც თან ახლდა თეირანის კონფერენციაზე (1943) ჩასულ ბრიტანულ სამთავრობო დელეგაციას, იმ პერიოდში მისთვის დასმულ ოფიციალურ შეკითხვას, თუ რატომ იბრძვის ქართველთა გარკვეული ნაწილი გერმანელთა მხარდამხარ, შემდეგი პასუხი გასცა:

– „სრულიად მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართველები, რომლებიც ახლა გერმანიის ჯარში იბრძვიან, იმიტომ სჩადიან ამას, რომ ისინი შეგნებულად გერმანული ან ნაცისტური ორიენტაციისანი არიან. არა, მათ პირველ ყოვლისა ანტირუსული და ანტისაბჭოთა განწყობა ამოძრავებდათ და ირჩიეს ებრძოლათ მათთვის, ვინც კი დაეხმარებოდა მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენაში. თუმცა, მათ სჯეროდათ, რომ გერმანია დაამარცხებდა და დაშლიდა რუსეთს, მაგრამ ისიც სჯეროდათ, რომ საბოლოოდ თვით გერმანიაც დამარცხებული იქნებოდა დასავლეთის მოკავშირეების მიერ და ამიტომ, თუკი მათ თავიანთი ნაციონალური უფლებებისა და დამოუკიდებლობის გარანტია მიეცემოდათ, ისინი მოისურვებდნენ მოკავშირეებთან ეთანამშრომლათ“ [კვიტაშვილი 1991: 28].

გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ჯერ კიდევ 1941 წლის მიწურულს ჩამოყალიბდა ემიგრანტთაგან დაკომპლექტებული მცირე კავკასიური შენაერთები. მათ შორის იყო განსაკუთრებული დანიშნულების კავკასიური შენაერთი „ბერგმანი“ (მთიელი) და ქართული ქვედანაყოფები: „თამარ I“ და „თამარ II“ [Джавахишвили 2005: 102].

უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გერმანიის ტყვეთა ბანაკებში თავმოყრილ ათეულ ათასობით ქართველ სამხედრო ტყვეთა (სსრკ-ის ყოფილ მოსამსახუ-

რეთა) ფიზიკურად გადარჩენა, რაც გერმანიის სამსახურში მდგარმა ქართველმა ემიგრანტებმა გერმანელ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა აქტიური დახმარებით მოახერხეს.

1942 წლის თებერვალში დაიწყო კავკასიური ლეგიონების ფორმირება. მასში გაერთიანდნენ როგორც ემიგრანტები, ასევე სამხედრო ტყვეები. კერძოდ, ჩამოყალიბებულ იქნა 13 აზერბაიჯანული, 12 სომხური, 12 ქართული და 8 ჩრდილოკავკასიური ბატალიონი. საერთო ჯამში, გერმანიის შეიარაღებულ ძალებში მომსახურე კავკასიელთა რიცხვი 100 ათას ადამიანს აღემატებოდა [Макулия 2003: 161-162].

გერმანიაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტთა შორის იყვნენ პიროვნებები, რომლებიც ამ ქვეყნის მესვეურთა ნდობით სარგებლობდნენ. მათ შორის სერიოზული პოლიტიკური გავლენითა და მაღალი ავტორიტეტით გამოირჩეოდნენ:

1. აღმოსავლეთის (ანუ „ვანზეეს") სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დოქტორი **მიხეილ ახმეტელი** (1895-1963). იგი იყო ძმისწული გერმანიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა ვლადიმერ (ლადო) ახმეტელისა. 1924 წელს მან იენის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ამიერკავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობა". ითვლება სოვეტოლოგიის გერმანული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ზოგჯერ წერდა ფსევდონიმით „კონსტანტინ მიხაილი". 1937 წლიდან იყო ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი. მეგობრობდა III რაიხის იდეოლოგ ალფრედ როზენბერგთან;

2. „ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის" დირექტორი, გამოჩენილი ფიზიკოსი და გეოპოლიტიკოსი, დოქტორი **ალექსანდრე ნიკურაძე** (1901-1981). 1919 წელს იგი თავის ძმასთან, ცნობილ ქიმიკოს ივანე (იოჰან) ნიკურაძესთან ჩავიდა გერმანიაში სასწავლებლად და უკან აღარ დაბრუნებულა. მეგობრობდა ალფრედ როზენბერგთან და არნო შიკედანცთან, რომელსაც გერმანიის ხელისუფლება საქართველოს მომავალ გენერალ-გუბერნატორად ამზადებდა. ზოგჯერ წერდა ფსევდონიმით „A. Sanders": 1934 წლიდან იყო ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი;

3. ყველაზე შეძლებული ქართველი ემიგრანტი გერმანიაში, ექიმი **გიორგი მაღალაშვილი**. მისი მეუღლე მონიკა უიტი იყო ასული უმდიდრესი გერმანელი მრეწველისა;

4. **შალვა მაღლაკელიძე,** რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში თბილისის გენერალ-გუბერნატორად მსახურობდა. იგი გამოირჩეოდა გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლ ქართველ სამხედრო პირთა შორის. II მსოფლიო ომის დაწყებამდე ის დაინიშნა გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო მრჩეველად (მილიტერბერატერად), ობერსტის (პოლკოვნიკის) წოდებით, ხოლო 1944 წლის მაისში მას ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის სამხედრო მესვეურებთან, მათ შორის „აბვერის" (სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა) ხელმძღვანელთან, ადმირალ ფრიდრიხ ვილჰელმ კანარისთან.

ზემოხსენებული პიროვნებების გარდა, ასევე გავლენიანნი იყვნენ: „აბვერისა" და „გესტაპოს" (საიდუმლო პოლიცია) თანამშრომელი **მიხეილ კედია;** ჩრდილოეთ იტალიაში დისლოცირებული ქართული სამხედრო ქვედანაყოფის „ქართული ცხენოსანი SS"-ის მეთაური, შტანდარტენფიურერი **ფრიდონ ნულუკიძე;** ოფიცრები: **დიმიტრი შალიკაშვილი, გივი გაბლიანი, მიხეილ ალშიბაია;** „კავკასიის საგან-

გებო შტაბის“ თანამშრომელი **ალექსანდრე ცომაია**; ქართული ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ წერეთელი** და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ „აღმოსავლეთის ინსტიტუტში“, სადაც 60-მდე მეცნიერი მოღვაწეობდა, მ. ახმეტელმა ძველ თანამშრომელთა უმეტესობა გაათავისუფლა და მათ ადგილას ძირითადად ბალტიისპირელი გერმანელები მოინვია [სულაძე 2010: 480].

1939 წლის შემოდგომაზე გერმანიამ და სსრ კავშირმა დაიპყრეს პოლონეთის სახელმწიფო და მისი ტერიტორია გაინაწილეს.

საგულისხმოა, რომ მათ შორის საზღვრების გამიჯვნის ხელშეკრულებას, სხვებთან ერთად, ხელი მოაწერა ობერსტმა შ. მაღლაკელიძემაც, ოღონდ – ლატვიური გვარით – „Ozols“ (ოზოლს), რაც ამ ენაზე მუხას ნიშნავს [ჯავახიშვილი 2009, № 5: 21].

შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „ომი უკვე დამთავრებულია და ვარ ვარშავაში... ერთ მშვენიერ დილას, რიცხვი არ მახსოვს, სასწრაფოდ მიბარებენ შტაბში და მთხოვენ, როგორც რუსულის მცოდნეს, მივყვე გერმანელ ოფიცრებს იმ ხიდთან – თურმე რუსული არმია შემოვიდა იქ და ხიდთან დგას. მივედით იქ და ვხედავთ ახალგაზრდა რუსი მაიორი რუკით ხელში და ორი ჯარისკაცის თანხლებით შუა ხიდზე დგანან და ჩვენ გველოდებიან. მე ცივილური ტანისამოსი მაცვია და რუსს გერმანელი ვგონივარ.

– გუტენ ტაგ! – მომესალმა.

პატარა ხანში შევატყვე, რომ გერმანული არ იცის კარგად და ისედაც ღელავს. ამიტომ რუსულად მივმართე. გამოირკვა, რომ ესენი შემოსულან „პო დოგოვორუ“, რომ სტალინსა და ჰიტლერს შორის მოლაპარაკება ყოფილა პოლონეთის გაყოფაზე და ახლა მეკითხება, რომ ჩვენ, ე. ი. რუსული არმია სად გაჩერდეთო, ვარშავის ეს ნაწილი ჩვენიაო და სხვა...

მე ვუთხარი, რომ ამის შესახებ უნდა ვაცნობოთ ვარშავის სამხედრო კომენდანტს, თუ არ ვცდები, კიზინგერს. მართლაც იქ წავიდნენ გერმანელი ოფიცრები... დაბრუნდნენ და თქვეს:

– ფიურერის ბრძანებაა, რომ რუსებმა უკან უნდა დაიხიონო!

ამ დროს მთელ ვარშავაში სადღესასწაულო განწყობაა გერმანულ ჯარებში, მღერიან ლილი მარლენის სიმღერებს, მღერიან ჰოლივუდის ფილმებიდან და ერთი სიტყვით საბრძოლო სულისკვეთება მაღალ დონეზეა... ჰიტლერმა იცის ეს და გერმანელების შეტევაც რუსებზე ადვილად განხორციელდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იცოდა სტალინმაც და ამიტომ რუსის ჯარმა უყოყმანოდ დაიწყო უკან დახევა. ეს დიდი სიბრძნე იყო სტალინის მხრიდან, რადგან არ მეგულება ჯარი, რომელიც ასე თავლაფდასხმული დაიხევდა იქ უკან...

დაიწყო ამ ჯარმა ზედ ამ ხიდიდან უკან დახევა. ჩვენ მივყვებით მათ ფეხდაფეხ (მე ცხენით) და, ერთი სიტყვით, სულ დატოვეს პოლონეთი და მივადექით სასაზღვრო ტყეს, რომლის განაპირას რაღაცა „ბუდკა“ იდგა. შევედით შიგ და რუსის გენერლებია... იმ „ბუდკაში“ ხელი მოვანერეთ ამ ახალ სასაზღვრო ხელშეკრულებას – მე ლატვიურად... ვითომც ლატვიელი ვარ“ [მაღლაკელიძე 1994: 157-158].

შ. მაღლაკელიძე თავისუფლად ფლობდა ლატვიურ ენას, რაც მას ლატვიიდან გადასახლების შემდეგაც არაერთხელ გამოადგა. ამის დამადასტურებელ ფაქტებს ქვემოთ მოვიტანთ.

1940 წლის ივნისში სსრკ-ის შეიარაღებული ძალები ომის გამოუცხადებლად შეიჭრნენ ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე და მოახდინეს ლიტვის, ლატვიისა და

ესტონეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ოკუპაცია და იძულებითი გასაბჭოება. ამით კრემლში მოკალათებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ ვერაგულად დაარღვია მის მიერვე ხელმოწერილი ხელშეკრულებები თავდაუსხმელობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთის თავისუფლებისმოყვარე მოსახლეობამ ოკუპაციის საშინელება სულ ხუთიოდე (1940-1945) წლის განმავლობაში სამჯერ გამოსცადა, კერძოდ, ის მონაცვლეობით გახდა ჯერ სსრ კავშირის, შემდეგ – ნაცისტური გერმანიის, ხოლო ბოლოს – კვლავ სსრკ-ის არმიების მსხვერპლი.

ლატვიის და, საერთოდ, ბალტიის ქვეყნების ოკუპაციის შედეგები ასეა შეფასებული თანამედროვე ლატვიურ ისტორიოგრაფიაში: „В истории Латвии начался третий период оккупации, который в общей сложности продолжался более пятидесяти лет и стал для народа Латвии и ее исторической судьбы трагическим и опасным поворотом. Осуществляемая и нацистской Германией, и Советским Союзом репрессивная политика (Холокост, сталинские депортации и пр.) углубили интеллектуальный вакуум в Латвии, который возник с репатриацией балтийских немцев.

Советская оккупационная власть, хозяйничавшая в Латвии 47 лет, истощила ее природу, разрушила экономику, втянула население в социалистический эксперимент, разместила на ее территории непомерно большой контингент вооруженных сил, наводнила страну сотнями тысяч людей других национальностей, превратив латышей чуть ли в национальное меньшинство на своей собственной земле. Ситуацию усугубляла неуклонно проводимая политика русификации, недоступность объективной информации, а также запрет на свободное передвижение. Целых два поколения в Латвии утратили связи с западной культурой и возможность получить всестороннее образование. В первое время были затруднены контакты и связи латышей с соотечесвенниками, которые в конце Второй мировой войны эмигрировали и оказались по ту сторону „железного занавеса".

С международной точки зрения, аннексия и инкорпорация Латвии, Литвы и Эстонии летом 1940 года была незаконной" [Блейере 2005: 462].

ლატვიელ მკვლევარ იანის სტრაუმეს მართებული შეფასებით: „Латыши не теряли надежды на свободу. Нередко они брались за оружие, иногда боролись диссидентскими методами, иногда - сопротивлялись пассивно. Однако во все времена пели латышские песни, во все времена рассказывали анекдоты об угнетателях и при первой возможности старались сбросить чужеземное иго" [Стауме 2007: 2].

ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილი შეფასებები სრულიად შესაძლებელია განვავრცოთ ლატვიელთა მეზობელ – ლიტველ და ესტონელ ხალხებზეც.

II მსოფლიო ომის პერიოდში, ბალტიის რესპუბლიკებში შეჭრილ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში, სხვებთან ერთად იყვნენ საყოველთაო მობილიზაციის წესით გაწვეული ქართველებიც. მათი საღად მოაზროვნე ნაწილი თანაგრძნობას ამჟღავნებდა ბალტიისპირეთის მოსახლეობის მიმართ.

ბალტიისპირეთში მებრძოლი საბჭოთა არმიის შემადგენლობაში უმცროსი ოფიცრის წოდებით მსახურობდა მომავალში ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი (1911-1994). თავის მემუარებში მან დაუნდობლად ამხილა ბოლშევიკური რეჟიმი, რომლის მსხვერპლთა შორის სხვებთან ერთად აღმოჩნდნენ ჯერ დამოუკიდებელი საქართველო, ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ – ბალტიის რესპუბლიკებიც.

მოგონებებში აღნიშნულია, რომ 1921 წლის დასაწყისისათვის „საქართველო ბედნიერ კუნძულად დარჩა გარშემო მდებარე „გაწითლებულ" რესპუბლიკათა შო-

რის, მაგრამ მარყუჟი სულ უფრო და უფრო იკვროდა. გასაბჭოებულია ჩრდილო კავკასიაც, აზერბაიჯანიც, სომხეთიც. ამიტომ იყო, რომ რუსულმა ჯარებმა ყოველი მხრიდან შემოუტიეს ჩემს ქვეყანას – კავკასიონის უღელტეხილებიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან...

წარსულს ბარდება ხანმოკლე, მაგრამ დიდი ეროვნული ბედნიერების დღეებიც, დიდი სიხარულიც და საყოველთაო აღფრთოვანებაც... იწყება ფაქტებისა და მოვლენების შეგნებული, გეგმაზომიერი გაყალბება: „საქართველოს დაპყრობა კი არ მოხდა, შინაგანი გადატრიალება მოხდა; „ბურჟუაზიული მთავრობა“ აჯანყებულებმა დაამხეს და ახალი მუშურ-გლეხური ხელისუფლება დაამყარეს. XI არმია მხოლოდ დაეხმარა, დახმარების ხელი გამოუწოდა ქართველ მშრომელებს“.

ასე „დაეხმარნენ და ხელი გაუწოდეს“ აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებს, ჩრდილო კავკასიას. ასე „დაეხმარნენ“ მალე შუა აზიას, ცოტა მოგვიანებით – ბესარაბიას (მოლდავეთს), პოლონეთსა და ფინეთის სამხრეთ მოსახლეობას, კიდევ ერთი წლის შემდეგ – ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს.

ამ დროს გავრცელდა ანეკდოტი: ესტონეთის ხალხმა საბჭოთა მთავრობას გამოუგზავნა დეპეშა: „Спасибо за то, что протянули нам братскую руку, а ноги мы сами протянем!“ [ხიდაშელი 1994: 56-59].

შ. ხიდაშელის მართებული შეფასებით: „ნათელი იყო, რომ მოქმედების მეთოდების მიხედვით, ბოლშევიზმი – ფაშიზმისაგან არ განსხვავდებოდა და, თუ განსხვავდებოდა, არა პირველის სასარგებლოდ. სავსებით კანონზომიერად ჟღერდა ჰიტლერისა და სტალინის შეთანხმება პოლონეთის შუაზე გაგლეჯის (მერამდენედ!), ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) საბჭოთა ოკუპაციის და სხვ. შესახებ“ [ხიდაშელი 1994: 207].

1940 წელს ბალტიისპირეთში იმყოფებოდა ზემოხსენებული გივი გაბლიანი, რომელიც 1941 წლის შემოდგომამდე საბჭოთა არმიის 55-ე დივიზიაში სამხედრო ექიმად მსახურობდა. ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, იგი საკუთარი ნებით ჩაირიცხა გერმანიის შეიარაღებულ ძალებში, სადაც ომის დასრულებამდე მსახურობდა. შემდეგ იგი აშშ-ში გადასახლდა და ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი გახდა.

საინტერესოა ქართველი პატრიოტის თვალით დანახული ოკუპირებული ბალტიისპირეთი. მის მემუარებში ვკითხულობთ: „55-ე დივიზია რამდენიმე მატარებლით ლიტვაში გადაგზავნეს. ბალტიისპირეთის ეს პატარა ქვეყანა ჩვენ 1940 წლის ივნისში დავიპყარით, როგორც მაშინ გვარწმუნებდნენ, „განათავისუფლეთ კაპიტალიზმის უღლისაგან“. იგიეე განმეორდა ერთდროულად ლატვიასა და ესტონეთში, სადაც წითელი არმიის სხვა ნაწილები შევიდნენ.

ეს დაუვიწყარი შთაბეჭდილება იყო ჩვენთვის. ბევრ რამეზე აგვეხილა თვალი. ლიტვა – ლამაზი, მშვიდობიანი, უჩვეულოდ აყვავებული, თავისუფალი ქვეყანა იყო. მაღაზიები აევსოთ სამრეწველო საქონლითა და საკვებით.

ასეთი რამ უჩვეულო იყო „ჩვენი“ სტანდარტებით და მთელ საბჭოეთში სხვაგან არსად არსებობდა. წითელი არმიის ოფიცრები კალიასავით შეესივნენ ამ მაღაზიებს. ლიტველი გამყიდველები გაოცებით უყურებდნენ, თუ როგორ ყიდულობდნენ ისინი ერთდროულად რამდენიმე საათს ან აურაცხელი რაოდენობის სხვა სამომხმარებლო ნივთებს.

თავში ერთი კითხვა მიტრიალებდა: რას მოუხერხებდნენ მომავალში მთელ ამ საბჭოთა ფულს მაღაზიის მფლობელები?

გარეგნულად ლიტველები მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. კარგად იკვებებოდნენ, კარგად იცვამდნენ და, საერთოდ, ბევრად უფრო ბედნიერად და ნაკლებ დათრგუნულად გრძნობდნენ თავს, როგორც მტრის მიერ ოკუპირებულნი, ვიდრე „თავისუფალი" საბჭოთა მოქალაქენი".

იგივეს თქმა შეიძლებოდა ფერმერებზეც, რომლებიც საბჭოთა კოლექტიურ მეურნეობებში გაწევრიანების სანაცვლოდ, კარგად ორგანიზებული კოოპერატიული და კერძო საკუთრების მფლობელები იყვნენ და ჭირნახულით მთელ ქვეყანას ამარაგებდნენ. ფერმებში ცხოველებს კარგი მოვლა ეტყობოდათ. ევალებოდა დივიზიისათვის ლიტვური ფერმებიდან მოწოდებული საკვების შემოწმებაც. საკვები უმაღლესი ხარისხისა უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. ისღა დაგვრჩენოდა, აღფრთოვანებით გვეცქირა ღირსეულად მოსეირნე ლიტველი ოფიცრებისათვის, რომლებიც შეხვედრისას თავაზიანი ჟესტით გვესალმებოდნენ (თავიდან მათ თავისუფალი მისვლა-მოსვლა არ ეკრძალებოდათ).

ქალაქ უკმერგესთან ახლოს, დიდებული ტყით დაფარულ ფერდობზე „სამედიცინო-სანიტარიული ბატალიონი" იყო განლაგებული. იქიდან მდინარე ვილა მოსჩანდა, რომელზედაც ნავები დასეირნობდნენ. ერთხელ, ტყეში სეირნობისას, ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა რელიგიურმა მსვლელობამ, რომელიც ერთი წმინდა ადგილიდან მეორისაკენ მიემართებოდა. პროცესიას ლოცვითა და გალობით წინ მღვდლები მიუძღოდნენ. მსვლელობის მონაწილეთა მშვიდობიან სახეებს ღრმა ექსტაზი ამშვენებდა.

რას ვაკეთებდით აქ? რატომ ვიჭრებოდით ლიტველთა ბედნიერ ცხოვრებაში? „ვათავისუფლებდით"? „კი, მაგრამ, რისგან ან ვისგან"? ყოველივე ამას მხოლოდ ერთი მიზეზი ჰქონდა: საბჭოთა ლიდერთა გაუმაძღარი, იმპერიალისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მე მოწმე ვიყავი ქალაქ უკმერგეში ასიოდე ადამიანის მონაწილეობით ყალბი, ე. წ. „სპონტანური" ხასიათის დემონსტრაციის მოწყობისა. დემონსტრაცია ორი ლიტვური წარმოშობის საბჭოთა აგიტატორის მიერ იყო ინსცენირებული. მათი „ექსპორტირება" (55-ე დივიზიის მატარებლით) ლიტვაში საგანგებო დავალების შესასრულებლად „ჩვენ" მიერ იქნა უზრუნველყოფილი.

დემონსტრანტებს ნარნერიანი ტრანსპარანტები მოჰქონდათ: „ლიტველ ხალხს სურს მათი ქვეყანა საბჭოთა კავშირის ნაწილი გახდეს". რასაკვირველია, ყოველივე ეს მოსკოვის გეგმებს ეთანხმებოდა. მალე, წითელ არმიას შინსახკომის სპეცდანიშნულების ჯარი (საბჭოთა კავშირის საიდუმლო პოლიცია) მოჰყვა. მათი მისია პოლიტიკურად „საშიში" ხალხისაგან ქვეყნის გაწმენდა იყო. თუ რატომ მიიჩნიეს ისინი ასეთებად, ყველასათვის საიდუმლოდ რჩებოდა. დაკვირვების შედეგად, მალევე შევნიშნე ყოველდღიურად შინსახკომის ჯარების თანხლებით აღმოსავლეთისაკენ მიმავალი, ლიტველებით გავსებული მატარებლები. მათი საბოლოო განთავსების ადგილი აშკარად იძულებითი სამუშაო ბანაკები ან „გულაგები" იყო. მე მხოლოდ მატარებლის ფანჯრის გისოსებზე პატიმართა ჩაბღაუჭებული ხელების დანახვა შემეძლო.

ბალტიისპირეთის ორ სხვა ქვეყანასაც იგივე ბედი ენია. სცენარი იქაც მსგავსად ვითარდებოდა. ამ ადამიანთა ტრაგედიამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა...

სამი ლამაზი, მშვიდობისმოყვარე ქვეყნის ბედნიერება ყოველგვარი პროვოცირების გარეშე შეეწირა აგრესიულ ტირანიას. ჭეშმარიტად, დედამიწაზე უნდა არსებულიყო ძალა, რომელიც წინ აღუდგებოდა ამ ბოროტებას. მაშინ გერმანე-

ლებს საბჭოელებთან „მეგობრობის შეთანხმება“ ჰქონდათ დადებული. მაგრამ მომავალში ალბათ ინგლისსა და მის მოკავშირეებს შეეძლოთ რაიმე ეღონათ. ასე ფიქრობდა ლიტვაში ყოფნისას ერთი გამოუცდელი და ცხოვრებისაგან გულგატეხილი ახალგაზრდა ექიმი...

ბალტიის ქვეყნებში დემონსტრირებულმა სისასტიკემ ყველას დაგვანახა „კაპიტალისტური სისტემის“ (თავისუფალი საწარმოებითა და დასავლური დემოკრატიით) უპირატესობა რეალურად ქცეულ საბჭოთა „სამოთხესთან“ შედარებით. ყოველივემ ყველაზე თავდადებულ კომუნისტებსაც აუხილა თვალი და 1941 წელს გერმანია-რუსეთის ომის საწყის ეტაპზე საბჭოთა ჯარისკაცების ქცევაზეც იქონია გარკვეული ზეგავლენა“ [გაბლიანი 1998: 28-32].

თავის მემუარებში გ. გაბლიანი არაერთხელ აღნიშნავს, რომ, გერმანიის შეიარაღებული ძალების რიგებში ჩადგომის შემდეგ, იგი დაუახლოვდა თავის ბალტიისპირელ თანამებრძოლებს – „მამაც, გაბედულ ადამიანებს“, რომლებიც ქართველ თანამებრძოლთა ერთგული მეგობრები გახდნენ [გაბლიანი 1998: 111-123]. იგი მიუთითებს, რომ „ბალტიისპირეთიდან გამოსულმა გერმანელმა ოფიცრებმა ხელი შეუშალეს ავადსახსენებელ დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკში ჩემს დატყვევებას“ [გაბლიანი 2000: 25].

სსრ კავშირთან ომის დაწყებისთანავე, ვერმახტის ობერსტი შ. მაღლაკელიძე აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნეს.

1942 წლის ზაფხულში გერმანულმა არმიამ, რომელსაც სარდლობდა გენერალ-ფელდმარშალი პაულ ლუდვიგ ევალდ ფონ კლაისტი (1881-1954), კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაიკავა. მის შემადგენლობაში შედიოდა კავკასიელ მოხალისეთა სამხედრო შენაერთებიც – ლეგიონები, რომელიც ემიგრანტებისა და საბჭოთა არმიის ყოფილ მოსამსახურეთაგან შედგებოდა. მას სათავეში ედგა შ. მაღლაკელიძე, რომელიც იმავდროულად კლაისტის სამხედრო კონსულტანტი იყო.

იმავე წლის ნოემბერში „ქართული ლეგიონის“ 795-ე ბატალიონმა ბრძოლით მოაღწია საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვრამდე და რაჭის ჩრდილოეთით, ურუხის ხეობაში (ამჟამად – ჩრდილოეთ ოსეთი) დაბანაკდა. მათთან ერთად იყვნენ სხვადასხვა ეროვნების მეომართაგან და, მათ შორის, ბალტიისპირელებისაგან დაკომპლექტებული სამხედრო შენაერთებიც, რომლებიც ასევე გერმანული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიოდნენ.

შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „არის 1942 წლის აგვისტო. მივყვებით გერმანულ ასიათასიან არმიას. თუ არ გაგვიჭირდა, ჩვენ ბრძოლაში არ ვებმებით და იცის ეს გერმანულმა სარდლობამ, ჩვენ საგანგებო დავალება გვაქვს, საკომენდანტო ბატალიონია. ასე ჩავედით ტაგანროგამდის... ამასობაში შემოგვიერთდნენ ლატვია-ლიტვა-ესტონეთის ასეულები, აზერბაიჯანელები... მოვდივართ ნალჩიკის მიმართულებით. იქ მდინარე ბაქსანია... ჩემი ბატალიონი დამოუკიდებელი სამხედრო ერთეულია, საარტილერიო ნაწილიც მაქვს – ერთი ბატარეა... თურმე ჩვენს გაღმა ქართული საბჭოთა დივიზიაა 392, გენერალ ყურაშვილის მეთაურობით... ასე შემოვედით ოსეთში, გზაზე უმნიშვნელო წინააღმდეგობას ვაწყდებოდით. შემოვედით ურუხის ხეობაში. იქ ოსური სოფლებია – ქვედა, შუა და ზედა ურუხი. აი, ეს ზედა ურუხი უკვე რაჭის საზღვარზეა. შუა ურუხში გავმართე მე ჩემი შტაბი... აქ ირგვლივ ცოტაა გერმანელები, ძირითადად რუმინული დივიზიებია განლაგებული. აქვეა ეს ლატვიელებიც...

1942 წლის დეკემბრისათვის სტალინგრადის საქმე ცუდად იყო... უცებ დატოვა ჩვენი ფრონტი ორმა გერმანულმა დივიზიამ სტალინგრადის დასახმარებლად.

მათ რუმინელებიც ზედ მიყვნენ... ამრიგად, მე ჩემს ხალხთან ერთად დავრჩი მოჭრილი. ვინ არიან ახლა ჩემთან: I ქართული ბატალიონი, ლიტვა-ლატვია-ესტონური ასეულები, აზერბაიჯანელები და ერთი „ვზვოდიც" არ იქნებოდა, დაახლოებით 20 კაცამდე, ჩემი ერთგული გერმანელები, სულ დაახლოებით 2000 კაცი. გვყავს ცხენები და გვაქვს ქვემეხებიც" [მაღლაკელიძე 1994: 178-188].

ქართული ბატალიონი, გერმანული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალ სხვა სამხედრო შენაერთებთან ერთად, საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვართან 1943 წლის იანვრის დასაწყისამდე იმყოფებოდა.

სტალინგრადთან განცდილი მარცხის შემდეგ, გერმანული სარდლობა იძულებული გახდა, რომ საკუთარი შეიარაღებული ძალები ჩრდილო კავკასიიდან გაეყვანა. კავკასიაში დაბანაკებულმა გერმანულმა არმიამ, მის შემადგენლობაში შემავალ არაგერმანულ სამხედრო შენაერთებთან ერთად, დასავლეთის მიმართულებით უკან დაიხია.

შ. მაღლაკელიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „1943 წლის 3 იანვარია. ჩავამწკრივე ჩემი ბატალიონი და გამოვუცხადე: – ჩვენ აღმოვჩნდით კუბოში, ჩვენი დანებება არ შეიძლება, დაგვხვრეტენ. ამიტომ, უმჯობესია, ბრძოლის ველზე მოვკვდეთ, ან გზა გავიკაფოთ აზოვის ზღვისაკენ, რომ მერე ყირიმში გადავიდეთ!

ყირიმი მაშინ გერმანელების ხელში იყო. დავიძარით სრული სამხედრო წესით – მივყვებით მდინარეს ორივე მხარეს. ადვილად მივაღწიეთ ნალჩიკს, გავიარეთ ნოვოგიორგიევსკი, პიატიგორსკი...

პიატიგორსკში შემემთხვა ასეთი ამბავი: ჩვენი შესვლა იყო იქ და შემატყობინეს – გერმანელთა სამხედრო-საველე სასამართლო კინოთეატრის შენობაში ასამართლებს ტყვე საბჭოთა ოფიცრებს, რომლებიც ქართველები არიანო. მაშინვე გავეშურე იქით. შევედი და მესმის:

– „ფერურტტაილე ცუმ ტოდე!" (ე. ი. სიკვდილით დაისაჯოს).

ამ თეატრის სცენაზე ზის სამი გერმანელი პოლკოვნიკი და ასამართლებენ 9 ოფიცერს, ცხრავე ქართველს! რომ გამოაცხადეს განაჩენი, ერთი ქართველი ნაიქცა, ეტყობა კი იცოდა იმდენი გერმანული. მე მივედი, მეორე აყენებს ფეხზე. წაქცეულის გვარი აღმოჩნდა გაჩეჩილაძე, შავთმიანი ბიჭი იყო. ახლა მე შემრცხვა – რაღა მაინცდამაინც ამ ქართველებს ასამართლებენ. ამასობაში, ის პოლკოვნიკი, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეობდა, უეცრად წამოდგა და მოვიდა ჩემთან.

„ენტშულდიგენ ზი ბიტტე!" – ბოდიში მომიხადა. თურმე ეს არის ლატვიელი გერმანელი, რომელსაც მე რიგიდან ვახსოვარ.

ახლა მე მივმართავ მას ლატვიურად:

– „მე მილიტერბერატერი ვარ, ოკვ-ს წევრი და გადმომეცით ეს პატიმრები თავიანთი საქმეებიანად-მეთქი".

– „ესენი მზვერავებად იყვნენ აქ შემოგზავნილიო – მიპასუხა, მაგრამ საბოლოოდ დამთანხმდა. დაბრუნეს ისინი ციხეში. კარგად ეპყრობოდნენ, ე. ი. ისინი უკვე მე დამანერეს" [მაღლაკელიძე 1994: 188].

ხსენებულმა ქართველებმა პიატიგორსკი მაღლაკელიძესთან ერთად დატოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანულმა არმიამ კავკასიის ტერიტორია დატოვა, გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ქართული სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბების პროცესი კვლავ გაგრძელდა.

1943 წლისათვის გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფ ქართველთა საერთო რაოდენობამ 35 ათასს მიაღწია [მაღლაკელიძე 1994: 191].

II მსოფლიო ომის პერიოდში, გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი „ქართული ლეგიონის" ერთი ასეული ლატვიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებს ვხვდებით იმდროინდელ ქართულ ემიგრანტულ პრესაში.

1942 წლის ივნისიდან – 1945 წლის მარტის ჩათვლით ბერლინში ქართულ ენაზე გამოდიოდა გაზეთი „საქართველო". ის წარმოადგენდა ჯერ „ქართული ლეგიონის", ხოლო 1944 წლის 31 ივლისიდან – „ქართველ მოხალისეთა" ყოველკვირეულ გაზეთს. მისი მთავარი რედაქტორი იყო ვერმახტის ოფიცერი გაიოზ შალვას ძე მაღლაკელიძე (1920-1989), რომელიც რიგაში გაიზარდა და ლატვიურ ენას სრულყოფილად ფლობდა.

1944 წლის 18 სექტემბერს, „საქართველოში" გამოქვეყნდა იმავე გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის – მოხალისე კ. დ-ძის სტატია „ჩვენი ასეული ლატვიაში". მას სრული სახით ვურთავთ წინამდებარე ნაშრომს (იხ.: დანართი № 5).

წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი ასეული დიდი ხნის განმავლობაში ლატვიაში იყო დაბანაკებული. ამ პატარა ქვეყანაში ცხოვრება, რომელიც მრავალმხრივ ჩვენს სამშობლოს მოგვაგონებს, მეტ ხალისსა და ენერგიას გვმატებდა. ჩვენი მებრძოლები იშვიათი თანაგრძნობითა და პატივისცემით იყვნენ გარემოცული ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ლატვიელი გლეხები ჩვენ, ისევე როგორც გერმანელ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით კარგად გვექცეოდნენ. მათ უკვე გამოსცადეს რუს ბოლშევიკთა ბატონობის საშინელება, ხელშესახებად იგრძნეს, რას ნიშნავს ბოლშევიკური მონობის უღელი, ტერორი და გადასახლება. ისინი ჩვენ გვიყურებდნენ, როგორც მხსნელებს, რომლებიც ვიცავთ მათ სამშობლოს მოზღვავებული მტრის ურდოებისაგან.

ლატვიაში კარგად იცნობენ საქართველოს, იციან ჩვენი წარსული, მოსწონთ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის გმირული ისტორია, მისი ბრძოლები ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ...

რა შეიძლება აკავშირებდეს ლატვიასა და საქართველოს? ცხადია, პირველ რიგში მებრძოლი სულის ერთიანობა რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელმაც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ფეხქვეშ გასთელა საქართველოს თავისუფლება და თავისი სისხლიანი ხელით ლატვიასაც გადასწვდა" [„საქართველო" 1944, № 37].

ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარის, აკადემიკოს იანის სტრადინშის ცნობით, II მსოფლიო ომის პერიოდში, მან იურმალაში ნახა ქართველი ლეგიონერები, რომლებსაც მარჯვენა მკლავზე ჰქონდათ სიმბოლო ქართული სამფეროვანი დროშის გამოსახულებითა და წარწერით: „Georgien".

გ. მაღლაკელიძის ინიციატივით, ბავარიის სოფელ რუპოლდინგში, საგანგებოდ ქართველი მოხალისეებისათვის შეიქმნა სამხედრო-სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელსაც მისი მეუღლე, ბალტიისპირელი გერმანელი გრეტა მაღლაკელიძე ხელმძღვანელობდა. ომში დაჭრილ და დახეიბრებულ ქართველთა გამოჯანსაღებაში ამ ცენტრმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა [„საქართველო" 1945, № 2].

საგულისხმოა, რომ II მსოფლიო ომისა და მის მომდევნო პერიოდში გერმანიაში არაერთი ქართულ-ბალტიური ოჯახი შეიქმნა.

გ. გაბლიანი თავის მოგონებებში წერს: „გრეტამ გვითხრა, სამმა გერმანელმა გოგონამ ბალტიისპირეთიდან, ახლო მეგობრებმა, გადაწყვიტეს მხოლოდ ქართველ კაცებს გაჰყოლოდნენ ცოლადო...

ქართველ კაცებზე გათხოვილი ბალტიისპირელი ახალგაზრდა გოგონების „კლუბს“ მეოთხე „წევრიც“ მიემატა. ეს იყო ილზე ბარათელი, რომელიც ჩემს კარგ მეგობარს, სანდრო ბარათელს გაჰყვა ცოლად მიუნხენში, ომის შემდეგ. ისინი ემიგრაციაში წავიდნენ ნიუ-იორკში და მრავალი წლის მანძილზე სანდრო იყო აშშ-ში ქართველთა კოლონიის ერთ-ერთი პოპულარული, პატიოსანი და შრომისმოყვარე პრეზიდენტი. იგი თავისი ხალხისათვის თავგადადებული პიროვნება იყო და, ამავე დროს, წარმატებული ბიზნესმენიც გახდა. საბედნიეროდ, მას მხარში ედგა მოყვარული, მშვიდი და ნიჭიერი ცოლი ილზე, რომელიც ასევე ჩვენი მეგობარი გახდა... ჩემი პიროვნული გამოცდილება დაკავშირებულია ოთხ ბალტიურ-გერმანულ-ქართულ ქორწინებასთან, რაც ხშირად მანცვიფრებდა: „ნუთუ შესაძლებელია, რომ ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს ერთმანეთისადმი განსაკუთრებული ლტოლვა ჰქონდეს“? [გაბლიანი 2000: 25].

ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე მებრძოლი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიოდნენ შენაერთები, რომლებსაც ქართველი გენერლები და ოფიცრები მეთაურობდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ მათ არჩევანის თავისუფლება არ გააჩნდათ. ისინი ემსახურებოდნენ სსრ კავშირს, რომლის შემადგენლობაში საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლიდან ოკუპირებული მათი სამშობლო – საქართველოც აღმოჩნდა. ქართველთა ეს ნაწილი აღიზარდა და პიროვნებად ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, რომელიც მათ შთააგონებდა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა ამ ქვეყნის მოქალაქეთა უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. ამიტომ, ისინი თავდადებით იბრძოდნენ იმ ქვეყნისათვის, რომლის მოქალაქენიც იყვნენ. აქედან გამომდინარე, დღევანდელი გადასახედიდან მათი გაკიცხვა გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ბალტიისპირეთში მებრძოლ ქართველ საბჭოთა გენერლებსა და ოფიცრებს შორის იყვნენ: II გვარდიული არმიის სარდალი, სსრკ-ის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი პორფილე ჩანჩიბაძე (1901-1950); ვიცე-ადმირალი გიორგი აბაშვილი (1910-1982), რომელიც 1955-1961 წლებში ბალტიის ფლოტის სარდლის პირველ მოადგილედ მსახურობდა; გენერალ-მაიორი პანტელეიმონ შიოშვილი (1906-2001); ავიაციის გენერალ-მაიორი ლავრენტი გოლიაძე (1909-1973); 406-ე მძიმე ბომბდამშენი საავიაციო პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ბ. ზუმბულიძე; პოლკოვნიკები: ა. ბარბაქაძე, ა. ჯაფარიძე და ი. ძამაშვილი; მსროლელი ბატალიონის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ა. შიშინაშვილი; საავიაციო რგოლის მეთაური, გვარდიის ლეიტენანტი კ. მებაღიშვილი და სხვები [საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1980: 188-189].

ომის პერიოდში ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე გაჩაღებულ პარტიზანულ მოძრაობაში ქართველებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა გიორგი დვალაძე (მეტსახელად – „ჟორჟი“). იგი სსრკ-გერმანიის ომის დაწყებამდე მსახურობდა ლიტვის სსრ-ში, კედაინიასის მახლობლად, გაიჟიუნასში დისლოცირებული საბჭოთა საარტილერიო ბატარეის მეთაურის მოადგილედ, ლეიტენანტის წოდებით.

ბალტიისპირეთში შეჭრილ გერმანიის არმიასთან ბრძოლისას გ. დვალაძე დაიჭრა, თუმცა ტყვედ არ ჩაბარდა. ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, იგი დაუკავშირდა კაუნასთან მოქმედ პარტიზანთა ჯგუფს, რომელსაც იუოზას ვიტასი მეთაურობდა. მათ ერთად ჩამოაყალიბეს რაზმი „სამშობლოსათვის“, რომელსაც სათავეში ქართველი ოფიცერი ჩაუდგა. კარალგირის ტყეში დაბანაკებულ ამ რაზმს იარაღითა და ცოცხალი ძალით ამარაგებდა კაუნასის წინააღმდეგობის ცენტრი [Dvaladze 1965: 5-6].

1945 წლის გაზაფხულზე ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე მებრძოლი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იმყოფებოდა ზემოხსენებული შ. ხიდაშელი, რომელმაც თავის მემუარებში იმდროინდელ ლატვიაში არსებული ვითარების საყურადღებო აღწერილობა შემოგვინახა.

შ. ხიდაშელი იგონებდა, რომ ის სამხედრო შენაერთი, რომელშიც თვითონ ოფიცრად მსახურობდა, განლაგებული იყო „კურლანდიაში, ფრონტის ერთ-ერთ უბანზე, გერმანელების მიტოვებული უზარმაზარი ტერიტორიის ერთ-ერთ „კუნძულზე", რომელიც ისეა გამაგრებული, რომ აგერ ბრძოლა ბერლინის მისადგომებთან წარმოებს და აქ კი გერმანული დივიზიები თუ არმიები ურყევად დგანან... შენაერთი ამ „კუნძულის" ლიკვიდირებისათვის ემზადება...

კურლანდია – პატარა მთა-გორაკებით დასერილი ადგილია. ამანაც შეუწყო ხელი მის გამაგრებას. დივიზიის სათვალთვალო პუნქტი მოთავსებულია ტყით დაფარული ბორცვის თავზე, ყოფილი ბეღლის გულმოდგინედ ნაგებ შენობაში, საიდანაც გერმანელების განლაგებანი ხელის გულივით მოჩანს... კურლანდიის წინააღმდეგ ბრძოლების წარმოება მხოლოდ ჩვენ არმიას არ აქვს დავალებული, მაგრამ წინასწარი ტაქტიკური მზადება ჩვენთან მიმდინარეობს. პოლიგონიც (ველზე მოთავსებული რელიეფური რუკა მომავალი ბრძოლებისა) ჩვენთანაა, მკაცრად დაცული და გასაიდუმლოებული. სამხედრო მეცადინეობა და ვარჯიშიც აქ ნარმოებს, ფრონტის სარდლის, მარშალ გოვოროვის ხელმძღვანელობით...

8 მაისს ფრონტის შტაბში დანიშნული იყო უკანასკნელი სამხედრო თათბირი კურლანდიაზე შეტევის დაწყების და განხორციელების მიზნით. შტაბი მეიჟიკიაში (ლიტვაში) იდგა და ჩვენგან დაშორებული იყო 120 კილომეტრით...

დაახლოებით დილის 3-4 საათზე, რადიორეპროდუქტორის ხმა გაისმა, ხმა, რომელსაც მთელი კაცობრიობა ელოდა მრავალი წლის მანძილზე... დასრულდა ოთხი წელი, გაუთავებელი, საოცრად გახანგრძლივებული და დაუბოლოებელი...

ეს იყო მკვდრეთით აღდგომის სილუეტი ჩვენი ფრონტის ჯარების უმრავლესობისათვის, ჩვენი ფრონტის, რომელიც ხვალ დიდ, სისხლისმღვრელ შეტევას დაიწყებდა, ეს ხმა რომ არ ახმაურებულიყო რადიორეპროდუქტორში.

საოცარია გერმანული ორგანიზებულობა. კურლანდიის გერმანულმა სარდლობამ მაშინვე იარაღი დაჰყარა და დაიწყო იარაღის ჩაბარება. ველზე დგანან გაწმენდილი ტანკები და ქვემეხები, ერთ სწორ ხაზზე, თანაბარი მანძილით ერთმანეთს შორის; ყველას ლულა ზევით აქვთ ანეული, ერთნაირ გრადუსზე და ერთნაირი კუთხით. გვერდიდან რომ შეხედო – ერთი ტანკი გეგონება. ასევე გაწმენდილია და დალაგებული მთელი საომარი ტექნიკა, ავტომატები, „სტერეოტრუბები", ბინოკლები და სხვ...

მივედი დივიზიის შტაბში. იქ დატყვევებული გერმანელი გენერალი ზის და დივიზიის სარდლობას ესაუბრება. გერმანელი გენერლის თარჯიმანი წარმოშობით ესტონელია, რომელიც მობილიზაციამდე არქიტექტორი ყოფილა, მაღალი, პირხმელი კაცი...

დაიწყო დეზერტირობა ბალტიისპირეთიდან გაწვეული ჯარისკაცებისა და ტყეში გასვლა ადგილობრივი მოსახლეობისა, რომლებიც „ჯერ კიდევ არ იყვნენ განთავისუფლებულნი ბურჟუაზიული მთავრობისა და კერძოდ ულმანისის გავლენისაგან". მაგრამ მათი დატყვევება არ გაძნელებულა. ამ მიზნით ჩატარებულ ოპერაციას „проческа" ეწოდება. ეს სიტყვა ერთსა და იმავე დროს დაჩხრეკასაც ნიშნავს, ჩხრეკით გაწმენდას და დავარცხნასაც, ხოლო ამ სიტყვით აღნიშნული სამხედრო ოპერაცია ორივე შინაარსს მოიცავს.

ტყეს, მთელი ნაპირის გასწვრივ, თუნდაც ის ათეულ და ასეულ კილომეტრზე გრძელდებოდეს, ეკვრის ავტომატებით შეიარაღებული, ერთმანეთისაგან 1-2 მეტრით დაცილებული ჯარისკაცებისაგან შემდგარი ჯაჭვი, რომელიც ნელი ნაბიჯით გაივლის ტყეს. ამგვარი წესით გავლილ ჯაჭვს ვერავინ გამოეპარება!..

ქ. რიგის რკინიგზის სადგური გაჭედილია ბრეზენტგადაფარებული „სტუდებეკერებით". ბრეზენტი წვიმისაგან ფარავს სამხედრო ნადავლს და ადამიანის თვალისაგანაც. მანქანები დატვირთულია, რა თქმა უნდა, არა პერანგებით და გერმანელი ჯარისკაცების მუნდირებით, რის გამოც მე ჩემს ჯარისკაცებს ვუყვიროდი და შენიშვნას ვაძლევდი; დატვირთულია ძვირფასი ავეჯით, ფარდაგებით, კედლის საათებით, ფაიფურის ჭურჭლით, რომლის მსგავსიც ნადავლის მფლობელებს თავის სიცოცხლეში თვალით არ უნახავთ. ნადავლის მფლობელებიც რიგითი ჯარისკაცები არ არიან, არამედ მაღალი რანგის მეთაურები, გენერლები, სარდლები" [ხიდაშელი 1994: 273-280].

შ. ხიდაშელის მემუარებიდან ნათლად ჩანს, რომ ის, როგორც ქართველი პატრიოტი, თანაგრძნობით ეკიდებოდა ლატვიელებს და არც მათთან კონტაქტს ერიდებოდა.

მოგონებებში ვკითხულობთ: „ჩვენ ვცხოვრობთ ორსართულიან პატარა კოტეჯში, რომელიც ეკუთვნის ყოფილ მრენველს, დაპატიმრებულს და ამჟამად კვალგამქრალს. კოტეჯი, ჩანს, სააგარაკო ნაგებობას წარმოადგენდა, სადაც ოჯახი ზაფხულს ატარებდა. კოტეჯს შედარებით კარგად აქვს შენარჩუნებული გარეგანი თუ შინაგანი იერი, თუმცა ჩვენამდე აქ სხვა სამხედრო პირებიც ცხოვრობდნენ და ყველა რაღაცას აკლებდა – ფარდებს, ჭურჭელს, ავეჯს, ფარდაგებს, თუ პატარა ზომის ახალთახალ „ფორდს", რომელიც თივის დიდ ზვინში იყო დამალული.

რამდენჯერმე კოტეჯის შორიახლო ახალგაზრდა ქალი დავინახე... იდგა, ცალი თვალით იყურებოდა შენობისაკენ... და მიდიოდა.

ერთხელ, ეს ქალი (სახელად რასმა) ქუჩაში შემხვდა და გამოველაპარაკე:

– იმ სახლთან გხედავთ ხშირად, რომელშიც მე ვცხოვრობ.

– ჰოო, სახეზე მორიდებულმა ღიმილმა გადაუარა, – იცით, ის ჩვენი სახლია.

– ახლა სად ცხოვრობთ?

– სადა?! თუ გინდა გაჩვენებთ.

რასმა, დედა, და და უმცროსი ძმა, 7-8 წლის ბიჭი ცხოვრობდნენ ერთი გლეხის შენობაში, რომელიც მკვიდრად ნაგებ საბძელს წარმოადგენდა.

დედა, სოლიდური, სიმპათიური ქალი და მომდევნო და რაღაც მარცვლეულ მცენარეს არჩევდნენ თუ ფშვნეტდნენ. რიგაში, ქარხანასთან ერთად, ყველაფერი ჩამოართვეს, სულ 5 წლის წინ, და ოჯახი ამ სოფლის ერთმა გლეხმა შეიფარა. ღასმა სადღაც მახლობელ ქალაქში (თუ დაბაში), რომელიც 15-ოდე კილომეტრით იყო დაცილებული, მუშაობდა. ესენი სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში ეხმარებოდნენ მასპინძლებს და ასე ირჩენდნენ თავს.

– არ გიძნელდებათ ამ სამუშაოს შესრულება?

– არა, – პასუხს მაძლევს დედა. – იცით, ჩვენ, ულმანისის დროს, რომელიც ჩვენ ქვეყანას მართავდა 1940 წლამდე (გასაბჭოებამდე), ძალიან კარგი წესი გვქონდა, ნამდვილი დემოკრატიული წესი. ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაკლებობას განიცდიდა, მუშა-ხელი არ იყო საკმარისი. ამიტომ, ყოველი მოსწავლე ვალდებული იყო საზაფხულო არდადეგების დროს მეურნეობაში ემუშავა. სწავლის დაწყების დროს სკოლაში არ შეუშვებდნენ, თუ სათანადო მოწმობას არ წარადგენდა. ასე რომ, ამგვარი სამუშაო ჩვენთვის უცხო არაა!

– თქვენ ალბათ აქ საკუთარი მეურნეობაც გექნებოდათ და თქვენი შვილები თქვენთანვე მუშაობდნენ.

– არა, ეს დაუშვებელი იყო კანონით. ჩემი შვილები სხვების მეურნეობაში მუშაობდნენ და აუცილებლად სხვასთან უნდა ემუშავათ.

– ვინ იყო ულმანისი?

– არ ვიცი, მე პოლიტიკოსი არა ვარ და არც ვერევი პოლიტიკაში. ვიცი, რომ მის დროს ჩვენი ხალხი ბევრად, შეუდარებლად უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე... – და ქალმა ეს ფრაზა აღარ დაამთავრა.

– ვიდრე?

– ვიდრე – არ ვიცი. მე რუსული ლაპარაკი მიჭირს, შესაფერისი სიტყვა ვერ მოვძებნე!

ჩემმა მოსაუბრემ ძალიან კარგად შეარჩია სიტყვა და ისიც გასაგები იყო, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვეღარ თქვა უცხო სამხედრო პირთან.

ულმანისი ცოცხალი იყო ლატვიელების მეხსიერებაში და ყველა სიხარულითა და სიამოვნებით იგონებდა მის სახელს, ოღონდ ხმადაბლა და სანდო პირთა შორის" [ხიდაშელი 1994: 275-276].

II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებისა და კაპიტულაციის მომენტში, შ. მაღლაკელიძე რუპოლდინგის ზემოხსენებულ სარეაბილიტაციო ცენტრში იმყოფებოდა. იგი იგონებდა: „ქალაქ ტრაუნშტაინში, ამ რაიონის ცენტრში, მე წარვუდექი ამერიკელ გენერალს, რომელიც გუბერნატორის როლს ასრულებდა, რეგისტრაციაში გასატარებლად – ყველა ოფიცერი ვალდებული იყო, რომ გაევლო რეგისტრაცია... მე გენერალს ვუთხარი, რომ გადმოსული ვარ ფრანგული ზონიდან და ახლა მასთან ვტარდები რეგისტრაციაში. ამ გენერალს ადიუტანტი ლატვიელი ჰყავდა და ძალზე გაუხარდა, რომ ლატვიური ვიცოდი. ძალზე კარგად შემხვდნენ და მეც კარგად ვიყავი რუპოლდინგში" [მაღლაკელიძე 1994: 208].

აქვე დავსძენთ, რომ 1945 წლის ნოემბრამდე შ. მაღლაკელიძემ რუპოლდინგში დაჰყო, რის შემდეგაც იგი, თავისი ვაჟის – გაიოზ მაღლაკელიძის დახმარებით, იტალიაში გადავიდა. აქვე დავსძენთ, რომ შემდგომ პერიოდში შ. მაღლაკელიძე მრჩეველად მსახურობდა ჯერ პაკისტანის მომავალ პრეზიდენტ აიუბ-ხანთან, ხოლო შემდეგ გერმანიის კანცლერ კონრად ადენაუერთან. 1954 წელს იგი დასავლეთ ბერლინში დააპატიმრეს საბჭოთა უშიშროების ოფიცრებმა და სსრკ-ში გადაიყვანეს. ვინაიდან იმხანად სტალინი და ბერია უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ, შ. მაღლაკელიძე დახვრეტას გადაურჩა. ერთხანს ის შინაპატიმრობაში ჰყავდათ, ხოლო შემდეგ მას მუშაობის უფლება დართეს. თბილისში მუშაობდა ადვოკატად, იურისკონსულტად, სადაც 1976 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

ბალტიელი და ქართველი მამულიშვილების გარკვეულმა ნაწილმა ერთად გამოსცადა სსრ კავშირის რეპრესიული რეჟიმის საშინელება.

თავისი შეუპოვრობით ცნობილმა დისიდენტმა ლიზიკო ქავთარაძემ (1905-1988) საბჭოურ ბანაკებში 28 წელი გაატარა, მაგრამ უტეხი სული ბოლომდე შეინარჩუნა. მის მემუარებში ვკითხულობთ: „ნამუსახდილი ქალი ძნელად თუ გამოიხედავს. თავს იკლავს და ხშირად, რაც თითქოს პარადოქსალურია, კახპად იქცევა. ასეთია ერის ბედიც. თუ მოძალადეს არ უმკლავდება, იგი კატასტროფული სისწრაფით იხრწნება. უნდა მოერიო! მორჩა და გათავდა! თუ არადა – „ვაი დამარცხებულს!"

მონობა არის განცდა არა ბატონის ძლიერებისა, არამედ საკუთარი უძლურობისა. ამაშია მონობის ფსიქოლოგიის, საერთოდ მონობის ერთ-ერთი და ძლიერი წა-

ნამძღვართაგანი. მონა იმიტომაც არის მონა, რომ შინაგანად არის პატივაყრილი და მუხლზე დაჩოქილი“ [ქავთარაძე 2008: 389].

ლ. ქავთარაძემ მოგონებებში პატივისცემით მოიხსენია თავისი მეგობარი, ესტონელი პოლიტიკური პატიმარი სანდრა მეენდორფი. ქართველი დისიდენტის შეფასებით, სანდრა იყო „უაღრესად ინტელიგენტი ესტონელი მხატვარი ქალი, რომლის სულიერი სიფაქიზე და სისუფთავე თავისთავად აკეთილშობილებდა ყველას, ვინც მის ატმოსფეროში მოექცეოდა“ [ქავთარაძე 2008: 368].

აღნიშნულ პერიოდში ქართულ-ბალტიური ოჯახებიც იქმნებოდა. მაგალითად, საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებულთა შორის იყვნენ მირიან აბულაძე და მისი ლიტველი მეუღლე გენია აუგაიტიტე-აბულაძისა.

გამოჩენილმა მწერალმა, არაერთი საპატიო პრემიის ლაურეატმა და ჯილდოს კავალერმა – ჭაბუა (მზეჭაბუკ) ამირეჯიბმა (დაბადებულმა 1921 წელს) საბჭოურ საპატიმროებსა და გაქცევებში 16 წელი გაატარა. იგი პირველად 1943 წელს დააპატიმრეს, როგორც წევრი არალეგალური ორგანიზაციისა „თეთრი გიორგი“. ჩვენთან საუბრისას მან აღნიშნა: „ჩემი ცხოვრების მანძილზე და, განსაკუთრებით, პატიმრობის პერიოდში ბევრ ბალტიისპირელს შევხვედრივარ. არაერთ მათგანთან ვმეგობრობდი. ისინი გამოირჩეოდნენ პატრიოტული შემართებით, მებრძოლი სულისკვეთებით, მეგობრებისადმი ერთგულებითა და თავდადებით“.

ამრიგად, ქართულ-ბალტიური ურთიერთობები II მსოფლიო ომის პერიოდშიც არსებობდა. იმხანად, ქართველ სამხედრო პირთა გარკვეული რაოდენობა (რამდენიმე ათასი ადამიანი) იბრძოდა ბალტიის ქვეყნების: ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ტერიტორიაზე. მათი ერთი ნაწილი ირიცხებოდა სსრ კავშირის არმიაში, ხოლო მეორე ნაწილი – გერმანიის შეიარაღებულ ძალებში.

ფრონტის ორივე მხარეს მებრძოლ ქართველთა პროგრესული ნაწილი თანაგრძნობით ეკიდებოდა ადგილობრივ, თავისუფლებისმოყვარე ბალტიელ მოსახლეობას, რომელიც, ისევე როგორც თავის დროზე (1921 წ.) ქართველი ხალხი, ოკუპაციის მსხვერპლი გახდა. ქართველი და ბალტიელი მამულიშვილების გარკვეულმა ნაწილმა ერთად გამოსცადა სსრ კავშირის რეპრესიული რეჟიმის საშინელება [ჯავახიშვილი 2011, № 1: 257-283].

5. ქართულ-ლატვიური ურთიერთობა (1945-2010 წწ.)

II მსოფლიო ომისა და მის მომდევნო პერიოდში საქართველოს ლატვიელთა ახალი ნაკადი ეწვია. მათ უმეტესობას წარმოადგენდნენ ქალები, რომლებმაც ომის მძიმე წლები თავიანთ ქართველ ქმრებთან განვლეს. მათ შორის იყვნენ ალევტინა იანის ასული კრუზმან-ბერუაშვილი, აუსტრა კარლის ასული ტაურინა-მელიქიშვილი, ვილჰელმინა კარლის ასული ვილცინია-ქორიძე და სხვები [ჩიქოვანი 2008: 270-272].

ლატვიაში დამყარებული საბჭოური რეჟიმის პირობებში მრავალი ლატვიელი იძულებული გახდა, რომ სამშობლო დროებით დაეტოვებინა. ზოგიერთმა მათგანმა თავი შეაფარა საქართველოს, სადაც გარკვეული ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და საქმიანობდა.

საქართველოში მცხოვრებ ლატვიელთა საერთო რაოდენობა შეადგენდა: 1959 წელს – 606-ს, 1970 წელს – 828-ს, 1979 წელს – 601-ს, ხოლო 1989 წელს – 530-ს [თოთაძე 2009: 214].

პროფესორი ვახტანგ პარკაძე იგონებდა: „1951 წელს თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანატის კარი ახალგაზრდა ქერა კაცმა შემოაღო და ერთობ გაჭირვებული რუსულით გამომელაპარაკა. გამოირკვა, რომ იგი იყო რიგის სამხატვრო აკადემიის V კურსის სტუდენტი, რომელიც ჩემთვის გაურკვეველი მიზეზებით სამშობლოს გაეცალა. მთხოვა დავხმარებოდი სამუშაოს შოვნაში. მე გამოსაცდელად ჩემი მშობლების სურათების ფერადად გადიდება შევთავაზე. გარკვეული ავანსის მიღების შემდეგ, ვადა ორი კვირა ითხოვა და წავიდა. როცა გამზადებული პროდუქცია მოიტანა, მომეწონა და ამის შემდეგ, რეკომენდაცია გაუწიე უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიკოს ნიკო კეცხოველთან.

გავიდა კიდევ ერთი კვირა და ქუჩაში შემხვედა ბატონი ვახტანგ ალადაშვილი. მე უცებ ბატონი ალექსანდრე (იგულისხმება აკადემიკოსი ალექსანდრე ალადაშვილი. ნ. ჯ.) გამახსენდა და ის მხატვარი შევთავაზე, რომ დიდი მეცნიერისა და მოქალაქის სურათი დაეხატა. ბატონმა ვახტანგმა თანხმობა მითხრა.

მეორე დღესვე, რიგელი მხატვარი ქალაქის II საავადმყოფოში გამოცხადდა ბატონ ვახტანგთან. ერთი კვირის შემდეგ, მან ბატონი ალექსანდრეს გადიდებული ფერადი სურათი მიიტანა. ეს სურათი დღესაც ამშვენებს ა. ალადაშვილის სახელობის თბილისის II საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებას“ [პარკაძე 1993: 70].

II მსოფლიო ომის დასასრულს, ადვოკატი იოაკიმე ბურჯანაძე (1879-1958) დაბრუნდა რიგაში, სადაც 1951 წლის ივნისამდე ადვოკატურაში მსახურობდა. გარდაიცვალა 1958 წლის 20 აგვისტოს რიგაში [Jēkabsons 2002: 137].

გამოჩენილი ქართველი ქირურგი, აკადემიკოსი, სსრ კავშირის ქირურგთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი იუსტინე ივლიანეს ძე ჯანელიძე (1883-1950) თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დასასვენებლად ხშირად ჩადიოდა ლატვიაში, კერძოდ, იურმალაში.

XX საუკუნის შუა ხანებიდან ქართულ-ლატვიურმა კულტურულმა ურთიერთობამ ინტენსიური ხასიათი შეიძინა.

II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რიგის ისტორიული ნაწილის („ძველი რიგა“) აღდგენაში მონაწილეობდა არქიტექტორი ერნი შარაშიძე, ხოლო რიგის სატელევიზიო ანძა ააგო ახალგაზრდა არქიტექტორმა ნიკურაძემ.

1972 წელს არქიტექტორი ნიკურაძე მიიწვიეს რიგის სატელევიზიო ანძის დასაპროექტებლად. იმხანად, გერმანიაში, ლიტვაში, ესტონეთში და ა. შ. იდგა ერთმანეთის მსგავსი რკინაბეტონის ანძები, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ზედა ნაწილით განსხვავდებოდა. ნიკურაძე გრძნობდა, რომ მას უნდა აეგო ფოლადის ანძა, რათა ის გამოკვეთილად გამოჩენილიყო. თუმცა, იმისათვის, რათა არჩევანი ფართო ყოფილიყო, შეიქმნა ანძის ხუთი პროექტი და სათანადო მაკეტებიც დამზადდა.

აღნიშნულ პროექტში ჩართული იურის გრაპმანისი იგონებდა, რომ რიგის მთავარ არქიტექტორ ასარისთან მასთან ერთად გამოცხადდნენ რესპუბლიკური რადიოს დირექტორი სერგეი ლაზარევსკი და არქიტექტორი ნიკურაძე – შესაბამისი ვერსიებით. მდივანმა სტუმრებს ბოდიში მოუხადა და უთხრა, რომ მთავარი არქიტექტორი მათ მიიღებდა მოგვიანებით, როდესაც მასთან მყოფ უცხოურ დელეგაციას გაისტუმრებდა. დროის გაყვანის მიზნით, სტუმრებმა პროექტების თვალიერება დაიწყეს. აღმოჩნდა, რომ ანძის დასრულებული პროექტი მათ თან არ წამოეღოთ. ამის გამო, ნიკურაძემ იქვე სახელდახელოდ შექმნა ანძის უკანასკნელი სილუეტი.

ასარისი გულდასმით გაეცნო პროექტებს, რომელთა შორის მოიწონა ნიკურაძის მიერ ნაჩქარევად დახატული ესკიზი, ოღონდ მოითხოვა, ანძის ფეხები წარ-

მოდგენილი ყოფილიყო მთელი სიგრძით. ანძის თავდაპირველ ვარიანტს ჰქონდა მკრქალი სილუეტი, მაგრამ მობილური ანტენების განსათავსებლად, გამოსახულება უფრო მასიურად წარმოაჩინეს.

ქართული დრამატურგიის ნიმუშები არაერთხელ დაიდგა ლატვიის თეატრების სცენაზე.

1962 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი მიიწვიეს რიგაში, სადაც ქართველი რეჟისორების, მსახიობების, თეატრალური მხატვრებისა და კომპოზიტორების ხელოვნება დიდი ინტერესით მიიღეს.

1965 წელს რიგის რუსული დრამის თეატრმა თბილისში სპექტაკლები გამართა [საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1980: 990-1053].

ზემოხსენებული პერიოდიდან, ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობამ შესამჩნევად იმატა. 1959 წლისათვის მათმა რიცხვმა 458 ადამიანს მიაღწია. მათ შორის იყვნენ ექიმები, კულტურის მოღვაწენი, ჟურნალისტები, სპორტსმენები, რომლებიც თავიანთ ეთნიკურ სამშობლოსთან საკმაოდ მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ.

ლატვიელი მკვლევრის, ვალტერს შჩერბინსკის შეფასებით, სსრ კავშირის მიერ ლატვიის იძულებით გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგაც, ამ ქვეყანაში დამკვიდრებულ აღმოსავლელ და სამხრეთელ ხალხთა შორის, თავიანთი განათლებით ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ქართველები და სხვა კავკასიელები. მათმა ნაწილმა უმაღლესი განათლება იქვე მიიღო და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბდა. მათმა უმეტესობამ შეძლო, რომ თავიანთი ეროვნული თვითშეგნება და კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტები შეენარჩუნებინა [Ščerbinskis 1998: 87-88].

ლატვიის შამპანიური ღვინოების ქარხნების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს მეღვინეთა გაერთიანება „სამტრესტიდან" ჩასულმა სპეციალისტებმა [„საქართველო-ლატვია: გუშინ, დღეს, ხვალ" 2007].

გამოჩენილი ქართველი ექიმის, ორთოპედისა და ტრავმატოლოგის, პროფესორ არჩილ ნესტორის ძე მაჩაბლის (1905-1960) ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდი ლატვიას, კერძოდ, რიგას უკავშირდება.

ა. მაჩაბელი დაიბადა და აღიზარდა თბილისში, სადაც დაამთავრა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1929). მუშაობდა ორდინატორად იმავე ინსტიტუტის ქირურგიულ კლინიკასა და ქალაქის I დისპანსერში. დაამთავრა მოსკოვის ცენტრალური ონკოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1938). მიენიჭა დოცენტის წოდება (1939).

ომის წლებში მსახურობდა სსრ კავშირის სამხედრო ჰოსპიტლებში ქირურგ-კონსულტანტად, შორეულ აღმოსავლეთში ევაკუირებული ჰოსპიტლების განყოფილების მთავარ ქირურგად (1941-1943), კრასნოდარის მხარის ევაკოჰოსპიტლის მთავარ ქირურგად (1943-1945), ხოლო, ომის დასრულების შემდეგ – მოსკოვის ონკოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1946 წლის 11 იანვარს, ლატვიის სსრ ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის დავალებით, ა. მაჩაბელს დაეკისრა ორგანიზება ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა. ამ ამოცანას ა. მაჩაბელმა თავი წარმატებით გაართვა.

რიგის 3679 ჰოსპიტლის ბაზაზე დაარსდა ლატვიის სსრ ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-კვლე-

ვითი ინსტიტუტი, რომლის პირველ დირექტორად ა. მაჩაბელი დაინიშნა. ამ თანამდებობაზე იგი 9 წლის განმავლობაში – 1955 წლის 25 მარტამდე მოღვაწეობდა.

1949 წელს ა. მაჩაბელმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „Несросшиеся переломы, истинные и ложные суставы и болтающиеся конечности огнестрельного происхождения". ამის შემდეგ, ის აირჩიეს რიგის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორად (1950), ხოლო 1958 წელს – იმავე ინსტიტუტის ტრავმატოლოგიის, ორთოპედიისა და სამხედრო-საველე ქირურგიის კათედრის გამგედ. ამ თანამდებობაზე ის გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა.

1947 წელს მას მიენიჭა ლატვიის დამსახურებული ექიმის წოდება, ხოლო 1949 წელს – რსფსრ დამსახურებული ექიმის წოდება [ულენტი 1971: 388].

ა. მაჩაბლის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა: ტრავმატოლოგია და ორთოპედია, ონკოლოგია, პლასტიკური ქირურგია. ხსენებულ საკითხებზე მან არაერთი საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნა.

არჩილ მაჩაბელმა მნიშვნელოვანი ნვლილი შეიტანა ლატვიის სამედიცინო კადრების აღზრდაში და პროფესიულ დაოსტატებაში. მის აღზრდილთა შორის გამოირჩევა საყოველთაოდ ცნობილი ქირურგი-ტრავმატოლოგი, აკადემიკოსი ვიქტორ კონსტანტინეს ძე კალნბერზი, რომელმაც საკანდიდატო დისერტაცია ა. მაჩაბლის ხელმძღვანელობით დაიცვა (1958). ა. მაჩაბელმა იგი 1959 წელს ჩაიყვანა საქართველოში და ქართველი კოლეგები გააცნო. არაერთ მათგანთან ვ. კალნბერზი ნლების განმავლობაში ნაყოფიერად თანამშრომლობდა. მათ შორის იყო ცნობილი ქართველი ტრავმატოლოგი, აკადემიკოსი ოთარ ღუდუშაური (1925-1991), რომელმაც ვ. კალნბერზს სადოქტორო დისერტაციის დაცვისას (1968) ოფიციალური ოპონენტობა გაუწია.

აკადემიკოსი ვ. კალნბერზი სათუთად უფრთხილდება თავისი მასწავლებლისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის, ა. მაჩაბლის ნათელ ხსოვნას.

აღსანიშნავია, რომ ლატვიის სამედიცინო საზოგადოება არ ივიწყებს ქართველი ექიმის ღვაწლს და მის ხსოვნას სათანადო პატივს მიაგებს.

1975 წლის 29 იანვარს, ლატვიის ტრავმატოლოგ-ორთოპედთა რესპუბლიკურმა სამეცნიერო საზოგადოებამ და ქირურგთა რესპუბლიკურმა სამეცნიერო საზოგადოებამ საზეიმოდ აღნიშნა ა. მაჩაბლის დაბადების 70 წლისთავი.

აღნიშნული ღონისძიება გაიმართა რიგაში, ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სამედიცინო ინსტიტუტის ტრავმატოლოგიის, ორთოპედიისა და სამხედრო-საველე ქირურგიის კათედრის ბაზაზე.

2000 წლის 7 იანვარს, ლატვიის ტრავმატოლოგ-ორთოპედთა ასოციაციამ, პლასტიკური ქირურგიის ასოციაციამ და რიგის პ. სტრადინის სახელობის უნივერსიტეტის ორთოპედიის კათედრამ საზეიმოდ აღნიშნა ა. მაჩაბლის დაბადების 95 წლისთავი.

ა. მაჩაბლის გულისხმიერება და კეთილშობილება ლატვიაში დღემდე კარგად ახსოვთ. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ლატვიის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, იანის გლეიზდსის (1924-2010) მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ პიროვნებას ახალგაზრდობაში მოკვეთეს ხელის მტევნები (მოყინვის შედეგად დაწყებული განგრენის გამო), მან მოგვიანებით სახელი გაითქვა, როგორც ორიგინალური ხედვის ფოტოხელოვანმა.

ი. გლეიზდსისა და მისი ოჯახის წევრების ცნობით, ყოველივე ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ა. მაჩაბელმა, რომელმაც დიდსულოვნად შეუწყო ხელი

ინვალიდ, მაგრამ ბუნებრივად ნიჭიერ ლატვიელ ახალგაზრდას და მას საკუთარი შვილივით უპატრონა. მან იანისს მუშაობა დააწყებინა თავის ინსტიტუტში და ყოველმხრივ ეხმარებოდა, რათა ცხოვრებაში თავისი ადგილი ეპოვა [ჯავახიშვილი 2010, № 3: 46].

ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გუნტის ულმანისმა ასე შეაფასა გამოჩენილი ფოტოხელოვანის შემოქმედება: „Исскуство Яниса Глейзда насквозь пронизано добротой и любовью к прекрасному... Простота и филигранная техника, покой и красота - эти черты Латвийской культуры выделил Янис Глейзд, кавалер ордена Трех Звезд, лауреат многих международных конкурсов, талантливый художник и цельная личность“ [Gleizds 1998: 15].

XX საუკუნის 50-60-იან წლებში რიგაში, ა. მაჩაბლის ხელმძღვანელობით მოქმედ ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ ქართველი ექიმი-ტრავმატოლოგები – შოთა შალვას ძე ფალავანდიშვილი და გიორგი (გოგი) პატარიძე.

ცნობილია, რომ ღრმად მოხუცებული ი. სტრაუმე (გარდაიცვალა 96 წლის ასაკში) თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ავადმყოფობდა და საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამის გამო, ქართველი კოლეგები მას მატერიალურად სისტემატურად ეხმარებოდნენ.

1963 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორმა დავით ციციშვილმა მხატვართა კავშირის მმართველი საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, რომ საქართველოს წინაშე დამსახურებისათვის ი. სტრაუმესათვის პერსონალური პენსია დაენიშნათ. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კეთილშობილურ წამოწყებას აღსრულება არ ეწერა.

95 წლის ასაკში ი. სტრაუმე მოინახულა საქართველოს დამსახურებულმა მხატვარ-დიზაინერმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, დოცენტმა ეთერ ციციშვილმა. მან ჩაინერა ლატვიელ ხელოვანთან გამართული საუბრის სრული ტექსტი. 1985 წელს მან გამოსცა წიგნი „დიზაინი საქართველოში“, სადაც ორი თავი მიეძღვნა კავკასიის კუსტარულ კომიტეტს და მასში სტრაუმეს მიერ შეტანილ დიდ წვლილს.

სტრაუმეს მხატვრული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი ინახება საქართველოს სახალხო და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში, რომელიც ამჟამად შალვა დადიანის ქუჩაზე (№ 28) მდებარეობს. აქ დაცულია უნიკალური ალბომები კავკასიური ხალიჩების ფერადი ჩანახატებითურთ (500-მდე ესკიზი), რომლებსაც მხატვარი წლების განმავლობაში რუდუნებით აგროვებდა საქართველოს და სომხეთის სოფლებში, ასევე აზერბაიჯანისა და დაღესტნის აულებში. ალბომებში გვხვდება ასევე პირები მინიატურებისა, რომლებიც შემორჩენილი იყო გელათის, ჯრუჭის, ეჩმიაძინისა და სხვა მონასტრებში დაცულ, X-XI საუკუნეებით დათარიღებულ სახარებებში [Айдинов 2009: 47-49].

XX საუკუნის 50-80-იან წლებში, სსრ კავშირის ცალკეულ ქალაქებში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში ერთად სწავლობდნენ ქართველი და ლატვიელი ახალგაზრდები, რომელთაგანაც არაერთი შერეული, ქართულ-ლატვიური ოჯახი შეიქმნა. რამდენიმე ასეთი ოჯახი ცხოვრობს საქართველოში, ხოლო რამდენიმე – ლატვიაში. მათ შორის არის დავით და რეგინა იაკობიძეების ცნობილი ოჯახი, რომელიც თბილისში ცხოვრობს.

ზემოხსენებულ პერიოდში ლატვიურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე ნაწარმოებები, ხოლო ქართულად ითარგმნა ლატვიელ შემოქმედთა – იანის

რაინისის (ნამდვილი გვარი – პლიეკშანსი, 1865-1922), ვილის ლაცისის (1904-1966), ა. უპატისისა და სხვათა თხზულებანი.

ლატვიას მიუძღვნეს ლექსები იოსებ ნონეშვილმა და თამაზ ჭილაძემ, ხოლო ე. კემპემ დაწერა ლექსები საქართველოზე [ჩიქოვანი 2008: 270-272].

იმავე პერიოდში გაღრმავდა ქართულ-ლატვიური სამეცნიერო კავშირები [Tālberga 2002: 10].

საქართველოსთან მჭიდრო კავშირი აქვს გამოჩენილ ლატვიელ მეცნიერს, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარეს (ყოფილ პრეზიდენტს), აკადემიკოს იანის პაულის ძე სტრადინშს. 1952 წელს იგი პირველად ჩამოვიდა საქართველოში, სადაც ნიკოლოზ (ლაშა) სიმონის ძე ჯანაშიას ოჯახში ცხოვრობდა. ის დაუახლოვდა არაერთ ქართველ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, რომელთა ნაწილთან დღემდე თანამშრომლობს. მას დიდი მეგობრობა აკავშირებდა რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორთან, აკადემიკოს ჯონდო ივანეს ძე ჯაფარიძესთან (1933-2008).

აკად. ი. სტრადინშმა შეისწავლა ცნობილი ქართველი მეცნიერის, პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის (1818-1876) მოღვაწეობა ბალტიისპირეთში, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში აღნიშნული რეგიონის გენერალ-გუბერნატორად მსახურობდა [Страдинь 1970: 245-252].

1969 წლის 20-23 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო სესიაში, რომელიც მიეძღვნა პ. ბაგრატიონის დაბადების 150 წლისთავს, სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩამოსულ მეცნიერებთან ერთად, აკად. ი. სტრადინშიც მონაწილეობდა. მან თავის მოხსენებაში ყოველმხრივ დაახასიათა პ. ბაგრატიონის საქმიანობა ბალტიისპირეთში და ყურადღება გაამახვილა მის განსაკუთრებულ წვლილზე რიგის პოლიტექნიკუმის განვითარებაში [Страдинь 1970: 363-364].

2002 წლის 20 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ იანის სტრადინში ერთხმად აირჩია აკადემიის უცხოელ წევრად. ეს მოვლენა ქართველი და ლატვიელი ხალხების მეგობრობის კიდევ ერთ გამოხატულებად იქცა.

ქართველი კოლეგების ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ, აკად. ი. სტრადინშმა თავის მეგობარს, აკად. ჯ. ჯაფარიძეს გამოუგზავნა მადლიერების გამომხატველი წერილი, რომელშიც იგი წერდა: „В эти драматические дни, которые сейчас переживает прекрасная Грузия, хотел бы выразить чувства искренней дружбы стране, народу и академии наук в деле сохранения целостности, независимости и богатого культурного наследия грузинского народа. Уверен, что все мечты сбудутся и трудности переходного времени наконец прекратятся!

Еще раз от души благодарю за оказанную мне (и – я добавил бы – Латвии, нашему научному сообществу!) честь быть избранным сочленом Грузинской академии наук. Об этом написали и в нашей официальной газете „Latvijas Vestnesis" (13 сентября 2002 г.)".

აღნიშნული წერილის ტექსტი წინამდებარე ნაშრომს სრული სახით ერთვის (იხ.: დანართი № 7).

ზოგჯერ, სსრკ-ის ხელისუფლება ლატვიელებს საქართველოში იძულებითაც კი ასახლებდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ისტორია არნოლდ იურის ძე ზიბერგისა (1926-1995), რომელიც ლატვიის ქალაქ კანდავაში დაიბადა და აღიზარდა. იგი 1944 წელს გაიწვიეს ლატვიურ ლეგიონში, რომელიც II მსოფლიო ომში გერმანული

არმიის მხარდამხარ იბრძოდა. მსახურობდა ამ ლეგიონის სამშენებლო ნაწილში. 1945 წელს საბჭოთა უშიშროებამ ის დააპატიმრა და ბრესტის საფილტრაციო ბანაკში გაგზავნა. ამის შემდეგ, იგი გადაასახლეს მაგადანში, სადაც მან 9 წელი-ნადს დაჰყო. 1954 წელს გაათავისუფლეს და საცხოვრებლად გამოგზავნეს თბილი-სში, სადაც ის დაქორწინდა ელენე ბიაშვილზე და შეეძინა ვაჟი – ედვინ ზიბერგსი (1955-2001).

საქართველოში ცხოვრების საწყის ეტაპზე, ა. ზიბერგსი, საბჭოთა უშიშროე-ბის თანამშრომელთა მხრიდან, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ამის გამო, ე. ბიაშვილმა სსრკ-ის იმდროინდელ მესვეურს – ნიკიტა ხრუშჩოვს მიმართა თხოვნით, რომ შეეწყვიტათ მისი მეუღლის დევნა-შევიწროება, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო.

ა. ზიბერგსი მუშაობდა თბილისში არსებული „ცენტროლიტის" ქარხნის დი-რექტორის მოადგილედ სამეურნეო დარგში. იმავე ქარხანაში ინჟინრად მუშაობდა მისი ვაჟი ედვინიც, რომელმაც ცოლად შეირთო ასევე ქართველი ქალი – მარინე ნასარიძე და შეეძინა ვაჟი – ედვინი (დაბადებული 1981 წელს, თბილისში).

საგულისხმოა, რომ ა. ზიბერგსის ლატვიაში დარჩენილმა უახლოესმა ნათესა-ვებმა არც კი იცოდნენ მისი ადგილსამყოფელი.

პაპისა და მამის გარდაცვალების შემდეგ (ორივე მათგანი დაკრძალულია თბილისში), ედვინ ედვინის ძე ზიბერგსი, თავის დედასთან ერთად, დაბრუნდა წი-ნაპრების სამშობლოში და ლატვიის მოქალაქეობა მიიღო. ამჟამად ის ცხოვრობს სტოკჰოლმში, სადაც მუსიკის სფეროში მოღვაწეობს. კერძოდ, იგი არის თავისუ-ფალი მუსიკოსი, გიტარისტი და ჯაზ-ფესტივალებში მონაწილეობს.

ცნობილია, რომ სსრ კავშირში თანამიმდევრულად გატარებულ რუსიფიკაცი-ის პოლიტიკას, რაც შედარებით შესამჩნევი გახდა 60-70–იანი წლებიდან, ყველაზე მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველები და ბალტიელი ხალხები. მათ შორის ჩამოყალიბდა ერთგვარი შინაგანი სოლიდარობის გრძნობა, რომელიც საკმაოდ ხშირად ვლინდებოდა.

1975 წელს მოსკოვში მომხდარ ქართულ-ბალტიური სოლიდარობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტს აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ასე იგონებდა: „60-იანი წლებიდან დაიწყო თითქოს ტაქტიანი, მაგრამ გეგმაზომიერი ბრძოლა ეროვნული ისტორიებისა და ეროვნული ენების წინააღმდეგ. შემუშავდა თვალსაზრისი: სსრკ ერთი სახელმწიფოა და მისი ისტორია შერწყმულად უნდა იყოს წარმოდგენილი, ე. ი. იყოს ერთი „История СССР" და მასში იყოს შესული ყველა რესპუბლიკის ისტორია. ისეთი ნიგნები არსებობდა (მაგალითად, ოთხტომიანი, პანკრატოვას რედაქციით), რომელშიც საქართველოს ისტორიას სულ 15-მდე გვერდი ჰქონდა დათმობილი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხოლოდ ასეთი „შერწყმული" ისტორია უნდოდათ ესწავლებინათ და ზედმეტად თვლიდნენ ცალკე ეროვნული ისტორიების სწავლებას.

დაინიშნა მოსკოვში საკავშირო და რუსეთის განათლების სამინისტროების სხდომა, სადაც მიიწვიეს ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენლები... განათლების მინისტრმა, ქალბატონმა თამარ ლაშქარაშვილმა მთხოვა, რომ სხვებთან ერთად მეც ნავსულიყავი მოსკოვის თათბირზე.

ეროვნული ისტორიის პოზიციას ვიცავდით სომხები, ჩვენ და ბალტიისპირე-ლები. დანარჩენი ყველა ჩვენი წინააღმდეგი იყო. ერთი დებულება, რომ ამ ხალხე-ბის ისტორია სხვადასხვა დროს იწყება, როგორ ვასწავლოთ შერწყმულად, – დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

ბელორუსიის განათლების მინისტრმა ბრძანა, რომ „მათ არავისთან და საკუთრივ რუსეთთან გასაყოფი არაფერი აქვთ", ხოლო ჩემ რეპლიკაზე – „თქვენი საქმე თქვენ იცით", გაბრაზებულმა ბრძანა, რომ „ქართველებს და სომხებს თავიანთი თავი და ისტორია დიდი რაღაცა ჰგონიათ და ეს უნდა ამოიძირკვოსო".

კამათი გამწვავდა...

სიტყვა ითხოვა ლატვიის განათლების მინისტრმა და განაცხადა: „მე სახელმწიფო მოხელე ვარ, გავატარებ იმას, რასაც აქ დაადგენთ, მაგრამ თუ სკოლებში ამოვიღებთ ეროვნული ისტორიის კურსს, ორი დღის შემდეგ რიგაში გაჩნდება იატაკქვეშა სკოლები საკუთარი ისტორიის შესასწავლად".

სიტუაცია დაიძაბა. ჩამოვარდა სიჩუმე. თავმჯდომარემ (რუსეთის განათლების მინისტრი) შესვენება გამოაცხადა, ხოლო შესვენების შემდეგ ბრძანა, რომ თათბირი ამჟამად დამთავრებულია და გადაწყვეტილებას ადგილზე შეგატყობინებთო...

შემდეგი სხდომა, რამდენიმე თვის შემდეგ, რეგიონული პრინციპით მოიწვიეს, ამიერკავკასია – ცალკე, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ და ბალტიისპირელები საერთო ფრონტით არ გამოვსულიყავით...

საქართველოს ისტორია (და ასევე ყველა რესპუბლიკის, ვისაც ეს სურდა), როგორც დამოუკიდებელი საგანი, ვერ ამოიღეს საშუალო სკოლის პროგრამიდან, კომუნისტური რეჟიმის პირობებში" [ლორთქიფანიძე 2007: 29-31].

ლატვიური ლიტერატურისა და კულტურის მგზნებარე პოპულარიზატორი იყო პროფესორი უშანგი სახლთხუციშვილი (1939-2005), რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებში რიგის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა. იგი ხშირად ჩადიოდა ლატვიაში, სადაც მას მრავალი მეგობარი ჰყავდა. მან კარგად შეისწავლა ლატვიური ენა და სხვადასხვა დროს ქართულად თარგმნა და გამოსცა ლატვიელი მწერლების: ზიგმუნდ სკუინშის, ჟანის გრივის, ვიზმა ბელშევიცას, ანდრი იაკუბანისა და ალბერტ ბელის თხზულებები.

1990 წელს მან გამოსცა ლატვიელ მწერალთა კრებული „ქარვის ზღვასთან", რომელშიც შევიდა: ე. ვილკსის, ჟ. გრივის, ა. იაკუბანსის, ე. ლუკიანსკისის, ე. კულისის, ა. სკაილისის, ვ. კაიაკსის, ვ. ლაციისის და ტ. ვაიდარსის ნანარმოებები. მანვე შეადგინა „ლატვიურ-ქართული სასაუბრო", რომელიც განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველი სტუდენტებისათვის, რომლებიც ლატვიური ენის შესწავლას აპირებენ.

უ. სახლთხუციშვილი, როგორც ტოპონიმიკის მკვლევარი, ხშირად მონაწილეობდა როგორც საქართველოში, ასევე ლატვიაში მოწყობილ ტოპონიმიკურ ექსპედიციებში. ამასთან დაკავშირებით იგი იგონებდა: „ჩვენი კოლეგა ლატვიელები საფუძვლიანად უდგებიან ამ საქმეს. ისინი მთელი ხუთი წლის მანძილზე ერთსა და იმავე სოფლებში დადიან, მოსახლეობას აცნობენ, უხსნიან, თუ რისთვის არიან ჩამოსულები, რა მიზანი აქვს ტოპონიმიკური თუ სხვა მასალის ჩაწერას.

ერთ-ერთ ასეთ ექსპედიციაში თავადაც მივიღე მონაწილეობა. ეს იყო 1982 წელს. სოფელ ნიტაურეში კომპლექსურად იწერდნენ ონომასტიკურ, ეთნოგრაფიულ მასალასა და დიალექტურ ლექსიკას... ამ ექსპედიციის ერთ-ერთ მონაკვეთზე დაწვრილებით გესაუბრებით... ვიმყოფებოდით სოფელ ნიტაურეში, რიგიდან ასე ასიოდე კილომეტრის დაშორებით... ამ სოფელს 1965 წლიდან ვიცნობ.

ლატვიური კარგად რომ შეგვესწავლა, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას რჩევით, ლატვიური ენის კათედრის წევრებმა ერთ-ერთ ყველაზე წმინდა ლატვიურ სოფელში ჩაგვიყვანეს, სადაც ერთი თვე დავყავით და, სიმართლე გითხრათ, აქ

მართლაც ავლაპარაკდით ლატვიურად. ეს სოფელი გახლდათ ნიტაურე, სადაც 17 წლის შემდეგ დიალექტოლოგიურ ექსპედიციაშიც მივიღე მონაწილეობა.

ნეტავი გენახათ, რა მონდომებით, რა ხალისით აწერინებდნენ ყველაფერს ნიტაურელები, საიდან, რომელი ხუტორიდან აღარ მოდიოდნენ.

ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი სახელგანთქმული მჭედელი, რომლისაგანაც უნდა ჩაეწერათ მჭედლობა-ნალბანდობასთან დაკავშირებული ლექსიკა... შეუდგა მჭედელი საქმიანობას, მოიმარჯვა იარაღები და გაახურა ქურა. ჩვენს თვალწინ დაამზადა ნალები და დაჭედვას შეუდგა. კარგა დრო მოანდომა. ყველაფერს დაწვრილებით ვიწერდით: იარაღის სახელებს, ყოველი პროცედურის სიტყვა-ტერმინს. და მოხდა საოცრება! ამ ერთი კაცისაგან იმ დღეს 90-ზე მეტი ისეთი სიტყვა გაიგონეს ლატვიელმა პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, რასაც არ იცნობდა არც ლატვიური ენის განმარტებითი ლექსიკონი და არც ლატვიური დიალექტების ლექსიკონები...

მაშინდელი მთქმელი-ინფორმატორები დღეს ცოცხლები აღარ არიან. მაშინ მართლაც საშვილიშვილო საქმე გააკეთეს, რამდენიმე ასეული სიტყვა შემოუნახეს მომავალ თაობებს... ვცდილობ, ლატვიელთა ეს გამოცდილება შეძლებისდაგვარად გამოვიყენო" [სახლთხუციშვილი 1997: 8-9].

უ. სახლთხუციშვილი სავსებით მართებულად შენიშნავდა, რომ ისტორიული ტოპონიმების დაცვისა და აღდგენის თვალსაზრისით ლატვიას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საქართველო, რომელიც საბჭოთა რუსეთმა ბალტიის ქვეყნებზე 20 წლით ადრე დაიპყრო. იგი წერდა: „ლატვიელებმა 20-30-იან წლებში დეტალურად აღწერეს რესპუბლიკის ტერიტორია და ახლა ამა თუ იმ ობიექტს ტოპონიმისტების გარეშე ვერავინ შეუცვლის სახელწოდებას!...

იმ დროს, როცა ლატვიელები მისხალ-მისხალ კრებდნენ ეროვნულ საუნჯეს – ტოპონიმიას, ჩვენთან აშკარა და სასტიკი ომი გამოუცხადეს ერის წარსულს, მის კულტურას, ისტორიას, ლიტერატურას, რელიგიას, თავადაზნაურობას, სამღვდელოებას, ინტელიგენციას... ერის საუკეთესო შვილებს არა მარტო ფიზიკურად უსწორდებოდნენ, არამედ ეს ბნელი ძალები „ახალი სამყაროს" შესაქმნელად ძირფესვიანად სპობდნენ ყველაფერს, რაც კი ჩვენს წარსულთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებული იერიში ტოპონიმიაზე, ერის წარსულის ერთ-ერთ ქვაკუთხედზე მიიტანეს... დაიწყეს ქართული ტოპონიმების მასობრივი გამოხშირვა აფხაზეთში, ქვემო ქართლსა თუ სამაჩაბლოში" [სახლთხუციშვილი 1997: 12-13].

საგულისხმოა, რომ უ. სახლთხუციშვილის მიერ თარგმნილი და საქართველოში გამოცემული ლატვიური ლიტერატურის ნიმუშებიდან ქართველი მკითხველი საზოგადოების განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ლატვიელი მწერლის ანდრი იაკუბანის სევდიანმა მოთხრობამ „თბილისო, თბილისო, თბილისო". ამ ნაწარმოების მთავარ მოქმედ პერსონაჟს – ლატვიელ დისიდენტ იან ზემნიეკს ძალიან მოსწონს გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, რევაზ ლაღიძის შედევრი – „თბილისო" (სიმღერის ტექსტის ავტორი – პოეტი პეტრე ბაგრატიონი-გრუზინსკი).

ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის, ნინო ჩხიკვიშვილის სამართლიანი შეფასებით: „ამ მოთხრობას ლაიტმოტივად სწორედ რევაზ ლაღიძის „თბილისოს" მელოდია გასდევს, როგორც ერისა და პიროვნების თავისუფლების, ბედნიერებისა და სრულყოფილების სიმბოლო. იან ზემნიეკის, ამ დისიდენტი, ახლა უკვე ცხოვრებისაგან განზიდებული კაცის ნოსტალგიაც ეს არის,ამიტომ ენატრება საქართველო

და ქართველები, ამიტომ ქცეულა მისთვის თბილისი ოცნების ქალაქად, ამიტომ უკვეთავს ასე დაჟინებით მთელი საღამო რესტორან „სევერში" მხოლოდ „თბილისოს", ამიტომაც ითხოვს თვითმკვლელობის წინ ისევ ამ სიმღერის გაგონებას... და ამ სიმღერა-სიმბოლოთი აერთიანებს ლატვიელი მწერალი ორი პატარა, თვითმყოფადი ერის ისტორიულ ბედისწერასაც" [ჩხიკვიშვილი 2000: 87].

XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბალტიის ქვეყნებში საკმაოდ ხშირად ჩადიოდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი მიხეილ ქურდიანი (1954-2010), რომელიც ამ რეგიონში მცხოვრები ხალხების კულტურას და ლიტერატურას კარგად იცნობდა.

ეთნოლოგ როლანდ თოფჩიშვილის ცნობით, როდესაც მ. ქურდიანმა წაიკითხა მისი ნაშრომი „ევროპისა და ამერიკის ხალხები", ავტორისათვის უთქვამს:

– „ლივები გამოგრჩენია.

მე მტკიცება დავუწყე:

– ლივები ხომ გაქრნენ, ასიმილირებულნი არიან.

მან მითხრა:

– მე მათთან ერთი ღამე გავატარე. იცი, რა კარგი ხალხია? ცოდონი არიან, სადღაც 150 კაცამდე დარჩა, ვინც ენა შეინარჩუნა.

გადავქექე წიგნები, ენციკლოპედიები. მიშიკო მართალი აღმოჩნდა. მე შემრცხვა, როგორც ეთნოლოგს და თან სიამაყე დამეუფლა, რომ ასეთი მეგობარი მყავდა. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ლივების ეთნიკური ერთობის არსებობის შესახებ მხოლოდ მან იცოდა" [თოფჩიშვილი 2010: 29-30].

სსრ კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებში, მოკავშირე რესპუბლიკებში, და მათ შორის ლატვიაშიც, ჩამოყალიბდა ეროვნულ უმცირესობათა კულტურული საზოგადოებები.

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან ბალტიის რესპუბლიკებში, და მათ შორის ლატვიაშიც, ფართო მასშტაბები მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელიც სსრ კავშირის მიერ ამ ქვეყნების მეორე ოკუპაციის (1945 წ.) შემდეგ, ცვალებადი ინტენსივობით ხასიათდებოდა. ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი ბალტიის ქვეყნების ისტორიოგრაფიაში და მათ შორის ლატვიაშიც [Bluzma 2009; Бутулис 2010; Germanis 2007].

XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან საქართველოს და ბალტიის რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობდნენ.

1989 წლის 11 მარტს თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს სახალხო ფრონტის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 450 დელეგატი სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა, რომელშიც გამოხატეს მხარდაჭერა ლატვიის სახალხო ფრონტისა და ლატვიელი ხალხის სამართლიანი მოთხოვნებისადმი. მიმართვაში დაგმობილ იქნა ინტერფრონტის შოვინისტური საქმიანობა ლატვიაში.

იმავდროულად, კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბალტიის რესპუბლიკების სახალხო ფრონტების მხარდაჭერისა და მათთან კოორდინირებული თანამშრომლობის შესახებ [„Атмода" 1989, II: 1].

ბალტიისპირელ პატრიოტებთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ როგორც ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, ასევე მეცნიერებსაც, მათ შორის შოთა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს, კრიტიკოსს, ლიტერატუ-

რათმცოდნეს და პუბლიცისტ აკაკი ბაქრაძეს (1928-1999), აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს (ამჟამად – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს) და სხვებს.

თ. გამყრელიძე, რომელიც 1989 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, იგონებდა: „ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ, როდესაც საჭირო გახდა განსაკუთრებული აქტივობა ტრაგიკული შედეგების ლიკვიდაციისა და ქვეყნის მოწესრიგებისათვის, აკაკი ბაქრაძე მაშინ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერთაგანი იყო... განსაკუთრებით მჭიდრო გახდა ჩვენი თანამშრომლობა 1989 წლის მაისში, სახალხო დეპუტატთა I ყრილობაზე მოსკოვში, რომელიც, შეიძლება ითქვას, თითქმის 9 აპრილის მოვლენათა ნიშნით ჩატარდა.

ყრილობა ბალტიისპირელი დეპუტატის, ტალპეუნიკოვის მოწოდებით დაიწყო, რომელიც მოულოდნელად გაიჭრა ტრიბუნისაკენ და მოითხოვა ფეხზე ადგომით ეცათ პატივი 9 აპრილს თბილისში დაღუპულთა ხსოვნისათვის. ეს იმდენად მოულოდნელი იყო პრეზიდიუმში მსხდომი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისათვის, რომ ზოგი მათგანი დაბნეულობისაგან ფეხზე წამოდგა.

ამ ფაქტის დამსწრე აკაკი ბაქრაძემ, რომელიც ყრილობაზე წარგზავნილ ქართველთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დეპუტაციის წევრი გახლდათ, აღნიშნა, რომ ბალტიისპირელებმა გააკეთეს, რაც ჩვენ – ქართველებს უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ ამასთანავე დასძინა, რომ არაქართველის ასეთი გამოსვლა ჩვენთვის პოლიტიკურად ალბათ, უფრო მომგებიანიც კი იყოო“ [გამყრელიძე 2002: 55-56].

საგულისხმოა, რომ ლატვიაში 1988 წლიდან არაოფიციალურად მოქმედი ქართველთა საზოგადოება ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავდა და ადგილობრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან თანამშრომლობდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ჩოგბურთელი ნუგზარ მძინარიშვილი, ექიმი ზურაბ ქეცბაია და ბიზნესმენი ბესარიონ ბერაძე.

1989 წლის 23 აგვისტოს ბალტიის სამივე რესპუბლიკაში მოწყობილ მასშტაბურ სამშვიდობო აქციაში „ბალტიური ჯაჭვი“ მონაწილეობდა ამ ქვეყნების მილიონამდე მცხოვრები. ამით მათ საჯაროდ დაგმეს სსრ კავშირსა და გერმანიას შორის 50 წლის წინათ გაფორმებული დოკუმენტი (ე. წ. „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“) გავლენის სფეროთა განაწილების შესახებ და იმავდროულად გამოხატეს სწრაფვა იმ პერიოდში დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

საგულისხმოა, რომ ამ აქციაში მონაწილეობდნენ საქართველოდან საგანგებოდ ჩასული პოლიტიკოსებიც, კერძოდ, სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე, ასევე, ირაკლი შენგელაია და მიხეილ ნანეიშვილი. ისინი ქართული, ეროვნული დროშით იდგნენ ლატვიელ და ლიტველ დემონსტრანტებს შორის, რითაც ამ ეპოქალური მოვლენისადმი ქართველი ერის პროგრესული ნაწილის სოლიდარობა საჯაროდ დააფიქსირეს.

1989 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე ლატვიის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობდა ქართველი ექიმი რამაზ მიხეილის ძე შენგელია (დაბ. 1952 წ.). ამჟამად, იგი არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და ვაშინგტონის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

აღსანიშნავია, რომ რ. შენგელიას მამა – პროფესორი მიხეილ შენგელია მჭიდროდ თანამშრომლობდა თავის ლატვიელ კოლეგებთან და მათ შორის პაულ

სტრადინშის სახელობის მედიცინის ისტორიის მუზეუმის დირექტორთან, პროფესორ კარლ იანის ძე არონთან. ამიტომ, ლატვიელებთან მეგობრობა მ. შენგელიას შვილებს ფაქტობრივად შთამომავლობით ერგოთ. 1978 წელს რამაზ და გიორგი მიხეილის ძე შენგელიები მონაწილეობდნენ რიგაში, მედიცინის მუზეუმში გამართულ მედიცინის ისტორიის საკავშირო კონფერენციაში.

1989 წლის აგვისტოდან რ. შენგელია მივლინებული იყო რიგაში, სადაც მუშაობდა ლატვიის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, პროფესორ ვ. უტკინთან. ამის პარალელურად, ვ. უტკინისა და პროფესორ ვახტანგ ფიფიას ერთობლივი ხელმძღვანელობით, იგი სადოქტორო დისერტაციაზეც მუშაობდა.

რ. შენგელია იგონებდა: „რიგაში ჩემს ჩასვლას დაემთხვა ლატვიის პირველი პრეზიდენტის იან ჩაკსტეს დაბადების დღე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საზეიმოდ აღნიშნავდა. მეუღლესთან ერთად ვეწვიე პრეზიდენტის საფლავს და იგი ყვავილების თაიგულით შევამკე. მოხდა ისე, რომ, როდესაც მასმედიის საშუალებებმა გააშუქეს ეს მოვლენა, ყველგან წინა პლანზე ვჩანდი. ამან განაპირობა ჩემს ნაცნობ ლატვიელთა განსაკუთრებული პატივისცემა ჩემ მიმართ.

იმ პერიოდში ლატვიაში თანდათან ფართო მასშტაბებს იძენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ნევრებსაც დავუახლოვდი. მათ შორის განსაკუთრებით დავუმეგობრდი ინგუნა ებელეს და მის მეუღლეს რომუალდს რაჟუკსს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებთან. ამ ცოლ-ქმრის მეშვეობით შევხვდი ლატვიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ფიგურებს, მათ შორის სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს დაინის ივანსს, იმავე ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებს – ცალიტისსა და შკაპარსს, იურისტთა საზოგადოების პრეზიდენტს ვალდის ბირკავსს და სხვებს.

1989 წლის 13 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა მერაბ კოსტავა. ამასთან დაკავშირებით, რიგაში რამდენიმე მეგობართან ერთად დავაარსე მისი სახელობის ქართველთა საზოგადოება, რომელშიც ძირითადად იქაური ქართველი სტუდენტობა გაერთიანდა. ჩვენი საზოგადოება საკმაოდ აქტიურობდა. სისტემატურად ვხვდებოდით მასმედიის საშუალებების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად დეზორიენტირებულნი იყვნენ. გვინდოდა, რომ მათ ეს პროცესები ობიექტურად გაეშუქებინათ, რაც არაერთხელ შევძელით კიდევაც.

„ლაჩპლესის“ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით, შევაკერინეთ ქართული ეროვნული დროშები და მონაწილეობის მისაღებად შევუერთდით რიგის ქუჩებში დაწყებულ ლატვიელთა გრანდიოზულ დემონსტრაციას. ჩვენმა მისვლამ იქ მყოფთა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. გაისმოდა ხმამაღალი შეძახილები: „გრუზია! გრუზია! გრუზია!“

შემოდგომაზე ჩატარდა ლატვიის სახალხო ფრონტის ყრილობა, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებიც, მათ შორის – ავთანდილ იმნაძე და ალეკო ქობულაშვილი. ყრილობის მონაწილეთა წინაშე საყურადღებო მოხსენებით წარსდგა ა. იმნაძე, რომელსაც ტაშით შეეგებნენ.

იმხანად, ბალტიის რესპუბლიკები ხმაშეწყობილნი იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, რაც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებზე არ ითქმოდა. გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ კავკასიელებიც ერთად ვიბრძვით სსრ კავშირიდან გამოსვლისათ-

ვის. ამ მიზნით, რიგაში მოვაწყვეთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა ერთობლივი პრესკონფერენცია, რომელშიც ქართველთა მხრიდან მე ვმონაწილეობდი. მე ვცდილობდი მედიატორის როლის შესრულებას ურთიერთდაპირისპირებულ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, რაც იმ დღეს მეტ-ნაკლებად მოვახერხე. ჩემი გამოსვლის დედააზრი იყო კავკასიელთა გაერთიანება და დარაზმვა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მსგავსად ბალტიისპირელებისა.

მეორე დღეს, საღამოს, როდესაც რესპუბლიკური საავადმყოფოდან სახლში ავტობუსით ვბრუნდებოდი, მძღოლს რადიო მაღალ ხმაზე ჰქონდა ჩართული. გადმოსცემდნენ ინფორმაციას ჩვენს გუშინდელ პრესკონფერენციაზე. ჩემი ვრცელი გამოსვლა თითქმის სრულად გადმოსცეს. გადაღლილი ვიყავი და იმდენად მივეჯაჭვე რადიოს, რომ ავტობუსმა იმ პერიოდში რამდენიმე წრე გააკეთა... მძღოლმა ეს შემახსენა. მე ვუთხარი, რომ რადიოთი ჩემს გამოსვლას გადმოსცემდნენ და მინდოდა ბოლომდე მომესმინა. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ლატვიელი მძღოლისათვის, რომელსაც, ჩემი გამოსვლა, თურმე, ძალიან მოეწონა, რომ მან, ჩემდამი პატივისცემის ნიშნად, ცარიელი ავტობუსი მოაბრუნა და სახლამდე მიმიყვანა, თან მთელი ამ ხნის განმავლობაში აქებდა საქართველოს და ქართველებს".

1989 წლის ოქტომბრის მიწურულს, რიგაში დაარსებულ მერაბ კოსტავას საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ბესარიონ ბერაძე. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულნი იყვნენ ქართველი სტუდენტები, რომლებიც იმხანად რიგაში სწავლობდნენ: ნონა დევაძე, ინგა პაიჭაძე, გოჩა ცქიფურიშვილი, მაგდა კუპატაშვილი, მარინე ჯანელიძე, ლევან მჭედლიშვილი, ბესიკ ჟღენტი, გია სიჭინავა, ავთანდილ აქირთავა და სხვები.

1990 წლის თებერვალში ხსენებული საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს რიგაში მცხოვრები ქირურგი ზურაბ ქეცბაია.

საზოგადოების მიზანი იყო საქართველოს საკითხის, ქართული კულტურის პოპულარიზაცია ლატვიაში, ასევე მასმედიისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. 1990 წელს საზოგადოებამ გამოსცა პირველი ქართული გაზეთი ლატვიაში, სახელწოდებით – „თბილისის ფურცელი".

1991 წლის დასაწყისში ბალტიისპირეთში მიმდინარე ცნობილი პოლიტიკური მოვლენების დროს, იქაურ ქართველთა გარკვეული ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად იდგა ბარიკადებზე და ამ ქვეყნების დამოუკიდებლობას იცავდა.

ხსენებულ პერიოდში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ბალტიის რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტები. მათ შორის იყვნენ ზემოხსენებული ინგუნა ებელე და მისი მეუღლე რომუალდს რაჟუკსი, რომლებიც სისტემატურად ჩამოდიოდნენ საქართველოში. ი. ებელე იყო ლატვიის სახალხო ფრონტის ნდობით აღჭურვილი პირი საქართველოში და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ბალტიისპირეთის პრესაში სტატიებს აქვეყნებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნერილები სახელწოდებით: „Дни пробуждения Грузии", „25 февраля - день траура в Грузии", „Постигнет ли убийц расплата?", „26 мая - день независимости Грузии" და სხვები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ლატვიის სახალხო ფრონტის რუსულ ენაზე გამომავალ საინფორმაციო ბიულეტენში „ატმოდა" („გამოღვიძება") [„Атмода" 1989, I-III].

ჟურნალისტი ელგუჯა ლებანიძე, რომელიც 1989 წლის განმავლობაში ლატვიაში ორჯერ იმყოფებოდა, იგონებდა: „ინგუნა ებელე პირველად თბილისში, აკაკი

ბაქრაძის ლექციაზე ვნახე. სავსე დარბაზი სულგანაბული უსმენდა შორეული ლატვიიდან ჩამოსულ სტუმარს, რომელიც მათ მშობლიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესზე მოუთხრობდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. თანდათან საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო მოძრაობამ, რომელსაც ახლა საყოველთაო გამოღვიძებას ვეძახით. ჩვენთან არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, ქალბატონ ინგუნას რომ თავისი აქტიური დამოკიდებულება არ გამოეხატა. ლატვიურ პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდებოდა მისი ნარკვევები და ჩანახატები საქართველოზე, მრისხანებით სავსე კორესპონდენციები უსამართლობის ცალკეულ შემთხვევებზე. ინგუნა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ლატვიელ ხალხს უტყუარი ცნობები მიაწოდა თბილისის 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ...

შემოდგომაზე ბედმა ისევ მომახვედრა ლატვიაში. აქ უკვე მელოდა მივლინებაში მყოფი მეგობარი, ლატვიური ენის სპეციალისტი უშანგი სახლთხუცესიშვილი. სწორედ მისი მეშვეობით დავაზუსტე ინგუნას ტელეფონის ნომერი...

– თქვენზე უკვე მელაპარაკა უშანგი, – მითხრა ინგუნამ, – ხვალ ლაჩპლესის – დაუგავაზე ლატვიელი ხალხის გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმია, მეც იქ ვიქნები.

საღამოს ლატვიის რადიოსთან ისე შევხვდით ერთმანეთს, როგორც ძველი მეგობრები. ინგუნამ სანთელი შემომთავაზა და ჟურნალისტ აივარ ბერიკისთან ერთად შევუერთდით ხალხის ზღვას, რომელიც ეროვნული დროშების ფრიალით მდინარე დაუგავას სანაპიროსაკენ დაეშვა.

ეს მართლაც გრანდიოზული, ზღაპრული სანახაობა იყო. წარმოიდგინეთ ათეულ ათასობით ანთებული სანთელი, დაუგავას ზედაპირზე მოციაგე ვარსკვლავები, მინიატურულ ნავებს რომ მოჰქონდათ...

ამდენი ღიმილიანი სახე დიდი ხანია არ მინახავს. ყოველი მხრიდან ვგრძნობდი მადლიერებით მოპყრობილ მზერას ქართველი ჟურნალისტისადმი, რომელიც სხვებთან ერთად ყვიროდა: „ბრივიიბა ლატვიაი“ – თავისუფლება ლატვიას...

იმ საღამოს თავისუფლების ძეგლთან შემდგარ მიტინგზე ინგუნა ებელემ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. მართალია, ლატვიურისა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ისე ხშირად მესმოდა „გრუზია“, რომ ყველაფერს მივხვდი – ინგუნა ისევ საქართველოზე, მის გაჭირვებაზე ლაპარაკობდა...

დღეს რომ ყოველ მეორე-მესამე ლატვიელს პირზე საქართველო აკერია და პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას ხარბად ეწაფება, უპირველესად, ინგუნა ებელეს დამსახურებაა“ [ლებანიძე 1990: 14-15].

აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებული რ. რაჟუკსი წლების განმავლობაში მუშაობდა უკვე დამოუკიდებელ საქართველოში „ნატოს“ ხაზით, როგორც მეკავშირე ოფიცერი კავკასიაში. მან საკმაოდ ბევრი გააკეთა აღნიშნულ ორგანიზაციასთან ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ლატვიაში მოქმედი მერაბ კოსტავას საზოგადოების ბაზაზე დაარსდა ქართველთა საზოგადოება „სამშობლო“, რომლის მიზანიც იყო იქ მცხოვრებ ქართველთა გაერთიანება, მათი კულტურული ინდივიდუალობის შენარჩუნება, საქართველოზე ლატვიელთა ცოდნის გაღრმავება.

საზოგადოების დაარსებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა ქართველებმა, რომლებიც იმ დროს ლატვიის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ.

1991 წელს ლატვიის რადიოს ეთერში გავიდა ქართველთა საზოგადოების გადაცემა „იბერია“, რომელიც დღემდე არსებობს. რადიოგადაცემის დამფუძნებელი

და პირველი წამყვანი იყო პროფესიონალი ჟურნალისტი, საქართველოს კორესპონდენტი ლატვიაში გენადი დიორტკინ-დემეტრაშვილი.

იმავე წელს საზოგადოება გაწევრიანდა ი. კოზაკევიჩას სახელობის ლატვიის ნაციონალური კულტურული საზოგადოებების ასოციაციაში.

საზოგადოებას სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ: ლერი უდესიანი (1990-1992 წწ.) და მარლენ მიქიანი (1993-2003 წწ.).

1993 წელს საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მარლენ მიქიანი. იმავე წლის 2 აპრილს, ქართველთა საზოგადოება ლატვიაში ოფიციალურად იქნა რეგისტრირებული. იმავე წელს მუშაობას შეუდგა ქართული საკვირაო სკოლა, რომელიც 1999 წლამდე არსებობდა.

მ. მიქიანი ლატვიაში ოთხ ათეულ წელზე მეტხანს ცხოვრობს და მოღვაწეობს. მან დაამთავრა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით (1977). სხვადასხვა დროს იგი მსახურობდა: რიგის რკინიგზის სახანძრო განყოფილების უფროსის მოადგილედ (1970-1973 წწ.); „რიგასათბობის" ჯგუფის ბრიგადირად (1973-1974 წწ.); რიგის II სახლმმართველობის ინჟინრად (1974-1977 წწ.); რიგის მშენებლობის ტრესტის უფროს ინჟინრად (1977-1978 წწ.); რიგის მშენებლობის ტრესტის წარმოების განყოფილების უფროსის მოადგილედ (1978-1979 წწ.); რიგის მშენებლობის ტრესტის მომარაგების სამმართველოს მთავარ ინჟინრად (1979-1982 წწ.); ლატვიის სსრ სახელმწიფო მომარაგების კომიტეტის მშენებლობის მომარაგების სამმართველოს უფროსად (1982-1990 წწ.); ლატვიური ფირმის „SIA TSP ILGUCIEMS" პრეზიდენტად.

პროფესიული საქმიანობის პარალელურად, მ. მიქიანი საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. კერძოდ, იგი სხვადასხვა დროს იყო: ლატვიის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე (1993-2003 წწ.); საქართველოს დროებითი რწმუნებული ლატვიაში სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებში (1993-1997 წწ.); ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული ნაციონალური პოლიტიკის საკონსულტაციო საბჭოს წევრი (1994-1998 წწ.); ლატვიის რესპუბლიკის ეროვნულ-კულტურულ საზოგადოებათა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (1999-2003 წწ.).

ამჟამად ლატვიაში არსებობს ქართველთა ორი საზოგადოება: „გეორგიკა" და „სამშობლო".

საზოგადოება „გეორგიკა" დაარსდა 2003 წელს. მასში გაერთიანდა ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა გარკვეული ნაწილი. საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ერიკ (ერმინე) გრიგოლია, რომელიც მას დღემდე ხელმძღვანელობს.

ლატვიაში მცხოვრები ქართველებისათვის საზოგადოება „გეორგიკა" ყოველწლიურად უშვებს დასადგამ კალენდარს სხვადასხვა თემაზე, მაგალითად: „აღმოაჩინე შენი ქალაქი" (2006), ქართული ციხესიმაგრეები (2007), ქართული ეკლესია-მონასტრები (2008), ნიკო ფიროსმანის შემოქმედება (2009), „მოირგე შენი სამოსი" (2010), „პატარა ლითონით მოთხრობილი ისტორია" (2011).

საზოგადოება „გეორგიკამ" წიგნად გამოსცა ცნობილი ლატვიელი პოეტის, ალექსანდრს ჩაკსის ანუ ჩადარაინისის (1901-1950) ვრცელი პოემა „მარადისობით ცხებულნი", რომელიც მისმა ავტორმა მიუძღვნა I მსოფლიო ომის პერიოდში ლატვიელ მსროლელთა გმირულად განვლილ გზას.

აღნიშნული ნაწარმოები ლატვიურიდან ქართულ ენაზე თარგმნა ერიკ გრიგოლიამ. პროექტის ხელმძღვანელი იყო მაია ჯანელიძე, კონსულტანტი – სერგეი მორეინო, რედაქტორი – ვაჟა ოთარაშვილი, ხოლო წინასიტყვაობა ლატვიურად თარგმნა მაირა ასარემ [ჩაკსი 2010].

2010 წლის ივნისში რიგაში შედგა ზემოხსენებული ნიგნის პრეზენტაცია, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა.

ქართველთა საზოგადოება „სამშობლო" არის ლატვიის ეროვნულ კულტურულ საზოგადოებათა ასოციაციის წევრი. მას თავისი რადიოგადაცემა გააჩნია.

2004-2009 წლებში საზოგადოება „სამშობლოს" სათავეში ედგა ნინო იაკობიძე. მისი მოადგილე იყო შაქრო ტოლიაშვილი, ხოლო მმართველობის საბჭოს წევრები: ელენე (ლიკა) ჟორჟოლიანი, სინტია შმიტე და თენგიზ პოპოვი.

2004 წელს შ. ტოლიაშვილმა დაწერა პროექტი „საზოგადოების ინტეგრაციის ფონდში", რომელიც ითვალისწინებდა სკოლის აღდგენას, ლატვიური კურსების შექმნას, ახალგაზრდების მოზიდვას და დაინტერესებას, ხალხური ფოლკლორული წრეების დაარსებას და ქართველთა საზოგადოების მუშაობის გაუმჯობესება-გააქტიურებას. ოთხი თვის შემდეგ მიღებულ იქნა დადებითი პასუხი, რის შედეგადაც პროექტის დასაფინანსებლად სათანადო თანხა გამოყვეს.

იმავე წლის 16 სექტემბრიდან, „ინტეგრაციული ფონდის" დახმარებით, შეიქმნა ქართველთა საზოგადოების ინტერნეტ საშინაო გვერდის საიტი (www. georgia. lv), რომელშიც მისთვის საინტერესო მასალის მოძიება ყველა მსურველს შეუძლია.

18-26 სექტემბერს გაიმართა კინოფორუმი „არსენალი", რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი რეჟისორის, ოთარ იოსელიანის დაბადების 70 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით ლატვიას ესტუმრნენ: ოთარ იოსელიანი, საქართველოს კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, რეჟისორი გიორგი ხაინდრავა და კინოკრიტიკოსი მანანა სირაძე.

ქართული და, მათ შორის, ო. იოსელიანის მიერ გადაღებული ფილმების რეტროსპექტივის ორგანიზებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საზოგადოება „სამშობლოს" წევრებმა. ნინო იაკობიძე და ნონა კოჭლამაზაშვილი სინქრონულად თარგმნიდნენ ფილმებს ქართულიდან ლატვიურ ენაზე.

13 ოქტომბერს სახელმწიფო სამხატვრო მუზეუმში შედგა საზოგადოება „სამშობლოს" წევრთა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, მის მეუღლე სანდრა რულოვსთან და საგარეო საქმეთა იმდროინდელ მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან. შეხვედრაზე ორგანიზებულ იქნა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

16 ოქტომბერს საზოგადოების საერთო კრებაზე არჩეულ იქნა ახალი მმართველობა, რომელშიც გაერთიანდნენ: სინტია შმიტე, მარლენ მიქიანი, ეკა იაკოვლევა, ნინო იაკობიძე (თავმჯდომარე), ნონა ტაურინა და შაქრო და მამუკა ტოლიაშვილები. თითოეულ მათგანს კონკრეტული ვალდებულება დაეკისრა.

31 ოქტომბერს ხელახლა გაიხსნა საკვირაო სკოლა, სადაც ქართული და ლატვიური ენების გაკვეთილები ტარდება.

იმავე წლის 19-21 ნოემბერს ჩატარდა სემინარი, რომლის თემა იყო: „როგორ დავწეროთ კარგი პროექტი". ამ პროექტში მონაწილეობა მიიღო ოცდაოთხმა ახალგაზრდამ, რომელთაგან სამი – ესტონეთის ქართველთა საზოგადოებიდან იყო.

2008 წლის 2 მაისს, ე. ჟორჟოლიანის ორგანიზებით, რიგას ეწვია და საზოგადოება „სამშობლოს" წევრებს შეხვდა საქართველოდან ჩასული მართლმადიდებელი მღვდელი – მამა იოანე, რომელმაც ადგილობრივი ბავშვები მონათლა.

იმავე თვეში, საზოგადოების ორგანიზებით, ქალაქებში – რიგასა და სიგულდაში შედგა პიანისტ ალექსანდრე იაკობიძე-გიტმანის (რუსეთის ფედერაცია) საქველმოქმედო კონცერტები.

შემოდგომაზე, ლატვიის სოროსის ფონდის მიწვევით, ამ ქვეყანას ეწვია საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ალექსანდრე რონდელი, რომელმაც რიგასა და ვალმიერაში ლექციები წაიკითხა. მისგან ინტერვიუ აიღეს ლატვიის მასმედიის საშუალებებმა.

დეკემბერში, ე. ჟორჟოლიანისა და მისი მეუღლის, „ლატვიისა და საქართველოს თანამშრომლობის ფონდის" პრეზიდენტის – ანდრეის კრუსკოპსის ორგანიზებით, რიგის წმ. პეტრეს საკათედრო ტაძარსა და კრუსტპილსის კულტურის სახლში გაიმართა თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძრის ანსამბლ „ამაღლების" კონცერტები.

აქვე დავსძენთ, რომ 2008 წლის გაზაფხულზე დაფუძნებულ „ლატვიისა და საქართველოს თანამშრომლობის ფონდთან" საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოება „სამშობლო".

საზოგადოების მმართველობის საბჭოში სხვადასხვა დროს გაერთიანებულნი იყვნენ: ელენე ჟორჟოლიანი, შაქრო და დავით ტოლიაშვილები, თენგიზ ჯიბუტი, იულია ბარბაქაძე, ოლგა რუგაჩინა და ანა ქიტიაშვილი.

2010 წლის 18 სექტემბერს საზოგადოება „სამშობლოს" თავმჯდომარედ აირჩიეს ნუგზარ მძინარიშვილი, რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

დამოუკიდებელ ლატვიაში მცხოვრები ქართველები ჩაბმულნი არიან ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში. მათი უმეტესობა ინტეგრირებულია ლატვიურ საზოგადოებასთან, ფლობს ლატვიურ ენას, იცნობს და პატივს სცემს ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს.

ლატვიის ხელისუფლება შეძლებისდაგვარად ზრუნავს მათ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებზე. ლატვიის რადიოში რეგულარულად გადაიცემა ნახევარსაათიანი გადაცემები ეროვნულ უმცირესობათა ენებზე და მათ შორის ქართულადაც. ქართველი მართლმადიდებლები ლოცულობენ რიგაში მოქმედ ქრისტეშობის მართლმადიდებლურ საკათედრო ტაძარში [Ščerbinskis 1998: 90-94].

ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოღვაწეობს კულტურისა და ხელოვნების, ასევე სპორტისა და მედიცინის სფეროებში.

ხელოვნების სფეროში მოღვაწე ქართველთა შორის განსაკუთრებით გამორჩევიან ცნობილი მხატვრები, დიზაინერები და სკულპტორები: გოჩა ხუსკივაძე (დაბადებული 1964 წელს), ნუგზარ პაქსაძე (დაბადებული 1953 წელს), ნუგზარ კახიანი (დაბადებული 1952 წელს), ალექსანდრე ჩხაიძე (დაბადებული 1969 წელს) და ამირან ხაბელაშვილი. მათი ნამუშევრები დაცულია მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოში არსებულ კერძო კოლექციებში.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან რიგაში ცხოვრობს და მოღვაწეობს სკულპტორი, ფერმწერი და გრაფიკოსი, ლატვიის მხატვართა კავშირის წევრი (2005 წლიდან) გ. ხუსკივაძე. მან თბილისის სამხატვრო ტექნიკუმის დასრულების (1982) შემდეგ, დაამთავრა ლატვიის სამხატვრო აკადემია სკულპტორის სპეციალობით (1995). 1987 წლიდან იგი სისტემატურად მონაწილეობს ლატვიასა და სხვა ქვეყნებში გამართულ გამოფენებში. მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა რიგაში, 1992 წლიდან მოყოლებული, შვიდჯერ შედგა.

პროფესიული სამხატვრო განათლების მიღების შემდეგ, ნ. პაქსაძე 1982 წლიდან დამკვიდრდა რიგაში, სადაც საქართველოში დაწყებული შემოქმედებითი მოღვაწეობა წარმატებით გააგრძელა. პროფესიულ სამხატვრო საქმიანობასთან (ფერწერა) ერთად, იგი დაკავებულია ინტერიერების დაპროექტებითაც. სახელი გაითქვა,

როგორც ორიგინალური ხედვის მქონე დიზაინერმა. მონაწილეობდა გამოფენებში, რომლებიც მოეწყო საქართველოში, ლატვიაში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში.

6. კახიანმა დაამთავრა ლენინგრადის ვერა მუხინას სახელობის უმაღლესი სამრეწველო-სამხატვრო სასწავლებელი (1986). მისმა სადიპლომო ნამუშევარმა „ფიროსმანი და ძველი თბილისი" (ლითონში) – უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. შემდეგ მან მუშაობა დაიწყო თავისუფალ მხატვრად და თავისი შემოქმედებითი ენერგია ფერწერაში ჩააქსოვა. 2008 წელს მან დატოვა სანკტ-პეტერბურგი, სადაც სამ ათეულ წელზე მეტხანს ცხოვრობდა და გადასახლდა რიგაში, სადაც შემოქმედებითი მოღვაწეობა გააგრძელა. 2009 წლის 18 მაისს ქ. როპეჟეში მოეწყო მისი ფერწერული ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა, რამაც სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. დაჯილდოებულია არაერთი პრემიით.

რიგაში მცხოვრები ცნობილი სკულპტორი ამირან ხაბელაშვილი მხატვარ რუსლან ვერეშჩაგინთან ერთად მონაწილეობდა პეტერბურგელი მუსიკოსის – ცოიას ძეგლის შექმნაში. იგი დაიდგა 2002 წლის 15 აგვისტოს, სლოკა-ტალსის გზის იმ მონაკვეთზე, სადაც მუსიკოსი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ლატვიაში საკმაოდ დიდხანს მოღვაწეობდა მხატვარ-დიზაინერი სანდრო ჩხაიძე. მისი მამა იყო ცნობილი ქართველი კინორეჟისორი იოსებ (სოსო) კალისტრატეს ძე ჩხაიძე (1937-1992), ხოლო დედა – ლატვიელი ვიქტორია ნიკოლოზის ასული ბაიჟა.

სანდრო დაიბადა ლატვიის ქ. კანდავაში, სადაც ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები გაატარა. იგი სწავლობდა კანდავისა და რიგის საშუალო სკოლებსა და ლატვიის სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელ კურსებზე. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი გრაფიკის ფაკულტეტი (1993). მონაწილეობდა არაერთ სამხატვრო გამოფენაში, რომლებიც სხვადასხვა დროს გაიმართა როგორც ლატვიასა და საქართველოში, ასევე საფრანგეთში, გერმანიაში, დანიაში, ფინეთსა და აშშ-ში. მუშაობდა რიგაში არსებული გერმანული გამომცემლობა „ბალტიკის" მთავარ მხატვარ-დიზაინერად (1993-1999). 2000 წლის დეკემბერში მან რიგაში დააარსა საკუთარი სარეკლამო სააგენტო ფირმა „Sandro Dizains". რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. 2006 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, სადაც ხელმძღვანელობს სარეკლამო კომპანიას „პასპორტი".

ავტორია: 1991 წელს ლატვიაში განვითარებული დრამატული მოვლენებისადმი მიძღვნილი მონუმენტისა – „1991 წლის ბარიკადების მსხვერპლთა უკვდავსაყოფად", რომელიც ძველ რიგაში, ქვეყნის სეიმის (პარლამენტი) მახლობლად დაიდგა; ლატვიის ეროვნული ბანკის მიერ 2008 წელს გამოშვებული 1-ლატიანი მონეტის (წყლის ლილიის გამოსახულებით) დიზაინისა; ლატვიის ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის ვიზუალური და ვერბალური სიმბოლოსი, ლატვიის სოციალური რეფორმის ვიზუალური საპრეზენტაციო მასალებისა და ბუკლეტებისა და სხვა.

მისი გაფორმებით გამოიცა მრავალი სოლიდური წიგნი, კატალოგი, ჟურნალი, ბუკლეტი, კალენდარი და წლიური ანგარიშის ამსახველი კრებული, ჩატარდა არაერთი საზეიმო ღონისძიება (მაგალითად, ლატვიის განახლებული ეროვნული ვალუტის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი რიგის ოპერის სახელმწიფო თეატრში და სხვ.). მანვე შეიმუშავა რიგაში არსებული არაერთი მნიშვნელოვანი შენობა-დაწესებულების სტილი.

ს. ჩხაიძის ვაჟი – სოსო ჩხაიძე (დაბადებული 1993 წელს თბილისში) რიგაში სწავლობს და ასევე მხატვარ-დიზაინერის პროფესიას ეუფლება. 2010 წლის გაზაფხუ-

ლზე მან ლატვიის სახელით მონაწილეობა მიიღო ევროკომისიის მიერ ჩატარებულ სამხატვრო კონკურსში და მოიპოვა I პრიზი: „Development youth prize 2009".

ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა გარკვეული ნაწილი სპორტის სფეროში მოღვაწეობს. მათ შორის გამოირჩევა სახელგანთქმული ჩოგბურთელი, მრავალი საპატიო საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ნუგზარ მძინარიშვილი (დაბადებული 1943 წელს, თბილისში). იგი პირველი ჩოგბურთელი იყო სსრ კავშირიდან, რომელიც 1961 წელს ლონდონის ღია ჩემპიონატზე მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში შევიდა. იმავდროულად ის პირველი ქართველი ჩოგბურთელია, რომელიც მონაწილეობდა უიმბლდონის ტურნირებში (1961-1962 წწ.). იყო სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრების წევრი (1958-1967 წწ.). 1966 წელს მიენიჭა საკავშირო სპორტის ოსტატის საპატიო წოდება. სპორტული წარმატებებისათვის არჩეულია ქ. ვიშის (საფრანგეთი) საპატიო მოქალაქედ.

1978 წლიდან იგი ცხოვრობს რიგაში, სადაც მოღვაწეობდა საზოგადოება „დაუგავას" მწვრთნელად. გამოდიოდა ვეტერანთა თანრიგში, იყო ლატვიის ჩემპიონი და პრიზიორი 1990-1997 წლებში. 1995 წელს გახდა ევროპის ვეტერან ჩოგბურთელთა ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის პრიზიორი (საარბრიუკენი).

ლატვიის რესპუბლიკის ჩოგბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში (1986-1992 წწ.) მან ბევრი რამ გააკეთა ამ ქვეყანაში სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისათვის.

პროფესიული საქმიანობის პარალელურად, იგი საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ის აქტიურად მონაწილეობდა 1991 წელს ლატვიაში მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლაში, რითაც ლატვიელთა შორის დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა და დაჯილდოვდა მედლით ამ ქვეყნის თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისათვის (2001 წ.).

ნ. მძინარიშვილი დაარსებიდან იყო ლატვიაში მოქმედი ქართული საზოგადოება „სამშობლოს" მმართველობის ერთ-ერთი წევრი. 2010 წლის სექტემბრიდან ის ამ საზოგადოების თავმჯდომარეა.

ლატვიის ელიტური საფეხბურთო კლუბის, რიგის „სკონტოს" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე საკმაოდ დიდხანს მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი ფეხბურთელი რევაზ ძოძუაშვილი, ხოლო მენეჯერად – მიხეილ რევაზის ძე ძოძუაშვილი. 2010 წლამდე, ამ საფეხბურთო კლუბის კაპიტანი იყო ქართველი ფეხბურთელი დავით გამეზარდაშვილი.

ქალაქ დაუგავპილსის საფეხბურთო კლუბ „დინაბურგში" მთავარ მწვრთნელად მუშაობდა ცნობილი ქართველი ფეხბურთელი თამაზ პერტია.

ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა გარკვეული ნაწილი მედიცინის სფეროში მოღვაწეობს. მათ შორის გამოირჩევიან რიგაში მოღვაწე ექიმები: ზურაბ ქეცბაია და ნანი მანჯგალაძე, ასევე ქ. დაუგავპილსის ონკოლოგიური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე მურმან რატიანი.

1976 წლიდან რიგაში ცხოვრობს და მოღვაწეობს ცნობილი ქირურგი ზ. ქეცბაია (დაბადებული 1959 წელს, ტყვარჩელში). მან დაამთავრა რიგის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1982) და მუშაობა დაიწყო ქალაქის I საავადმყოფოში. 1983 წლიდან დღემდე იგი მუშაობს რიგის აღმოსავლურ საავადმყოფოში („Rakus Klinica Gailezers"). მან გაიარა გზა საერთო ქირურგიული განყოფილების ქირურგიდან – კოლოპროქტოლოგიური განყოფილების გამგემდე (ამ თანამდებობაზე მუშაობს 2008 წლიდან).

ლატვიაში მოქმედი ავტორიტეტული კერძო სამედიცინო კომპანიის „LBM" (ლიზოფორმი) გენერალური მენეჯერია ბიზნესმენი ბესარიონ ბერაძე. ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების (1986) შემდეგ, ის რიგაში დამკვიდრდა. 1995 წელს მან დააფუძნა ზემოხსენებული სამედიცინო კომპანია, რომელსაც დღემდე წარმატებით ხელმძღვანელობს. ეს კომპანია დაკავებულია ჰიგიენის სტანდარტების დაცვით ბალტიის ქვეყნების სამედიცინო დანესებულებებში.

ბ. ბერაძემ დააწესა სტიპენდია საქართველოდან ლატვიაში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდებისათვის, რომელიც სათანადო კონკურსის შემდეგ სტუდენტმა გიორგი მორბედაძემ მოიპოვა.

ლატვიაში სამედიცინო სფეროში წარმატებით საქმიანობს თენგიზ შაბურიშვილი, ხოლო საბანკო სფეროში – გოჩა თუთბერიძე.

კომპანია Air-Baltic-ის შტაბბინაში – რიგაში, საშემოსავლო და მარკეტინგის დეპარტამენტში 2007 წლიდან მუშაობს იგორ აფციაური (დაბ. 1983 წ.), რომელმაც დაამთავრა ვილნიუსის გედინიმოს სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს მენეჯმენტის ფაკულტეტი.

ქ. რუნდანში მცხოვრები მასწავლებელი და პუბლიცისტი შალვა ხმელიძე (დაბ. 1922 წ.) იკვლევს ლატგალიის მხარის ნარსულს.

საქართველოს და ლატვიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართულ-ლატვიური ურთიერთობები საქართველო-ლატვიის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში გადაიზარდა. შედგა მრავალი ოფიციალური ვიზიტი ორივე სახელმწიფოს ხელისუფლების მხრიდან, შეიქმნა სამართლებრივი ბაზაც (იხ.: დანართი № 6).

1993 წლის 11 მარტს საქართველოსა და ლატვიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა.

1999 წლიდან საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს ბალტიის რესპუბლიკებში, და მათ შორის ლატვიაშიც, იცავდა საქართველოს გენერალური კონსული ზურაბ მარშანია.

2003 წლის სექტემბერში ოფიციალურად გაიხსნა საქართველოს პირველი საელჩო ბალტიის რესპუბლიკებში, რომლის ადგილსამყოფელად ვილნიუსი შეირჩა. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში დაინიშნა დავით აფციაური.

2004 წლიდან ბალტიის რესპუბლიკები ნატოსა და ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ.

2006 წლის 24 მარტიდან ლატვიის რესპუბლიკის საქმეთა დროებით რწმუნებულად საქართველოში დაინიშნა ეგონს ნეიმანისი, რომელიც ამ თანამდებობაზე მომდევნო წლის 1 ოქტომბრამდე მუშაობდა.

ლატვიის რესპუბლიკის საელჩო თბილისში მუშაობას შეუდგა 2006 წლის 31 მაისიდან, თუმცა იგი ოფიციალურად გაიხსნა მომდევნო წლის 18 აპრილს, საგარეო საქმეთა მინისტრ არტის პაბრიკსის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში.

2008 წლის 25 თებერვლიდან თბილისში მუშაობას შეუდგა ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანდრის ვილცანსი. აქვე დავსძენთ, რომ ის ჯერ კიდევ 2004 წლის 1 მარტიდან ითავსებდა ელჩობას საქართველოში, თუმცა იმხანად მუშაობდა ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად უკრაინაში.

2006 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტის № 606 ბრძანებულების თანახმად, შეიქმნა საქართველოს საელჩო ლატვიის რესპუბლიკაში.

2007 წლის 19 მარტიდან – 2008 წლის 6 თებერვლამდე ლატვიაში საქართველოს დროებითი რწმუნებულის ფუნქციებს ასრულებდა თეიმურაზ ჯანჯალია, რომელიც შემდგომ პერიოდში საელჩოს მრჩევლად მუშაობდა.

2008 წლის თებერვალში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლატვიაში დაინიშნა კონსტანტინე კორკელია. იგი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი.

იმავე წლის 26 თებერვალს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლატვიის რესპუბლიკაში კ. კორკელიამ რწმუნებათა სიგელი გადასცა ამ ქვეყნის პრეზიდენტს – ვალდის ზატლერსს.

რიგაში აკრედიტებული საქართველოს საელჩო მდებარეობს იანის რაინისის ბულვარში, სადაც ძირითადად განთავსებულია ცალკეულ სახელმწიფოთა დიპლომატიური კორპუსები.

ლატვიაში საქართველოს კონსულად მოღვაწეობდა ქეთევან ესიაშვილი, ხოლო საქართველოში ლატვიის კონსულია – ილუტა ჩეჩინა.

2006 წლის დასაწყისიდან – 2010 წლის ივნისამდე უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლატვიაში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი რაულ ჩილაჩავა.

საქართველოს და უკრაინის ელჩების მეგობრული ურთიერთობა დიდად სასარგებლო აღმოჩნდა მათი ქვეყნებისათვის. ამას მოწმობს მათი ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები.

ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა დიდი ქართველი პოეტის – შოთა რუსთაველის მიერ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე დაწერილი გენიალური ქმნილების, პოემა „ვეფხისტყაოსნის", გამოცემა, რაც 2009 წელს, რიგაში, კ. კორკელიას და რ. ჩილაჩავას პატრონატით განხორციელდა. ამ გამოცემის იდეისა და წინასიტყვაობის ავტორი, შემდგენელი და ქართულ-უკრაინული ტექსტების რედაქტორია რ. ჩილაჩავა.

წიგნში შევიდა აღნიშნული პოემის ცალკეული თავების თარგმანები (ნაწყვეტები) ლატვიურ და უკრაინულ ენებზე შესაბამის ქართულ ორიგინალებთან ერთად. ტექსტი ლატვიურ ენაზე თარგმნეს ეკაბს იანსონს-საივამ და არვიდს სკალბემ, ხოლო უკრაინულად – მიკოლა ბაჟანმა.

„ვეფხისტყაოსნის" მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა შესაძლებელი გახდა რიგაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების – გოჩა თუთბერიძისა და ბესარიონ ბერაძის ფინანსური მხარდაჭერით.

აქვე დავსძენთ, რომ რ. ჩილაჩავა ლატვიაში აქტიურ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ინიციატივით რიგაში გამოიცა დიდი ლატვიელი პოეტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, იანის რაინისის (იანის პლიეკშანსის) და მისი მეუღლის, პოეტის, დრამატურგის და საზოგადო მოღვაწის, ასპაზიას (ელზა როზენბერგა) რჩეული ნაწარმოებები უკრაინულ და ქართულ ენებზე [ჩილაჩავა 2007]. მოგვიანებით, რიგაშივე გამოიცა რ. ჩილაჩავას ვრცელი წიგნი „უვადო მივლინება", რომელშიც შევიდა მისი ნაწარმოებები და ავტობიოგრაფიული ხასიათის ნარკვევი [ჩილაჩავა 2009].

რ. ჩილაჩავამ ლატვიაში შექმნა ლექსების ციკლი „FM-ერა (ლატვიური რეეულიდან)", რომლებშიც შევიდა ამ ქვეყანასთან დაკავშირებული ლექსები: „ენგურე და ვენტა", „ლატვია", „ლიეები", „ბედი", „ვალმიერადან მოვდივარ", „უცნაური ზამთარი ლატვიაში", „ჰერცოგ ერნესტ-იოანე ბირონის სასახლე „რუნდულა", „ლაიძივო, ლატვია", „ასპაზია და რაინისი", „ზღაპრულ დაისში" და სხვ. [ჩილაჩავა 2009: 124-173]. ამ ლექსებიდან ნათლად ჩანს მათი ავტორის თბილი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ამ ქვეყნისა და მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხისადმი.

რ. ჩილაჩავას დამსახურება ლატვიელებმა სათანადოდ შეაფასეს, კერძოდ, იგი აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორად და მწერალთა კავშირის წევრად. იმავდროულად, მწერალთა კავშირმა ის დააჯილდოვა ლიტერატურული პრემიით, ხოლო ჟურნალისტთა კავშირმა – მავრიკ ვულფსონის პრემიით, რომლის ფორმულირებაც ასეთია: „ჰუმანიზმის იდეების დამკვიდრებისა და ხალხთა შორის ურთიერთობების განმტკიცებისათვის". ყოველივე ამ ქვეყანაში მისი აღიარების უტყუარი დადასტურებაა.

თავის ვრცელ ავტობიოგრაფიულ ნარკვევში რ. ჩილაჩავა საინტერესოდ მოგვითხრობს იმის თაობაზე, თუ როგორ მიაღწინა იგი უკრაინის სახელმწიფოს ხელისუფლებამ თავის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლატვიაში. ასევე საყურადღებოა ლატვიის პრეზიდენტ ვაირა ვიკე-ფრეიბერგას სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მისეული შეფასება (იხ.: დანართი № 8).

ლატვიაში მცხოვრებმა ქართველებმა, სხვადასხვა დროს, რიგაში გახსნეს ქართული რესტორნები და სასადილოები, რითაც სახელი გაუთქვეს ეროვნულ სამზარეულოს. მათ შორის არის: „ფიროსმანი" (ხელმძღვანელი – კმარა სვანიძე), „იბერია" (ხელმძღვანელი – მანანა წიფურია-ჯაბუასი), „გენაცვალე" და რიგის ერთერთ – მანგალის რაიონში მოქმედი სამწვადე (ხელმძღვანელი – ვაჟა სამხარაძე).

სსრ კავშირის დაშლისა და ლატვიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში მცხოვრებ ლატვიელთა უმეტესობა თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა.

2002 წლისათვის საქართველოში მხოლოდ 91 ლატვიელი ცხოვრობდა. ისინი ძირითადად ქართულ-ლატვიური, შერეული ოჯახების წარმომადგენლები არიან [თოთაძე 2009: 215].

XX საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში მცხოვრებმა ლატვიელებმა გადაწყვიტეს, რომ თბილისში თავიანთი საზოგადოება ჩამოეყალიბებინათ.

1994 წელს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა ლატვიელთა საზოგადოება სახელწოდებით „Ave Sol". მასში 50-მდე ლატვიელი ირიცხებოდა. ამ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ლატვიის საპატიო კონსული საქართველოში, ქართველების რძალი, პროფესორი რეგინა იაკობიძე. ის უნარიანად ხელმძღვანელობს საზოგადოებას, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ქართულ-ლატვიური ურთიერთობის აღსადგენად და გასაღრმავებლად.

1999 წლის ივლისში, საქართველოში ლატვიელთა საზოგადოებისა და პირადად კონსულ რ. იაკობიძის თაოსნობით, ლატვიის არქივისა და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის მხარდაჭერით, თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც იული სტრაუმეს დაბადების 125 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომლის შესაბამისადაც შენობაზე, რომელშიც ი. სტრაუმე მოღვაწეობდა, მემორიალური დაფა გაიხსნა.

2000 წლის ზაფხულში, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტის დროს, ზემოთ აღნიშნული დაფის გახსნა საზეიმო ვითარებაში განხორციელდა.

იმავდროულად, მემორიალური დაფა გაიხსნა დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე იმ შენობაზეც, რომელშიც XX საუკუნის ოციან წლებში ლატვიის რესპუბლიკის საკონსულო მდებარეობდა.

2005-2009 წლებში საზოგადოება „Ave Sol"-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტების – ვაირა ვიკე-ფრაიბერგას და ვალდის ზატლერსის საქართველოში ვიზიტების ორგანიზებაში.

2005 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად თბილისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრაიბერგა. იგი შეხვდა საზოგადოება „Ave Sol"-ის ხელმძღვანელობას. იმავდროულად მან მონაწილეობა მიიღო თბილისში გამართულ პრეზენტაციაში ლატვიელი მკვლევრის ლაიმა კლავინას წიგნისა: „იული სტრაუმე – გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი", რომელიც ლატვიურ და ქართულ ენებზე გამოიცა [კლავინა 2005].

რობერტ კუპცისის ხსოვნის უკვდავსაყოფად ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში ლატვიელთა საზოგადოების, მეცნიერის შვილიშვილის იგორ პარასტაევისა და პროფესორ რევაზ სხილაძის თაოსნობით.

2007 წლის 16-17 ნოემბერს, ლატვიელთა საზოგადოების თაოსნობით, თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „რობერტ კუპცისის ღვაწლი ქართულ მეცნიერებაში", რომელიც ამ მეცნიერის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა. კონფერენცია საზეიმოდ გახსნეს რ. იაკობიძემ და ლატვიის ელჩმა საქართველოში ანდრის ვილცანსმა.

კონფერენციაში მონაწილეობდა ასამდე მეცნიერი როგორც საქართველოდან, ასევე ლატვიიდან. სტუმართა შორის იყვნენ: ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მედიცინის აკადემიის ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, ფარმაციის მუზეუმის თანამშრომელი, აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი და სხვები. კონფერენციაზე დასასწრებად სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოვიდა რ. კუპცისის შვილიშვილი ირინა კუპცისი.

კონფერენციაზე მიიღეს რეზოლუცია, რომლის შესაბამისადაც რ. კუპცისის სახელი მიენიჭა წყალტუბოს VI წყაროს. ასევე გადაწყდა, რომ თბილისში, შეროზიას ქუჩის 10-ში მდებარე შენობაში, სადაც მდებარეობდა ლატვიელი მეცნიერის ლაბორატორია და ასევე სამსახურებრივი ბინა, გაკრულიყო სათანადო მემორიალური დაფა [Jakobidze 2008: 69-75].

2009 წლის 27 თებერვალს, რ. კუპცისის დაბადების დღეს, ზემოხსენებულ მისამართზე მდებარე შენობის ფასადზე მემორიალური დაფა საზეიმოდ გაიხსნა.

საგულისხმოა, რომ პროფ. რ. სხილაძის ასპირანტმა საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა რ. კუპცისის მოღვაწეობას [Лайпов 2009: 47].

თბილისში მოქმედ ლატვიელთა საზოგადოებაში, ძველი თაობის წარმომადგენლებთან ერთად, ახალგაზრდებიც არიან გაერთიანებულნი. მათი ლატვიურ ენასთან და კულტურასთან დაახლოებისათვის საზოგადოებასთან არსებული საკვირაო სკოლა იღვწის. საზოგადოების ძირითად ამოცანას იდენტობისა და წინაპრების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნება და გაძლიერება წარმოადგენს. ამ მიზნით, ლატვიიდან სისტემატურად ჩამოდის ლიტერატურა, პრესა, ვიდეოკასეტები, ეწყობა შეხვედრები ლატვიიდან ჩამოსულ თანამემამულეებთან.

ზემოთქმულის პარალელურად, საქართველოში მცხოვრები ლატვიელები მონდომებით ცდილობენ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში ინტეგრაციას, ეუფლებიან ქართულ ენას და სხვ. [ჩიქოვანი 2008: 270-272].

საზოგადოების საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული მკვლევარი ნონა გაბილაია.

ქართველ ექიმს, იზოლდა ჩინჩალაძეს დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს თავის ლატვიელ კოლეგებთან, რიგის ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური კლინიკის ექიმებთან, რომელთა შორისაც გამოირჩევიან: ივარს უპისი (მთავარი ექიმი), აწ განსვენებული ვიაჩესლავ კრუმინი (წარსულში გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, დავით ყიფიანის მკურნალი ექიმი), ტერეზა სეგლინი და სხვები.

იმავდროულად, ი. ჩინჩალაძე და მისი მეუღლე ჯონი გეფერიძე მეგობრობდნენ ცნობილ ლატვიელ მეტყევესთან და ეროვნული ფოლკლორული ანსამბლის წევრთან – ოსვალდ ცინიტისთან.

ი. ჩინჩალაძე, რომელიც, მიღებული ტრავმის გამო, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა, საქართველოს ლატვიელთა საზოგადოების თავმჯდომარის თანადგომით, დაუკავშირდა ზემოხსენებული კლინიკის დირექტორს ვალდის ზატლერსს, რომელიც ამჟამად ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტია.

2004 წლის 16 თებერვალს ვ. ზატლერსმა რ. იაკობიძეს შეატყობინა, რომ მისი კლინიკა მზად იყო ი. ჩინჩალაძის სამკურნალოდ.

ქართველი პაციენტის მიმართ ვ. ზატლერსმა განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა და მისი გამოჯანმრთელებისათვის მართლაც მაქსიმუმი გააკეთა.

თავის მკურნალ ექიმს ი. ჩინჩალაძე ასე იხსენებს: „არასდროს დამავიწყდება პირველი შეხვედრა მასთან. პალატაში შემოდის მაღალი, ელეგანტური აღნაგობის ექიმი და ქართულად მესალმება: „გამარჯობათ". შემდეგ განაგრძობს რუსულად: „მე ვყოფილვარ საქართველოში, ქართველები ძალიან თბილი, სტუმართმოყვარე ხალხია, თბილისი – მშვენიერი ქალაქია"; თან ყურადღებით მისინჯავს და და დაბეჯითებით მეუბნება: „მართალია, ჯერ გამოკვლევები არ ჩაგვიტარებია, მაგრამ გასინჯვის შემდეგ ნინასწარ შემიძლია გითხრათ, რომ თქვენი ჩივილები აბსოლუტურად გაივლის. თქვენ ახალგაზრდა ქალი ბრძანდებით, მალე დაიწყებთ სიარულს და ივლით ლამაზად და ხანგრძლივად".

ისედაც იმედით ვიყავი ჩასული რიგაში, მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ საოცარი სიმშვიდე დამეუფლა, რომელიც დღემდე გამომყვა. უმაღლესი ტიტულების მქონე ადამიანი (იგი „ღირსების ჯვრის" მფლობელია) – ბატონი ვალდისი, ავადმყოფების მიმართ არაჩვეულებრივად გულისხმიერი, უაღრესად თავმდაბალი ადამიანია. მისთვის ჩვეულია ადამიანის ყველა უმთავრესი ღირსება. აი, რატომ უყვართ იგი ლატვიაში არა მარტო პაციენტებს, კოლეგებს, თანამშრომლებს, არამედ მთელ მოსახლეობას. ეს კიდეც დადასტურდა მისი პრეზიდენტად ერთხმად არჩევით" [ჩინჩალაძე 2007: 4].

აღსანიშნავია, რომ რიგაში მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ, მადლიერი ქართველი ექიმი გაწევრიანდა საქართველოს ლატვიელთა საზოგადოებაში და ჩაერთო ამ გაერთიანების პროგრამაში: „საქართველო-ლატვია: გუშინ, დღეს, ხვალ", რომელიც დღემდე წარმატებით გრძელდება.

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ნაყოფიერად ვითარდება თანამშრომლობა საქართველოსა და ლატვიის ქალაქებს შორის.

2007 წლის 3 აპრილს, რიგაში, რიგის საქალაქო სათათბიროს თავმჯდომარემ, იანის ბირკსმა და თბილისის მერმა, გიორგი (გიგი) უგულავამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ლატვიისა და საქართველოს დედაქალაქებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

9 აგვისტოს, სკრუნდისა და მცხეთის საქალაქო სათათბიროს თავმჯდომარეებმა – ნელია კლეინბერგამ და კახაბერ მელაძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას აღნიშნულ ქალაქებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

აქვე უნდა ითქვას, რომ შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ ასევე გაფორმებული აქვთ ბათუმს, დუშეთს და ჭიათურას ლატვიის ქალაქებთან: ლუძასთან, იაუნპილსთან, სიგულდასთან და კულდიგასთან.

2007 წლის 15 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა: „ლატვია-საქართველო: გუშინ, დღეს, ხვალ". ამ გამოფენამ, რომელიც ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, ქართველ საზოგადოებრიობას შესაძლებლობა მისცა გაცნობოდა ლატვიის ისტორიას, ასევე საქართველოსა და ლატვიის კულტურულ ურთიერთობებს. გამოიცა სათანადო ბუკლეტიც [„საქართველო-ლატვია: გუშინ, დღეს, ხვალ" 2007].

გამოფენა ორგანიზებულ იქნა ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის მიერ, რომლის დირექტორია დოქტორი ვენტა კოცერე [Kocere 2008: 60-68].

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს და ლატვიას შორის საკმაოდ მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა არსებობს. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 2008 წლის აგვისტოს მძიმე დღეებში, როდესაც საქართველო კიდევ ერთხელ დადგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში განხორციელებულმა რუსულმა აგრესიამ საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე მთელი სიმწვავით დააყენა საკითხი, რომ მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების მექანიზმები დაუყოვნებლივ საჭიროებს დახვეწას და მუშაობის სხვა მიმართულებით წარმართვას.

ლატვიის ხელისუფლებამ დაინახა რეალური საფრთხე სამხედრო თვალსაზრისით და სიტუაციის შესაბამისი შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ გარე სამხედრო აგრესიის და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩვეული ნელი რეაგირების შემთხვევაში, იმ სამხედრო ძალების გათვალისწინებით, რომელიც ამ ქვეყანას გააჩნია, საქართველოზე მიტანილი იერიშის მსგავსი სამხედრო შეტევის შეჩერებას ლატვია მხოლოდ ორი დღის განმავლობაში შეძლებს.

ლატვია გახლდათ ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველოსადმი რუსეთის აგრესიის შეჩერება ნატოს ქვეყნების აქტიური ჩარევის საშუალებით მოითხოვა. როგორც ცნობილია, ალიანსის ქვეყნებს შორის შეთანხმებული საგარეო პოლიტიკა ქვეყანას არ აძლევს შესაძლებლობას, რომ გარკვეულ საკითხებზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები მიიღოს, თუმცა ლატვიის მთავრობამ, პარლამენტმა და ლატვიელმა ხალხმა, რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან პირველივე დღეებში დიდი პოლიტიკური, ჰუმანიტარული და მორალური მხარდაჭერა გამოუცხადა ქართულ სახელმწიფოს.

მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალები თბილისს მოუახლოვდნენ, საქართველოს მაქსიმალური თანადგომა აღმოუჩინეს მეგობარმა ქვეყნებმა და, მათ შორის, ლატვიამ.

12 აგვისტოს ლატვიის პრემიერ-მინისტრი ივარს გოდმანისი თბილისს ეწვია და თავისი ქვეყნის მხარდაჭერა საქართველოს მიმართ საჯაროდ დააფიქსირა.

ლატვიის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსებით, საქართველოს დაზარალებულ მოსახლეობას რამდენიმე თვითმფრინავი ჰუმანიტარული დახმარება მიეწოდა. ლატვიის მოქალაქეებმა, რამდენჯერმე, მშვიდობიანი აქციების საშუალებით, დაგმეს რუსეთის ქმედებები და ქართველ ხალხს სრული სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოუცხადეს.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ომის პერიოდში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი პოზიცია დაიჭირა როგორც ლატვიის პრეზიდენტმა (მან სხვადასხვა მაღალი საერთაშორისო ტრიბუნიდან, მათ შორის გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ღიად დაგმო რუსეთის აგრესია), ისე პარლამენტმა (ლატვიის პარლამენტმა 2008 წლის 14 აგვისტოს მიიღო განცხადება საქართველოს წინააღმდეგ მომხდარი აგრესიის დაგმობის მოწოდებით) და მთავრობამაც, რომელმაც საქართველოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის სურვილი თავისი კონკრეტული ნაბიჯებით კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ლატვიის ხელისუფლება საქართველოს მხარდაჭერას აღნიშნული ომის შემდეგაც განაგრძობს. მის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებში საქართველოსთან თანამშრომლობას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. მათ შორის არის ეროვნული და რეგიონალური პოლიტიკურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელი ქვეყნების დახმარება რეფორმირებისა და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე, ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღრმავება.

ექსპერტთა შეფასებით, 2008 წელი, წინა წლისაგან განსხვავებით, ლატვიისათვის რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გაყინვის წლად დასახელდა. ორივე ქვეყნის პოლიტოლოგთა შეფასებით, ეს ძირითადად უკავშირდება ამ ქვეყნების მიერ მნიშვნელოვან გლობალურ საკითხებზე რადიკალურად განსხვავებული პოზიციების დაფიქსირებას.

2008 წელს დაგეგმილი იყო ლატვიის პრეზიდენტის ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში, რომელიც არ შედგა. მოსკოვში ვიზიტით მყოფ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრს პირდაპირ განუცხადეს, რომ, მისი ქვეყნის ხელისუფლების მიერ გარკვეულ საკითხებზე დაფიქსირებული პოზიციების გამო (ამაში ძირითადად რუსეთ-საქართველოს ომი იგულისხმებოდა), ასეთი მაღალი დონის შეხვედრის გამართვას რუსეთი მიზანშეწონილად აღარ თვლიდა.

იმავე წლის შემოდგომაზე, ბალტიის რესპუბლიკებში მოეწყო საქართველოს მხარდამჭერი აქცია სახელწოდებით – „080808, Я - грузин". რიგაში ასე ეწოდა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ყოველწლიურ მხატვრულ გამოფენას, რომელზედაც წარმოადგინეს კავკასიურ და თავისუფლების თემატიკასთან დაკავშირებული ნამუშევრები [Рыжакова 2010: 532].

2009 წლის დეკემბერში თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ლატვიის პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი. მისი დაჯილდოება საქართველოს მაღალი სახელმწიფო ჯილდოებით – "წმ. გიორგისა" და "ღირსების" ორდენებით ქართველი და ლატვიელი ხალხების მეგობრობის კიდევ ერთ გამოხატულებად იქცა.

საქართველო და ლატვია საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა სფეროში. მათ შორისაა საპარლამენტო, თავდაცვის და სხვა სფეროები.

ლატვიის სეიმში (პარლამენტი) 2006 წლის 16 ნოემბრიდან ფუნქციონირებს საქართველოსთან თანამშრომლობის საპარლამენტო ჯგუფი, რომელიც 32 დეპუტატისაგან შედგება. ამ ჯგუფს ძინტარს ზაკისი ხელმძღვანელობს. საქართველოს პარლამენტშიც არსებობს ლატვიის სეიმთან თანამშრომლობის ჯგუფი.

ლატვიის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები სისტემატურად ჩამოდიან საქართველოში.

2007 წლის გაზაფხულიდან საქართველოს და ლატვიის თავდაცვის სამინისტროებმა და ასევე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა: „ახალი თაობა – ახალი ინი-

ციატივა" და „საინფორმაციო ცენტრმა ნატოს შესახებ" – საქართველოს მხრიდან და „ლატო"-მ (ლატვიის ტრანსატლანტიკურმა ორგანიზაციამ) – ლატვიის მხრიდან დაიწყეს მუშაობა პროექტზე წიგნისა – „ნატო და საქართველოს უსაფრთხოება". ამ წიგნს უნდა შეესრულებინა სახელმძღვანელოს ფუნქცია ქართველი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

წიგნის თანაავტორები იყვნენ სოსო ცინცაძე და ულდის უმულისი. მათი ერთობლივი ნაშრომი, ზემოხსენებული სახელწოდებით, საქართველოს და ლატვიის თავდაცვის სამინისტროების დაფინანსებით, თბილისში, ქართულ ენაზე გამოიცა [ცინცაძე 2008].

აღნიშნული წიგნი ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესით მიიღო. მისი პრეზენტაციები შედგა როგორც თბილისში (2008 წლის 25 მარტს), ასევე საქართველოს ცალკეულ ქალაქებშიც (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, გორი, გურჯაანი, სიღნაღი, ახალციხე, ზუგდიდი, ოზურგეთი).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან 2007 წლიდან თანამშრომლობს ლატვიის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროექტის (PDP) პროგრამის მენეჯერი ელინა ლანგე. მიღწეული შედეგებისათვის იგი საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი – ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

უკანასკნელ პერიოდში თანდათან ღრმავდება ქართულ-ლატვიური სამეცნიერო ურთიერთობებიც.

ლატვიაში აკრედიტებული საქართველოს საელჩოს თანადგომით, 2009 წლის აგვისტო-სექტემბერსა და 2010 წლის სექტემბერში, რიგაში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა წინამდებარე წიგნის ავტორი. მან ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე წაიკითხა ლექციათა კურსი თემაზე: „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან" (6-17. IX. 2010).

ამასთანავე, მან სხვადასხვა დროს წაიკითხა საჯარო ლექციები ლატვიის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში შემდეგ თემებზე: „ქართველი და ლატვიელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან" – ოკუპაციის მუზეუმსა (27. IX. 2009) და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმში (4. IX. 2009); „საქართველო: ისტორიული და გეოპოლიტიკური მიმოხილვა" – სახელმწიფო უნივერსიტეტში (8. IX. 2009); „ქართულ-ბალტიური სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XV ს.)" – თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმში (10. IX. 2010); „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის სათავეებთან (X-XI სს.)" – ისტორიის ინსტიტუტში (14. IX. 2010); „ქართულ-ბალტიური ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში" – აკადემიურ ბიბლიოთეკაში (14. IX. 2010); „ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის პერიოდში" – ოკუპაციის მუზეუმში (15. IX. 2010); „ქართული მონეტები – ბალტიისპირეთში, ბალტიური მონეტები – საქართველოში" – ეროვნული ისტორიის მუზეუმში (16. X. 2010).

ზემოხსენებულ ლექციებზე მან ისაუბრა საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და თანამედროვეობის, ასევე ქართულ-ბალტიური ურთიერთობის შესახებ. მისი სამოგზაურო შთაბეჭდილებანი გადმოცემულია მისივე დღიურებში, რომლებიც ქართულ ენაზე გამოქვეყნდა [ჯავახიშვილი 2010, № 3; № 25] და წინამდებარე ნაშრომს ერთვის (იხ.: დანართი № 10).

აღნიშნული ვიზიტები გააშუქეს ლატვიის მასმედიის საშუალებებმა, კერძოდ, რესპუბლიკურმა გაზეთმა „Latvijas avīze" [Sprūde 2009, № 242; 2010, № 199], ხოლო მისგან ჩანერილი ინტერვიუ რადიოს ორ არხზე გადაიცა.

შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ბოლო ორი წლის განმავლობაში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მეცნიერებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ ლატვიელი მკვლევრებიც: ბენედიქტს კალნაჩსი (რიგა), მაია ბურიმა და ელინა ვასილიევა (დაუგავპილსი).

XXI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში სისტემატურად ჩამოდის ახალგაზრდა ლატვიელი მკვლევარი და პუბლიცისტი იმანტს ფრედერიკს ოზოლსი (რიგა), რომელიც თავის პუბლიკაციებსა და რეპორტაჟებში ხშირად მიმოიხილავს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებს.

2008-2010 წლებში ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მაგისტრატურაში სწავლობდნენ ქართველი სტუდენტები (ჩამოთვლილია ანბანურად): ოლენა აბრამიშვილი, სალომე ბინაძე, ნათია გოგაძე, მამუკა გოგსაძე, ლევან კიკვიძე და ნინო პაატაშვილი, რომლებმაც ევროკომისიისაგან კონკურსის წესით მოიპოვეს სრული დაფინანსება და სტიპენდია. მათ მიენიჭათ სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. სწავლის პერიოდში ისინი მონაწილეობდნენ როგორც რიგაში, ასევე ევროპის სხვა ქალაქებში ჩატარებულ კონფერენციებსა და სემინარებში.

2009-2010 სასწავლო წელს ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობდა ცოტნე ზურაბიანი. 2010 წლის აპრილში, ხსენებულ უნივერსიტეტში მისი ხელმძღვანელობით მოეწყო სტუდენტური კონფერენცია თემაზე: „ქართულ-ლატვიური ურთიერთობები: წარსული, აწმყო და მომავალი“, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც სტუდენტები, ასევე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დიპლომატიური კორპუსების ნარმომადგენლები.

რიგაში არსებულ რუსულ-ბალტიურ აკადემიაში უკანასკნელ წლებში სწავლობდნენ ან ამჟამადაც სწავლობენ (ჩამოთვლილია ანბანურად) ქართველი სტუდენტები: ირაკლი აბუსერიძე, გიორგი და ირაკლი ბერიძეები, ზვიად გოგიტიძე, ლაშა ზარაშვილი, თორნიკე თენეიშვილი, ალექსანდრე თორდია, გიორგი კახიძე, გიორგი და მარიამ მარგიანები, შალვა ურიადმყოფელი და სხვები.

2010 წლის მარტის დასაწყისში საქართველოს ეწვია ლატვიის რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია მისი თავმჯდომარის, გუნდარს დაუძეს (Gundars Daudze) მეთაურობით. ისინი შეხვდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს.

5 მარტს სეიმის დელეგაცია გ. დაუძეს მეთაურობით ესტუმრა ლატვიელთა ადგილობრივ სათვისტომოს, რომლის ოფისიც თბილისში, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარეობს. ლატვიელი პარლამენტარები გაეცნენ საქართველოში მცხოვრებ ლატვიელთა ყოფა-ცხოვრებას და მათი სათვისტომოს საქმიანობას.

ვითარდება საქართველო-ლატვიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიც. ლატვიაში პოპულარობით სარგებლობს ქართული წარმოების ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები. მათგან გამორჩეული ადგილი უკავია მინერალურ წყლებს, კერძოდ – „ბორჯომს“, რომელსაც „ლატვიის სავაჭრო ორგანიზაციამ“ (პრეზიდენტი ჰენრიკ დანუსევიჩი) მიანიჭა ნიშანი „ „წლის პროდუქტი 2009“.

საგულისხმოა, რომ ლატვიელმა მომხმარებელმა ბაზარზე წარმოდგენილ უამრავ პროდუქტს შორის მხოლოდ 29 დასახელების ბრენდი გამოარჩია და იმპორტირებულ პროდუქტებს შორის მოწინავედ „ბორჯომი“ დაასახელა. აქვე უნდა ითქვას, რომ „ბორჯომის“ ექსპორტის 10% სწორედ ბალტიის ქვეყნებზე მოდის [„კვირის პალიტრა“ 2010, № 17].

საქართველოსა და ლატვიას შორის არსებული გეოგრაფიული სიშორე წარმატებით შეამოკლა ავიაკომპანიამ „Air-baltic", რომელიც რეგულარულად დაფრინავს თბილისსა და რიგას შორის და მგზავრთა მოწონებით სარგებლობს.

ამრიგად, XX საუკუნის შუა ხანებიდან ქართულ-ლატვიური ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს და ლატვიას შორის საკმაოდ მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა არსებობს.

6. ქართულ-ლიტვური ურთიერთობა (1945-2010 წწ.)

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ქართულ-ლიტვურმა ურთიერთობებმა ინტენსიური ხასიათი შეიძინეს.

საქართველოში თანდათან იმატა ლიტველთა რიცხვმა. კერძოდ, მათი საერთო რაოდენობა იყო: 1959 წელს – 513 ადამიანი, 1970 წელს – 822, 1979 წელს – 603, 1989 წელს – 977 [თოთაძე 2009: 214].

თანდათანობით გაღრმავდა ქართულ-ლიტვური კულტურულ-ლიტერატურული კავშირები. მწერალმა ანტანას ვიენოლის-ჟუკაუსკასმა აღადგინა კავშირი საქართველოსთან. 1946 წლის შემოდგომაზე მან იმოგზაურა საქართველოში, მოინახულა თავისი საყვარელი ადგილები, ძველი ნაცნობ-მეგობრები, რის შემდეგაც თავისი შთაბეჭდილებანი სამოგზაურო ჩანაწერებში გადმოსცა.

საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ლიტველ მწერალს თბილი შეხვედრები მოუწყვეს. მას შეხვდნენ ქართველი მწერლები, პოეტები და საზოგადო მოღვაწენი, რომელთა შორისაც იყვნენ: გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე გომიაშვილი და სხვები.

ა. გომიაშვილმა ლიტველ კოლეგას უთხრა: „თქვენი წყალობით, ქართველებს უყვართ ლიტვა. კარგი იქნებოდა, რომ ყოველ ერს ჰყოლოდა ისეთი ანტანას ვიენოლისი, რომელიც გასდებდა სულიერ ხიდს მოძმე ხალხებს შორის".

საქართველოს მწერალთა კავშირში ლიტველ მწერალს საჩუქრად გადასცეს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ იმ წელიწადს გამოცემული წიგნი „საქართველოს ისტორია", რომელიც დღემდე მის ბიბლიოთეკა-მუზეუმში ინახება.

საქართველოში მოგზაურობის შემდეგ, მწერალმა შექმნა ახალი ლეგენდები: „მშვენიერი ლალის მთა", „ამგორის უდაბნო", „შურისძიების კლდე" და სხვა.

ა. ვიენოლის-ჟუკაუსკასი იყო პირველი ლიტველი მწერალი, რომელმაც თავის მდიდარ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს თემას და ჩვენი ქვეყანა ლიტველ საზოგადოებრიობას გააცნო [Айдинов 2009: 52].

XX საუკუნის 40-ანი წლების მიწურულს და 50-იან წლებში საქართველოს ხშირად სტუმრობდნენ ლიტველი მწერლები და პოეტები. მათ შორის, ზემოხსენებულ ა. ვიენოლის-ჟუკაუსკასთან ერთად, იყვნენ: პეტრას ცრივკა, იუოზას პაუკსტელისი. მათ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ ქართველ კოლეგებთან, მათ შორის გიორგი ლეონიძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, ირაკლი აბაშიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან, გრიგოლ აბაშიძესთან, კრიტიკოს ბესო ჟღენტთან.

გრიგოლ აბაშიძე მეგობრობდა ლიტველ მწერლებთან: ა. ვიენოლის-ჟუკაუსკასთან, ტ. ტილვიტისთან, ი. სიმკუსთან, ე. მიეჟელაიტისთან, ა. ვენცლოვასთან,

ი. მარცინკევიჩუსთან, მ. სლუცკისთან. ი. მარცინკევიჩუსი მეგობრობდა პოეტ ხუტა ბერულავასთან [Skliutauskas 1972].

1955 წელს, გამოჩენილი ქართველი პოეტის – დავით გურამიშვილის (1705-1792) დაბადების 250 წლისთავთან დაკავშირებით, სხვა უცხოელ მწერლებთან ერთად, თბილისში ჩამოვიდნენ ანტანას ვენცლოვა და ვაცის რეიმერისი. მათ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ ქართველ კოლეგებთან, მათ შორის, განსაკუთრებით გიორგი ლეონიძესთან და სიმონ ჩიქოვანთან.

თავის მემუარებში ვ. რეიმერისი გულთბილად იგონებდა საქართველოში მოგზაურობას და ქართველ კოლეგებთან შეხვედრებს [Reimeris 2009: 389-392].

გ. ლეონიძის გარდაცვალების შემდეგ, მის ოჯახს ენვია ლიტველი მთარგმნელი იოკუბას სკლიუტაუსკასი, რომელსაც ნესტან გიორგის ასულმა ლეონიძემ უმასპინძლა და თავისი საოჯახო ალბომი დაათვალიერებინა [Skliutauskas 1972].

1963 წლის სექტემბრის მიწურულს ვილნიუსში ქართული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების გამოფენა გაიმართა. წარმოდგენილი იყო გამოჩენილი ქართველი მხატვრების: ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, აპოლონ ქუთათელაძის, უჩა ჯაფარიძის, ქეთევან მაღალაშვილის, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელისა და სხვა ხელოვანთა ნაწარმოებები. თავის მხრივ, ქართველი მხატვრები და მოქანდაკეები გაეცნენ ლიტველ ხელოვანთა შემოქმედებას.

იმავე წლის 15-22 ოქტომბერს თბილისში მოეწყო ლიტვური კულტურის კვირეული, რომლის დროსაც ქართველობა გაეცნო ლიტვური წიგნის გრაფიკისა და პლაკატის გამოფენებს, კინოფილმებს.

1975 წლის 20 თებერვალს ვილნიუსში ქართველ ფერმწერთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. ექსპონირებულ იქნა 100-მდე ტილო. შედგა ქართველ და ლიტველ მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა შეხვედრები.

აღნიშნული შეხვედრების შესახებ ლიტველები აღნიშნავდნენ: „თქვენმა ხელოვნებამ ჩვენ დაგვაახლოვა. მან საშუალება მოგვცა უფრო ღრმად შეგვეცნო თქვენი ცხოვრება, თქვენი ხალხი“ [საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1980: 1043-1061].

1978 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნების დედაქალაქებში ჩატარებულ მწერალთა სიმპოზიუმებში აქტიური მონაწილეობა მიიღო ცნობილმა კრიტიკოსმა გურამ ასათიანმა (1928-1982), რომელმაც ამის თაობაზე პრესაში სათანადო ანგარიშებიც გამოაქვეყნა [ქიქოძე 2004: 25].

ცნობილი ლიტველი მკვლევარი ალგიმანტას ბუჩისი ასე იგონებდა ნაადრევად გარდაცვლილ ქართველ კოლეგას: „გურამ ასათიანი სახელგანთქმული ლიტერატურული კრიტიკოსი იყო, ვინც სათანადოდ აფასებდა და ყურადღებით იკვლევდა ლიტერატურაში ყველაფერს, რაც კი განუმეორებელია და ჭეშმარიტია, რაც დამაჯერებელი და ჰუმანურია. ამ განძს ის ეძიებდა არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ სხვა ეროვნულ კულტურაშიც, ყველგან, სადაც აღმოაჩენდა ჭეშმარიტი ნიჭიერების ნაპერწკალს. რუსულ ენაზე გამოცემულ მის წიგნებში ვპოულობთ ფურცლებს, რომლებიც ეძღვნება ლიტვურ ლიტერატურას და შემიძლია გულწრფელად ვთქვა, რომ გურამ ასათიანმა შეძლო დაენახა და გაეხსნა მისი ისეთი მხარეები, რომლებსაც ადრე ჩვენ, ლიტველი ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები ვერ ვხედავდით, ვერ ვაცნობიერებდით...

ლიტველი მწერლების საკმაოდ დიდი ჯგუფი, ყოველი ჩვენგანი ვსტუმრობდით რა საქართველოს 1978 წელს, სულ მალე გავხდით გურამის ოჯახის სტუმრები... იქ ვიდღესასწაულეთ მისი დაბადების დღე... შინაურულად ვგრძნობდით თავს...

გულით ვუმღეროდით ლიტვურად გურამს „მრავალ, მრავალ წელს“ [ბუჩისი 2004: 92-93].

1979 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „Три параллели“ გ. ასათიანმა მიმოიხილა ლიტვური მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის (ვიტაუტას ბუბნისი, იუოზას აპუტისი, მარტინკუსი და სხვ.) შემოქმედება [Асатиани 2004, III: 333-364].

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ერთიანი საბჭოთა იმპერიის ფარგლებში იძულებით მოქცეულ ქართველ და ბალტიისპირელ ხალხებს ტრადიციულად ახასიათებდათ ურთიერთსოლიდარობის შინაგანი განცდა, რომელიც სისტემატურად ვლინდებოდა როგორც მეცნიერების, ასევე კულტურის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სპორტშიც. ქვემოთ მოვიყვანთ ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ ფაქტს.

ცნობილი ქართველი კალათბურთელი გურამ მინაშვილი (დაბადებული 1936 წელს) იხსენებდა: „როგორც პერსპექტიული მოთამაშე, „დინამოდან“ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოვხვდი. კარგად მახსოვს რომის ოლიმპიადა. ბოლო თამაში იტალიელებთან გვქონდა. ამერიკელებთან წავაგეთ და მათ პირველი ადგილი გაინაღდეს. თუ იტალიელებს მოვუგებდით, მეორე ადგილი გარანტირებული გვექნებოდა, თუ წავაგებდით, მაშინ მეოთხეზე გავიდოდით. იმათაც ასეთივე მდგომარეობა ჰქონდათ. თამაშები იმართებოდა პატარა დარბაზში, სადაც 5.000 კაცი ეტეოდა. რატომღაც ჩვენი თამაში გადაიტანეს დიდ დარბაზში. 12.000 იტალიელი ტიფოზი – ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა, მაგრამ არც ჩვენ ვიყავით ჯაბანნი. მე კარგი დამცველი ვიყავი. მოწინააღმდეგე გუნდიდან ყველაზე ძლიერ თავდამსხმელს „ვიყვანდი“ ხოლმე. იტალიის ნაკრებში ასეთი იყო ალეზინი. ის ისე „მოყრონჭე“, რომ ვერაფერს აკეთებდა. ჩემს ფუნქციებში ბურთის გათამაშებაც შედიოდა. ერთი იტალიელი გადამეკიდა. ბურთის წართმევა უნდოდა და კინაღამ ბურთიანად შემჭამა. მოწინააღმდეგეს კი უნდა აართვა ბურთი, მაგრამ სოლიდურად უნდა ითამაშო. ის კი გადამეკიდა. ველარ მოვითმინე, ნერვები ამეშალა, ვითომ ბურთი დავატრიალე და იდაყვი სახეში ჩავარტყი. ცხვირი გაუსკდა, წამოუვიდა სისხლი. ატყდა ერთი ამბავი. იტალიელმა ტიფოზებმა დაიწყეს ყვირილი, თან ასლირიან მონეტებს ისროდნენ. მთელი იატაკი გაივსო, ცოცხებით ხვეტავდნენ, ან სად ჰქონდათ ამდენი...

ნაკრების მწვრთნელი იყო სპანდარიანი. მან ჭკუა იხმარა და მოედნიდან გამიყვანა. ამ დროს ალეზინმა გაიჯეჯილა, 9 ქულა გააკეთა. ჩემს გვერდით, სკამზე იჯდა ჩემი სამი ლიტველი თანაგუნდელი. მათ ერთმანეთში ლიტვურად დაიწყეს საუბარი. შემდეგ გუნდის კაპიტანი ვალმანისი ადგა, მივიდა სპანდარიანთან და რუსულად უთხრა: თუ არ შეიყვანთ თამაშში მინაშვილს, იცოდე, წავაგებთო. 6-7 ქულას ვაგებდით. ძალიან მესიამოვნა. ასეთი რამ კალათბურთში არ ხდება. კალათბურთელს უფლება არ აქვს, რომ თამაშის დროს მივიდეს მწვრთნელთან და თავისი აზრი უთხრას. მოკლედ, შემიყვანეს თამაშში. ისევ „ავიყვანე“ ალეზინი და მოვიგეთ“ [მინაშვილი 2006: 64-65].

ქართული ფოლკლორული ანსამბლები კონცერტებს მართავდნენ ლიტვასა და ბალტიის სხვა რესპუბლიკებში, ხოლო ლიტვური ანსამბლები – საქართველოში. ამ მხრივ ქართულ ანსამბლებს შორის გამოირჩეოდნენ: „რუსთავი“, „მთიები“ და ბიჭუნათა ანსამბლი „მართვე“.

ბალტიისპირელ კოლეგებთან შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ქართული ხალხური მუსიკის ცნობილ მკვლევარს, 1980 წლიდან არსებული ფოლკლორული ანსამბლ „მთიების“ ხელმძღვანელს ედიშერ გარაყანიძეს (1957-1998), რომელიც

იგონებდა: „1984 წელს ვილნიუსის ფესტივალზე მოვხვდით. ძალიან მოგვეწონა ეს ფესტივალი-ზეიმი თავისი ძალდაუტანებლობით, დემოკრატიულობით, საყოველთაობით. ჩვენც უკვე გადავდიოდით თავისუფალ, ძალდაუტანებელ სტილზე და ლიტველებმაც წყალი დაასხეს ჩვენს წისქვილზე – ე. ი. შეიძლება არააკადემიური ფორმით საჯაროდ გამოსვლა!" [გარაყანიძე 2007: 153].

ანსამბლების – „რუსთავისა" და „მთიების" ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი ანზორ ერქომაიშვილი იგონებს: „1988 წელს „მართვემ" თბილისში მოიწვია ვილნიუსის რადიოსა და ტელევიზიის ბავშვთა გუნდი, რომელსაც მოსკოვში მუსიკალური ფესტივალის დროს დაუმეგობრდა. ამ გუნდმა თბილისის საკონცერტო დარბაზებში რამდენიმე კონცერტი გამართა და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვილნიუსელი სტუმრები „მართვეს" წევრებთან ცხოვრობდნენ ოჯახებში. „მშობლებს" კონცერტებზე მოჰყავდათ და საკუთარი შვილებივით თავს ევლებოდნენ პატარებს. მოკლედ, „მართვესა" და ვილნიუსის გუნდს შორის დიდი მეგობრობა დამყარდა და იმავე წელს „მართვე" საპასუხო ვიზიტით მიიწვიეს ვილნიუსში.

ვილნიუსში უმაღლეს დონეზე მიგვიღეს, კონცერტები საუკეთესო დარბაზებში გაიმართა. იყო წარმატება, დასამახსოვრებელი შეხვედრები, ოჯახებმა დიდი პატივი სცეს ბავშვებს (ეტყობა, მათი შვილები ძალიან კმაყოფილები დაბრუნდნენ თბილისიდან). მოკლედ, ქართველ და ლიტველ ოჯახებს შორის მათი შვილების შემწეობით დამყარებული მეგობრული კავშირი დღემდე გრძელდება.

ვილნიუსში წარმატებით ჩატარებულ გასტროლებს ქართული პრესა გამოეხმაურა. მხოლოდ ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ.

ერთ-ერთი კონცერტი დამთავრდა და „მართვე" ქუჩაში გამოვიდა. მათ ბავშვები შემოეხვივნენ. ლიტველებს ორი ბავშვი გამოეყო და ჩვენებს ქართულად დაუწყეს ლაპარაკი, თანაც, საოცარი გურული აქცენტით:

– „ჩვენ ლიტველები ვართ, მაგრამ დედა გვყავს გურული, გოგეშვილის ქალიო".

„მართვესთან" ქალბატონი დალი გოგეშვილი მოვიდა. იგი ქართულ სათვისტომოს ხელმძღვანელობს ლიტვაში.

– „ჩემი მეუღლე აქაურია, – გვითხრა ქალბატონმა დალიმ, – თბილისში სწავლობდა. იქ გავიცანი და ცოლად გავყევი. მას შემდეგ აქ ვცხოვრობთ, ქართულ წიგნებს ვთარგმნი ლიტვურ ენაზე. ჩემი შვილები ყოველ ზაფხულს საქართველოში ჩადიან. მათ განსაკუთრებით უყვართ გურია".

ჩვენ დავემშვიდობეთ შესანიშნავ მასპინძლებს.

– „საქართველოში როცა ჩამუალთ, იქინე მუალთ და გნახავთ", – უჭირდათ განშორება „გურულ ლიტველებს" [ერქომაიშვილი 1999: 181].

XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, როდესაც სსრ კავშირში მასშტაბური ხასიათი მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ქართველ და ბალტიისპირელ არაფორმალურ ორგანიზაციებს შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ბალტიისპირეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეებთან, რითაც ამ ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში ახალი, საგულისხმო ფურცლები ჩაიწერა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, შოთა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი აკაკი ბაქრაძე (1928-1999),

იმავე მოძრაობის სხვა ქართველ ლიდერთა მსგავსად, თავის საჯარო გამოსვლებში არ ფარავდა დიდ სიმპათიას ბალტიისპირელთა მიმართ, რომელთა პატრიოტიზმს და მაღალ სახელმწიფოებრივ შეგნებას იგი სამაგალითოდ სახავდა.

ერთ-ერთ ინტერვიუში ა. ბაქრაძე სავსებით სამართლიანად აცხადებდა: „არაფერი ისე საშიში არ არის ახლა ჩვენთვის, როგორც დაუოკებელი სურვილი – მთელი საქართველო თბილისში ცხოვრობდეს. თუკი შეიძლება ლიტვის საუკეთესო თეატრი პაწია ქალაქ პანევეჟისში იყოს და არა ვილნიუსში, რატომ არ შეიძლება ამგვარი რამ საქართველოში? თუკი შეიძლება ყველაზე სახელგანთქმული კალათბურთელთა გუნდი კაუნასში იყოს და არა ვილნიუსში, რატომ არ შეიძლება ეს საქართველოში? თუკი შეიძლება მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული უნივერსიტეტი ტარტუში იყოს და არა ტალინში, რატომ არ შეიძლება ეს საქართველოში?“ [ბაქრაძე 2002: 175].

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერთან, ზურაბ ჭავჭავაძესთან (1953-1989) მეგობრობდნენ და თანამშრომლობდნენ ლიტვის თავისუფლების ლიგის წევრები და, მათ შორის, ანდრიუს ტუჩკუსი.

1989 წლის 26 მაისს, თბილისში, ლენინის (ამჟამად – თავისუფლების) მოედანზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსანიშნავად, ხალხმრავალი მიტინგი და დემონსტრაცია გაიმართა. მიტინგზე სიტყვით გამოსულთა შორის იყვნენ ლიტველი სტუმრები ანდრიუს ტუჩკუსი და შაკალენე [„ივერია“ 1989].

იმავე წლის 11 ივნისს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ლიტველი ხალხისადმი სოლიდარობის ნიშნად, თბილისში, ოპერის ბაღში შედგა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა გრანდიოზული მიტინგი [აბჟანდაძე 1993].

1990 წლის გაზაფხულზე ლიტვის პარლამენტის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირებას (11 მარტი) მოსკოვის მხრიდან აგრესია და ბლოკადა მოჰყვა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ ლიტველ მეგობრებს შეძლებისდაგვარად დახმარებოდა.

საქართველოს წითელი ჯვრისა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების ხელმძღვანელების – ნოდარ ცქიტიშვილისა და სოსო კაციტაძის დახმარებით, თბილისში გაიხსნა საგანგებო საბანკო ანგარიში ლიტვის დასახმარებლად.

მაისში, თბილისიდან ვილნიუსში ჩაფრინდა სამი საბარგო თვითმფრინავი, რომელმაც 20 ტონა სურსათი და მედიკამენტები ჩაიტანა. ქართველთა დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სოსო კაციტაძე და შალვა წიკლაური.

საქართველოში შეიქმნა ლიტვასთან ურთიერთობისა და მეგობრობის წარმომადგენლობა, რომელსაც სათავეში შ. წიკლაური ჩაუდგა. იგი ხშირად ჩადიოდა ლიტვაში, სადაც დაუახლოვდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს, სეიმის თავმჯდომარე ვიტაუტას ლანდსბერგისს, სეიმის წევრებს: ალგირდას ენდრიუკაიტისს, ალგირდას კატკუსს, ალფონდას ვაისნორასს, ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე რიმას ეილუნავიჩუსს, საინფორმაციო ცენტრის უფროს ალბინას ვისოტსკის, მფრინავ ვიტაუტას ეიდუკაიტისს, რომელიც, თავის დროზე, ტარტუს დივიზიაში, ჩეჩნეთის რესპუბლიკის მომავალ პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევთან ერთად მსახურობდა და სხვებს.

1991 წლის იანვრის დასაწყისში ვილნიუსში კვლავ ჩავიდა შ. ნიკლაური, რომელიც იმხანად უკვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო. მის მემუარებში საინტერესოდ არის მოთხრობილი 13-14 იანვარს ვილნიუსში განვითარებული მოვლენები.

შ. ნიკლაური იგონებდა: „სასტუმრო „დრაუგისტეში" ვცხოვრობდი... 13 იანვარს, საღამოს, სასტუმროს ფანჯრიდან ვილნიუსში შემოსასვლელ გზას გავყურებდი. შებინდებისას მუხლუხების შემზარავი ჟღარუნი გაისმა. მძიმე ტექნიკა ქალაქის ცენტრისაკენ მიემართებოდა... რამდენიმე საათში თითქმის ერთდროულად დაიწყო შეტევა სამ ობიექტზე – ბეჭდვით სახლზე, ტელეანძასა და ტელერადიოკომიტეტის შენობაზე. გრგვინვამ და ქუხილმა მოიცვა მთელი ქალაქი... სროლები მთელი ღამე გრძელდებოდა.

დილით მთავრობის სახლთან ჩავედი. მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიასა და გედიმინას გამზირზე ხალხის ტევა არ იყო... შეუპოვარი, შეშფოთებული და განწირული სახეები ერთმანეთში ირეოდა. ჩანდა, რომ თუნდაც სიცოცხლის ფასად არ დათმობდნენ ლიტველები მოპოვებულ თავისუფლებას...

მოედანზე ლიტვის ეროვნული დროშების ჯარი იდგა, მათ შორის იყო ლატვიის, ესტონეთის, უკრაინის და ბელორუსიის დროშებიც. არსად მოჩანდა ქართული დროშა. მოედანთან, გედიმინას გამზირის 54 ა-ში ქართველი ქალბატონი დალი გოგეშვილი ცხოვრობდა. მას მივაკითხე, დროშა გამოვიტანეთ და მოედანზე გავშალეთ. პოლიციამ დერეფანი გახსნა, ხალხი შეძახილებით გვხვდება, მოგვჩერებიან განუზომელი მადლიერებით გამომხატველი მზერით, თვალცრემლიანნი. გაისმის ხმაშეწყობილი შეძახილები: „გრუზია", „გრუზია", „გრუზია"... ბოლოს, მრავალათასიანმა მიტინგმა „სულიკო" იმღერა. ჩვენს დროშას დამატებითი ტარი მიამაგრეს და ყველაზე მაღლა ასწიეს, რასაც მქუხარე ტაში მოჰყვა.

ლიტველები მოედანს არ ტოვებდნენ. გამოცხადდა სადღეღამისო მორიგეობა რაიონების მიხედვით, რაც თვეობით გაგრძელდა. ჩემი მორიგეობა განრიგის გარეშე იყო. მეც მათთან ერთად ვათენებდი...

14 იანვარს ლანდსბერგისი შენობიდან გამოვიდა და ხალხს მოუწოდა სიმშვიდისაკენ, რათა არ აჰყოლოდნენ პროვოკაციებს, რაც მოსალოდნელი იყო...

მთავრობის დამცველთა შორის ძირითადში შერჩეული ახალგაზრდები იყვნენ. ფართო, მინებიანი შენობის პირველ სართულზე ბარიკადები მოეწყოთ. გასული წლის მაისში მოსალოდნელი თავდასხმის დროს თუ სანადირო თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი, ახლა უკვე თანამედროვე იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. გარედან ხალხის შეძახილები ისმოდა, ცენტრალურ შემოსასვლელთან ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, უკრაინის, ბელორუსიის და აზერბაიჯანის დროშებთან ერთად ირწეოდა საქართველოს ეროვნული დროშა...

სეიმის შენობაში რომ შევედი, თან მახლდა ჟურნალისტი ელენა ვეისკუტე. მას ვთხოვე, მოეცათ ჩემთვის იარაღი. მისი პასუხი იყო: – „ჩვენ სტუმრებს არ ვაომებთ" [ნიკლაური 2006: 29-35].

ზემოხსენებულ მემუარებში ასეა აღწერილი თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულ ლიტველ გმირთა დაკრძალვა: „16 იანვარი დადგა – დღე ტრაგიკულად დაღუპულთა გასვენებისა. კათედრალურ მოედანზე ცამეტი ცხედარი ასვენია. ორატორები ერთმანეთს სცვლიან. ლიტველი ხალხი ეთხოვება დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ შვილებს. მოთქვამენ ზარები სამრეკლოზე და მათი ხმები

შვილმკვდარი დედის გოდებად ჩამესმის. ნისლი აბრეშუმის სუდარასავით დაჰფენია გაფითრებულ სახეებს. ქალაქში ყველა ფანჯარაში სანთლები ანთია. კათედრალური მოედნიდან სასაფლაომდე ორი კილომეტრია. გზის ორივე მხარეს სანთლებით ხელში ჭირისუფალნი დგანან უძრავად. ნინ ბავშვები ჩაუყენებიათ, მათაც სანთლები უკავიათ პაწია ხელებით.

პროცესმა საათზე მეტხანს გასტანა. ბავშვები არ განძრეულან. მაოცებს მათი ნებისყოფა და გამძლეობა, ვაკვირდები მათ სახეებს, რაც კედლის ფრესკებზე გაცოცხლებულ ანგელოზებს მაგონებს. იდგნენ დუმილით, ზღვისფერ თვალებში სევდა ჩასდგომოდათ – სევდა და არა სიძულვილი, მხოლოდ მორჩილება ღვთისადმი. ციდან სამძიმარზე ჩამოფრენილ ანგელოზებს ჰგავდნენ, მშობლების მწუხრი უცვლელად ასახოდათ პატარა და ლამაზ სახეებზე...

ერთ მთლიან თაიგულად ქცეულიყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ეროვნული დროშები. მათთან ერთად, თანაგრძნობით თავი დაეხარათ საქართველოსა და აზერბაიჯანის დროშებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეშრობოდათ იგივე რუსეთის იმპერიის მიერ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში და 1990 წლის 20 იანვარს ბაქოში დახოცილ პატრიოტთა სისხლი...

რეკდნენ ზარები და მათ ხმებში იჭედებოდა ლიტვის მომავალი. თავდახრილნი მადლობას სწირავდნენ შეწირულთ დაღვრილი სისხლისათვის, რომელი სისხლიც გაზაფხულზე ტიტებს ამოპყვება და თავისუფალი ლიტვის ნათელ გზას დაეფინება“ [წიკლაური 2006: 34-35].

აღსანიშნავია, რომ ლიტვის რესპუბლიკის ხელისუფლებამ პოლიტიკური თავშესაფარი შესთავაზა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს, რომელთა გარკვეული ნაწილიც, 1992 წლის იანვარში თბილისში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ემიგრანტად იქცა. საქართველოს დევნილი ხელისუფლების წევრთა ნაწილი (მთავრობის თავმჯდომარე ბესარიონ გუგუშვილი, დეპუტატი მერაბ კიკნაძე და სხვ.) ვილნიუსიდან გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში, ხოლო დეპუტატები შალვა წიკლაური, ავთანდილ კვეტენაძე და სხვები ლიტვაში რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ და გარემოცულნი იყვნენ ლიტველ მეგობართა ყურადღებით.

აღსანიშნავია, რომ ლიტვის, ისევე როგორც ესტონეთისა და ლატვიის, ხელისუფლება, თანადგომას უცხადებდა როგორც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს, ასევე ჩეჩნეთსაც.

ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის, ჯოჰარ დუდაევის მეუღლე ალა დუდაევა თავის წიგნში იგონებს: „თავდადებული და მიზანსწრაფული ადამიანები აღმოჩნდნენ ჩვენი ლიტველი მეგობრები – ვიტაუტას ლანდსბერგისი და მისი თანამოსაგრეები: ალგირდას ენდრიუკაიტისი, ალგირდას პოტაცკასი, რომუალდას გოფერტენე და „ცენტრისტების“ პარტიის ლიდერი რომუალდას ოზოლასი. ჩვენი მეგობრობა თანდათანობით მეტ სიმტკიცეს იძენდა. ჩეჩნეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ასპარეზზე წარსადგენად სამივე ბალტიისპირა ქვეყანა ერთად იღვწოდა, განსაკუთრებით ლიტვა და ესტონეთი“ [დუდაევა 2010: 178].

1994 წლის თებერვლის შუა რიცხვებში გროზნოდან საქართველოში ჩამოვიდა საგანგებო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც, ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტ ზელიმხან იანდარბიევთან (ხელმძღვანელი) და სხვა ჩეჩენ დელეგატებთან ერთად, შედიოდნენ ლიტვის ხელისუფლების წარმომადგენლები: რ. გოფერტენე,

ა. პოტაცკასი და ვ. ედუკაიტისი. დელეგაციის მიზანი იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ნეშტის მოკვლევა და ჩეჩნეთში გადასვენება, რაც მათ განახორციელეს [დუდაევა 2010: 185].

1994 წლის 16 სექტემბერს საქართველოსა და ლიტვას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა.

1996 წლის მაისში ვილნიუსში გაიხსნა საქართველოს გენერალური საკონსულო ლიტვის რესპუბლიკაში.

1999 წლიდან საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს ბალტიის რესპუბლიკებში, და მათ შორის ლიტვაშიც, იცავდა საქართველოს გენერალური კონსული ზურაბ მარშანია.

2003 წლის სექტემბერში ვილნიუსში ამოქმედდა საქართველოს საელჩო ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში. ამ ქვეყნებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა დავით აფციაური. 2007 წლიდან იგი თავისი ფუნქციების შესრულებას მხოლოდ ლიტვაში განაგრძობდა.

2008 წლის 15 ივლისს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლიტვაში დაინიშნა გიორგი ქერდიყოშვილი, რომელიც მანამდე კონსულად მუშაობდა.

ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე საქართველოში სხვადასხვა დროს მსახურობდნენ რიჩარდას დეგუტისი (2005 წლის სექტემბრიდან) და მეცის ლაურინკუსი (2008 წლის სექტემბრიდან).

2010 წლის 4 მაისს საქართველოში ჩამოვიდა და მოვალეობის შესრულებას შეუდგა ლიტვის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იონას პასლაუსკასი.

სსრ კავშირის დაშლისა და ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში მცხოვრებ ლიტველთა უმეტესობა თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა.

2002 წლისათვის საქართველოში მხოლოდ 134 ლიტველი ცხოვრობდა. ისინი ძირითადად ქართულ-ლიტვური, შერეული ოჯახების წარმომადგენლები არიან [თოთაძე 2009: 214].

XX საუკუნის მიწურულს თბილისში შეიქმნა საქართველოს ლიტველთა საზოგადოება, სახელწოდებით „RUTA".

საზოგადოებასთან მისი დაარსების დღიდან არსებობს საკვირაო საბავშვო სკოლა, სადაც ასწავლიან ლიტვურ ენას და ეთნოკულტურას.

1998 წლის იანვარში ლიტველთა საზოგადოების თავმჯდომარე ზინა ქარუხნიშვილი დაინიშნა ლიტვის რესპუბლიკის საპატიო კონსულად საქართველოში.

იმავე წლის ივლისში საქართველოს ლიტველთა საზოგადოების ფოლკლორული ანსამბლი „Ruta zalioji" მონაწილეობდა მსოფლიოს ლიტველთა სიმღერისა და ცეკვის II ფესტივალზე, რომელიც ვილნიუსში გაიმართა.

საქართველოში გაიმართა ლიტვის კულტურის დღეები, რაც ლიტველთა ადგილობრივი სათვისტომოს ცხოვრებაში ისტორიულ მოვლენად იქცა.

2002 წელს, საქართველოს ლიტველთა სათვისტომომ ზეიმით აღნიშნა ანტანას ვიენოლის-ჟუკაუსკასის დაბადების 120 წლისთავი [Айдинов 2009: 51].

უკანასკნელ პერიოდში ქართულ-ლიტვური სამეცნიერო ურთიერთობები თანდათან ღრმავდება.

XXI საუკუნის დასაწყისში ლიტვაში სამეცნიერო მოვლინებით რამდენჯერმე მიიწვიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიე-

რებათა დოქტორი, პროფესორი გულაბერ ანანიაშვილი, რომელიც სხვა ენებთან ერთად ლიტვურსაც ფლობს. მან ვილნიუსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე წაიკითხა მოხსენებები კავკასიასა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, რუსეთთან ურთიერთობისა და რუსული ცარისტული და ბოლშევიკური იმპერიალიზმის მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებული კავკასიელ ხალხთა ეთნოწმენდისა და გენოციდის შესახებ.

2007 წლის 26 ივნისს ვილნიუსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე შედგა პრეზენტაცია გ. ანანიაშვილის წიგნი-პროექტისა – „საქართველო და რუსეთი ბორის გოდუნოვიდან ბორის ელცინამდე და ვ. პუტინამდე" [ანანიაშვილი 2009: 9].

შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ბოლო ორი წლის განმავლობაში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მეცნიერებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ ვილნიუსიდან ჩამოსული მკვლევრებიც: იურატე ლანსბერგიტე, ელიანა ბალიუტიტე-რილიშკენე, რუტა ბრუზგიენე და ტომას ანდრიუკონისი.

ამა წლის მარტის პირველ ნახევარში საქართველოში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ვილნიუსის უნივერსიტეტის თანამშრომელი, დოქტორი ვილიუს ივანაუსკასი, რომელმაც ნაიკითხა საჯარო ლექციები თემებზე: „ლიტვის ისტორიის საბჭოური პერიოდი: გამოწვევები ადგილობრივი ინტელექტუალებისათვის და ეროვნული პროცესები" – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში (9. III) და „საბჭოური ისტორიოგრაფიის პარადიგმები ლიტვის მაგალითზე (1945-1990 წლები)" – ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში (11. III).


2010-2011 სასწავლო წლის I სემესტრში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცალკეულ ფაკულტეტებზე სწავლობდნენ ლიტველი სტუდენტები: ინგა პეტროკაიტე, ონა მიკალიუნაიტე, ვაიდა პუკინაიტე, რუტა კუნდროტაიტე, ეგლე ფეტრულიტე, ეგლე სიდარავიჩიუტე, ინგა იანიულიტე, ტაირა იუნუსოვა, ეიმანტას ნორკევიჩიუსი და იგნას ზიმაიტისი.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს და ლიტვას შორის საკმაოდ მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა არსებობს. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 2008 წლის აგვისტოს მძიმე დღეებში, როდესაც საქართველო კიდევ ერთხელ დადგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

იმხანად საქართველოს მაქსიმალური თანადგომა აღმოუჩინეს მეგობარმა ქვეყნებმა და მათ შორის ლიტვამ, რომლის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი 12 აგვისტოს თბილისს ეწვია და თავისი მხარდაჭერა საჯაროდ დააფიქსირა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ადამკუსი იყო ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების იმ ყველაზე თავგამოდებულ მხარდამჭერთა შორის, რომლებიც, ომამდე სულ რამდენიმე თვით ადრე, ბუქარესტში გამართულ სამიტზე ჩვენი ქვეყნისათვის მაპ-ის დაუყოვნებლივ მინიჭებას ითხოვდნენ [ასმუსი 2010: 145-147].

2009 წლის 23 ივნისს, საქართველოს წინაშე დამსახურებისათვის პრეზიდენტი ვ. ადამკუსი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.


ამრიგად, XX საუკუნის შუა ხანებიდან ქართულ-ლიტვური ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს და ლიტვას შორის საკმაოდ მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა არსებობს.



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილისა და
ლატვიის პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი ურთიერთობენ
(25. IX. 2007 წ.)



საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ლატვიაში.
მიხეილ სააკაშვილისგან მარჯვნივ მარლენ მიქიანი (რიგა, 2004 წ.)



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის
გამოსვლა ლატვიის სეიმში (რიგა, ოქტომბერი, 2008 წ.)



საქართველოს ელჩმა კონსტანტინე კორკელიამ რწმუნებათა სიგელი გადასცა
ლატვიის პრეზიდენტ ვალდის ზატლერსს (რიგა, 26. II. 2008 წ.)



[illegible] ოთარ იოსელიანი
სტუმრად [illegible] ქართველებთან (2004 წ.)



ნანი ბრეგვაძე და ეკა მამალაძე
სტუმრად რიგელ ქართველებთან (2006 წ.)




ვენტა კოცერე და ირაკლი ღარიბაშვილი ხელს აწერენ დოკუმენტს თანამშრომლობის შესახებ (15. XI. 2007 წ.)




საზეიმო შეხვედრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში. მიკროფონთან ლატვიის ელჩი საქართველოში ანდრის ვილცანსი (15. XI. 2007 წ.)



ცარიელი: გიორ ლატვიის პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი
(რიგა, 7 VII. 2008 წ.)



რაიმონდ პაულსი და გოჩა ხუსკივაძე
(რიგა, 10. VII. 2008 წ.)



ატეშრად ლატვიის მეცნიერებათა აკადემიათა.
მარჯვნიდან: ნიკო ჯავახიშვილი, აკადემიკოსი იანის სტრადინში,
საქართველოს ელჩი ლატვიაში კონსტანტინე კორკელია
კონსულ ქეთევან ესიაშვილი, ანდრეის კრუსკოპსი (რიგა, 18. VIII. 2009 წ.)



მარჯვნიდან: კონსტანტინე კორკელია, ნიკო ჯავახიშვილი,
ქეთევან ესიაშვილი, იანის სტრადინში
(რიგა, 18. VIII. 2009 წ.)




უკრაინის დამ...
ნიკო ჯავახიშვ...
(მარცხნივ...



...ლობა დღესაწაული რიგაში (24. VIII. 2009 წ.).
უკრაინაში ელჩთან ლატვიაში რაულ ჩილაჩავასთან
...მიკოს ვიქტორ კალნბერზთან (მარჯვნივ)



მარცხნიდან: კონსტანტინე კორკელია, ვენტა კოცერე, ნიკო ჯავახიშვილი
(რიგა, 24. VIII. 2009 წ.)



ჯავაიშვილის ლექცია ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში (27 VIII. 2009 წ.)



ჯავაიშვილის ლექცია ლატვიის სამხედრო მუზეუმში (4. IX. 2009 წ.).
რიბუნასთან დოქტორი ანდრეის კრუსკოპსი



ბრიტანეთის ლონდონის უნივერსიტეტი (8. IX. 2009 წ.)



შეხვედრა ლატვიელთა საზოგადოებაში. მარჯვნიდან: ლატვიის სეიმის თავმჯდომარე გუნდარს დაუძე, საზოგადოების თავმჯდომარე რეგინა იაკობიძე და ნიკო ჯავახიშვილი (თბილისი, 5. III. 2010 წ.)



„წმ. გიორგი“ (2001 წ.).
ავტორი გოჩა ხუსკივაძე



მონუმენტი რიგის ცენტრში.
ავტორი სანდრო ჩხაიძე



„ავტოპორტრეტი" (19
ავტორი ნუგზარ პა



„ს (1983 წ.).
ავტორი ნუგზარ ჯაქაძე



1-ლატიანი მონეტა.
ესკიზის ავტორი სანდრო ჩხაიძე



„დიანა“ ავტორი ნუკზარ კახიანი



იანის გლეისლერის 80 წლის იუბილე (რიგა, 2004 წ.) იუბილარის მარცხნივ – რეჟისორ ნელია გლეიზდა, მარჯვნივ – აკადემიკოსი ვიქტორ კალნბერზი




ბ... ბა (რიგა, 2010 წ.
ს გრიგორლია



ბესარიონ ბერაძე და ნ. ჯავახიშვილი
(რიგა, 4. IX. 2009 წ.)




მომღერალი
ედვინ ზიბერგსი




ცესისის ციხესიმაგრე, რომელიც აღწერა გრიგოლ ორბელიანმა



რაულ ჩილაჩავა და ნიკო ჯავახიშვილი ცესისის ციხესიმაგრეში
(7 IX. 2009 წ.)



ნოდარ
ხუციშვილი.



ქალი
ურაბ ქეცბაია



ნ. ჯავახიშვილის ლექცია ლატვიის აკადემიურ ბიბლიოთეკაში.
ნელია გლეიზდა თავისი მეუღლის მხატვრულ ნამუშევარს
საჩუქრად გადასცემს ნ. ჯავახიშვილს (14. IX. 2010 წ.)



სტუმრად ლიტვის ელჩთან ლატვიაში ასტანაი ვალიონიათან
(16. IX. 2010 წ.)



ჯავახიშვილის ლექცია ლატვიის ეროვნული ისტორიის მუზეუმში (16. IX. 2010 წ.)

7. ქართულ-ესტონური ურთიერთობა (1945-2010 წწ.)

სსრკ-ის შემადგენლობაში ბალტიის ქვეყნების იძულებით შეყვანის შემდეგ, საქართველო და ესტონეთი ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, რის შემდეგაც, ქართულ-ესტონური კულტურული ურთიერთობები აღდგა.

საგულისხმოა, ჯერ კიდევ 1941 წელს, ესტონური ჟურნალ „კოსნურკის" პირველი ნომერი მთლიანად მიეძღვნა საქართველოს.

საქართველოს და ესტონეთის რადიოსადგურები ერთმანეთს პროგრამებს საკმაოდ ხშირად უცვლიდნენ [საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1980: 511].

საქართველოში მცხოვრებ ესტონელთა საერთო რაოდენობა შეადგენდა: 1939 წელს – 2498 ადამიანს, 1959 წელს – 2148-ს, 1970 წელს – 2108-ს, 1979 წელს – 1625-ს, ხოლო 1989 წელს – 2316-ს [თოთაძე 2009: 214].

1955 წლიდან აფხაზეთში, მდინარე კოდორის მარჯვენა სანაპიროზე (გულრიფშის რაიონი) დამკვიდრებულ ესტონელთა დასახლებას – „ესტონკა" ეწოდა [ჩიქოვანი 2008: 278].

ესტონური ეროვნული ბალეტის ჩამოყალიბებაზე გარკვეული ზეგავლენა იქონია ლენინგრადის ოპერის თეატრის სოლისტის, ცნობილ ქართველ ბალეტმაისტერ ვახტანგ ჭაბუკიანის გამოსვლებმა.

ესტონელმა მხატვრებმა ინტენსიური კავშირი დაამყარეს თავიანთ ქართველ კოლეგებთან. თბილისში ესტონელ მხატვართა გამოფენები მოეწყო 1964, 1972 1979 და 1984 წლებში, ხოლო თეატრის მხატვართა გამოფენა – 1975 წელს.

ქართული პიესები არაერთხელ დაიდგა ესტონეთის თეატრების სცენაზე. ქართველ დრამატურგთა პიესებში ესტონელი მსახიობები მონაწილეობდნენ.

ტალინის ახალგაზრდობის თეატრში ნარმატებით იდგმებოდა დიდი ქართველი მწერლის, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა" [საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1980: 990-1052].

საქართველოს და ესტონეთის უმაღლესმა სასწავლებლებმა ერთმანეთთან შემოქმედებითი კავშირები დაამყარეს.

1963 წელს ტალინსა და ტარტუში გაიმართა ბალტიისპირეთის V ორნითოლოგიური კონფერენცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ესტონელი ორნითოლოგი, პროფესორი ერიკ კუმარი. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი მეცნიერები: რ. ჟორდანია, გ. გოგილაშვილი, ლ. გუნიავა და ნ. გამრეკელი.

რევაზ ჟორდანია იგონებდა: „სიამოვნებით დავდიოდით ამ ძველი და თვითმყოფადი ქალაქების ვიწრო ქუჩებში, მეგობრულად განწყობილ მასპინძლებთან ერთად. მერე ჩავსხედით პატარა გემში („ლერმონტოვი") და მდინარე ემაიიგათი ჩუდის ტბაზე ჩავედით... ტბის პირას ვნახეთ დედათა მოქმედი მონასტერი. გაგვაოცა დიდი თივის ზვინებივით დალაგებულმა დაჭრილმა შეშამ. ვინახულეთ ნარვაც. გზაში, სადაც კი ვიმგზავრეთ, ყველგან გვიჩვენეს ფრინველთა ნაკრძალები ან აღკვეთილები. ყველგან სისუფთავე იყო და ჩანდა ჭეშმარიტი სიყვარული ბუნებისა. ერთ ადგილას გვიჩვენეს მთის არწივის ბუდე, რომლის სიგრძე-სიმაღლე ორ-ორ მეტრს აღემატებოდა. ვიპოვე აქ ერთი გამოცვლილი ფრთის დიდი მომქნევი ბუმბული და წამოვიღე (ახლაც სადემონსტრაციოდ მაქვს ჩემი სტუდენტებისათვის!)" [ჟორდანია 2007: 197-198].

თბილისის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ესტონელ შემოქმედთა გრაფიკისა და გამოყენებითი ხელოვნების ნანარმოებთა გამოფენები [საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1980: 1061].

1964 წელს თბილისში ჩამოვიდნენ ტარტუს უნივერსიტეტის ლექტორი სერგეი ისაკოვი და დიპლომანტი ევა სუიცი. ისაკოვმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში ესტონური ლიტერატურის ისტორიის კურსი წაიკითხა. ესტონეთში დაბრუნების შემდეგ, მან ტარტუს საქალაქო გაზეთსა და უნივერსიტეტის ჟურნალ „ენა და ლიტერატურაში" გამოაქვეყნა ვრცელი წერილი ესტონურ-ქართულ ურთიერთობებზე.

ე. სუიცმა მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია ტარტუში მცხოვრებ ქართველ სტუდენტთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ [დაუშვილი 2007/7/IX: 18-20].

ქართველთა და ბალტიისპირელთა პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდა კრემლის იდეოლოგიურ მარწუხებს, რომლებიც XX საუკუნის 60-70-იან წლებიდან განსაკუთრებით მძაფრად შეინიშნებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით კულტურის სფეროში მოღვაწენი გამოირჩეოდნენ.

ცნობილი თეატრმცოდნის, პროფესორ ვასილ კიკნაძის მოგონებებში მოთხრობილია, რომ გამოჩენილი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი, მრავალი პრემიის ლაურეატი ოთარ თაქთაქიშვილი (1924-1989), რომელიც 1965-1984 წლებში საქართველოს კულტურის მინისტრად მუშაობდა, განსაკუთრებით მეგობრობდა ბალტიისპირელ კოლეგებთან და, მათ შორის, ესტონელებთან.

ვ. კიკნაძე წერს: „ცნობილი ფაქტია, რომ ტრიუმფით დამთავრდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეები. ბატონმა ოთარმა იქ თავი გამოიჩინა, როგორც დიდი კულტურის მქონე მინისტრმა. მან თარჯიმნებად ქართველი გერმანისტები წაიყვანა. მაშინ ეს ძალიან დიდი გაბედულება და უნიკალური შემთხვევა იყო. როგორც წესი, თარჯიმნებად მიჰყავდათ რუსები, რადგან რუსული უნდა ყოფილიყო ურთიერთობის ენა. ამ შემთხვევაში კი რუსული არცერთ მხარეს არ დასჭირდებოდა.

ქართული კულტურის დღეების შემდეგ, პოლიტბიურომ მ. სუსლოვის მეთაურობით საგანგებოდ განიხილა მოძმე რესპუბლიკების კულტურის დღეების საკითხი და მიიღეს მათთვის ჩვეული, იმპერიული გადაწყვეტილება. არამცთუ დემოკრატიულ ქვეყნებში, არამედ მოკავშირე რესპუბლიკებსაც ერთმანეთთან კულტურის დღეები ასეთი ფორმით აღარ უნდა ჩაეტარებინათ. შემოიღეს „საბჭოთა კულტურის დღეები", რაც ნიშნავდა რუსეთის მონაწილეობას ყველა რესპუბლიკის კულტურულ დეკადაში. ამ დროს საქართველოს და ესტონეთს უკვე ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომ ესტონეთში ჩატარებულიყო ქართული კულტურის დღეები. ბრეჟნევის საქართველოში ყოფნის დროს შევარდნაძის სიტყვაშიც გაიჟღერა ამ ფაქტმა, მაგრამ, დადგენილების შემდეგ, ყველაფერი შეიცვალა. როგორც ვთქვი, აიკრძალა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენელთა ერთი-ერთზე შეხვედრა.

– აი, ახლა, რა უნდა ვქნათ. აგვიკრძალეს ესტონეთში მარტო წასვლა. რაღაც უნდა მოვიფიქროთ – ამბობს ბატონი ოთარი და „ვეჩეთი" რეკავს მოსკოვში, ცეკაში. დაუკავშირდა ერთ-ერთ მდივანს, მგონი დემიჩევს. დემიჩევი პასუხობს, გადმორეკეთ ნახევარი საათის შემდეგ, საკითხზე სუსლოვს დაველაპარაკებიო.

ბატონი ოთარი იმწამსვე რეკავს ესტონეთის ცეკას მესამე მდივანთან. ესტონეთს ძალიან უნდოდა ქართული კულტურის დღეების ჩატარება. რუსეთისადმი საოცარი სიძულვილი ჰქონდათ. ბატონი ოთარი მდივანს ისე ელაპარაკება, რომ მიახვედროს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ეს ღონისძიება.

– ხომ გახსოვთ, ქართული კულტურის დღეები ესტონეთში პოლიტბიუროს დადგენილებამდე იყო გადაწყვეტილი. თქვენ ხომ უკვე გამოაცხადეთ ამის შესახებ.

ალბათ, რადიოშიც იქნებოდა, ყველგან. აბა, ხალხის მოტყუება როგორ შეიძლება, რას იტყვის საყვარელი ესტონელი ხალხი... მე ნახევარ საათში კიდევ უნდა დავურეკო ამხ. დემიჩევს და აი, ვეტყვი, რომ ესტონეთში დიდი სამზადისია უკვე ჩატარებული. თანაც ბრეჟნევმა იცის, შევარდნაძემ თავის სტატიაში ხომ ახსენა ესტონეთში ჩვენი კულტურის დღეები... ასე როგორ შეიძლება ხალხის გაბითურება!

მივხვდი, რომ ესტონეთის მდივანს მთელი სამოქმედო ინფორმაცია გადასცა. გააგებინა, თუ როგორ უნდა ემოქმედათ. მე კაბინეტიდან გამოსასვლელად წამოვდექი. – ნუ მიდიხარ, დარჩი, არ გაინტერესებს?

ათი წუთის შემდეგ რეკავს ესტონეთის ცეკას მდივანი და ბატონ ოთარს ეუბნება: ესტონეთის რადიომ ეს-ეს არის გადმოსცა მასალა ქართული კულტურის დღეების შესახებ. ჩვენ უკვე დავუკავშირდით მოსკოვში ცეკას, ყველამ იცის ქართული კულტურის დღეების შესახებ. ხალხი ვერ გაგვიგებს, ხალხში უკმაყოფილება იქნება, თუ ჩაიშლება ღონისძიება.

ბატონი ოთარი იცინის: აი, ვასო, რა ჭკვიანი ხალხია ესტონელები. ხელად მიხვდა ჩემს საუბარს. ათ წუთში ყველაფერი გააკეთეს. ახლა მე დავურეკავ ამხ. დემიჩევს. დარეკა. ამხ. დემიჩევმა უთხრა, რომ ესტონეთი შეშფოთებულია ღონისძიების ჩაშლით. რაკი ბრეჟნევი ინფორმირებულია, დეკადა უნდა ჩატარდეს.

ბატონმა ოთარმა პირდაპირ დემონსტრატიულად მაჩვენა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეროვნული საქმე. ამ მხრივ ის ხომ მართლაც დიდი პატრიოტი იყო – საქმით პატრიოტი" [კიკნაძე 2007: 94-96].

50-60-იან წლებში ქართულად ითარგმნებოდა ესტონური ლიტერატურის ცალკეული ნიმუშები, მათ შორის: ჰანს ლიმბრეხტის „სინათლე კორიდორში", ლეო კახისის „მემუარები", ერნი კრუსტენის „გაზაფხულის საძებნელად" და სხვა.

ლიტერატურისა და დრამატურგიის ნიმუშების ქართულიდან ესტონურად და ესტონურიდან ქართულად თარგმნის პროცესი უფრო ინტენსიური გახდა „მთარგმნელობითი კოლეგიის" დაარსების შემდეგ.

70-იან წლებში ქართულიდან ესტონურ ენაზე 50-ზე მეტი ნაწარმოები ითარგმნა. გახშირდა ესტონეთის ხელოვნების, მეცნიერებისა და თეატრალურ მოღვაწეთა ვიზიტები საქართველოში. ესტონეთის თეატრების რეპერტუარში ქართული ოპერები და დრამატული ნაწარმოებები შეიტანეს.

მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია" ესტონურად თარგმნა მერიკე პაუმ, ხოლო იუჰან სმიტამ – ქართული დრამატურგია.

სხვადასხვა დროს ქართულად ითარგმნა ესტონური მოთხრობები, მათ შორის: იან კროსის „კლიოს თვალთა ნინაშე"; „ოთხი მონოლოგი წმინდა გიორგის გამო"; ფრიდელბერგ ტუმასის „აზრები და განწყობილებანი", „ჩიტი და ნეკერჩხალი"; ოლმას გეისტარტის, ეუგენიუს იგნატიავიჩუსის პიესები; ერნი კრუსტენის „ბრმა სიყვარული"; იუჰან სმულის „ყინულის წიგნი"; ენ ვიტემაას „რომანი"; რეინო გუსტავსონის და სხვათა თხზულებები.

ცნობილი ესტონელი მთარგმნელი იუტა ედუარდის ასული პალმი (1944-1996) თბილისში სამ ათეულ წელზე მეტხანს (1963-1996) ცხოვრობდა. იგი მოღვაწეობდა თავისი ქართველი მეუღლის, იმხანად – კალათბურთელის, ამჟამად კი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის დავით ბედიას (დაბ. 1943 წ.) გვარით.

იუტა – რეპრესირებული ოჯახის შვილი იყო. მისი მამა, ესტონური თეატრის ცნობილი რეჟისორი ედუარდ პალმი 1945 წელს ბალტიისპირეთში დამკვიდრებულ-

მა საბჭოთა რეჟიმმა ციმბირში გადაასახლა. გადასახლებიდან გამოქცევის მესამე მცდელობისას იგი დახვრიტეს.

ი. ბედიამ თბილისში დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო მხატვრული თარგმნისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში. იგი სრულყოფილად ფლობდა ექვს ენას, მათ შორის ქართულს. სწორედ ამან გადააწყვეტინა მას, რომ დაეწყო ქართული ლიტერატურის ესტონურ ენაზე თარგმნა. მან დიდი ამაგი დასდო ქართული ლიტერატურის ესტონურ ენაზე თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეს.

1975 წელს იუტამ ესტონურად თარგმნა ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „დიდრო". მალე, მან თარგმნა ნ. დუმბაძის სხვა მოთხრობებიც, რომლებიც სახელწოდებით „მზე" 1977 წელს ტალინში წიგნად გამოიცა.

სხვადასხვა დროს მან თარგმნა: მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე", ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი", რევაზ ინანიშვილის მოთხრობები, ოთარ ჭილაძის „სინათლის წელიწადი", აგრეთვე, ნიკო ლორთქიფანიძის, გურამ რჩეულიშვილის, გურამ პეტრიაშვილისა და ა. კუსრაშვილის ნაწარმოებები [Айвинов 2009: 91-92].

ი. ბედიას მთარგმნელობითი მოღვაწეობის ჭეშმარიტ გვირგვინად იქცა მის მიერ XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის – „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა, რასაც ათწლიანი დაძაბული შრომა დასჭირდა. მთარგმნელმა შეძლო, რომ ამ ნაწარმოების რითმა, დინამიკა, რუსთაველის ენის მრავალფეროვნება და სიმდიდრე თარგმანში მაქსიმალურად შეენარჩუნებინა.

1991 წელს ესტონეთის პრესტიჟულმა გამომცემლობა „ეესტი რაამატმა" ტალინში ესტონურ ენაზე გამოსცა „ვეფხისტყაოსნის" სრული თარგმანი, რომელსაც ცნობილმა ესტონელმა მწერლებმა, მთარგმნელებმა, პუბლიცისტებმა და ლიტერატურის კრიტიკოსებმა ფრიად მაღალი შეფასება მისცეს.

ი. ბედიას ბიოგრაფია შეიტანეს ესტონურ ენციკლოპედიაში, რაც მისი ღვაწლის დაფასებას წარმოადგენდა.

იუტა გულწრფელად ამბობდა: „არ მჯერა იმ ხალხის, რომლებიც სიამაყით იძახიან: „მე ორი სამშობლო მაქვს". სამშობლო ერთია. მე ძალიან მიყვარს საქართველო, საქართველოს მოქალაქე ვარ, მაგრამ ჩემი სამშობლო – ესტონეთია. განა შეიძლება დაივიწყო იმ მიწის მადლი, სადაც დაიბადე და გაიზარდე. მხოლოდ მაშინ იქნები შენი ქვეყნის ღირსეული შვილი, თუ ამას არ დაივიწყებ".

ცნობილმა ესტონელმა კრიტიკოსმა აქსელ ტაამმა ასეთი შეფასება მისცა ი. ბედიას ცხოვრებას და მოღვაწეობას: „იუტა ყოველთვის არის ჩვენი დასაყრდენი საქართველოში, ის არის ორი კულტურის შემაერთებელი. როცა ესტონეთშია, ის საქართველოზე ფიქრობს, როცა საქართველოშია – ესტონეთზე. იუტა არა უბრალოდ მთარგმნელია, არამედ ეპოსის მთარგმნელია, რაც გრანდიოზული სამუშაოა" [ბედია 2004: 114]

ი. ბედიას ნაადრევი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა როგორც მისი მშობლიური ესტონეთის, ასევე საქართველოსათვის.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოში კვლავინდებურად პოპულარულობით სარგებლობდა ტარტუს უნივერსიტეტი, განსაკუთრებით მისი სამედიცინო ფაკულტეტი. იმ პერიოდში ტალინში ცხოვრობდნენ ტარტუს უნივერსიტეტის აღზრდილი ექიმები: შალვა გულორდავა და ლერი ჯაფარიძე.

1970 წელს თბილისში ჩატარდა ესტონური საესტრადო ანსამბლ „ლაინეს" კონცერტი, ხოლო ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა დელეგაცია ტალინს ეწვია.

1971 წლის ზაფხულში ესტონეთში ქართული კულტურის დღეები გაიმართა. მას თან ახლდა ქართული სატელევიზიო გადაცემები ესტონეთის ტელევიზიაში. ესტონელები უფრო კარგად გაეცნენ ქართულ კულტურას, რომელსაც ესტონურ კულტურასთან ურთიერთობის საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია.

იმავე წლის 26 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე თბილისში ესტონური კულტურის დღეები გაიმართა. საქართველოში ჩამოვიდა ესტონელ კულტურის მოღვაწეთა, მათ შორის კინემატოგრაფისტების დელეგაცია.

საქართველოს მოსახლეობა გაეცნო ესტონეთის თეატრალურ კოლექტივებს, მოეწყო ესტონური სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა, წიგნებისა და წიგნის გრაფიკის ნიმუშთა გამოფენა. ვერნისაჟზე წარმოდგენილი იყო ესტონეთის ბავშვთა 286 მხატვრული ნამუშევარი. გაიმართა ესტონური კინოფილმების ფესტივალი [საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1980: 1044].

იმავე წელს, კონსერვატორიაში ჩატარდა ესტონური საორღანო მუსიკის კონცერტი, ხოლო ოპერაში ესტონელ სოლისტთა და გუნდის კონცერტი შედგა.

70-80-იან წლებში ქართულ ტურისტულ მარშრუტებში ძალიან პოპულარული იყო ტალინი, ხოლო სტუდენტებში – საუნივერსიტეტო პრაქტიკები და კონფერენციები ესტონეთში.

1974 წელს თბილისში წარმოადგინეს დრამის თეატრის, 1975 წელს – კინგისეპის სახელმწიფო დრამის თეატრის 2 საგასტროლო სპექტაკლი, 1978 წელს – კომპოზიტორ არვო პიარტის საავტორო კონცერტი, 1982 წელს – ტალინის თეატრის საგასტროლო სპექტაკლი „ბინგო“, 1985 წელს – სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, 1986 წელს – თოჯინების თეატრის წარმოდგენა, 1987 წელს ახალგაზრდული თეატრების III საკავშირო ფესტივალზე – ახალგაზრდულ თეატრ „უგალას“ სპექტაკლი „ჰამლეტი“ ჩამოიტანეს.

1976 წელს მოეწყო ესტონური ნიგნის გამოფენა გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში, ხოლო ქართული წიგნის გამოფენა – ტალინში.

ქართული ხალხური კოლექტივები მონაწილეობდნენ ტალინის ფოლკლორულ ფესტივალებში.

1979 წელს ტალინში ჩატარდა ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი.

1978 წელს ესტონეთის კულტურის სამინისტროს დელეგაცია საქართველოს ესტუმრა [დაუშვილი 2007/7/IX: 19-21].

1978 წელს ესტონეთში საზეიმოდ აღინიშნა დიდი ესტონელი მწერლის, ანტონ ჰანსენ ტამსაარეს იუბილე. 30 იანვარს ტალინში გამართულ საიუბილეო შეკრებაზე იმყოფებოდა ცნობილი ქართველი კრიტიკოსი გურამ ასათიანი (1928-1982), რომელმაც საყურადღებო სიტყვა წარმოთქვა [Асатиани 2004, I: 330-332].

აქვე დავსძენთ, რომ 1976 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „Крылья и корни“ გ. ასათიანმა მიმოიხილა ესტონური მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის (მარია საატი, ერნი კრუსტენი და სხვ.) შემოქმედება [Асатиани 2004, II: 392-407].

1980 წლის შემოდგომაზე, ესტონეთის ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა მთავარი რედაქტორის, ხელე ტიისიალის თხოვნით, აქსელ ტამმა და ელა ტომსონმა მოამზადეს ტელეგადაცემა, სადაც ესტონელ ტელემაყურებელს საქართველოს იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრება და ქართველი მწერლები გააცნეს [ტამი 2004: 123].

1982 წელს თბილისში შედგა შეხვედრა ბალტიისპირეთის ქვეყნების მწერლებთან, რომელთა შორისაც იყო გამოჩენილი ესტონელი მწერალი აინ კალეპი. სწორედ

იმ შეხვედრისას გადაწყდა, რომ ი. ბედიას დაეწყო „ვეფხისტყაოსნის" ესტონურ ენაზე თარგმნა [ბედია 2004: 23-24].

1985 წელს საქართველოს ესტონელი მწერლები ესტუმრნენ. თბილისში ესტონური ლიტერატურის დღეები ჩატარდა.

1986 წელს ტალინში გაიმართა ქართველ მხატვართა გამოფენა.

1986-1987 წლებში ამირან კალაძემ გამოაქვეყნა წერილები თანამედროვე ესტონური მწერლობის, კლასიკოსი მწერლის ანტონ ჰამსე ტამსაარეს 100 წლისთავის და მთარგმნელთა საქმიანობის შესახებ.

1987 წელს ესტონურ პრესაში გამოქვეყნდა აქსელ ტამის მოგონება გურამ ასათიანზე. ესტონელი კრიტიკოსი, რომელიც არაერთხელ იმყოფებოდა საქართველოში და არაერთი ქართველი მეგობარი ჰყავდა, იგონებდა: „არც კი მახსოვს, პირველად როდის შევხვდი. შესაძლოა, ეს ყოფილიყო მოსკოვში გამართული რაიმე თათბირი კრიტიკაში, ან იქნებ ეს შეხვედრა მომხდარიყო ტალინში, სადაც გურამ ასათიანი არაერთხელ ყოფილა ლიტერატურულ იუბილეებზე თუ თათბირებზე. მას რაღაც არისტოკრატული შარავანდედი მოსავდა...

ესტონური ლიტერატურისათვის ასათიანის ერთი გამოსვლაა განსაკუთრებით აღსანიშნავი. საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობასთან არსებულმა ესტონური ლიტერატურის საბჭომ ახალგაზრდა ესტონელ მწერალთა შემოქმედების განხილვა მოაწყო... იმ შეკრებაზე ბევრი უკმაყოფილებას და შეშფოთებას გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ ესტონური პროზა არც ერთ სხვას არ ჰგავს. ასათიანის გამოსვლის პოლემიკური პათოსი შემდეგი იყო: სწორედ იმაში, რომ სხვას არ ჰგავს, სწორედ ამ თავისებურებაში მდგომარეობს ეროვნული ლიტერატურის აზრი და ძალა" [ტამი 2004: 120-123].

1988 წელს ესტონურ ჟურნალში დაიბეჭდა ვრცელი წერილი ქართველ მწერლებზე, უნო ურსოოს „ილია და ესტონეთი" და ა. შ.

მოჭადრაკე პაულ კერესი მეგობრობდა ქართველ მოჭადრაკეებთან, ხოლო პოპულარული ტელეწამყვანი უნო ოტტო – ქართველ კოლეგებთან.

კინოფილმ „დათა თუთაშხიაში" გრაფი სეგედის როლი შეასრულა ცნობილმა ესტონელმა მსახიობმა იური იარვეტმა, რომელიც 80-იან წლებში საქართველოს არაერთხელ ეწვია.

ესტონელ კოლეგებთან შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ფოლკლორულ ანსამბლ „მთიების" ხელმძღვანელს, ზემოხსენებულ ედიშერ გარაყანიძეს (1957-1998), რომელიც იგონებდა: „1985 წლის დეკემბერში მოსკოვში, მხატვრის სახლში, გამოვდიოდით ჩვენ და ესტონური ახალგაზრდული ფოლკლორული (ისიც ქალაქური) ანსამბლი; მეორე დღეს, კომპოზიტორთა სახლში კი – ქართველი და ესტონელი გლეხები. ეს იყო პირველი „ჩვენი" კონცერტი" [გარაყანიძე 2007: 153].

სსრ კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებში ქართულ-ესტონური ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახდა. მათ შორის საფუძველი ჩაეყარა პოლიტიკურ ურთიერთობებს.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გახმაურებასა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ესტონეთმა და ბალტიის სხვა ქვეყნებმა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ორი ხალხის დაახლოებას.

1990 წელს საქართველოში ჩამოვიდა ესტონელ პოლიტიკოსთა დელეგაცია, ხოლო 1991 წელს – თავდაცვის მინისტრი ლენარტ მერი, რომელიც შემდეგ ესტონეთის პრეზიდენტი გახდა.

1991 წელს ტალინში გამართულ საერთაშორისო საგუნდო მუსიკალურ ფესტივალზე „სიმღერის ხიდები“ მიიწვიეს ქართული მხატვრული კოლექტივები, რომელთა გამოსვლებსაც თან ახლდა ქართული სამზარეულოს პრეზენტაცია რესტორან „გდინიაში“.

თბილისისა და ტალინის საოპერო თეატრები „ოპერა-ევროპას“ წევრები არიან, რაც საფუძველს უყრის მომავალ მჭიდრო თანამშრომლობას.

2000 წელს თბილისში შედგა ოპერა „ესტონიას“ გასტროლები, ბალეტის სოლისტების – კაიმე კეგრბაას და ვალესტუს იანსონის გამოსვლები [დაუშვილი 2007/7/IX: 19-21].

1992 წლის 16 ივნისიდან საქართველოსა და ესტონეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა.

1997 წელს თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ესტონეთის პარლამენტის წარმომადგენელი თომას სავი, რომელმაც საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობაზე ხელშეკრულება დადო.

1999 წელს საქართველოში ჩამოვიდა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰენდრიკ ილვესი, ხოლო 2001 წელს – თავდაცვის მინისტრი იური ლუიკი.

1999 წლიდან საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს ბალტიის რესპუბლიკებში, და მათ შორის ესტონეთშიც, იცავდა საქართველოს გენერალური კონსული ზურაბ მარშანია.

2003 წლის სექტემბერში ვილნიუსში ამოქმედდა საქართველოს საელჩო ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამ ქვეყნებში დაინიშნა დავით აფციაური.

2006 წლის 13 ოქტომბერს შეიქმნა საქართველოს საელჩო ესტონეთის რესპუბლიკაში. საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებულის მოვალეობანი დაეკისრა რუსლან აბაშიძეს.

2009 წლის 13 მარტს რუსლან აბაშიძე დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ესტონეთის რესპუბლიკაში.

2008 წლის 18 სექტემბრიდან დღემდე საქართველოში ესტონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია ტომას ლუკი.

სსრ კავშირის დაშლისა და ესტონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ასევე აფხაზეთში მიმდინარე საომარი კონფლიქტის (1992-1993 წწ.) პერიოდში, საქართველოში მცხოვრებ ესტონელთა უმეტესობა თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა.

2002 წლისათვის საქართველოში მხოლოდ 59 ესტონელი ცხოვრობდა. ისინი ძირითადად ქართულ-ესტონური შერეული ოჯახების წარმომადგენლები იყვნენ [თოთაძე 2009: 214].

XX საუკუნის მიწურულს თბილისში შეიქმნა საქართველოში მცხოვრებ ესტონელთა საზოგადოება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქართველთა რძალი – რეგინა კახიძე. მისი თაოსნობით, საზოგადოება ესტონური ენის შესწავლაში ეხმარება მსურველებს, რომელთა შორისაც ძირითადად ქართულ-ესტონური შერეული ოჯახების შთამომავლები არიან.

2008 წელს საზეიმოდ აღინიშნა ტარტუს უნივერსიტეტის დაარსების 375 წლისთავი. ამ ხნის განმავლობაში ეს უმაღლესი სასწავლებელი 500-მდე ქართველმა დაამთავრა. ამ თარიღთან დაკავშირებით, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თბილისის კინომსახიობთა თეატრის დირექტორმა საგასტროლოდ მოიწვია მო-

ცეკვავეთა ანსამბლი ესტონეთიდან. მისივე მოწვევით, ამ დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ტარტუს უნივერსიტეტის ქართველი კურსდამთავრებულები და ესტონური სათვისტომოს წევრი მაია ჯორჯაძე.

ტარტუს უნივერსიტეტის ქართველ კურსდამთავრებულთა შორის არაერთი ცნობილი ექიმია. მათ გადაწყვიტეს, რომ უფასოდ მიიღონ ესტონური დიასპორის წარმომადგენლები და ისინი წამლებით უფასოდ მოამარაგონ.

2008 წელს საქართველოს ესტონელთა საზოგადოების ხელმძღვანელი რეგინა კახიძე თავისი ისტორიული სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოვდა ესტონეთის რესპუბლიკის „თეთრი ვარსკვლავის“ V ხარისხის ორდენით.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს და ესტონეთს შორის საკმაოდ მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა არსებობს. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 2008 წლის აგვისტოს მძიმე დღეებში, როდესაც საქართველო კიდევ ერთხელ დადგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

იმხანად საქართველოს მაქსიმალური თანადგომა აღმოუჩინეს მეგობარმა ქვეყნებმა და მათ შორის ესტონეთმა, რომლის პრეზიდენტი ტოომას ილვესი 12 აგვისტოს თბილისს ეწვია და თავისი მხარდაჭერა საჯაროდ დააფიქსირა.

თანდათან ვითარდება საქართველო-ესტონეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიც. ესტონეთში პოპულარობით სარგებლობს ქართული წარმოების ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები. მათგან გამორჩეული ადგილი უკავია მინერალურ წყლებს, კერძოდ – „ბორჯომს“, რომლის გაყიდვაც ესტონეთის სავაჭრო ობიექტების ქსელში 2010 წლის იანვრიდან ივლისამდე 116%-ით გაიზარდა [„კვირის პალიტრა“ 2010, № 30].

ამრიგად, XX საუკუნის შუა ხანებიდან ქართულ-ესტონური ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს და ესტონეთს შორის საკმაოდ მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა არსებობს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ***ავალიშვილი ზურაბ,*** საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები, ტფილისი, 1929 **[ავალიშვილი 1929].**
2. ***ავალიშვილი ზურაბ,*** პოლიტიკური არაბესკები, ჟურნალი ***„კავკასია“,*** პარიზი, 1937, № 1 **[ავალიშვილი 1937].**
3. ***ალანია ნოდარ,*** ერისთავი გიორგი დავითის ძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბილისი, 1979 **[ალანია 1979].**
4. ***ამირეჯიბი შალვა,*** კონსტანტინე აფხაზი, გაზეთი ***„დამოუკიდებელი საქართველო“,*** საქართველოს პოლიტიკური პარტიების გაერთიანებული ფრონტის ორგანო, პარიზი, 1926, № 5 **[ამირეჯიბი 1926].**
5. ***ამირეჯიბი შალვა,*** ადამიანები და საქმენი, ჟურნალი ***„კავკასიონი“,*** პარიზი, 1930, № 4 **[ამირეჯიბი 1930].**
6. ***ანანიაშვილი გულაბერ,*** საქართველო და რუსეთი ბორის გოდუნოვიდან ბორის ელცინამდე და ვ. პუტინამდე, ღალატისა და ვერაგობის 400 წელი, თბილისი, 2009 **[ანანიაშვილი 2009].**
7. ***ასმუსი რონალდ,*** მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა (საქართველო, რუსეთი და დასავლური სამყაროს მომავალი), მთარგმნელი – ***გია ჭუმბურიძე, დავით დარჩიაშვილის*** რედაქციით, თბილისი, 2010 **[ასმუსი 2010].**
8. ***ბადრიძე შოთა, ცირეკიძე შოთა,*** ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბილისი, 1997 **[ბადრიძე 1997].**
9. ***ბარამიძე არჩილ, მარუაშვილი ლ.,*** ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბილისი, 1979 **[ბარამიძე 1979].**
10. ***ბაქრაძე აკაკი,*** გვიანღა იქნება (ინტერვიუ), აკაკი ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული „და აღვამაღლე რჩეული ერისაგან ჩემისა“, შემდგენელ-რედაქტორი ***თინათინ კობალაძე,*** თბილისი, 2002 **[ბაქრაძე 2002].**
11. ***ბედია დავით,*** ჩიტივით გაფრენილი სიცოცხლე, თბილისი, 2004 **[ბედია 2004].**
12. ***ბერიძე ვახტანგ,*** მოგონებები, თბილისი, 1987 **[ბერიძე 1987].**
13. ***ბერძნიშვილი მაქსიმე,*** მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1980 **[ბერძნიშვილი 1980].**
14. ***ბერძნიშვილი მაქსიმე,*** მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983 **[ბერძნიშვილი 1983].**
15. „ბორჯომი“ ესტონელებმა ლიდერ ბრენდებს შორის დაასახელეს, გაზეთი ***„კვირის პალიტრა“,*** თბილისი, 2010, № 30 (834) **[„კვირის პალიტრა“ 2010, № 30].**
16. ***„ბრძოლის ხმა“,*** საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური ჟურნალი, პარიზი, 1940, № 14 (93) **[„ბრძოლის ხმა“ 1940].**
17. ***ბუაჩიძე კიტა,*** ხალხის მტრის ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე (1929-1979 წწ.), თბილისი, 2003 **[ბუაჩიძე 2003].**

18. *ბუჩისი ალგიმანტას,* სიტყვა გურამ ასათიანზე, წგნ.: *გურამ ასათიანი,* ოთხტომეული, შემდგენლები: *მანანა ქიქოძე, მანანა ამირეჯიბი,* ტ. I, თბილისი, 2004 **[ბუჩისი 2004]**.
19. *ბუხნიკაშვილი გიორგი,* მარჯანიშვილი კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს ძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბილისი, 1983 **[ბუხნიკაშვილი 1983]**.
20. *გაბლიანი გივი,* ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი), ტ. I, ქუთაისი, 1998 **[გაბლიანი 1998]**.
21. *გაბლიანი გივი,* ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი), ტ. II, ქუთაისი, 2000 **[გაბლიანი 2000]**.
22. *გამეზარდაშვილი დავით,* გიორგი ერისთავი, თბილისი, 1949 **[გამეზარდაშვილი 1949]**.
23. *გამსახურდია კონსტანტინე,* ველიკორუსები და არარუსები, გაზეთი *„სახალხო საქმე“,* ტფილისი, 1917, 13 აგვისტო, № 25 **[გამსახურდია 1917]**.
24. *გამყრელიძე აკაკი,* შეხვედრები აკაკი ბაქრაძესთან, აკაკი ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული „და აღვამაღლე რჩეული ერისაგან ჩემისა“, შემდგენელ-რედაქტორი *თინათინ კობალაძე,* თბილისი, 2002 **[გამყრელიძე 2002]**.
25. *გარაყანიძე ედიშერ,* რჩეული წერილები, თბილისი, 2007 **[გარაყანიძე 2007]**.
26. *გაფრინდაშვილი მიხეილ,* ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი, 1978 **[გელაშვილი 1978]**.
27. *გეგეჭკორი ევგენი,* ორი თვე ბალტიის ქვეყნებში. I. ფინლანდია. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური ჟურნალი *„ბრძოლა“,* პარიზი, 1928, № 35 **[გეგეჭკორი 1928]**.
28. *გელაშვილი გია,* გიულდენშტედტი იოჰან ანტონ, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი, 1978 **[გელაშვილი 1978]**.
29. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *გია გელაშვილმა,* ტ. I, თბილისი, 1962 **[გელაშვილი 1962]**.
30. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *გია გელაშვილმა,* ტ. II, თბილისი, 1964 **[გელაშვილი 1964]**.
31. *გოილაძე ვახტანგ,* ვიკინგები საქართველოში, ჟურნალი *„მნათობი“,* თბილისი, 1986, № 4 **[გოილაძე 1984]**.
32. *გონიკიშვილი მიხეილ,* ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბილისი, 1986 **[გონიკიშვილი 1986]**.
33. *დადიანი ბაბო,* მოგონებათა დღიური, თბილისი, 2008 **[დადიანი 2008]**.
34. *დადიანი მიხეილ,* რაც მახსოვს (მოგონებები), ქართველოლოგიურ კვლევათა ჟურნალი *„Pro Georgia“,* ვარშავა, 2008, № 16 **[დადიანი 2008, № 16]**.
35. *„დამოუკიდებელი საქართველო“,* საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო, პარიზი, 1927, № 23 **[„დამოუკიდებელი საქართველო“ 1927]**.
36. *დაუშვილი რუსუდან,* ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბილისი, 2007 **[დაუშვილი 2007]**.
37. *დაუშვილი რუსუდან,* ესტონურ-ქართული ურთიერთობები, წგნ.: ნორვეგიულ-ქართულ-ესტონური ერთობლივი საოპერო გალა-კონცერტისადმი (7/IX/2007) მიძღვნილი ბუკლეტი „ოსლო-თბილისი“, თბილისი, 2007 **[დაუშვილი 2007/7/IX]**.

38. *დაუშვილი რუსუდან,* ქართველები არგენტინაში XX საუკუნის 50-იან წლებში, სამეცნიერო და ლიტერატურულ-პუბლიცისტური ალმანახი *„სამშობლო“*, თბილისი, 2009, №1 [დაუშვილი 2009].
39. დიდებულიძე ალექსანდრე იოსების ძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი, 1978 [ქსე 1978].
40. *დოლიძე ლევან,* გენერლები საქართველოდან (საქართველოს გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატიანე), თბილისი, 2003 [დოლიძე 2003].
41. *დუდაევა ალა,* მილიონ მეერთე, წიგნი I, რუსულიდან თარგმნა *ასმათ ლეკიაშვილმა,* თბილისი, 2010 [დუდაევა 2010].
42. *დუნდუა გიორგი, დუნდუა თედო, ჯავახიშვილი ნიკო,* ფული საქართველოში, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2003 [დუნდუა 2003].
43. *„ერი“,* ჟურნალი, ტფილისი, 28. III. 1910, № 8 [„ერი“ 1910: № 8].
44. *„ერი“,* ჟურნალი, ტფილისი, 4. VII. 1910, № 22 [„ერი“ 1910: № 22].
45. *ერისთავი ლ.,* აბოლი ედუარდ იაკობის ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, თბილისი, 1997 [ერისთავი 1997].
46. *ერქომაიშვილი ანზორ,* ხმა უცნაური, თბილისი, 1999 [ერქომაიშვილი 1999].
47. *ვაჩნაძე ნათელა, ჭეიშვილი გიორგი,* საქართველოს ისტორიის ახალი პერსონაჟები, სამეცნიერო შრომათა კრებული *„Dedicatio“*, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, მიძღვნილი აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 75 წლისთავისადმი, თბილისი, 2001 [ვაჩნაძე 2001].
48. *ვოზნიაკი ანდჟეი,* ქართველები ვარშავაში (XVII-XX საუკუნეებში), კრებული „პოლონელების 200 წელი კავკასიაში. ქართულ-პოლონური ურთიერთკავშირები“, თბილისი, 2004 [ვოზნიაკი 2004].
49. ზემელი, ენციკლოპედია „თბილისი“, თბილისი, 2002 [ენციკლოპედია „თბილისი“ 2002].
50. *„თავისუფალი საქართველო“,* სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანო, სტამბოლი-პარიზი, 1921, № 9-10 [„თავისუფალი საქართველო“ 1921].
51. თბილისო, თბილისო, თბილისო. ლატვიური მოთხრობები და რომანი, ლატვიურიდან თარგმნა *უშანგ სახლთხუციშვილმა,* თბილისი, 1997 [სახლთხუციშვილი 1997].
52. *„თეთრი გიორგი“,* ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის გაზეთი, პარიზი, 1938, №102 [„თეთრი გიორგი“ 1938].
53. *თეიმურაზ ბატონიშვილი,* მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა, *სოლომონ იორდანიშვილის* რედაქციით, წერილითა და შენიშვნებით, თბილისი, 1944 [თეიმურაზ ბატონიშვილი 1944].
54. *თოთაძე ანზორ,* საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, თბილისი, 2009 [თოთაძე 2009].
55. *თოფჩიშვილი როლანდ,* მიხეილ ქურდიანის სახელი სამუდამოდ დარჩება ისტორიაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, მიეძღვნა აკადემიკოს მიხეილ ქურდიანის ხსოვნას, თბილისი, 2010, № 9-10 [თოფჩიშვილი 2010].
56. *„ივერია“,* ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გაზეთი, თბილისი, 1989, № 8 [„ივერია“ 1989].
57. ინტერვიუ გურამ მინაშვილთან, ჩაიწერა *ნათია უტიაშვილმა,* ჟურნალი *„თბილისელები“*, № 27 (288), თბილისი, 2006 [მინაშვილი 2006].
58. *იოანე ბატონიშვილი,* ხუმარსწავლა კალმასობა, წიგნი II, თბილისი, 1991 [იოანე ბატონიშვილი 1991].
59. *კაპანაძე დავით,* ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969 [კაპანაძე 1969].

60. *კვიტაშვილი მერაბ,* თეირანის კონფერენცია, ფიქრები საქართველოს მომავალზე, წინასიტყვა და კომენტარები *გიორგი გაჩეჩილაძისა,* ინგლისურიდან თარგმანი *დოდონა კიზირიასი,* თბილისი, 1991 **[კვიტაშვილი 1991].**
61. *კიკნაძე ვასილ,* გამოთხოვება მოგონებებთან (მემუარები), თბილისი, 2007 **[კიკნაძე 2007].**
62. *კირთაძე ნესტან,* ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923 წწ.), თბილისი, 1997 **[კირთაძე 1997].**
63. *კლავინა ლაიმა,* იული სტრატუმე – გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი, რიგა, 2005 **[კლავინა 2005].**
64. *„კლდე“,* ქართველ ნაციონალისტთა გაზეთი, ბერლინი, 1934, № 14-15 **[„კლდე“ 1934].**
65. ლატვიელი მომხმარებელი „ბორჯომს“ ირჩევს, გაზეთი *„კვირის პალიტრა“,* თბილისი, 2010, № 17 (821) **[„კვირის პალიტრა“ 2010, № 17].**
66. *ლებანიძე ელგუჯა,* ჩვენი შორეული ახლობლები, ჟურნალი *„საქართველოს ქალი“,* თბილისი, 1990, № 1 **[ლებანიძე 1990].**
67. *ლორთქიფანიძე გრიგოლ,* ფიქრები საქართველოზე, რედაქტორ-შემდგენელი *პაატა სურგულაძე,* თბილისი, 1995 **[ლორთქიფანიძე 1995].**
68. *ლორთქიფანიძე გურამ, გერაძე გოჩა,* ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან, თბილისი, 2007 **[ლორთქიფანიძე 2007].**
69. *ლორთქიფანიძე მარიამ,* ჩემი გზა (ზოგი რამ, რაც გამახსენდა), შემდგენელი *ლევან კიკვიძე,* თბილისი, 2007 **[ლორთქიფანიძე 2007].**
70. *მათიკაშვილი ნიკოლოზ, კვალიაშვილი მიხეილ,* იუნკრები, თბილისი, 1990 **[მათიკაშვილი 1990].**
71. *„მამული“,* კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა, ბუენოს-აირესი, 1951, №1 **[„მამული“ 1951, № 1].**
72. *„მამული“,* კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა, ბუენოს-აირესი, 1951, № 2 **[„მამული“ 1951, № 2].**
73. *„მამული“,* კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა, ბუენოს-აირესი, 1951, № 4 **[„მამული“ 1951, № 4].**
74. *„მამული“,* კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა, ბუენოს-აირესი, 1953, № 6 **[„მამული“ 1953, № 6].**
75. *მარუაშვილი ლევან,* XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბილისი, 1954 **[მარუაშვილი 1954].**
76. მატიანე ქართლისა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *სიმონ ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I, თბილისი, 1955 **[მატიანე ქართლისა 1955].**
77. *მაღლაკელიძე შალვა,* მოგონებანი, წგნ.: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში“, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო *ვიქტორ რცხილაძემ,* თბილისი, 1994 **[მაღლაკელიძე 1994].**
78. *მეგრელიძე შამშე,* ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბილისი, 1979 **[მეგრელიძე 1979].**
79. *ნიკოლეიშვილი ქეთი,* ექსპედიცია რობერტს კუპცისის ნაკვალევზე, სამედიცინო ჟურნალი *„ავერსი“,* თბილისი, 2007, № 9 (38) **[ნიკოლეიშვილი 2007].**
80. *ნოზაძე ვიქტორ,* ჩვენი მოკავშირენი, ჟურნალი *„დამოუკიდებელი საქართველო“,* საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო, პარიზი, 1928, № 35 **[ნოზაძე 1928].**

81. *ორბელიანი გრიგოლ,* წერილები (1832-1850 წლები), ტ. I, *აკაკი გაწერელიას* რედაქციით და შენიშვნებით, *კოტე გორდელაძის* წინასიტყვაობით, ტფილისი, 1936 **[ორბელიანი 1936].**

82. *ორბელიანი გრიგოლ,* თხზულებათა სრული კრებული, *აკაკი გაწერელიას* და *ჯუმბერ ჭუმბურიძის* შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1959 **[ორბელიანი 1959].**

83. *პარკაძე ვახტანგ,* მოგონებანი ქართველ მეცნიერებზე, თბილისი, 1993 **[პარკაძე 1993].**

84. *პარკაძე ვახტანგ,* პეტრე ბაგრატიონი (დაბადების 150 წლისთავის გამო), თბილისი, 1970 **[პარკაძე 1970].**

85. *პატარიძე ელისე,* პეტრე დიდის ანდერძი და ისტორიის განაჩენი, ჟურნალი *„სამშობლო“,* პარიზი, 1937, № 21-22 **[პატარიძე 1937].**

86. *პატარიძე ელისე,* პრომეთეელთა მოძრაობა, ჟურნალი *„სამშობლო“,* პარიზი, 1938, № 25-26 **[პატარიძე 1938].**

87. პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი (1627 წ.), იტალიურიდან თარგმნა *ილია ჭყონიამ,* გაზეთი *„ივერია“,* ტფილისი, 1899, № 3 **[ჭყონია 1899].**

88. *ყორდანია ნოე,* ერთა ლიგა და საბჭოები, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური გაზეთი *„ბრძოლის ხმა“,* პარიზი, 1934, № 42 **[ყორდანია 1934].**

89. *ყორდანია ნოე,* ჩემი წარსული, თბილისი, 1990 **[ყორდანია 1990].**

90. *ყორდანია რევაზ,* მოგონებათა კონა (ქართველი ინტელიგენტის ცხოვრება XX საუკუნეში), თბილისი, 2007 **[ყორდანია 2007].**

91. *ყღენტი ელადიმერ, გელბახიანი პეტრე, ტატიშვილი ირაკლი,* მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, თბილისი, 1971 **[ყღენტი 1971].**

92. *რაინისი და ასპაზია,* სამფერი მზე, გამოცემის იდეის, კონცეფციის, წინასიტყვაობის ავტორი, შემდგენელი და ქართულ-უკრაინულ ენებზე მთარგმნელი *რაულ ჩილაჩავა,* რიგა, 2007 **[ჩილაჩავა 2007].**

93. *რიგელი,* ქართველთა საზოგადოება ლატვიაში, ჟურნალი *„ორნატი“,* პარიზი, 1934, № 6 **[“ორნატი“ 1934].**

94. *საითიძე გელა,* პეტრე სურგულაძის საგამომცემლო-პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, თბილისი, 2009 **[საითიძე 2009].**

95. *სამუშია ჯაბა,* ვიკინგები საქართველოში და სასირეთის ბრძოლა, თბილისი, 2008 **[სამუშია 2008].**

96. *„საქართველო“,* ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი, ბერლინი, 1944, 3 ივლისი, № 26 (103) **[„საქართველო“ 1944, № 26].**

97. *„საქართველო“,* ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი, ბერლინი, 1944, 18 სექტემბერი, № 37 (114) **[„საქართველო“ 1944, № 37].**

98. *„საქართველო“,* ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი, ბერლინი, 1945, 8 იანვარი, № 2 (130) **[„საქართველო“ 1945, № 2].**

99. „საქართველო-ლატვია: გუშინ, დღეს, ხვალ“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიბლიოთეკაში 2007 წლის 15 ნოემბერს გახსნილი გამოფენისადმი მიძღვნილი ბუკლეტი, თბილისი, 2007 **[„საქართველო-ლატვია: გუშინ, დღეს, ხვალ“ 2007].**

100. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, თბილისი, 1980 **[საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1980].**

101. *„საქართველოს რესპუბლიკა“*, ტფილისი, 1921, № 31 [**„საქართველოს რესპუბლიკა“ 1921**].
102. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 4342, ფურცლები 2-3 [**სცსსა, ფ. 13, ა. 27, ს. 4342**].
103. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5413, ფურცლები 12-21 [**სცსსა, ფ. 13, ა. 27, ს. 5413**].
104. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5423, ფურცლები 11-24 [**სცსსა, ფ. 13, ა. 27, ს. 5423**].
105. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5432, ფურცლები 4-5 [**სცსსა, ფ. 13, ა. 27, ს. 5432**].
106. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5438, ფურცლები 30-32 [**სცსსა, ფ. 13, ა. 27, ს. 5438**].
107. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5439, ფურცლები 3-50 [**სცსსა, ფ. 13, ა. 27, ს. 5439**].
108. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 5542, ფურცლები 18-19 [**სცსსა, ფ. 13, ა. 27, ს. 5542**].
109. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 157, აღწერა 1, საქმე 320, ფურცელი 398 [**სცსსა, ფ. 157, ა. 1, ს. 320**].
110. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 242, აღწერა 1, საქმე 94, ფურცლები 99-100 [**სცსსა, ფ. 242, ა. 1, ს. 94**].
111. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1458, საქმე 99-105 [**სცსსა, ფ. 1458, ს. №№ 99-105**].
112. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 48, ფურცელი 63 [**სცსსა, ფ. 1864, ა. 1, ს. № 48**].
113. *„სახალხო საქმე“*, ტფილისი, 1917, 17 სექტემბერი [**„სახალხო საქმე“ 1917**].
114. ***სახლთხუციშვილი უშანგი,*** ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, თბილისი, 1997 [**სახლთხუციშვილი 1997**].
115. სიმონსონი ოტო იაკობ, ენციკლოპედია „თბილისი“, თბილისი, 2002 [**ენციკლოპედია „თბილისი“ 2002**].
116. ***სიხარულიძე ფრიდონ,*** მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბილისი, 1991 [**სიხარულიძე 1991**].
117. ***სიხარულიძე ფრიდონ,*** ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბილისი, 1997 [**სიხარულიძე 1997**].
118. ***სულაძე გელა,*** ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918 -1953 წწ.), თბილისი, 2010 [**სულაძე 2010**].
119. ***სურმანიძე რამაზ,*** გენერალ-ლეიტენანტი თერგდალეულთა თაობიდან (ახალი ცნობები გიორგი ყაზბეგის ბიოგრაფიიდან), ბათუმი, 2006 [**სურმანიძე 2006**].
120. ***ტაამი აქსელ,*** მემუარების მისადგომებთან, ნგნ.: *გურამ ასათიანი,* ოთხტომეული, შემდგენლები *მანანა ქიქოძე, მანანა ამირეჯიბი,* ტ. I, თბილისი, 2004 [**ტაამი 2004**].
121. ***ტატიშვილი ვლადიმერ,*** ქართველები მოსკოვში, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 1959 [**ტატიშვილი 1959**].
122. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები (1917-1926 წწ.), გამოსაცემად მოამზადეს და საძიებლები დაურთეს *მანანა ლილუაშვილმა* და *ზურაბ გაიპარაშვილმა,* თბილისი, 2006 [**ლილუაშვილი 2006**].
123. ***ქავთარაძე ლიზიკო,*** 28 წელი გულაგში, თბილისი, 2008 [**ქავთარაძე 2008**].
124. ***ქავთარაძე მიხეილ,*** აპრილის დემონსტრაციის გაკვეთილი, ჟურნალი *„ივერია“*, პარიზი, 1978, № 20 [**ქავთარაძე 1978**].

125. ***ქავთარაძე მიხეილ,*** ცხოვრების 100 წელი (მოგონებები, წერილები, თარგმანები, ლექსები), თბილისი, 2007 **[ქავთარაძე 2007].**
126. *„ქართული აზრი“,* აშშ-ის ქართული სათვისტომოს გაზეთი, ნიუ-იორკი, 1961, № 42 **[„ქართული აზრი“ 1961].**
127. *„ქართული აზრი“,* აშშ-ის ქართული სათვისტომოს გაზეთი, ნიუ-იორკი, 1964, № 65-66 **[„ქართული აზრი“ 1964].**
128. *„ქართული აზრი“,*აშშ-ის ქართული სათვისტომოს გაზეთი, ნიუ-იორკი, 1966, № 74 **[„ქართული აზრი“ 1966].**
129. *„ქართული აზრი“,* აშშ-ის ქართული სათვისტომოს გაზეთი, ნიუ-იორკი, 1971, № 88 **[„ქართული აზრი“ 1971].**
130. *„ქართული აზრი“,* აშშ-ის ქართული სათვისტომოს გაზეთი, ნიუ-იორკი, 1974, № 96 **[„ქართული აზრი“ 1974].**
131. ***ქებულაძე რევაზ,*** ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1971 **[ქებულაძე 1971].**
132. ***ქებულაძე რევაზ,*** საქართველოში აღმოჩენილი ევროპული სპილენძის მონეტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, სერია „ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია“, ტ. 338, თბილისი, 2001 **[ქებულაძე 2001].**
133. ***ქიქოძე მანანა,*** ასეთი იყო გურამის ცხოვრება, წგნ.: *გურამ ასათიანი,* ოთხტომეული, შემდგენლები *მანანა ქიქოძე, მანანა ამირეჯიბი,* ტ. I, თბილისი, 2004 **[ქიქოძე 2004].**
134. ***ქუთელია თინათინ,*** ევროპული ფულის განძი კოდავეთიდან, სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგია“, თბილისი, 2008, № 2 **[ქუთელია 2008].**
135. ***ქურხული ავთანდილ,*** და რომ გვახსოვდეს (1921-1953 წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში პოლიტიკური მოტივით რეპრესირებული სამედიცინო მუშაკები), თბილისი, 2004 **[ქურხული 2004].**
136. ღმერთო სამშობლო უცოცხლე (ეძღვნება ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას), შემდგენელი *ანზორ აბჟანდაძე,* თბილისი, 1993 **[აბჟანდაძე 1993].**
137. ***ყუბანეიშვილი სოლომონ,*** დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბილისი, 1955 **[ყუბანეიშვილი 1955].**
138. ***შარაძე გიორგი,*** საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 2003 **[შარაძე 2003].**
139. ***შარაძე გურამ,*** ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 2003 **[შარაძე 2003, IV].**
140. ***შარაძე გურამ,*** ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VIII, თბილისი, 2005 **[შარაძე 2005, VIII].**
141. ***შველიძე დიმიტრი, გაფრინდაშვილი გიორგი,*** გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება, თბილისი, 2010 **[შველიძე 2010].**
142. ***შოთა რუსთაველი,*** ვეფხისტყაოსანი (ნაწყვეტები), ლატვიურად თარგმნეს *ეკაბს იანსონს-საივამ* და *არვიდს სკალბემ,* უკრაინულად თარგმნა *მიკოლა ბაჟანმა,* გამოცემის იდეისა და წინასიტყვაობის ავტორი, შემდგენელი და ქართულ-უკრაინული ტექსტების რედაქტორი *რაულ ჩილაჩავა,* რიგა, 2009 **[შოთა რუსთაველი 2009].**
143. ***ჩაგუნავა რაულ,*** ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა), თბილისი, 1986 **[ჩაგუნავა 1986].**
144. ***ჩაკსი ალექსანდრს,*** მარადისობით ცხებულნი, ლატვიურიდან თარგმნა *ერიკ გრიგოლიამ,* რიგა, 2010 **[ჩაკსი 2010].**

145. *ჩილაჩავა რაულ,* უვადო მიელინება, რიგა, 2009 **[ჩილაჩავა 2009].**
146. *ჩინჩალაძე იზოლდა,* ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი – ჩემი მკურნალი ექიმია, გაზეთი *„მედიცინა“,* თბილისი, 2007, № 7 (209) **[ჩინჩალაძე 2007].**
147. *ჩიქოვანი გულდამ,* ლატვიელები, ლიტველები, ესტონელები, ნგნ.: „ეთნოსები საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მოამზადა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრმა, თბილისი, 2008 **[ჩიქოვანი 2008].**
148. *ჩიქოვანი იური,* თავადი ჭავჭავაძეები, თბილისი, 2002 **[ჭავჭავაძე 2002].**
149. *ჩხიკვიშვილი ნინო,* ის კაცი იყო და ჰანგად იქცა, საზოგადოებრივი ჟურნალი *„ომეგა“,* თბილისი, 2000, № 4 **[ჩხიკვიშვილი 2000].**
150. *ცინცაძე იასე,* მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები), თბილისი, 1965 **[ცინცაძე 1965].**
151. *ცინცაძე სოსო, უმულისი ულდის,* ნატო და საქართველოს უსაფრთხოება, წიგნი გამოცემულია „ახალი თაობა – ახალი ინიციატივისა“ და საინფორმაციო ცენტრის „ნატოს შესახებ“ მიერ, ლატვიის ტრანსატლანტიკურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, თბილისი, 2008 **[ცინცაძე 2008].**
152. *ცომაია ალექსანდრე,* ფრანკოს გამარჯვება, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ჟურნალი *„ახალი ივერია“,* პარიზი, 1939, № 12 **[ცომაია 1939].**
153. *ცომაია ალექსანდრე,* რჩეული თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო *გურამ შარაძემ,* თბილისი, 2000 **[ცომაია 2000].**
154. *წიკლაური შალვა,* ემიგრანტის დღიურები (ლიტვა-ნიდერლანდები), თბილისი, 2006 **[წიკლაური 2006].**
155. *ჭავჭავაძე ალექსანდრე,* მიმართვა ნიკოლოზ პირველისადმი, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე, წგნ.: „ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“, შემდგენელი *ვანო შადური,* თბილისი, 1962 **[ჭავჭავაძე 1962].**
156. *ჭუმბურიძე დოდო,* რუსული დასახლებები აფხაზეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“,* ტ. VIII, თბილისი, 2010 **[ჭუმბურიძე 2010].**
157. *ხანთაძე შოთა,* პაატა ბატონიშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბილისი, 1984 **[ხანთაძე 1984].**
158. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი A, ხელნაწერი 717 **[ხეც A-717].**
159. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H, ხელნაწერი 2178 **[ხეც H-2178].**
160. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S, ხელნაწერი 161 **[ხეც S-161].**
161. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S, ხელნაწერი 1131 **[ხეც S-1131].**
162. *ხიდაშელი შალვა,* უსათაურო მოგონებები, თბილისი, 1994 **[ხიდაშელი 1994].**
163. *ხომერიკი მანანა,* წერილები, თბილისი, 2006 **[ხომერიკი 2006].**
164. *ხუნდაძე მიხეილ,* საქართველოს საკითხი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ჟურნალი *„კავკასიონი“,* პარიზი, 1929, № 1-2 **[ხუნდაძე 1929].**
165. *ჯავახიშვილი ივანე,* ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, ნაწილი მეორე, წიგნში: „თხზულებანი თორმეტ ტომად“, ტ. III, თბილისი, 1982 **[ჯავახიშვილი 1982].**

166. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან), თბილისი, 1998 **[ჯავახიშვილი 1998, I].**

167. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ (პოლონურ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან), თბილისი, 1998 **[ჯავახიშვილი 1998, II].**

168. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** ღირსეულ მამულიშვილთა სადიდებლად (რეცენზია 1997-1998 წლებში რიგაში გამოცემულ ორტომეულზე „სამი ვარსკვლავის სხივებში"), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წელიწდეული *„ქართული დიპლომატია"*, ტ. VI, თბილისი, 1999 **[ჯავახიშვილი 1999].**

169. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** კავკასიური სიმბოლიკა საქართველოს სამეფოს გერბზე, წელიწდეული *„ქართული დიპლომატია"*, ტ. XIII, თბილისი, 2007 **[ჯავახიშვილი 2007].**

170. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** გრიგოლ I – უკანასკნელი ქართველი მეფე, თბილისი, 2008 **[ჯავახიშვილი 2008].**

171. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები"*, ტ. V, თბილისი, 2009 **[ჯავახიშვილი 2009, № 5].**

172. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** ოთხი ეტიუდი ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, კრებული *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები"*, ტ. VI, თბილისი, 2009 **[ჯავახიშვილი 2009, № 6].**

173. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** ქართველთა კვალი ბალტიისპირეთში (XVII საუკუნის მიწურულიდან – XIX საუკუნის შუა ხანებამდე), კრებული *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები"*, ტ. VII, თბილისი, 2010 **[ჯავახიშვილი 2010, № 7].**

174. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისიდან – XX საუკუნის დასაწყისამდე), კრებული *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები"*, ტ. VIII, თბილისი, 2010 **[ჯავახიშვილი 2010, № 8].**

175. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ემიგრაციაში. ბალტიის ქვეყნები ქართველ ემიგრანტთა თვალსაწიერში (1921-1991 წწ.), კრებული *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები"*, ტ. VIII, თბილისი, 2010 **[ჯავახიშვილი 2010, № 8].**

176. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** ქართველი გენერლები ბალტიისპირეთში (XVIII საუკუნის მიწურულიდან – XX საუკუნის ოციან წლებამდე), კრებული *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები"*, ტ. IX, თბილისი, 2011 **[ჯავახიშვილი 2011, № 9].**

177. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის დროს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 2011 **[ჯავახიშვილი 2011, № 1].**

178. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** პაატა ბატონიშვილის შეთქმულება: ისტორიის უცნობი ფურცლები, სამეცნიერო შრომათა კრებული *„ქართული წყაროთმცოდნეობა"*, ტ. XII, თბილისი, 2010 **[ჯავახიშვილი 2010, № 12].**

179. ***ჯავახიშვილი ნიკო,*** ლატეიური დღიური – 2009, ჟურნალი *„ჩვენი მწერლობა"*, თბილისი, 2010, № 3 (107) **[ჯავახიშვილი 2010, № 3].**

180. *ჯავახიშვილი ნიკო,* ლატვიური დღიური – 2010, ჟურნალი *„ჩვენი მწერლობა“*, თბილისი, 2010, № 25 (129) [**ჯავახიშვილი 2010, № 25**].
181. *ჯაფარიძე ლადო,* მოგონებები, ჩანაწერები, თბილისი, 2004 [**ჯაფარიძე 2004**].
182. *ჯორბენაძე სერგო,* ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1984 [**ჯორბენაძე 1984**].
183. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией *А. Берже*), т. V, Тифлис, 1873 [**Акты 1873**].
184. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией *А. Берже*), т. VIII, Тифлис, 1881 [**Акты 1881**].
185. *Анчабадзе Ю., Волкова Н.,* Старый Тбилиси (Город и горожане в XIX веке), Москва, 1990 [**Анчабадзе 1990**].
186. *Асатиани Г.,* Наследие Великого эстонца (из выступления на торжественном юбилейном собрании в Таллинне 30 января 1978 года, წგნ.: *გურამ ასათიანი,* ოთხტომეული, შემდგენლები: *მანანა ქიქოძე, მანანა ამირეჯიბი,* ტ. IV, თბილისი, 2004 [**Асатиани 2004, I**].
187. *Асатиани Г.,* Крылья и корни, წგნ.: *გურამ ასათიანი,* ოთხტომეული, შემდგენლები: *მანანა ქიქოძე, მანანა ამირეჯიბი,* ტ. IV, თბილისი, 2004 [**Асатиани 2004, II**].
188. *Асатиани Г.,* Три параллели, წგნ.: *გურამ ასათიანი,* ოთხტომეული, შემდგენლები: *მანანა ქიქოძე, მანანა ამირეჯიბი,* ტ. IV, თბილისი, 2004 [**Асатиани 2004, III**].
189. *„Атмода“*, информационный бюллетень Народного фронта Латвии „Пробуждение“. Рига, 27. II. 1989 [**„Атмода“ 1989, I**].
190. *„Атмода“*, информационный бюллетень Народного фронта Латвии „Пробуждение“. Рига, 27. III. 1989 [**„Атмода“ 1989, II**].
191. *„Атмода“*, информационный бюллетень Народного фронта Латвии „Пробуждение“. Рига, 15. V. 1989 [**„Атмод“ 1989, III**].
192. *Берга Т.,* Монеты в археологических памятниках Латвии IX-XII вв., Рига, 1988 [**Берга 1988**].
193. *Блейере Д., Бутулис И., Зунда А., Странга А., Фелдманис И.,* История Латвии. XX век, Рига, 2005 [**Блейере 2005**].
194. *Богославский М.,* Петр I. Материалы к биографии, т. II. Москва, 1941 [**Богославский 1941**].
195. *Бутулис И. Зунда А.,* История Латвии, Перевод – *Р. Добровенский,* Рига, 2010 [**Бутулис 2010**].
196. *Ванаг Г.,* Столетний путь химического факультета Рижского политехнического института (1864-1964). В сборнике: „Из истории естествознания и техники Прибалтики“, т. II (VIII), Рига, 1970 [**Ванаг 1970**].
197. *Ватеишвили Д.,* Грузия и европейские страны, т. II, побратим Петра Великого (жизнь и деятельность Александра Багратиони), Москва, 2003 [**Ватеишвили 2003**].
198. *Гагуа В.,* Взаимосвязи грузинского и эстонского народов на рубеже XIX-XX веков (1890-1914 гг.). Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук, Тбилиси, 1990 [**Гагуа 1990**].
199. *Гвин Д.,* Викинги. Потомки Одина и Тора. Перевод с английского *З. Метлицкой,* Москва, 2010 [**Гвин 2010**].
200. *Гогитидзе М.,* Военная элита Кавказа, т. I, генералы и адмиралы из Грузии, Тбилиси, 2007 [**Гогитидзе 2007**].
201. *Горгидзе М.,* Грузины в Петербурге (страницы летописи культурных связей), Тбилиси, 1976 [**Горгидзе 1976**].

202. *Грибанов В.*, Багратион в Петербурге, Ленинград, 1979 [**Грибанов 1979**].
203. Дворянские роды Российской империи. т. I, Князья. Руководитель авторского коллектива *П. Гребельский*, под редакцией *С. Думина*, Санкт-Петербург, 1993 [**Дворянские роды 1993**].
204. Дворянские роды Российской империи. т. III, Князья, под редакцией *С. Думина*, Москва, 1996 [**Дворянские роды 1996**].
205. *Дегтярев К., Колпакиди А.*, Внешняя разветка СССР, Москва, 2009 [**Дегтярев 2009**].
206. *Джавахов (Джавахишвили) И.*, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., Санкт-Петербург, 1906 [**Джавахов 1906**].
207. *Джавахишвили Н.*, Санкт-Петербург - центр русско-грузинских взаимоотношений (1703-2003 гг.), Тбилиси, 2003 [**Джавахишвили 2003, I**].
208. *Джавахишвили Н.*, Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тбилиси, 2003 [**Джавахишвили 2003, II**].
209. *Джавахишвили Н.*, Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX в.), Тбилиси, 2005 [**Джавахишвили 2005**].
210. *Джавахишвили Н.*, Малоизвестные страницы истории грузино-балтийских взаимоотношении (X-XVIII вв.), „Кавказ и глобализация". Журнал социально-политических и экономических исследований, Институт стратегических исследований Кавказа, CA&CC Press, Швеция, т. 4, выпуск 3-4, 2010 [**Джавахишвили 2010**].
211. *Джавахишвили Н.*, Новые источники по истории грузино-норманских взаимоотношений (XI век), Материалы международной научной конференции: „Археология, этнология, фольклористика Кавказа" (Тбилиси, 27-30 сентября 2010 года). Организаторы конференции: „Фонд Кавказа", „Комиссия по научному сотрудничеству со странами Кавказа" Национальной Академии Наук Грузии, Центр археологии имени Отара Лорткипанидзе Национального Музея Грузии.Тбилиси, 2011 [**Джавахишвили 2011**].
212. *Думин С., Гребельский П.*, Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией *С. Думина* и *Ю.Чиковани*, Москва, 1998 [**Думин 1998**].
213. *Епископ Кирион*, Свенский колокол в плену у Камальдулов, Ковно, 1907 [**Епископ Кирион 1907**].
214. *„Иллюстрированная газета"*, Санкт-Петербург, 8. II. 1876 [**„Иллюстрированная газета" 1876**].
215. *Исаков С.*, Сквозь годы и расстояния. Из истории культурных связей Эстонии с Украиной, Грузией и Латвией В XIX - начале XX века, Таллин, 1969 [**Исаков 1969**].
216. *„Кавказ"*, сборник связи кавказцев на чужбине, Рига, 1931 [**„Кавказ" 1931**].
217. *Кикнадзе В.*, Епископ Кирион в Ковно; Польская тема в произведениях Кириона, *„Pro Georgia"*, Journal of Kartvelological Studies, Warsaw, 2010, № 20 [**Кикнадзе 2010**].
218. *Курлович Г., Томашун А.*, История Латвии. Учебник для основной школы. 2-е издание, переработанное и дополненное. Перевод с латышского *И. Шнейдере*, Рига, 2002 [**Курлович 2002**].
219. Лучше знать друг друга. Книга издана Ассоциацией русскоязычных журналистов Грузии. Автор-составитель *М. Айдинов*, Тбилиси, 2009 [**Айдинов 2009**].
220. *Мамулиа Г.*, Грузинский легион в борьбе за свободу и независимость Грузии в годы второй мировой войны, Тбилиси, 2003 [**Мамулиа 2003**].
221. *Маркарян С.*, „Варанги" „Матиане Картлиса" в историческом произведении Степаноса Орбеляна, Труды Тбилисского государственного университета имени Ив. Джавахишвили, Тбилиси, 2001, № 338 [**Маркарян 2001**].

222. *Ментешашвили А.*, Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, Тбилиси, 1998 [**Ментешашвили 1998**].
223. *Мурашев Г.*, Титулы, чины, награды, Санкт-Петербург, 2002 [**Мурашев 2002**].
224. *Павленко Н.*, Петр Великий, Москва, 1990 [**Павленко 1990**].
225. *Пахомов Е.*, Монеты Грузии, Тбилиси, 1970 [**Пахомов 1970**].
226. *Петров Н., Скоркин К.*, Кто руководил НКВД (1934-1941 гг.), справочник, под редакцией *Н. Охотина* и *А. Рогинского*, Москва, 1999 [**Петров 1999**].
227. *Пирцхалайшвили А.*, Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го), В сборнике: „Вопросы истории Грузии феодальной эпохи", т. II, Тбилиси, 1970 [**Пирцхалайшвили 1970**].
228. *Полиевктов М.*, Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тбилиси, 1935 [**Полиевктов 1935**].
229. *Рыжакова С.*, Кавказские народы в Балтии: между культурной интеграцией и сохранением самобытности (на примере Латвии). Материалы международной научной конференции: „Археология, этнология, фольклористика Кавказа", (Тбилиси, 25-27 июня 2009 года). Организаторы конференции: „Фонд Кавказа", „Комиссия по научному сотрудничеству со странами Кавказа" Национальной Академии Наук Грузии, Центр археологии имени Отара Лорткипанидзе Национального Музея Грузии, Тбилиси. 2010 [**Рыжакова 2010**].
230. *„Рижский вестник"*, Рига, 1876, № 27 [**„Рижский вестник"1876**].
231. Российский государственный исторический архив (в Санкт-Петербурге), фонд 796, опись 8, ед. хр. № 112 [**РГИА, ф. 796, оп. 8, ед. хр. № 112**].
232. *„Санкт-Петербургские ведомости"*, Санкт-Петербург, 1742, № 80 [**„Санкт-Петербургские ведомости" 1742**].
233. *„Сегодня"*, Рига, 1922, № 179 [**„Сегодня" 1922**].
234. Сенатский архив, т. 7. Протоколы Правительствующего Сената, Санкт-Петербург, 1895 [**Сенатский архив 1895**].
235. *Страдинь Я.*, Связи рижских ученых с научными центрами России в конце XIX - начале XX в. В сборнике: „Из истории техники Латвийской ССР", т. 5, Рига, 1964 [**Страдинь 1964**].
236 *Страдинь Я.*, П. Р. Багратион в Прибалтике. В сборнике: „Из истории естествознания и техники Прибалтики", т. II (VIII), Рига, 1970 [**Страдинь 1970**].
237. *Страдинь Я.*, Научная сессия памяти П. Р. Багратиона. В сборнике: „Из истории естествознания и техники Прибалтики", т. II (VIII), Рига, 1970 [**Страдинь 1970**].
238. *Страуме Я.*, Забытая война. Сопротивление латышей русской и немецкой окупации, Рига, 2007 [**Страуме 2007**].
239. *Сычев Н.*, Книга династий, Москва, 2006 [**Сычев 2006**].
240. *Устрялов Н.*, История царствования Петра Великого, т. I, Санкт-Петербург, 1851 [**Устрялов 1851**].
241. Труды V археологического съезда в Тифлисе (1881 г.), Москва, 1887 [**Труды 1887**].
242. *Федорченко В.*, Императорский Дом. Выдающиеся сановники. Энциклопедия биографий. В двух томах, т. I, Красноярск-Москва, 2000 [**Федорченко 2000, I**].
243. *Федорченко В.*, Императорский Дом. Выдающиеся сановники. Энциклопедия биографий. В двух томах, т. II, Красноярск-Москва, 2000 [**Федорченко 2000, II**].
244. *Хмыров М.*, Главные начальники русской артиллерии. 1-ый генерал-фельдцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский. „Артиллерийский Журнал", № 1, Санкт-Петербург, 1866 [**Хмыров 1866**].
245. *Чиковани Ю.*, Род абхазских князей Шервашидзе (Историко-генеалогическое исследование), Тбилиси. 2007 [**Чиковани 2007**].

246. *Шилов Д.*, Государственные деятели Российской империи. Главы высших и центральных учреждений (1802-1917 гг.), Биобиблиографический справочник, Издание второе, исправленное и дополненное, Санкт-Петербург, 2002 [**Шилов 2002**].
247. *Шпилевский Н.*, Описание войны между Россией и Швецией в Финляндии в 1741-1743 гг., Санкт-Петербург, 1859 [**Шпилевский 1859**].
248. Энциклопедия „Рига", Рига, 1989 [**Энциклопедия „Рига" 1989**].
249. *Якобидзе Р.*, Наш великан Робертс Купцис, Журнал *„Русский клуб"*, Тбилиси, 2007, № 10 [**Якобидзе 2007**].
250. Admiralis Teodors Spade, Sastaditaji *M. Bisters* un *J. Ciganovs*, Rīga, 2002 [**Bisters 2002**].
251. „Baltijas Zemkopis", 1876, № 4 [**„Baltijas Zemkopis" 1876**].
252. *Bluzma V., Jundzis T., Riekstins J., Sharp G., Strods H.*, Regaining Independence: Non-violent Resistance in Latvia 1945-1991, Riga, 2009 [**Bluzma 2009**].
253. *Gleizds J.*, Foto gaismas atspulgs, Rīga, 1998 [**Gleizds 1998**].
254. *Gumowski M.*, Mennica Bygoska, Torun, 1950 [**Gumowski 1950**].
255. *Dzawachiszwili N.*, Polka – żona ostatniego gruzińskiego władcy, Materialy z VII Ogolnopolskiego Zjazdu Katedr Doktryn Politycznych i Prawnych „Kultura i mysl polityczno-prawna" (Jurata, 28-31 maja 2008 r.), pod redakcja *A. Sylwestrzaka, D. Szpopera, A. Machnikowskiej i P. Dabrowskiego*, Uniwersytet Gdanski, Sopot, 2010 [**Dzawachiszwili 2010**].
256. *Dvaladze* – Lietuvos partizanas, Vilnius, 1965 [**Dvaladze 1965**].
257. *Ducmane K., Ozolina A.*, Latvija Eiropā: Monētu depozīti 1.- 20 Gadsmitā, Rīga, 2009 [**Ducmane 2009**].
258. *Javakhishvili N.*, Little-known pages of the history of Georgian-Baltic relations in the 10th-18th centuries, *„The Caucasus and globalization"*, Journal of Social, Political and Economic Studies, Institute of strategic studies of the Caucasus, CA&CC Press, Sweden, volume 4, issue 3-4, 2010 [**Javakhishvili 2010**].
259. *Jakobidze R.*, Nezināms vārds Latvijas armācijā, *„Latvijas Zinātņu Akadēmijas Vēstis"*, A – daļa: Sociālās un humanitārās zinātnes, Rīga, 2008, № 2 [**Jakobidze 2008**].
260. *Jēkabsons Ē.*, Latviešu Sarkanās armijas un iekšlietu tautas komisariāta vadībā Padomju savienībā 1921-1938 gadā, Kara muzeja gadagrāmata. X. Rīga, 2009 [**Jēkabsons 2009**].
261. *Kocere V.*, Gruzija-Latvija: vakar, šodien, rīt, *„Latvijas Zinātnu Akadēmijas Vēstis"*, A – daļa: Sociālās un humanitārās zinātnes, Rīga, 2008, № 2 [**Kocere 2008**].
262. Latvijas Advokatūra, Zvērināti advokāti un zvērinātu advokātu palīgi. Biogrāfijas. 1919-1945, Biogrāfiskā vārdnīca, Sastādītāji: *Ē. Jēkabsons, V. Ščerbinskis*. Rīga, 2002 [**Jēkabsons 2002**].
263. *„Nordisches Archiv"*, Riga, 1803. Von dem Zustande der Gelehrsamkeit in Grusien, von ihren Schulen und klassischen Buchern (November); Von der Grusinischen Dichtkunst und Musik (Dezember) [**„Nordisches Archiv" 1803**].
264. „Perno Postimees", 1876, № 6-7 [**„Perno Postimees„ 1876**].
265. *Reimeris V.*, Buvo, Vilnius, 2009 [**Reimeris 2009**].
266. *Skliutauskas J.*, Riteris is Sakartvelo, Vilnius, 1972 [**Skliutauskas 1972**].
267. *Sprūde V.*, Viens par otru – tikai labu (Būs grāmata par Latvijas un Gruzijas vēsturiskajiem sakariem), *„Latvijas avīze"*, Nacionāli konservatīvs dienas laikraksts, Rīga, 16. IX. 2009, № 242 [**Sprūde 2009**].
268. *Sprūde V.*, Baltija un Gruzija – no senatnes līdz mūsdienām, *„Latvijas avīze"*, Nacionāli konservatīvs dienas laikraksts, Rīga, 14. X. 2010, № 199 [**Sprūde 2010**].
269. *Ščerbinskis V.*, Lenācēji no tālienes, Rīga, 1998 [**Ščerbinskis 1998**].

270. ***Tālberga I.***, Gruzija-Latvija: lai tālums kļūtu par tuvumu, *„Latvijas Vēstnesis"*, № 131, Rīga, 2002 [**Tālberga 2002**].
271. The Latvian Saga, by U. Germanis, Editor O. Kalnins, Translated from the Latvian by *K. Streips*, Riga, 2007 [**Germanis 2007**].
272. ***Fledelius K.***, Royal Scandinavian Travellers to Byzantium: The Vision of Byzantium in Danish and Norwegian Historiography of the Early 13th Century and in the Danish Historical Drama of the Early 19th Century. BYZANTIUM, Identity, Image, Influence, XIX International Congress of Byzantine Studies, University of Copenhagen, 18-24 August, 1996, Major papers, edited by *K. Fledelius* in cooperation with *P. Schreiner*, Copenhagen, 1996 [**Fledelius 1996**].

დანართები

1749 Г. МАЯ 5.
ПРОТОКОЛ СОБРАНИЯ ПРАВИТЕЛЬСТВУЮЩЕГО СЕНАТА ОБ ОТКАЗЕ В ОТПУСКЕ НА РОДИНУ ГРУЗИНСКОГО ЦАРЕВИЧА ПААТЫ, О ПРИНЯТИИ НА СЛУЖБУ ПОДПОЛКОВНИКОМ, А ТАКЖЕ О ТАЙНОМ ОТЪЕЗДЕ ЕГО С ПОДЛОЖНЫМ ПАСПОРТОМ В МЕМЕЛЬ

1749 г. Мая 5 в собрании пр. сенат слушал поданного сего ж числа от коллегии иностр. дела доношения, коим на посланный из пр. сената в оную коллегию от 16 декабря прошлого года указ, в котором дано знать о подданом Ея и И. В-ву от сената, о неотпуске грузинского царевича Паата (по требованию его), для усмотреннаго в артиллерийской науке в нем искусства, в Грузию, а о принятии в службу подполковником армейских пехотных полков, докладе, и при том о подаче в сенат от той коллегии рассуждения: можно ли того царевича, по нынешнем в Персии обстоятельствам, в отечество его отпустить в ответ представлено, что оная коллегия согласного мнения находится с тем, как в пр. сенат разсуждаемо было, а именно, что онаго царевича Паата, по сейпосности, что он по своему хотя небольшому в артиллерийской науке знанию, чаятельно, в персидской службе употреблен был бы из России выпускать не надлежало б, но наипаче полезнее было б когда б он, при своей скудости и недостатке, по прошению его, некоторым образом удовольствован и тем в здешней службе вечно остаться поощрен был; но из С. Петербурга пр. сената из конторы от 23 минувшаго февраля в коллегию писано, что по рапорту ген.-фельдм. гр. Ласси реченный царевич Паата подложным паспортом, под именем грузинского дворянина Егорова, с одним человеком приехал в Ригу из Петербурга и объявя об себе, отпросился до Митавы, откуда тайно в Мемель приехал, а потом он же. ген.-фельдм., в коллегии от 11 марта писал, по ответствованию к нему из Гданска от агента Шерера, что выше реченный грузинский дворянин Егоров в Кенигсберге находится и что оный, тотчас по приезде своем, к тамошнему губернатору адресовался, который ему обещал всякое вспоможение, а между тем де он, грузинец, послал мемориал в Берлин о своем деле и по тому де видно, что он знатно, в прусскую службу вступить желает, и потому коллегия иностр. дел не оставила пребывающему ныне при королевско-прусском дворе чрезвычайным посланником, канцелярии советнику Гроссу о состоянии его, царевича, рескриптом (с котораго приложена при том доношении копия) знать дать, и при том его инструировать, чтобы он, уведомясь ежели оный грузинец еще в Кенигсберге находится, или уже в Берлин приехал, или же где в других прусских областях обретается и в тамошенюю службу хотя бы вступил, или еще не вступил, высочайшим Е. И. В. именем при тамошнем дворе формально домогался и требовал, дабы он, яко беглец, в российскую сторону выдан был. Приказали: оное доношение, с копиею с рескрипта, сообщить за известие, к отпуску выше означеннаго, посланнаго из сената в коллегию иностр. дел указа.

Сенатский архив, т. 7. Протоколы Правительствующего Сената, СПб., 1895, стр. 519-520.

გრიგოლ ორბელიანი

ანგარიში რიგის ღოშპიტალში ნათქვამი

ვილენსკის ღუბერნიაში ჰსცხოვრებდა პომეშჩიკი N..., რომელიცა იყო პატივსცემულ საზოგადოებისაგან და რომელიცა იყო ღირსი ამ პატივისცემისა თვისითა პატიოსნებითა და სულისა კეთილშობილებითა.

მას ჰყვანდა მეგობარი, გვარად ბოთვინკო, რომელიცა, იყო რა მდაბიურისა შთამომავლობისა, შეიქმნა შემდეგ სიმართლითა ანუ უსამართლობითა – აზნაური და იყო მდიდარიცა.

პომეშჩიკსა მოუკვდა ცოლი, რომლისა გამო მწუხარებითა არცა იმან იცოცხლა დიდი ხანი. – სიკვდილის ჟამსა მოუწოდა მეგობარსა თვისსა და მხოლო ასული თვისი რვას წლისა ჩააბარა და მასთან თორმეტი ათასი რუბლი და ასოცი ყმა. პომეშჩიკი, როგოც შეეფერებოდა, დამარხეს.

ყმანვილი ქალი წარიყვანა ახალმა მამამან თავის სახლში. მაგრამ ანგარებამან შეიპყრა სული ბოთვინკოსი. დაივიწყა კაცობრიობა და ფიცი მიცემული მომაკვდავისა მეგობრისათვის და ნაცვლად გაზრდისა, ყმანვილი ქალი იგი გახადა გოგოდ და მიუჩინა თავის ქალებს მოსამსახურედ, რათამცა სრულებით დაავიწყოს გვაროვნობა მისი და მით დაინარჩუნოს მისი ყმა და მამული.

გარეშე სხვა აზნაურთა ჰსცნეს ესრეთი ბარბაროსებრივი ქცევა ბოთვინკოსი და ღუბერნატორს მიართვეს არზა, მაგრამა ქრთამმა დაჰფარა სიმართლე.

განვლო რაოდენმან ნელიწადმან. ქალი იგი, ყოველთაგან დავიწყებული, მსახურებდა მოახლედ და მოითმენდა გინებასა, როზგით ცემასა და სხვათა მრავალთა უპატიურებათა; გარნა ღმერთი იყო მფარველ მისსა.

ყოველ წლივ უკეთესად ლამაზდებოდა და იყო ბუნებით მინიჭებულ საკურველის მეხსიერებითა და გონიერებითა; მაშინ, როდესაც, ოდესცა ბოთვინკოს შვილებთა ასწავლიდნენ ოსტატნი, ქალი იგი მათის მიხედვით და ყურადღებით იდუმალად ჰსწავლობდა თვით თავით თვისით წერასა და კითხვასა და ფრანციცულს ენასა, თუმცა ბატონნი მისნი ჰსცდილობდნენ, რომელ ყრმა იგი დაჰშთეს სრულებითსა უმეცრებასა შინა. ერთხელ, მოასწრეს ბატონებმა, როდესაც მოპარვით ბაღში კითხულობდა იგი ფრანციცულს წიგნსა. საბრალო გაწკიპეს როზგით, მაგრამ არ იყვნენ ამით კმაყოფილ.

საძაგელმან ბოთვინკომ და მის ღირსმან მეუღლემ მოიგონეს საზარელი ღონისძიება ქალისა ციმბირში დასაკარგავად. ერთსა დღესა, შემდეგ სადილისა, ყმაწვილმა გოგომ მიართო ყავა თავის ქალბატონს, რომელმანაცა, შეხვრიპა რა, მაშინვე შეჰკივლა საშინლად და შემოიყარა გულსა. ქმარი მისი ამა კივილზე შემოვარდა ოთახში, ნახა თვისი ცოლო გულშემოყრილი, ფინჯანში ყავა და ოთახში ყმანვილი გოგო. მაშინვე დააძახებინა ლეკარსა, რომელმანაც იხილა რა ყავა, სთქვა, რომ ყავაში არის შხამი გარეულიო. საშინელი გინებითა და ცემითა შეიპყრეს ყმანვილი ქალი და გაგზავნეს ქალაქში საპყრობილეში, სადაცა იჯდა რამდენიმე წელიწადი, ვითარცა კაცის მკვლელი, ვიდრე გადასწყდებოდა სუდი. დასასრულ,

შეასრულეს საქმე და გაგზავნეს სხვათა კაცისმკვლელთა და მუხანათთანა ერთად ციმბირში კატორჟნი რაბოტაში, ანუ საუკუნოდ სამუშაოდ მადნებში მიწის ქვეშ. ესრეთ აღასრულა ბოთვინკომ ბარბაროსული განზრახვა.

ყოველთა კაცთა დაუტევეს საბრალო ქალი, მარამ არა დაუტევა ღმერთმან და მისთვის არა წარწყმდა იგი.

ანინდელი იმპერატრიცა (რომლისა სახელი იყოს კურთხეულ, ვითარცა დედა ობოლთა, უძლურთა, ქვრივთა) მოვიდოდა სმოლენსკის ღუბერნიისკენ. გზაზედ შეხვდა უბედურნი, სჯულისაგან დასჯილნი და მიმავალნი ციმბირში, რომელნიც თითო ხელით იყვენენ მიბმულნი რკინის გრძელ ჯოხზედ. მათ შორის იყო ახალგაზრდა ქალი 15-16 წლისა. სახე მისი თუმცა იყო ფერმიხდილ მწუხარებითა და უბედურებითა, მაგრამ იყო მშვენიერ და ცხადადა გამოჰსთქვამდაცა მისსა სულის უმანკოებასა. ტანად იყო ნაზი, მარამ მედგრად მოვიდოდა გზასა ზედა უბედურებისასა და მით გამოაჩენდა სასოებასა თვისსა ღმრთისადმი.

იმპერატრიცამ მყისვე ბრძანა შეყენება კარეტისა და თავის ხელით გამოხსნა რკინის ჯოხისაგან მიბმული ხელი ქალისა, ჩასვა თავისთან კარეტაში, გამოჰკითხა წვრილად მისი ანბავი და იყო ფრიად მხიარულ, რომ ღმერთმან მიჰსცა შემთხვევა უსამართლოდ დასჯილის გამოსახსნელად ესრეთის უბედურებისაგან.

ქალი ახლა ჰსცხოვრებს სასახლეში, დაუბრუნეს მას ყმა და მამული და სარგებლით ფული. ბოთვინკოც ცოცხალია და არის პოდსუდში. დაიბარეს პეტერბურღში და მის აქეთ აღარსადა სჩანს. რისხვა ღმრთისა და რისხვა ხელმწიფისა დაიქუხებს მისს თავზე. ვინ არა ჰსცნობს კეთილს სულსა იმპერატრიცისასა და ვინ არა ჰხედავს მას შინა ყოველად უზენაესის მსაჯულის სიმართლესა და მისსა მარჯვენსა უბინოების მფარველსა.

1835 წ.

გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, *აკაკი გაწერელიას* და *ჯუმბერ ჭუმბურიძის* შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1959, გვ. 293-295.

ПРИВЕТ ЛАТЫШСКОМУ НАРОДУ

(От редакции сборника „Кавказ")

Острие всего чувствует и понимает человеческие отношения изгнанник, волей Провидения очутившийся на чужбине. Каждый недружелюбный взгляд, всякое неприветливое слово больно отдается в его душе. Но зато и всякое проявление внимания, участия и дружбы, малейшее движение сердца воспринимает скиталец с усиленной живостью...

Мы, кавказцы, волею Рока заброшенные в Латвию, не можем пожаловаться на наших хозяев в отсутствии добраго чувства по отношению к нам.

Маленькая страна, сумевшая отстоять свою независимость, гостеприимно открыла свои двери для несчастных, лишившихся родного крова.

Сама небогатая, в поте лица добывающая свой хлеб, она делит этого хлеба с нами по кунацки... Здесь, среди латышскаго народа, мы чувствуем себя как в гостях у радушного хозяина, уделяющего своим гостям все, что он может по старой русской пословице: "чем богат, тем и рад"

И в сердцах наших живет теплая признательность за это к дружескому латышскому народу... И когда мы возвратимся под синее небо Кавказа, разсеемся по его долинам и безчисленным склонам гор, мы унесем с собой это чувство к народу, разделившему с нами в годину наших несчастий кров и хлеб свой, и научим наших потомков любить латышский народ.

И если судьба закинет когда-нибудь кого-нибудь из латышей в наши горы, он будет священным гостем для нас и детей наших, дорогим кунаком, для которого, по нашим обычаям, кавказец готов на любую жертву.

Салам алейкюмъ, Латышский народ! Да будет милость Господня с тобой, и пусть твоя родина цветет и преуспивает во всем.

Прими от сынов Кавказа этот привет, исходящий от чистого сердца, и да пребудет мир над кровом твоим.

„Кавказ", сборник связи кавказцев на чужбине, Рига, 1931, стр. 2.

ГРУЗИЯ

(исторический обзор и перспективы)

Прекрасная Грузия, которой судьба предначертала в течение многих веков вести героическую борьбу за веру, национальную независимость и честь, немало вынесла бедствий и страданий...

После падения в 1453 г. Византии, покровительницы Грузии, и взятия Константинополя турками, грузинские цари и духовенство не могли ожидать ничего хорошего для своего народа от усилившегося могущества Персии и Турции и, естественно, стремились к единоверной им России. Грузинский царь Ираклий II признал необходимым отдать свое царство под покровительство Русской Державы.

Долго ведшиеся переговоры 24-го июля 1783 г. Закончились заключением в г. Георгиевск трактата, устанавливавшего взаимоотношения России с Грузией.

Добровольно войдя под протекторат России, Грузия сохраняла власть своего царя во всех делах внутреннего порядка.

Заключение Георгиевского трактата вызвало негодование соседних мусульманских стран и войну с персидским шахом, Ага-Магометом-Ханом.

Все попытки царя – добится присылки ему на помощь русского войска, обещанного Россией по договору, – остались тщетными, и престарелый монарх с малым количеством войск, оказался лицом к лицу с могущественным шахом. Произошел знаменитый в истории Грузии Крцанисский бой. Царь-рыцарь Ираклий II с горсточкой оставшихся в живых воинов отступил. Тифлис, доставшийся шаху, был разграблен и сожжен. Шах разорил и опустошил всю Восточную Грузию, захватил 30.000 пленных и с огромной добычей вернулся в Персию.

Спустя три года Ираклий II умер. Новый царь Георгий не замедлил обратиться к России с просьбой выполнить условия Георгиевского трактата. Император Павел I, приняв грузинских посланников, обещать послать в Грузию войско, а также сохранить за одним из царевичей титул царя грузинского.

Пока посланники были на пути в Грузию, император, использовав благоприятный момент, манифест 18-го января 1801 г. объявил о присоединении Грузии к России, как провинции. Русские войска заняли Грузию.

12-го сентября 1801 г. император Александр I издал манифест, в котором больше не упоминалось о династических правах грузинских царей.

Во главе управления был поставлен главнокомандующий русскими войсками.

Насильственно введенные порядки не могли удовлетворить бывшие правительственные круги и народ.

В 1804 г. царевич Александр во главе грузинских горцев, при поддержке лезгин, ингушей и осетин, напал на расположенные в Дарьяльском ущелье русские гарнизоны, истребил их и закрыл кавказские ворота – Дарьял. Прибывшие большие русские силы с боем снова заняли ущелье и царевич с верными ему горцами, удалившись в горы, не переставал бороться с русскими.

Грузия долго не могла успокоиться. Русской власти пришлось употребить много усилий для приведения страны на мирное положение. Однако Грузия, до самых

последних событий, являлась вечно дымящимся вулканом, угрожающим восстаниями и революцией.

Произошла февральская революция. В ноябре 1917 г. на национальном конгрессе в Тифлисе снова было поднято национальное знамя, а 26-го мая 1918 г. была объявлена независимость Грузии.

Вслед за февральской революцией, в начале марта 1917 г., в Тифлис прибыл Особый Закавказский комитет, как временный орган управления краем. Работа этого комитета была кратковременна. В ноябре того же года он был заменен Закавказским Комиссариатом, во главе с Е. П. Гегечкори, поддерживаемым революционными и национальными организациями края. В январе 1918 г. Всероссийское Учредительное Собрание было разогнано. Был заключен Брест-Литовский договор, по которому большевики уступили туркам Батум, Карс и Ардаган. Решение Советской России оказалось неприемлемым для Закавказья.

Закавказье на Трапезундской конференций признало тяжелыми для Грузии и Армении условия Брест-Литовского договора. Правительство Е. Гегечкори было заменено правительством А. Чхенкели. Связи с Россией порвались.

Турция признала независимость Закавказья, и местом ведения дальнейших переговоров был назначен Батум.

Затем произошло грузино-германское соглашение. Контроль над железными дорогами Грузии перешел к Германии. Последняя фактически Грузинское правительство, назначив при нем своего представителя. За этим соглашением последовало подписание договора мира и дружбы между Турцией и Грузией.

В конце августа 1918 г. был заключен новый Германо-Советский договор, по которому Советская Россия признала Грузию независимым государством.

Военные успехи перешли к союзникам. По договору 11-го ноября 1918 г. Германия и ея союзники оказались вынужденными вывести войска из Кавказа.

По решению Верховного Совета Англия заняла Кавказ, и естественно, Кавказские республики свою политику направили в сторону Антанты.

К концу 1919 г. англичан уже не было на Кавказе, если не считать гор. Батума, который все еще оставался в их руках. О восстановлении России нечего было мечтать. Совещание премьеров в Лондоне в декабре 1919 г. высказалось за невмешательство союзников в русские дела.

В начале 1920 г., на предложение советского правительства заключить военную конвенцию о совместном действии против добровольцев, Грузия и Азербайджан ответили отказом, после чего Верховный Совет великих держав признал de facto Грузию, Армению и Азербайджан.

Вскоре после этого азербайджанское правительство передало власть большевикам и ввело в страну красную армию, не предупредив Грузию.

В ноябре 1920 г. Мустафа Кемаль-паша занял Карс и Александрополь, что вызвало отставку эриванского правительства. Согласованная работа Кемаля-паши с большевиками принесла свои плоды при явном попустительстве великих держав.

27-го января 1921 г. великие державы признали Грузию de jure. Не прошло и месяца после признания, как на Грузию уже наступали четыре советские армии: 9, 8, 11 и 13. Наступление красной армии со стороны Азербайджана, Армении, Владикавказа и Сочи, дополненное наступлением турок на Артвин и Батум, решило вопрос: малочисленная грузинская армия была смята. Большевики оккупировали Грузию. В защиту юридически признанной страны великими державами ничего не было предпринято. Более того,

Ллойд-Джордж, ведя переговоры с большевиками о возобновлении торговли как бы благословил последних на занятии Грузии.

Прошло четыре года после завоевания Грузии. Чичерин на заседании центрального комитета коммунистической партии в Тифлисе в 1925 г. сказал: «По уходе англичан из Батума, Ллойд- Джордж заявил тов. Красину, что Англия не будет вмешиваться во взаимоотношения Советской республики и Закавказья и что на Кавказ он смотрит, как на сферу влияния Советской России» (газ. «Коммунист», 5. III. 1925 г., Тифлис). Вполне понятно, что Москва не замедлила использовать заявление , Ллойд-Джорджа.

* * *

Воскресшая в 1918 г. Грузия, как демократическая республика, за три года ея независимого существования сделала огромные успехи, как в деле внутреннего устроения страны, так и устройства жизни граждан. Завоевание Советской Россией в 1921 г. положило конец национальной и государственной независимости грузинского народа. Организацией Закавказской Федерации она лишилась экономической независимости; включение же Закавказья в С. С. С. Р. окончательно отняло у Грузии и те ничтожные виды на политическую независимость, которые сохранялись за ней после советизации.

Для восстановления независимости страны было пролито много крови. Одно августовское возстание 1924 г., со страшной жестокостью подавленное Советской Россией, привело к расстрелу семи тысяч лучших грузин и к ссылке в Соловки и другие места гиблаго севера более 10.000.

Ныне для грузин всех политических убеждений, за исключением ничтожной группы коммунистов, агентов Москвы, наивысшей целью борьбы является восстановление независимости. Есть одна ориентация у грузинского народа: это независимый Кавказ.

Грузия, наделенная исключительными природными богатствами, с прочной и законченной индивидуальностью - исторической, культурной, политической и географической - десятки веков существовавшая, как независимое государство, имеет все основания претендовать на восстановление ея попранных прав.

Еще в 1917 г. пути Грузии и России разошлись. Даже политическая демократия, если ей суждено будеть заменить теперешнюю московскую диктатуру, не может удержать грузинский народ за Россией.

Грузия хорошо знает, что нет ни одной русской политической партии или группировки, которая хоть в отдаленной степени поддержзивала бы ея идеалы.

Десятый год в Грузии свирепствует величайший садистический и политический террор. За это время грузинский народ не только не смягчил борьбы против завоевателей, но без тени малодушия и с верой в торжество своих чаяний продолжает действовать против Российской оккупационной власти. Наступит удобный момент. Грузия освободится, и с ней вместе обретут свободу и другие народы Кавказа, одинаково успешно готовые сбросить ненавистное московское иго.

Будет независимая Грузия, будет независимый Кавказ!

Доктор ШАЛВА МАГЛАКЕЛИДЗЕ

От редакции. Дав место статье г. Маглакелидзе в нашем альманахе, мы исполнили лишь наш долг - дать возможность высказаться каждому кавказцу. Но мы не согласны с точкой зрения автора, не разделяя его взглядов на будущность Кавказа.

„Кавказ", сборник связи кавказцев на чужбине, Рига, 1931, стр. 10-12.

ჩვენი ასეული ლატვიაში

I

ჩვენი ასეული დიდი ხნის განმავლობაში ლატვიაში იყო დაბანაკებული. ამ პატარა ქვეყანაში ცხოვრება, რომელიც მრავალმხრივ ჩვენს სამშობლოს მოგვაგონებს, მეტ ხალისსა და ენერგიას გვმატებდა. ჩვენი მებრძოლები იშვიათი თანაგრძნობითა და პატივისცემით იყვნენ გარემოცული ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ლატვიელი გლეხები ჩვენ, ისევე როგორც გერმანელ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით კარგად გვექცეოდნენ. მათ უკვე გამოსცადეს რუს ბოლშევიკთა ბატონობის საშინელება, ხელშესახებად იგრძნეს, რას ნიშნავს ბოლშევიკური მონობის უღელი, ტერორი და გადასახლება. ისინი ჩვენ გვიყურებდნენ, როგორც მხსნელებს, რომლებიც ვიცავდით მათს სამშობლოს მოზღვავებული მტრის ურდოებისაგან.

ლატვიაში კარგად იცნობენ საქართველოს, იციან ჩვენი წარსული, მოსწონთ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის გმირული ისტორია, მისი ბრძოლები ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. და რამდენი მეგობარი, გულშემატკივარი მოიძებნა ამ პატარა, მაგრამ დიდი სულის მქონე მხარეში, რომლებიც საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ სთვლიან, ქება-დიდებას ასხამენ ქართველ მებრძოლთ თავისუფლებისათვის, თანაგრძნობას უცხადებენ ჩვენი ხალხის მეამბოხე განწყობილებას სამშობლოს სულთამხუთავთა წინააღმდეგ.

ქართველმა მებრძოლებმა დიდი ინტერესით წაიკითხეს ცნობილი ლატვიელი პოეტის – პაველ როზეტისის ლექსი საქართველოზე, სადაც იგი, როგორც თავის სამშობლოს, ისე მიმართავს მისთვის შორეულ საქართველოს. და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ლატვიელ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს აღუმაღლებია ხმა საქართველოს სისხლისმსმელთა წინააღმდეგ, რამდენი კეთილშობილი გრძნობა გამოთქმულა ამ კოპწია ქვეყანაში ჩვენი სამშობლოს მიმართ!

რა შეიძლება აკავშირებდეს ლატვიასა და საქართველოს? ცხადია, პირველ რიგში მებრძოლი სულის ერთიანობა რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელმაც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ფეხქვეშ გასთელა საქართველოს თავისუფლება და თავისი სისხლიანი ხელით ლატვიასაც გადასწვდა.

გერმანულმა არმიამ მეგობრული დახმარება გაუწია ლატვიელ ხალხს ბოლშევიკთა განსადევნად. იგი, ლატვიელ მამულიშვილებთან ერთად, დღესაც გმირულად იცავს პატარა ქვეყანას ხელმეორედ მოვარდნილი ბოლშევიკური ურდოებისაგან.

აი, ასეთი საპატიო ამოცანის შესრულება დაგვეკისრა ჩვენც, ქართველ მოხალისეებს, რომლებიც გერმანულ ნანილებთან ერთად მოვედით აქ მეგობარი ხალხის დასაცავად.

და ჩვენ ბედნიერნი ვართ, გვგონია, თითქოს ჩვენს სამშობლოს ვიცავდეთ, ჩვენს სანუკვარ საქართველოს!

ძალაუნებურად მაგონდება იმავე პაველ როზეტისის ლექსი საქართველოზე და მინდა მისივე სიტყვებით მივმართო პატარა ლატვიას:

„ჩემო მეორე სამშობლო, რომლის
მინდვრებში მეფობს ავი სიკვდილი,
შენს შამბნარებში მხეცური ნდომით
დაძრწის დუშმანი მკერდშეჭურვილი...
მამულისათვის მამა და ძმები
იბრძვიან, თვალში ცრემლი არ შრება,
დასტოვეს სახლი, მოვიდა მტერი,
ჩქარა, სამშობლოს შველა სჭირდება!...“

2

სამი აგვისტო დაუვიწყარი თარიღია ჩვენი ასეულისათვის. ამ დღეს ლატვიის ტერიტორიაზე პირველად დაიღვარა ქართული სისხლი. სანამ უშუალოდ ბრძოლაში ჩავებმებოდით, ჩვენი ასეული ზურგში იდგა, ეწეოდა საყარაულო სამსახურს და მონანილეობას იღებდა ბოლშევიკ ბანდიტთა განადგურებაში. ფრონტის ხაზის შევინროების შედეგად, ბრძანება მივიღეთ დაგვეკავებინა თავდაცვის პოზიციები. მგზავრობის ხანმოკლე პროცედურა. ყველა მოუთმენლად მოველით ადგილზე მისვლას. ნაშუადღევი იქნებოდა, როდესაც მივუახლოვდით ფრონტთან ახლო მყოფ ქალაქ ბ-ს.

ასეულის მეთაურმა მოკლედ გაგვაცნო ჩვენი აქ მოსვლის ამოცანა. ღამით ასეული ძიებაში წავიდა. ბრძანება გვქონდა მოცემული: ზუსტად გამოგვერკვია მტრის ძალები და მისი საბრძოლო წერტების განლაგება. ღამე მეტად ბნელი იყო, სიარული გვიჭირდებოდა. ჩვენი ათეული გზის გაყოლებით ფეხაკრეფით მიდიოდა. ერთი გადამწვარი სოფელი უნდა დაგვეზვერა, სადაც, წინასწარი ვარაუდით, მტერს ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები ჰქონდა დადგმული. სადღაც ძაღლი ღმუოდა, ხანგამოშვებით მოისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სროლა. უეცრად, ხმამაღალი, მკაფიო რუსული შეძახილი გავიგონე:

– „შესდექ, ვინ მოდის?“.

ეს იყო ტყვიამფრქვევთან მდგომი წითელარმიელი გუშაგის ხმა.

არ დავბნეულვარ, რუსულადვე მივახალე პასუხი:

– „ეს მე ვარ, მესამე ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი კუზნეცოვი“.

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. წითელარმიელს ლეიტენანტის ხმის გაგონებაზე თავგზა დაებნა. შემდეგ ისევ შევეკითხე:

– „შენ მანდ რომელი ხარ?“

– „ეს მე ვარ, ამხანაგო ლეიტენანტო, საგუშაგოზე ვდგავარ, ტყვიამფრქვევს ვდარაჯობ“.

აღარ დავაყოვნე, წითელარმიელს ვუთხარი ჩემთან ახლოს მოსულიყო. გუშაგმა ბრძანება მყისვე შეასრულა. უნდა გენახათ, როგორ მგლის თვალებსავით ანათებდა მისი თვალები, როდესაც ვუბრძანე:

– „ხელები მაღლა!“

სულ ბავშვი იყო, გამოუცდელი, ვერხვის ფოთოლსავით კანკალებდა, მზად იყო ტირილი დაეწყო...

სადგომში მშვიდობით დავბრუნდით, ჩვენი ტყვეც თან წამოვიყვანეთ. ამ მოქმედებისათვის მთელმა ასეულმა მადლობა მიიღო, „ენის“ მომყვანებმა კი – საპატიო ჯილდოები.

მეორე დღე თავისუფლად გავატარეთ. ღამე ისევ დაზვერვაზე წავედით, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. ამ ღამითაც მოვახერხეთ ბევრი რამის გაგება მტრის განლაგების შესახებ.

3

მესამე დღეს ქალაქს რუსები მოაწვნენ. მათი ტანკები ქალაქში შემოიჭრნენ და მისი დიდი ნაწილი დაიკავეს. გერმანულმა ჯარებმა და მათ შორის ჩვენმა ასეულმაც დასტოვეს ქალაქი და მის სამხრეთით თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს. მეორე დილით რუსები შემოტევაზე გადმოვიდნენ. მტერი უკუვაქციეთ და საგრძნობი ზარალიც მივაყენეთ. მონინააღმდეგემ იერიშები კიდევ ორჯერ გაიმეორა, მაგრამ ამაოდ. მაშინ, როდესაც მტრის რიგებში დიდი დანაკარგი იგრძნობოდა, ჩვენ, გარდა რამდენიმე მსუბუქი დაჭრის შემთხვევისა, ყველა მებრძოლი შევინარჩუნეთ.

საღამოს ოთხ საათზე ბრძანება მივიღეთ – ქალაქი კონტრშეტევით უნდა ავიღოთო. ჩვენს ასეულს სამხრეთ-დასავლეთიდან უნდა შეეტია, სადაც მოწინააღმდეგის ყველაზე საგრძნობი ძალა იყო დაგროვილი. დაიწყო იერიში. ტყვიები, ნაღმები სეტყვასავით წამოვიდა რუსების მხრიდან. აკაკანდნენ ჩვენი ტყვიამფრქვევებიც. მოკლე გადარბენებით, მუცელზე ხოხვით ვუახლოვდებით მტერს. ჩემს გვერდით მეტყვიამფრქვევე დაეცა. მეორე ამხანაგს ნაღმის ნამსხვრევი მოხვდა.

– მშვიდობით ძმებო, გავიფიქრე და კვლავ წინ გავწიე.

ქართველი უნტეროფიცერი, რომელიც ვაჟკაცურად მიგვიძღვებოდა, მტრის ტყვიით განგმირული დაეცა.

ახლა კი გავმწარდით, შურისძიების გრძნობა გვიწვავდა ტვინს... ქართული „ვაშას“ ძახილით, თავდავიწყებით გადავეშვით წინ.

ღამის თორმეტ საათზე ქალაქი უკვე ჩვენს ხელში იყო...

მოხალისე **კ. დ-ძე**

გაზეთ „საქართველოს“ საკუთარი კორესპონდენტი

„საქართველო“, ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი, ბერლინი, 1944 წლის 18 სექტემბერი, № 37 (114).

საქართველო-ლატვიის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები (1994-2009 წლების ქრონიკა)

ა) ლატვიას ოფიციალურ ვიზიტად ეწვივნენ საქართველოს ხელისუფლების შემდეგი წარმომადგენლები და დელეგაციები:

1994 წლის მარტში – სახელმწიფო დელეგაცია;

1997 წლის 19 ივნისს – პარლამენტის დელეგაცია;

2002 წლის მაისს – თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე;

2002 წლის ივნისს – საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი;

2002 წლის დეკემბერში – პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე;

2002 წლის დეკემბერში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე;

2004 წლის ოქტომბერში – პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი;

2005 წლის 12-14 მაისს – პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე;

2005 წლის ივლისში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი;

2006 წლის 19-22 ივნისს – სახელმწიფო მინისტრი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე;

2006 წლის 27-29 ნოემბერს – პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რიგაში გამართულ ნატოს სამიტში;

2007 წლის 9-11 თებერვალს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე;

2007 წლის 17-19 მაისს – პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო „ბალტიის ზღვის ასამბლეის" ფარგლებში ორგანიზებულ კონფერენციაში;

2007 წლის 22-26 ივნისს – სახელმწიფო მინისტრი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე;

2007 წლის 5-8 ივლისს – თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ბათუ ქუთელია;

2007 წლის 30 ივლისიდან 5 აგვისტომდე – სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში ზინაიდა ბესტაევა;

2007 წლის 14-15 ოქტომბერს – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე;

2007 წლის 14-16 დეკემბერს – თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი მუჩაიძე;

2008 წლის 9 მაისს – სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თეიმურაზ იაკობაშვილი;

2008 წლის 9-11 ივნისს – სახელმწიფო მინისტრის მოადგილე რეინტეგრაციის საკითხებში დიმიტრი მანჯავიძე;

2008 წლის 11 ივლისს – საგარეო საქმეთა მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი;

2008 წლის 31 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე – პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი;

2008 წლის 19-21 ნოემბერს – პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე;

2009 წლის 2-3 ივლისს – საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე.

ბ) საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ეწვივნენ ლატვიის ხელისუფლების შემდეგი წარმომადგენლები და დელეგაციები:

2000 წლის ივლისში – საგარეო საქმეთა მინისტრი ინდულის ბერზინში;

2001 წლის 26 ოქტომბერს – შინაგან საქმეთა მინისტრი მარეკს სეგლინში;

2003 წლის 22-24 სექტემბერს – სეიმის (პარლამენტის) თავმჯდომარე ინგრიდა უდრე;

2004 წლის 16-18 იანვარს – საგარეო საქმეთა მინისტრი სანდრა კალნიეტე;

2005 წლის 25-30 მაისს – პრემიერ-მინისტრი აიგარს კალვიტი;

2005 წლის 26 მაისს – პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრაიბერგა;

2006 წლის თებერვალს – სეიმის თავმჯდომარე ინგრიდა უდრე;

2006 წლის 11-12 ოქტომბერს – მინისტრი ელექტრონული მართვის საკითხებში ინა გუდელე;

2007 წლის 9-12 მარტს – თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ედგარს რინკევიჩი;

2007 წლის 18-19 აპრილს – საგარეო საქმეთა მინისტრი არტის პაბრიკსი;

2008 წლის 19-20 იანვარს – პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი, რომელიც დაესწრო საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის ცერემონიას;

2008 წლის 5-7 თებერვალს – საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ედგარს სკუია (სამუშაო ვიზიტი);

2008 წლის 29 სექტემბრიდან – 1 ოქტომბრამდე – სეიმის თავმჯდომარე გუნდარს დაუძე;

2008 წლის 28 ნოემბერს – საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის მოადგილე პეტერის უსტუბსი (სამუშაო ვიზიტი).

გ) სამართლებრივი ბაზა:

ა) შეთანხმება საქართველოს და ლატვიის მთავრობებს შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ:

1. სფერო – საერთაშორისო გადაზიდვები;

2. ხელმოწერის თარიღი – 2000 წლის 5 ივლისი;

3. სტატუსი – ძალაშია 2005 წლის 28 ოქტომბრიდან;

4. ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან – ირაკლი მენაღარიშვილმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლატვიის მხრიდან – ინდულის ბერზინშმა, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა;

ბ) შეთანხმება საქართველოს და ლატვიის მთავრობებს შორის საბირჟო სფეროში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ:

1. სფერო – საბაჟო საკითხები;

2. ხელმონერის თარიღი – 2000 წლის 5 ივლისი;

3. სტატუსი – ძალაშია 2005 წლის 28 ოქტომბრიდან;

4. ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან – ირაკლი მენაღარიშვილმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლატვიის მხრიდან – ინდულის ბერზინშმა, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა;

გ) შეთანხმება საქართველოს და ლატვიის მთავრობებს შორის კავშირგაბმულობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ:

1. სფერო – კავშირგაბმულობა;

2. ხელმოწერის თარიღი – 2000 წლის 5 ივლისი;

3. სტატუსი – ძალაშია 2005 წლის 5 ივლისიდან;

4. ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან – ირაკლი მენაღარიშვილმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლატვიის მხრიდან – ინდულის ბერზინშმა, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა;

დ) შეთანხმება საქართველოს და ლატვიის მთავრობებს შორის ტერორიზმთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ:

1. სფერო – დანაშაულთან ბრძოლა;

2. ხელმოწერის თარიღი – 2001 წლის 6 ოქტომბერი;

3. სტატუსი – ძალაშია 2004 წლის 9 აპრილიდან;

4. ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან – კახა თარგამაძემ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ლატვიის მხრიდან – მარეკს სეგლინშმა, ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრმა;

ე) შეთანხმება საქართველოს და ლატვიას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ:

1. სფერო – გადასახადები;

2. ხელმოწერის თარიღი – 2004 წლის 13 ოქტომბერი;

3. სტატუსი – ძალაშია 2005 წლის 4 აპრილიდან;

4. ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან – სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლატვიის მხრიდან – არტის პაბრიკსმა, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა;

ვ) შეთანხმება საქართველოს და ლატვიის მთავრობებს შორის საიდუმლო ინფორმაციის ერთობლივი დაცვის შესახებ:

1. სფერო – საიდუმლო ინფორმაციის დაცვა;

2. ხელმოწერის თარიღი – 2005 წლის 6 ივლისი;

3. სტატუსი – ძალაშია 2006 წლის 16 იანვრიდან;

4. ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან – ვასილ სიხარულიძემ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ლატვიის მხრიდან – ედგარს რინკევიჩმა, ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა;

ზ) შეთანხმება საქართველოს და ლატვიას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ:

1. სფერო – ინვესტიციები;

2. ხელმოწერის თარიღი – 2005 წლის 5 ოქტომბერი;

3. სტატუსი – ძალაშია 2006 წლის 6 მარტიდან;

4. ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან – ირაკლი ჩოგოვაძემ, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა, ლატვიის მხრიდან – არტურს კრიშიანის კარინშმა, ლატვიის ეკონომიკის მინისტრმა;

თ) შეთანხმება საქართველოს და ლატვიას შორის ეკონომიკის, მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ;

1. სფერო – თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებანი;

2. ხელმოწერის თარიღი – 2005 წლის 5 ოქტომბერი;

3. სტატუსი – ძალაშია 2005 წლის 24 ნოემბრიდან;

4. ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან – ირაკლი ჩოგოვაძემ, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა, ლატვიის მხრიდან – არტურს კრიშიანის კარინშმა, ლატვიის ეკონომიკის მინისტრმა;

ი) შეთანხმება საქართველოს და ლატვიას შორის საჰაერო მიმოსვლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;

1. სფერო – საჰაერო მიმოსვლა;

2. ხელმოწერის თარიღი – 2005 წლის 5 ოქტომბერი;

3. სტატუსი – არ არის ძალაში;

4. ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან – ირაკლი ჩოგოვაძემ, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა, ლატვიის მხრიდან – აინარს შლესერსმა, ლატვიის ტრანსპორტის მინისტრმა;

კ) შეთანხმება საქართველოს და ლატვიის თავდაცვის სამინისტროებს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

დ) ორმხრივი ურთიერთობები საქართველოს და ლატვიას შორის (2007-2008 წლები)

ლატვიის რესპუბლიკაში შედგა მთავრობის, პარლამენტისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების შემდეგი ოფიციალური ვიზიტები:

1) 2007 წლის 2-4 აპრილს რიგაში იმყოფებოდა თბილისის მერიის დელეგაცია, ქალაქის მერის გიგი უგულავას ხელმძღვანელობით. ვიზიტის მსვლელობისას შეხვედრები გაიმართა რიგის დუმის თავმჯდომარესთან და სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან, რომლებზეც განხილულ იქნა ორ ქალაქს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, ქალაქის ადმინისტრირების და განვითარების საქმეში გამოცდილების გაზიარების და ძველი უბნების განვითარების პრაქტიკის გაცნობის შესაძლებლობები. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა რიგასა და თბილისს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას.

2) 3-5 აპრილს, საქართველოს ელჩი ლიტვის რესპუბლიკაში დავით აფციაური ოფიციალური გამოსამშვიდობებელი ვიზიტით იმყოფებოდა რიგაში. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ვაირა ვიკე-ფრეიბერგასთან, პრემიერ-მინისტრ აიგარს კალვიტისთან, პარლამენტის სპიკერ ინდულის ემსისთან, საგარეო საქმეთა მინისტრ არტის პაბრიკსთან, თავდაცვის მინისტრ ატის სლაკტერისთან, ელექტრონული მმართველობის მინისტრ ინა გუდელესთან, ლატვიის ტრანსატლანტიკური ორგანიზაციის გენერალურ მდივან მარტინს მურნიეკსთან, ლატვიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალურ დირექტორ იანის ლეიასთან და ასევე რიგაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

3) შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა დ. აფციაურის, როგორც ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, უფლებამოსილების შეწყვეტა და ასევე ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს ახლად გახსნილი

საელჩოს მრჩევლის თეიმურაზ ჯანჯალიას, როგორც დროებითი რწმუნებულის, წარდგენა ლატვიის ოფიციალურ და საქმიან სტრუქტურებში.

4) 18-19 აპრილს ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს. შეხვედრები შედგა საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან. მოლაპარაკებების ძირითად თემებს წარმოადგენდა საქართველოს ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება, ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, საქართველოში კონკრეტული პროექტების განხორციელების მიზნით ლატვიის განვითარების ფონდის ეფექტურად გამოყენება.

5) 17-19 მაისს, ლატვიის რესპუბლიკაში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის დელეგაცია მისი თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით, რომელიც მიწვეული იყო ბალტიის ასამბლეის კონფერენციაზე (ქ. სიგულდა, 18-19 მაისი). აღსანიშნავია, რომ ასამბლეის (მისი თავმჯდომარე ქვეყანა – ლატვია) მონაწილე სამი ბალტიისპირა სახელმწიფოს გარდა, საქართველო გახლდათ ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ასეთი მაღალი დონით იყო წარმოდგენილი (კონფერენციის მუშაობაში ასევე მონაწილეობას იღებდნენ უკრაინის ოფიციალური დელეგაცია და ბალტიისპირეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები).

6) 22-26 ივნისს, ლატვიაში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს ვიცე-პრემიერი, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე. ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრები შედგა პრემიერ-მინისტრ აიგარს კალვიტისთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივან ნორმანს პენკესთან, თავდაცვის მინისტრ ატის სლაკტერისთან, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივან ედგარს რინკევიჩთან, სეიმის თავდაცვისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე იურის დალბინშთან და სეიმის საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის ჯგუფის ხელმძღვანელ ძინტარს ზაკისთან.

7) 5-8 ივლისს, ლატვიაში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია. ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრები შედგა ლატვიის თავდაცვის მინისტრ ატის სლაკტერისთან, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივან ედგარს რინკევიჩთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივან ნორმანს პენკესთან. ასევე 6 ივნისს, თავდაცვის სამინისტროში, ლატვიის ტრანსატლანტიკური ორგანიზაციის დახმარებით შედგა მრგვალი მაგიდა, რომელშიც ქართულ მხარესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ლატვიის თავდაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. შეხვედრის ფარგლებში საინტერესო დიალოგი გაიმართა გლობალურ პოლიტიკურ საკითხებზე. ბ. ქუთელიამ მოკლე პრეზენტაცია გააკეთა საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა და ქვეყნის შიდა თუ საგარეო პრიორიტეტების შესახებ.

8) 30 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით, ლატვიაში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში ზინაიდა ბესტაევა. ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრები შედგა საგარეო საქმეთა მინისტრ არტის პაბრიკსთან, სოციალური ინტეგრაციის მინისტრ ოსკარს კასტენთან, ასევე ომბუდსმენთან, ლატვიური ენის სააგენტოს და სოროსის

ფონდის ადგილობრივ წარმომადგენლებთან. ზ. ბესტაევას ვიზიტის ძირითადი მიზანი გახლდათ საქართველოსათვის იმ გამოცდილების შესწავლა, რომელიც ლატვიას გააჩნია სოციალური ინტეგრაციის მიმართულებით. შეხვედრებისას საუბარი შეეხო 1990 წლიდან ლატვიური მხარის მიერ განხორციელებულ სოციალურ რეფორმებს, მათ შორის ისეთებს, რომლებიც ეროვნული უმცირესობების სრულყოფილ ინტეგრაციას მოიცავს ლატვიურ საზოგადოებაში. აღინიშნა, რომ საქართველომ რამდენიმე ლატვიური „პრაქტიკა„ სოციალური ინტეგრაციის მიმართულებით უკვე ეფექტურად დანერგა რეგიონებში და მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობის ამ მხრივ გაღრმავება გამოცდილების კიდევ უფრო ეფექტურად გაზიარების მიზნით.

9) 16 აგვისტოს რიგაში, „ქართული ღვინის მწარმოებელი კავშირის" და „საქართველოს სომელიეთა ასოციაციის" ორგანიზებით გაიმართა ქართული ღვინის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანიც გახლდათ ბალტიისპირეთის მოსახლეობის ინფორმირება იმ ფალსიფიცირებული ღვინოების შესახებ, რომელთა ჩამოსხმა ხდება ბულგარეთში, ესპანეთში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში და ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების გამოყენებით იყიდება ქართული ღვინის ძირითად საექსპორტო ბაზრებზე და, მათ შორის, ლატვიაშიც.

10) 1-9 ნოემბერს გაიმართა საქართველოს დღეები, რომლის დროსაც, ერთი კვირის განმავლობაში, სასტუმრო „Reval Hotel Latvia-ში" წარმოდგენილი იყო ფოტოგამოფენა ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, სახელწოდებით „Georgia: the Origins of Europe?", ქართული ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაციის მიზნით კი გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია და სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის, თბილისიდან მოწვეულმა მზარეულმა დაამზადა ქართული კერძები. 5 ნოემბერს პროფესორმა დავით ლორთქიფანიძემ წაიკითხა საზოგადო ლექცია სახელწოდებით „What Do 1.8 Million Year Old Skeletons in Georgia, Have to Say About Modern Nation Branding?", დმანისის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით. საელჩოსთან მიღწეული შეთანხმების შედეგად, სოროსის ფონდი ლატვიაში საიუბილეო ოფიციალურ მიღებებზე სტუმრებს, რომელთა შორის ლატვიის პრეზიდენტი, მთავრობისა და პარლამენტის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები გახლდნენ, მხოლოდ ქართული ღვინით მასპინძლობდა.

11) 14-16 დეკემბერს, ლატვიის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მინვევით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი მუჩაიძე სამუშაო ვიზიტით რიგაში იმყოფებოდა. შეხვედრები შედგა ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ილგვარს კლავასთან და თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივან ედგარს რინკევიჩთან (შეხვედრებზე ასევე მინვეული იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დღევანდელ დღეს საქართველოში არსებული სიტუაციის უკეთ გაცნობა და ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პროცესების უკეთ მართვა და კოორდინაცია.

12) 2008 წლის 9 მაისს რიგაში იმყოფებოდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თეიმურაზ იაკობაშვილი. მან შეხვედრები გამართა ლატვიის საგარეო საქმეთა, თავდაცვის და საზოგადოებრივი ინტეგრაციის სამინისტროებში. შეხვედრებისას საუბარი ძირითადად შეეხო საქართველ-

ოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით შექმნილ ვითარებას და მათი მშვიდობიანი მოგვარების შესაძლებლობებს.

13) 9-11 ივნისს, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე დიმიტრი მანჯავიძე ეწვია რიგას. მისი ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა 9 მაისს თ. იაკობაშვილის ვიზიტისას შეთანხმებული თანამშრომლობის პროგრამის კონკრეტული რეალიზაცია. დ. მანჯავიძე შეხვდა ლატვიის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს საზოგადოებრივი ინტეგრაციის საკითხებში ოსკარს კასტენს, ამასთან, მონაწილეობა მიიღო სოროსის ფონდის მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში თემაზე: „საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დინამიკა – ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივები“.

14) 2008 წლის 11 ივლისს ლატვიას ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში იგი შეხვდა ლატვიის პრეზიდენტს ვალდის ზატლერს, სეიმის სპიკერს გუნდარს დაუძეს, საგარეო საქმეთა მინისტრს მარის რიეკსტინშს და საგარეო პოლიტიკის საბჭოს წარმომადგენლებს. შეხვედრებისას განხილულ იქნა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი სიტუაცია, საქართველოსა და ლატვიის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხი. ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და ლატვიის მთავრობებს შორის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის ან ცხოვრების უფლების არმქონე პირთა რეადმისიის შესახებ და შეთანხმებას საქართველოს ლატვიის მთავრობებს შორის დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთა უვიზო მიმოსვლის შესახებ.

15) 2008 წლის 20-23 აგვისტოს საქართველოს ვიზიტით ეწვია ლატვიის სეიმის ორი დეპუტატი – სანდრა კალნიეტე (ლატვიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი) და კარლის სადურსკისი. ვიზიტის მიზანი იყო შექმნილი სიტუაციის ადგილზე გაცნობა და საქართველოსათვის მხარდაჭერის გამოხატვა. ლატვიის სეიმის დეპუტატებმა გამართეს შეხვედრები საქართველოს პარლამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, არასამთავრობო სექტორთან და თბილისში აკრედიტებულ აშშ-ის საელჩოს დიპლომატებთან. ამასთან, ვიზიტის ფარგლებში მოინახულეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადგილები და იძულებით ადგილნაცვალი პირები.

16) 29 სექტემბრიდან – 1 ოქტომბრამდე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ლატვიის სეიმის სპიკერი გუნდარს დაუძე. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ვაშაძესთან, ვიცე-პრემიერ გია ბარამიძესთან, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილთან და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან. საუბრის ძირითად საკითხებს წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა, საქართველო-ლატვიის ორმხრივი ურთიერთობები, ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება, რეგიონული თანამშრომლობის განვითარება და საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საინფორმაციო პოლიტიკის გააქტიურება.

17) 2008 წლის 25-28 ოქტომბერს ლატვიას სამუშაო ვიზიტით ეწვია საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია (ევროინტეგრაციის კომიტეტი). დელეგაცია შეხვდა ლატვიის სეიმის სპიკერს, ევროინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა კო-

მიტეტების წარმომადგენლებს, საქართველოსთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფს. საუბრის ძირითად თემებს წარმოადგენდა რუსეთის მიერ 12 აგვისტოს შეთანხმების დარღვევა და რუსეთის აგრესიის შედეგები. ვიზიტის დროს ხელი მოეწერა ლატვიისა და საქართველოს პარლამენტების ევროინტეგრაციის კომიტეტებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ.

18) 2008 წლის 19-21 ნოემბერს რიგაში შედგა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის ოფიციალური ვიზიტი. ხსენებული ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა ლატვიის პრეზიდენტ ვალდის ზატლერსთან, სეიმის სპიკერ გუნდარს დაუძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრ მარის რიეკსტინშთან, სეიმის საგარეო საქმეთა და ევროინტეგრაციის კომიტეტების ხელმძღვანელებთან და სეიმის საქართველოსთან თანამშრომლობის ჯგუფის წარმომადგენლებთან. შეხვედრებისას საუბარი შეეხო საქართველოს მიმართ განხორციელებულ რუსეთის აგრესიას, საქართველოს საშინაო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას, ლატვია-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებს. სეიმის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა დავით ბაქრაძე. საელჩოს ინიციატივით და ხელშეწყობით შედგა დ. ბაქრაძის სატელევიზიო, რადიო და საგაზეთო ინტერვიუები.

19) 2008 წლის 28 ნოემბერს თბილისში შედგა ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის მოადგილის, პოლიტიკური დირექტორის, პეტერის უსტუბსის სამუშაო ვიზიტი. ამ ვიზიტისას პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და საქართველოს პარლამენტში.

ე) საქართველოს დელეგაციების მონაწილეობა ლატვიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში (2008 წელი)

12 თებერვალს რიგაში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებს. მასში მონაწილეობა მიიღეს როგორც ლატვიის სეიმისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებმა. საქართველოს საელჩო გახლდათ ძირითად მომხსენებელთა შორის. კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჩარჩოებში, საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობაზე, რომლის ფარგლებშიც ქართულმა მხარემ მიმოიხილა კონკრეტულ სფეროებში არსებული სიტუაცია და მომავალი ურთიერთობების პერსპექტივები. განსაკუთრებულად აღინიშნა დიალოგის მნიშვნელობა მმართველობის გაუმჯობესების, ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების, სავიზო რეჟიმის გამარტივების, განათლების სისტემის რეფორმირების, გაყინული კონფლიქტების დარეგულირების, რეგიონალური კავშირების გამყარების, სამართლებრივი რეფორმების და მიგრაციის საკითხების მიმართულებით.

22-23 სექტემბერს ქ. იურმალაში შედგა კონფერენცია თავდაცვის პოლიტიკისა და სტრატეგიის თაობაზე (CONFERENCE ON DEFENCE POLICY AND STRATEGY). მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმაც, რომლებმაც მიმოიხილეს საქართველოში რუსეთის აგრესია, მისი შედეგები და საერთაშორისო საზოგადოებას შესაბამისი დასკვნების გაკეთებისაკენ მოუწოდეს.

31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს რიგაში გაიმართა მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მსოფლიოში არსებულ თანამედროვე პოლიტიკურ სიტუაციას და გლობალური პოლიტიკის გამოწვევებს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში კონფერენცია ყოველწლიურად იმართება ლატვიის ყოფილი პრეზიდენტის – ვაირა-ვიკე ფრაიბერგას პატრონაჟით და ორგანიზებულია ლატვიის ტრანსატლანტიკური ორგანიზაციის, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ლატვიის პრეზიდენტმა ვალდის ზატლერსმა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას ჰენდრიკს ილვესმა, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების მაღალი დონის წარმომადგენლებმა, მათ შორის, ჩეხეთის ვიცე-პრემიერმა ალექსანდრე ვონდრამ, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარის რიეკსტინშმა, რუსეთის ფედერაციის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბორის ნემცოვმა, აშშ-ის ელჩმა NATO-ში კურტ ფოლკერმა, პარლამენტის წევრებმა, პოლიტიკურმა ექსპერტებმა და მიმომხილველებმა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა 180-ზე მეტი სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი.

კონფერენციის განმავლობაში იმავე შენობაში მიმდინარეობდა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა რუსეთის აგრესიის ამსახველ ფოტო-დოკუმენტურ ფაქტებს.

ვ) რეგიონული თანამშრომლობა

2007 წლის 20 აგვისტოს რიგაში შედგა სუამ-ის ქვეყნების ელჩების პირველი სამუშაო სხდომა. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა ოფიციალური სადილი, რომელზეც მიწვეული იყო ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი არტის პაბრიკსი. შეხვედრისას მიმოხილულ იქნა ორგანიზაციის ფარგლებში არსებული თანამშრომლობის ძირითადი ტენდენციები.

ასევე ინიცირებულ იქნა სუამ-ის მეგობარი ქვეყნების ჯგუფი (მაგალითად მოყვანილ იქნა საქართველოს მეგობართა ჯგუფის პრაქტიკა). აღნიშნულის შედეგად შესაძლებელი გახდა, რომ რიგაში 23 ნოემბერს გამართულ კონფერენციაზე სახელწოდებით „ბალტიის ქვეყნები და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა", მომხდარიყო სუამ-ის მეგობართა ჯგუფის პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა და ლატვიის ინტეგრაციის მინისტრები.

შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ქალაქებს: ბათუმს, დუშეთს, ჭიათურას და მცხეთას გაფორმებული აქვთ ლატვიის ქალაქებთან: ლუდზასთან, იაუნპილსთან, სიგულდასთან, სკრუნდასთან და კულდიგასთან.

2008 წლის ოქტომბერში ვიზიტები შედგა იმ ლატვიურ ქალაქებში, სადაც გაიმართა შეხვედრები ადგილობრივი მმართველობების ხელმძღვანელობებთან.

შეხვედრებმა მეტად მეგობრულ და, ამავე დროს, სამუშაო გარემოში ჩაიარა. მათზე განხილულ იქნა უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები, ასევე თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულება, როგორებიცაა: სოციალური, განათლების, ადგილობრივი მმართველობის, კულტურული და ეკონომიკური სფეროები. ეკონომიკური თანამშრომლობის მხრივ შედგა შეთანხმება, რომ ხელს შევუწყობთ კონკრეტული ეკონომიკური პროექტების შემუშავებას და განხორციელებას, რაც ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება.

სკრუნდას და კულდიგას ხელმძღვანელობებმა თავიანთ ქართველ კოლეგებს აცნობეს, რომ ისინი უახლოეს მომავალში გეგმავენ კონკრეტული ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენას საქართველოს იმ მოსახლეობისათვის, რომელიც დაშავდა რუსეთის მიერ 2008 წელს განხორციელებული აგრესიის დროს.

ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, ქართულ დელეგაციებს შესაძლებლობა მიეცათ, რომ მოენახულებინათ ამ ქალაქების ისტორიული ღირსშესანიშნაობები და სოციალური ობიექტები.

ზ) კულტურული თანამშრომლობა

ლატვიაში ორგანიზებულ იქნა არაერთი კულტურული ღონისძიება. ამ ქვეყანას ეწვია მომღერალი ნინო ქათამაძე, ქართული ხალხური ანსამბლი „ანჩისხატი“, რეზო გაბრიაძის თეატრი, ჯაზანსამბლი „შინი“. სიგულდას 800 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეში მონაწილეობა მიიღო ჭიათურის ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა. საელჩომ მონაწილეობა მიიღო საქართველო-ლატვიის ურთიერთობის ისტორიის ამსახველი გამოფენის გახსნაში, რომელიც ლატვიის აკადემიურ ბიბლიოთეკაში მოეწყო.

საქართველო-ლატვიის მეგობრობის ამსახველი გამოფენით, 2007 წლის შემოდგომაზე თბილისში იმყოფებოდა ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი და დირექტორატის წევრები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ორ ქვეყანას შორის არსებული ისტორიულ-კულტურული კავშირების ამსახველი მასალები, ასევე ჩვენს ქვეყნებში მოღვაწე ლატვიელი და ქართველი გამოჩენილი ადამიანების პირადი ნივთები თუ ხელნაწერები. ამავე პერიოდში საქართველოში გასტროლებით იმყოფებოდა და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამოვიდა ლატვიური ხალხური ცეკვის ანსამბლი.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ლატვიაში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ქართული კულტურისა და ისტორიისადმი. საელჩო თავის კომპეტენციის ფარგლებში ლატვიურ საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას ქართული კულტურისა და ტრადიციების შესახებ. ოქტომბერ-ნოემბერში ლატვიას ეწვია სამების ეკლესიის მგალობელთა გუნდი და ქართული ჯაზანსამბლი „შინი“, რომელსაც საკმაოდ კარგად იცნობენ არა მარტო ლატვიაში, არამედ მთელ ევროპაში.

სამების ეკლესიის მგალობელთა გუნდის გამოსვლას დიდი წარმატება მოჰყვა როგორც ლატვიის დედაქალაქში, ისე ლატვიის სხვა ქალაქებშიც, რომლებშიც ქართველი მუსიკოსები კონცერტებით გაემგზავრნენ.

რაც შეეხება ანსამბლ „შინის“, მათ მაყურებელს დიდი წარმატებით წარუდგინეს ლატვიის კონსერვატორიის პროფესორებთან და სტუდენტებთან ერთად შემუშავებული პროგრამა. „შინის“ ხელმძღვანელობას გაუჩნდა სურვილი მომავალში ახალი პროექტით ეწვიოს რიგას, რაშიც საელჩომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება აღუთქვა.

ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველო-ლატვიის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების შესახებ მოგვაწოდა საქართველოს საელჩომ ლატვიის რესპუბლიკაში.

LATVIAN ACADEMY OF SCIENCES
President JANIS STRADINS, Professor, Dr. habil. chem. Dr. hist. h. c.

Рига, 23 сентября 2002 г.

Академику проф. химии Джондо Джапаридзе
380008, Тбилиси, проспект Ш. Руставели 52
Академия наук Грузии

Дорогой Джондо,

прошу извинить, что только сейчас пишу более подробное письмо Вам и Вашей семье. В эти драматические дни, которые сейчас переживает прекрасная Грузия, хотел бы выразить чувства искренней дружбы стране, народу и академии наук в деле сохранения целосности, независимости и богатого культурного наследия грузинского народа. Уверен, что все мечты сбудуться и трудности переходного времени наконец прекратятся!

Еще раз от души благодарю за оказанную мне (и – я добавил бы – Латвии, нашему научному сообществу!) честь быть избранным сочленом Грузинской академии наук. Об этом написали и в нашей официальной газете „Latvijas Vestnesis" (13 сентября 2002 г.), вырезку статьи прилагаю. Вы были инициатором этого избрания, для меня это еще одно свидетельство давнешней нашей дружбы, верности идеалам молодости и общих научных устремлений. Поэтому я несколько ностальгически дорожу этими ценностями. Был очень тронут также присланными подарками, которые получил через г-жу Якобидзе; она зашла к нам неожиданно, в день своего отъезда, я не успел передать через нее ни письмо, ни какие-либо сувениры из Риги, – извините. Но она обещала поддерживать связь между нашими академиями, поэтому я надеюсь, что впредь еще будем иметь возможность общаться теснее.

Очень рад, что Ваш институт развивается, а семья Ваша, особенно дети, живут хорошо. Нам пришлось сменить квартиру, мы все еще устраиваемся в новом месте, хотя окончательно переехали уже в марте с. г., но не все идет так быстро, как хотелось бы (особенно библиотека, книги, картины и т. д.).

Кроме того, различного рода нагрузки, связанные с Академией наук, чрезмерны для моего возраста и здоровья – заседания, проекты, поездки (в этом году побывал, кажется, в 8 странах, в том числе и в Китае); продолжаю писать, в том и по истории науки. Электрохимией занимаюсь уже меньше, но за последний год все же 2 оригинальные статьи удалось „выкроить", хотя в Институте органического синтеза бываю 1 раз в неделю (а порою и в 2 недели).

Лайма также продолжает работать, только что справили „рубиновую свадьбу" (40 лет совместной жизни), выпили бутылку грузинского красного вина „Саперави", вспомнили Вашу семью, прелестные дни нашего общения и в Грузии, и в Латвии. Санатория „Кемери" уже не существует! В июле родился первый внук, сын Петера, которого мы назвали Карлом (в честь отца Лаймы), – это – наша радость.

К сожалению, за последние годы, после 1999 года, не удалось написать больших книг, но сейчас потихоньку работаю над большой книгой о развитии науки и высшего образования в Латвии и Риге, начиная с 13 столетия до наших дней; материал все накапливается, интересен; есть вещи, о которых до сих пор никто из историков не писал еще.

К сожалению, утерял Ваш домашний адрес, поэтому пишу в адрес Академии наук Грузии.

Сердечный привет Эмме, Лали, Темурику от нас с Лаймой. Паул сейчас в Денвере, США. Петер - во Франции (скоро вернется). Очень будем рады подробному письму о Вашем житье - бытье, о том, как живете. Мы вас, семью Джапаридзе, действительно любим и дорожим дружбой.

Искренне Ваш
Ян Страдынып

რაულ ჩილაჩავა

მივლინებიდან მივლინებაში: ლატვია

2005 წლის 24 აგვისტოს უკრაინის ახალი ხელისუფლება სოფიის ტაძრის ისტორიულ ეზოში პირველად ზეიმობდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს. ფოთლოვანით დაყურსულ ხეივნებში გაშლილ სადღესასწაულო სუფრებთან თავი მოეყარათ ქვეყნის პირველ პირებს, უცხოელ დიპლომატებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. უკრავდა სასულე ორკესტრი, უბერავდა მინურული ზაფხულის თბილი სიო და საამოდ ელამუნებოდა თანამეინახეთა კმაყოფილ სახეებს...

ის იყო წასვლა დავაპირე და გასასვლელისაკენ გავემართე, როცა ჩემსკენ მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ტარასიუკი შევნიშნე. მე და ბორისი თანატოლები ვართ, 90-იანი წლების დამდეგს თითქმის ერთდროულად დაგვნიშნეს მინისტრის მოადგილეებად, ხშირად გვქონია საქმიანი შეხვედრები, ამიტომ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ.

მოკლე მისალმებისა და ურთიერთმილოცვის შემდეგ ბორისმა მითხრა:

– პრეზიდენტი თანახმაა ელჩად დაგნიშნოთ. მალე, ბალტიის ერთ-ერთ სახელმწიფოში გაემგზავრებით. დარწმუნებული ვარ, არჩევანზე პრობლემა არ გვექნება, ამიტომ უკვე აქედანვე შეუდექით მზადებას.

ელჩობაზე საუბარი მინისტრთან ადრე მართლაც მქონია, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ასეთ მიმართულებას შემირჩევდნენ...

ლატვიაზე, რომელიც საჩემოდ შეერჩიათ, ასე თუ ისე წარმოდგენა მქონდა, თანაც იქ რამდენიმე ნაცნობიც მყავდა. ჯერ კიდევ 1969 წელს მიკოლა ვინგრანოვსკიმ შემახვედრა ლატვიელ პოეტ კნუტს სკუენიეკსთან, რომელსაც ბრიტანული ენციკლოპედიის კითხვისათვის მორდოვეთის ბანაკებში შვიდი წელიწადი გაეტარებინა და თანასაკნელი უკრაინელებისაგან მათი მშობლიური ენაც ჩინებულად შეესწავლა. ვიცნობდი აგრეთვე მარის ჩაკლაისს, ნაკითხული მქონდა იანის რაინისის, ანდრე უპიტის, ვილის ლაცისის, ოიარ ვაცეტისის, ალექსანდრ ჩაკის წიგნები.

სამოცდაათიან წლებში ვმეგობრობდი უკრაინული წარმოშობის რიგელ პოეტ ლეონიდ ჩერევიჩნისთან, რომელიც ლატვიელ პოეტებს რუსულად თარგმნიდა. და კიდევ: აღფრთოვანებული ვიყავი რიგის კინოსტუდიის ფილმით „გრძელი გზა დიუნებში", სადაც მართას მთავარ როლს მომხიბლავი ლილიტა ოზოლინია ასრულებდა (როცა მე რიგაში გამოვცემ რაინისისა და მისი მეუღლის, ასპაზიას ერთობლივი წიგნის – „სამფერი მზის" თარგმანს, საპრეზენტაციო საღამოზე სწორედ ჩემ გვერდით მდგომი ლილიტა წაიკითხავს ლატვიურ ორიგინალებს!).

ყველაზე უცნაურ დამთხვევად კი ის მომეჩვენა, რომ 1995 წელს ვხელმძღვანელობდი უკრაინის ერთ-ერთ სამუშაო დელეგაციას, რომელიც რიგაში პრეზიდენტ კუჩმას ვიზიტს ამზადებდა. მაშინ, ცხადია, უკრაინის საელჩოშიც მომიხდა ყოფნა, თუმცა ყველაზე ფანტასტიკურ სიზმარშიაც კი არ მომელანდებოდა, რომ აქ ოდესმე ელჩად ჩამოვიდოდი.

ჭეშმარიტად: არასოდეს უნდა თქვა „არასოდეს!“...

2006 წლის 23 იანვარს კიევის მასწავლებლის სახლში გულთბილი გაცილება მომიწყვეს. მეგობარ მწერლებთან და მკითხველებთან ერთად, საღამოზე მოვიდნენ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები, სამინისტროს დეპარტამენტთა დირექტორები, უზენაესი რადის დეპუტატები, ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობისა და მეგობრობის მოსურნენი. იყო ყვავილები, სუვენირები, წარმატების გულწრფელი სურვილები...

ახალი სამსახურის დასაწყებად 8 თებერვალს მარტო გავფრინდი...

აეროპორტში საელჩოს მრჩეველი ალექსანდრე იუროვი და მეორე მდივანი ნატალია იაკოვენკო დამხვდნენ. თუმცა საღამოს შვიდი საათი იყო, მითხრეს, ყველა თანამშრომელი ადგილზეა, თქვენ გელოდებიანო. და ჩვენც დაუყოვნებლივ მათთან შესახვედრად გავემგზავრეთ.

ეს უკვე არ იყო ის საელჩო, რომელშიც მე ვიყავი ნამყოფი. 1997 წელს უკრაინამ რიგის ცენტრში ლამაზი, სამსართულიანი შენობა შეიძინა, რომელსაც ფლიგელი აქვს მიშენებული და საკმაოდ მოზრდილი ეზოც აკრავს. აქ დიპლომატებსაც და ტექნიკურ პერსონალსაც ყველა პირობა გააჩნიათ პროფესიულ მოვალეობათა ნარმატებით შესასრულებლად.

ის ღამე საელჩოში გავათენე. მეორე დღეს კი უკვე რწმუნების სიგელი უნდა ჩამებარებინა ქვეყნის პრეზიდენტისათვის.

დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიაში ეს საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, როცა ახლად დანიშნულ ელჩს პრეზიდენტი დაუყოვნებლივ ხვდება. მათ ჩვეულებისამებრ საამისოდ კვირაობით უწევთ ლოდინი. ამ ხნის მანძილზე ელჩს რაიმე ოფიციალურ ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება არა აქვს, უნდა იჯდეს და ელოდოს სპეციალურ მოწვევას პროტოკოლიდან...

საბედნიეროდ, მე ნერვების ასეთი გამოცდა ამცდა და ლამის პირდაპირ თვითმფრინავიდან რიგის ციხესიმაგრეში მოვხვდი, რომელშიც პრეზიდენტის რეზიდენციაა განთავსებული... იგი ვეც-რიგაში (ძველ რიგაში) პირდაპირ მდინარე დაუგავას ნაპირზე, ხიდის თავშია აღმართული და, დომისა და წმ. პეტრეს ტაძრებთან ერთად, მარჯვენა სანაპიროს ანუ ისტორიული ნაწილის მთავარი არქიტექტურული სიმბოლოა...

რიგის ციხესიმაგრის ალაყაფთან ყოველ საათში იცვლება პირველი რესპუბლიკის ფორმაში გამოწყობილი ორკაციანი ყარაული...

ელჩების მიერ რწმუნების სიგელის გადაცემა ბევრჯერ მენახა ტელევიზიით, მაგრამ ეს ყოველთვის ჯგუფური ღონისძიება ყოფილა, აქ კი ქალბატონ ვაირა ვიკე-ფრეიბერგას მარტო მე უნდა მივეღე.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო პირადად ჩემ მიმართ პატივისცემით გამოწვეული. უპირველესად იგულისხმებოდა პატივისცემა ქვეყნის მიმართ, რომელსაც წარმოვადგენდი. მეორეც, უახლოეს ხანში კიდევ რომელიმე ახალი ელჩის ჩამოსვლას არ ელოდნენ.

ზუსტად თორმეტ საათზე გაიღო საცერემონიალო დარბაზის კარები. მე პროტოკოლის უფროსის თანხლებით ჩავუარე საპატიო ყარაულს და პრეზიდენტისაკენ გავემართე. წინასწარ ვიცოდი, სად შევჩერებულიყავი, რა მეთქვა, როგორ გადამეცა ქვეყნის უზენაესი საჭეთმპყრობელისათვის „გუჯარი“, რომლითაც პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო მანდობდა უკრაინაში თავის წარმომადგენლობას.

ლატვიის პრეზიდენტს ბორდოსფერი მკაცრი კოსტიუმი ეცვა, მოკლედ შეკრეჭილი ოქროსფერი თმები ლამაზად ჰქონდა გადავარცხნილი და სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებდა.

აუცილებელი რიტუალის მერე გავედით მეზობელ ოთახში, სადაც, ფინჯან ყავასთან ერთად, მოკლედ შევეხეთ ორი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს, ვისაუბრეთ მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

პრეზიდენტი დაინტერესდა ჩემი ბიოგრაფიით და შენიშნა, რომ მე პირველი ელჩი ვარ ლატვიაში, რომელიც არ წარმოვადგენ ჩემს ეთნიკურ სამშობლოს.

– ამ ფაქტიდან ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება: უკრაინა ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოა; თქვენ საკუთარი ცხოვრებითა და საქმიანობით მართლაც დაიმსახურეთ ასეთი მაღალი ნდობა. ჩემთვის ერთიც და მეორეც სასიამოვნოა და მისასალმებელი, – თქვა მან.

საუბრის ბოლოს ქართულ თემასაც შევეხეთ. მასპინძელს არ დაუმალავს სიმპათია ჩვენი ქვეყნისადმი. მითხრა, რომ საქართველოსა და უკრაინას ლატვიის, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის, საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

– ჩვენ უკვე განვვლეთ ის გზა, რომლის გავლასაც თქვენ აპირებთ ევროპისა და ნატოსაკენ. ამიტომ, ლატვიის – ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის გამოცდილება, უთუოდ კარგ სამსახურს გაგიწევთ. ჩვენ მზად ვართ თქვენს წარმატებაში წვლილის შესატანად, მზად ვართ ვიყოთ თქვენი ადვოკატი ბრიუსელში, – მითხრა პრეზიდენტმა დამშვიდობებისას.

მე გამუდმებით ვადევნებდი თვალს ქალბატონ ფრეიბერგას მოღვაწეობას და სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ეს იყო არა მარტო ბრწყინვალე ერუდიციის, არამედ მტკიცე ნებისყოფის მქონე პიროვნება, რომელმაც მტერსაც და მოყვარესაც ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ის, რაც ქართველებმა ოდითგანვე ვიცით – თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევა.

თავისი პრეზიდენტობის მარტო ბოლო წელინადს მისი ძალისხმევით რიგაში ჩატარდა ნატოს სამიტი და მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში, ხოლო ლატვია ოფიციალური ვიზიტით მოინახულეს ინგლისისა და ნიდერლანდების დედოფლებმა, ბელგიის ხელმწიფემ, იაპონიის იმპერატორმა და უცხო სახელმწიფოთა ბევრმა სხვა მეთაურმაც.

თვითონ იგი დაუღალავად მოგზაურობდა და თავისი სამშობლოს მხურვალე პროპაგანდას ეწეოდა. ფრეიბერგას წყალობით ლატვია იქცა პოპულარულ ქვეყნად, რომლის არსებობა გაიგეს იქაც, სადაც ადრე მასზე არაფერი სმენოდათ...

ორი საპრეზიდენტო ვადა ლატვიის პრეზიდენტმა თავისი ქვეყნის საერთაშორისო სარბიელზე გაყვანას მოახმარა. მისი ძალისხმევით, ბალტიის ორმილიონიანი სახელმწიფო საბოლოოდ მოწყდა ყოფილ საბჭოთა ორბიტას და საპირისპირო ბანაკში – ნატოსა და ევროკავშირში დამკვიდრდა.

მართალია, საამისოდ ბევრი რამ უკვე გაკეთებული ჰქონდათ წინამორბედ პრეზიდენტსა და მთავრობებს, მაგრამ მისი აქტიურობა განსაკუთრებით თვალში საცემი იყო. მან შეძლო საზოგადოების უმეტესობა დაერწმუნებინა დასავლურ ფასეულობათა პრიორიტეტულობაში, რისთვისაც წარმატებით გამოიყენა იმავე დასავლეთში მიღებული სააგიტაციო მასალის უნივერსალური ცოდნა.

ხაზგასმული პრომამერიკული კურსი, ქვეყნის ოკუპაციური წარსულის ოფიციალურად აღიარების პრინციპული მოთხოვნა, ლატვიური სულიერი ღირებულებების დამკვიდრება საზოგადოებრივ შემეცნებაში იქცა ვაირა ვიკე-ფრეიბერგას სახელმწიფო საქმიანობის ძირითად ქვაკუთხედად.

რაულ ჩილაჩავა, უვადო მივლინება, რიგა, 2009, გვ. 541-548 (იბეჭდება შემოკლებით).

ნიკო ჯავახიშვილი

ღირსეულ მამულიშვილთა სადიდებლად

(რეცენზია 1997-1998 წლებში რიგაში გამოცემულ ორტომეულზე „სამი ვარსკვლავის სხივებში")

თავისუფლებისმოყვარე, ამაყი და კეთილშობილი ლატვიელი ხალხის მედგარი, შეუპოვარი ბრძოლა თავიანთი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ქართველ ერში ყოველთვის დიდ თანაგრძნობას იწვევდა.

ჭეშმარიტად მისაბაძია ის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული, რასაც ლატვიელები თავიანთი ღირსეული მამულიშვილების მიმართ იჩენენ. ეს კიდევ ერთხელ, თვალნათლივ დადასტურდა 1997-1998 წლებში, როდესაც ქალაქ რიგაში, გამომცემლობა „ლატვიას ვესტნესმა", უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე, ორ ტომად დასტამბა ნაშრომი „სამი ვარსკვლავის სხივებში" (მისი მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ ბატონ უშანგ სახლთხუციშვილს).

„სამი ვარსკვლავის სხივებში", რომელიც ლატვიის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოს – სამი ვარსკვლავის ორდენის შესახებ მოგვითხრობს, მრავალმხრივ საყურადღებო, ფრიად სოლიდური ნაშრომია.

ვფიქრობთ, თვით ამ ორდენის ისტორიის გახსენება ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

ლატვიის პირველი და უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო – „სამი ვარსკვლავის ორდენი" – 1924 წლის 25 მარტს დაწესდა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების (18. XI. 1918 წ.) აღსანიშნავად. საგულისხმოა, რომ ის დღესაც ერთადერთი და უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოა ლატვიაში.

სტატუტის მიხედვით, ამ ორდენით უნდა დაჯილდოებულიყვნენ ისინი, ვინც მამულის საკეთილდღეოდ გამოიჩენდა თავს სამხედრო თუ სამოქალაქო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გათვალისწინებული იყო უცხოელთა დაჯილდოებაც.

ოქროს არშიაშემოვლებული სამი ვარსკვლავის ორდენი ჩამოჰგავს ცნობილ და ფრიად პოპულარულ ჯილდოს – მალტის ჯვარს, თუმცა მათ შორის არის არსებითი განსხვავებაც. ლატვიური ორდენის ავერსის შუაგულში ლურჯი მინანქრით დაფარული და მოვარაყებული მედალიონია მოთავსებული. მის ცენტრში, მზის სხივების ფონზე სამკუთხედს კრავს სამი ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომლებიც სიმბოლურად განასახიერებენ ლატვიის სამ ისტორიულ მხარეს: კურზემეს, ვიდზემეს და ლატგალეს. რევერსის ცენტრში ოქროს მედალიონია შემდეგი წარწერით: „LATVIAS REPUBLIKA, 1918 G. 18 NOVEMBRIS". მის გარშემო ზოგადსაკაცობრიო შინაარსის ლათინური დევიზია – „Per aspera ad astra" („ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ").

არსებობდა ხუთი ხარისხის ორდენი. პირველსა და მეორეს ჰქონდა ხუთქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავი, რომლის შუაგულშიც ოქროთი მოვარაყებული და ლურჯი მინანქრით დაფარული მედალიონია მოთავსებული. მის ცენტრში სამი ვარსკვლავია ირგვლივ შემოვლებული ლეგენდით – „PAR TEVIJU" („მამულისათვის").

საორდენო ბაფთა ორმხრივი ოქროს არშიის მქონე საუკეთესო აბრეშუმის ცისფერი ქსოვილისაგან არის დამზადებული.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, პირველი ხარისხის ორდენთან ერთად, ზოგჯერ ოქროსაგან დამზადებული საორდენო ჯაჭვიც გაიცემოდა. ასეთი პატივი წილად ხვდა მხოლოდ ცამეტ სახელმწიფო მოღვაწეს. მათ შორის იყვნენ: ესტონეთის სახელმწიფოს ექსმეთაური კონსტანტინე პეტსი; ესტონეთის სახელმწიფოს მეთაური იან ტონისონი; ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი, დოქტორი ტომაშ მასარიკი; საფრანგეთის პრეზიდენტი გასტონ დუმერგი; ლიტვის პრეზიდენტი, დოქტორი ანტანას სმეტონა; პოლონეთის პრეზიდენტი იგნაცი მოსციცკი; ფინეთის პრეზიდენტი ლაური ქრისტიან რელანდერი; შვედეთის მეფე გუსტავ V; ლატვიის პრეზიდენტი გუსტავ ზემგალსი; ბელგიის მეფე ალბერტ I; ლატვიის პრეზიდენტი ალბერტ კვიესისი; ფინეთის პრეზიდენტი პერ ევინდ სვინჰუვიდი და უნგრეთის სამეფოს გამგებელი მიკლოშ ნადიბანიაი ჰორტი (ჩამოთვლილია ქრონოლოგიურად 1928 წლიდან – 1939 წლამდე დაჯილდოებულნი).

თავდაპირველად არსებულ სამი ვარსკვლავის ხუთი ხარისხის ორდენს 1928 წლიდან დაემატა სამი ხარისხის: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს საპატიო ნიშანიც. ეს არის მრგვალი ფორმის მედალი, რომლის ავერსზეც ამოტვიფრულია სამი ვარსკვლავის ორდენის ჯვრის რელიეფური გამოსახულება, ხოლო რევერსზე ლეგენდაა: „PAR TEVIJU“ („მამულისათვის“). ქვემოთ ალმოდებული გულია გამოხატული, თავად მედალს კი ლატვიელთათვის წმიდა ხედ შერაცხული მუხის ფოთლებისაგან დანნული გვირგვინი აკრავს.

ორდენით დაჯილდოების წინადადება შეიძლებოდა წამოსულიყო: ქვეყნის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, მინისტრების და ორდენის სათათბიროს წევრებისაგან. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შედიოდნენ: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, სეიმის ორი დეპუტატი და დიდი საორდენო ჯვრის ორი კომანდორი.

სამი ვარსკვლავის ორდენით პირველი დაჯილდოება 1924 წლის 24 თებერვალს მოხდა. I ხარისხის ამ ორდენის პირველი კავალრები გახდნენ ლატვიის პირველი პრეზიდენტი იან ჩაკსტე და საგარეო საქმეთა პირველი მინისტრი ზიგფრიდ ანა მეიეროვიცი. იმავე წლის 28 თებერვალს კი ასევე I ხარისხის ორდენის მფლობელნი გახდნენ ლატვიის პირველი პრემიერ-მინისტრი კარლის ულმანისი და პოეტი რაინისი (იან პლიეკშანსი).

ავბედით 1940 წელს, როდესაც ლატვიამ სახელმწიფო დამოუკიდებლობა დაკარგა და საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა, სამი ვარსკვლავის ორდენიც დავიწყებას მიეცა.

ლატვიამ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1990 წ.) შემდეგ, 1994 წლის 25 ოქტომბერს სამი ვარსკვლავის ორდენი თავისი საპატიო ნიშნითურთ აღადგინა.

აღდგენილი ორდენის უმაღლესი ხარისხის ნიშნით დაჯილდოვდნენ: საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი; შვედეთის მეფე კარლოს XVI გუსტავი; შვედეთის დედოფალი სილვია; ლიტვის პრეზიდენტი ალგირდას ბრაზაუსკასი; ესტონეთის პრეზიდენტი ლენარტ მერი; დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი ელისაბედ II; დანიის დედოფალი მარგარიტა; დანიის კრონპრინცი ფრედერიკი; დანიის პრინც-კონსორტი ჰენრიკი; საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი; პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრე კვაშნიევსკი; იტალიის პრეზიდენტი ოსკარ ლუიჯი სკალფარო; ფინეთის პრეზი-

დენტი მარტი აჰტისაარი; ისლანდიის პრეზიდენტი ოლაფურ რაგნარ გრიმსონი; ნორვეგიის მეფე ჰარალდ V; ნორვეგიის დედოფალი სონია და ლატვიის პრეზიდენტი გუნტის ულმანისი (ჩამოთვლილია ქრონოლოგიურად 1995 წლიდან – 1998 წლამდე დაჯილდოებულნი).

იმედია, რომ, ღვთის შეწევნით, ეს ორდენი, ლატვიის სახელმწიფოსთან ერთად, ამიერიდან მარად იარსებებს და დავიწყების ბურუსით ის აღარასოდეს დაიფარება.

ორდენის ზემოთ მოტანილი დრამატული და, ამავე დროს, ფრიად საინტერესო ისტორიიდან გამომდინარე, ჩვენთვის სავსებით გასაგებია წიგნის – „სამი ვარსკვლავის სხივებში" ავტორთა და გამომცემელთა კეთილშობილური მიზანი – მომავალ თაობებს წმინდად შემოუნახონ მათი სახელები, რომლებმაც თავი ისახელეს ლატვიის სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და მშენებლობაში როგორც 1918-1940, ასევე 1990-1998 წლებში. სწორედ ამიტომ დაურთეს მათ ამ ნაშრომს ხსენებული ორდენით სხვადასხვა დროს დაჯილდოებულთა ნუსხა, ასე სათუთად რომ შემოუნახავს ლატვიის არქივებსა და თავისუფლებისმოყვარე ლატვიელი ხალხის მეხსიერებას.

ნაშრომი პროფესიულად, დახვეწილი გემოვნებით არის გაფორმებული და უხვადაა ილუსტრირებული. კავალერთა ფოტოებთან და დაჯილდოების დოკუმენტაციასთან ერთად, წიგნში ორდენისა და მისი წარჩინების ნიშნის სხვადასხვა ხარისხის ნიმუშებია წარმოდგენილი.

მართალია, წიგნში მოთავსებული ძირითადი ტექსტი ლატვიურ ენაზეა, მაგრამ მას ამომწურავი ანოტაციები ერთვის ინგლისურ, ჩინურ, არაბულ, რუსულ და სხვა უცხო ენებზე.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილული წიგნის ასეთ მაღალ აკადემიურ დონეზე გამოცემით ლატვიის სამთავრობო გაზეთმა „ლატვიას ვესტნესმა" („ლატვიის მოამბე"), კერძოდ კი ბატონმა ოსკარ გერტმა (მთავარი რედაქტორი) და ქალბატონებმა აინა როზენიეცემ და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ქრისტინე დუცმანემ მართლაც საშვილიშვილო საქმე გააკეთეს. ლატვიის ხელისუფლება ამაში მათ დიდად დაეხმარა. იმედია, რომ ლატვიის მესვეურებს არც მათი ქართველი კოლეგები ჩამორჩებიან და ახლო მომავალში ვიხილავთ ანალოგიურ დონეზე გამოცემულ წიგნს ყველა დროის ქართული ჯილდოებისა და მათ კავალერთა შესახებ.

ნიკო ჯავახიშვილი,
ღირსეულ მამულიშვილთა სადიდებლად,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წელიწდეული „ქართული დიპლომატია",
ტ. VI, თბილისი, 1999, გვ. 366-369.

ნიკო ჯავახიშვილი

ლატვიური დღიურები (2009-2010 წწ.)

მასშემდეგ,რაცდავიწყექართულ-ბალტიურიურთიერთობის ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლა, აუცილებელი გახდა ბალტიისპირეთის სიძველეთა საცავებში დაცული სათანადო მასალების მოძიება.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლატვიის რესპუბლიკაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა კონსტანტინე კორკელიამ ჩვენი ინიციატივის მიმართ ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი მიდგომა გამოიჩინა. მისი თანადგომით, ლატვიაში ორჯერ ვიმყოფებოდი სამეცნიერო მივლინებით: 2009 წლის 12 აგვისტოდან – 10 სექტემბრამდე და 2010 წლის 2-17 სექტემბერს. ამ ხნის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს ჩემს დღიურში ყოველდღიურად ვაფიქსირებდი.

ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული მივლინებების ამსახველი ქრონიკა, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: 1) „ლატვიური დღიური – 2009“ და 2) „ლატვიური დღიური – 2010“.

იმისათვის, რომ წინამდებარე დღიურები მკითხველისათვის მომაბეზრებელი არ გამხდარიყო, მასში შეგნებულად შევამოკლე ის ეპიზოდები, რომლებიც ლატვიის სიძველეთა საცავებში ჩემს ყოველდღიურ საქმიანობას შეეხებოდა.

აქვე დავსძენ, რომ ქვემოთ წარმოდგენილი დღიურის ორივე ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (იხ.: №3 და №25, თბილისი, 2010).

ლატვიური დღიური – 2009

12. VIII. 2009.

გამთენიისას ჩავფრინდი რიგაში. აეროპორტში დამხვდნენ „ლატვია-საქართველოს თანამშრომლობის ფონდის“ მმართველობის ფონდის საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორი ანდრეის კრუსკოპსი და ლატვიაში აკრედიტებული საქართველოს საელჩოს თანამშრომელი პაატა გაბიძაშვილი. ანდრეის და მის ქართველ მეუღლეს – ელენა (ლიკა) ჟორჟოლიანს თბილისიდან ვიცნობ. ეს ადამიანები ბევრს

აკეთებენ ლატვიაში ქართული კულტურის და, საერთოდ, საქართველოს პოპულარიზაციისათვის. ანდრეის, ქართული წესისამებრ – „ანდროს" ვეძახი, რასაც, როგორც ქართველების სიძე, უკვე შეეჩვია. ანდრომ შემომთავაზა, რომ ლატვიურ ენაზე არსებულ ჩემთვის საჭირო ინფორმაციას გადმომითარგმნის.

დავბინავდი ძველი რიგის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, განუს ქუჩა 4-ში.

გარშემო ძირითადად დიპლომატიური კორპუსებია თავმოყრილი.

შუადღისას ვეწვიე საქართველოს საელჩოს, რომელიც რიგის ცენტრში, იან რაინისის ბულვარში მდებარეობს. მის წინ ამაყად ფრიალებს საქართველოს სახელმწიფო დროშა. ჩვენი საელჩოსგან მარცხნივ, ფაქტობრივად კარის მეზობლად მდებარეობს აზერბაიჯანის საელჩო, ხოლო მარჯვნივ, ოდნავ მოშორებით – აშშ-ის საელჩო.

საქართველოს ელჩი – კონსტანტინე (კოტე) კორკელია ჩემი თაობის ადამიანია. ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ვიცნობთ. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა (ის 35 წლისაა), კოტე უკვე ცნობილი მეცნიერია, საერთაშორისო სამართლის აღიარებული სპეციალისტი, რომელიც დიპლომატიურ სარბიელზეც წარმატებით მოღვაწეობს.

ელჩმა გამაცნო საქართველოს კონსული ლატვიაში ქეთევან ესიაშვილი – ფრიად გულისხმიერი ადამიანი, ასევე საელჩოს თანამშრომლები, პროფესიონალი ახალგაზრდა სპეციალისტები: თემურ ჯანჯალია, გიორგი ფანიაშვილი (პაატა გაბიძაშვილი დილით გავიცანი). საელჩოში მუშაობენ ასევე ლატვიელი მდივანი სინტია, რიგელი ქართველები თენგიზ სტურუა და მარინე ნასარიძე-ზიბერგსისა. მათთან ურთიერთობის ერთთვიანმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ისინი კარგად ორგანიზებულ კოლექტივს წარმოადგენენ და მაქსიმალურად ცდილობენ, რომ საქართველოს საელჩო ამ ქვეყანაში ღირსეულად გამოიყურებოდეს.

საღამოს შევუდექი რიგის დათვალიერებას. ვინაიდან ამ ქალაქში პირველად ვარ, ყველაფერს განსაკუთრებული ინტერესით ვაკვირდები და ფოტოაპარატით ვაფიქსირებ. არქიტექტურული თვალსაზრისით რიგა დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, განსაკუთრებით მისი ისტორიული ნაწილი. ცენტრში აღმართულია თავისუფლების უზარმაზარი ქანდაკება. მშვენიერი სანახავია მდინარე დაუგავა, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს.

სავსებით მართებულად წერდა გრიგოლ ორბელიანი თითქმის ორი საუკუნის წინათ: „მშვენიერია სანახავად რიგა ზაფხულის საღამოზე, როდესაც მზისა სხივნი გარდაჰსცემენ მდინარესა ოქროსფრად და მასზედა მიმოჰსცურავენ ხომალდნი და ათასგუარნი ნავნი ქალებით, კაცებით, სიმღერით აქა-იქ".

13. VIII. 2009.

კონსულ ქეთევან ესიაშვილთან და ანდროსთან ერთად ვესტუმრეთ ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორს, დოქტორ ვენტა კოცერეს. ქალბატონი ვენტა – კეთილშობილი და საქართველოს მოყვარული ადამიანია. ის განსაკუთრებული სითბოთი იგონებს თავის ვიზიტს საქართველოში. მან საჩუქრად გადმომცა ბიბლიოთეკის სამეცნიერო შრომათა კრებული, სადაც გამოქვეყნებულია მისი და პროფესორ რეგინა იაკობიძის სტატიები ქართულ-ლატვიური ურთიერთობების (XIX-XX საუკუნეები) შესახებ და სხვა საყურადღებო მასალები. ბიბლიოთეკას

ვაჩუქე ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული ფერადი კატალოგი „ფული საქართველოში“, რომლის ავტორთა კოლექტივის წევრი მეც ვარ.

ვიყავით ლატვიის სახელმწიფო საისტორიო არქივში. მისმა მეცნიერ-თანამშრომელმა (ეროვნებით პოლონელია) შეძლებისდაგვარი დახმარება გაგვიწია.

ვეწვიე რიგის ცენტრში მდებარე „ლატვიის ოკუპაციის მუზეუმს“, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ მუზეუმის დაარსებამ უდიდესი ფსიქოლოგიური გარდატეხა შეიტანა როგორც ლატვიელთა, ასევე ქართველთა (ასეთი მუზეუმი თბილისშიც დაფუძნდა) მსოფლმხედველობაში. მუზეუმიდან გამოსვლისას გადავათვალიერე შთაბეჭდილებათა სქელტანიანი წიგნი, სადაც უამრავ ჩანაწერს შორის ქართული ვერ აღმოვაჩინე. ამის გამო, ჩემი შთაბეჭდილება საგანგებოდ ქართულ ენაზე ჩავნერე, თუმცა ბოლოს მაინც ლათინურად მივაწერე „Georgia“.

14. VIII. 2009.

საქართველოს ელჩთან ერთად მიმიწვია უკრაინის ელჩმა ლატვიაში – პროფესორმა რაულ ჩილაჩავამ. ბატონ რაულს პირველად ათიოდე წლის წინათ შევხვდი, როდესაც მისი თაოსნობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკრაინელი პოეტების საღამო გაიმართა.

უკრაინის საელჩო რიგის ცენტრში – გენერალ კალპაკის ქუჩაზე მდებარეობს. შესანიშნავად მოვლილი, დიდებული შენობაა.

ბატონი რაული არაჩვეულებრივი პიროვნებაა – კეთილშობილი, მრავალმხრივ განათლებული, თავისი სამშობლოს ჭეშმარიტი მოჭირნახულე, ხალისითა და დახვეწილი იუმორით სავსე. საქართველოსათვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ ასეთი გულანთებული მამულიშვილები მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც გვყავდეს. მისი სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ იმდენის დაწერა შეიძლება, რომ შეიძლება ერთი მოზრდილი ნიგნი არც ეყოს, ამიტომ აქ შევჩერდები. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ის ამჟამად ერთადერთი ქართველია, რომელსაც იმდენად ენდობა უცხო სახელმწიფო (ამ შემთხვევაში – უკრაინა), რომ უცხო ქვეყანაში თავის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მიავლინა!

ის ფაქტი, რომ უკრაინისა და საქართველოს ელჩები მეგობრობენ, დიდად სასარგებლო აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის. ამას მოწმობს მათ მიერ ერთობლივად გაკეთებული უაღრესად კეთილშობილური საქმე – შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა ლატვიურ და უკრაინულ ენებზე, რაც 2009 წელს რიგაში უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე განხორციელდა.

უკრაინის ელჩის კაბინეტი სავსეა მის მიერ რიგაში გამოცემული წიგნებითა და თარგმანებით. ყველაფერს თავდაუზოგავი შრომის კვალი ატყვია.

ბატონ რაულთან საუბარი მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა, რის გამოც უკრაინის საელჩოში საკმაოდ დიდხანს დავყავით. დავემშვიდობეთ ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძელს, რომელმაც უაღრესად გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო.

15. VIII. 2009.

დილით, ანდროსთან ერთად მოვინახულე რიგაში მდებარე მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც რომის პაპს ექვემდებარება. მრევლში გაერთიანებულნი არიან: ლატვიელები, პოლონელები, უკრაინელები, ბელორუსები. მათ ამიხსნეს,

რომ ურჩევნიათ აქ იარონ, ვიდრე რუსეთის პატრიარქის დაქვემდებარებაში მყოფ რიგის დიდ მართლმადიდებლურ ტაძარში, სადაც ბატონობს აზრი: „მოსკოვი – მესამე რომია!".

შუადღისას წავედით იურმალაში. თან გვახლდა ანდროს და ლიკას ექვსი წლის ვაჟი თეოდორი ანუ თედო – ვერცხლისწყალივით მოძრავი, სიცოცხლით სავსე ბიჭუნა, ნამდვილი ბუნების შვილი.

იურმალა მშვენიერი კურორტია, ფრიად კეთილმოწყობილი. იდეალური სისუფთავე და კომფორტი ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. ბალტიის ზღვა საკმაოდ ცივია, თუმცა პლაჟი დამსვენებლებით არის სავსე. უდიდესი ნაწილი რუსეთიდან, კერძოდ მოსკოვიდან არის ჩამოსული. თითქმის ყველგან რუსული საუბარი ისმის.

იურმალაში სეირნობისას შევხვდით მხატვარ ნუგზარ კახიანს თავის ცოლშვილთან ერთად. ღირსეული ოჯახია, ნამდვილი ქართველები. 2008 წლის აგვისტომდე ისინი სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდნენ, მაგრამ, რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი ომის შემდეგ, ისინი იძულებულები გახდნენ, ლატვიაში გადასახლებულიყვნენ. მე და ბატონმა ნუგზარმა კოორდინატები გავცვალეთ და ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ.

საღამოს დავბრუნდით რიგაში, სადაც ქალაქის ცენტრში ცხოვრება დუღს...

16. VIII. 2009.

ვიყავი რიგის ცენტრალურ მარკეტში, რომელიც საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზეა განლაგებული. აქ ტრადიციულად მაღალი ხარისხის პროდუქტი იყიდება, განსაკუთრებით რძის ნაწარმი. ხილი და ბოსტნეული აქ ძირითადად სამხრეთ ევროპიდან (იტალიიდან, ესპანეთიდან, უნგრეთიდან, თურქეთიდან და სხვ.) შემოაქვთ და ამიტომ საკმაოდ ძვირი ღირს. ქართული ხილის ხარისხი აქაურზე უკეთესია და მისი ფასიც გაცილებით დაბალია.

ბაზართან ახლოს მდებარეობს რუსული სტაროვერული და სომხური გრიგორიანული ეკლესიები. იქვე არის რესტორანი სახელწოდებით – „LIDO", სადაც ლატვიური ტრადიციული სამზარეულოს გაცნობა შეიძლება.

საღამოს ტელეფონით დავუკავშირდი ჩემს ლატვიელ კოლეგას, პროფესორ ერიკს იაკობსონს, რომელიც ქალაქგარეთ დასასვენებლად აღმოჩნდა წასული. მას პოლონეთიდან ვიცნობ. 2008 წლის ოქტომბერში ქ. ლუბლინის უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც პირველი მოხსენებები ერიკსმა და მე წავიკითხეთ.

ერიკსს საოცრად გაუხარდა ლატვიაში ჩემი ჩასვლის მიზეზის გაგება. „მე მალე დავბრუნდები რიგაში, ხოლო ჩემს ჩამოსვლამდე აუცილებლად შეხვდი პროფესორ ვალტერს შერბინსკის. მან ყველაზე კარგად იცის ლატვიაში არსებული დიასპორების ისტორია" – მითხრა ერიკსმა და შერბინსკის ტელეფონის ნომერი ჩამანერინა.

17. VIII. 2009.

ერიკსის რეკომენდაციის შესაბამისად, დილიდანვე ვეწვიე ლატვიის თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ „ომის მუზეუმს" (ლატვიურად „Kara Muzejs").

მუზეუმის დირექტორის მოადგილე იურის ციგანოვსი მეტად გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა. მან გამაცნო ვალტერს შერბინსკი, რომელმაც არაერთი ჩემთვის საყურადღებო ცნობა მომაწოდა. მან და იურისმა დოკუმენტების ქსეროასლებიც გადმომცეს. ეს შეხვედრა ჩემთვის უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

დღეს პაატა გაბიძაშვილის დაბადების დღეა. პაატამ დამპატიჟა ქართულ რესტორანში, რომელსაც „გენაცვალე" ჰქვია. იქ გავიცანი რიგელი ქართველები: თენგიზ შაბურიშვილი, გოჩა თუთბერიძე და სხვები. თამადად დამაყენეს და მეც ვეცადე კარგად მეთამადა. გვიანობამდე ვიქეიფეთ და შესანიშნავი დრო გავატარეთ. თბილისიდან ჩამოსულმა ცნობილმა ფოტოხელოვანმა გია ჩხატარაშვილმა ღიმილით ჩაილაპარაკა: „თავი ჩვენს დედაქალაქში მგონიაო".

18. VIII. 2009.

საქართველოს ელჩთან, კონსულთან და ანდროსთან ერთად ვეწვიე ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარეს, აკადემიკოს იანის სტრადინშს, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ამ აკადემიის პრეზიდენტი იყო. იმავდროულად იგი არჩეულია მსოფლიოს არაერთი აკადემიის და, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

აკადემიკოსი სტრადინში ფრიად გულთბილად შეგვხვდა. მან დიდი სიყვარულით გაიხსენა საქართველო, ქართველი მეგობრები და კოლეგები, განსაკუთრებით კი ცნობილი მეცნიერი ნიკოლოზ (ლაშა) სიმონის ძე ჯანაშია, რომელიც ნაადრევად გარდაიცვალა. საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ ქართულ-ბალტიური ურთიერთობების ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ. მასპინძელს მოკლედ გავაცანი ჩემი გამოკვლევა ქართულ-ლატვიური ურთიერთობების ისტორიის შესახებ. მან რამდენიმე საგულისხმო რჩევა მომცა.

იანის სტრადინში 75 წლისაა, მაგრამ მხნედ გამოიყურება. ეს მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი იმავდროულად უაღრესად თბილი, კეთილმოსურნე ადამიანია, რაც მის პიროვნულ კეთილშობილებას უსვამს ხაზს. ლატვიაში ყოფნისას დავრწმუნდი, რომ ის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს არა მხოლოდ ქვეყნის აკადემიურ წრეებში, არამედ მოსახლეობაშიც. „ლატვიელი ერის სინდისი" – ასე მოიხსენიებენ ბატონ სტრადინშს ქვეყანაში. სწორედ ამიტომაც შესთავაზეს მას ამ ცოტა ხნის წინათ, რომ მონაწილეობა მიეღო ლატვიის საპრეზიდენტო არჩევნებში, რაზედაც მოკრძალებული უარი განაცხადა.

ბატონმა იანისმა გადმომცა თავისი ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილია ბალტიისპირეთის გენერალ-გუბერნატორ პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის (ბოროდინოს გმირის ძმისწულის) სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი რიგაში 1870-1876 წლებში მსახურობდა და საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

საღამოს შევხვდი ევგენი უპმანისს – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის არქიტექტორის შთამომავალს, რომელიც ფრიად საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა. თავისი სახელოვანი წინაპრის თბილისური ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ დეტალური ინფორმაცია გააჩნია. მაჩვენა საყურადღებო ფოტოალბომი.

19. VIII. 2009.

მიმინვიეს ლატვიის თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ „ომის მუზეუმში“, სადაც ამერიკიის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულმა ლატვიელმა ემიგრანტმა, ადმირალმა ანდრეის მეუმალისმა საჯარო ლექცია ნაიკითხა. ლექცია შეეხებოდა II მსოფლიო ომის დროს არსებულ „ლატვიურ ლეგიონს“, რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ იბრძოდა. ბატონი ადმირალი ამჟამად ლატვიის თავდაცვის მინისტრის კონსულტანტია. ლექციის დასრულების შემდეგ, მას ვესაუბრე ანალოგიურ პერიოდში არსებული „ქართული ლეგიონისა“ და ქართულ-ბალტიისპირული სამხედრო-პოლიტიკური კავშირების ისტორიის შესახებ, რამაც საკმაოდ დააინტერესა. ავტოგრაფით მაჩუქა თავისი წიგნი: „The Latvian Legion (Information. facts. truth)“.

საღამოს დამპატიჟა ჩემმა ძველმა მეგობარმა ერიკს იაკობსონსმა. გამაცნო თავისი მეგობრები, მათ შორის ბელორუსიდან, ბრესტის უნივერსიტეტიდან ჩამოსული ახალგაზრდა კოლეგა ალენა პაშკოვიჩი. გაიმართა ლატვიური ლხინი. ძველ რიგაში შესანიშნავი ლუდხანებია...

20. VIII. 2009.

ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში დავესწარი „ბალტიური ჯაჭვის“ 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას. მონვეულნი იყვნენ როგორც ლატვიელები, ასევე ესტონელები და ლიტველები, რომლებიც აღნიშნულ ისტორიულ მოვლენაში უშუალოდ მონაწილეობდნენ. სხვათა შორის, იმ ჯაჭვში საქართველოდან საგანგებოდ ჩასული პოლიტიკოსებიც იყვნენ ჩაბმულნი, კერძოდ, ნოდარ ნათაძე, ირაკლი შენგელაია და მიხეილ ნანეიშვილი, რაც ფოტოზედაც არის აღბეჭდილი. ბალტიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანებს გაუხარდათ, როცა ჩემი ვინაობა გაიგეს. სიმბოლურია, რომ ქართველი დღესაც ჩვენთან ერთად არისო – აღნიშნეს.

შეხვედრის მონაწილენი თავიანთ შთაბეჭდილებებს ქაღალდის უზარმაზარ რულონზე აფიქსირებდნენ. მეც ავიღე წითელი ფლომასტერი და ხუთჯვრიან დროშასთან ერთად ქართული წარწერაც დავაფიქსირე. საღამოს, როდესაც ამ შეხვედრის შესახებ ტელევიზიით გადასცეს, კადრში ჩემ მიერ დახატული საქართველოს დროშაც გამოჩნდა...

21. VIII. 2009.

აკადემიკოს იანის სტრადინშის რჩევით, ანდროსთან ერთად ვეწვიე სახელგანთქმულ ლატვიელ ქირურგს, აკადემიკოს ვიქტორ კონსტანტინეს ძე კალნბერზს, რომლის აგარაკიც, ფაქტობრივად კი სახლ-მუზეუმი – ქალაქგარეთ, ტყე-პარკში მდებარეობს.

ბატონი ვიქტორი 81 წლისაა, მაგრამ ამ ასაკის კვალობაზე ძალიან კარგად გამოიყურება. ის წარმოსადეგი, მხნე და კეთილშობილი ადამიანი და მეტად საინტერესო ბიოგრაფიის მქონე კაცია, კერძოდ, არის არაერთი საპატიო ჯილდოს, მათ შორის ლატვიის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს – „სამი ვარსკვლავის ორდენის“ კავალერი, სოციალისტური შრომის გმირი, ავღანეთის შეიარაღებული ძალების

სამედიცინო სამსახურის გენერალი და სხვ. მან ბევრი საყურადღებო ცნობა მოგვაწოდა თავისი მასწავლებლისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის – ექიმ არჩილ ნესტორის ძე მაჩაბლის შესახებ, რომელიც გარდაცვალებამდე (1960 წ.) ლატვიაში მოღვაწეობდა. პროფესორი მაჩაბელი რიგის ტრამვატოლოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. მას ამ ქვეყანაში დღემდე გამორჩეული პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებენ. „ის ჭეშმარიტი ქართველი რაინდი იყო“ – ასე ახასიათებენ მას ლატვიელები.

აკადემიკოსი კალნბერზი ფრიად სასიამოვნო მასპინძელი და მოსაუბრე გამოდგა. მას საქართველოსთან მრავალი კარგი მოგონება აკავშირებს. დიდი სითბოთი გაიხსენა ქართველი კოლეგები და მეგობრები, განსაკუთრებით გამოჩენილი ქირურგი, ან განსვენებული ოთარ ღუდუშაური, ასევე შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმიდეს და უნეტარეს ილია II-სთან, რომელიც თბილისში შედგა და სხვა.

ბატონი ვიქტორის სახლ-მუზეუმს მრავალი საყურადღებო ექსპონატი ამშვენებს, მათ შორის უამრავი ფოტოსურათი. ყველაზე საპატიო ადგილას მისი საყვარელი მასწავლებლის – არჩილ მაჩაბლის უზარმაზარი პორტრეტია...

გამოთხოვებისას აკადემიკოსმა კალნბერზმა მაჩუქა თავისი წიგნი შემდეგი წარწერით: „Замечательному ученому, борцу за сохранение исторической правды, дорогому Николаю Георгиевичу Джавахишвили с наилучшими пожеланиями от Виктора Кальнберза. 21. 08. 2009. Латвия, Приедкалне, дом «Калнберзи».

საღამოს მხატვარმა ნუგზარ კახიანმა თავის სტუმართმოყვარე ოჯახში მიმიწვია. მისი მეუღლე ლელა არღვლიანი – ჩინებული მანდილოსანია. ჰყავთ ერთადერთი შვილი, მართლაც რომ „კალმით ნახატი“, მშვენიერი გოგონა.

კახიანების ოჯახში რამდენიმე რიგელი ქართველი გავიცანი, მათ შორის ბატონი შაქრო ტოლიაშვილი, რომელიც იქაური ქართველთა სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

ნუგზარ კახიანი არა მხოლოდ სასიამოვნო მასპინძელი გამოდგა, არამედ მეტად საინტერესო შემოქმედიც. მან მაჩვენა თავისი მშვენიერი ნახატები, რომელთა გარკვეული ნაწილი ამჟამად უცხოეთის პრესტიჟულ მუზეუმებსა და კერძო კოლექციებს ამშვენებს. მის შემოქმედებას გარკვეული სულიერი ნათესაობა აკავშირებს ჰოლანდიურ მხატვრობასთან. როდესაც ამის შესახებ ვუთხარი, ნუგზარს ჩაეცინა და მითხრა: ალბათ ამიტომაც მოსწონთ ჩემი ნახატები განსაკუთრებით ჰოლანდიელებსო...

მართალია, ნუგზარ კახიანი უკვე დიდი ხანია საქართველოს გარეთ ცხოვრობს და მოღვაწეობს, მაგრამ ქართული სული მან ღირსეულად შეინარჩუნა. როდესაც კითხულობ მის ნახატებზე მიწერილ სიტყვებს „მუშვან მარე“ (სვანურად – „სვანი კაცი“), რწმუნდები, რომ შემოქმედს მშობლიურ მულახის თემთან ურღვევი სულიერი კავშირი გააჩნია...

22. VIII. 2009.

დილით განუს ქუჩიდან გადავსახლდი „ბრივიბას“ (თავისუფლების) პროსპექტის ერთ-ერთ შესახვევში – ინდრანუს ქუჩა 8-ში. მართალია, ეს სახლი რიგის ცენტრიდან უფრო დაშორებულია, მაგრამ საცხოვრებელი პირობები ბევრად უკეთესია.

საინტერესოა ბრივიბას პროსპექტის ბედი, რომლის ისტორიაც მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით ლატვიის ისტორიასთან. დამოუკიდებლობის პერიოდში პროსპექტს აღნიშნული სახელი ერქვა, იძულებითი გასაბჭოების შემდეგ მას ლენინის სახელი დაარქვეს, გერმანული ოკუპაციის პერიოდში – ადოლფ ჰიტლერისა, საბჭოთა ჯარის მიერ „განთავისუფლების" შემდეგ კვლავ ლენინისა, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მას, როგორც იქნა, თავდაპირველი სახელი დაუბრუნდა. ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ, ბრივიბას სახელი სამუდამო იქნება, თუმცა ვინ იცის... ყოველ შემთხვევაში, არა მგონია ჩემნაირად ფიქრობდნენ მფლობელები რიგის ქუჩებში მომრავლებული იმ ავტომობილებისა, რომლებზედაც დემონსტრატიულად ფრიალებს რუსეთის ფედერაციის სამფეროვანი სახელმწიფო დროშა...

23. VIII. 2009.

რიგელმა ქართველებმა, ქალბატონმა კმარა სვანიძემ და მისმა ასულმა მანანამ დამათვალიერებინეს სამხრეთ ლატვიის, კერძოდ, ისტორიული კურლანდიის ქალაქები ელგავა (ყოფილი დედაქალაქი მიტავა), ბაუსკა და სხვა.

განსაკუთრებით შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს რუნდალეს სასახლე-პარკი, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ცნობილი არქიტექტორის ვ. რასტრელის პროექტით აშენდა. სასახლის თავდაპირველი მფლობელი იყო რუსეთის იმპერატრიცა ანა იოანეს ასულის ფავორიტი – ბირონი. სასახლის წინ შესანიშნავად მოვლილი, თვალწარმტაცი ბაღია.

24. VIII. 2009.

დღეს უკრაინის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. ამასთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო ღონისძიება, რომელზედაც ბატონმა რაულმა მიმიწვია. მიღებაზე უამრავი საპატიო სტუმარია, ძირითადად დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

უკრაინის ელჩი, როგორც ყოველთვის, ახლაც შესანიშნავ ფორმაში იყო. ერთმა დამსწრემ კიდეც ჩაილაპარაკა: „რაულ ჩილაჩავა რომის იმპერატორს ჰგავსო"...

ბატონი რაულის გამოსვლას მქუხარე ტაში მოჰყვა. დამახსომდა მის მიერ ხმამაღლა, მხნედ წარმოთქმული სიტყვები: „ნეზალეჟნა, სამასტინა უკრაინა".

სტუმართა შორის იყვნენ აკადემიკოსები: სტრადინში და კალნბერზი, რომლებსაც ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდათ. მათ ჩემი თავი წარუდგინეს ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ამჟამინდელ პრეზიდენტს, ბატონ იურის ეკმანისს.

უზარმაზარ დარბაზში თავმოყრილ რჩეულ საზოგადოებაში ფრიად ღირსეულად გამოიყურებოდნენ საქართველოს ელჩი და მისი მეუღლე თამარ (თამუნა) კობახიძე. ამ მშვენიერი წყვილის ნახვით იმდენად მოიხიბლა აკადემიკოსი კალნბერზი, რომ მათთან სამახსოვრო ფოტოსურათები გადაიღო. აქვე დავსძენ, რომ კოტეს და თამუნას ჰყავთ არაჩვეულებრივი ბიჭუნა – ალექსანდრე, რომელსაც, თავის ასაკთან შედარებით უჩვეულო საზრიანობის გამო, ხუმრობით „საქართველოს ვიცე-კონსული" შევარქვი.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა დაეგემოვნებინა უკრაინული ეროვნული კერძები, რომლებიც ფრიად გემრიელი გამოდგა.

საღამოს იურმალაში მიმიწვიეს ლატვიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილმა მონაწილეებმა: ინგუნა ებელამ და მისმა მეუღლემ რომუალდსმა, რომელიც წარმოშობით ლიტველია. მათი სახლი მომღერალ ლაიმა ვაიკულეს აგარაკს ემიჯნება.

მასპინძლები საქართველოში მრავალჯერ არიან ნამყოფები. თბილად იხსენებენ თავიანთ თბილისელ მეგობრებს და თანამებრძოლებს: გულდამ ჩიქოვანს, მალხაზ დათუკიშვილს, კახა კაციტაძეს და სხვებს. მათ ბევრი საყურადღებო ცნობა მომანოდეს ამ ოციოდე წლის წინათ არსებული ქართულ-ბალტიისპირული პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ.

მისაღებ ოთახში, გამოსაჩენ ადგილას საქართველოს უზარმაზარი სამფეროვანი დროშაა.

– „ამ სახლში არაერთი ქართველი ყოფილა, ხოლო ამ ოთახში მერაბ კოსტავას ეძინა“ – დაუფარავი სიამაყით მითხრა ინგუნამ.

რომუალდსმა მაჩვენა ფოტოები, სადაც აღბეჭდილნი არიან „ბალტიური ჯაჭვის“ მონაწილენი. „სიმბოლურია, რომ ამ სურათზე ლატვიელებსა და ლიტველებს შორის დგანან ჩვენი ქართველი თანამებრძოლები თავიანთი სამფეროვანი დროშით“ – მეუბნება იგი.

25. VIII. 2009.

კალპაკის ქუჩაზე, უკრაინისა და რუსეთის საელჩოებს შორის მდებარეობს პაულ სტრადინშის (აკადემიკოს იანის სტრადინშის მამის) სახელობის ლატვიის მედიცინის მუზეუმი. იქ დაცულია საყურადღებო საარქივო ცნობები პროფესორ არჩილ მაჩაბლის მოღვაწეობის შესახებ. გადმომცეს იმ მასალების ასლები, რომლებიც წინა კვირაში შევუკვეთე.

საღამოს ოჯახში სტუმრად ვეწვიე საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელს მიშელ ტარანს, რომელსაც ცოლად ჰყავს თბილისელი ნინო მიქელაძე. ისინი სტუმართმოყვარე და სასიამოვნო ადამიანები არიან. მიშელი დედის მხრიდან თავად გაგარინთა შთამომავალია და ამიტომაც დახვეწილად საუბრობს რუსულ ენაზე. მას გულწრფელად უყვარს საქართველო. სხვათა შორის, რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი ომის დროს მან მისცა ინტერვიუ, სადაც აღნიშნულ კონფლიქტში რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება დაადანაშაულა.

რამდენიმე დღეში მიშელი სამუშაოდ აფრიკაში გადაჰყავთ. იგი დიპლომატიურ საქმიანობას ტუნისში გააგრძელებს.

26. VIII. 2009.

აკადემიკოს ვიქტორ კალნბერზს დავუბრუნე თავისი მასალები არჩილ მაჩაბლის შესახებ. კვლავ გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო.

გაცილებისას ბატონმა ვიქტორმა ჩვენთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღო არჩილ მაჩაბლის პორტრეტის ფონზე.

მთელი დღე ქალაქში ვსეირნობდი. ჩემი ლატვიაში ყოფნის ორი კვირის თავზე თამამად შემიძლია დავასკვნა, რომ ლატვიელები წარმოსადეგი და მშვენიერი გარეგნობის ხალხია.

საღამოს დამირეკეს და შემომთავაზეს, რომ ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში წავიკითხო ლექცია ქართულ-ლატვიური ურთიერთობების ისტორიის შესახებ. ინფორმაცია ამ ლექციის შესახებ ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა. აღნიშნული იყო, რომ ლექცია შედგებოდა ქართულ და ლატვიურ ენებზე.

27. VIII. 2009.

ანდრო დილიდანვე მოვიდა ჩემთან. მან ჩემი ლექცია ტექნიკურად გააფორმა და მისი კომპიუტერული ვერსია მოამზადა. ცოტა არ იყოს, ვღელავ, რადგან ეს იქნება ჩემი პირველი საჯარო შეხვედრა ლატვიის საზოგადოებასთან.

18 საათზე, ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში შედგა ჩემი და ანდროს ერთობლივი ლექცია თემაზე: „ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან". მას ესწრებოდნენ როგორც ლატვიელები, ასევე ჩვენი საელჩოს თანამშრომლები და რიგელი ქართველები. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ჩემს გამოსვლას ლატვიურად თარგმნიდა ლატვიელების ქართველი რძალი ნონა კოჭლამაზაშვილიტაურინასი. მან ამოცანას თავი ნარმატებით გაართვა.

ჩვენ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა მუზეუმის დირექტორმა, ჭაღარა, კდემამოსილმა ქალბატონმა დოქტორმა გუნდეგა მიჩელმა, რომელიც ლატვიაში დაბრუნებული ემიგრანტი აღმოჩნდა.

ლექციის დასრულების შემდეგ, საქართველოს ელჩმა რამდენიმე ადამიანი ლატვიურ რესტორანში დაგვპატიჟა. შესანიშნავად მოვილხინეთ. კონსტანტინე კორკელია საოცრად დახვეწილი იუმორით გამოირჩევა...

საერთოდ, ელჩისა და საელჩოს ყველა თანამშრომლის თანადგომას ყოველ წუთს ვგრძნობ, რაც, ბუნებრივია, მხნეობას მმატებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პაატა გაბიძაშვილის მონდომება, რომელიც ცდილობს გამარკვიოს ლატვიური ყოველდღიურობის დეტალებში.

28. VIII. 2009.

დღეს „მარიამობაა", მაგრამ ლატვიაში ჩვეულებრივი, სამუშაო დღეა.

ქ-ნმა ვენტა კოცერემ თავისი ბიბლიოთეკის ერთ-ერთ კორპუსში მიმიწვია და თავის რამდენიმე თანამშრომელს და მეგობარს შემახვედრა. გავიცანი ბატონი ულდის უმულისი, რომელმაც პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან ერთად, 2008 წელს, თბილისში გამოსცა ნიგნი „ნატო და საქართველოს უსაფრთხოება". ამ წიგნთან ერთად, ახალი მასალები მივიღე.

ლატვიურ ენაზე არსებულ ლიტერატურას ანდროს ვუტოვებ, ხოლო დანარჩენს თბილისში წამოსაღებად ვამზადებ.

დავათვალიერე ლატვიის აკადემიურ ბიბლიოთეკაში დაცული უძველესი ნაბეჭდი გამოცემები. ყველაფერი დიდი რუდუნებით არის მოვლილი.

ბიბლიოთეკიდან გამოსვლისთანავე, მოულოდნელად დამირეკა ბატონმა რაულმა და უკრაინის საელჩოში მიმიწვია. „წამოიყვანე, ვინც თან გახლავს, მარიამობა აღვნიშნოთ" – მეპატიჟება იგი.

მეც ანდროსთან ერთად მივდივარ კალპაკის ქუჩაზე.

უკრაინის საელჩოს ეზოში მდგარ მშვენიერ ფანჩატურში ლამაზი სადღესასწაულო სუფრაა გაშლილი. სასმელი – ქართული ღვინოები, ჩამოსხმული „თელავის ღვინის მარნის" მიერ.

„ამ ფირმის ნაწარმს ნამდვილი კახური ღვინის გემო აქვს“ – ამბობს მასპინძელი, რაშიც მეც სავსებით ვეთანხმები. არაერთ საკითხზე ვისაუბრეთ, მათ შორის ბატონი რაულის უახლოეს სამეცნიერო გეგმებზეც.

საღამოს მიგვიწვიეს ლატვიის „ქრისტიანულ რადიოში“, სადაც ღია ეთერში ვისაუბრეთ ქართულ-ლატვიური ურთიერთობების შესახებ.

29. VIII. 2009.

ვესტუმრე მხატვარ გოჩა ხუსკივაძის სახელოსნოს, რომელიც რიგის ცენტრში მდებარეობს. თან მახლდნენ ანდრო და ლატვიის ქართველთა საზოგადოების წარმომადგენელი სინტია შმიდტე (ჩანტლაძე).

გოჩა – მეტად საინტერესო შემოქმედია, ლატვიური სამხატვრო სკოლის წარმომადგენელი. მისი ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობა როგორც ლატვიაში, ასევე საზღვარგარეთ. მის მრავალმხრივ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მონუმენტურ ჟანრს. გოჩამ, ჩემს იქ ყოფნაში, სახელდახელოდ დახატა მშვენიერი გრაფიკული ნამუშევარი, რომელიც თავისი ავტოგრაფით მაჩუქა.

საღამოს ოჯახში დამპატიჟა ქართველთა საზოგადოება „გეორგიკას“ ხელმძღვანელმა, ბატონმა ერიკ გრიგოლიამ, რომელიც სოხუმელი კაცია. მისმა მეუღლემ, ჯანელიძის ქალმა, მშვენიერი მასპინძლობა გაგვინია.

ბატონი ერიკი მრავალმხრივი ინტერესების მქონე ადამიანია. ის ლატვიაში მცხოვრები ქართველებისათვის ყოველწლიურად უშვებს დასადგამ კალენდარს სხვადასხვა თემაზე, მაგალითად: „აღმოაჩინე შენი ქალაქი“ (2006), ქართული ციხესიმაგრეები (2007), ქართული ეკლესია-მონასტრები (2008), ნიკო ფიროსმანის შემოქმედება (2009). მას ჩაფიქრებული აქვს, რომ 2010 წლისათვის გამოსცეს კალენდარი ქართულ ეროვნული ტანისამოსში გამოწყობილი ადამიანების გამოსახულებით, რაც უდავოდ საინტერესო იქნება.

30. VIII. 2009.

შემომიარა რიგელმა ქართველმა თენგიზ შაბურიშვილმა. ის წარმოშობით მთიულია, თუმცა ფოთშია გაზრდილი. დამპატიჟა სამწვადეში, რომელსაც ვაჟა სამხარაძე ხელმძღვანელობს. მწვადი საუკეთესოა, რის გამოც სამწვადე ხალხით არის სავსე. ამის შესახებ ლატვიურ პრესაში არაერთხელ დაიწერა.

„საკმარისია ერთხელ გააფუჭო ხარისხი, რომ კლიენტს სამუდამოდ დაკარგავ“ – ამბობს ვაჟა. ეს ლაგოდეხელი კაცი ნახევარი საუკუნის წინათ გადმოსახლდა რიგაში. „წელიწადში ერთხელ მაინც ჩავდივარ სამშობლოში. ამის გარეშე გამიჭირდება აქ ყოფნა“ – გვეუბნება მასპინძელი და საქართველოს სადღეგრძელოს გვთავაზობს.

31. VIII. 2009.

გავეცანი მხატვარ ნუგზარ პაქსაძის მეტად საინტერესო შემოქმედებას. ბატონი ნუგზარი ქობულეთელი კაცია, მეტად გულთბილი და ყურადღებიანი. მას მრავალ გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ბატონმა ნუგზარმა რიგაში არაერთი

მნიშვნელოვანი დაწესებულების ინტერიერი გააფორმა. ამის გამო, დიზაინერთა წრეში ის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს.

1. IX. 2009.

გავიცანი ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გუნტის ზემიტისი გულისხმიერი ადამიანია, პროფესიით არქეოლოგი. ყოველმხრივი მხარდაჭერა აღმითქვა. ინსტიტუტში გავესაუბრე ლატვიელ ისტორიკოსებს, რომლებიც ჩემი კვლევის მიმართულებით დაინტერესდნენ. ზოგიერთი მათგანი დაესწრო ჩემს ლექციას, რომელიც ოკუპაციის მუზეუმში წავიკითხე. გამოთქვეს სურვილი, რომ საჯარო ლექციები ლატვიის სხვა სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებშიც წავიკითხო. საჩუქრად გადმომცეს მრავალი წიგნი, რომელთა ძირითადი ნაწილი ლატვიურ ენაზეა.

2. IX. 2009.

გავიცანი ლატვიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ბესარიონ (ბესო) ბერაძე, რომელიც მძლავრი სამედიცინო კომპანიის გენერალური მენეჯერია. მან ბანკირ გოჩა თუთბერიძესთან ერთად დააფინანსა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა ლატვიურ ენაზე, რაც უდიდესი მნიშვნელობის ეროვნულ საქმეს წარმოადგენს.

შევხვდი ლატვიის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელს ელინა ლანგეს, რომელიც ერთხანს საქართველოში მუშაობდა. მან ბევრი საგულისხმო ცნობა მომანოდა თანამედროვე ქართულ-ლატვიური სამხედრო თანამშრომლობის შესახებ.

3. IX. 2009.

დილით მიმიწვიეს რიგის მერიაში, სადაც ქალაქის ისტორიისა და არქიტექტურის შესახებ საინტერესო წიგნი მაჩუქეს. მერიის ინტერიერში იყო რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი მეტად საინტერესო გამოფენა, რომელიც პოლონელებს მოუწყვიათ.

ჩემგან ინტერვიუ აიღო რესპუბლიკური გაზეთის „Latvijas avīze“ ჟურნალისტმა, მაღალმა, სპორტული აგებულების ვიესტურს სპრუდემ. გაზეთის ის ნომერი, სადაც ჩემი ინტერვიუ გამოქვეყნდა, თბილისში სხვადასხვა დროს ჩამომიტანეს ბატონებმა რაულ ჩილაჩავამ და კონსტანტინე კორკელიამ.

ქ-ნმა ვენტა კოცერემ წამიყვანა ლატვიის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, იანის გლეიზდსის ოჯახში. კედლებზე მისი შემოქმედებაა გამოფენილი. ვინაიდან ბატონი იანისი შეუძლოდ იყო, მისი მეუღლე გაგვესაუბრა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ გლეიზდსმა, რომელსაც ხელის მტევნები ახალგაზრდობაში მოკვეთეს (მოყინვის შედეგად დაწყებული განგრენის გამო), მოგვიანებით, დიდად გაითქვა სახელი, როგორც ორიგინალური ხედვის მქონე ფოტოხელოვანმა. მისი მეუღლე გვიყვება, რომ ყოველივე ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა პროფესორმა არჩილ მაჩაბელმა, რომელმაც ყოველმხრივ შეუწყო ხელი ინვალიდ, მაგრამ ბუნებრივად ნიჭიერ ლატვიელ ახალგაზრდას. მან იანისი ტრამვატოლოგიის ინსტიტუტში მხატვრის შტატში აიყვანა და მაქსიმალურად ეხმარებოდა, რათა ცხოვრებაში თავისი ადგილი ეპოვა.

„ღმერთმა ნათელში ამყოფოს შესანიშნავი ქართველი კაცის – არჩილ ნესტორის ძე მაჩაბლის სული, რომელმაც ჩემს მეუღლეს ჭეშმარიტად მამობა გაუწია“ – ამბობს თვალცრემლიანი, ჭაღარა ქალბატონი ნელია გლეიზდა...

ამ ოჯახში არჩილ მაჩაბლის კულტია...

4. IX. 2009.

18 საათზე, ლატვიის თავდაცვის სამინისტროს ომის მუზეუმში, შედგა ჩემი და ანდროს ერთობლივი ლექცია ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიის შესახებ. მას ესწრებოდნენ როგორც ლატვიელები, ასევე ჩვენი საელჩოს თანამშრომლები და რიგელი ქართველები. უზარმაზარი დარბაზი ხალხით იყო სავსე. ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობად იქცა გამოჩენა ქართველი სტუდენტებისა, რომელთაც თბილისის უნივერსიტეტიდან ვიცნობდი. აღმოჩნდა, რომ ისინი ამჟამად რიგის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. მათ შორის იყო შალვა ურიადმყოფელი.

შეხვედრის დასასრულს, ნუგზარ პაქსაძემ მაჩუქა თავისი მშვენიერი ნახატი, რომელიც ამიერიდან ჩემს კაბინეტში დაიდებს ბინას.

საღამოს, ბესო ბერაძემ რამდენიმე ქართველი იურმალაში, რესტორანში დაგვპატიჟა. იქ გავიცანი ლატვიის საფეხბურთო ნაკრებ „სკონტოს“ კაპიტანი დავით გამეზარდაშვილი და სტუდენტი გიორგი მარგიანი. ორივე მათგანი კარგი ახალგაზრდა აღმოჩნდა.

5. IX. 2009.

ნუგზარ პაქსაძემ გამაცნო ლატვიაში არსებული ქართველთა სათვისტომოს ყოფილი ხელმძღვანელი მარლენ მიქიანი. ბატონი მარლენი – წარმოსადეგი, სიმპათიური ადამიანია, მეტად საინტერესო ბიოგრაფიის მქონე. მისგან მრავალი საყურადღებო ცნობა ჩავიწერე.

ჩვენი შეხვედრა ქართული ტრადიციისამებრ სუფრასთან გაგრძელდა – ქართულ რესტორან „იბერიაში“. ეს რესტორანი თავისი არსებობის ათწლეულს ითვლის. მას ხელმძღვანელობს ქალბატონი მანანა ნიფურია-ჯაბუასი, რომელსაც მხარს თავისი ვაჟები – გიორგი და დავით ჯაბუები უმშვენებენ.

რესტორანს აქვს აბრა: „IBERIJA. Gruzinu virtuve“.

თანამეინახეთა შორის იყვნენ ბატონები რაული და მარლენი თავიანთი მეუღლეებითურთ და ქალბატონები კმარა და მანანა. ბატონმა რაულმა შესანიშნავი თამადობა გასწია და დიდებულად მოვილხინეთ.

6. IX. 2009.

რიგის მერიის გვერდით მდებარე რადიოს ერთ-ერთი არხის რედაქციამ ჩემგან ინტერვიუ აიღო.

შევხვდი რიგაში მოღვაწე ორ ქართველ მხატვარს, ორ ნუგზარს – კახიანს და პაქსაძეს. ჩავიწერე მათ შემოქმედებით ბიოგრაფიასთან დაკავშირებული საყურადღებო ფაქტები.

გავიცანი ქალაქ სკრუნდას მერი ნელია კლეინბერგა. მოხიბლულია საქართველოში მოგზაურობითა და ქართველთა სტუმართმოყვარეობით.

საღამოს ბატონმა რაულმა დამირეკა და მითხრა, რომ დაასრულა ქართულ-ლატვიურ ურთიერთობებზე გამოქვეყნებული ჩემი სტატიის კითხვა. გამიხარდა მისი დადებითი შეფასების მოსმენა და განსაკუთრებით შემდეგი შემოთავაზება: „შენს ნარკვევში საინტერესოდ გაქვს ასახული გრიგოლ ორბელიანის სამსახური ქალაქ ცესისში. გთავაზობ, ამ ქალაქს ხვალ ერთად ვეწვიოთ“.

7. IX. 2009.

ბატონ რაულთან ერთად გავეშურე ცესისში, რომელსაც ადრე ვენდენი ეწოდებოდა. პატარა, კოპწია ქალაქია, რომელსაც ცენტრში მდგარი, შესანიშნავი ციხესიმაგრე ამშვენებს.

ამ ქალაქის შესახებ გრიგოლ ორბელიანი წერდა: „ვენდენი ძალიან პატარა ქალაქია და შორიდან საამურია სანახავად. დაძველებულნი და ჩამონგრეულნი ციხის კოშკები მრისხანედ დაჰყურებენ ლამაზთა ფაქიზთა ახალთა ქალაქის შენობათა... ყოველს საღამოს ავდიოდი ერთს ჯერ აქამდის მთელად დაშთომილს კოშკზე, რომლიდამაც ჰსჩანდა შორს გარეშე მშვენიერი მდებარეობა“.

ამ, მართლაც რომ მშვენიერი ციხესიმაგრის ამწვანებულ ეზოს საშინლად ამახინჯებდა ერთი გრძელი ყუთი, რომელიც შეკრული იყო შავად შეღებილი ფიცრებით. როდესაც ახლოს მივედით, ამ სახელდახელო კუბოში ლენინის უზარმაზარი ძეგლი ესვენა. როგორც გამოირკვა, ლატვიის ოკუპაციის შემდეგ, კომუნისტებს ამ ეზოში პროლეტარიატის ბელადის მონუმენტი აღუმართავთ, რომელიც, ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ახლო წარსულის უსიამოვნო მოგონებად ქცეულა...

ცესისში კარგა ხანს დავყავით. გზად დავათვალიერეთ ვენდების ტომის დასახლება, რომელიც მუზეუმ-ნაკრძალივით არის შემონახული.

რიგაში დაბრუნების შემდეგ, ბატონმა რაულმა კიდევ ერთი სიურპრიზი მომიწყო და თავისი ყველა ახალი წიგნი მაჩუქა. თითოეულ მათგანს ნატიფი კალიგრაფიით, სრულიად განსხვავებულად წააწერა (მისი პოეტური ბუნების კიდევ ერთი გამოვლინება!).

ერთ-ერთ წიგნს ასეთი წარწერა აქვს: „ნიკო ჯავახიშვილს, რომელმაც იცის, რა დროა ისტორიის ქვიშის საათზე! საუკეთესო სურვილებით, ავტორი.“

ლატვიელმა ისტორიკოსებმა შემომთავაზეს, რომ რიგის უნივერსიტეტში წავიკითხო საჯარო ლექცია. ვათანხმებ ლექციის სათაურს: „საქართველო: ისტორიული და გეოპოლიტიკური მიმოხილვა“.

შენიშვნა: აქვე დავამატებ, რომ ცესისში, გრიგოლ ორბელიანის ნაკვალევზე მოგზაურობით შთაგონებულმა რაულ ჩილაჩავამ მოგვიანებით შექმნა მშვენიერი ლექსი „გრიგოლ ორბელიანი რიგაში წერს ლექსს „ჩემს დას ეფემიას“:

„ადიდებულ დვინას თითქოს მეფე მიაქვს,
მეფისათვის არ გადავდგამ მე ფეხს.
ამ შორეთში მენატრები, ეფემია,
დაე, წყალსაც ნაუღია მეფე!

ზოგჯერ ვფიქრობ: მე დათვს ვგავარ ორ ბელიანს,
სამშობლო და ლექსი – ორი ბელი,
თან დამყვება, სადაც წავალ... ორბელიანს
მათზე ზრუნვით მინათდება ბნელი.
იქნებ ბედმა მეტ განსაცდელს ამარიდა,
როცა აქეთ გამაყოლა ბადრაგს,
თითქოს მესმის ირაკლის ხმა სამარიდან
და იმ ხმაზე სახე გამებადრა.
მე გულწრფელად განახლების ვენდე ნიავს,
მაგრამ მოვმკე ქარიშხალი, დაო,
ჩემს გარშემო რიგაა და ვენდენია
და წარსულის აჩრდილებთან ვდაობ.
მენანება სიჭაბუკე ჩარაზული,
გალავანში ვგავარ მიწის მუშას,
თუ მოკვდება სხეული და არა სული,
თუმც სხეულსაც დღემდე არა უშავს.
მე სახეებს აქაც ვხედები ვარამიანს,
შეხედავ და იტყვი: „ესეც ტყვეა!"
დაო, ის, რომ შვება მართლაც სხვა რამეა,
ყაზარმაში უკეთ შემიტყვია!
იფ, ცხოვრება აჩრდილია, იფ, ლანდია,
მისი უკვე არაფერი არ მწამს,
ვიდრე მმარხავს ნამქერებში ლიფლანდია,
სულს ვუბერავ შენს ცრემლიან წამწამს!"

8. IX. 2009.

მშვენიერი, მზიანი დღეა. რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა გუშინ დაიწყო. ქალაქში საზეიმო განწყობა იგრძნობა, ქუჩები სავსეა სტუდენტებით. ლატვიელი ახალგაზრდები სპორტული აგებულებითა და მშვიდი, კეთილი გამომეტყველებით გამოირჩევიან.

უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გვიდო სტრაუბე – ახალგაზრდა, ენერგიული კაცია, ყოფილი სპორტსმენი. დეკანატში რამდენიმე პროფესორია შეკრებილი. ლექციის დაწყებამდე ერთი საათი რჩება. მეკითხებიან საქართველოში ამჟამად არსებული მდგომარეობის შესახებ. მეც შეძლებისდაგვარად ვპასუხობ.

18 საათზე უზარმაზარ, ხალხით სავსე აუდიტორიაში შემიძღვნენ. დამსწრეთა შორის არიან რიგის უნივერსიტეტის პროფესორები, დოქტორანტები, მაგისტრები, სტუდენტები. მიხარია, რომ რამდენიმე ნაცნობ სახესაც ვხედავ. მათ შორის არიან ჩვენი კონსული ქეთი ესიაშვილი, ლატვიის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი ელინა ლანგე, პროფესორები გუნტის ზემიტისი, ერიკს იაკობსონსი და სხვები.

მაქსიმალურად შევეცადე, რომ კარგად გამოვსულიყავი. მიმოვიხილე საქართველოს ისტორიის ძირითადი მოვლენები და შემდეგ თანამედროვეობაზეც ვისაუბრე. დამისვეს არაერთი შეკითხვა, რომლებზედაც ვცადე ამომწურავად მეპასუხა.

რამდენჯერმე ტაშიც დამიკრეს. ლექციის დასრულების შემდეგ, დეკანმა საჩუქრად გადმომცა ჩანთა – რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბით. ამასთანავე, მან შემომთავაზა, რომ მომავალ წელს მათ ფაკულტეტზე ნავიკითხო ლექციების კურსი საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესახებ.

9. IX. 2009.

შევხვდი გამოჩენილ ლატვიელ ნუმიზმატს, პროფესორ ტატიანა ბერგას. შევეკითხე ლატვიის ეროვნული ისტორიის მუზეუმში დაცული ვერცხლის დირჰემის წარმომავლობის შესახებ, რომელიც მოჭრილია X საუკუნის ბოლო მესამედში, თბილისში, ამირა ჯაფარ იბნ მანსურის სახელით. ამის პასუხად მან მაჩუქა თავისი მეტად საყურადღებო ნაშრომი „Монеты в археологических памятниках Латвии IX–XII вв." (Рига, 1988), სადაც დაფიქსირებულია, რომ აღნიშნული მონეტა აღმოჩენილია 1936-1937 წლებში, რიგასთან, სალასპილს-ლაუკსკოლას დასახლებაში, X–XI საუკუნეებით დათარიღებულ სამარხში, სხვა თანადროულ მონეტებთან ერთად.

სხვათა შორის, ამ მონეტის გარდა, ბალტიისპირეთში აღმოჩენილია მეორე ქართული მონეტაც, რის შესახებაც ჯერ კიდევ ევგენი პახომოვი მიუთითებდა. კერძოდ, გასული საუკუნის დასაწყისში, ლიფლანდიის გუბერნიაში, ვოლიას დასახლების მახლობლად, აღმოაჩინეს ქართველთა მეფის, ტაო-კლარჯეთის მფლობელ დავით III კურაპალატის დრამა, რომელიც ასევე ზემოხსენებულ პერიოდშია მოჭრილი.

ხსენებული მონეტების აღმოჩენა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიისათვის. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ აღნიშნულ რეგიონში მდებარე სახელმწიფოებთან გარკვეული კავშირი საქართველოს ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინათ გააჩნდა!

10. IX. 2009.

ვინაიდან თბილისში საღამოს მოვფრინავდი, მთელი დღე ჩემს ხელთ იყო.

დილით ვეწვიე ლატვიის ეროვნულ ბანკთან არსებულ ფულის მუზეუმს. გავიცანი მუზეუმის თანამშრომელი იანის მოტივანსი, რომელიც ბატონ შადიმან შამანაძის ძველი მეგობარი აღმოჩნდა. მათ ერთად დაუმთავრებიათ უმაღლესი სასწავლებელი. ბატონმა იანისმა კარგი მასპინძლობა გამიწია.

ვემშვიდობები ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს და აეროპორტისაკენ მივეშურები. მაცილებენ საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და რიგელი ქართველები: ქეთი ესიაშვილი, თენგიზ სტურუა, ნუგზარ პაქსაძე, ცნობილი ჩოგბურთელი ნუგზარ მძინარიშვილი, Air-Baltic-ის თანამშრომელი იგორ აფციაური, ასევე ანდრეის კრუსკოპსი, რომელსაც ამ დღიურში ყველგან ანდროს სახელით ვიხსენიებ.

ერთთვიანი განშორების შემდეგ მოვფრინავ თბილისისაკენ და გონებაში მიტრიალებს:

– „პალდიეს ლატვია" („გმადლობთ ლატვია").

ნიკო ჯავახიშვილი

ლატვიური დღიური, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა",
თბილისი, 2010, 3 (107), გვ. 40-47.

2. IX. 2010.

გამთენიისას ჩავფრინდი რიგაში. Air-Baltic-ის თვითმფრინავით ჩემთან ერთად იმგზავრა საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა. რიგის აეროპორტში შევხვდი ლატვიაში აკრედიტებული საქართველოს საელჩოს თანამშრომლებს, რომლებიც სამთავრობო დელეგაციას დახვდნენ. როგორც გამოირკვა, ქართული დელეგაცია ვილნიუსში მიემგზავრებოდა და იქ რიგის გავლით წავიდა.

მიუხედავად ასეთი დაძაბული დღისა, აეროპორტში დამხვდა საელჩოს თანამშრომელი თენგიზ სტურუა, რომელმაც დამაბინავა ძველი რიგის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, განუს ქუჩა 4-ში. საგულისხმოა, რომ შარშანაც აქ ვცხოვრობდი. ამიტომ, აქაურობას კარგად ვიცნობ.

გავეშურე საქართველოს საელჩოსაკენ. გზად გავიარე უკრაინის საელჩო, სადაც შარშან არაერთხელ ვიყავი. ვნუხვარ, რომ ამ შენობაში აღარ მეგულება ჩემი უფროსი მეგობარი, უკრაინის ელჩი, პროფესორი რაულ ჩილაჩავა, რომელიც ამა წლის ივნისში, თავისი უფლებამოსილების ამონურვის შემდეგ, კიევში დაბრუნდა. ბატონმა რაულმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინა ჩემ მიმართ ლატვიაში შარშანდელი ვიზიტისას, რის შესახებაც ძველ დღიურში მივუთითებდი.

მივედი საქართველოს საელჩოში, რომელიც უკრაინის საელჩოსთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს. კვლავ შემიძლია თამამად გავიმეორო, რასაც შარშანდელ დღიურში ვწერდი: საქართველოს საელჩოს თანამშრომლების მონდომებით, ჩვენი ქვეყანა ლატვიაში ფრიად ღირსეულად გამოიყურება. თანამშრომლები ტრადიციულად გულთბილად დამხვდნენ.

საქართველოს ელჩთან გასაუბრების შემდეგ, ჩემს ნაცნობ-მეგობრებს ტელეფონით შევატყობინე, რომ ვარ ლატვიაში, სადაც 16 დღით დავრჩები. ერთობლივად ვსახავთ გეგმებს, თუ რა უნდა გავაკეთო უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

საღამოს რიგაში გავისეირნე. ქალაქი კვლავინდებურად მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. წარმატებით მიმდინარეობს ისტორიულ შენობათა რესტავრაცია.

3. IX. 2010.

დილიდან გავუშურე ლატვიის მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც ვენვიე ჩემი მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტორს, სენატის თავმჯდომარეს, აკადემიკოს იანის სტრადინშს. მაკვირვებს ამ კეთილშობილი ადამიანის ახალგაზრდული შემართება, ენერგიულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა. მან თავისი, ისედაც შემოქმედებითად გადატვირთული დროის, ოქროს ფონდიდან არ დაიშურა სამ საათზე მეტი, რათა დეტალურად გასცნობოდა ჩემი ერთნლიანი შრომის ძირითად შედეგებს.

შეხვედრის დასასრულს, ბატონმა იანისმა მისთვის დამახასიათებელი კეთილი ღიმილით მითხრა: „თქვენი კვლევის შედეგად მიღწეული რეზულტატი ჩემთვის არა მხოლოდ სავსებით დამაკმაყოფილებელია, არამედ სასიამოვნოდ მოულოდნელიც. მაკვირვებს, როგორ მოასწარით ამდენი ახალი მასალის მოძიება ასეთ მოკლე დროში. განსაკუთრებით მახარებს ის ფაქტი, რომ ქართულ-ბალტიური ურ-

თიერთობის ისტორია სათავეს იღებს არა დაახლოებით XVII-XVIII საუკუნეებიდან, როგორც აქამდე ითვლებოდა, არამედ X საუკუნიდან, როგორც ეს თქვენი კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა. გულწრფელად გილოცავთ ასეთ წარმატებას!“.

ბატონ იანისთან დამშვიდობების შემდეგ, შევიარე იმავე შენობაში განთავსებულ ისტორიის ინსტიტუტში. მოვინახულე დირექტორი, ბატონი გუნტის ზემიტისი, რომელიც შარშან გავიცანი. მან შემომთავაზა, რომ მათ ინსტიტუტში ნამეკითხა ერთი ლექცია ჩემთვის სასურველ თემაზე. შევთანხმდით, რომ ლექციას წავიკითხავ 14 სექტემბერს.

ინსტიტუტში ვინახულე ცნობილი ლატვიელი ნუმიზმატი ტატიანა ბერგა. მან შეისწავლა და გამოაქვეყნა რიგის მახლობლად, სალასპილს-ლაუკსკოლაში 1936-1937 ნლებში აღმოჩენილი X საუკუნის ვერცხლის მონეტების განძები და მათ შორის – 973-974 ნლებში, თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი დირჰემიც.

საღამოს ვესტუმრე ცნობილი მხატვრისა და სკულპტორის – გოჩა ხუსკივაძის სახელოსნოს, რომელიც ძველ რიგაში, ლაიპუს ქუჩაზე მდებარეობს. მის მრავალმხრივ და ორიგინალურ შემოქმედებაზე შარშანდელ დღიურშიც ვწერდი.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელია ჩვენი გოჩა, რომელიც, ღვთისაგან ბოძებულ ნიჭიერებასთან ერთად, უსაზღვროდ გულთბილი ადამიანია.

თუმცა, ამაში რა არის გასაკვირი. განა შეიძლება, რომ ჭეშმარიტად ნიჭიერი ადამიანი არ იყოს იმავდროულად კეთილიც?

4. IX. 2010.

დილიდან გადაუღებლად წვიმს... თითქოს ზეცა ჩამოიქცა... ვზივარ სასტუმროს თბილ ოთახში და ვუცდი როდის გადაიღებს ეს თავსხმა...

ნაშუადღევს, როდესაც წვიმამ გადაიღო და ნანატრმა მზემ გამოანათა, შემომიარა ლატვიაში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა ბესო ბერაძემ და იურმალაში, თაყის აგარაკზე წამიყვანა. გზად შევიარეთ ბესოს სამედიცინო კომპანიაში, რომელიც რიგის შესასვლელში მდებარეობს. კომპანია უახლესი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და ფრიად სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს. გულწრფელად მიხარია, რომ მას ქართველი კაცი ასე უნარიანად ხელმძღვანელობს. ეზოს ფხიზლად დარაჯობს ქართული ნაგაზი „ბუთხუზა“ – უზარმაზარი, ბომბორა ძაღლი, რომელმაც ბესოს დანახვისთანავე ყეფა შეწყვიტა.

იურმალაში გავიცანი ბერაძეების სტუმართმოყვარე ოჯახი, მეუღლე – ნონა დევაძე-ბერაძისა და ორი ქალიშვილი. დიასახლისი გულთბილად შეგვეგება და გაგვიმასპინძლდა.

სადილობისას შემოგვესწრო რიგიდან ისრაელში გადასახლებული ექიმი პავლე (პავლიკ) პულვერმახერი – საინტერესო ადამიანი და კარგი მოსაუბრე.

საღამოს, ბესომ, პავლე და მე, ვახშმად დაგვპატიჟა რიგაში ახლად გახსნილ ქართულ რესტორანში „ფიროსმანი“, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ქალბატონი კმარა სვანიძე. ქართული სამზარეულოს რჩეული დელიკატესებით გაწყობილ სუფრას საზეიმო ელფერი შესძინა კახურმა ღვინომ „საფერავმა“. დიდებული დრო გავატარეთ...

5. IX. 2010.

კვირა დღეა. დილიდან ვსეირნობ რიგაში, სადაც ადამიანს კარგ ამინდში არასდროს არ მოსწყინდება გავლა. ქუჩაში აქა-იქ დგანან მუსიკოსები და ისედაც მშვენიერ ქალაქს თავიანთი ჰანგებით კოლორიტს მატებენ.

არ შემიძლია გავიარო ძველ რიგაში და გულგრილად ჩავუარო გოჩა ხუსკივაძის სახელოსნოს. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ეს ადგილი აუცილებლად უნდა ნახოს ყველა ქართველმა, რომელიც რიგას ესტუმრება. ამიტომ, ამჯერადაც ვეწვიე ხელოვანს, რომელიც ტრადიციულად მორიგ ნამუშევარს ქმნიდა. გოჩა მწვანე ჩაით მიმასპინძლდება. ვსაუბრობთ საქართველოზე, ლატვიაზე, ხელოვნებაზე... გოჩა გამომიტყდა: „მართლაც მშვენიერი ქვეყანაა ლატვია, ხალხიც კარგია, მაგრამ აქაურ ამინდს მაინც ვერაფრით შევეგუეო".

მე, რა თქმა უნდა, არ მიკვირს, რომ თბილისში გაზრდილ კაცს ჩრდილოეთის მკაცრი ჰავის პირობებში ცხოვრება უჭირს. გოჩას ვთავაზობ, რომ სამშობლოში დაბრუნდეს, თუმცა ვიცი, რომ ეს მისთვის ადვილი არ იქნება. ლატვიაში ის უკვე კარგად ცნობილი ხელოვანია. მის შემოქმედებას იცნობენ და აფასებენ არა მხოლოდ მისი კოლეგები, არამედ ქვეყნის პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი და სხვა მაღალი რანგის სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწეები. საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, გოჩას, ალბათ, ბევრი რამის თავიდან დაწყება მოუწევს...

საღამოს თავის ოჯახში მიმიწვია რიგელმა ქართველმა თენგიზ შაბურიშვილმა. მახარებს მისი კეთილმოწყობილი ბინა, სადაც შაბურიშვილები ამ ცოტა ხნის წინათ დამკვიდრდნენ. თენგიზის მეუღლემ იულია სიჭინავამ ნამდვილი კოლხური მასპინძლობა გაგვიწია. ვახშამზე მყოფ სტუმართა შორის იყვნენ საელჩოს თანამშრომელი გიორგი ფანიაშვილი, ლიტველი გუნდარსი მეუღლით, რიგელი ქართველები და მათ შორის და-ძმა – მარიამ და გიორგი მარგიანები, რომლებიც ამჟამად რიგაში სწავლობენ. გიორგი ჯერ კიდევ შარშან გავიცანი, როდესაც იგი რიგაში გამართულ ჩემს ერთ-ერთ ლექციას დაესწრო. და-ძმა მარგიანები წარმოშობით სვანეთიდან, მულახის თემიდან არიან და დახვეწილი ქართული გარეგნობით გამოირჩევიან.

6. IX. 2010.

დილიდანვე გავეშურე მარსტალუს ქუჩისაკენ, სადაც მდინარე დაუგავას პირას მდგარ შენობაში მდებარეობს ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტი. მოვინახულე ჩემი კოლეგა და მეგობარი, აღნიშნული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გვიდო სტრაუბე. კარგა ხანს ვისაუბრეთ. გვიდომ დიდი სიამოვნებით გაიხსენა თავისი მოგზაურობა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც მისი სპორტული კარიერისას მოხდა.

შევთანხმდით, რომ დღეიდან, ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვიწყებ წაკითხვას მოკლე სალექციო კურსისა თემაზე: „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან", რომელიც 17 სექტემბრამდე გაგრძელდება. ამის თაობაზე დეკანი ჯერ კიდევ შარშან შემითანხმდა, როდესაც მ სექტემბერს მის ფაკულტეტზე წავიკითხე საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველო: ისტორიული და გეოპოლიტიკური მიმოხილვა". მას სურს, რომ ლატვიელმა სტუდენტებმა მეტი იცოდნენ საქართველოსა და კავკასიის, ასევე ქართულ-ბალტიური ურთიერთობების ისტორიის შესახებ. ამ აზრს, ბუნებრივია, მეც ვიზიარებ.

7. IX. 2010.

დილით, ძველი რიგის ქუჩებში სეირნობისას, შემთხვევით „შევეჩეხე" გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს, რომელსაც თან გერმანელ გოლიათთა დაცვა ახლდა. გერმანიის მთავრობის მეთაური, წელში ოდნავ მოხრილი, ნელი ნაბიჯით მიდიოდა თავისუფლების ქანდაკების („ბრივიბა") მიმართულებით. როდესაც გერმანული სამთავრობო დელეგაცია მომიახლოვდა, მომეჩვენა, რომ კანცლერს, ცოტა არ იყოს, მოწყენილი გამომეტყველება ჰქონდა...

საღამოს, მე და ჩემი მეგობარი, ჟორჟოლიანების სიძე – ანდრეის (ანდრო) კრუსკოპსი ოჯახში მიგვიპატიჟა ამჟამად რიგაში მცხოვრებმა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ნუგზარ კახიანმა. ვინაიდან საკმაოდ კარგად ვიცნობ საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეს – სვანეთს, ვიცი, რომ კახიანების გვარი მულახიდან მოდის. ასევე მულახელები არიან ჟორჟოლიანები და ზემოხსენებული მარგიანებიც. ამიტომაც ვიხუმრე: „როგორც ჩანს, მულახელები გამორჩეულად ილტვიან ბალტიის ზღვის სანაპიროსაკენ-მეთქი!"

კახიანების სტუმართმოყვარე ოჯახში ღრმა ქართული გარემოა. იქ ყოფნისას ზოგჯერ მავიწყდება, რომ საქართველოს გარეთ ვიმყოფები. ოჯახის დიასახლისის – ლელა არღვლიანის მიერ საოცარი კულინარიული ოსტატობით მომზადებული ქართული კერძების დაგემოვნებისას თავს მშობლიურ გარემოში ვგრძნობ. დამშვიდობებისას ნუგზარმა მაჩუქა საკუთარი ქმნილება – „ნატურმორტი", თავისივე ავტოგრაფით, რითაც ფრიად გამახარა. ამიერიდან, ეს მშვენიერი ნახატი ბინას დაიდებს ჩემს ოჯახში, სადაც უკვე გამოფენილია ასევე რიგელი ქართველების – გოჩა ხუსკივაძისა და ნუგზარ პაქსაძის ნახატები...

8. IX. 2010.

ვეწვიე ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმს, რომლის ხელმძღვანელობამაც მიმიწვია საჯარო ლექციის წასაკითხად. შევთანხმდით, რომ ლექციას წავიკითხავ 10 სექტემბერს. დირექტორის მოადგილე იურის ციგანოვსი ამ ცოტა ხნის წინათ იყო საქართველოში და იქ გატარებულ დროს დიდი სიამოვნებით იხსენებს.

ტელეფონით ვესაუბრე ქალბატონ ნელია გლეიზდას. მან შემატყობინა ფრიად სამწუხარო ამბავი – მისი მეუღლე, გამოჩენილი ლატვიელი ფოტოხელოვანი, იანის გლეიზდსი, რომელიც შარშან ვინახულე, ნლეულს, 17 აპრილს, 86 წლის ასაკში გარდაცვლილა...

ქ-ნმა ნელიამ მითხრა:

– „ალბათ, განსვენებული იანისის სული ხარობს ზეციურ ნათელში, სადაც იგი შეხვდა თავისი დიდი მოამაგის, შესანიშნავი ქართველი კაცის, პროფესორ არჩილ მაჩაბლის სულს!"...

9. IX. 2010.

დილით მიმიწვიეს პოპულარულ ლატვიურ გაზეთში „Latvijas avīze", სადაც ჩემგან ინტერვიუ ჩაიწერა ნაცნობმა ჟურნალისტმა ვიესტურს სპრუდემ. მე დიდად მადლობელი ვარ მისი, რადგან ჩემი შარშანდელი ვრცელი ინტერვიუ შეუმოკლებლად გამოაქვეყნა.

გოჩა ხუსკივაძის სახელოსნოში მორიგი სტუმრობისას შევხვდი რიგელ ქართველს, საზოგადოება „გეორგიკას“ თავკაცს ერიკ (ერმინე) გრიგოლიას, ასევე, პრაღიდან ჩამოსულ რადიო „თავისუფლების“ თანამშრომლებს, ჟურნალისტ კობა ლიკლიკაძეს და აზერბაიჯანელ ჟურნალისტ ქენან ალიევს. კობას კარგა ხანია ვიცნობ. 1996-1998 წლებში მე ვმსახურობდი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილებაში, ხოლო მეზობლად მდებარე სამმართველოში კობა მსახურობდა. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ენერგიულობითა და შემართებით. მან ჩემგან ჩაიწერა ინტერვიუ, სადაც ვისაუბრე ქართულ-ბალტიური ურთიერთობების ისტორიის ძირითად ასპექტებზე. შემდეგ, ჩემი ინტერვიუ გადაიცა რადიო „თავისუფლების“ ეთერში.

კობას მეგობარ ქენანს თავიდან ქართულად გამოველაპარაკე, რაზედაც მას სიცილი აუტყდა: – „ყველა ქართველს ქართველი ვგონივარ, რაც მაფიქრებინებს, რომ, ალბათ, ქართული სისხლიც მირევიაო“.

სახელოსნოში შეკრებილი საზოგადოება ერიკ გრიგოლიამ დაგვპატიჟა რიგიდან საკმაოდ მოშორებით, კეკავაში მდებარე ერთ-ერთ ტრადიციულ ლატვიურ რესტორანში, სადაც სასიამოვნო დრო გავატარეთ...

10. IX. 2010.

დათქმულ დროს, ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმის სხდომათა დარბაზში შეგროვდა მოწვეული საზოგადოება, როგორც ლატვიელები, ასევე იქაური ქართველებიც. ვინაიდან, დღეს რიგას ენვია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, ჩვენი საელჩოს თანამშრომლები დაძაბულ რეჟიმში მუშაობენ და ვერ მესწრებიან. ნონა ტაურინასთან და ნუგზარ პაქსაძესთან ერთად, ლექციაზე დამესწრნენ მულახის სამი საგვარეულოს წარმომადგენლები: კახიანები, ჟორჟოლიანები და მარგიანები – თავიანთი ოჯახის წევრებითურთ. გიორგი მარგიანი მრავალრიცხოვანი დელეგაციით მეწვია და გამაცნო თავისი მეგობრები – ქართველი და არაქართველი სტუდენტები, რომლებიც რიგაში სწავლობენ. მათ შორის იყვნენ: მარიამ ბესარიონის ასული ბერაძე, თორნიკე თენეიშვილი, ზვიად გოგიტიძე და სხვები. იქვე იყო ერთი უზბეკი სტუდენტიც – აკბარი, რომელიც ქართველებთან მეგობრობს.

ლექცია გახსნა იურის ციგანოვსმა, რომლის შემდეგაც წავიკითხე მოხსენება თემაზე: „ქართულ-ბალტიური სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XV საუკუნე)“. დასმული შეკითხვებისა და ჩემი პასუხების შემდეგ, სიტყვით გამოვიდნენ ანდრო კრუსკოპსი და გიორგი მარგიანი.

11. IX. 2010.

აკადემიკოს იანის სტრადინშის რჩევის შესაბამისად, დავუკავშირდი ცნობილ რიგელ მკვლევარს ვლადიმირ ეიხენბაუმს, რომელმაც მომანოდა საგულისხმო ცნობა: „რიგის ერთ-ერთ სასაფლაოზე, რომელსაც „პოკროვსკოეს“ უწოდებენ, დაკრძალულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საპატიო კონსული ლატვიაში – გიორგი მიხეილის ძე მაჩიტაძე“.

ბატონმა ვლადიმირმა მკითხა – არსებობდა თუ არა ასეთი თავადური გვარი საქართველოში, რადგან კონსულის გვარის წინ იხსენიებოდა არისტოკრატიული წარმომავლობის დამადასტურებელი გერმანული სიტყვა „Von".

მე ვცადე დამეზუსტებინა, ხომ არ იყო ხსენებული კონსული გვარად მაჭუტაძე. ეს გვარი, რომელიც წარმოშობით გურიიდან გახლდათ, ერთ-ერთ წარჩინებულ ქართულ საგვარეულოდ ითვლებოდა.

საკმაო ხნის შემდეგ, ბ-ნი ვლადიმერი შემეხმიანა, რომ ჩემი ეჭვი საფუძვლიანი აღმოჩნდა. მანვე მომაწოდა გ. მაჭუტაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი ნეკროლოგი, რომელიც გამოქვეყნდა რიგაში გამომავალ გაზეთში „სეგოდნია" (13. VIII. 1922. 179).

აი, ასე გახდა ცნობილი სამშობლოდან გადმოხვეწილი კიდევ ერთი ქართველის ბედი, რომელმაც სამუდამო განსასვენებელი უცხოეთის მიწაში პოვა...

საღამოს, ნუგზარ კახიანი მეუღლითურთ და მე ვესტუმრეთ კრუსკოპს-ჟორჟოლიანების სტუმართმოყვარე ოჯახს და დიდებულად მოვილხინეთ.

12. IX. 2010.

დღეს დაბადების დღე მაქვს. გავხდი 38 წლისა. ეს არის ჩემი პირველი დაბადების დღე, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ შემისრულდა. დამპატიჟეს მხატვარმა ნუგზარ პაქსაძემ და სახელოვანმა ჩოგბურთელმა ნუგზარ მძინარიშვილმა. მათ წამიყვანეს იურმალაში, სადაც სასტუმრო „ლიელუპეში" მოქმედ საჩოგბურთო ცენტრს ნ. მძინარიშვილი ხელმძღვანელობს. იგი იყო პირველი სპორტსმენი სსრ კავშირიდან, რომელიც 1961 წელს, ლონდონის ღია ჩემპიონატზე, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში შევიდა. ნასადილევს გავედით ბალტიის ზღვის სანაპიროზე. მართალია, წყალი საკმაოდ ცივი იყო, მაგრამ მზე ანათებდა და ბანაობა მაინც ღირდა...

საღამოს ნუგზარ პაქსაძემ დაგვპატიჟა ტუკუმის რაიონის სოფელ ლაპმეჟციემსში, სადაც მას აგარაკი აქვს. აქედან ზღვა სულ რაღაც ასიოდე მეტრშია. ოჯახის დიასახლისი ქალბატონი თამარი გულთბილად შეგვეგება და ქართული კერძებით გაგვიმასპინძლდა. ნუგზარმა ეზოში გამოგვიყვანა და ერთად აღვმართეთ საქართველოს სახელმწიფო დროშა, რომელიც ბალტიის ზღვის პირას ამაყად აფრიალდა.

13. IX. 2010.

დილიდან ნავედი საქართველოს საელჩოში, საიდანაც შევატყობინე ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხვალ, ლატვიის აკადემიურ ბიბლიოთეკაში ლექციაზე ვეპატიჟები. ეს საელჩო ჩემთვის საიმედო დასაყრდენია, ჩემი ამჟამინდელი სამეცნიერო კვლევა-ძიების გულწრფელი მხარდამჭერი. მისი თითოეული თანამშრომელი მაქსიმალურად ცდილობს, რომ ჩემ მიმართ თანადგომა გამოიჩინოს, რაც, რასაკვირველია, მახარებს. თუმცა, მე ვცდილობ, რომ, ამჯერად, ისინი ნაკლებად შევაწუხო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ, შარშანდელისაგან განსხვავებით, ლატვიას და მის დედაქალაქს უკვე კარგად ვიცნობ და, მეორეც, ამჟამად, ისინი ძალიან დაძაბულ რეჟიმში მუშაობენ და არ მინდა, ხელი შევუშალო...

თენგიზ შაბურიშვილმა დამპატიჟა სამწვადეში, სადაც მოვინახულეთ რიგაში ამ საკმაოდ პოპულარული სამზარეულოს თავკაცი ვაჟა სამხარაძე. საჩუქრად გა-

დავეცი ჟურნალის „ჩვენი მწერლობა“ ის ნომერი, რომელშიც გამოქვეყნდა ჩემი „ლატვიური დღიური – 2009“. აქვე დავსძენ, რომ ამ მშვენიერი ჟურნალით გარკვეული სიხარული მივანიჭე რიგელ ქართველებს, რომლებსაც ხსენებული დღიურით ჩვენი შარშანდელი შეხვედრები გავახსენე...

საღამოს შევხვდი და გავესაუბრე რიგაში მოღვაწე ცნობილ ქართველ ქირურგ ზურაბ ქეცბაიას და მისგან საყურადღებო ცნობები ჩავიწერე.

14. IX. 2010.

დილით წავედი ლატვიის მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც ისტორიის ინსტიტუტში 10 საათზე წავიკითხე ლექცია თემაზე: „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის სათავეებთან (X-XI საუკუნეები)“.

სხდომათა დარბაზში შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარმადგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარემ აინარს ლერჰისმა. ინსტიტუტის თანამშრომლებმა და მათ შორის დირექტორმა გუნტის ზემიტისმა ჩემ მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს და წარმატებები მისურვეს.

იმავე დღეს, 16 საათზე, ლატვიის აკადემიურ ბიბლიოთეკაში წავიკითხე ლექცია თემაზე: „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII-XVIII საუკუნეები)“.

შეხვედრა გახსნა ხსენებული ბიბლიოთეკის დირექტორმა, დოქტორმა ვენტა კოცერემ, რომელიც ჩემი მონოგრაფიის რეცენზენტია. დამსწრეთა შორის იყვნენ საქართველოს კოსული ქეთევან ესიაშვილი, რიგელი ქართველები და ლატვიელები.

ლექციის დასასრულს, ქ-ნმა ნელია გლეიზდამ საჩუქრად გადმომცა მისი მეუღლის ნამუშევრები – პროფესორ არჩილ მაჩაბლისა და აკადემიკოს ვიქტორ კალნბერზის პორტრეტები.

საღამოს ქეთევან ესიაშვილმა მე და ანდრო ნაგვიყვანა იურმალაში, სადაც ვესტუმრეთ ძველი ნაცნობების – რომუალდს რაჟუკისა და ინგუნა ებელას ოჯახს. მათ სანდო ინფორმაცია გააჩნიათ ქართულ-ლატვიური არაფორმალური პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში. ამაში ისინი პირადად მონაწილეობდნენ.

15. IX. 2010.

შევხვდი ევგენი უპმანისს – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის არქიტექტორის შთამომავალს, რომელიც დამპირდა, რომ მის წინაპარზე გარკვეულ მასალებს მომაწოდებს.

გავიცანი ლატვიელი მკვლევარი ანდრის ლევანსი, რომელიც წლების განმავლობაში ჰამბურგში ცხოვრობდა. ამჟამად მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე, რომელსაც იგი გერმანიაში დაიცავს. ბევრი ვისაუბრეთ ბალტიის ქვეყნების წარსულსა და დღევანდელობაზე. მან შენიშნა, რომ, თავისი გვარის გამო, ხშირად, ქართველები მას ქართველად თვლიან.

18 საათზე, ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში წავიკითხე ლექცია თემაზე: „ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის პერიოდში“. ჩემს მოხსენებას ლატვიურად თარგმნიდა რიგაში მცხოვრები ქართველი სტუდენტი ანა ქიტიაშვილი.

როგორც ლატვიელებმა მითხრეს, მან დაკისრებულ მოვალეობას თავი წარმატებით გაართვა. დარბაზი ხალხით იყო სავსე. დამისვეს შეკითხვებიც.

დამსწრე საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მოულოდნელი აღმოჩნდა იმის მოსმენა, რომ II მსოფლიო ომის პერიოდში ბალტიის ტერიტორიაზე ქართველები იბრძოდნენ როგორც სსრ კავშირის არმიის, ასევე გერმანული შეიარაღებულ ძალების შემადგენლობაში. იმხანად, ფრონტის ორივე მხარეს მებრძოლი ქართველობის პროგრესული ნაწილი თანაგრძნობით ეკიდებოდა ადგილობრივ, თავისუფლებისმოყვარე ბალტიელ მოსახლეობას, რომელიც, ისევე როგორც თავის დროზე ქართველი ერი, – ოკუპაციის მსხვერპლი გახდა.

ლექციაზე მყოფმა ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლატვიაში ანტანას ვალიონისმა მეორე დღისთვის თავის საელჩოში მიმიწვია.

16. IX. 2010.

შეთანხმებისამებრ, დილით ვეწვიე ლიტვის რესპუბლიკის საელჩოს, რომელიც აკადემიური ბიბლიოთეკის მახლობლად მდებარეობს. ლიტვის ელჩი კარგად იცნობს საქართველოს, სადაც ის არაერთხელ ყოფილა. იგი ხომ წლების განმავლობაში ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრად მსახურობდა. ბატონმა ანტანასმა გამოთქვა სურვილი, რომ ვეწვიო მის ქვეყანას და გავეცნო იქაურ სიძველეთა საცავებში თავმოყრილ საისტორიო მასალებს, რაც, ბუნებრივია, ჩემს ინტერესებშიც შედის.

11 საათზე, ლატვიის ეროვნული ისტორიის მუზეუმში წავიკითხე ლექცია იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა ქართული მონეტები ბალტიისპირეთში და ბალტიური მონეტები – საქართველოში. დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი X საუკუნის ერთ-ერთი უნიკალური ქართული მონეტა დაცულია მათივე მუზეუმის ფონდში.

ლექციის დასასრულს, მუზეუმის დირექტორის მოადგილემ ანიტა მეინარტემ დიდი სიურპრიზი მომიმზადა და საგანგებოდ გამომიტანა სალასპილს-ლაუკსკოლაში აღმოჩენილი ვერცხლის დირჰემი, რომელიც 973/974 წლებში თბილისის ზარაფხანაში მოიჭრა. როდესაც მან ეს მონეტა ხელისგულზე დამიდო, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ფიზიკურად შევეხე ქართულ-ბალტიური ურთიერთობის სათავეს.

მუზეუმის მთავარმა კურატორმა ანდა ოზოლინამ ავტოგრაფით გადმომცა თავისი სოლიდური ნაშრომი ნუმიზმატიკის შესახებ, რომელიც მან გამოჩენილ ლატვიელ ნუმიზმატ კრისტინე დუცმანესთან თანაავტორობით გამოსცა.

აღსანიშნავია, რომ ამ მუზეუმში დაცულია ქართული ისტორიული მონეტების კოლექცია, რომელიც მუზეუმმა ერთი ლატვიელი კერძო კოლექციონერისაგან შეიძინა.

იმავე დღეს წავიკითხე მორიგი ლექცია უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

ლატვიელი სტუდენტები, რომელთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ შარშანდელი მივლინებისას გავიცანი, კვლავ დიდი ინტერესით მისმენდნენ. დამისვეს შეკითხვებიც.

ლექციაზე კვლავ დამესწრნენ ფაკულტეტის დეკანი გვიდო სტრაუბე და ლატვიელი ისტორიკოსი, იმავე უნივერსიტეტის პროფესორი ერიკს იაკობსონსი, რომელიც, ჯერ კიდევ 2008 წლის ოქტომბერში, ლუბლინის უნივერსიტეტში (პოლონეთი) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე გავიცანი.

17. IX. 2010.

დილიდან წავედი ლატვიის უნივერსიტეტში, სადაც გამოვემშვიდობე პროფესორებს, მათ შორის გვიდო სტრაუბეს და ერიკს იაკობსონსს, ასევე ლატვიელ სტუდენტებს, რომლებიც დამამახსოვრდნენ თავიანთი ნიჭიერებით, ცოდნისაკენ სწრაფვით და მოწესრიგებულობით.

შევიარე იქვე მდებარე ლატვიის ოკუპაციის მუზეუმში, სადაც გამოვეთხოვე დირექტორს, კდემამოსილ, ჭაღარა ქალბატონს გუნდეგა მიჩელეს და ახალგაზრდა თანამშრომლებს: ერნოს, დანუტას, ვიქტორს და სხვებს, რომლებიც უკვე კარგად მიცნობენ.

გოჩა ხუსკივაძის სახელოსნოში მოვიდა ერიკ გრიგოლია და თავის ოჯახში დამპატიჟა. გზად მან მაჩვენა თავისი საზოგადოება „გეორგიკას“ ოფისი და ავტოგრაფით მაჩუქა ალექსანდრს ჩაკისის პოემა „მარადისობით ცხებულნი“. ეს ცნობილი ნაწარმოები ლატვიურიდან ქართულ ენაზე თარგმნა და წელს გამოსცა თეითონ ერიკმა, რითაც სასარგებლო საქმე გააკეთა.

შევთანხმდით, რომ 2011 წლისათვის საზოგადოება „გეორგიკა“ ქართულ და ლატვიურ ენებზე გამოსცემს მაგიდის დასადგამ კალენდარს „პატარა ლითონით მოთხრობილი ისტორია“, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა პერიოდში მოჭრილი ქართული მონეტების გამოსახულებანი.

საღამოს ვურეკავ და ვემშვიდობები ყველა ჩემს ნაცნობ-მეგობარს, ვინც კი ლატვიაში რჩება.

საქართველოს საელჩოს თანამშრომელმა პაატა გაბიძაშვილმა გამაცილა აეროპორტში და მანამდე დამელოდა, სანამ ლატვიის სასაზღვრო რუბიკონს მიღმა გასული არ დამინახა.

23 საათსა და 55 წუთზე ჩვენი თვითმფრინავი აფრინდა აეროპორტიდან და გეზი სამხრეთისაკენ აიღო. სამშობლოში ებრუნდები საკმაოდ გადაღლილი, თუმცა, იმავდროულად, ფრიად ნასიამოვნები საქართველოს საელჩოს, იქაური ქართველებისა და ლატვიელების მიერ ჩემ მიმართ გამოჩენილი ყურადღებითა და სითბოთი.

ნიკო ჯავახიშვილი

ლატვიური დღიური – 2010, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“,
თბილისი, 2010, № 25 (129), გვ. 28-32.

Niko Javakhishvili

Essays from the History of Georgian-Baltic Relations

Summary

The following survey presents some articles from the history of Georgian-Baltic relations, the chronological framework of which embraces a thousand-year period beginning from the 10th century up to the present.

The essays arranged in the chronological order study numerous significant facts depicting the centuries-long history of military-political, economic and socio-cultural relationship of Georgia with the Baltic states. The work consists of three chapters divided into twenty-eight subchapters, bibliography and appendixes.

Chapter I – **Georgian-Baltic Relations from X Century until the End of the XVIII Century** – involves the following subchapters: 1. At the outset of Georgian-Baltic relations (X-XI cc.); 2. From the history of Georgian-Baltic military-political relations (late XV c.); 3. From the history of Georgian-Baltic trade-economic relations (first third of XVII c.); 4. Travels of Prince Alexandre Bagrationi-Imeretinsky in Liflandia and Kurlandia (late XVII c.); 5. Military way of Princes Afanasi (Adarnase) and Giorgi Bagrationi in Kurlandia (1747-1748); 6. A trip of Prince Paata Bagrationi to the Baltics (1749); 7. Baltic towns and regions in the Georgian sources of XVIII century; 8. Military way of Georgian Hussar Regiment in the Baltics (1750s); 9. Georgia in the eyes of Johann Anton Giuldenshtadt (1771-1772).

Chapter II – **Georgian-Baltic Relations from the End of the XVIII to the Twenties of XX Century** – includes the following subchapters: 1. The Baltics as seen by the last Georgian King of the Bagrationi Royal Dynasty – Grigol I (1813); 2. Georgia and the Baltic states in the title page of the Russian emperors and their heraldic symbols in the coat of arms of the Russian Empire; 3. The Baltics described in the literary work of Prince Ioane Bagrationi (first third of XIX c.); 4. The Baltics described in Prince Teimuraz Bagrationi's work (1836); 5. Duke Grigol Orbeliani in the Baltics (1834-1837); 6. The Duke of Ksani Giorgi Eristavi in the Baltics (1834-1838); 7. Georgian generals in the Baltics (from the end of XVIII till the twenties of XX c.); 8. Georgian-Baltic relations (from the beginning of XIX till

the twenties of XX c.); 9. Georgian-Latvian relations (from the last quarter of XIX to the twenties of XX c.); 10. Georgian-Estonian relations (from the last quarter of XIX to the twenties of XX c.); 11. Georgian-Lithuanian relations (from the last quarter of XIX to the twenties of XX c.); 12. The issue of admission of Georgia and the Baltic states to the League of Nations (1920).

Chapter III – **Georgian-Baltic Relations from the Twenties of XX Century to the Tens of XXI** – involves the following subchapters: 1. Latvians in Georgia (1921-1945); 2. Georgians in Latvia (1921-1941); 3. Georgian-Baltic relations in emigration. Baltic countries as seen by Georgian emigrants (1921-1991); 4. Georgian-Baltic relations during World War II (1939-1945); 5. Georgian-Latvian relations (1945-2010); 6. Georgian-Lithuanian relations (1945-2010); 7. Georgian-Estonian relations (1945-2010).

შინაარსი

შესავალი 5

თავი I
ქართულ-გალტიური ურთიერთობა X საუკუნიდან
XVIII საუკუნის მიწურულამდე 7

1. ქართულ-გალტიური ურთიერთობის სათავეებთან (X–XI საუკუნეები) 7

2. ქართულ-გალტიური სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის
ისტორიიდან (XV საუკუნის მიწურული) 11

3. ქართულ-გალტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის
ისტორიიდან (XVII საუკუნის პირველი მესამედი) 12

4. უფლისწულ ალექსანდრე არჩილის ძე გაგრატიონ-იმერეტინსკის
მოგზაურობა ლიფლანდიასა და კურლანდიაში (XVII საუკუნის მიწურული) 16

5. უფლისწულების – ათანასე ლევანის ძე და გიორგი ვახტანგის ძე
გაგრატიონების საბრძოლო გზა კურლანდიაში (1747-1748 წწ.) 19

6. უფლისწულ პაატა ვახტანგის ძე გაგრატიონის მოგზაურობა
გალტიისპირეთში (1749 წ.) 20

7. გალტიისპირეთის რეგიონები და ქალაქები
XVIII საუკუნის ქართულ წყაროებში 21

8. ქართველ ჰუსართა პოლკის საბრძოლო გზა გალტიისპირეთში
(XVIII საუკუნის 50-იანი წლები) 24

9. საქართველო იოჰან ანტონ გიულდენშტედტის თვალით (1771-1772 წწ.) 25

თავი II
ქართულ-გალტიური ურთიერთობა XVIII საუკუნის მიწურულიდან
XX საუკუნის 20-იან წლებამდე 28

1. გალტიისპირეთი უკანასკნელი ქართველი მეფის – გრიგოლ I-ის
თვალით (1813 წ.) 28

2. საქართველო და გალტიის ქვეყნები რუსეთის იმპერატორთა
ტიტულატურაში და მათი ჰერალდიკური სიმბოლიკა იმპერიის
სახელმწიფო გერბში 31

3. უფლისწულ იოანე ბაგრატიონის თხზულებაში აღწერილი
ბალტიისპირეთი (XIX საუკუნის პირველი მესამედი) 49

4. ბალტიისპირეთი უფლისწულ თეიმურაზ ბაგრატიონის
თვალით (1836 წ.) 50

5. გრიგოლ ორბელიანი ბალტიისპირეთში (1834-1837 წწ.) 51

6. გიორგი ქსნის ერისთავი ბალტიისპირეთში (1834-1838 წწ.) 55

7. ქართველი გენერლები ბალტიისპირეთში
(XVIII საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე) 55

8. ქართულ-ბალტიური ურთიერთობა
(XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე) 62

9. ქართულ-ლატვიური ურთიერთობა
(XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან XX საუკუნის
20-იან წლებამდე) 68

10. ქართულ-ესტონური ურთიერთობა (XIX საუკუნის
უკანასკნელი მეოთხედიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე) 77

11. ქართულ-ლიტვური ურთიერთობა (XIX საუკუნის
უკანასკნელი მეოთხედიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე) 81

12. საქართველოს და ბალტიის ქვეყნების
ერთა ლიგაში მიღების საკითხი (1920 წ.) 85

თავი III
**ქართულ-ბალტიური ურთიერთობა XX საუკუნის 20-იანი
წლებიდან XXI საუკუნის 10-იან წლებამდე** 89

1. ლატვიელები საქართველოში (1921-1945 წწ.) 89

2. ქართველები ლატვიაში (1921-1941 წწ.) 93

3. ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ემიგრაციაში. ბალტიის
ქვეყნები ქართველ ემიგრანტთა თვალსაწიერში (1921-1991 წწ.) 98

4. ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის პერიოდში
(1939-1945 წწ.) 110

5. ქართულ-ლატვიური ურთიერთობა (1945-2010 წწ.) 124

6. ქართულ-ლიტვური ურთიერთობა (1945-2010 წწ.) 152

7. ქართულ-ესტონური ურთიერთობა (1945-2010 წწ.) 177

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა 185

დანართები 199

დანართი № 1
1749 Г. МАЯ 5. ПРОТОКОЛ СОБРАНИЯ ПРАВИТЕЛЬСТВУЮЩЕГО СЕНАТА ОБ ОТКАЗЕ В ОТПУСКЕ НА РОДИНУ ГРУЗИНСКОГО ЦАРЕВИЧА ПААТЫ, О ПРИНЯТИИ НА СЛУЖБУ ПОДПОЛКОВНИКОМ, А ТАКЖЕ О ТАЙНОМ ОТЪЕЗДЕ ЕГО С ПОДЛОЖНЫМ ПАСПОРТОМ В МЕМЕЛЬ 201

დანართი № 2
გრიგოლ ორბელიანი. ანბავი რიგის ღუშპიტალში ნათქვამი 202

დანართი № 3
ПРИВЕТ ЛАТЫШСКОМУ НАРОДУ (От редакции сборника „Кавказ") 204

დანართი № 4
ШАЛВА МАГЛАКЕЛИДЗЕ. ГРУЗИЯ (исторический обзор и перспективы) 205

დანართი № 5
ჩვენი ასეული ლატვიაში 208

დანართი № 6
საქართველო-ლატვიის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები (1994-2009 წლების ქრონიკა) 211

დანართი № 7
აკადემიკოს იანის სტრადინშის წერილი აკადემიკოს ჯონდო ჯაფარიძისადმი 221

დანართი № 8
რაულ ჩილაჩავა. მივლინებიდან მივლინებაში: ლატვია 223

დანართი № 9
ნიკო ჯავახიშვილი. ღირსეულ მამულიშვილთა სადიდებლად (რეცენზია 1997-1998 წლებში რიგაში გამოცემულ ორტომეულზე „სამი ვარსკვლავის სხივებში") 226

დანართი № 10
ნიკო ჯავახიშვილი. ლატვიური დღიურები (2009-2010 წწ.) 229

რეზიუმე ინგლისურ ენაზე
NIKO JAVAKHISHVILI - ESSAYS FROM THE HISTORY OF GEORGIAN-BALTIC RELATIONS (summary) 254

გამომცემლობის რედაქტორები: მარინე ვარამაშვილი
ნანა კაჭაბავა

გარეკანი თინათინ ჩირინაშვილი

დაკაბადონება ნათია დვალი

წიგნის გარეკანზე გამოსახულია ქალაქ რიგის ხედი